114
1998/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

1-2

1998

ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ 74-Ე № 1-2 1998 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲞᲠᲝᲖᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲡᲣᲚᲐᲙᲐᲣᲠᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲡᲔᲤᲔᲓᲐᲕᲚᲔ. ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ 3
ᲒᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 46
ᲯᲐᲜᲝ ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ 56
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲔᲑᲘ. ᲛᲝ�გᲝᲜᲔᲑᲐᲜᲘ. �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ . . 62
ᲯᲔᲘᲛᲖ ᲯᲝᲘᲡᲘ — ᲣᲚᲘᲡᲔ. ᲛᲔ-13 ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲘ ᲜᲐᲕᲖᲘᲙᲐᲔ. ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ 76

180 — ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ — 180

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲒᲘᲫᲔ — ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ 106

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ — ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘ? 108
ᲖᲐᲖᲐ ᲐᲑᲖᲘᲐᲜᲘᲫᲔ — ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ 123
ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ — ᲮᲛᲘᲗ ᲜᲐᲢᲘᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲘ ᲧᲛᲐ 136
ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲘᲣᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ 146

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲙᲕᲔᲠᲔᲜᲩᲮᲘᲚᲐᲫᲔ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ 1917-1997.
�გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ 150

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲒᲘᲐ ᲒᲣᲚᲐᲫᲔ — ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘ ᲓᲘᲐᲚᲝ�გᲘᲓᲐᲜ. ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ
ᲐᲙᲐᲙᲘ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 164

ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ 173
ᲛᲐᲙᲐ ᲯᲝᲮᲐᲫᲔ — ᲤᲐᲥᲘᲖᲐᲓ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲥᲣᲨᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ 182

ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲐᲠᲘ

ᲝᲗᲘᲐ ᲙᲐᲨᲭᲝᲠᲘᲐ — ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ 185
ᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ 189

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
გიგი სულაკაური
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩოჩდელი (პ/მგ. მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

21057

არჩილ სულაკაური

დიდი სეფედავლე

შესავალი მოთხრობისა „კერპთაყვანისმცემლები“

„... ამბობენ ერთხელ, ბრწყინვალე სუფრასთან თემისტოკლეს ბავშვებისთვის უთქვამს: „ბავშვებო, ჩვენ დავიღუპებოდით, რომ არ დავღუპულიყავით“.

პლუტარქე.

არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი. თითქმის ხუთი თვე გაუნძრევლად იწვა სეფედავლე კაკუბანი, ჰა და ჰა, ას წელს მიტანებული მოხუცი, საყოველთაოდ ცნობილი ადვოკატი და აღიარებული საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ერისკაცი. შვილი სასოწარკვეთილი დასცქეროდა მამის დამჭკნარ-დანაოჭებულსა და ჩაყვითლებულ-ჩანაცრისფერებულ სახეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი, კარგა ხანია, აღარ ეტყობოდა. უკბილო ყბა ჩაქცეულ მკერდზე ჩამოვარდნოდა და დღედაღამ გახელილ, ჭერს უაზროდ მიშტერებულ თვალებშიც ჩაჭქრობოდა ყველა ნაპერწკალი. „ისევ სუნთქავს ბებრუცუნა“, გაიფიქრა სასთუმალთან უმწეოდ მდგარმა შვილმა და კიდევ ერთხელ გაუსინჯა გაძვალტყავებული მაჯა.

საჭმელზე იმთავითვე უარი თქვა და ისედაც დაუძლურებული სხეული მთლად გამოეფიტა. მხოლოდ ხილის წვენებს (ვაშლისას, ფორთოხლისას, ზოგჯერ ბროწეულისასაც) აწვეთებდნენ დაფჩენილ პირში და ისიც, შესაბამისად, ქვეშაგებს მხოლოდ და მხოლოდ ასველებდა. ჩასველებული ზეწარ-საცვლის ყოველდღიურმა რეცხვა-გაუთოვებამ ფრიად გატანჯა და გააწვალა ოჯახი.

ამდენი ხანი უჭმელი როგორ ძლებსო, უკვირდა ყველას. ეს მოვლენა აქაურმა სახელგანთქმულმა ექიმებმა ვერაფრით ახსნეს. საქმეში მრავალი სამედიცინო და საკვლევი ინსტიტუტი ჩაერთო. მაინც ვერ გაარკვიეს, რა სასიცოცხლო ენერგიით იკვებებოდა ორგანიზმი. იმასაც ამბობდნენ, კვლევის მონაცემები თითქოს ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ სამედიცინო ცენტრებშიც დაგზავნეს, მაგრამ იქიდანაც გაოგნებული პასუხები მოდიოდა თურმე. არავინ არაფერი იცოდა. ერთი სიტყვით, მსოფლიო მედიცინა უძლური აღმოჩნდა, ვერ ახსნა და ვერ დაადგინა, ხუთი თვის უჭმელი კაცი სიცოცხლეს როგორ ინარჩუნებდა.

ხუთი თვის მანძილზე ოჯახმა სამჯერ შეიცხადა ბერიკაცის გარდაცვალება.სამჯერ დაუხუჭეს თვალები და სამჯერ აუხვიეს ყბა... სამჯერვე გამტ-

ყუნდნენ. თითქოს აღარ სუნთქავდა, თითქოს მაჯისცემაც შეუწყდა და სამუდამოდ გაცივდა. გურანდუხტმა, სეფედავლე კაკუბანის რძალმა, კივილით შესძრა იქაურობა. ცას საყრდენები გამოეცალა და ჩამოინგრა. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, შეძრწუნდა ხალხი: დიდი სეფედავლე გარდაიცვალა, დიდი სეფედავლე აღარა გვყავსო! დიდმა სეფედავლემ კი ისევ გაახილა თვალები და ჭერს მიაშტერა. იქვე გაირკვა, მოხუცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სუნთქავდა, მაჯაც, მართალია, სუსტად, მაგრამ მაინც უცემდა. ვაჟიშვილი, ბარდაველ კაკუბანი, ამგვარი ფათერაკების შემდეგ უკვე ფრთხილობდა, აღარ უნდოდა მეოთხედაც გაწბილებულიყო, რადგან სამი ცრუ განგაში, ასე თუ ისე, უსიამოვნო მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, ქალაქი ათასნაირმა ჭორმა და საეჭვო ვარაუდმა ააფორიაქა.

ერთმა ჭორმა მაინც განსაკუთრებით შეაშფოთა ხალხი. ჭორმა-მეთქი, ამას მე ვფიქრობ და ვგულისხმობ, თორემ მავანნი და მავანნი რასაც დაბეჯითებით იმეორებდნენ, იმ თავის ნათქვამისა ღრმად სჯეროდათ კიდეც. ძალიან რომ მოგენდომებინა, ვერ გადააჯერებდი, ვერ გადაარწმუნებდი, სიტყვიერი საბუთები მზად ჰქონდათ და ყველაფერს წინ დაგილაგებდნენ.

ქალაქში ხმა დაირხა: სეფედავლე კაკუბანი ნამდვილად წინა კვირას გარდაიცვალა, მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელენ, რამეთუ ვერ გადაუწყვეტიათ, სად დაკრძალონო. ერთდროულად სამ ქვეყანას (ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას) შემოუთვლია, ჩვენი უკვდავთა პანთეონები მზად არის, ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი გვამი, როგორიც ბატონი სეფედავლე კაკუბანია, თავის წიაღში მიიბაროს, ეს ჩვენთვის უდიდესი პატივი იქნებაო. ცხადია, ამ შემონათვალმა ხალხი გარკვეულწილად ააღელვა, მაგრამ ბევრი მათგანი მაინც არ დაბნეულა, ღირსება არ დაუკარგავს და წონასწორობაც შეუნარჩუნებია. ყველამ თავის მკვდარს მიხედოს, მკვდრის სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენ ვერავინ გვასწავლისო, სხვათა დასაშოშმინებლად ამბობდნენ ეროვნული ნიჰილისტები და წონასწორობაშენარჩუნებულები.

იმ ხანებში ბრწყინვალე პატრიოტული ანუ ეროვნული სულისკვეთების გამოვლინებად ითვლებოდა უცხოეთში ადრე გარდაცვლილ მოღვაწეთა გვამების სამშობლოში გადმოსვენება. საერთოდ არავინ კითხულობდა, ჰქონდა თუ არ ჰქონდა კაცს ანდერძი დატოვებული, გარდაცვალების შემდეგ ჩემი ნეშტი მაინცდამაინც მშობლიურ მიწას მიაბარეთო, მოასვენებდნენ და მოასვენებდნენ თუთიის კუბოებში ჩაჭედილ გვამებს და მშობლიურ მიწაში ღრმა პატივისცემით ასაფლავებდნენ. სამგლოვიარო-საზეიმო პროცესიას უამრავი ხალხი ესწრებოდა, ნეშტის გადმოსვენებას ეროვნულ მოვლენად თვლიდნენ და ფართოდ აშუქებდნენ: რესპუბლიკური გაზეთები, რადიო და ტელევიზია. თვით ჩამომსვენებელს გამარჯვების დაფნის გვირგვინით ამკობდნენ.

ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი ქვეყნიდან ჩვენებური ცნობილი საზოგადო მოღვაწის გადმოსვენების გამო ატეხილ ციებ-ცხელების დროს, სწორედ აეროპორტში, ხალხი თვითმფრინავის დაშვებასა თუ დაფრენას რომ ელოდებოდა, ვიღაც ეჭვიან კაცს, სხვათა შორის, დაბნეული ღიმილით უკითხავს: ამ ცხონებულს ანდერძი არ დაუტოვებია, მთელი შეგნებული ცხოვრება იქ გაატარა, ორი ქვეყნის სულიერ კულტურას ემსახურა, იცნობდნენ, ღირსეულ პატივს მიაგებდნენ და ახლა თითქმის საუკუნის მკვდარს რომ მოვარბენინებთ, ამით ჩვენსა და იმ ქვეყანას შორის გაბმული კიდევ ერთი კულტურულ-ისტორიული ძაფი ხომ არ წყდებაო. რა ძაფი, რის ძაფი, გაგიჟებულა ხალხი, ეგ მკრეხელური სიტყვა პირიდან როგორ ამოგცდა, ჩვენი მკვდარი ჩვენს მიწაში უნდა იყოს დამარხულიო. რა ვიცი, ნაიერიშალს უცდია თავის მართლება, აქედან ჯერ არავინ წაუსვენებიათ თავის ქვეყანაში არც გერმანელებს, არც რუსებს, არც აზერბაიჯანელებს, არც სო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მხებს და ჩვენ ასეთი რა გვჭირსო. ხალხს ლოგიკური მსჯელობისათვის თურმე დრო არ ეყო, რადგან სივრცეში თვითმფრინავი გამოჩენილა და უფრო ძალისმიერ მეთოდისთვის მიუმართავს, თუ ასე ფიქრობდი, შე გარეწარო, აქ რაღას მოეთრეოდიო, კინწისკვრით გაუძევებიათ აეროპორტის ტერიტორიიდან. არადა განსხვავებული აზრის მიუხედავად, ეს უბედური მხოლოდ გადმოსვენებული ნეშტის პატივსაცემად გახლდათ აქ მოსული. სწორედ აეროპორტში, გადმოსვენებასთან დაკავშირებულ სამგლოვიარო მიტინგზე სახელდახელოდ შეგროვილ ხალხს განუცხადა ჩამომსვენებელმა: თუ ჩვენს ქალაქში შესაფერის ადგილ-მდებარეობას გამოვნახავთ, საფრანგეთიდან ჩვენს საყვარელ სამშობლოში ლევილის სასაფლაოს საუკუნის მიწურულისთვის მთლიანად გადმოვიტანო. სიხარულის ყიჟინას აეროპორტი გაუყრუებია და მწუხარების ცრემლიც ბევრი დაღვრილა.

ამგვარი სულისკვეთების ხალხი, რა თქმა უნდა, თავის მკვდარს იქით არავის გაატანდა, არც ნისლიან ალბიონს დაუთმობდა და არც — მარსელიეზას ქვეყანას. გერმანიაზე ხომ ლაპარაკიც არ იყო, სასხვათაშორისოდაც არავინ ახსენებდა. რატომ აითვალისწუნეს გენიოსების ეს დიდებული ქვეყანა, ჩემთვის დღემდე გაუგებარი დარჩა. თუმცა სეფედავლე კაკუბანის სახლის წინ შეგროვილ თაყვანისმცემელთაგან, მგონი, ერთ-ერთს უთქვამს: ჯერ გაერთიანდნენ, ბატონო, და მერმე ვიმსჯელოთ მაგ საკითხებზე. ისე, როგორ გავიგოთ, სად უპირებენ დასამარებას კაპიტალისტურში თუ სოციალისტურში, იმათ გერმანიაში თუ ჩვენსაშიო. ნახევარს — აქეთ და ნახევარს — იქითო, უკბილოდ უხუმრია ვიღაცას და უთუოდ იქვე ჩაქოლავდნენ, შეშინებულს განწირულის ხმით რომ არ ეყვირა, ვიხუმრე, ძმებო, გერმანია, რა ხანია, გაერთიანდაო. შეტევაზე გადასულებს მორცხვად დაუხრიათ თავი და უკან დაუხევიათ, ეს რა დაგვემართა, იუმორის გრძნობა როგორ დავკარგეთო.

ახლა ბარემ ისიც ეთქვათ, ოსთვის იღწვოდა სამი დიდი ევროპული ქვეყანა, თუ ნებას დაგვრთავთ, სეფედავლე კაკუბანს ჩვენს მიწას მივაბარებთო.

ჭაბუკი სეფედავლე კაკუბანი ფარცხანაყანევის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პირდაპირ შუაგულ ევროპაში გაემგზავრა იურიდიულ მეცნიერების დასაუფლებლად. როგორც ამბობენ, არჩევანი გერმანიაზე შეუჩერებია. თუ კაცს ნამდვილი და სერიოზული განათლების მიღება სურს, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, გერმანია ყველა ქვეყანას აღემატებაო, გამგზავრების წინ უთქვამს სააბითურიენტოდ გამზადებულს, ხონის ბაზრობაზე ახალ ჩოხა-ახალუხსა და შარვალ-უძიროებს რომ ყიდულობდა.

მიუნხენისა თუ მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის თითქმის სრული კურსი უდიდესი აღმავლობით მოუსმენია. გერმანელი პროფესორები ერთმანეთს გაოცებულები ეუბნებოდნენ თურმე, უცნაური ხალხია ეს ქართველები, ასეთი მსმენელი ჯერ ჩვენ არ გვყოლია და არც უახლოეს ათწლეულებში ველოდებითო.

სეფედავლე კაკუბანი, როგორც მოგზაურობის ჭეშმარიტი ტრფიალი, ხშირ-ხშირად ტოვებდა გერმანიის საზღვრებს, ხან საფრანგეთში გადავიდოდა, ხან კი ლა-მანშს გადასერავდა და საუთჰემპტონის (განსაკუთრებით უყვარდა ამ საპორტო ქალაქში ხეტიალი და ოცნება) გავლით ლონდონს ეწვეოდა.

ლონდონში ყოფნისას, ნისლით დაბურულ შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, ტემზის მხრიდან რაღაც ჩოჩქოლი შემოესმა. სწრაფად მიირბინა მდინარის ნაპირთან, მაგრამ იქ იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ვერაფერი დაინახა. მერმე ასევე სწრაფად გაიჭრა ტაუერის ხიდისკენ და მოაჯირზე გადაყუდებული ხალხი მისწი-მოსწია, ამღვრეულ ტემზას გადახედა: მდინარეში ადამიანი იხრჩობოდა. ლონდონელები ორივე ნაპირს ჭიანჭველებივით შესეოდნენ, ფუთფუ-

თებდნენ, წივილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას, სასოწარკვეთილები ბღაოდნენ, ბევრი გამეტებით თავშიც კი იცემდა ხელებს. დიდი ვნებათა ღელვა იყო ამტყდარი, მაგრამ განწირულის საშველად წყალში შესვლას მაინც ვერავინ ბედავდა. სეფედავლე კაკუბანი წამით არ დაფიქრებულა, ისიც კი არ უკითხავს, ქალია თუ კაცი, უმალვე წაიძრო თურმე უძიროები, გაიხადა ჩოხა-ახალუხი, შარვალი და ტემზის მღვრიე ტალღებში ხიდიდან პირდაპირ თავით გადაეშვა.

წყლიდან ამოსულს ტანსაცმელი იქ, სადაც დატოვა, აღარ დახვედრია, ვიღაცას მოუპარავს. სველი, გაყინულ-აძაგძაგებული (შემოდგომის ნისლიანი დღე იყო) სეფედავლე კაკუბანი ნიფხავ-პერანგის ამარა დარბოდა ტაუერის ხიდზე და ორივე ხელს წინ იფარებდა, თქვე ოხრებო, შარვალი მაინც დაგეტოვებინათო.

დიდი ხნის შემდეგ ეს ტანსაცმელი ლონდონის მთავარი მუზეუმის აღმოსავლეთის განყოფილებაში აღმოჩნდა თურმე, როგორც ცნობილი გახდა, ერთ წინდახედულ და შორსმჭვრეტელ აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერს უპატრონოდ მიტოვებული ჩოხა-ახალუხი და შარვალ-უძიროები რომ დაუნახავს, დაუვლია ხელი და გახარებულს, უმოკლესი გზით, მუზეუმში გაუქანებია: ბოლოს და ბოლოს ძველი ოცნება ავისრულე, ჩვენი მუზეუმი ქართული ჩოხა-ახალუხით დავამშვენეო. იქნებ ეგ ტანსაცმელი ევროპის განყოფილებაში მოგვეთავსებინა, საქართველო უფრო დასავლეთს ეკუთვნის, ვიდრე აღმოსავლეთსო, შეუნიშნავს ერთ-ერთ თანამშრომელს. საქართველო ორივეს ეკუთვნის — დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც, იგი ორი ცივილიზაციის ცენტრშია განლაგებული და სულერთია, რომელ განყოფილებაში მოვათავსებთო, უპასუხია აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერს.

მერმე მოვლენები ისე განვითარებულა, ახალგაზრდა სეფედავლეს დაკარგული ტანსაცმელი აღარ გახსენებია. თუმცა არაფერი დაშავდება, თუ წინდაწინ ვიტყვი: იმ ტანსაცმელს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მხოლოდ მადამ ტიუსო გაიხსენებს, როცა სეფედავლე კაკუბანის ცვილის ფიგურის დადგმას გადაწყვეტს. დაკვირვებული თვალი კი მაშინვე შეამჩნევს, რომ მადამ ტიუსოს გალერეაში დადგმულ სეფედავლე კაკუბანის ცვილის ფიგურას აცვია სწორედ ის ჩოხა-ახალუხი, რომელიც ტაუერის ხიდიდან გაიტაცა ინგლისელმა აღმოსავლეთმცოდნემ.

ახლა ძირითად მოვლენებს დავუბრუნდეთ: თურმე დასაღრჩობად განწირული ადამიანი აღმოჩნდა სამეფო ოჯახის წევრი — პრინცი ედუარდი, შემდგომში ინგლისის მეფე ედუარდ მერვე. რაღა თქმა უნდა, პრინცის მამამ, ჯორჯ მეხუთემ სეფედავლე კაკუბანი უინძორის სასახლეში ღირსეულად მიიღო და სხვა ძვირფას საჩუქრებთან ერთად უბოძა ინგლისის პერობაც, რაც ლორდთა და თემთა პალატამ უმალ დაამტკიცა. მოკლედ რომ მოგახსენოთ, უინძორის სასახლეში ნიფხავ-პერანგის ამარა შევიდა გაღატაკებული აზნაურიშვილი სეფედავლე კაკუბანი, იქიდან კი გამოვიდა ინგლისის პერი სერ სეფედავლე კაკუბანი. სანამ სერობას მიანიჭებდნენ, მეფე ჯორჯ მეხუთეს რომ წარუდგინეს ევროპულად ჩაცმულ-დახურული სეფედავლე, პრინცი ედუარდი მხსნელს გადახვევია, თან მხურვალედ გადაუკოცნია და უთქვამს, ამიერიდან ჩემი ღვიძლი ძმა ხარ, ჭირშიც და ლხინშიც შენს გვერდით მიგულეო. იმ ღირსსახსოვარ წამს სამეფო კარს მადლიერების გმინვა აღმოხდენია, ყველანი ცრემლად დაღვრილან, ხოლო უელსის პრინცესას ბეჭდის შემნახველ ლორდისთვის გადაუჩურჩულებია, ქართველი რომ არ იყოს, ვიფიქრებდი, სასახლეში დორიან გრეი შემოვიდაო.

დაღრჩობას გადარჩენილმა პრინცმა სეფედავლე კაკუბანს ბოლომდე მაინც ვერ გაუმართლა, მხოლოდ ერთი წელი იმეფა და მერმე თვითონვე გადადგა (1936 წ.) თავისი ძმის ჯორჯ მეექვსის სასარგებლოდ. სწორედ ამ ჯორჯ

მეექვსის ქალიშვილია დღევანდელი ინგლისის დედოფალი ელისაბედ მეორე. მეგობარი მეფის გადადგომამ სეფედავლე კაკუბანი, ცხადია, ააღელვა და დააღონა კიდეც, მაგრამ იმ დროისათვის იგი იურიდიულ მეცნიერებას, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სამართლის თეორიას უკვე საფუძვლიანად იყო დაუფლებული და სრულიად მშვიდად განუცხადებია, ინგლისის შინაურულ საქმეებში მე ვერ ჩავერევიო.

აი, ასეთ საინტერესო ამბებს ჰყვებოდა სეფედავლე კაკუბანის სახლთან შეგროვილი ხალხი. ისინი დილიდანვე შეიყრებოდნენ გალავანთან, უმალ ბატონ სეფედავლეს მოიკითხავდნენ, ჯერ კიდევ ცოცხალია თუ არაო და მერმე დაღამებამდე დინჯად, მამა-პაპურად საუბრობდნენ, მისი სახელოვანი წარსულიდან ვინ რას იხსენებდა და ვინ — რას. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ან ტკბილი საუბრით გართულები გალავნის გასწვრივ მკლავგაყრილნი დარბაისლურად დასეირნობდნენ. თუმცა ყოველი დღე ასე მშვიდად არ უღამდებოდათ, ამ ნეტარ სინარნარეში მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა გიჟიბაბოს მოულოდნელი გამოჩენა. ეს ენერგიული და გააფთრებული დედაბერი ალქაჯივით მოიჭრებოდა და ერთ წამში დაარბევდა იქაურობას. გიჟიბაბოს მოსვლას შორიდანვე იგებდნენ, რადგან ლაპარაკლაპარაკით მოდიოდა, უფრო ზუსტად — ლანძღვა-გინებით მოთუხთუხებდა, ლანძღავდა სეფედავლე კაკუბანსაც და მის სახლთან შეგროვილ ხალხსაც. ერთადერთი, ვისაც ხალხი სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა, ეს თმაგაჩეჩილი დედაბერი გახლდათ. ყველანი ხმის ამოუღებლად ტოვებდნენ გალავნის მისადგომებს და ჩუმად მიიძურწებოდნენ, ზოგი — გიჟიბაბოს გამოჩენამდე, ზოგი — გამოჩენისთანავე.

— ისევ აქა ხართ, არა?! ისევ გუნდრუკს უკმევთ, არა, ამ გარეწარს?! ხომ ხედავთ, ცოცხლად ლპება ეგ ძაღლთაპირი, ეგ უნამუსო, ეგ თახსირი! — კამოჩნდებოდა პატარა, დალეული, შემოდგომის ფოთოლივით დამჭკნარი დედაბერი და წარმოუდგენელი მძვინვარებით გაჰყვიროდა, — თქვენ, ეგეთები ხართ ყველანი, უბედურ დღეს გაჩენილებო! სად გარბიხართ, ყური დამიგდეთ, თქვე ლაჩრებო, თქვე მონებო! თქვენც დაგსჯით უფალი, როგორც ეგ სატანა დასაჯა და ადამიანური სიკვდილი არ აღირსა!..

მეორე დღეს გალავანთან ისევ შეიკრიბებოდა ხალხი და ცხოვრებაც ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა. მათი საუბრიდან, ყურს თუ მიუგდებდი, ბევრ საინტერესო და საოცარ ამბავს შეიტყობდი. თუნდაც ასეთ რამეს:

სეფედავლე კაკუბანი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერიც ყოფილა და ეს ჯილდო სავსებით დამსახურებულად ჰქონია თურმე მიღებული.

მიუხედავად ვერსალის ზავისა, რომელმაც გააუქმა ფრანკფურტის სამარცხვინო და დამამცირებელი ხელშეკრულება, საფრანგეთში მაინც შეიმჩნეოდა ერთგვარი სულიერი დეპრესია, რაც ხანგრძლივი, გამანადგურებელი პირველი მსოფლიო ომის ბუნებრივი შედეგი იყო. ეს სულიერი დეპრესია არა მარტო ხელოვნებას, საფრანგეთის დემოგრაფიასაც საგრძნობლად დასტყობია. როგორც უკვე ვთქვი, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, მხნე და კეთილაღნაგი სეფედავლე გერმანიიდან ხშირად მიემგზავრებოდა საფრანგეთში და იქ კვირაობითაც კი რჩებოდა. მისმა მხიარულმა ვიზიტებმა, გარეგნულმა მომხიბლაობამ, შინაგანმა სილაღემ, უშუალობამ და გულხელგაშლილობამ პარიზის ჩამკვდარ-ჩაობებული ცხოვრება მრავალი ასპექტით გამოაცოცხლა და აამოძრავა, ეს კი ქვეყნის დემოგრაფიაზეც, ცხადია, იმოქმედებდა. როგორც ამბობდნენ, სწორედ სეფედავლე კაკუბანის დაუვიწყარ ვიზიტებს უკავშირდება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის სულიერი აღორძინება და დემოგრაფიული აფეთქება.

ამბობდნენ, მისი გამოჩენა სენის ორივე სანაპიროზე, ლათინურ კვარტალში, ელისეს მინდვრებსა თუ ბულონის ტყე-

ში თითქმის აღტაცების ყიჟინას იწვევდა და ყველას სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარულით გულს უვსებდაო.

ერთხელ, ბულონის ტყეში, მოხუც რენუარს ურჩევია თურმე, ჩემო სეფედავლე, წადი „როტონდაში“ მოდილიანი გაიცანი, დაუახლოვდი, იქნებ ეს ნიჭიერი მხატვარი როგორმე ლოთობისაგან იხსნა და მიწიერ, შემოქმედებით ცხოვრებას დაუბრუნოო. სეფედავლე კაკუბანი მეორე დღესვე სწვევია „როტონდას“ და აბსენტით გალეწილი ამედეო მოდილიანი გაუცვნია. მათ არაჩვეულებრივ მეგობრობას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა: მხოლოდ ღვინო!.. ამედეო, in vino veritas!-ო, შეაგონებდა ხოლმე მეგობარი მეგობარს. ამედეოც ერთი წელი მაგარ სასმელებს აღარ გაჰკარებია, მხოლოდ ღვინოს წრუპავდა ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით და სწორედ სიფხიზლის ამ ერთწლიან მონაკვეთში შეუქმნია თავისი შედევრული პორტრეტები. მერმე დიდი საქმეებით დატვირთულ სეფედავლე კაკუბანს „როტონდისთვის“ ვეღარ მოუცლია და ამედეო მოდილიანი ისევ აბსენტსა და ჭაჭას მისძალებია.

ეგ კი არადა, ხალხი იმასაც ამბობდა, თითქოს იმ ხანებში ლუქსემბურგის დიდ ჰერცოგს სეფედავლე კაკუბანისთვის შემოუთვლია, ომში სულიერად და დემოგრაფიულად ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით და იქნებ ჩემს პატარა, გაუბედურებულ ქვეყანასაც მოხედოთო. ოჰ, ეს მოუცლელობა! სეფედავლე კაკუბანმა ძალზე თავაზიანი და მოკრძალებული უარი შეუთვალა თურმე, ფრიად მნიშვნელოვან პროექტზე ვმუშაობ და დიდად ვწუხვარ, რომ ამ უახლოეს დროში ვერაფრით დაგეხმარებითო.

ვერსალის სასახლეში, ორდენის გადაცემის ცერემონიალზე სეფედავლე კაკუბანს საფრანგეთის პრეზიდენტისათვის მიურთმევია ზემოთ ხსენებული **პროექტი,** რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით თითქმის ოთხასკილომეტრიანი სამხედრო-თავდაცვითი კომპლექსის მშენებლობას ითვალისწინებდა. ამ სამხედრო ნაგებობას მომავალში საფრანგეთი გერმანელთა ახალი თავდასხმისაგან უნდა გადაერჩინა. ფრანგებს პროექტის იდეა მოეწონათ, თვით პროექტი კი მნიშვნელოვან გადამუშავებას საჭიროებსო, განუცხადებიათ სამხედრო ინჟინრებს. ათი-თორმეტი წლის შემდეგ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა, მაჟინომ, მართლაც განახორციელა სეფედავლე კაკუბანის იდეა. მშენებლობის დასრულებისთანავე ოთხასკილომეტრიან სამხედრო-თავდაცვით ნაგებობას „მაჟინოს ხაზი“ ეწოდა. საყოველთაოდ ცნობილია, „მაჟინოს ხაზმა“ ვერ გაუძლო მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ ფაშისტთა მოტო-მექანიზებულ შეტევებს და საფრანგეთი მძიმე და სასტიკი ბრძოლების შემდეგ დაეცა. მაგრამ ფრანგი ხალხი მაინც კმაყოფილი დარჩენილა სეფედავლე კაკუბანის იდეისა, ეგ „ხაზი“ რომ არა, გერმანელები საფრანგეთს ორ დღეში აიღებდნენ და საქვეყნოდ თავი მოგვეჭრებოდაო. ჩვენში კი მავანნი და მავანნი სულ სხვას ფიქრობდნენ: სეფედავლე კაკუბანის პროექტი საგრძნობლად რომ არ გადაეკეთებინათ, „მაჟინოს ხაზი“ დღესაც აუღებელი იქნებოდაო.

ცხადია, ეს ორი აზრი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, უფრო მეტიც: ერთმანეთს გამორიცხავდა კიდეც, მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებას მაინც ღირსეულად დაუფასებია სეფედავლე კაკუბანის ღვაწლი, არა თუ დაუფასებია, სამუდამოდ დაუმახსოვრებია. ასე რომ არ იყოს, ფრანგი ხალხის უკვდავ მოღვაწეთა გვერდით სეფედავლე კაკუბანის საუკუნო განსასვენებელს რატომ შემოგთავაზებდაო, სავსებით ლოგიკურად მსჯელობდა გალავნის წინ შეკრებილი ხალხი.

გერმანიაც ასევე რომ გვთავაზობდა ჩვენი დიდი მოხუცის მარადიულ სასუფეველს, ეს ყველაზე უფრო გასაგები უნდა ყოფილიყო, რადგან სეფედავლე კაკუბანი ხუთი წელი იქ სწავლობდა. ზოგი ამბობს, შვიდი წელიო, შესაძლე-

ბელია, საზღვარგარეთ სულაც რამდენიმე თვე დაჰყო, მაგრამ ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. იქ ყოფნის დროს, ყველა დარწმუნებულია, იგი ძირფესვიანად დაეუფლა იურიდიულ მეცნიერებას, ღრმად შეისწავლა გერმანული ფილოსოფია (კლასიკური და თანამედროვე), გერმანული ლიტერატურა (თარგმნა გოეთეს „ფაუსტი“ თავიდან ბოლომდე, შილერის „დონ კარლოსი“, თუმცა დასტამბვა კომუნისტური რეჟიმის გამო ვერ მოახერხა), გერმანული მუსიკა (საგანგებოდ ჩადიოდა ვენაში ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის მოსასმენად) და, რაც მთავარია, წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს კაიზერ ფრიდრიხ-ვილჰელმ პირველის პირდაპირი შთამომავლის ანა-მარია-მარტა-ლიზხენ ჰოჰენცოლერნის სეფედავლე კაკუბანისადმი მიწერილი სამიჯნურო ბარათები, დღესაც რომ ეპისტოლარული ჟანრის შედევრად არის მიჩნეული და მილიონ ამერიკულ დოლარადაა შეფასებული. ანა-მარია-მარტა-ლიზხენ ჰოჰენცოლერნის სამიჯნურო ბარათები ჯერ კიდევ ჰიტლერის სათავეში მოსვლამდე ხელში ჩაუგდია მიუნსტერის საქალაქო ბიბლიოთეკას და ისე საგულდაგულოდ ინახავს, ცივ ნიავსაც არ აკარებს თურმე. ბარემ ერთსაც დავძენ: სეფედავლე კაკუბანმა სამუდამოდ შეარიგა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს გადაკიდებული ორი დიდი მწერალი: ღვიძლი ძმები თომას და ჰენრიხ მანები. ეს იყო საუკუნის შერიგებაო, ფიქრობდნენ ჩვენშიც და, ცხადია, გერმანიაშიც.

ზოგის აზრით ყველაზე შემაშფოთებელი ცნობა მოსკოვიდან მოვიდა თურმე. მართალია, ამ ცნობამ საკმაოდ დაიგვიანა, მაგრამ ხალხი მაინც გვარიანად ააღელვა და გააღიზიანა. როგორც ამბობდნენ, კრემლის მესვეურთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით საბჭოთა იურისპრუდენციის საქმეში დიდი და ფასდაუდებელი ღვაწლისათვის, აგრეთვე სოციალისტური სამართალმცოდნეობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის გაწეული უანგარო სამსახურის გამო სეფედავლე კაკუბანს [illegible] ლენინის კედელთან, ლენინის მავზოლეუმის ახლოს გამოეყო დასამარხი ადგილი. ოდითგანვე მშვიდსა და ბრძენ ხალხს ამ არაოფიციალურმა ცნობამ ნამდვილად დააკარგვინა წონასწორობა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო აღორძინებული რევოლუციური მიტინგობა და შიმშილობა, თორემ ქალაქი ერთიან სამიტინგო ასპარეზად გადაიქცეოდა და ხალხიც შიმშილით ამოწყდებოდა. თუმცა ყოველი მხრიდან მაინც ისმოდა საპროტესტო შეძახილ-შემოძახილი, რომელიც ლოზუნგებს უფრო მოგაგონებდა: „დაგვაცადონ მაგ ოხრებმა, ჯერ ცოცხალია ეს ადამიანი!“ „ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს მკვდარსაც და ცოცხალსაც!“ „თქვენ რომ კარგი ხალხი იყოთ, დიდი სტალინის გვამს მავზოლეუმიდან არ გამოიტანდით და მარადიულ მეგობრებს ერთმანეთს არ დააშორებდით!“

ჭეშმარიტად უთქვამთ თავის თავზე ჩვენს წინაპრებს, ხალხი ბრძენიაო. ეს მართლაც ასეა! ხალხმა მაშინვე იგნოსა კრემლის მესვეურთა ხრიკები. განა კრემლი არ იყო, საბჭოთა მოქალაქეს, მკვდარსა თუ ცოცხალს, საზღვარგარეთ რომ არ აჭაჭანებდა?! დღესავით ნათელია, სეფედავლე კაკუბანის სადღაც პარიზში ან ლონდონში დასაფლავება ხელს არ აძლევდათ. ამ ფაქტს კომუნისტები პარტიის აბუჩად აგდებად და პირად შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ. დიდი სეფედავლეს გვამი ოღონდ საზღვარგარეთ არ გაეტანათ და მზად იყვნენ, თვით ლენინის გვერდით დაესვენებინათ. ეგ საკენკი სხვას დაუყარეთ, მაიმუნებო, მაგას ჩვენ არ ვჭამთ, რამეთუ ვიცით, ვინცა ხართ და რაცა ხართო, ჩრდილოეთის მხარეს მუშტებს უღერდა ხალხი.

ხომ ასე იკლავდნენ თავს, ჩვენს მიცვალებულს არავის გავატანთო, სადღაც გულის სიღრმეში მაინც უღიტინებდათ და სწყინდათ ამერიკის შეერთებული შტატების საეჭვო დუმილი. მაგ მამაცხონებულებს დასამარხი ადგილების მეტი რა აქვთ, ბუზღუნებდნენ, ამერი-

კის პრეზიდენტს ყასიდად მაინც შემოეთვალა, თუნდაც რუსების ჯინაზე, სეფედავლე კაკუბანი განვითარებული კაცობრიობის მაღალი აზროვნების ნაწილია და ამდენად ჩვენც გვეკუთვნისო. არა, არ შემოუთვლია და ხალხი განაწყენებულა, თუმცა ეს გულისწყრომად არ გახმაურებულა, აურზაური არ ამტყდარა.

საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ვითარებას უმალვე აუღეს ალღო. ერთნი ამბობდნენ, ეს საეჭვო დუმილი ცივი ომის გადმონაშთიაო, მეორენი კი დუმილის ფესვებს უფრო ღრმად ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში, დიდი კრიზისის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის — თეოდორ რუზველტის მითითებით სახელმწიფო მდივანს პირადი ბარათი უახლებია სეფედავლე კაკუბანისთვის, მოკრძალებით თხოვდა თურმე, თუ ძვირფას წუთებს არ წაგართმევთ, იქნებ ბუტლეგერების წინააღმდეგ შემუშავებული კანონის დახვეწაში მოგვეხმაროთო. ეს ბარათი, გასაგები მიზეზის გამო, მოსკოვში შეუჩერებიათ და ამერიკისათვის სეფედავლე კაკუბანის სახელით, არც უკითხავთ, ისე, საკმაოდ უკმეხი პასუხი გაუციათ. ამერიკის პრეზიდენტი თავდაპირველად გაოცებულა, სეფედავლე კაკუბანზე დაზვერვისაგან კარგი ინფორმაცია მქონდა და ასეთ პასუხს არ იკადრებდაო. ამის გამო მრჩევლებს უთქვამთ, სერ კაკუბანი არაფერ შუაშია, ეგ ყველაფერი კრემლის ოინებიაო. რუზველტი დამშვიდებულა და მრავალმნიშვნელოვნად გაღიმებულს ხელი ჩაუქნევია, კეთილი, ბუტლეგერებს დღეიდან მე თვითონ მივხედავო.

ეს ამბავი, ცხადია, ეჟოვის დახვრეტის შემდეგ გაუგია სეფედავლე კაკუბანს, თვით ბერიას მოუხსენებია ბარათის ნამდვილი ადრესატისთვის და ორივეს გულიანი სიცილ-ხარხარით მოუთქვამთ სული.

სამწუხაროდ, რაც მე მოგახსენეთ, ყოველივე ამის დამადასტურებელი, უტყუარი საბუთები არ არსებობს. თუკი ოდესმე არსებობდა, ეტყობა, თავის დროზე ვიღაცამ მოსპო, რაღაც მნიშვნელოვანი და საგულისხმო მოსაზრებების გამო გაანადგურა. მაგრამ ხალხის მეხსიერება მარადიულია, ხალხის მეხსიერებაში ერთხელ აღბეჭდილს საუკუნის შემდეგაც ვერ ამოსწვავ შანთით. როგორც იტყვიან ხოლმე, ხალხი ბრძენია, ვერაფერს გამოაპარებ. ცხადია, ვერც პირს აუკრავ, სიხარულითა და სიყვარულით წასცდება ის, რაც მოაგონდება და ენაზე მოადგება, რითაც უფრო შეამკობს და განადიდებს თავის სათაყვანებელ პიროვნებას... ანდა — პირიქით.

მღელვარება და მოუსვენარი ფორიაქი, შორეული, მაგრამ ღირსეული წარსულის გახსენება და შფოთიანი მითქმა-მოთქმა, როგორც უკვე იცით, სამმა ცრუ განგაშმა გამოიწვია. სეფედავლე კაკუბანის ოჯახის რომელიმე წევრს უცებ მოეჩვენებოდა, საუკუნეს მიტანებულმა მოხუცმა სული უფალს მიაბარაო და უმალვე ატყდებოდა ერთი ვაი-ვიში. მოთმინებადაკარგული ხალხი კი გულის ფანცქალით სწორედ ამ შეცხადებას ელოდებოდა და ყოველ ცრუ განგაშს, რაღა თქმა უნდა, სინამდვილედ წარმოადგენდა. ვერც გაამტყუნებდი, რადგან თითქმის მთელი ხალხი იმ დღეებში სეფედავლე კაკუბანის გარდაცვალებით სულდგმულებდა.

საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ერთნაირად ფიქრობდა, ყველამ დაბეჯითებით იცოდა: როგორც კი განუტევებდა და უფალს მიაბარებდა სულს, ანუ, როგორც კი მოკვდებოდა, იმავე წამს სეფედავლე კაკუბანი უკვდავთა რიგებში ჩაირიცხებოდა, ნათელი შარავანდით შემოსილი მისი პიროვნება უდიდეს ეროვნულ მოღვაწეთა, ბრწყინვალე მამულიშვილთა მარადიულ განსასვენებელს დაამშვენებდა. ზოგი იმასაც ამბობდა, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია უთუოდ წმინდანად შერაცხავსო. სეფედავლე კაკუბანის უკვდავებისათვის მხოლოდ

ჩვეულებრივი სიკვდილი ანუ სულის ამოხდომა იყო საჭირო და, რა გასაკვირია, რომ ხალხს გულწრფელად სურდა, თავისი სახელოვანი თანამემამულის გაუკვდავებას დასწრებოდა, თვალით ეხილა და გულით განეცადა ის ერთი ნათელმზიანი მარადისობის წამი.

მხოლოდ გიჟიბაბო მიდიოდა დინების საწინააღმდეგოდ, გამწარებული მაინც თავისას გაჰყვიროდა, ეგრევე დალპება სულძაღლი, დამარხვა არ ეღირსებაო. ხალხი კი ყურს არ უგდებდა, დარწმუნებული იყო, რომ დედამიწაზე არც ისე ბევრი ქვეყანაა ამგვარ ერისკაცთა, მამულისათვის უანგაროდ თავდადებულთა სიკვდილით განებივრებული. სეფედავლე კაკუბანივით დიდებული მოღვაწე ნახევარ საუკუნეში ალბათ ერთი კვდება და ეს სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, თავისებური ზეიმიც კია, ჭეშმარიტად ეროვნულ-სამგლოვიარო დღესასწაული. ასე ფიქრობდა ხალხი, დიდი სეფედავლე კი, ვნებათა ღელვაში გადაზრდილი მოლოდინის მიუხედავად, მაინც სუნთქავდა, მაინც ფეთქავდა, როგორც ჩანს, უკვდავების მოპოვებას ჩვეულებრივი სიკვდილით არ აპირებდა.

●

— ყური მიუგდეთ ქარის ზუზუნს. ისე არაფერი გამოხატავს ამაოებას, როგორც ქარის ზუზუნი. — თქვა ეკლეზიასტემ, ოღონდ არა დავითის ძემ, მეფემ იერუსალიმში, არამედ ეკლე წიწუაშვილმა, ფეთხაინის უბანში მცხოვრებმა მოხუცმა ებრაელმა, რომელიც დაბადებით ბრმა იყო და ცხოვრების სიბრძნეს მხოლოდ გონების თვალით ჭვრეტდა.

II

სახლი, რომელშიც კაკუბანების ოჯახი ცხოვრობდა, ბატონმა სეფედავლემ მეორე მსოფლიო ომის დროს (1943 წ.) შეიძინა ერთი ქვრივი ქალბატონისაგან. ქალბატონს მეუღლე ოცდაჩვიდმეტში დაუხვრიტეს, ვაჟიშვილი კი ომში დაეღუპა. მარტოდ მარტო დარჩენილს ცხოვრება ძალზე გაუჭირდა და, რა თქმა უნდა, ვეღარც ორსართულიან, გალავანშემოვლებულ დიდ სახლს პატრონობდა. სახლის გაყიდვა გადაწყვიტა და მყიდველიც საკმაოდ გამოუჩნდა, მაგრამ ქალბატონმა მყიდველთა შორის გამოარჩია სეფედავლე კაკუბანი — საქვეყნოდ ცნობილი ადვოკატი, აღიარებული პატრიოტი და ღირსეული მოქალაქე.

სახლი მეოცე საუკუნის დასაწყისში ააშენა, თან აგურის მაღალი გალავანი შემოავლო იმ დროისათვის უმდიდრესმა მეწარმემ და მეცენატმა, მატყლისა და ყველის მეფემ ხოზრევან ტლაშურმა და სულ რამდენიმე წელიწადში ეს მშვენიერი კარ-მიდამო პოლიტიკური აზროვნების ნამდვილ ცენტრად აქცია. საქმე ის არის, რომ მატყლისა და ყველის მეფეს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მიმართ, სჯეროდა, სწორედ ასეთ მოღვაწეთა ფიქრებსა და ნააზრევებში, იდეებსა და იდეალებში იკვეთებოდა ქვეყნის კეთილი მომავალი ანუ ჭეშმარიტი გზა სამშობლოს გადარჩენისა და ხსნისა. აფინანსებდა, მათთვის არაფერს იშურებდა; ამ გამოჩენილ ადამიანებს, ქვეყნის რჩეულ შვილებს თვეში ორჯერ ან სამჯერ თავს უყრიდა და მართავდა მართლაც ღირსსახსოვარ ეროვნულ საღამოებს, რამაც ერთობ აამაღლა ქართველი ხალხის პოლიტიკური შეგნება და ეროვნული ღირსების გრძნობა. გალავანში, ცაცხვების ჩრდილში გაშლილ, საჭმელ-სასმელით დამძიმებულ მაგიდებს უსხდნენ სამშობლოზე ფიქრით შუბლდაღარული ერისკაცები და ქეიფობდნენ. სამშობლოს სადიდებელი სადღეგრძელოები თავისი რიხითა და მღელვარებით მიწასა და ჰაერს მანამდე არყევდა, სანამ მეფის რუსეთის იმპერია საბოლოოდ არ შეირყა და დაინგრა. კრეისერმა „ავრორამაც“ არ და-

აყოვნა, ძველი ნანგრევებიდან ახალი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ანუ კომუნისტური იმპერიის აღმოცენება ქვემეხების ბათქუნ-ბათქუნით აუწყა მსოფლიოს.

ეს ყველაფერი ახსოვდა ხოზრევან ტლაშურის რძალს — ქალბატონ ბაბილის. ოჯახში ახალშემოსული, თვრამეტი თუ ცხრამეტი წლისა, სიცოცხლით სავსე, ლამაზი ოქროსთმიანი და ბივრიტისთვალება ცაცხვებშორის ნიავივით დაჰქროდა და კმაყოფილი მონდომებით ემსახურებოდა სუფრას. სტუმრებს, როგორც ღმერთებს, ისე შესცქეროდა, სტუმრებიც, მამაკაცური ღირსებით აღჭურვილნი, ტკბებოდნენ ბაბილის ჰაეროვნებით და ყოველ წუთს, ყოველი მხრიდან რატომღაც ოდნავფრანგული აქცენტით უხმობდნენ: „ბაბილი!.. ბაბილი!..“ ვითომ თეფშის გამოცვლა უნდოდათ ანდა პური შემოაკლდათ, ვითომ სუფრის გარშემო ბაბილის გარდა სხვა არავინ ტრიალებდა. ახსოვდა ისიც, მერმე, ათას ცხრაას ოცი წლის დეკემბერში, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის სახელოვანი გვარდიის (რომლის შეიარაღებას ხოზრევან ტლაშურმა დიდი ფული და ენერგია მოახმარა) მთვრალი ოფიცრები შინ როგორ შემოეჭრნენ, ქვეყანას უჭირს და თქვენ აქ რა სიმდიდრე დაგიგროვებიათო, გაზიდეს და გაიტანეს, რასაც მოერივნენ. ტანსაცმელშემოხეული ბაბილი, გვარდიელებს წინ გადაეღობა და შეჩერება სცადა, პატივის აყრას ბეწვზე გადაურჩა. მაშინ ხოზრევან ტლაშურს ცაცხვების ჩრდილში გატარებული ბედნიერი დღეები მოაგონდა, ცხადია, გაიხსენა თანამესუფრენიც, აწ აღზევებულნი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფალნი. მიაკითხა კიდეც და ფრიად შეწუხებულებმა დახმარება აღუთქვეს: ნაძარცვს დაგიბრუნებთ და დამნაშავეებს სასტიკად დავსჯითო, მაგრამ, ვიდრე დამნაშავეებს დაადგენდნენ, მიაგნებდნენ და სასტიკად დასჯიდნენ, ქვეყანა ისევ აირია. ქალაქში ღორეშელი პარანოიკი რუსების დამშეულ არმიას შემოუძღვა და საზღვარგარეთ გაქცეულ მთავრობას შეგინებული და შელანძღული „თავისუფლების აქტი“ მოაწერიწა, თან უდღეური დროშა ტარ[illegible] მთელი ძალისხმევით უკან მისცხო და ჰკრა, თუმცა ველარ მიაწვდინა, ისე სწრაფად გასცლოდნენ სათაყვანებელ სამშობლოს.

მოსახდენი მოხდა და, ეროვნულ გვარდიას რაც გადაურჩა, ის შემდეგ, ოცდაერთი წლის გაზაფხულზე ეროვნულმა ბოლშევიკებმა აითვისეს, ცხადია, აითვისეს საფუძვლიანად, სამუდამოდ, თავად ხოზრევან ტლაშურიც გააქრეს და მისი ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის. ის იყო და ის, ტლაშურების ოჯახში მატყლი და ყველი აღარავის უხსენებია. შემდეგ, ოცდაჩვიდმეტ წელს ხოზრევანის ვაჟიშვილიც დააპატიმრეს, პირწავარდნილი მამაშენი ხარო. სხვათა შორის, ბოლშევიკებს ეს ერთი ნამდვილად შეეშალათ, მთლად მართლები არ იყვნენ, გოგრიჭ ტლაშური პირწავარდნილად არ ჰგავდა მამას, არც მატყლი აინტერესებდა და არც — ყველი, არც — პოლიტიკური პარტიები და არც — მათი ლიდერები. უფრო მეტიც: ყველა პოლიტიკური პარტია თაღლითურ და მამაძაღლურ წარმონაქმნად მიაჩნდა, ყველა — უკლებლივ.

— არ შემხვედრია პარტიული მოღვაწე, რომელიც ზნეობრივი კრიტერიუმების გამო დათმობდა პარტიულ პოზიციებს, ამიტომ ლოგიკური სილოგიზმის მიხედვით ძალზე სავალალო დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ. — იტყოდა ხოლმე გოგრიჭ ტლაშური და შენს მიღმა ვიღაცას ულიმოდა.

სანკტ-პეტერბურგში მათემატიკური განათლება რომ მიიღო, შინ დაბრუნდა და ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში ფიზიკასა და მათემატიკას ასწავლიდა. გულით უყვარდა თავისი საქმე — სკოლა და ბავშვები, უყვარდა ოჯახი — ცოლი და ვაჟიშვილი, რომელსაც მამის სახელის პატივსაცემად ხოზრევანი დაარქვა. ჩუმი, მოკრძალებული, შეუმჩნეველი პიროვნება — სკოლის მასწავლებელი გოგრიჭ ტლაშური თითქმის ფეხაკრეფილი დადიოდა ქალაქის ქუჩებში, მამამისმა არც ენერგია დაანათლა და

არც — სულისკვეთება. ამგვარ კაცს უთხრეს ჩეკისტებმა, პირწავარდნილი მამაშენი ხარო. მამას რომ მიამსგავსეს, სკოლის მასწავლებელს, ცხადია, არ სწყენია, მაგრამ ნათქვამის კილომ აგრძნობინა, ამ შედარებას ძალზე ცუდი სული ასდიოდა.

სეფედავლე კაკუბანი ტლაშურების ოჯახითა და სახლით დაინტერესდა ოცდაჩვიდმეტ წელს, როცა ჩეკისტებმა ბატონ ხოზრევანის მემკვიდრე გოგრიჭ ტლაშური დააპიტიმრეს და პატიმრის ფორმალურ თუ ფაქტიურ დამცველად მიიწვიეს, როგორც უაღრესად სანდო და ამ საქმეში დიდად გამოცდილი კაცი. სეფედავლე კაკუბანმა მაშინ შეიტყო. პატიმარს მემკვიდრეობით ჰქონდა თურმე მიღებული სახლი, სადაც ქვეყნის გასაბჭოებამდე, ათას პარტიულ გარეწართან ერთად, თავს იყრიდნენ და აღვირახსნილ ორგიებს მართავდნენ მენშევიკური პარტიის ლიდერები: ნოე კოდალია, ნოე შაშვაძე, ნოე თახვანი, ნოე შავმაჩუაშვილი, ნოე ფასკუნჯაური და... ვინმე ბაყაყოვი. ვინ იყო ეს ბაყაყოვი, საიდან მოვიდა, საით წავიდა, სად გაქრა და აორთქლდა, არავინ იცოდა. ანდა ისე როგორ შეინიღბა, რომ თვით ყოვლისმცოდნე ჩეკისტებმაც ვერ გაარკვიეს, ბაყაყოვი ნამდვილი გვარი იყო თუ რევოლუციური ანუ პარტიული ფსევდონიმი? ვერც სახელი დაუდგინეს, ვერც — ეროვნება, ვერც — პარტიულობა. ის მაინც გაეგოთ, რომელ პარტიას ეკუთვნოდა: მენშევიკებს, ფედერალისტებს, ეროვნულ დემოკრატებს თუ სხვა ვიგინდარებს? ეძებდნენ ყველგან, 'სადამდეც ბოლშევიკური ხელი მიუწვდებოდათ, დაყნოსეს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორია ანუ დედამიწის ერთი მეექვსედი და, როგორც ამბობდნენ, მის საზღვრებსაც გასცდნენ.

უკანასკნელ იმედად ესახებოდათ გოგრიჭ ტლაშური — იმ მენშევიკურ-ბაკხური ღრეობებისა და სიღოდების ცოცხალი მოწმე. მაშინ ოცი წლისა მაინც იქნებოდა და უსათუოდ დაამახსოვრდებოდა ბაყაყოვის ვიზიტები. გოგრიჭ ტლაშურის მიძინებული მეხსიერების გაღვიძებას დიდი ძალა და გამომგონებლური ნიჭი ჩააქსოვეს, და ჩაწნეხეს, რისი წყალობითაც, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს საწადელს. არაადამიანურად ნაწამებმა და ნაგვემმა გოგრიჭ ტლაშურმა, რამდენიმე ვედრო ცივი წყალი რომ დაასხეს თავზე, ძლივს დაიბრუნა დაკარგული მეხსიერება, ბაყაყოვი ბოლშევიკების შემოგზავნილი აგენტი, ვიღაც ტინტილოზ შიბლაძე იყოო. როგორ?! ჩვენი შეფი ტინტილოზ ტინტილოზოვიჩი, სახალხო კომისრის პირველი მოადგილე გენერალი შიბლაძე ბაყაყოვიაო, გაგიჟდნენ ჩეკისტები და ჭკუაზე მოსაყვანად გოგრიჭ ტლაშურს კიდევ ერთი ვედრო ცივი წყალი გადაავლეს. ჰო... დიახ... მამამ ასე თქვაო, გაჭირვებით ამომარცვლა, ღრმად ამოისუნთქა და გონს აღარც მოსულა...

ჩეკისტები ჯერ იტყვიან, დროზე წავიდა ეს შობელძაღლი, ასეთ მეხსიერებას და ცოდნას მაინც არავინ აპატიებდაო, მერმე კი „დროზე წასულს“ დაუზუსტებენ ბრალდებას, რომელიც, ძალიან მოკლედ თუ ვიტყვი, ასე ჩამოყალიბდება: სამშობლოს ღალატი. განაჩენი: სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. სხვათა შორის, იქვე გაახსენდებათ, რომ სამშობლოს მოღალატე დაკითხვისას ხელში შემოაკვდათ, რომ განაჩენი მკვდარს გამოუტანეს და რაღაცნაირი სინანულით გადახედავენ ერთმანეთს, სჯობდა, ეს ყველაფერი მის სიცოცხლეშივე მოგვესწროო, და მიცვალებულს ერთ-ორ საკონტროლო ტყვიას მაინც დაახლიან. სეფედავლე კაკუბანი, როგორც ადვოკატი, საბუთების შედგენასაც დაესწრება და ტექსტში რამდენიმე გრამატიკულ და სტილისტურ შეცდომას გაასწორებს.

გაივლის ნახევარ საუკუნეზე მეტი და ერთ-ერთ საინფორმაციო მიტინგზე ბარდაველ კაკუბანი, სეფედავლეს ძე, იტყვის: მამაჩემი, დიდი სეფედავლე ყოველთვის ამბობდა, ჰამურაბის ეპოქიდან დაწყებული რომის იმპერიამდე და რომის იმპერიიდან მოყოლებული დღემდე, არსად კანონი ისე უგულებელყოფილი და აბუჩად აგდებული არა ყო-

ფილა, როგორც ეს სოციალისტურ სივრცეში უგულებელყვეს და აბუჩად აიგდესო; არსად კანონის გაჩენისა თუ შემოღების დღიდან იმდენი უდანაშაულო ადამიანი არ დაუსჯიათ, რამდენიც მშვიდობისა და მეგობრობის ქვეყანაში დასაჯესო. მართალია, ვერავინ გაიხსენებს, ეს სიტყვები სად და როდის განაცხადა მამამისმა ანუ დიდმა სეფედავლემ, მაგრამ გულის სიღრმეში ყველა დარწმუნებული იქნება, რომ ამგვარი მამხილებელი ჭეშმარიტების თქმა მხოლოდ დიდ სეფედავლეს შეეძლო და ამ ნათქვამს ხალხი სამუდამოდ დაიმახსოვრებს.

სეფედავლე კაკუბანმა, როგორც განსწავლულმა იურისტმა, ბოლშევიკების შემოსვლის პირველი დღეებიდანვე მთელი არსებით იგრძნო, ახლად დამკვიდრებული წესწყობილება ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა უკანონობის ასაყვავებლად თუ გასაფურჩქნად და ამ განუკითხაობაში სახელოვნად განვლო ცხოვრების გზა. ოცდაათიანი წლების დიდი რეპრესიების დროს მას თითქმის არავინ დაუბეზღებია, არავინ გაუმეტებია საციმბიროდ, პირიქით, ძალზე ხშირად სახელმწიფო დამნაშავეთა დამცველად გვევლინებოდა. როგორც უკვე იცით, თვითონ სამართლებრივი ორგანოების მიწვევით იცავდა ამა თუ იმ მსჯავრდებულს, რომელსაც ძირითადად სამშობლოს ღალატი ბრალდებოდა, ვისი ბედიც იმთავითვე იყო გადაწყვეტილი: წინასწარ ჰქონდა მისჯილი დახვრეტა ან სამუდამო კატორღა. იმ საშინელი რეპრესიების დროს სეფედავლე კაკუბანს ერთი უდანაშაულო დამნაშავეც კი არ გაუმართლებია, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არც ვინმე უცვნია დამნაშავედ. შესაძლებელია, ამიტომაც დაიმსახურა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული. რა თქმა უნდა, როდესაც სახელმწიფოში უკანონობა ბატონობს და მძვინვარებს, ყველა მოქალაქე პოტენციურ დამნაშავედ ითვლება: არავინ იცის, თვალებახვეული თემიდა როდის გადადებს სასწორს გვერდზე და ყელზე მახვილს როდის მოგაბჯენს. ასეთ ვითარებაში ახლო-მახლობელ-დამცველისა თუ მფარველის არსებობა ერთგვარ იმედს მაინც გინერგავს გულში.

გოგრიჭ ტლაშურის საქმე რომ მოთავდა, ორიოდე კვირის შემდეგ სეფედავლე კაკუბანმა საფუძვლიანად დაათვალიერა, ცხადია, გარედან, ტლაშურების ცნობილი სახლი. სადღაც აქეთ მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა ერთ პიროვნებასთან და მოულოდნელად, სრულიად შემთხვევით წააწყდა აგურით ნაგებ დიდებულ სახლს, უმშვენიერეს კარმიდამოს. აუარ-ჩაუარა, გარშემო შემოუარა და ბოლოს დაფიქრდა კიდეც. საუკუნის დასაწყისში ალბათ მთაწმინდის ეს დაბალი ფერდობი გარეუბნად ითვლებოდა, მერმე ქალაქი თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა, მთაწმინდის ფერდობები დაიპყრო და ტლაშურების სახლი თითქმის შუაში მოიქცია. სეფედავლე კაკუბანმა ღიმილით გაასრულა ფიქრი, თითქოს ქალაქმა თვითონ იზრუნა, ეს სახლი გულში რომ ჩაეხუტებინაო.

ორიოდე თვის შემდეგ სეფედავლე კაკუბანმა კვლავ მიაკითხა და ძველი ნაცნობივით მოინახულა ტლაშურების სახლი. აქეთ ამჯერადაც სასწრაფო გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა, გალავანს დინჯი, დაკვირვებული ნაბიჯით შემოუარა, კედელს ალაგ-ალაგ ხელიც მიუსვამოუსვა და მიუტყაპუნა კიდეც. შემოვლისას საბოლოოდ დარწმუნდა, სახლი მკვიდრად იყო ნაგები, ლამაზად, გემოვნებიანად, განსაკუთრებით წითელი აგური მოეწონა და ფიქრებში დაძირულს გაეღიმა, ქვეყნად აგურის პირველი გამომწველი ნაღდად უფლის მიერ იქნებოდა შთაგონებული, ყოველ შემთხვევაში, იმ პირველ ცეცხლს სული ჭეშმარიტად ღმერთმა შეუბერაო. რა თქმა უნდა, სეფედავლე კაკუბანს გულით უნდოდა გალავანი შიგნიდანაც დაეთვალიერებინა, ენახა ეზო, ცაცხვები, სახლი, მაგრამ არ აჩქარებულა, ჭიშკართან არ შეყოვნებულა, ზარის ჩამოსაკრავად ხელი არ წასცდენია. კი, ასე იყო, არ აჩქარებულა. არც იჩქარებს. მშვიდად გა-

ივლის კიდევ რამდენიმე თვე, ხანდახან მოაკითხავს, შეეჩვევა, გაიშინაურებს და მხოლოდ მერმე გადაწყვეტს გალავანში ჩაკეტილი ნამუსრევი ოჯახის მონახულებასა და გაცნობას.

სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, გაზაფხული უყვარდა სეფედავლე კაკუბანს, პირველი იასამნები რომ შემოიჭრებოდა და თვალისთვის შეუმჩნევლად ააფორიაქებდა ქალაქს. შეიძლება ამიტომაც, თეთრი იასამნებით ხელდამშვენებული მიეახლება ტლაშურების სახლს, ჰიშკართან მცირე ხნით შეისვენებს, თმას გაისწორებს, ტანსაცმელზე დაიხედავს და ზარის სახელურს ხელს შეავლებს. ფრთხილად ჩამოჰკრავს და ზარი სადღაც გალავნის სიღრმეში გაიწკრიალებს. წკრიალი ერთი-ორჯერ კიდევ განმეორდება, მერმე, როდის-როდის კარი ჭრიალით გაიღება. გაიღება ნახევრად და ამ ნახევრად გაღებულ კარს მიღმა გამოჩნდება შინაურულად, თითქმის დაუდევრად ჩაცმული ქალი. სეფედავლე კაკუბანი უმალ მიხვდება, რომ მის წინ დგას სწორედ გოგრიჭ ტლაშურის მეუღლე ქალბატონი ბაბილი, რომელზეც სასურველი, წინასწარ ჩაფიქრებული პირველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. სეფედავლე კაკუბანის ყოვლისმხილველი და გამჭრიახი თვალი ასევე უმალ შეამჩნევს, რომ ეს ქალბატონი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ არაჩვეულებრივად ლამაზი და მომხიბვლელი ქალი იყო. სულ ერთ წამში, ვიდრე სიტყვას დასძრავდეს, სეფედავლე კაკუბანი თავისი ცხოველი წარმოდგენით აღადგენს ქალის ადრინდელ სილამაზესა თუ მშვენიერებას, თმას დაუბრუნებს ოქროს ბზინვარებას, სახეს ვარდის წყალს გადაავლებს და თვალებში ბივრიტისფერ, მწვანე ნაპერწკლებს აუელვარებს. სულ ერთი წამი დასჭირდება ამის წარმოდგენას და ნაღვლიან გაფიქრებასაც: „არა, არც ჟამთა დინებასა და არც ასაკს, მხოლოდ ბედის უკუღმართობას, უბედურებას, მხოლოდ დიდ ტკივილსა და სატანჯველს შეუძლია, ასე დაუკარგოს ადამიანს ფერ-ხორცი და იერი, შინაგანად ასე დაშალოს და დაანგრიოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდახრილი სტუმარი თავაზიანად მიესალმება კარს იქით მდგარ ქალბატონს. მოულოდნელობისაგან დაბნეული, სტუმარ-მასპინძლობას გადაჩვეული მასპინძელი რატომღაც ზურგს უკან მიხედავს ეზოს და კარს ბოლომდე გაიღებს, მერმე დაეჭვებულ მზერას შეავლებს უცნობ მამაკაცს, მისამართი ხომ არ შეეშალაო, მაგრამ იქვე გაირკვევა, რომ თეთრი იასამნის თაიგულით მოსულს მისამართი არ შეშლია და არც შეიძლებოდა შეშლოდა, რადგან ტლაშურების სახლი ერთადერთი და გამორჩეულია, ყველასათვის ცნობილი, განუმეორებელი.

მისამართი — არა, სეფედავლე კაკუბანმა იცოდა, რაც შეეშალა. ეზოში შესვლისთანავე მიხვდება, ამაოდ გარჯილა, იასამნის თაიგული რომ წამოუღია. ამას გალავნის შიგნით, კედლის გასწვრივ უპატრონობით და მოუვლელობით მოხშირებული, ისე, თავისთვის აყვავებული იასამნის ბუჩქები მიახვედრებს, მიახვედრებს ისიც, რომ ქალბატონ ბაბილის მამაკაცური ყურადღებისთვის ყურადღებითვე არ უპასუხია, მოტანილი ყვავილები არ დაუნახავს თუ ვერ შეუმჩნევია, თითქოს მისთვის სულერთი იყო, ვინმე ყვავილებით მოვიდოდა თუ უყვავილებოდ, თითქოს ყვავილს დაკარგული ჰქონდა ის აზრი, მნიშვნელობა თუ ფუნქცია, რაც მას ადამიანის ყოფით თუ სულიერ ცხოვრებაში აკისრია ანუ რისთვისაც არის იგი ამ ქვეყნად გაჩენილი თუ შექმნილი.

სეფედავლე კაკუბანი თავაზიან უარს ეტყვის მასპინძელს, გაზაფხულის უმწიკვლო დღეა და შინ შესვლას ეზოში, ამ მშვენიერ ცაცხვებშორის ყოფნა მირჩევნიაო. არც ქალბატონი ბაბილი მოიკლავს თავს, მაინცდამაინც დარბაზში შემობრძანდითო, სტუმრის ნება-სურვილს დაჰყვება. საუბრით შემოივლიან ეზოს, ბატონი სეფედავლე აუზის კიდეზე იასამნის თაიგულს შეუმჩნევლად დადებს და საუბარს გაგრძელებს, მერმე, თითქმის ერთი თვის შემდეგ, ხელ-

მეორედ რომ ეწვევა ტლაშურების ოჯახს, ყვავილები იქვე დახვდება, ოღონდ დამჭკნარი, დაყვითლებული და დამტვერილი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, საუბრით გული ვერ იჯერეს. სეფედავლე კაკუბანმა ჯიბის საათი ამოიღო, დახედა და ძალზე შეწუხებულმა ხელები გაშალა, რა დრო გასულაო. მართლაც! არა აქვს ამდენი დრო, ათასი მოვალეობა აკისრია, ქვეყნის საქმეებია მოსაგვარებელი! საუბარი მოულოდნელად შეწყვიტა და მოუცლელობა მოიმიზეზა ანუ დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საუბრის შეწყვეტა დროის დეფიციტს დააბრალა. მოსაუბრეს ბოდიშის ღიმილით მიანიშნა, გაგრძელება შემდეგ ნომერში იხილეთო... არა, მთლად ასე ჯიქურ არ მიუხლია, ბოდიშის ღიმილი უაღრესად დახვეწილი იყო და დაახლოებით ამგვარად გამოითქმებოდა: ალბათ მეორედაც მომეცემა აქ მოსვლის შესაძლებლობა და თქვენთან საუბარს უსათუოდ დავასრულებო.

მონაყოლი ამბებით დაბნეული და გაოგნებული ქალბატონი ბაბილი, არათუ ხვალ ანდა ზეგ, ახლავე მზადაა ათასი ყურით მოისმინოს ერთხელ უკვე გაგონილი და მოსმენილი. იცის, იცის, რა საჭიროა გაფრთხილება, ამის დიდი გამოცდილება აქვს, რასაც ბატონი სეფედავლე ამბობს, ის სამუდამოდ გულში უნდა დაიმარხოს, არავის გაუმხილოს, თვით ერთადერთ ვაჟიშვილსაც კი, რომელიც დროდადრო ფანჯარას მოადგება და დაეჭვებული ცნობისმოყვარეობით გადმოხედავს ეზოს; იგი ასეთ ინტიმს პირველად მოჰკრავს თვალს და ადვილი შესაძლებელია, ფანჯრიდან დანახულმა თექვსმეტი წლის ჭაბუკს დაეჭვების საფუძველი შეუქმნას.

სეფედავლე კაკუბანმა ის სასურველი შთაბეჭდილება, რაც მოსვლისას ვერ მოახდინა, წასვლისას მაინც დატოვა. ქალბატონი ბაბილი წლების მანძილზე რითი სუნთქავდა ანდა ახლა რა ასულდგმულებდა, ძნელი მისახვედრი არ იყო და ბატონმა სეფედავლემაც საუბრის ნაკადული სწორედ იმ არხით მიუშვა, მაგრამ ნახევარი საათი, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად ლაბადათი წუთი საუბრისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა ქალბატონმა ბაბილიმ დროის ამ მცირე მონაკვეთში ისეთი რამ მოისმინა, რის მოსმენასაც ვერასოდეს იოცნებებდა.

სიკვდილის საკანი.. გოგრიჭ ტლაშურის უკანასკნელი დღეები... სეფედავლე კაკუბანი, რა თქმა უნდა ვერ ეტყოდა, დაკითხვისას გამომძიებლებს პატიმარი ხელში შემოაკვდათო, ქალბატონ ბაბილის გაუფრთხილდა, ნამდვილად სუსტი გული ექნება და, ვაითუ, უმტყუნოსო. ქალბატონმა ბაბილიმ განაჩენის აღსრულება იცოდა, როგორღაც გააგებინეს, მაგრამ არ იცოდა, მისი მეუღლე როგორ შეხვდა ამ განაჩენს, როგორ გადაიტანა განაჩენის აღსრულებამდე ტანჯვისა და წამების დღეები.

დიდი ვაჟკაცი ყოფილა გოგრიჭ ტლაშური, დიდი! სასიკვდილო იზოლიატორში ყოფნისას საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა, თვით ნაჯიბგირალი გამომძიებლებიც კი ერთგვარი რიდითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ, მაგრამ რა გინდა, რომ ჰქნა, დანაშაული თავად პატიმარმა აღიარა, თორემ სეფედავლე კაკუბანი უთუოდ უშველიდა, სხვა თუ არაფერი, სიცოცხლეს მაინც შეუნარჩუნებდა. რა არ იღონა, ვერა და ვერა, პატიმარი ვერაფრით დაარწმუნა, ვერ ათქმევინა სახელმწიფოს მიმართ წმინდა და შეუბღალავი ვარო. პირიქით, დაკითხვისას ერთთავად, თანაც დაჟინებით იმეორებდა, მე ამ მთავრობას ვერ შევურიგდები, სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მისი მოწინააღმდეგე ვიქნები, ჩვენი ოჯახის აწიოკებასა და მამაჩემის სიკვდილს ვერ ვაპატიებო. თითქოს საოცარი იყო, ჩუმი, წყნარი, მშვიდზე მშვიდი კაცი, როგორც კი საბჭოთა წესწყობილებაზე ჩამოუგდებდი ლაპარაკს, უცებ შეიცვლებოდა, გაფითრდებოდა და გამძვინვარებულ ვეფხვს დაემსგავსებოდა...

ქალბატონ ბაბილის გაბრაზებული თუ გაჯავრებული მეუღლე ერთი-ორჯერ უნახავს, მაგრამ ვეფხვივით გამძვინვარებული რატომღაც ვეღარ გაიხსენა და ვერც წარმოიდგინა. მიუხედავად ამისა, მაინც ესიამოვნა მეუღლის ქება, გული სიამაყით აევსო, ჰო, ეგრე იქნებოდა, ეგრე მოიქცეოდა, მაშ, რა ეგონათო, ფიქრობდა გუნებაში და თავისი ნაფიქრის გასამაგრებლად ანდაზაც კი მოიშველია: „ცხვარი ცხვარიაო თუ გაბრაზდა, ცხარეაო“. ერთია მეხსიერებაში შემონახული მახლობელი ადამიანის ხატი, სულ სხვაა იგივე ხატი თითქოსდა უმნიშვნელო ნიუანსებითა და დეტალებით შევსებული, იგი სიცოცხლის ახალ ელვარებას იძენს, უფრო სრულყოფილად წარმოჩინდება.

სეფედავლე კაკუბანი, რომ ვთქვა, გოგრიჭ ტლაშურის მეუღლესთან შეხვედრით მაინცდამაინც კმაყოფილი დარჩა მეთქი, მართალი არ იქნება. ბატონ სეფედავლეს მასპინძელთა დამშვიდობებისთანავე უკმარისობის უსიამოვნო განწყობილება დაეუფლა. აქეთ მომავალს რატომღაც ეგონა, ქალბატონი ბაბილი, როგორც კი სტუმარს დაინახავდა, ოდნავ დაბნეულ-შეცბუნებულ-გაოცებული ეტყოდა, აჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო სეფედავლე, მობრძანდით, მობრძანდითო. მაგრამ ასე არ მოხდა და ბევრი რამ ალბათ ამან განაპირობა, საუბარიც, რასაკვირველია, ჩანაფიქრის კვალიც არ წარიმართა. სამწუხაროდ, ვერ იცნო, და უცებ ცნობილი ბატონი სეფედავლე კი არა, ქალბატონი ბაბილის პირისპირ სრულიად უცნობი კაცი აღმოჩნდა. ხოლო უცნობ კაცს, ცხადია, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, დაეჭვებული მასპინძლის ნდობა რომ მოეპოვებინა. სტუმრის სასახელოდ ეს მაინც უნდა ითქვას: დახვეწილ საუბრისას, თვით გულწრფელობის უიშვიათეს წამებშიც კი, არ დასცდენია ისეთი სიტყვა, შემდეგ რომ სინანულით თავს გაიქნევინებდა, ოო, ეს არ უნდა წამომცდენოდაო.

2. „მნათობი“ № 1—2.

არც პირველი იყო და არც — უკანასკნელი, პატიმრის მეუღლე სხვა ბევრი უნახავს, გაუცვნია და დაახლოებია კიდეც. ყველას თუ არა, გარკვეულ ნაწილს მაინც სასიამოვნო და ზოგჯერ ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოუხდენია. წვრილმანების დაზუსტება არ არის საჭირო, ზოგადად თუ ვიტყვით, ასე იყო: დამწუხრებულნი ბოლოს და ბოლოს უფრო მეტ მშვენიერებასა და მომხიბვლელობას ამხელდნენ თუ ამჟღავნებდნენ, ვიდრე უნაღვლონი. რატომ ფიქრობდა, გოგრიჭ ტლაშურის ცოლიც ერთ-ერთი დამწუხრებულთაგანი იქნებოდა? სავალალო სურათი დახვდა: ქალური დიდებისა და სრულყოფილების ყოველგვარი ნიშანი წაშლილა და წარხოცილა სამუდამოდ, სამარადჟამოდ, და, რაც მთავარია, შიგნიდანაც მოშლილა, მორყეულა იმდენად, რომ ეს ყველაფერი მზერაში წვეთ-წვეთად გამოჟონილა. მაგრამ სახლი?!. ოჰ, ეს დიდებული სახლი... ისიც მიტოვებულია, მოუვლელი, თავის ნებაზე მიშვებული და გაოხრებული. ძველი იერი დაუკარგავს, დავრდომილად გამოიყურება, თითქოს ნამდვილ პატრონსა და მშველელს უხმობს.

ამ დროს, თითქოს განგებ, ღია ფანჯარას თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი მოადგება და ეზოს ეჭვიანი ცნობისმოყვარეობით გადმოხედავს. ეს ვაჟი ალბათ ხოზრევან ტლაშურის შვილიშვილია, გოგრიჭის ძე, ხოზრევან უმცროსი. რა თქმა უნდა, ის არის, დაეჭვებული იქაურობას თვალს გადაავლებს და ისევ ოთახის სიბნელეში გაუჩინარდება. ეტყობა, რაღაც არ მოეწონა, ცნობისმოყვარეობამ ეჭვი აღუძრა, შესაძლებელია, პირიქითაც მომხდარიყო, ეჭვს გაელვიძებინა ცნობისმოყვარეობა. სულერთია, ასეა თუ ისე, დაეჭვებაცა და ცნობისწადილიც ორივე უფრო ახალგაზრდული თვისებაა და სეფედავლე კაკუბანს არ გაჰკვირვებია, ამგვარი მზერა რომ იგრძნო. მაგრამ სახლი! სახლი მაინც უპატრონობის გამო დავრდომილად და უბადრუკად გამოიყურებოდა.

ამგვარი განწყობილებით აპირებდა სეფედავლე კაკუბანი შინ დაბრუნებას, მაგრამ გზაში ერთი წამით შეყოვნდა, რუსთაველზე ხომ არ გავიაროო. რუსთაველზე გავლაც უყვარდა სეფედავლე კაკუბანს, უყვარდა და მაინც ათასში ერთხელ გაივლიდა, რადგან გამოცდილება არწმუნებდა, იშვიათად გავლილ-გამოვლილი უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა ხოლმე. და, რა თქმა უნდა, იცოდა ისიც, ცისქვეშეთში რომ ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი, თვით რუსთაველის პროსპექტზე გავლა-არგავლასაც. მაგრამ დღეს იყო ჟამი რუსთაველზე გავლისა?.. ათასობით ოჯახი, გაურკვევლობისა და შიშის ბურუსით დანთქმული, უგზო-უკვლოდ გამქრალ მამისა თუ დედის, შვილისა თუ შვილიშვილის, ძმისა თუ დის, ბიძისა თუ ბიძაშვილის ანდა საერთოდ — ნათესავის, მახლობლის, მეგობრის ლანდებს არარაობის მღვრიე სივრცეებში ამაოდ დაეძებდა... და ბატონმა სეფედავლემ შინ დაბრუნება ამჯობინა, რამეთუ დღევანდელი დღე იყო ჟამი რუსთაველზე არგავლისა.

სეფადავლე კაკუბანს ამ წელს კიდევ ორი ძალზე მნიშვნელოვანი (ნახევარ-ნახევარ საათიანი) შეხვედრა ჰქონდა ქალბატონ ბაბილისთან, თუმცა უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი: ტლაშურების სახლთან მეთქი. რაღაცნაირი ჯადოქრობის წყალობით მოახერხა, დროის დეფიციტს ჩამოაჭრა ნახევარი საათი და ეს ძვირფასი წუთები ქალბატონ ბაბილის მიუძღვნა. სამაგიეროდ, ამჯერად უკვე იგრძნო და იხილა ის, რასაც პირველი ვიზიტის დროს გულის სიღრმეში ელოდა და არ გაუმართლდა, გაუგებრობის ნაცვლად ქალბატონ ბაბილის მოკრძალებული ღიმილი გამოეხატა სახეზე, ხოლო თვალებში პატივისცემის, თუ გინდა, სიხარულის სხივი გაუკრთა, მობრძანდით, მობრძანდითო, შემოიპატიჟა, თან შილიფად ჩაცმული ნაცნობი კაბა გაისწორა. ბატონ სეფედავლეს თავადვე გაუკვირდა, ასეთმა დახვედრამ პატივმოყვარული სიამე რომ ვერ აგრძნობინა. პირველი შეხვედრის გამო ქალბატონმა ბაბილიმ ბოდიში მოუხადა, მაპატიეთ, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვინ ბრძანდებოდით და საკადრისად ვერ გიმასპინძლეთო. მერმე, ალბათ, დროის სიმცირის გამო, სხაპა-სხუპით უამბო, რა გაოცებული დარჩა ხოზრევანი, ცხადია, გოგრიჭის ძე, როცა შეიტყო, თუ ვინ ესტუმრა მათ უბადრუკ სახლს. ლამის არ დაიჯერა, ეს შეუძლებელია, თვით ბატონი სეფედავლე, ოო, შეუძლებელიაო. ხოზრევანი უკვე დიდია, ყველაფერი იცის, იცის, რა ხდება ქვეყანაზე, ბაბილი კი ამ გალავანშია მომწყვდეული, ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის... მერმე გალავანში მომწყვდეულმა მოინდომა ხელმეორედ მოესმინა ის, რაც იმ დღეს ითქვა მისი მეულლის გმირული საქციელის გამო. მაგრამ ბატონმა სეფედავლემ აგრძნობინა, ერთხელ ნათქვამის განმეორება დაუშვებელიაო თან დასძინა, ახლა თვით ხეებსაც ფოთლების მაგივრად ყურები ასხიათო. სტუმრის ჩურჩულით ნათქვამმა სიტყვებმა აღელვებული და ქადაგადდაცემული ქალბატონი ბაბილი უცებ დააცხრო და დააშოშმინა. დუმილი ჩამოვარდა და ბატონი სეფედავლე მიხვდა, ასე ძლიერ ქალბატონ ბაბილის ლაპარაკი აღიზიანებდა თურმე. რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონია, უბრალოდ, მისი ლაპარაკის მოსმენა, ხმის გაგონება აღარ შეეძლო.

დუმილი ჩამოვარდა და სეფედავლე კაკუბანმა ცაცხვის ფოთლებში შემალული ჩიტების ჟივილ-ხივილი გაიგონა, სადღაც შაშვიც გალობდა, მაგრამ ბატონ სეფედავლეს ჩიტებისთვის არ ეცალა; ქალბატონმა ბაბილიმ ლაპარაკი არ დამასწროს, სათქმელი ახლავე უნდა ვუთხრაო, გაიფიქრა და საუბარი შეგონებით დაიწყო; ქალბატონო, უკანუკან ყურება, რა თქმა უნდა, ზოგჯერ კარგი და აუცილებელია, ოღონდ კარგია მაშინ, როცა წინ მიდიხარ და წინ იხედები. ეს სახლი ანუ ტლაშურების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლი დღეს უკვე ისტორიული ძეგლია, რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების გზაზე, მაგრამ თუ არ მოვუარეთ, მომავალ თაობებს პირველყოფილი სახით არ შევუნახეთ, ისტორიულ მნიშვნელობას თანდათან დაჰკარგავსო. ხოზრევან ტლაშურიცა და გოგრიჭ ტლაშურიც უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულან და ამ ორი დიდი პიროვნების უკვდავსაყოფი ძეგლი სწორედ ეს კარგად მოვლილი სახლი იქნებაო. ქალბატონი ბაბილი გაოგნებული დარჩა, არ ეგონა, ვერც წარმოიდგენდა თუ მათი სახლი ისტორიული მნიშვნელობისა იქნებოდა და, რა თქმა უნდა, ვერც იმას იფიქრებდა, რომ მისი მამამთილი და მეუღლე ისტორიის დიდ გზაზე ამრიგად წარმოჩინდებოდნენ.

იმ წელს მესამედაც ეახლა სეფედავლე კაკუბანი ტლაშურების სახლს: ნოემბერი იწურებოდა და მაინც შემოდგომის თბილი და მზიანი დღე იყო. ბატონ სეფედავლესაც ამინდის შესაფერისი გუნება-განწყობილება დაუფლებოდა, ტლაშურების სახლისკენ არკი მოდიოდა, მოფრინავდა და ამის მიზეზიც ჰქონდა: დილით, ზუსტად 6 საათსა და 15 წუთზე ვაჟიშვილი შეეძინა ანუ ბარდაველ კაკუბანი დაიბადა, სეფედავლეს ძე. ეს დღე სხვა, ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენითაც გახდება შემდეგ ცნობილი, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

სეფედავლე კაკუბანმა ეზოში შესვლისთანავე თვალი გადაავლო იქაურობას, ყველაფერი ისევ ხელუხლებელი რომ დახვდა, საბოლოოდ დარწმუნდა, ქალბატონი ბაბილი და მისი ვაჟი ხოზრევანი სათანადოდ ამ სახლს ვერ მოუვლიდნენ, ვერ უპატრონებდნენ. ხოზრევან უმცროსი მამის კვალზე წასულა, უნივერსიტეტში ჩაუბარებია გამოცდები ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და დედამისს თუ დავუჯერებთ, სახლისთვის ველარ იცლის, ესეც არ იყოს, სულ არ აინტერესებს სახლი, მოვლილი იქნება თუ მოუვლელი.

და სეფედავლე კაკუბანი იმ დღეს პირველად შევიდა ტლაშურების ორსართულიან სახლში და ახლა შიგნიდან ორივე სართული საფუძვლიანად დაათვალიერა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა გადაურჩა ძარცვა-გლეჯას, რა წაიღეს მენშევიკური გვარდიის თაღლითმა ოფიცრებმა და რა — გარეწარმა ჩეკისტებმა. ძირითადად ოქრო, ვერცხლი და თვალმარგალიტი გაუტაცებიათ, კიდევ: უნიკალური ანტიკვარული ნაკეთობანი, ჩინური, იაპონური და ევროპული ფაიფური... ერთი სიტყვით, გაუზიდავთ ის, რასაც განსაკუთრებულად დიდი წონა კი არა, განსაკუთრებულად დიდი ფასი აქვს. მაინც წესიერად მოქცეულან: მძიმე და ძველი ავეჯი დაუტოვებიათ, კაცმა რომ თქვას, ძველი ავეჯიც კარგია, გამოდგება ტლაშურების მემორიალური სახლისათვის ანუ უფრო ზუსტად — სახლ-მუზეუმისათვის აუცილებელიცაა. სახლ-მუზეუმი... მაგრამ ეს როდის იქნება, რამდენი დრო დასჭირდება, წუხს ქალბატონი ბაბილი... მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ, რა დროც უნდა გავიდეს, მოსახდენი მოხდება, ეს გარდუვალია, მოთმინება, მოთმინება, მოთმინება, ბროლის ჭაღები არ ჩამოუხსნიათ, მუხის კარ-ფანჯრებიც მშვენიერია, მოთმინება, რა მოუვლელია ყველაფერი, დამტვერილ-გაქექილი, ნაჯაჯგურებ-მირყეულ-მორყეული. ამის შემხედვარე კაცს გული ეტკინება, სეფედავლე კაკუბანს, არა თუ ეტკინა, ლამის გული გაუსკდა, როდესაც შეიტყო, თვითონ დედა-შვილი დარევია ტლაშურების განძს. რა ექნათ, უსახსროდ დარჩენილებს შიმშილით სული ამოხდებოდათ, ამიტომ სწორედ გუშინ წინ ჩალის ფასად გაუყიდიათ სპარსული ნოხი.

დაუდევრობაა, უგუნურებაა, ქარაფშუტობაა, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს! დადგება დრო, უაზროდ გაყიდულსა და ყაჩაღურად დატაცებულ ნივთებს ხალხი მოიძიებს, უკან დაუბ-

რუნებს ტლაშურების ოჯახს. აღელვებულმა ბატონმა სეფედავლემ მკაცრად მოითხოვა გადარჩენილი ყოველი ნივთის აღნუსხვა, თუ ქალბატონი ბაბილი იმ ნივთთაგან თუნდაც ერთის გაყიდვას დააპირებს, უსათუოდ უნდა შეატყობინოს ბატონ სეფედავლეს, მუზეუმისათვის გამოსადეგ ნივთებს პირადად დაადგენს და შეარჩევს, სხვა გამოსავალს თუ ვერ მონახავს, ბოლოს და ბოლოს, თავად ბატონი სეფედავლე შეიძენს და, ასე და ამრიგად, მომავალ თაობებს შეუნახავს ტლაშურების სახლის ნამდვილ არსსა და იერს.

ქალბატონი ბაბილი ათასი ყურით უსმენდა, თან მორჩილად დაჰყვებოდა უკან, ათრთოლებული ხელები მკერდზე მიეჭდო და დამათრობელი ბრუ ეხვეოდა. ეს კაცი ჭეშმარიტად მამა-ღმერთმა მოგვივლინაო, ფიქრობდა ნეტარგაღიმებული. ამის თქმას ხმამაღლაც აპირებდა, მაგრამ ბატონმა სეფედავლემ უცებ დატოვა შენობა და ეზოში გავიდა. დინჯად გაემართა ჭიშკრისაკენ, გარეთ გასული შემობრუნდა და გალავნის აგურის კედელზე ორივე ხელით ოთხკუთხედი შემოხაზა, აქ გაიკვრება ხოზრევან და გოგრიჭ ტლაშურების მემორიალური დაფა, მე მინდა, ამ დაფას მათი სახელები ოქროს ასოებით დაეწეროსო, ნეტარებისაგან გატრუნულ ქალბატონს, როგორც იქნა, ძველი ოცნება გაუმხილა.

და იმ ღამით ქალბატონ ბაბილის აწ გარდასული, ბედნიერი დრო დაესიზმრება: ვითომ ეზოში გაშლილია გრძელი სუფრა, რომელსაც სახელოვანი მამულიშვილები შემოსხდომიან და თავისუფალი ქვეყნის სადღეგრძელოს დიდი ყანწებით სვამენ, თვითონ კი ახალგაზრდა, ლამაზი, ჰაეროვანი ცაცხვებშორის ნიავივით დაჰქრის და ყოველი მხრიდან ესმის ოდნავფრანგული აქცენტით წარმოთქმული სახელი: „ბაბილი! ბაბილი!..“

მაგრამ ჯერ არ დაღამებულა, დაღამებამდე დიდი დროა. [illegible] ქალბატონ ბაბილისა [illegible] ბატონი სეფედავლე ეს-ესაა დაემშვიდობა კეთილ მასპინძელს და თავისი გზით წავიდა: ისევ და ისევ მოუცლელობა, ისევ ათასი საქმე — ყველა მოსაგვარებელი. თავთაპირველად სამშობიარო სახლში აპირებდა მისვლას, მეუღლეს მოვინახულებო, ერთი სული ჰქონდა, გაეგო, ვაჟიანობის შემდეგ როგორ გრძნობდა თავს ქალბატონი ხორეშანი. დღეს უსათუოდ მოინახულებდა, ყვავილებსა და ხილს მიართმევდა, ბიჭის შესახებ დააზუსტებდა ზოგიერთ ცნობას: ბავშვი რა სიგრძისა და რა წონის დაიბადა. ცნობების დაზუსტებამდე რუსთაველზე ხომ არ გავიაროო, დაფიქრდა და შემოდგომის მსუყე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. მგონი, მოგახსენეთ, რუსთაველზე გავლა უყვარდა მეთქი ბატონ სეფედავლეს, ცხადია, უყვარდა, თანაც ზედმიწევნით იცოდა, როდის უნდა გაევლო. მცირე ხნით შეყოვნდა, გახედა ქუჩას, მერმე გახედა ცას და იგრძნო, დღეს სწორედ ის დღე იყო, ის ჟამი დამდგარიყო, ჟამი რუსთაველზე გავლისა.

მზე დასავლეთით გადახრილა, ოპერის მხარე მზით არის განათებული, „ლაღიძის წყლების“ მხარე კი შენობების ჩრდილშია მოქცეული. შემოდგომის მზის მოტრფიალენი ოპერისა და რუსთაველის თეატრის წინ დასეირნობენ, ჩრდილის მოყვარულნი აქეთ, საპირისპირო ტროტუარზე მიდი-მოდიან, მოძრაობენ, რამეთუ ერთ ადგილზე დიდხანს დგომა არ შეიძლება, მით უმეტეს — ჯგუფ-ჯგუფად დგომა. ორი, დიდი-დიდი, ჰა, სამი კაცი დასაშვებია, დადგეს და ისაუბროს, ისიც — რამდენიმე წუთით, მერმე სწრაფად უნდა დაიშალონ და თავიანთი გზებით გაუტიონ, მთავარია, საქმიანი ატმოსფეროს შთაბეჭდილება შეიქმნას და არა — ვერაგული შეთქმულებისა. დადიან, ცდილობენ, დასაქმებულ ადამიანებს დაემსგავსონ, ვითომ საქმეზე აგვიანდებოდათ და შემ-

თხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, ხვდებიან, შორდებიან, ისევ ხვდებიან, იქ, ზევით ვიღაც-ვიღაცეებს ვითომ ატყუებენ, სულაც არ ვსეირნობთ, ჩვენ მხოლოდ საქმისთვის ვარსებობთო. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ქალაქი თითქმის გაწმენდილია სამშობლოს მოღალატეებისაგან, ისინი ვეღარ ეღირსებიან რუსთაველის პროსპექტზე სხვათა დასანახად სეირნობას, გამომწვევად გავლა-გამოვლას, შეთქმულების მომზადებას, მასების სიფხიზლის მოდუნებას. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ხალხმრავლობაა, ოღონდ არა ისეთი დღეს რომაა, კაცი კაცს გვერდს ვერ აუვლის, თანაც არავინ იცის, საით მიდის და მაინც გზას არავის უთმობს, მარტორქასავით გვერდზე არ იხედება და არის ერთი ხათქა-ხუთქი, ჯაჯგური, შეხლა-შემოხლა. ჯერჯერობით არც ავტომანქანებია მომრავლებულ-მოძალებული, გადაადგილების ძირითადი საშუალება ისევ ეტლია, ამიტომ ცხენის ფლოქვების თქარა-თქური და მეეტლეების შეძახილები უფრო ისმის, ვიდრე მანქანების გუგუნ-გრიალი და საყვირების გამაყრუებელი პიპინი. გამონაბოლქვის სუნი არ გაწუხებს, არ გაღრჩობს, ჰაერიც ეკოლოგიურად სუფთა და თითქმის სტერილურია. ღმერთო მაღალო, ამ ხალხს ცოტა ხნით ქუჩაში დგომის უფლებაც რომ მისცენ, არაფერი დაშავდება, დადგებიან „ბორჯომის“ მაღაზიასთან ან „ლაღიძის წყლებთან“, შეისუნთქავენ შემოდგომის კრიალა ჰაერს, ისაუბრებენ, იჭორავებენ, ზოგს გაკილავენ, გააბითურებენ, მიწასთან გაასწორებენ, ზოგს განადიდებენ, ცამდე აამაღლებენ და, ეგ არის, სხვა რა უნდა ქართველ კაცს, ცოტათი გულს მოიოხებს, სულს მოითქვამს...

რუსთაველის პროსპექტი, ოჰ, ეს მშვენიერი რუსთაველის პროსპექტი!.. იმ დღეს თვალს გააყოლებდი და თითქოს იმავე, ჩვეულებრივი ცხოვრებით სუნთქავდა, მაგრამ მგრძნობიარე კაცი უმალვე იგრძნობდა, რომ სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, სხვა ნერვი უფეთქავდა და სხვა გული უცემდა. შესაძლებელია, ამის მიზეზი [illegible] დარხეული ხმაც იყო: [illegible] ქუჩის ორივე მხარეს ჩურჩულებდნენ, სამუშაოდ მოსკოვში გადაყვანიათო; ვინაო, ცნობისმოყვარენი ჩურჩულითვე ეკითხებოდნენ; ისაო, თავის ოდნავი გაქნევით ცეკას შენობისაკენ შენიღბულად მიანიშნებდნენ, ისაო, სახელსა და გვარს არ ამხელდნენ, თითქოს ტაბუ ედო, თუმცა ძნელი მისახვედრი არ იყო, ვის გულისხმობდნენ. რა თქმა უნდა, იმას, სხვა ვინ იქნებოდა ცეკას შენობიდან კრემლში გადაყვანის ღირსი, ის გახლდათ სწორი ხაზის გამტარებელი და წავიდა, ზევით წავიდა, ღირსეულად აღზევდაო, უხაროდათ და გუნებაში თავისებურად ზეიმობდნენ. ზეიმობდნენ შიგნით, გულის სიღრმეში ანუ, როგორც ვთქვი, გუნებაში, სიხარული გარეთ ვერ თუ არ გამოჰქონდათ, თითქოს ერიდებოდათ, დასაშვებია, ეშინოდათ კიდეც, მთლად დარწმუნებულები არ იყვნენ, ვაითუ, ჯერ არ წასულა და ისევ აქ არისო, მაინც ეჭვობდნენ; ყველა, ყველა და იმ კაცს წინასწარმეტყველები არ უყვარდა, მით უმეტეს, ცრუ წინასწარმეტყველები ჭირის დღესავით სძულდა, ვერ იტანდა.

უცებ ზემელის მხრიდან საქმიანად დაფიქრებულ-აჩქარებული სეფედავლე კაკუბანი გამოჩნდა — ორმოციოდე წლის კეთილაღნაგი, მხნე, თავდაჯერებული მამაკაცი, ნამდვილქართული ჯიშის გამოსხივება. რუსთაველის პროსპექტს წამიერმა ჟრუანტელმა დაუარა ანუ გააჟრჟოლა და ეს გაჟრჟოლება იყო ნიშანი თუ გინდა დასტური იმისა, რომ ხალხი არ ცდებოდა, სწორი ხაზის გამტარებელი დღეიდან მოსკოვის მკვიდრი გახლდათ; ჩასულა, ჩასულა, უკვე მოსკოვში ჩაბრძანებულაო, შვებით ამოისუნთქა ყველამ, მაგრამ რა შვება და სიხარული იყო, ახლა ძნელი დასადგენია, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ვერ იტყვი, ცნობიერად უხაროდათ ქართველი კაცის დაწინაურება-აღზევება თუ ქვეცნობიერად ჰგვრიდათ შვებას

მისი მოშორება, იქნებ საქართველოში ცოტათი მაინც შენელდეს სამშობლოს მოღალატეთა დევნა და დაპატიმრებაო. არადა, მართლაც, რა ნამუსია, ყველა ქართველი დააპატიმრო, გაასამართლო და დახვრიტო, როგორც სამშობლოს მოღალატე, ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს ამ ქვეყნად სხვა კატეგორიისა თუ ხარისხის დანაშაული, აიღე და მიუყენე შენც სხვა მუხლი!

მიდიოდა დაფიქრებული, იქნებ — ჩაფიქრებულიც, ოდნავ აჩქარებული — საქმეზე მიისწრაფოდა და ყოველი მხრიდან იმედით გაცისკროვნებულ მზერას გრძნობდა. აქეთ-იქიდან კეთილ-ღიმილიანად ესალმებოდნენ, პირადად იცნობდნენ თუ არ იცნობდნენ, მაინც ულიმოდნენ, თავს უხრიდნენ და უქნევდნენ, თავიანთ კეთილგანწყობას, პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდნენ. თვითონაც ზოგს ცნობდა და ზოგს — ვერა, ნაცნობს — ხელის აწევით, უცნობს კი ღიმილითვე უბრუნებდა სალამს. „არა, ძმაო, მაგარია, მაგარი!“ „გვეშველა, მგონი, გვეშველა“! „ეგ კაცი ღმერთმა მოგვივლინა ქვეყნის გადასარჩენად“! „წყალი არ გაუვა, უსათუოდ გადაგვარჩენს!“ — ჩურჩულებდნენ პიროვნული სილაღითა და სიძლიერით გაოგნებულ-მონუსხულები. ამასობაში ბატონმა სეფედავლემ „ბორჯომის“ მაღაზიას ჩაუარა, კიდევ ოცდაათიოდე ნაბიჯი გადადგა და ხალხმაც ყოველგვარი მოძრაობა შეწყვიტა, გაშეშდა, გაიყინა, მხოლოდ აღტაცებული, თან მადლიერების გამომხატველი მზერით მიაცილებდა მიმავალს. აქ დასრულდა სეფედავლე კაკუბანის ტრიუმფალური მსვლელობა, რადგან „ბორჯომის“ მაღაზიიდან გარკვეულ მანძილს რომ გაივლიდი, იქით მაინცდამაინც არ უყვარდათ გასეირნება, დგომა და საუბარი, იქ, რადიოკომიტეტის შენობასთან იყო ერთი პატარა, ვიწრო, მთაწმინდის ფერდობისკენ ამავალი ქუჩა ანუ აღმართი, რომელიც გარკვეულ შიშსა ჰგვრიდა ყველას, პროსპექტის ამ მონაკვეთს ისე გაივლიდნენ, გახედვითაც არ გახედავდნენ აღმართს, ვითომ არც არსებობდა.

მართალი უთქვამთ, ბერძენ პროფესორებს, უცნაური ხალხია ეს ქართველებიო. მართლაც, ნამეტანი უცნაური ხალხი ვართ, ერთი წუთით თუ შეჩერდები რუსთაველის პროსპექტზე, რას არ გაიგონებ კაცი. ერთი წუთით მეც შევჩერდი და გულით მინდა, ქუჩაში მოსმენილ-გაგონილი გადმოგცეთ, ოღონდ მათ ნალაპარაკევს ზუსტად ვერ გავიმეორებ, როგორც დავიმახსოვრე, ისე მოგახსენებთ.

მკითხველი ადვილად მიხვდება, ვინ იყო **სწორი ხაზის გამტარებელი,** ამ მრავლისმთქმელ სიტყვებში ვინ იგულისხმება. ჩემი მოგონილ-შერქმეული არ გახლავთ, მაშინ თვით ხალხი ამკობდა ლავრენტი ბერიას ამგვარი და კიდევ სხვა, უდახვეწილესი ეპითეტებით, ამასაც ხალხი მღეროდა: „სწორი ხაზის გამტარებელს“ ასე და ისეო, ამასა და იმასაო... და აი, ერთ ლრუბლიან დღეს სწორედ სწორი ხაზის გამტარებელს მოულოდნელად საფრთხე დამუქრებია: მოსკოვიდან საიდუმლო ბრძანება მოსულა, საკავშირო ჩეკას შეფი ეჟოფი (ღმერთო, ნუ მიწყენ, სახელი და მამის სახელი ვერაფრით გავიხსენე!) აქაურ, ადგილობრივ ჩეკას შეფს ავალებდა, ბერია სასწრაფოდ დააპატიმრე და გადმომიგზავნეო. ადგილობრივ შეფს, ცხადია, მეხი დასცემია, მერმე გულიც წასვლია- როგორი საქმე იყო საქართველოს ცეკას პირველი მდივნის, ყველასათვის საყვარელი ლავრენტი პავლოვიჩის ჯერ დაპატიმრება და მერმე მოსკოვში გადაგზავნა, იმ პავლოვიჩისა, რომელიც იქით იჭერდა ყველას, თუ ადგილზე არ დახვრეტდა, მოსკოვში კი არა, ციმბირს მიღმა გზავნიდა გაკოჭილს სამარადისოდ.

ადგილობრივი ჩეკას შეფი ლავრენტი პავლოვიჩის დაპატიმრებას, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა და საიდუმლოს გასანდობად პირველი მოადგილე შიბლაძე მოუხმია, ტინტილოზ ტინტი-

ლოზოვიჩი. შიბლაძე დიდხანს სცემდა თურმე ბოლთას უფროსის კაბინეტში, კედლიდან კედელს აწყდებოდა, ორი კოლოფი „რეკორდი“ მოუწევია და მხოლოდ ამის შემდეგ ამოუღერღია, იქნებ ამხანაგ სეფედავლე კაკუბანს ვკითხოთ, როგორ მოვიქცეთ, ჩვენი გული და ტვინი ეგ არისო. უწვალიათ, უყოყმანიათ, უჭოჭმანიათ და მოსკოვიდან მოსული საიდუმლო ბრძანება, ბოლოს და ბოლოს, მესამე კაცისთვის გაუნდვიათ. სეფედავლე კაკუბანი, როგორც სჩვევია ხოლმე, საქმის ვითარებაში უმალ გარკვეულა, არც უციებია, არც უცხელებია, პირდაპირ მისულა საქართველოს ცეკას პირველ მდივანთან და გულწრფელად უთქვამს: ასე და ასეა, ლავრენტი პავლოვიჩ, შენი საქმე და როგორმე თავს უშველეო.

ამბობენ, ლავრენტი პავლოვიჩს იმავე დღეს დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია. ჯავშნოსანი მატარებლით ჩაგრიალდა თუ სამხედრო თვითმფრინავით ჩაფრინდა, არავინ იცის, ეს მგზავრობა აქამდე იდუმალების ბურუსით არის მოცული. მოსკოვს ჩასული დიდ ბელადს მიახლებია და ყველაფერი წვრილად მოუყოლია. ეგ სეფედავლე დასაკარგი კაცი არ ყოფილაო, ულვაშებში ჩაჰღიმებია კომუნიზმის მთავარ ხუროთმოძღვარს და ამით გადაწყვეტილა მომავლის ბედი. რაც შეეხება ეჟოვს (მაინც ვერ გავიხსენე შობელ-ძაღლის სახელი და მამის სახელი), იმ დღის შემდეგ არავის უნახავს, თვალიც კი არ მოუკრავთ.

გაივლის ნახევარ საუკუნეზე მეტი და მორიგ საინფორმაციო მიტინგზე ბარდაველ-კაკუბანი, სეფედავლეს ძე, ამ ღირსსახსოვარ დღეს ერის გადარჩენის დღედ გამოაცხადებს, ხოლო შემოქმედად ამ დღისა მამამისს — დიდ სეფედავლეს დაასახელებს. საქართველოს დიდი ჭირი დიდმა სეფედავლემ მოაშორა, საქართველოს გადარჩენა სწორედ იმ დღეს დაიწყოო. მომიტინგეთა შორის აღმოჩნდება სამიოდე ისეთი კაცი ანუ ბერიკაცი, რომელთა დაბინდულ მეხსიერებაში მართლაც ამოტივტივდება ნახევარი საუკუნის წინანდელი შემოდგომის დღე, რუსთველის პროსპექტზე სეფედავლე კაკუბანის ტრიუმფალური გავლით გამოწვეული აღტაცება და ჟრუანტელი. სამიდან ერთი მიტინგზე გამოსვლას, სიტყვის თქმას მოინდომებს. დაჩიავებული ბერიკაცი ხმის კანკალით გაიხსენებს წარსულს, და, როგორც ცოცხალი მოწმე, დაადასტურებს ბარდაველ კაკუბანის ნათქვამს. აღფრთოვანებული მომიტინგეები ტაშისცემითა და შეძახილებით მიიღებენ გადაწყვეტილებას, ნოემბრის **იმ დღეს** ერის გადარჩენის დღედ გამოაცხადებენ. განგების ნებით, ბარდაველ კაკუბანიც, სეფედავლეს ძე, სწორედ **იმ დღეს** აღმოჩნდება დაბადებული. (საოცარი დამთხვევაა, ღმერთმანი!)

ეს მერმე მოხდება, ნახევარი საუკუნის შემდეგ, მანამდე კი ქალაქს თანდათან ბინდი დაეფინება, ღამეც ჩამოწვება და რუსთაველის პროსპექტს სეფედავლე კაკუბანის გავლა ნათელ ზოლივით დააჩნდება, როგორც ღამეული ცის კაბადონს ჩავლილი კომეტის კვალი.

III

ოცდაათიანი წლების მიწურულს დიდი რეპრესიების ეპოქა დასრულდა, ხალხს მასობრივგანუკითხავად აღარ აპატიმრებდნენ, მოსახლეობას ეშელონობით აღარ აციმბირებდნენ და ორგანოების ბნელ, ნესტიან სარდაფებში ტროცკისტებსა და სამშობლოს გამყიდველებს აღარ ხვრეტდნენ დასტა-დასტად. პოლიტდაპატიმრებამ, ადრინდელი კონვეირული სისტემისაგან განსხვავებით, შეიძლება ითქვას, უფრო ნოსტალგიური ხასიათი მიიღო: ხანგამოშვებით, ხამუშ-ხამუშ გაახსენდებოდათ ანუ მოენატრებოდათ ღრმა შინაარსით დატვირთული დღეები, უზადოდ ჩატარებული ელვისებური ოპერაციები, პარტიული და სახელმწიფოებრივი სიფხიზლის გამოჩენისათვის დამსახურებული მადლობათა დაფნის გვირგვინება

და წელიწადში ერთხელ, უკიდურეს შემთხვევაში — ორჯერ, მიუბრუნდებოდნენ ხოლმე ნაცად ხერხებსა და მეთოდებს, ოღონდ ამჯერად შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფებს აპატიმრებდნენ, ძველებურად ანუ ხელაღებით კი არა, აპატიმრებდნენ დასაბუთებულად — ბრალდებას, ორივე ხელი რომ მოგეჭირა, წვეთი წყლისა არ უნდა გასვლოდა.

დიდ ძალისხმევასა და მეძებრის უტყუარ გეშს არ მოითხოვდა ამგვარი ჯგუფების აღმოჩენა, ისინი ნამდვილად არსებობდნენ, ოღონდ არსებობდნენ იქ სადაც ადამიანები აზროვნებდნენ, სადაც ადამიანებს საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული აზრიცა და შეხედულებაც ჰქონდათ. მართალია, ამას საჯაროდ არ ამჟღავნებდნენ, მაგრამ მეგობრულ, ვიწრო წრეში თავიანთ ფიქრებსა და მოსაზრებებს ერთმანეთს უზიარებდნენ, არა შეთქმულების მიზნით, არამედ, იმის გამო, რომ ადამიანები იყვნენ: ადამიანებს ყოველთვისა აქვს მოხთოვნილება, ნააზრევი და ნაფიქრი ხანდახან სიტყვიერადაც გამოთქვან. რას იზამ, სხვა დრო იყო, მეტი სიფრთხილე გმართებდა, ჯერ მეგობრის თვალებში ღრმად უნდა ჩაგეხედა, მერმე, ალბათ შეიძლებოდა, გეთქვა სათქმელი.

ბატონ სეფედავლეს არასოდეს ღალატობდა გუმანი თუ ალღო, უმალ იგრძნო ამ ორგანოებში სამსახურის ძირითადი შესაძლებლობები რომ ამოწურა, იქ უკვე აღარ სჭირდებოდათ, თანდათან ჰკარგავდა გასაიდუმლოებულ სტრუქტურებში ყოფნის ფუნქციასაც და და წლების მანძილზე რის ვაი-ვაგლახით მოპოვებულ ავტორიტეტსაც, ამიტომ მთელი არსებით ჩაუღრმავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკას, მიაგნო თავისი დაუცხრომელი სულის მაფრთოვანებელ ანუ სასიცოცხლო ენერგიის მომნიჭებელ, დაუშრეტელ წყაროს. სწორედ იმ დროინდელია ბატონი სეფედავლეს მიერ თითქოს-და ხუმრობით ნასროლი ფრაზა, რომელმაც (ცინიკური შეფერილობის მიუხედავად) ფართო მასების საყოველთაო აღტაცება და სიყვარული მოუპოვა **უდანაშაულოს რა გამართლება უნდა, მთავარია, დამნაშავე გაამართლოო.** სულ მალე სამოღვაწეო ადგილმდებარეობა გამოიცვალა, ზედმეტი იდეოლოგიური წნეხისა თუ დაწოლისგანაც დაიხსნა თავი და, როგორც იტყვიან, შვებით ამოისუნთქა. სეფედავლე კაკუბანისთვისაც დასრულდა ერთი მძიმე ეპოქა და დაიწყო მეორე — თავისუფალი მოძრაობისა, რაც თანდაყოლილი თვითმყოფადი ნიჭის სრულ გაფურჩქვნას, მოასწავებდა. უკვე შეეძლო ლაღად გაეშალა ფრთები, საქმეები მოეგვარებინა ისე, როგორც ამას შექმნილი ვითარება მოითხოვდა ანდა უკარნახებდა. თავის დროზე უდანაშაულო პოლიტპატიმრებს ვერაფერს უხერხებდა, სასჯელს ოდნავადაც ვერ უმსუბუქებდა, ახლა კი, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნამდვილ დამნაშავეთა დაცვა-პატრონობა იკისრა და კაკუბანებისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი უნარიანობის წყალობით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამავე ვე დროს ბატონმა სეფედავლემ რომაული სამართლის ძირითადი პრინციპის-- do ut des-ის (გაძლევ. რომ მომცე.) ქართული ვარიანტი დაამუშავა, დახვეწა და დაახლოებით ასეთი ფორმულა მიიღო: **მომეცი, რომ გაგიშვა,** რაც ქართული სამართლის მამოძრავებელ ღერძად ანდა ქვაკუთხედად იქცა და დღემდე არ დაუკარგავს არც ძალა, არც სამოქმედო ასპარეზი. უფრო მეტიც, ეს ფორმულა სამართლებრივ სამყაროში ასე შეუზღუდავად ფესვგადგმული,, აყვავებული, ასე ყოვლისშემძლე ყოვლისმომცველმომხვეჭელი არასოდეს ყოფილა.

ბატონი სეფედავლე საქმეებში ყელამდე იყო ჩაფლული, პერმანენტულ მოუცლელობას უჩიოდა, მაგრამ ტლაშურების სახლი მაინც არ ავიწყდებოდა, თითქმის გადაუდებელ საქმესაც კი ორიოდე საათით გვერდზე გადადებდა და უსათუოდ მიაკითხავდა, მოინახულებდა ქალბატონ ბაბილის, აწ უკვე მოშანაუ-

რებულსა და მოთვინიერებულს. ქალბატონმა ბაბილიმ, ბოლოს და ბოლოს, სახლ-კარსაც და თავის თავსაც მიხედა, სახლსა და ეზოს დაუბრუნა ძველი სიმყუდროვე, ადრინდელი მოუვლელობისა და მიშვებულობის ნატამალიც აღარ დაუტოვა. ცაცხვების ჩრდილში ჯდომა, სურნელოვანი ჩაის დაგემოვნება და საუბარი, მართლაც, ერთ რამედ ღირდა.

ფერისცვალებას დღითი დღე ამჩნევდა ბატონი სეფედავლე, გულმოდგინედ აკვირდებოდა და ცდილობდა სიტყვის უთქმელად ჩაწვდომოდა საბაბს, გაეგო ნამდვილი მიზეზი რამაც ჩვეულებრივ ადამიანურ საზრუნავს თუ საქმიანობას ანდა სულაც ქალურობას, ქალურ საწყისს დაუბრუნა ქალბატონი ბაბილი. ადრე, პირველმა შეხვედრამ მძიმე შთაბეჭდილება დაუტოვა, თითქოს ამ ქალმა ისიც არ იცოდა, ამ ქვეყნად რომ სარკე არსებობდა, მაგრამ შენობის ინტერიერის დათვალიერებისას ბატონი სეფედავლე დარწმუნდა, პირველმა შთაბეჭდილებამ მოატყუა, სახლში ეს ნივთები საჭიროზე მეტი აღმოჩნდა- ძველებური, წითელი და შავი ხის ჩუქურთმიან ჩარჩოებში ჩასმული. ხელოვნების ნიმუშად შექმნილი ბროლის სარკეები ამშვენებდა ოთახებს — კედელზე დაკიდულიცა და მიდგმულიც. ამ სარკეებში ჩახედვასა და თავის მოწონებას არაფერი სჯობდა, თვითონ გიზიდავდა და გიხმობდა: მოდი, ჩაიხედე, სხვას ამაზე უკეთესს რას დაინახავ. მერმე ბატონი სეფედავლეც კი ვეღარ უძლებდა ჯადოსნურ ცთუნებას, დიდ დარბაზში, შესასვლელი კარის პირდაპირ ლამის ჭერამდე აღმართულ სარკეში გამოეცხადებოდა საკუთარ თავს, ანარეკლი ყოველთვის უფრო აღნაგიც ჩანდა და უფრო მოხდენილიც, თვალის მოწყვეტა უჭირდა. ასეთი სარკეების პატრონი ქალბატონი თითქმის თმადაუვარცხნელი, დაუდევრად ჩაცმული ხვდებოდა სტუმარს, მისთვის სულერთი იყო, სტუმრის თვალში როგორ გამოიყურებოდა. შემდეგ თანდათან შეეცვალა ხმაცა და მეტყველებაც, სახის ფერიც, საერთო იერიც. [illegible] მოხრაც და ერთ დღეს ლამაზ-ქალს დაემსგავსა, არა თუ დაემსგავსა, ტკბილმოუბარ, კეთილმომღიმარ, უმშვენიერეს ქალბატონად მოევლინა ბატონ სეფედავლეს.

ეს ყველაფერი ჩემთის ხდება, ჩემა გულის მოსანადირებლად არის გამიზნულიო, ფიქრობდა ბატონი სეფედავლე და არც გაემტყუნებოდა, რადგან ყველა მამაკაცი ასე იფიქრებდა, თუკი მოულოდნელად ქალის ამგვარი გარდასახვისა და გადასხვაფერების მოწმე აღმოჩნდებოდა. მკითხველს ალბათ ახსოვს, ბატონ სეფედავლეს თავდაპირველად არ სიამოვნებდა ქალბატონ ბაბილისთან შეხვედრა, მისი ხმის გაგონებაც კი აღიზიანებდა, ამიტომ გუნებაში სამართლიანად მსჯელობდა, ეტყობა, თავის დროზე ჩემი დამოკიდებულება ამ ქალისადმი სათანადოდ ვერ შევნიღბე, ეს იგრძნო ან შემამჩნია და ახლა ქალური ეშმაკობითა და ხერხებით ცდილობს, თავი მომაწონოსო. კაცმა რომ თქვას, უკვე არაფერი ჰქონდა ქალის ფარული ლტოლვის მიმართ საწინააღმდეგო, რადგან დროის მსვლელობის კვალდაკვალ ძირფესვიანად გადაახალისა და გარდაჰქმნა ურთიერთდამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ ქალბატონ ბაბილის პიროვნებაში ბევრი მომჯადოებელი და მომნუსხველი თვისება აღმოაჩინა. ასეთ სულიერ, თვალით. უხილავ ბრძოლებში ბატონი სეფედავლე საკმაოდ გამობრძმედილი, მრავალნაცადი მეომარი გახლდათ და ჯერჯერობით მოქმედების დაწყებას თავშეკავება ამჯობინა, პირველი ნაბიჯის გადასადგმელად ალბათ უკეთეს დღეს ელოდებოდა.

ქალბატონ ბაბილის, როგორც მოგახსენეთ, გუნება საგრძნობლად გამოუკეთდა, ბოლო დროს თითქოს მეორედ დაიბადა და აღორძინდა, უბრალოდ რომ ვთქვა, ცხოვრებას დაუბრუნდა და თვითონაც დაიბრუნა ის, რაც დაკარგული ეგონა, რაზეც ხელი ერთხელ და სამუ-

დამოდ ჩაიქნია. დიდად ემადლიერებოდა ბატონ სეფედავლეს, გუნებაში აღმერთებდა კიდეც, ეგ კაცი რომ არა, ოჯახი დამენგრეოდაო, მხოლოდ მან დამიბრუნა საკუთარი თავისა და ადამიანებისადმი რწმენა, ჩემი სიცოცხლე ცხოველმყოფელი აზრითა და ხელშესახები მიზნით გამსჭვალაო, აღფრთოვანებას ველარ მალავდა.

ფერისცვალება კი ასე დაიწყო: ქალბატონ ბაბილის ძალზე რომ გაუჭირდა და პურის ფულიც შემოელია, ოჯახიდან მორიგი ნივთის გატანა და გაყიდვა გადაწყვიტა. ეს ბიჭი, ცხადია, ვაჟიშვილს გულისხმობდა, დღედაღამ წიგნებში ჩაფლული მეცადინეობს და შიმშილით სულს ხომ არ ამოვხდიო. ბატონი სეფედავლე ადრევე შეუთანხმდა, თუ რომელიმე ნივთის გაყიდვას დააპირებთ, უსათუოდ შემატყობინეთ, უჩემოდ ხელი არაფერს ახლოთო, ამიტომ ქალბატონმა ბაბილიმ პირველად ბატონ სეფედავლეს გაუმჟღავნა, დიდი დარბაზის სარკე უნდა გავყიდო, შიგ მაინც არავინ იხედებაო. თანხაც დაუსახელა, კარგი იქნება თუ ამ ფასად გაიყიდებაო, და შინ შეუძღვა სტუმარს. ბატონმა სეფედავლემ იცოდა, რაც ღირდა ეს უიშვიათესი ბროლის სარკე — შავი ხის ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული და ასევე შავი ხის ნახევრად ოვალური მაგიდიდან აღმართული. სარკის წინ ერთხანს დაფიქრებული იდგა, მერმე სარკეში თავის გამოსახულებას დააკვირდა, თვალი თვალში გაუყარა და ნელ-ნელა სამიოდე ნაბიჯით უკან დაიხია; უცებ ხელის მკვეთრი მოძრაობით თითი წინ გაიშვირა და, ამ სარკეს მე ვიყიდიო, ისე თქვა, თითქოს მტკიცე გადაწყვეტილება მხოლოდ სარკიდან გამომზირალ ორეულს გაუმხილა.

ფორმალურად მაინც შეადგინეს ნასყიდობის ქაღალდი, ქალბატონმა ბაბილიმ ხელი მოაწერა, ბატონმა სეფედავლემ გამოართვა, არც დაუხედავს, დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და, რახან საქმეზე აგვიანდებოდა, სწრაფად გაემართა გასავლელ კარისაკენ, მანამდე კი ფული მაგიდაზე დატოვა. მერმე გავიდა ერთი კვირა, მეორე... ქალბატონი ბაბილი ყოველ დღე ელოდებოდა, უსათუოდ მოვა, მუშებს მოიყვანს და სარკეს წაიღებსო, მაგრამ ბატონი სეფედავლე მოსვლას აგვიანებდა, ქალბატონი ღელავდა, რა ვქნა, ამ კაცს რა დაემართა, რატომ არ მოდისო. ეს კაცი მხოლოდ მესამე კვირის ბოლოს გამოცხადდა, მოვიდა ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის მოდიოდა: ოჯახი მოინახულა, ხოზრევანი, ქალბატონ ბაბილის ვაჟი მოიკითხა და ერთი ფინჯანი მურაბიანი ჩაი დალია. წასვლისას ქალბატონმა ბაბილიმ ძლივს შეჰბედა, ამ სარკეს როდის წაიღებთო. რა სარკეო, გაოცდა ბატონი სეფედავლე, მე ეგ სარკე ხოზრევან და გოგრიჭ ტლაშურების სახლ-მუზეუმისთვის შევიძინე, მუდამ ამ დარბაზში იდგა და სამუდამოდ ამ დარბაზში დარჩებაო, ბოლოს ესე გაასრულა ნათქვამი: თუ საჭირო იქნება, სახლ-მუზეუმს სხვა ნივთებსაც შევუძენო. ქალბატონმა ბაბილიმ უეცრად ფერი დაკარგა, ჭარბი მღელვარებისაგან მუხლები მოეკვეთა, ბატონმა სეფედავლემ ხელი შეაშველა და სკამზე ფრთხილად დასვა.

ქალბატონ ბაბილის ბრუდახვეულ მეხსიერებაში, როგორც საღამოს ბინდბუნდში, ის დღე ამოტივტივდა, როცა ბატონმა სეფედავლემ ქუჩაში გაიხმო და გალავნისკენ შემობრუნებულმა აგურის კედელზე ორივე ხელით დიდი ოთხკუთხედი შემოხაზა და მერმე, ხოზრევან და გოგრიჭ ტლაშურების მემორიალური დაფა აქ გაიკვრებაო, უთხრა მტკიცე, გაუბზარავი ხმით. მას შემდეგ ბევრი იოცნება ქალბატონმა ბაბილიმ, ბერჯერ წარმოიდგინა გალავნის კედელზე გაკრული მემორიალური დაფა, ოქროს ასოებიანი წარწერა, მაგრამ დრო მაინც დროა და თავისას არ იშლის, ოცნებებსა და ფიქრებს როგორც ღრუბლებს, მიერეკება და ანიავებს. და აი, ქალბატონი ბაბილი ახლა ისევ დარწმუნდა, რომ ბატონი სეფედავლეს მაშინდელი სიტყვა ლიტონი არ ყოფი-

ლა, ამ ღვთისნიერ კაცს, ტლაშურების ოჯახის სახელისა და დიდების გადასარჩენად მოვლენილს, რაც უთქვამს,—გულით უთქვამს, ერთხელ ნათქვამი არ დავიწყებია და არჩეული გზით შეუპოვრად მიემართება. ქალბატონ ბაბილის ისიც გაახსენდა, რა უტიფრად ძარცვავდნენ ტლაშურების ოჯახს ჯერ მენშევიკური გვარდიის თავხედი და უზრდელი ოფიცრები (გაუპატიურებაც კი დაუპირეს), ყელიდან, თითებიდან ყურის ბიბილოებიდან პირდაპირ გლეჯდნენ სამკაულებს. რამდენიმე თვის შემდეგ კი ჩამოძენძილი და დამშეული ბოლშევიკები შემოუცვივდნენ და ოჯახი ხელმეორედ დაურბიეს, წასაღები მიჰქონდათ, თან იმუქრებოდნენ, თქვენი დრო წავიდა, ჯერ სადა ხართ, ხვალ უარეს დღეს დაგაყრითო. არ ავიწყდებოდა, არ ავიწყდებოდა, არ ავიწყდებოდა... ძარცვა-განუკითხავობას, შეურაცხყოფას, აბუჩად აგდებას დღემდე ქალბატონი ბაბილი მარტო გამწარებული სულით კი არა, დაღლილი სხეულითაც დაატარებდა, როგორც გარეწარ, მოძალადე პატივამყრელის ნაყოფს და ვეღარ იშორებ-

საღამოს უნივერსიტეტიდან დაბრუნებულ ვაჟიშვილს შთამბეჭდავად უამბო ბატონი სეფედავლეს დღევანდელი სტუმრობა, ლაპარაკობდა აღელვებულიც, დამშვიდებულიც, ბედნიერიც, ისიც უთხრა, ჩვენს ოჯახს ნამდვილი მხსნელი მოევლინა და ამიერიდან ტლაშურების ცნობილი სახლი გადარჩენილად შეიძლება ჩაითვალოს, პაპაშენისა და მამაშენის მემორიალური დაფა უსათუოდ გაიკვრებაო. ხოზრევანს, გოგრიჭის ძეს, ეს ყველაფერი ერთხელ უკვე მოსმენილი ჰქონდა, თან ლექციებიდან ლოგარითმებითა და ინტეგრალებით იმდენად დარეტიანებული დაბრუნდა, მონაყოლისადმი ყურადღება მაინცდამაინც არ გამოუჩენია. კაცმა რომ თქვას, მისთვის ყოველთვის სულერთი იყო, ვინ იყიდდა ოდესღაც პაპის შეძენილ სარკეს, ბატონი სეფედავლე თუ სხვა ვინმე, ოჯახში დარჩებოდა რომელიმე ნივთი თუ გაიტანდნენ. სახლსაც და ოთახებშიც განლაგებულ ნივთებსაც მუდამ გულგრილად უყურებდა, [illegible] დაინტერესებულა, სადაფითა და ძვლითაფსი ლითონით ინკრუსტირებული ეს ულამაზესი ბული ფრანგი ოსტატების ხელით შექმნილი შედევრი იყო თუ ვიღაც ხელოსნების ნახელავი. თავად ბატონ სეფედავლეს კი ნამდვილად პატივს სცემდა, ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი და ზოგჯერ სიამოვნებითაც მოუსმენია ამ ჭეშმარიტ მოქალაქესა და საზოგადო მოღვაწეზე კეთილი სიტყვა. დღეს ჩადენილმა ქველმოქმედებამ, დედისაგან განსხვავებით, სიხარული არ მოჰგვარა, პირიქით, დათრგუნა კიდეც, რაღაც არ მოეწონა, არ ესიამოვნა, რა? — არ დაფიქრებულა, არ ჩაღრმავებია, არ ჩაძიებია, ეს კითხვა სხვა ფიქრით გართულმა მიაფუჩეჩა, რაც ანალიტიკური ბუნების კაცს არ ეგებოდა.

ქალბატონი ბაბილი თვრამეტი-ცხრამეტი წლისა შემოვიდა ტლაშურების ოჯახში და გვარი გამოიცვალა — ტლაშური გახდა, სწორედ რომ გახდა, სიტყვის იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ოჯახის მამას ბატონ ხოზრევანს გაეგებოდა. შემოსვლის პირველივე დღიდან თავისი სახლისკენ, სადაც დაიბადა, გაიზარდა და თითქმის ორი ათეული წელი გაატარა, აღარ მიუხედავს, აღარც ქალიშვილობის გვარი გახსენებია. ტლაშურების ოჯახის ჰაერით სუნთქავდა, ტლაშურების ოჯახის საქმით საქმიანობდა, სულდგმულობდა და ცხოვრობდა, თითქოს აქ იყო მისი სისხლხორცეული ფუძე, თითქოს ამ ნიადაგზე აღმოცენდა. ხოზრევან ტლაშურმა იმთავითვე იგრძნო რძლის უსაზღვრო ერთგულება, თითქმის განწირული თავდადება ტლაშურების გვარისა და მონაგარისადმი, შვილივით შეიყვარა და მთავარ იმედსაც მასზე ამყარებდა — ოჯახის ბურჯად მწედ და, ამავე დროს, მფარველ ანგელოსად თვლიდა, რადგან ერთადერთი მემკვიდრე გოგრიჭ ტლაშური მამის გაკვალულ გზას არ გაჰყვა, მომავალი თაო-

ბის ზნეობრივი სიჯანსაღე და განათლება მიიჩნია ქვეყნის გადარჩენის ჭეშმარიტ გზად და არა — დოვლათის შექმნა. ქალბატონი ბაბილი ერთნაირად მიაგებდა პატივს მამამთილის ღვაწლსაც — მეწარმეობის აღორძინება-განვითარებას და მეუღლის ზრუნვასაც, ახალგაზრდობის მორალურ სისპეტაკესა და განათლების დაუფლებაზე გაწეულ ამაგს რომ გულისხმობდა. ერთიცა და მეორეც დიდი საქვეყნო საქმეაო, ფიქრობდა, მამამთილსაც და მეუღლესაც მხარში ედგა, ხელს უმართავდა და ამხნევებდა, მაგრამ დროის უკულმართობის გამო ორივენი — მამამთილიცა და მეუღლეც უსამართლოდ დაისაჯნენ და მოწამებრივი სიკვდილით აღესრულნენ.

ქალბატონ ბაბილის რაღა დარჩა? მხოლოდ და მხოლოდ მათი სახელების გადარჩენისა და უკვდავყოფის იმედი, რომელიც დუხჭირ ჟამთა სვლაში დღითი დღე ინავლებოდა, ცივდებოდა და ქრებოდა. ახლა კი, ბატონი სეფედავლეს წყალობით, იმედის სხივმა სადღაც გულის სიღრმეში ისევ გაიელვა და ქალბატონი ბაბილიც ამ სხივიოა თუ ძალისმომგვრელი ენერგიით ნელნელა იმუხტებოდა და ივსებოდა. სულ ერთი ნაპერწკალი სჭირდებოდა ცეცხლის აბრიალებას. ის ერთი ნაპერწკალი გაიკვესა და ცეცხლი აბრიალდა. თანდათანობით ქალი ქალს დაემსგავსა, სახლი — სახლს და ეზო—ეზოს: ყურს მიუგდებდი და ყოველი ცაცხვი დამამშვიდებლად, შვების მომგვრელად იწყებდა შრიალს: ფოთლებში შეყუჟული ბეღურებიც ხალისიანად ჟივჟივებდნენ, ეს დალოცვილი შაშვები ხომ გულში ჩამწვდომი გალობით უფრო გასაგებად გამცნობდნენ, რისთვის იყვნენ ამ ქვეყნად გაჩენილნი, ხოლო ეზოში გავლილი ქალბატონი ბაბილი რომ დაგენახა, უსათუოდ იტყოდი, თვალი მომეცი და მაყურებინეო.

ბატონ სეფედავლეს, განგების ნებით, თვალი მიცემული ჰქონდა და უყურებდა, არა მარტო უყურებდა, ზოგჯერ ამ ხილვით ტკბებოდა კიდეც, ნეტავი ქალბატონს ეს მშვენიერება აქამდე სად ჰქონდა შეფუთული ედა [illegible] ფიქრობდა გაოცებული [illegible] მცნობი დიდოსტატი, ვუყურებ და მზის სხივებით გაზავებულ ვარდის წყალში განბანილი მგონიაო. თვეში ერთხელ თუ მოდიოდა, ახლა ყოველთვიური გრაფიკი შეცვალა და ორჯერ ეახლება ხოლმე, თავის მამაკაცურ გარეგნობასაც და ჩაცმა-დახურვასაც მეტი ყურადღება დაუთმო, გაიხსენა ახალგაზრდობის წლები, ლონდონი, უესტ-ენდის კვარტალში გასეირნება, მართალია, ის ღამე კინგზ-კროსის ვაგზალში გაათია, მაგრამ გასეირნებით მაინც კმაყოფილი დარჩა. მიუხედავად ტკბილი მოგონებისა, საქმის ძირითადი არსი არ ავიწყდებოდა, გამოუცდელი ანუ უწრთვნელი ჭაბუკივით ვნებათა ღელვას ჯერჯერობით თავდავიწყებამდე არ აჰყოლია და მთავარი მიზნისათვის ერთი წუთითაც არ უღალატია. ქალბატონი ბაბილის სულითა და ხორცით ამგვარ აღორძინებას, ცხადია, მეტი ფულადი სახსარი სჭირდებოდა, ბატონი სეფედავლეც იძენდა და იძენდა უფრო და უფრო იაფად ტლაშურების სახლის ოჯახურ რელიქვიებს და იქვე სამომავლოდ ტოვებდა.

საოცარი კი ის იყო, რომ ყოველი ნივთის გაყიდვა და შინ დატოვება ქალბატონ ბაბილის განსაკუთრებულ სიამოვნებასა და სიხარულს გვრიდა, სანუკვარი ოცნების ახდენას აახლოვებდა; ხოზრევან და გოგრიჭ ტლაშურების სახლ-მუზეუმის შესაქმნელად კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგაო, კმაყოფილი ეუბნებოდა ვაჟიშვილს და მეტი მონდომებითა თუ გატაცებით ემზადებოდა ბედნიერი დღის შესახვედრად. ყოველ გაყიდულ ნივთს ახლა ოჯახის საკუთრებად და რელიქვიად კი არა, უკვე მუზეუმის ექსპონატად აღიქვამდა, უვლიდა, დაჰკანკალებდა, ყოველდღიურად მტვერს წმენდდა და ნიგვზის ზეთით გაჟღენთილი ჩვრით სარკესავით აკრიალებდა და აპრიალებდა. ამიტომ უვლიდა სახლსაც და ეზოსაც — სამუზეუმოდ

ამზადებდა, თვითონაც ემზადებოდა. ცოტა აკლდა, სულ ცოტა, თავი რომ ნამდვილ თანამშრომლად წარმოედგინა: რამდენიმე უბრალო ნივთი-ღა დარჩა გასაყიდი... არა — შესაძენი. შეიძლება ეს ნივთები ოჯახისათვის უმნიშვნელო დანაკარგად ჩაითვალოს, მაგრამ სახლმუზეუმისათვის, რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვანი შენაძენი იქნებაო. ფიქროდა ქალბატონი ბაბილი.

თითქმის ასევე ფიქრობდა ბატონი სეფედავლეც, სულ რამდენიმე ნივთსაც ვიყიდი და ავეჯის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდებაო, თან იმითაც იყო უაღრესად ნასიამოვნები, ქალბატონი ბაბილი ფრიად კმაყოფილი რომ ჰყავდა, იმითაც, შეუძლებელი რომ შეძლო: ქალი დაუბრუნა განგების მიერ ერთხელ მინიჭებულ და მერმე წართმეულ ქალურ საწყისს. ვისაც ქალისა ცოტა რამ გაეგება, იცის, ბუნებაში იშვიათად ხდება ამგვარი აღორძინება და თუ მაინც ხდება, ისიც ეცოდინება, რა მამაკაცურ ღირსებებთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული.

ცხადია, როდესაც ამაღლებულ ადამიანურ ვნებათა ღელვასა თუ ჭიდილში ანუ წმინდა სულიერ მისწრაფებებში ნივთიერი სამყარო შემოიჭრება, ვნება ჰკარგავს თავის ცხოველმყოფელობას, უფერულდება და შესაძლოა, დაკნინდეს კიდეც. რას იზამ, როგორც ფრანგები იტყვიან: ასეთია ცხოვრება. ეს ფრთიანი გამოთქმა ფრანგებმა სწორედ ამგვარი შემთხვევებისათვის გადმოუგდეს კაცობრიობას დასამშვიდებლად და სანუგეშებლად. ჩვენც დავმშვიდდეთ და დავშოშმინდეთ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მით უმეტეს, რომ ბატონი სეფედავლე მაისის ამ უღრუბლო, მზით გაჩახჩახებულ დღეს დილიდანვე ემზადებოდა სადარბაზოდ, დღეს უსათუოდ უნდა ეახლოს ქალბატონ ბაბილის. პირი გაიპარსა, გახამებულ-გაქათქათებული პერანგი ჩაიცვა, საყელოზე თეთრკოპლებიანი ლურჯი ჰალსტუხი მოირგო და პატარა, სამაგიდო სარკეში კიდევ ერთხელ ჩაიხედა. თავი დანანებით გაიქნია, ტლაშურების დიდ დარბაზში მდგარი სარკე ისატრა, ნეტავი ჩამახედა, მთლიანად ანუ თავიდან ფეხებამდე როგორ გამოვიყურებიო. ამას ვერაფრით დააზუსტებდა, სანამ ტლაშურების სახლში არ მივიდოდა და საყვარელ სარკეში არ ჩაიხედავდა. ის სარკე აქ რომ ჰქონოდა, მაინც ვერ გამართავდა, ამ თაგვის სოროსათვის, ამ უბადრუკ ორ ოთახიან ბინისათვის გინდაც ჭერი აეხადა.

ერთი უმნიშვნელოვანესი საქმე დღეს მოთავდებოდა, ტლაშურების სახლ-მუზეუმისათვის შეიძენდა ტყავის ორ საკარძელს — საკმაოდ გაცვეთილ-შელანძღულს, ერთ ძველებურ, ფარდაგადაფარებულ ტახტსა და თეთრთავიანი, ამერიკული არწივის ფიტულს, რომელიც სანახევროდ ფრთებგაშლილი რატომღაც ფრანგულ ბულზე იდგა და მოყვითალო თვალებს მრისხანედ აელვარებდა. ეს ნივთები-ღა დარჩა საყიდელი, დანარჩენი ნაგავი იყო, ყველა სახლში ბლომად რომ მოიძევა და გადასაყრელად მაინც ვერავინ იმეტებს, თავიდან ვერავინ იშორებს ბედისწერასავით. ბატონი სეფედავლე უკვე ტლაშურების ჭიშკართან იდგა, ზარის სახელურს შეავლო ხელი და ზედიზედ ორ-ორჯერ ჩამოჰკრა. ზარს ყოველთვის ასე რეკავდა და მცირე ყოვნით ორ-ორჯერ ჩამოჰკრავდა ხოლმე და ამ წყვეტილ წკრიალს ქალბატონი ბაბილიც შეაჩვია—პაროლივით იყო, დარეკავდა და ქალბატონმა ბაბილიმ გალავნის შიგნით დაუეჭვებლად იცოდა, ჭიშკართან ვინ იდგა.

ვინ არისო, ყოველი შემთხვევისთვის მაინც იკითხა ქალბატონმა ბაბილიმ, ვითომ არ იცისო, გაიღიმა ბატონმა სეფედავლემ და ოდნავ შეცვლილი ხმით უპასუხა, მე ვარო, აა, გიცანით. გიცანითო, კარი გაუღო გამხიარულებულმა მასპინძელმა, რა ხანია, ორივეს მოსწონდა ამ პატარა სცენარის გათამაშება, ორივეს ახალისებდა და კარგ გუნებაზე აყენებდა. ახლაც ხალისიანად შემოვიდა

სტუმარი, ჩვეულებისამებრ თვალი გადაავლო კარ-მიდამოს, აგურის კედლის გასწვრივ იასამნები ყვაოდა, მწვანე მოლი ხასხასებდა, შადრევნიდან წყალი ჩქეფდა და საამოდ ჟღურტულებდა. ქალბატონმა ბაბილიმაც მიმოიხედა გარშემო და კმაყოფილი ღიმილით ხელები გაშალა, თითქოს ჰკითხა, როგორ მოგწონთ აქაურობაო. ტლაშურების სახლი თანდათან ემსგავსებოდა სახლ-მუზეუმს და ქალბატონი ბაბილი, ბედნიერი და მშვენიერი ქალბატონი ბაბილი მზად იყო ყველა კეთილმოსურნე სტუმრის მისაღებად.

ბოლო ნივთებიც გაიყიდა ანუ სახლ-მუზეუმმა შეიძინა ტლაშურების ნაქონი სავარძლები, ძველი ტახტი და, რაც მთავარია, თეთრთავიანი არწივის ფიტული — ტლაშურთა გვარის სიამაყისა და ძლიერების სიმბოლო. ნასყიდობის ქაღალდიც დაიწერა და ახლა ქალბატონი ბაბილის სრული ბედნიერებისათვის ჭიშკართან, გალავნის აგურის კედელზე მემორიალური დაფის გაკვრაა საჭირო. რა თქმა უნდა, ამის დროც მოვა, უსათუოდ დადგება ის დღე, როცა გალავანთან ხალხი შეიკრიბება და საზეიმო ტაშის გრიალში გაიხსნება მემორიალური დაფაც და სახლ-მუზეუმიც. პირველ სიტყვას, ცხადია, ბატონი სეფედავლე იტყვის, რამეთუ ყველაზე უკეთ მან უწყის ამ გაუბედურებული ოჯახის ღვაწლი და დამსახურება არანაკლებ გაუბედურებული ერის წინაშე.

ბატონი სეფედავლე ცაცხვების ჩრდილში მაგიდას უჯდა და „რეკორდს“ აბოლებდა, მაგიდაზე მურაბიანი ვაზა და ქალბატონ ბაბილის მიერ ამ დღისთვის საგანგებოდ გამომცხვარი ქადის ნაჭრები ელაგა. ჩაისაც მოიტანდა და მათ ურთიერთობაში ალბათ გაიკაფებოდა ახალი გზა, ბოლოს და ბოლოს გამჟღავნდებოდა ანუ გაცხადდებოდა ის, რაც აქამდე ფარულად ვითარდებოდა და მზადდებოდა, მამაკაცური გამოცდილება და ალღო არ ღალატობდა, დარწმუნებული იყო, ჩიტს თვითონვე უნდოდა აფრენა და ხელის აქნევას ელოდებოდა.

ბატონი სეფედავლე ცაცხვების ჩრდილში იჯდა და პაპიროსს აბოლებდა, ნიკაპი მარცხენა ხელზე ჰქონდა ჩამოყრდნობილი და დაფიქრებული ტლაშურების სახლს მისჩერებოდა. ცხოვრების უკულმართობაზე ჩაფიქრებულს რატომღაც გაახსენდა ფრაუ ლიზხენი. — ბერლინელი მეფუნთუშეს ქვრივი, რატომღაც კი არა, ქერა, ოქროსფრად მბზინავმა თმამ და თვალების მომწვანო-მოცისფრო შუქმა გაახსენა მშვენიერი ფრაუ მარია-ლიზხენი. — აჰ, ფრაუ, ფრაუ! როგორ აგონებდა ახლა ქალბატონ ბაბილის, ოღონდ ცოტა უფრო დაბალი, ჩაპუნტულებული იყო და მარად ახალგამომცხვარი ფუნთუშის დაუნდობელი სურნელი ასდიოდა. მაინც ბედი წყალობდა, სადაც მიდიოდა, ერთგული ძაღლივით ბედი ყოველთვის უკან დაჰყვებოდა, კეთილი ანა-მარია-ლიზხენი რომ არ შეხვედროდა, იმ გაუბედურებულ სტუდენტს უცხო, დიდ ქალაქში ანუ ბერლინის ბნელ ჯურღმულებში შიმშილით სული აღმოხდებოდა, ფრაუმ შეიკედლა, დააპურა და დააგრილა ახალგაზრდა სეფედავლე. კიდევ კარგი, ადამიანს მეხსიერება უბოძა განგებამ, ხანდახან მადლიერების გრძნობით გაიხსენებ. გარდასულ დღეებს, თორემ უმეხსიერებოდ კაცობრიობა ნამდვილად უმადურობის ჭაობად გადაიქცეოდა.

და, აჰა, ქალბატონი ბაბილიც გამოჩნდა, სახლიდან გამოვიდა, პატარა ტერასა გამოიარა, ოთხიოდე კიბე ჩამოთავა და ბედნიერად გაღიმებული ბატონი სეფედავლესკენ მოიჩქარის, ცხელი ჩაიდანი მოაქვს, ფინჯანი ქაფქაფა ჩაით რომ აუვსოს, მოდის, ფეხადგმული მაისივით განათებული და გაბრწყინებული მზის გულზე მოეშურება. მოვიდა, ჩაით შეავსო ორი ფინჯანი, თვითონაც მიუჯდა მაგიდას და მღელვარებისაგან დაფანტული გონების მოკრება სცადა, დღევანდელი განწყობის შესაფერისი სიტყვებით მადლობის გრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა რომ გამოეხატა. მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა, საგანგებოდ შერჩეულ რამდენიმე სიტყვას თავი ვერ მოუყარა, წინადადებად ვერ დაალაგა, უფრო მეტად დაიბნა და სახეზე სიმორცხვის ალმურმაც კი გადაუარა.

ბატონი სეფედავლე თავდახრილიც გრძნობდა ქალბატონ ბაბილის ენით აუწერელ მღელვარებას, ალმურმოკიდებულ დამორცხვებას, სულისა და სხეულის გადავიწყებულ თრთოლვას, ისიც იცოდა, ამ გალავანში ახლა მარტონი არიან, როგორც სამოთხეში ადამი და ევა, საკმარისია თავის აღება, თვალის გასწორება და... ასეც მოიქცა, თავი აიღო და ქალბატონ ბაბილის შეხედა, მოულოდნელად შეცბუნდა, რასაც მოელოდა, ის ვერ დაინახა, ქალბატონ ბაბილის თვალებიდან სხვა ქალი იხედებოდა, იქ სხვა ცეცხლი ენთო, სხვანაირი, ცივი ცეცხლი, რომელიც გასათბობად არ გიზიდავდა, არ გათბობდა. სივრცეში მათი მზერაც შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ გულმა პასუხად ნაპერწკლები ჩვეულებისამებრ არ გაჰყარა. ბატონი სეფედავლე უცებ მიხვდა, ვისთანაც მოვიდა, ის ქალი არ დახვედრია, მიხვდა იმასაც, მთელი ცხოვრების მანძილზე პირველად შეცდა, პირველად უმტყუნა მამაკაცურმა ალღომ. ეს ქალი მის გამო არ აღორძინებულა, ჟამით ჟამამდე მასთან შესახვედრად არ ემზადებოდა, მისკენ არ ილტვოდა და არ ისწრაფოდა. ქალის ნაცვლად აქ დახვდა მუზეუმის თავდადებული თანამშრომელი, რომელიც მზად იყო, ახლავე სტუმრისთვის დაეთვალიერებინა ტლაშურების სახლ-მუზეუმი, აეხსნა და განემარტა ყოველი ექსპონატის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა და დანიშნულება. ბატონი სეფედავლე წამოდგა და ისევ დაჯდა, ვითომ ჯიბიდან პაპიროსის კოლოფის ამოღება უნდოდა, ასეთი მარცხი არასოდეს განუცდია და ცდილობდა, ეს მოულოდნელი გაწბილება გარეგნულად არ დატყობოდა, კადნიერი თავდაჯერებულება როგორმე დაეცხრო.

ქალბატონ ბაბილის არაფერი შეუნიშნავს, არც შეეძლო შეენიშნა, დღევანდელი დღით იმდენად ბედნიერი და კმაყოფილი იყო, მადლიერების გამოსახატავად სიტყვის თქმასაც აპირებდა, მაგრამ ბატონმა სეფედავლემ არ ათქმევინა, რა საჭიროა, ყველაფერი ისედაც დღესავით ნათელიაო. მოვლენის დასასრული მაინც არაბუნებრივად და არალოგიკურად მიაჩნდა, ჩვენი ურთიერთობა ისე ვითარდებოდა, ამგვარი ბოლო არ უნდა ჰქონოდა ანდა იმთავითვე რაღაც შემეშალა, ზუსტად ვერ გავთვალეო. რა თქმა უნდა, დღესაც უამრავი საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი, ფინჯნიდან შეგრილებული ჩაი მოსვა, წამოდგა და ქალბატონ ბაბილის ბოდიში მოუხადა, დრო დაუნდობლად გარბისო. ქალბატონმა ბაბილიმ ჭიშკრამდე მიაცილა, კარი გაუღო, ბატონი სეფედავლე ქუჩაში გავიდა, კიდევ ერთხელ დავემშვიდობებიო, მობრუნდა, თითქმის ბოლომდე მიხურულ კარის ღრიჭოდან ბედნიერებით შეშლილი ქალი უღიმოდა, მიმავალს გზაში გაახსენდა, ასეთი ღიმილით საგიჟეთის გისოსებიანი ფანჯრებიდან იხედებიან თმადაკრეჭილი ქალები, ყველანი ერთნაირად იღიმებიან, თუკი ღიმილის გუნებაზე არიან, თუკი ეღიმილებათ.

ახლა ნამდვილად შეეცოდა კარის ღრიჭოდან მომღიმარი ქალი, რომელიც სრულიად მოუმზადებელი ცხოვრების შუაგულ მორევში აღმოჩნდა მოსროლილი. როცა ზღვაში შედიხარ, ცურვა თუ არა, ადამიანს ხელების ქნევა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფართხალი მაინც უნდა შეეძლოსო, ფიქრობდა ქუჩაში მარტოდ მარტო მიმავალი ბატონი სეფედავლე და თვალნათლივ ხედავდა, ბედნიერი და ნეტარი ქალბატონი ბაბილი უდრტვინველად როგორ იძირებოდა. ჯერაც არ იცოდა, რომ საკუთარ სახლში თითზე გადასახვევი ძაფიც აღარ დარჩა ტლაშურებისა, ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებო-

და, გაყიდული ჰქონდა, ნასყიდობის ქაღალდზე თავისი ხელმოწერით დადასტურებული. კაცმა რომ თქვას, ბატონ სეფედავლეს სინდის-ნამუსი სუფთა და კრიალა აქვს, უკანონოდ ნაბიჯიც არ გადაუდგამს, სამართლიანობის ერთგული მსახური კანონიერებას ბოლომდე მკაცრად იცავდა და თუ ნივთები ტლაშურების ბინიდან არ გაუტანია და არ წაულია, ეს მის ნებასურვილზეა დამოკიდებული. საკუთარ ბინაში ნივთების დასალაგებელი ადგილიც რომ აღმოჩენოდა, მაინც არ წაიღებდა, რადგან შესყიდვის პროცესი არ დასრულებულა, შესაძლებელია ყველა შეძენილი ნივთი აქვე დატოვოს, ცხადია, თუკი ტლაშურების სახლიც გაიყიდება და ბატონი სეფედავლე შეიძენს. ამ შემთხვევაში ნივთების გადატან-გადმოტანა აღარ დასჭირდება, მხოლოდ ქალბატონ ბაბილისა და ფიზიკა-მათემატიკით შეპყრობილ მის ვაჟიშვილს მოუწევთ ოდნავ გადაადგილება.

მოვლენები ჭეშმარიტად ბატონ სეფედავლეს სასარგებლოდ ვითარდებოდა, დრო პირდაპირ მისი წისქვილის ბორბალზე ასხამდა წყალს. ბოლო შეხვედრის დღიდან თითქმის ერთი თვე გავიდა და 1941 წლის 21 ივნისს, დილაადრიანად რადიომ თავზარდამცემი ცნობა გადმოსცა, ფაშისტური გერმანიის მოტომექანიზებულმა სამხედრო ნაწილებმა საბჭოთა კავშირის საზღვარი გადმოლახესო, ერთი სიტყვით, ომი დაიწყო, დიდი, გამანადგურებელი ომი. ქალბატონ ბაბილის ვაჟი ხოზრევან ტლაშური სხვა სტუდენტებთან ერთად უნივერსიტეტიდან მეორე დღესვე სამხედრო კომისარიატში წაიყვანეს და იქვე ჯარისკაცის ტანსაცმელი ჩააცვეს, ხოლო მესამე თუ მეოთხე დღეს ახალწვეულებით დატვირთული ეშელონები ბაქოს გზას გაუყენეს. ქალბატონმა ბაბილიმ ვერც მოასწრო გააზრება, რა მოხდა, რა მეხი დაეცა, მისი ერთადერთი შვილი ისე მოწყვიტეს აქაურობას, გაოგნებული და შეძრწუნებული დიდხანს იდგა ნავთლუღის რკინიგზის სათადარიგო ბაქანზე და უსაბრალობისაკენ მიმავალ მატარებელს ეშვილი, გაშტერებული თვალებით აცქერდა.

უკვე მოგახსენეთ, ომმა თავზარი დასცა ქვეყანას და, ცხადია, ბატონი სეფედავლეც სასამართლოებიდან ადვოკატთა კოლეგიაში და ადვოკატთა კოლეგიიდან სასამართლოებში თავზარდაცემული დადიოდა, რადგან ომის პირველი დღეებიდანვე რატომღაც სისხლის სამართლის დანაშაულმა საგრძნობლად იკლო და შესაბამისად შემოსავლის წყაროც დაწდა და დაიშრიტა. ამასობაში ბატონი სეფედავლეც იხმეს სამხედრო კომისარიატში, შეუმოწმეს ჯანმრთელობა და თადარიგის ოფიცრის მუნდირიც უბოძეს, თან გააფრთხილეს, საჭიროების შემთხვევაში ამა და ამ პუნქტში გამოცხადდებითო. არაერთხელ მითქვამს და ახლაც მთელი პასუხისმგებლობით დავადასტურებ, კაკუბანების თანდაყოლილმა უტყუარმა ალღომ და ყნოსვამ არც ახლა უღალატა ბატონ სეფედავლეს, როგორც კი თვალი გადაავლო გამწარებული და გასავათებული ხალხით გადატენილ სამხედრო კომისარიატის ბნელსა და გაბინძურებულ კორიდორებს, მიხვდა, ამ ხალხის შველა შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმათი მაინც, სამხედრო სამსახურისთვის ანუ საომრად რომ არაფრად ვარგოდნენ და განუკითხავად ფრონტზე გზავნიდნენ. სულ მალე აამუშავა საოცარი მექანიზმი — ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულებისა და დაკონტაქტების უნარი და ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. სამხედრო კომისრებთან და სამედიცინო პერსონალთან შეთანხმებით ჯარში გაწვევისაგან გაათავისუფლა თითქმის ყველა ჯურის ავადმყოფი და ხეიბარი, ვისაც გარკვეული საფასურის გადახდა შეეძლო, ცხადია, განთავისუფლებულთა შორის აქა-იქ ყოვლად ჯანმრთელიც გამოერეოდა ხოლმე, მაგრამ მათი რაოდენობა შედარებით უმნიშვნელო იყო და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მაინცდამაინც არ დასტყობია, მით უმეტეს რომ საქართ-

ველოდან ომში წასულთა რიცხვმა მილიონის მეოთხედს გადააჭარბა.

ახალი საქმიანობის გაჩაღებამდე, ტლაშურების სახლს ეწვია და ქალბატონი ბაბილი მოინახულა, რა თქმა უნდა, საკუთარი ავეჯიც დაათვალიერა, შეამოწმა, ყველფერი ადგილზე იდგა თუ არ იდგა, განსაკუთრებით დიდი სარკისკენ მიუწევდა გული, აინტერესებდა, სარკეში როგორ გამოიყურებოდა შინაგანი ჯარების ფორმაში გამოწყობილი თადარიგის მაიორი სეფედავლე კაკუბანი. დაბნეულმა და თავზარდაკარგულმა ქალბატონმა ბაბილიმ ფორმიანი მამაკაცი სამხედრო კომისარიატიდან მოსული ეგონა და შეკრთა, ცუდი ამბავი ხომ არ მომიტანაო, მაგრამ ბატონმა სეფედავლემ დაამშვიდა, მე ვარ, ნუ გეშინიათო. თქვენც საომრად მიემგზავრებითო, უცხო, განურჩეველი ხმით ჰკითხა ბატონ სეფედავლეს. ბატონმა სეფედავლემ როგორც კი ქალბატონი მასპინძელი დაინახა და მისი ხმაც გაიგონა, ის უბედური და უდღეური ჯარში წაუყვანიათო, გაიფიქრა და შეკითხვასაც უპასუხა, ქალბატონო, ახლა ყველანი — თქვენცა და მეც გასამხედროებულები ვართო.

ქალაქში ზაფხულის ხვატი მძვინვარებდა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ბატონ სეფედავლეს სიცხისაგან სული ეხუთებოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მიუხედავად ამისა, სარკეში დანახული თადარიგის მაიორი მაინც მოეწონა, ნამდვილად არ ეგონა, სამხედრო ტანსაცმელი ასე თუ დამშვენდებოდა. ცალი თვალით სარკისკენ მზირალი გულწრფელად ანუგეშებდა სასოწარკვეთილ ქალბატონ ბაბილის, ამ მძიმე დროში, ამ უკიდურეს გაჭირვებაში ერთი წუთითაც არ მიგატოვებთ და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო. მერმე ხოზრევან უფროსის ნაქონი ზაუერის ორლულიანი სანადირო თოფი, აწ უკვე სეფედავლე კაკუბანის საკუთრება, მოთხოვა, ყოველგვარი სასროლი იარაღი დროებით სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს, თუ არ ჩავაბარეთ, ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს, აუწყა ქალბატონ ბაბილის, ხოშელაც ამით არ დაფიქრებულა, არ შეყოვნებულა, მაშინვე გამოუტანა და გადასცა ვერცხლით მოსევადებული ძველი თოფი. ბატონმა სეფედავლემ იარაღი ხელით აწონა, შეატრიალ-შემოატრიალა, გახსნა, ჯერ ერთ ლულას გახედა, მერმე — მეორეს, აუ, რა თოფიაო, თქვა და მხარზე გადაიკიდა. გამომშვიდობებისას ქალბატონი ბაბილი დააიმედა, ომის დამთავრებისთანავე უსათუოდ დაგვიბრუნებენო, მაგრამ ქალბატონ ბაბილის უკვე აღარ აწუხებდა, მამამთილის ნაქონ თოფს მთავრობა ოდესმე დაუბრუნებდა თუ არ დაუბრუნებდა, გაურკვევლობის ბურუსში დაბანცალებდა, მის გარშემო არსებულ საგნებსა და შექმნილ ვითარებას თითქმის ვეღარ აღიქვამდა და ვეღარ გრძნობდა, მურაბიანი ჩაიც კი არ შეუთავაზებია, ისე გაისტუმრა ბატონი სეფედავლე.

იმ დღეს მხარზე თოფგადაკიდებულ შინაგანი ჯარების სათადარიგო მაიორ სეფედავლე კაკუბანს რუსთაველის პროსპექტიც გაუვლია, მაგრამ ქალაქის მეხსიერებას ეს მნიშვნელოვანი მსვლელობა რატომღაც არ შემოუნახავს ან იმის გამო, რომ ძალიან ცხელოდა ანდა არ იყო დამდგარი ჟამი რუსთაველზე გავლისა.

IV

თითქმის ერთი წელი გავიდა, დიდი სეფედავლე ისევ, ყბაჩამოვარდნილი და ჭერს უაზროდ მიშტერებული, გაუნძრევლად იწვა. სამედიცინო სამყარომ თავისი უძლურება საბოლოოდ აღიარა, ლოგინად ჩავარდნილ, მომაკვდავ ბერიკაცს ზურგი შეაქცია, ცნობილმა მედიკოსებმა მხრები აიჩეჩეს, უმწეოდ გაშალეს ხელები, უფლის თვალი რასაც დასცქერის, იქ ჩვენ არაფერი გვესაქმებაო. ახლა უკვე მთელი ქალაქი იყო დარწმუნებული, დიდი სეფედავლეს არსებობას, ყოფნა-არყოფნას ჭეშმარიტად სხვა, არამიწიერი და ზებუნებრივი ძალა განაგებდა.

ყოველ დღე ჩასველებული ნიფხვისა და ზეწრის გამოცვლა რომ არ მიხდებოდეს, თუნდაც საუკუნის ბოლომდე იწვეს, სულაც არ შევწუხდებოდი, თავისთავად დაფჩენილ პირში ფორთოხლისა და სტაფილოს წვენის ჩასხმას რა დიდი გარჯა უნდაო, ამბობდა საოჯახო ზრუნვით გადაღლილი გურანდუხტი, ბატონი სეფედავლეს რძალი და მისი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არავის ეპარებოდა. რა თქმა უნდა, ერთგვარი შეღავათია, ალბათ განსაკუთრებული შვებაც კია, თუ ხილისა და ბოსტნეულის გამონაჟურის ჩასაწვეთებლად ოფლის ღვრა არ დაგჭირდება, მიხვალ და ჩაუშვებ პირდაპირ ხახაში. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა საბრალო გურანდუხტი, დიდ სეფედავლეს ყბა რომ არ დარჩენოდა ჩამოვარდნილი, მომაკვდავ ბერიკაცს ძალისმიერი საშუალებებით დღეში ორჯერ დააფჩენინო მოკუმული პირი, დამემოწმებით, უმძიმესი ხვედრი იქნებოდა, ასეთი ჯაჯგურისათვის გურანდუხტს ნამდვილად არ ეყოფოდა ენერგია, ნერვები უამბერიკაცოდაც დაწეწილი ჰქონდა. მადლობა ღმერთს, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, ჩვენ შორის დარჩეს და იმ მხრივაც რიგზე იყო ყველაფერი: სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, ბერიკაცის მოვლა-პატრონობას ოჯახის წევრები კანონზომიერად ინაწილებდნენ, გურანდუხტმა მეუღლეს ერთხელ მკაფიოდ და გასაგებად უთხრა, მამაშენია და მამაშენის ჩაფსმულ საცვლებს შენ მიხედეო, და ბარდაველიც, სეფედავლეს ძე, ჩვეული გულმოდგინებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

დაკისრებული მოვალეობის აღსრულებისას ბარდაველ სეფედავლეს ძე დიდ გულისყურით აკვირდებოდა მამის ჩამჭკნარ-ჩანაოჭებულ, გაყინულ სახესა და ჭერს უაზროდ მიშტერებულ თვალებს, ცდილობდა, გარესამყაროსთან რაიმე კავშირის თუნდაც ერთი წამი დაეჭირა: სახის ნაოჭის უმნიშვნელო შეთრთოლება, ანდა მზერაში აზრის ნატამალის გაკრთომა. ელაპარაკებოდა, ცხვირწინ ექსტრასენსივით უტრიალებდა ხელის მტევნებს, სულ ამაოდ ირჯებოდა, დიდი სეფედავლე ვერ გრძნობდა გარესამყაროს, რომელთანაც კავშირი, ეტყობა, სამუდამოდ ჰქონდა გაწყვეტილი. მაგრამ სასწაული მაინც მოხდა: ერთ მშვენიერ დღეს ბარდაველი სველ ზეწარს რომ უცვლიდა, უცებ ღია ფანჯრიდან ქალის ყვირილი, მოულოდნელად ამოვარდნილი ქარივით, შემოიჭრა და იგრძნო, ამ ხმამ მამამისი ოდნავ შეატოკა, თითქოს შეაკრთო კიდეც, უმალ სახეზე დახედა და უაზრო მზერაშიც წამიერი შეძრწუნება შენიშნა. ერთი სიტყვით, შვილმა მამის სულის რხევა დააფიქსირა, როგორც სეისმურმა სადგურმა მიწისქვეშა, თითქმის შეუმჩნეველი ბიძგი.

ეს უცნაური მოვლენა ბარდაველმა დაუყოვნებლივ აუწყა მეუღლეს, რომელიც ათი წლის ვაჟიშვილს, ვარაზ-ვაჩეს, სკოლაში წასვლის წინ სამზარეულოში ასაუზმებდა. ოჯახის ახლობლები პატარა ვარაზ-ვაჩეს გარეგნობით, აგრეთვე გამჭრიახი ჭკუითაც დიდ სეფედავლეს ამსგავსებდნენ, ზედგამოჭრილი ბაბუამისიაო, ერთგვარი სიამაყით ამბობდნენ და, შესაძლებელია, არც ცდებოდნენ, რადგან ძალზე ცქვიტი და გონიერი ბიჭი გამოდგა. ახლაც შეშფოთებული ბარდაველი სამზარეულოში რომ შემოვიდა და ამბის მოყოლა დაიწყო, ბავშვმა წამსვე ყური ცქვიტა, ნაუბარი ბოლომდე ისე მოისმინა, ლუკმით გამოტენილი პირი არც კი გაუცმაცუნებია. გურანდუხტიც გაფაციცებული უგდებდა ყურს, მერმე ეჭვიანად დაფიქრებულმა იკითხა, ვინ არის ეგ ალქაჯი ან რა ყრონტი აქვს ასეთი, მომაკვდავ ბერიკაცს ხმა გალავნის გადაღმიდან რომ გაგონია. ბარდაველი გაურკვევლად აიწურა, რა გითხრა, არაფერი ვიცი, ვარაზ-ვაჩემ კი ეშმაკური ღიმილით მიახარა დაბნეულ მშობლებს, ეგ ქალი გიჟიბაბო იქნებოდაო.

დედამ ვარაზ-ვაჩეს დაწვრილებით მოაყოლინა, რაც იცოდა გიჟიბაბოს შესახებ, მაგრამ მწირმა ინფორმაციამ, რა თქმა უნდა, მშობლების ცნობისწადილი

ვერ დააკმაყოფილა. მართლაც, რა უნდა სცოდნოდა ათი წლის ბავშვს, გიჟიბაბოსთვის ერთი-ორჯერ თუ მოუკრავს თვალი, მხოლოდ შორიდან მოუსმენია, გამწარებული ლანძღვა-გინებით როგორ იკლებდა იქაურობას, ლანძღავდა ყველას, გალავნის წინ უსაქმოდ მდგარ ხალხსაც და გალავნის შიგნით, ლოგინში მწოლიარე ბაბუასაც, ეგ მიწაჩაუშვებელი, კომუნისტების ფეხთამლოკველიო...

ვარაზ-ვაჩე სასწრაფოდ სკოლაში გაისტუმრეს, თვითონ დარბაზში დასხდნენ და ბჭობდნენ... და ამაოდაც დაშვრნენ, რამეთუ ვერაფრით დაადგინეს, ვინ იყო ეს გიჟი დედაბერი, რომლის ხმამ თითქმის საიქიომდე ჩააღწია — შეაკრთო და შეაძრწუნა ამ ქვეყნიდან უკვე კარგა ხნის წინათ ამგზავრებული ბერიკაცი, ცოცხალ სამყაროსთან გაწყვეტილი რომ ჰქონდა ყოველგვარი კავშირი. ბარდაველმა, სეფედავლეს ძემ, სხვა გამოსავალი ვეღარ მონახა და გადაწყვიტა, იმ უსაქმურთა ბრბოსთვის გალავნის წინ შეკრება და სჯა-ბაასი აეკრძალა, ყველას გავყრი, არავის გავაჭაჭანებო, ხმამაღლა იმუქრებოდა, მაგრამ გურანდუხტი, მეუღლე მისი, უსაქმურთა შესახებ სხვა აზრისა გახლდათ და მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. დიდი სეფედავლე იმიტომ არის დიდი, ეგ უსაქმურები აქ რომ იკრიბებიან, დილიდან საღამომდე ყბედობენ და გათახსირებულ მამაშენზე ლეგენდებს ჰქმნიანო, მიუკიბავ-მოუკიბავად მიახალა მეუღლეს და ხმა ჩააწყვეტინა. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, გურანდუხტი ცოტას აჭარბებდა, რძლის დამოკიდებულება მამამთილისადმი იმთავითვე ამგვარი არ ყოფილა, ახლა უაღრესად გაღიზიანებული ლაპარაკობდა და ეს გაღიზიანება, როგორც ჩანს, გამოიწვია ძალზე გაურკვეველმა და ბუნდოვანმა მდგომარეობამ, რომელიც ერთი წელი გრძელდებოდა და, სამწუხაროდ, დასასრული არ უჩანდა.

გალავნის წინ შეკრებილი ხალხი თუ განიდევნა და მიმოიფანტა, დიდი სეფედავლეს სახელს თანდათან მოაკლდება ბრწყინვალება და ბოლოს, მტვერივით აღიგვება პირისაგან მიწისა, მისი დამსახურება ერისა და კაცობრიობის წინაშე ნაცარტუტად იქცევა. უნდა განიდევნოს არა ხალხი, არამედ — გიჟი დედაბერი, რომელიც დიდი სეფედავლეს სახელის გატეხას, იმიჯის შებღალვასა და დამცრობას ცდილობს. მაგრამ ოჯახმა ზუსტად ისიც კი არ იცის, რა სულისკვეთებისაა გალავნის წინ შეკრებილი ხალხი, რა უნდათ, რას ამბობენ, რისთვის იღვწიან. ესეც ბოლომდე, საფუძვლიანად უნდა შეიტყონ, უსათუოდ, მერმე ადვილად ალაგმავენ, გააძევებენ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ გიჟ დედაბერს, უდიდესი და უპატიოსნესი პიროვნების ლაფში ამოსვრა რომ მოუწადინებია.

და ჩვეულებრივ ოჯახურ გარემოში უცებ კაკუბანებისათვის დამახასიათებელი ნიჭის ნაპერწკალი გაიელვებს, დაიბადება აზრი, რომელსაც ბარდაველი, სეფედავლეს ძე, მეორე დღესვე, სულ რაღაც ორმოციოდე წუთში განახორციელებს. ღამით გალავნის ახლო-მახლო კაცის ჭაჭანება არ იქნება და ხელოსანს ჭიშკრის ზემოთ, აგურებშორის მიკროფონს ჩაადგმევინებს, ხოლო ოჯახის კუთვნილი მაგნიტოფონი მთელი დღის განმავლობაში უდრტვინველად ჩაიწერს ხალხის ნალაპარაკევს, ცხადია, მაგნიტოფონის ფირი გიჟიბაბოს ნაბოდვარსაც დაიმახსოვრებს. ამავე დროს, თუკი ოჯახის წევრები მოინდომებენ, შეუძლიათ, ინდივიდუალურად, ანდა კოლექტიურად, პირდაპირი „რეპორტაჟიც“ მოისმინონ.

გაგონილი მქონდა, ფარულად სხვათა ნალაპარაკევის მოსმენამ გატაცება იცისო, მაგრამ არ მჯეროდა, თუმცა, უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, ვყოყმანობდი მეთქი, რადგან განგების მიერ განსაკუთრებული ცნობისწადილით დაჯილდოვებული ადამიანები ანუ ჭარბი ინფორმაციის მოყვარულები, შესაძლებელია, მართლაც დაინტერესდნენ ამგვარი მოსმენით, რა თქმა უნდა, თუკი ბედი

გაულიმებთ და საშუალება მიეცემათ. მაგრამ კაკუბანების ოჯახსა და თვით ბარდაველს, სეფედავლეს ძეს, ჩვეულებრივი ცნობისწადილი არ ამოძრავებდათ, საქმე ეხებოდა ოჯახის ღირსებას, თავად დიდი სეფედავლეს სახელსა და ადგილს საზოგადოების ცნობიერებაში. ხვალვე შემოუსხდებიან მაგნიტოფონს და დარწმუნდებიან, არც ოჯახსა და არც ოჯახის დიდ მამას სერიოზული საფრთხე არსაიდან ემუქრებათ, პირიქით, მომაკვდავი ბერიკაცის რეიტინგი ადამიანური ღირსების შკალაზე სულ ზევით და ზევით მიიწევს.

მეტად ტკბილი ყოფილა, როცა შენი ოჯახისა და უშუალო წინაპრის ქებადიდებას ისმენ, მით უმეტეს, თუ მთქმელმა ეს არ იცის: მოშორებით, სადღაც მეორე სართულის მყუდრო ოთახში შენთვის ზიხარ და ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების წყალობით შეგიძლია ბედნიერებას ეზიარო და ბოლომდე დატკბე სხვათა ნალაპარაკევით. ნამდვილი გემო ამ მოსმენისა სწორედ ეს არის: მოლაპარაკეებს ეჭვი არ ეპარებათ თუ ფარულად ვინმე უსმენს, ამიტომ ყოველი მათი სიტყვა აღბეჭდილია უდიდესი გულწრფელობის ნიშნით, რაც ფარულად მსმენელს სიხარულითა და ნეტარებით გულს უვსებს და უთრთოლებს.

სამდღიანი გამუდმებული მოსმენით ეგზალტირებული ბარდაველ კაკუბანი და მისი მეუღლე განცდილმა სიამოვნებამ, ცოტა არ იყოს, გადაღალა კიდეც, განსაკუთრებით — გურანდუხტი, აღარ შემიძლია, ახლა შენ უსმინე და საღამოს მიამბე, რამე მნიშვნელოვანს თუ იტყვიანო, წამოდგა, გაიზმორა, დაამთქნარა და მთქნარებ-მთქნარებით უთხრა მაგნიტოფონთან მიმჯდარ ბარდაველს, იქნებ მამაშენისგან გესწავლა, კაცმა როგორ უნდა იცხოვროსო. მერმე კი ოთახის კართან მისულმა ისე, სასხვათაშორისოდ, არავის გასაგონად ჩაილაპარაკა, ეგ ცოცხალ-მკვდარი, ბებერი ლეშიც კი გჯობიაო. არ ვიცი, გაიგონა თუ არ გაიგონა მეუღლის ეს ნათქვამი ბარდაველმა, სეფედავლეს ძემ, იქნებ არც გაუგონია, თავი ... თავალი არ გაუყოლებია, ეტყობა, ბოლომდე დაძაბული იჯდა და მთელი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა იქით — გალავნის წინ მოფუსფუსე ხალხისკენ.

შეუძლებელია, ნამდვილად შეუძლებელია, სრულად, მთელი სისავსით გადმოსცე ის, რაც გალავნის წინ, თუნდაც ერთი დღის განმავლობაში ითქმება, კაცს ამისათვის ენერგია-არ ეყოფა, ცხადია, არც — ქაღალდი. იქნებ სჯობდეს, იქ თქმულის მოკლე შინაარსით დავკმაყოფილდეთ, მით უმეტეს, თუ ძირითად საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას. დაუდევრად გაფანტულ მნიშვნელოვან აზრებს სისტემურ ხასიათს მივცემთ და დავახარისხებთ.

მადლობა ღმერთს, ძველი ვნებათა ღელვანი ჩამცხრალი მომეჩვენა! აღარავის აღელვებდა და აწუხებდა სამი ევროპული ქვეყნის — ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის შემონათვალი, ხალხს თავი ისე ეჭირა, ვითომ არ შემოუთვლიათ: პატივს თუ დაგვდებთ, დიდი სეფედავლეს ცხედარს ჩვენს მიწას მივაბარებთო. რა თქმა უნდა, ეს მოკრძალებული თხოვნა იმთავითვე განწირული იყო ჩასაძირად, დიდი სეფედავლეს გვამს საქართველოდან ცოცხალი თავით ვერავინ გაიტანდა. ახლა ხალხს სხვა საზრუნავი და საფიქრალი გასჩენოდა: დიდი სეფედავლე მაინც როდემდე იცოცხლებდა, ხომ დადგებოდა ის დღე, როცა მიქელ-გაბრიელი ბოლოს და ბოლოს მოაკითხავდა და მარადიულ საუფლოსკენ წაუძღვებოდა? წინასწარ თადარიგი უნდა დაეჭირათ, უნდა შეერჩიათ მისი უკვდავების შესაფერი დასაკრძალი ადგილი — საუკუნო განსასვენებელი, ცხადია, საქართველოს მიწაზე.

გალავნის წინ შეკრებილი ხალხი ძირითადად ერთიანი მრწამსისა თუ თვალსაზრისის მიხედვით იყვნენ დაჯგუფებულნი. უმრავლესობა ასე ფიქრობდა: დიდი სეფედავლე უსათუოდ მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის გვერდით, ან იქვე ახლო-მახლო უნდა დაიკრძალოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამარხი ადგილი მოინახება, ეგ პრობლემა არ გახლავთო, და ამ უპრობლემობაში რა იგულისხმებოდა, ყველამ კარგად იცოდა. საქმე ის არის, რომ გალავნის წინ, კარგა ხანია, მომწიფდა აზრი მთაწმინდის პანთეონიდან საქართველოს უღირსი შვილების გადმოსვენებისა. ზოგ-ზოგი მკრეხელობდა კიდეც, ეგ გარეწრები პირდაპირ ზევიდან პანტაპუნტით უნდა გადმოყაროო, მაგრამ საღად მოაზროვნენი მაინც ჭარბობდნენ, ამ ზოგ-ზოგებს ზომიერებისაკენ მოუწოდებდნენ, ჯერჯერობით მარტო გადმოსვენება ვიკმაროთო.

გადმოსასვენებელთა სიაში მოხვედრილები უმეტესად პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, დაკრძალვის დღიდან მათი ამ ქვეყნად ყოფნა რომ არავის გახსენებია, თითქოს საფლავებში ჩაატანეს სახელიცა და დიდებაც. პანთეონის დამთვალიერებლები საფლავის ქვაზე მოულოდნელად უცნობ სახელსა და გვარს წააწყდებოდნენ და ერთმანეთს გაოცებულები ეკითხებოდნენ, ეს ვინ ოხერია, ამ ჩემანალას აქ რა უნდაო. რასაკვირველია, ქვეყანაზე ყველა პანთეონს, დიდსა თუ პატარას, თავისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა და დონე აქვს, არ შეიძლება მისი ხელოვნურად დაკნინება, თუნდაც შემთხვევითმა გამვლელმა, საფლავის ქვას რომ დახედავს, ბრაზიანად გაკვირვებულმა არ უნდა იკითხოს, ეს შობელ-ძაღლი აქ ვინ ჩაფლაო.

სიაში მოხვედრილთაგან მეტ-ნაკლებად ცნობილებიც იყვნენ, მაგრამ ერთი მაინც, პირველ ნომრად განთესილი, მთელმა ქვეყანამ (დამარხვამდეც და დამარხვის შემდეგაც), იცოდა, ვინ იყო. რას წარმოადგენდა, რა ვაჟბატონიც ბრძანდებოდა. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო მხოლოდ მისი სახელი და გვარი ეწერა სიაში დამახინჯებულად, წარმოთქმითაც დაჟინებული სიჯიუტით წარმოთქვამდნენ არასწორად, თითქოს მის ნამდვილ სახელსა და გვარს ტაბუ ედო. მე არა ვარ სახელისა და გვარის დამახინჯების მომხრე, რადგან ასეთ საქციელს გამართლებას ვერ ვუძებნი, თუმცა, ზოგჯერ ობიექტური სინამდვილე შენი შეხედულებისა და სურვილის, თუნდაც გემოვნების წინააღმდეგ წასვლას გაიძულებს.

ერთი სიტყვით, პირველ ნომრად გადიოდა ხვილიპე ფახარაძე... მკითხველი ძალდაუტანებლად მიხვდება, ხვილიპე ფახარაძე იგივე ფილიპე მახარაძეა — ცნობილი რევოლუციონერი, მენშევიკ-ბოლშევიკი, ლიტერატორი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც პოლიტიკური კარიერის დაწყებისთანავე მარქსისტული იდეების ერთგულებით გამოიჩინა თავი და ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ შეთქმულებას ჩაუდგა სათავეში. ამაგი დიდად დაუფასდა, სახელმწიფო მოღვაწეობის პირველივე საფეხურიდან იწყება ზრუნვა მისი სახელის უკვდავსაყოფად: მახარაძე ეწოდა ქალაქ ოზურგეთს, აგრეთვე — ოზურგეთის რაიონს, ორ სოფელს: ერთს — გურიაში, მეორეს — შიგ შუაგულ კახეთში (ალბათ, ილია ჭავჭავაძის ჯინაზე), ქუჩებს ხომ ვერ დაითვლიდი, საქართველოს ყველა ქალაქი მისი სახელობის თითო ქუჩით მაინც იწონებდა თავს, ხოლო ქ. მახარაძეში მადლიერმა ხალხმა ამხ. ფ. მახარაძეს ბრინჯაოს ისეთი მონუმენტი დაუდგა, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ამ მხრივ, დიდ ბელადსა და ამხ. სერგოზე ვერ ვიტყვი, ლავრენტი პავლოვიჩი კი ნაღდად დაგვიჩაგრა.

ორმოცდაერთი წლის დეკემბერში, გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ჯერ კიდევ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ცეკას აპარატის მუშაკებმა ჰკითხეს თურმე: ამხანაგო ფილიპე, სასამართლო პროცესზე ილია ჭავჭავაძის მკვლელი ბერბიჭაშვილი მკვლელობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად თქვენ გასახელებთ და რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. სულთმობრძავი მოხუცი წამით გამოცოცხლებულა, მოგონებათა ნათელი ღიმილი გადაჰფენია სახეზე და გარკვევით უთქვამს: კი, მასე იყო, შვილებო, აგერ ოცდაათი წელია მაგ საქმეზე არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკითხავთ ჩემთვის, თვარა მაგას მეც ქე ვიტყოდიო, მეტის თქმა აღარ დასცლია, უმალ განუტეეებია სული.

გალავნის წინ შეკრებილმა ხალხმა, აი, ასეთ მოღვაწეს დაუმახინჯა გვარსახელი და მთაწმინდის პანთეონიდან გადმოსვენებას უპირებდა, თითქოს გვარის შეუცვლელად და დაუმახინჯებლად არ შეიძლებოდა ნეშტის გადატან-გადმოტანა. ცხადზე უცხადესი იყო, ამით საუკუნის ცინიზმს — ჯალათისა და მსხვერპლის გვერდი-გვერდ დაკრძალვას ეღებოდა ბოლო, თანაც დასამარხი ადგილი უთავისუფლდებოდა დიდ სეფედავლეს, რომელსაც იმ ხანებში მთავრობის მიერ შეთავაზებულ ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესში მონაწილეობისაგან თავი შორს დაუჭერია, მაგ ბანდიტის დაცვას მირჩევნია, აქვე მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოსო. მერმე აღშფოთება „ლაღიძის წყლებთან" შემთხვევით შეხვედრილ მეგობრისთვის ჩურჩულით გაუნდვია, ბერბიჭაშვილს რა დაცვა სჭირდება, პირდაპირ სასამართლოზე უნდა დაახალო ტყვია, კომუნისტებს ეს არ გაუკვირდებათ, გაუსამართლებლად ბევრი დაუხვრეტიათ, ბერბიჭაშვილი არც პირველი იქნება და არც — უკანასკნელიო.

სასამართლო ბევრს ეცადა, მაგრამ თვით ბერბიჭაშვილს მკვლელობაზე უარი ვერ ათქმევინა, რისი უარი, პირიქით, გლეხური სიჯიუტით იმეორებდა, ამხანაგმა ფილიპემ დამავალა, მე პარტიის მითითებას ვასრულებდი, პენსიაც მაგისთვის დამინიშნეს და ძალიანა გთხოვთ, ნუ მომიხსნითო. როგორც ჩანს, ასეთი აურზაური მისი პენსიის მოხსნა-არმოხსნის გამო ეგონა ატეხილი და თავისაზე ბოლომდე მაგრად იდგა, ემანდ არ მომატყუონ, პენსია არ დამაკარგვინონო. საყოველთაოდ ცნობილია, ამ სასამართლო პროცესის დროს მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ხალხს თავისი მძიმე სატკივარ-საწუხარი გასჩენოდა და ბერბიჭაშვილისთვის არავის ეცალა. მხოლოდ გაზეთის ბოლო გვერდზე პეტიტით აწყობილი, უმნიშვნელოდ მიბეჭდილი ცნობა იუწყებოდა, სასამართლოს განაჩენი აღსრულებულიაო.

მეორე მსოფლიო რბის დამთავრების შემდეგ ბატონმა სეფედავლემ მეგობარს ესეც ჩასჩურჩულა, ოღონდ მეგობრები ამჯერად გოგირდის აბანოში შეხვედრილან: ბერბიჭაშვილს სასამართლომ, მართალია, სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა, მაგრამ განაჩენი მაინც განაჩენად დატოვეს, პატიმარს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ყაზახეთში გადაასახლეს და ამ შარაგზის ყაჩაღმა თავისი გარეწრული სიცოცხლე იქ დაასრულაო. ბოლოს დიდ სეფედავლეს მეგობართან საუბრისას ძალზე საგულისხმო რამ წამოსცდენია, ვერავინ დამარწმუნებს, რომ მთავრობამ მკვლელს სიცოცხლე ჰუმანურობის გამო შეუნარჩუნაო.

ასე მოხდა თუ ისე, გალავნის წინ შეკრებილთაგან უმრავლესობა ხშირად იგონებდა წარსულის დღეებს და უფრო მეტად რწმუნდებოდა, დიდი სეფედავლეს ერთადერთი საუკუნო განსასვენებელი ადგილი მთაწმინდის პანთეონიაო. შესაძლებელია, ამიტომაც იხსენებდნენ და დავიწყების მტვერს აცლიდნენ გარდასულ მოვლენებს, ერისა და კაცობრიობის წინაშე დიდი სეფედავლეს განუმეორებელი მოღვაწეობის კვალი მეტი სიცხადით წარმოჩინდებაო.

უკვე მოგახსენეთ, გალავნის წინ შეკრებილნი მაინცდამაინც ერთსულოვნებით არ გამოირჩეოდნენ, არსებობდა სხვა მოსაზრებებიც და ამ მოსაზრებებს შედარებით მცირე, მაგრამ დიდად შეუპოვარი, პირმტკიცე დამცველები ჰყავდა. ისინი დიდი სეფედავლეს დაკრძალვას საქართველოს ძველ დედაქალაქში — მცხეთაში მოითხოვდნენ დაბეჯითებით, ან სვეტიცხოვლის ეზოში, ანდა პირდაპირ ჯვარზე უნდა ავიტანოთ და დავმარხოთო, იქ არის ჭეშმარიტად უკვდავი გვამის ადგილი, მის პიროვნულ ღირსებებს, პრინციპებსა და უმწიკვლოებას ნამდვილად მცხეთა — საქართველოს ძველი დედაქალაქი შეეფერებაო. მართლაც, მომაკვდავი ბერიკაცის მოღვაწე-

ობის თვალსაწიერი წარმოუდგენელ სივრცეებად იყო განფენილი. უცებ გალავნის წინ შეკრებილთაგან ვიღაც უმნიშვნელო პიროვნება დიდი სეფედავლეს უმდიდრესი ცხოვრების ისეთ ეპიზოდს გაიხსენებდა, თმა ყალყზე დაგიდგებოდა. გასახსენებელს კი რა გამოლევდა, მოდიოდა და მოდიოდა, გაუვალ პიტალო კლდეებს აპობდა და მოარღვევდა მოგონებათა დაუსრულებელი ნიაღვარი. ხალხი თან გაშტერებული უსმენდა, თან ყალყზე წამოშლილ თმას ხელის გულით ეფერებოდა, იქნებ როგორმე საწყისი მდგომარეობა დავუბრუნოო.

მარტო ბატონი სეფედავლეს ნიურნბერგში გამგზავრება რად ღირს, ეს ხომ მთელი ეპოქაა, იტყოდა მავანი და ათასი ყური იმავე წამს დაცქვეტილი იყო, რამეთუ უწყოდნენ, დაწყებულ სიტყვას ტკბილხმოვანი, ამოდ სასმენი, თითქმის დაუჯერებელი ამბავი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. უკვე ვიცით, ბატონი სეფედავლე ფრიად განათლებული იურისტი, საქვეყნოდ აღიარებული ადვოკატი გახლდათ და, ცხადია, ნიურნბერგის საერთაშორისო სასამართლო პროცესზე საგანგებოდ მიიწვიეს ექსპერტად. ერთ-ერთ მთავარ დამნაშავეს, ფაშისტური გერმანიის სახელმწიფო მოღვაწესა და დიპლომატს, იოახიმ ფონ რიბენტროპს ციხის იზოლიატორში შეუტყვია, სასამართლოზე დასასწრებად სეფედავლე ჩამოსულაო და სიხარულისაგან აღელვებულს ამერიკელი მოსამართლისთვის თხოვნით მიუმართავს, თუ შესაძლებელია, დამცველად ჩემი სტუდენტობის მეგობარი, ინგლისის პერი სერ სეფედავლე კაკუბანი დამინიშნეთ, სხვას არავის ვენდობიო. ბატონი სეფედავლე გაოცებულა, მე და რიბენტროპი მხოლოდ თვენახევარი ვსწავლობდით ერთად და ამდენი ხნის შემდეგ როგორ გამიხსენა, ისიც არ დავიწყებია, ინგლისის მეფემ ჯორჯ მეხუთემ პერობა რომ მიბოძაო. მიუხედავად ამისა, ამერიკელი მოსამართლისთვის ასეთი შინაარსის განმარტებითი ბარათი მიურთმევია, ბატონო მოსამართლევ, სერ, მე აქ მომიწვიეს ექსპერტად და არა ადვოკატად, ამიტომ მორალური უფლება არა მაქვს, რომელიმე განსასჯელი დავიცვა, გინდაც ის იოახიმ ფონ რიბენტროპი იყოსო. სამწუხაროდ, ნიურნბერგის პროცესის არქივებში ამ ფაქტის შესახებ კრინტიც არ არის დაძრული და არც სეფედავლე კაკუბანია, რატომღაც, ექსპერტთა პროტოკოლებშ, მოხსენიებული... ასე ყოფილა და ასე იქნება, უთქვამს თურმე კუა-კუალას ტომის დიდ შამანს, პატარა ქვეყანა რომ დაინახონ, პატარა ბედიც უნდა ჰქონდესო.

გალავნის წინ რიბენტროპის ჩამოხრჩობის ამბავმა ვიღაც-ვიღაცეებს გული აუჩუყა და ერთ-ერთმა იკითხა კიდეც, დიდ სეფედავლეს თუ იმ ადამიანის გადარჩენა შეეძლო, რატომ არ დაიცვაო. კიდევ კარგი, ვეჟო, თავი შეიკავა, თორემ ჩვენი დიდი ბელადი განთავისუფლებული რიბენტროპის მაგივრად მაგას ჩამოჰკიდებდაო, ხმა ჩააკმენდინეს გულუბრყვილოდ დაეჭვებულს. მაგრამ მთავარი ეს არ იყო, გალავნის წინ შეკრებილნი ბატონ სეფედავლეს ამ ზრდილობიან თავშეკავებას განსაკუთრებულ მიღწევად არ უთვლიდნენ, იქ შემდეგ სხვა ითქვა, სხვა, მთავარი სიმართლე, რომელიც (იმდენად წარმოუდგენელია, რომ სიმართლეს არცა ჰგავს და გაოგნებული კაცი დიდხანს იძირება გაურკვევლობის მორევში.

ბატონ სეფედავლეს წინასწარ სცოდნია, როგორც დელეგაციის წევრს, საზღვრის გადალახვისას საგულდაგულოდ არ გაჩხრეკდნენ, ჩემოდანს არ გადმოუპირქვავებდნენ, ჯიბეებს არ ამოუტრიალებდნენ და მაინც რისკის ფასად ნიურნბერგში ჩაუტანია ინგლისურად დაწერილი პროექტი, ომით გაჩანაგებული და გაპარტახებული ევროპის (საბჭოთა კავშირის ჩათვლით) გადარჩენისა და აღორძინების გეგმა. როგორც გალავნის წინ ირწმუნებოდნენ, ეს პროექტიც არ ყოფილა, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ წმინდა წყლის იდეა, რომლის საფუძველზე მერმე შექმნიდნენ გეგმას. ამ გეგმის შექმნა და განხორციელება,

ცხადია, შეეძლო ერთადერთ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგან ომის დამანგრეველ ქარიშხალს მათ ტერიტორიაზე არ გადაუვლია და დიდი მატერიალური ზარალი არ განუცდია, პირიქით, ომის დამთავრებისთანავე, როგორც ზე-სახელმწიფომ, უფრო განიმტკიცა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება.

ეს პატარა ბარათი-იდეა ბატონ სეფედავლეს ნიურნბერგში, გამოსათხოვარ ბანკეტზე ხელის ჩამორთმევისას ჩუმად გადაუცია გენერალ ჯორჯ მარშალისათვის და გულწრფელად, ოღონდ ძალზე ხმადაბლა უთქვამს, წაიკითხეთ და თუ გამოიყენებთ, მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემ თავს, ვიტყვი, კაცობრიობის წინაშე მცირედი ღვაწლი ერთ პაწაწინა, ყველასგან მივიწყებულ, ბედკრულ ქვეყანასაც მიუძღვის მეთქი, საუბარი ამ სიტყვებით გაუსრულებია: ცხადია, ორ ჯენტლმენს ერთმანეთი არასოდეს უნახავს, არასოდეს გაუცვნიაო. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, სწორედ ორი ჯენტლმენის — სერ ჯორჯ ქეთლეთ მარშალისა და სერ სეფედავლე კაკუბანის ხელის ჩამორთმევის შემდეგ რის ვაი-ვაგლახითა და სიმწრით შერიგებული მსოფლიო ისევ ორ — კაპიტალისტურ და სოციალისტურ — ბანაკად გაიყო.

ამ ორმა ჯენტლმენმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა ათას ცხრაას ორმოცდაექვსი წლის ოქტომბერში, მომდევნო წელს კი ჯორჯ მარშალი პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს ამოუდგა მხარში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად მოგვევლინა და სულ რამდენიმე დღის მანძილზე „მარშალის გეგმა“ საყოველთაოდ გახმაურდა, მსოფლიო პრესის პირველი გვერდები დაიპყრო, ხოლო რადიომაუწყებლობამ კაცობრიობას ამცნო ევროპის გადარჩენისა და აღორძინების მარშალისეული იდეა, რომელმაც დედამიწის უშორიშორეს კუნჭულებშიც შეაღწია და გაჭირვებისაგან სასომიხდილ, ხელჩაქნეულ ხალხს იმედის სხივი დაუბრუნა. საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებული შტატების შემოთავაზებული ეკონომიკური დახმარება ანუ უპროცენტო სუფსიდიები და ოესი ცივად უარყო, ზიზღით დაგმო და სახელდახელოდ შეკოწიწებული დემოკრატიული ქვეყნებიც აიძულა, გინდათ თუ არ გინდათ, „მარშალის გეგმაზე“ ხელები გაასავსავეთ, უპროცენტო სესხი და სუფსიდიები, მით უმეტეს — ამერიკული, ჩვენ არ გვჭირდება, ეგ ყველაფერი ბლეფია, ჩვენს დასაკაბალებლად და დასამონებლად მოგონილიო. როგორც წელან მოგახსენეთ, მსოფლიო ორ ბანაკად გაითიშა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის პროლეტარიატის დიდმა ბელადმა მძიმედ ჩამოუშვა „რკინის ფარდა“ და დაიწყო გაუთავებელი, მომაბეზრებელი, დამქანცველი „ცივი ომი“ — მუქარა, იარაღის ჟღარუნი, შანტაჟი, ცილისწამება, უშვერი სიტყვით ერთმანეთის ლანძღვა-გინება. ვითარებას ისიც ძაბავდა და ართულებდა, რომ ჩვენ არ ვიცოდით, რა ხდებოდა „რკინის ფარდის“ მიღმა, იმათ კი ზედმიწევნით იცოდნენ, რა გვჭირდა და რა დღეში ვიყავით ჩაცვენილები, თითქოს ეს „რკინის ფარდა“ იმათი მხრიდან გამჭვირვალე იყო და აქედან, ჩვენი მხრიდან — გაუმჭვირვალე. ამასობაში, ვიდრე ჩვენ „რკინის ფარდაში“ გასაჭვრეტად ვეძებდით ჭუჭრუტანებს, „მარშალის გეგმას“ თავისი საქმე უკეთებია, არავინ დაუკაბალებ-დაუმონებია, პირიქით, დანგრეულსა და გაპარტახებულ ევროპას სულ რაღაც წელიწადნახევარში ჯერ უჩვენოდ მოუთქვამს სული, მერმე აყვავებულა და გაფურჩქნულა შვების ვარდივით.

გალავნის წინ შეკრებილთაგან, ვინც დიდი სეფედავლეს დაკრძალვას უსიკვდილოდ მცხეთის მიდამოებში მოითხოვდა, ერთ ძალზე მნიშვნელოვან გარემოებასაც ითვალისწინებდა: ეს ოხერი ცხოვრება სულ ასე ხომ არ ივალალებს და ილასლასებს, რა ხანია, სამარცხვინო და დამთრგუნველი „რკინის ფარდა“ დაძონძილ ტილოსავით ჩამოიფხრიწა, „ცივი ომიც“ თითქოს ყაიმით დასრულდა, (ეს ის ყაიმია, შენს მეტოქეს საბო-

ლოოდ გამარჯვებას რომ ანიჭებს). და ახლა ღამის წყვდიადით მოცულ ბევრ საგანს დღის სინათლე მოეფინება, ბევრი ჯერაც აუხსნელი მოვლენა აიხსნება და გაცნობიერდება, ერთი სიტყვით, საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელები დაერქმევაო, ასე ამბობდნენ და ნათქვამის სიმართლეშიც მაგრად იყვნენ დაჯერებულ-დარწმუნებულები, იმედოვნებდნენ, საგულდაგულოდ ჩაკეტილ-ჩარაზულ საზღვრებს ურდული ბოლომდე მოეგლიჯებოდა, დედამიწის ყველა კუთხიდან ჩვენკენაც დაიძრებოდა ხალხი, ჩამობრძანდებოდნენ სახელმწიფოთა გამგებლები, კულტურის დამსახურებული მოღვაწეები, ბოლოს და ბოლოს მოიკითხავდნენ დიდ სეფედავლესაც — პირველწყაროს იმ იდეისა, რომელმაც წაქცეული ევროპა ფეხზე წამოაყენა. ამიტომ მცხეთა უპრიანიაო, ჩამოსულებს უსათუოდ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი კულტურის ძეგლები, უნდა გავაგებინოთ, დიდი სეფედავლე, ეს საოცარი ფენომენი რა ისტორიულ-კულტურულ ნიადაგიდან აღმოცენდა, უჭკნობი იდეებით მსოფლიოს ვინ კვებავდა და რა ქვეყანა ამარაგებდაო. გულდაჯერებულები, რკინა-ბეტონივით ურყევი რწმენით აღჭურვილები ამასაც ამბობდნენ, მთავარია, მშვიდობიანად, დროისით წაიყვანოს მიქელ-გაბრიელმა, მერმე ჩვენ ვიცით, დიდ სეფედავლეს სადაც დავმარხავთო.

მაგრამ ამ ქვეყნად ეჭვიან ხალხს რა გამოლევს?! ერთმა გაურკვეველი ასაკის პიროვნებამ, რომელიც იქ მყოფთაგან სხვა მხრივაც არაფრით გამოირჩეოდა, საეჭვო ღიმილით, ვითომ ძნელად გადასაჭრელი პრობლემის დასაზუსტებლად იკითხა, რა აუცილებელია, დიდი სეფედავლე მაინცადამაინც მცხეთაში დავასაფლავოთ, უამისოდაც ხომ შეიძლება, სტუმრები ძველ დედაქალაქში ჩავიყვანოთ, ძეგლები დავათვალიერებინოთ და ვაპურმარილოთო. საოცარი კია, როდესაც ეკლესიის შენებას იწყებენ, იქვე უმალ სატანაც ჩნდება, რათა კეთილად დაწყებულ ღვთიურ საქმეს ხელი შეუშალოს. რა თქმა უნდა, ეჭვის მთესველი, გაურკვეველი ასაკის პიროვნება გალავნის შემოგარენიდან ერეხმა-თვალის დაუხამხამებლად იქნა[illegible] [illegible] [illegible] [

უკვე საუკუნეების წიაღში ანუ ასეული წლებით ადრე იყო ნაწინასწარმეტყველები. ჯგუფის წევრები, ცხადია, დიდი სეფედავლეს პიროვნებითაც მას შემდეგ დაინტერესდნენ, როცა მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგი წინასწარმეტყველის — მიშელ ნოსტრადამუსის წიგნის ერთ ახალაღმოჩენილ ძველისძველ გამოცემაში იდუმალებით მოცული 999-ე ცენტურიის 666-ე კატრენი გაიშიფრა. სხვათა შორის, ოთხი წელი წვალობდნენ ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი მეცნიერები, სად არ ეძებეს, რა არ ივარაუდეს, მაგრამ კატრენის ნამდვილ ადრესატს მაინც ვერ მიაგნეს, მიუხედავად იმისა, რომ ადრესატი ამ სამი ქვეყნისათვის არცთუ ისე უცნობი პიროვნება გახლდათ. ერთხანს ეჭვიც კი შეეპარათ, რახან ადრესატი არ იძებნება, ეს ოთხი სტრიქონი ფსევდოკატრენი ხომ არ არის, ვიღაც ანონიმი ავტორის მიერ მომდევნო საუკუნეებში შეთხზულ-მიწერილიო. მეცნიერთა ეს ვარაუდი არ დადასტურდა, არ გამართლდა, ტექსტი ქართულად ითარგმნა და ორიოდე თვის წინ სწორედ გალავნის შემოგარენში გაიშიფრა... თუმცა, სიტყვების ხარჯვას, ალბათ სჯობია, მიშელ ნოსტრადამუსის კატრენის ქართული თარგმანი წავიკითხოთ:

999-ე ცენტურიის 666-ე კატრენი

იგი შავი ზღვის პატარა ქვეყნიდან
მოევლინება სამყაროს,
საუკუნის დასაწყისში უფლისწულს
იხსნის,
სისხლისმღვრელი ომების შემდეგ
ევროპას ორჯერ მოჰგვრის შვებას,
ცოცხალი მკვდარი ეგონებათ, სიკვდილის შემდეგ კი გამჟღავნდება ბევრი საიდუმლო.

კატრენი ქართულად ითარგმნა და უცებ ნათელი გახდა, ოთხი საუკუნის წინათ ნოსტრადამუსმა [illegible] შორეულ მხედველი თვალით რა დანახა, გაჭრიახი გონით რა იწინასწარმეტყველა! ახლა კი ღრმადა ვარ დარწმუნებული, ეჭვი არავის შეეპარება, რომ კატრენში ნაგულისხმევი პიროვნება ჭეშმარიტად დიდი სეფედავლეა. მივყვეთ სტრიქონებს: შავი ზღვის პატარა ქვეყნიდან ანუ საქართველოდან მოევლინა დიდი სეფედავლე სამყაროს, მანვე გადაარჩინა ინგლისის **პრინცი** ედუარდი დახრჩობას, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთგვარი შვება ნამდვილად მოჰგვარა საფრანგეთსა და გერმანიას, მართალია, ცოტა ინტიმური ხასიათისა, მაგრამ ეს მაინც უტკბილესი შვება იყო; მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ყველამ ვიცით, დიდმა სეფედავლემ როგორ მიაწოდა ამერიკელ გენერალს ევროპის გადარჩენისა და აღორძინების გენიალური იდეა—აწ უკვე განხორციელებული, მეოთხე სტრიქონიც გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა ჩვენი თვალთახედვის არეში მოქცეულ მიმდინარე მოვლენებს, მკითხველს ახსოვს, არა მგონია, დავიწყებოდა: ოჯახმა სამჯერ შეიცხადა, სამჯერ ეგონათ, სული განუტევაო და სამჯერვე დიდი სეფედავლე სასწაულებრივად ცოცხალი აღმოჩნდა. სიკვდილის შემდეგ კი, რა საიდუმლო, თანაც ბევრი, გამჟღავნდება, ამას მომავალი გვიჩვენებს და ჩვენც დაველოდოთ, ეს კაცი ჯერ ცოცხალია, სუნთქავს, ფეთქავს, არ მომკვდარა.

666-ე კატრენის მოძიება და ქართულ ენაზე თარგმნა ოდნავ განზე გამდგარი, მცირერიცხოვანი ჯგუფის ანუ ეგრეთ წოდებული ნოსტრადამუსელების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ისინი ამ აღმოჩენით ამაყობდნენ და, რაღა თქმა უნდა, დიდი სეფედავლეს დაკრძალვაც სულ სხვა ადგილზე და სხვანაირად, უფრო გრანდიოზულად ჰქონდათ წარმოდგენილი: არც მთაწმინდა, არც მცხეთა, დიდი სეფედავლეს საფლავი თბილისის

უმაღლეს წერტილზე — ფუნიკულიორის პლატოზე გაითხრება, ზუსტად იქ, სადაც ახლა სატელევიზიო ანძა დგას. ანძა, ცხადია, მოიხსნება და მის ნაცვლად პირდაპირ საფლავიდან აღიმართება ასორმოცდაათ მეტრიანი თეთრი მარმარილოს ჯვარი, რომელიც დედაქალაქის ნებისმიერ კუთხიდან გამოჩნდება. თუ ძვირი დაჯდა და ანძის დემონტაჟი არ მოხერხდა, მაშინ კარკასად მაინც გამოდგება, თეთრი მარმარილოს ფილები ზედვე მიბეტონდება და ეს უმაღლესი და ულამაზესი ნაგებობა ერთდროულად საფლავის ჯვარიც იქნება და სატელევიზიო ანძადაც მოგვემსახურება. მაგრამ ნოსტრადამუსელების გრანდიოზული ჩანაფიქრი უფრო დიდ ასპექტებსა და სივრცეს მოიცავს, ჯვრის აღმართვა ოდენ პირველი ნაბიჯია, მერმე თანდათან გაიწმინდება, განთავისუფლდება პლატოს ვრცელი ტერიტორიის მონაკვეთი, სადაც განთავსდება საფრანგეთიდან გადმოტანილი ლევილის სასაფლაო და არა მარტო ლევილიდან, მსოფლიოს ყველა კუთხიდან გადმოასვენებენ და გადმოასვენებენ საზღვარგარეთ გარდაცვლილ ქართველებს და მშობლიურ მიწაზე დაუმკვიდრებენ სამარადჟამო განსასვენებელს: ვისაც ქართული ენა სიკვდილამდე ახსოვდა, ჯვრის მარჯვნივ დაიმარხება, ვინც დაივიწყა — მარცხნივ. ვისაც საერთოდ არ გაუგონია ქართული — უფრო იქით, სიღრმეში.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, ნოსტრადამუსელთა ჩანაფიქრის გრანდიოზულობამ გალავნის წინ შეკრებილი ხალხი ნამდვილად მონუსხა და გააოგნა, გარეგნულად ვითომ არ იმჩნევდნენ, მაგრამ შინაგანად იმდენად იყვნენ აფორიაქებულები, რომ თავი დიდხანს ვერ შეიკავეს და აქა-იქ რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვეს, ზოგი დაეჭვდა კიდეც, პროექტი იმდენად გრანდიოზულია, სახელმწიფო მხარს არ დაუჭერს და არ დააფინანსებსო. განსაკუთრებით ლევილის სასაფლაოს გადმოტანა ხიბლავდათ, დიდმამულეობა — საქმეა და მთავრობა როგორმე უნდა ეპოვნოთ, პროექტის განსახორციელებლად თანხები გაიღოსო. ამ საერთო აღტაცებას გამოეყო ერთი შუახნის მამაკაცი, აქ რომ ყოველდღე, როგორც სამსახურში, ხალხთან სამუსაიფოდ და სალაზღანდაროდ დადიოდა. ყველა იცნობდა, საკმაოდ დამსახურებული სუკის აგენტი იყო, ამხ. სუსლოვის სიკვდილის შემდეგ რატომღაც მსოფლმხედველობა შეიცვალა და ეროვნული სულის ფენომენოლოგიურმა პრობლემებმა გაიტაცა. ახლა ღრმად დაფიქრებული თითქოს გულწრფელად წუხდა, საქართველოს დედაქალაქის თავზე ამხელა ჯვარი — ქრისტიანული სიმბოლო რომ აღიმართება, ამას საზღვარგარეთ ანუ თურქეთში მცხოვრები ქართველები როგორ შეხვდებიან, რას იტყვიან, მით უმეტეს, თუ იმათი მკვდრების გადმოსვენებაც დაგვჭირდაო. შეკითხვას მზაკვრული თუ ვერაგული ელფერი დაჰკრავდა, ხალხმა კი ყოფილი აგენტის ეჭვი მორიგ აბსურდად მიიჩნია და პასუხიც არ აღირსა, თუმცა მისთვის სულერთი იყო, უპასუხებდნენ თუ არ უპასუხებდნენ, მაინც თავისას მირეკავდა, იქნებ ჯვარზე სადმე ნახევარმთვარეც მოვათავსოთ, ამით ეს ურთულესი პრობლემა მოგვარებული გვექნებაო. ამჯერად სულის მოთქმა არ აცალეს, გაუღიზიანებლად, მაგრამ დაუდევრად თუ ოდნავ აგდებულად მოუჭრეს. მაგ პრობლემის მოგვარება თუ ასე გწყურია, წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოებას მიაკითხეო...

ბარდაველი, სეფედავლეს ძე, ბოლო რეპლიკამ ძალზე გაამხიარულა და გუნებაზემოსულმა ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ გურანდუხტის ყურადღებაც კი მიიქცია. გურანდუხტი პირველ სართულზე, დიდ დარბაზში სასადილო მაგიდას უჯდა და თავის საყვარელ ოქროცურვილლაჟვარდოვან ფაიფურის ფინჯანში ყა-

ვის ნალექს მონდომებით ჩასცქეროდა, ხვალინდელი ბედ-იღბლისა თუ ბედისწერის ამოცნობას წინასწარ ლამობდა. წამით ნალექს თვალი მოწყვიტა, იქაურობას მიაყურა, მერმე უცებ ჭერს ახედა და ბარდაველს ასძახა, რა ხდებაო, არაფერი, რაღაც სისულელეზე გამეცინაო, ზემო სართულიდან დაამშვიდა მეულლე. სეფედავლეს ძეს დილიდანვე ჩართული ჰქონდა მიკროფონი და ტყავის სავარძელში ნებიერად მიწოლილი გალავნის წინ შეკრებილი ხალხის საუბარს ისმენდა, თანაც ყველაფერს სიტყვა-სიტყვით მაგნიტოფონის ფირზე იწერდა, შემთხვევით თუ რამე გამომრჩა, ეს დაიმახსოვრებს და შემდეგ დაწვრილებით მომახსენებსო. მართალი გითხრათ, საბჭოთა ტექნიკის მიღწევათა დონე მაინცდამაინც არ აკმაყოფილებდა, მეტ პატივს ამერიკის ტექნიკურ პროგრესს მიაგებდა. რადგან სწორედ დღეს ინატრა თუ იოცნება, გალავანზე საიდუმლოდ დამაგრებული, პატარა, მოძრავი ტელეკამერა რომ მქონდეს, სმენით ხომ ვისმენ, ბარემ თვალითაც ვნახავდი, ჩემი სახლის წინ რა ხდება, რა ხალხი ტრიალებსო. თვითონაც კარგად იცოდა, ამ ოცნებას ვერ აიხდენდა, ხალხის სათვალთვალოდ ამერიკულ ტელეკამერას, თუნდაც იაპონურს, გალავანზე არავინ დაუდგამდა, ამიტომ ისე, სხვათაშორის გაიფიქრა და მერმე ეს წამიერი, ფიქრი, ნატვრა თუ ოცნება ისევ მოზღვავებულმა სიხარულის, სიამოვნების, ნეტარების ტალღებმა გადაფარა. მაგრამ ჟრუანტელის მომგვრელი ტალღებიც გამქვირვალე, სიფრიფანა ზედა ფენა იყო იმ განცდილისა თუ ნაგრძნობისა, რაც სულისა და გონის სიღრმისეულ შრეებში გაყუჩებული იწვა და ჯერჯერობით გამჟღავნებას ანუ მთელი ძალით ამოფრქვევას ვერ ბედავდა. თითქოს მოულოდნელად ცა გაეხსნა და მზის ნაპერწკალმა ცნობიერების ბნელი ჯურღმულები გაუნათა, უცებ მიხვდა, თუ გინდა, იგრძნო კიდეც: გალავნის წინ მორიალე ადამიანები, მამამისს მუხლმოყრილნი და ხელებაპყრობილნი თაყვანს რომ სცემენ, [illegible] ეს, თვითონაც არ იციან ისე, მის გამოჩენას ანუ ბარდაველის გამოცხადებას ელოდებიან, რამეთუ დიდი სეფედავლე უკვე მიემართება იმ გზით, რომელიც საუკუნეების წყვდიადში მიდის, მიდის და უკან აღარ ბრუნდება, იმ ხალხს კი დიდ სეფედავლე ჰაერივით სჭირდება, უდიდ-სეფედავლოდ არსებობა არ შეუძლია.

ნეტარების ბანგით გაბრუებული ბარდაველი ნაცნობმა ხმამ გამოაფხიზლა, ვარაზ-ვაჩეს ყვირილი ეზოდან ისმოდა, სავარძელში მიწოლილი წამოიმართა, ფანჯრისკენ მიმავალს რატომღაც მოა გონდა, წუხელ კოშმარული სიზმარი ნახა და დილით, გამოღვიძებულმა ვერაფრით გაიხსენა, რა დაესიზმრა. სკოლიდან დაბრუნებული ვარაზ-ვაჩე კი ისევ ეზოში იდგა, გახარებული თუ აღტაცებული, მშობლების გასაგონად მთელი ხმით გაჰყვიროდა, მოდის, მოდისო. დედა პირველი სართულის ღია კარიდან გამოეგება, მამამ ფანჯარაში გამოყო თავი და შეთანხმებულებივით, ორივემ ერთხმად ჰკითხა, რა გაყვირებსო. მოდის, გიჟიბაბო მოდისო, უპასუხა ნარბენმა, აქლოშინებულმა, სახეანთებულმა ბავშვმა. გურანდუხტი შებრუნდა დარბაზში და კიბეები სწრაფად აიარა, ბარდაველი უკვე მამის ოთახში დახვდა, დაძაბული დასცქეროდა ჩამკვდარ სახეს, თვითონაც მივიდა საწოლთან და მამამთილს დახედა, არაფერი შეცვლილიყო, დიდი სეფედავლე ჭერს მიშტერებული, ყბაჩამოვარდნილი იწვა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ორივემ სმენა გაამახვილა, გარედან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ცაცხვმა გაიშრიალა და ის შრიალიც მალევე მიწყდა. მერმე სამარისებურ სიჩუმეში ღია ფანჯრიდან ქალის შორეული ხმა შემოიჭრა, თითქოს გაბმით კიოდა, სიტყვებს ვერ გაარჩევდი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევდა სიტყ-

ვის ნაფლეთები. უცებ ორივემ, ბარდა-ველმაც და გურანდუხტმაც, დიდი სეფედავლეს უაზრო მზერაში შიშის ელდა, უფრო ზუსტად: ელდის გაკრთომა შენიშნეს, მოხუცს დამჭკნარი სახის რამდენიმე ნაოჭიც შეუტოკდა, მაგრამ უაზროდ გახელილ თვალებში ელდის მყისიერი გაკრთომა მაინც თავზარდამცემი იყო.

— ყური მიუგდეთ მდინარის ხმაურს, ისე არაფერი გამოხატავს ამაოებას, როგორც მდინარის ხმაური, — თქვა ეკლეზიასტემ, ოღონდ არა დავითის ძემ, მეფემ იერუსალიმში, არამედ ეკლე წიწუაშვილმა, ფეთხაინის უბანში მცხოვრებმა ებრაელმა, რომელიც დაბადებით ბრმა იყო და ცხოვრების სიბრძნეს მხოლოდ გონების თვალით ჭვრეტდა.

ეს მოთხრობა არჩილ სულაკაურის უკანასკნელი ნაწარმოებია. თავისი ცხოვრების ბოლო წელი მას შეალია, ბევრს შრომობდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა მომავალს, თითქოს სათქმელის დასრულებას ჩქარობდა. მაინც არ დასცალდა... მუდამ დინჯი და კეთილმოსურნე, ბრძენი თვალებით შესცქეროდა სამყაროს და ყოველ სიტყვას ეფერებოდა. „ორი თავიდა დამრჩა", ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა და წავიდა; წავიდა სამუდამოდ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბივი ძნელაძე

წიგნიდან: „ბაძლება“

ნათელი – ბნელში...

„მე თქვენ სამოთხის
ტკბილ წყაროს გასმევთ,
თქვენ კი — ძმა ძმისა
წმიდა სისხლსა სვამთ!...“

ილია ჭავჭავაძე

... სული მისი — მზის ნათელით აღვსილია,
დგას მამულში ოქროთესლის მთესვარი!..
საქართველოს შუაგულში დგას ილია —
ოთხივ კუთხით ნათელს აფრქვევს მზესავით!..

უნდილას საყვედური

„... ეკლებზე ვწევარ, —
არაფერს ვიმჩნევ“.

ვაჟა

რა გული გქონდა ამხელა,
ძარღვში რა სისხლი გდენია,
ან რა ბუხუნი გაგჰქონდა,
ვისი რა გენი გერია,
ვეფხვურ ტორებით რამდენი
მოქიშპე მოგიგერია,
შენს დაქუხილზე ზვავები
მთიდან არაგვში ერია;
რად არ გვიცოდე, ვ[illegible]
ხომ იცოდ ამბავ ჩვენია, —
საქმითაც შეგესრულებავ,
სიტყვით რაც მადლი ჰქენია, —
რადარა ამოჟლიტევი
სრულად შინ-გარე მტერია, —
ჩვენ დაგვრჩებოდა სამღერად
„აბა — დელია — დელია!“..

. . . . . .

... ახლა მე რა ვქნა, უნდილამ, —
ვარ გაფანტული მტვერია!..

ლოცვასავით

ცა უსიამოვნოა...
არ გაიამინდა...
სულში მტეხს და მზრინავს —
როგორც ასუსხება!..
როგორ მენატრება
ადამიანიდან
ადამიანური
შემოპასუხება!..
მზეთა ჩქერი ჩაქრა —
სადღაც გარდადინდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც — თანადობა...
    აღარც — თანაძმობა!..
სიკვდილივით მინდა
    ადამიანიდან
ადამიანური შემო —
    თანაგრძნობა!..

ზეცა დაიძენძა...
    მიწა დაიბზარა...
და თუ განწირულად არ გვთვლი, —
ღმერთო დიდებულო! —
    ნუ დაგეზარება:
ისევ აღაზევე ქართველი!..

მოჩვენება

... მოჩვენებაა!..
    ყველაფერი მოჩვენებაა!..

... მზის მზერაშიც ბზარია...
    მზე ცაზე მიმზრალია!..
ღვთისმშობელო მარიამ! —
    სიზმარიც სიზმარია...
რა აურზაურია...
    რა ზრიალ-ზრიალია!..
ესეც გალაკტიონის მონათავაზარია!..

ვისაც რამ ეჩვენება —
    თვითონც მოჩვენებაა...
ნუთუ ქვეყნად ყოველი
    ზეციერის ნებაა!..

... ვაჰ, თუ უფალს არ მოსწონს
თვისი ნამოქმედარი
და ხელახლა აპირებს
    შექმნას სამყაროისას!..
ვაჰ, თუ ყოვლად ძლიერსაც მოეჩვენა ყოველი —
მაშინ... უნდა ვიმღეროთ „სივარადა-ვოისა!..

. . . . . .

... მოჩვენებაა! — ყველაფერი მოჩვენებაა!..
მოჩვენებაა! — მოჩვენებაც მოჩვენებაა!..

საწყის — სასრული

... გადაგრევს ფიქრი —
    ძირის-ძირზე ფიქრი გადაგრევს;
დაგანგრევს ფიქრი —
    დასაწყისზე ფიქრი დაგანგრევს...
უსაზღვროების გააზრებაც
    არი მზარავი;
ვინ უწყის — რა რიგ ამწუხარა,
    რარიგ ზარა ვინ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... მაინც, — ჩემს ტვინში
    დულს და იწვის ნიტროგენივით
მარადიული გაოცება ღვთიურ გენიით,
რომელმა შექმნა
    გარემყარი და შინამყარი,
ზესკნელ-ქვესკნელი, —
    ასამხარი და დასამხარი!..

... ნუ დამიმალავთ
    და პასუხის ჩამთვალეთ ღირსად:
თვით შემოქმედი
    თუ რაცხს ვინმეს
        შემქმნელად თვისად!..

ზღვას ცეცხლი გაუჩნდა...

ათასჯერ მოვკვდი და
  სამასჯერ გავცოცხლდი, —
გამოდის:
  შვიდასჯერ მკვდარი ვარ!..
გრიგალმა ჩამწვარი ფოთლები გაცოცხა—
  ყავარი ყვიროდა „ჰარირას"!..

ცხელოდა... ცხელოდა...
  მზე აღარ ცხრებოდა...
დედამიწა გადაგორდა ზღვაში!..
ცხვებოდა ობლის კვერი
  და... აღარც ცხვებოდა, —
ღნაოდა მშიერი ბავშვი...

ზღვას ცეცხლი გაუჩნდა...
  თვითონ მზეც დაიწვა...
სუდარა გვაფარია ღამის!..

... ახლა აღარც ზღვაა!..
  აღარც დედამიწა! —
ახლა აღარც ბავშვი ღნავის!..

ბ ე ო ბ ა...

„და შენ, კაფარნაუმ, ნუ ცადმდე
აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთახდე..."

... ვინც არ იბღინძა, —
თავმდაბლობა არჩია ვინაც —
მან გაიხარა ორსავესა სოფელსა შინა;

ამპარტავნებამ ანგელოზი აქცია ეშმად!..
მოძღვრება ესე, ყრუს და რეგვენს,
    ვისაც არ ესმა —

შეთხოვნა მისი ვერ ააღწევს ვერასგზით ცამდი —
ყოვლისმხედველი ოდენ მდაბალთ
    შეჰმოსავს მადლით!..

... ამპარტავნება ადამიანს აპატარავებს, —
მისებრ საბრალო დუნიაზე ალბათ არავინ
არცა ყოფილა, არც იქნება (მოწმეა ღმერთი!)
... ვთქვი ასჯერ თქმული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც ლამაზად ვერ ვთქვი!..
რა ვქნა, — ხანდახან ჯიუტი ვარ,
ალბათ — თავნებაც! —
მეპატიება ამდაგვარი ამპარტავნება...
მისთვის კი, ვინცა თავს ჰპატიობს დაპატარებას, —
ჩამი-ჩუმია ჩემი ჩუმი დატატანება!..
. . . . . .
... ამპარტავნება...
ამაზრზენი ამპარტავნება!..

* * *

(ძველი ნათქვამის ახალი ვარიანტი)

... გუზგუზა ცეცხლში
რომ შეაგდო ძუძუთა ბავშვი —
ისე მიმაგდო ყველამ, ყველამ, —
მარტოკა დავრჩი!..

... მტანჯველი დღენი ერთმანეთზე
მიჯრით წაება, —
ღმერთო მაღალო, —
რა ჩინს გმატებს
ჩემი წამება!..

დედამიწის ნათქვამი

— ზოგი კაცი სულ ზედმეტი ბარგია, —
მაბიჯებს და...
მამძიმებს და...
ეკალივით მჩხვლეტს!..

კაცმა რომ თქვას —
მეც ვის რაში ვარგივარ, —
იქნებ...
იქნებ...
ზედმეტი ვარ მეც!..

რთული გამოცანა

(ვარიანტი)

არ არსებობს
კითხვა თითქმის,
ანდა თითქმის არ არსებობს, —
პასუხი რომ არ გამეცეს, —
ან ისეო, ან ასეო!..

ამ ერთ კითხვას
ვერ ვპასუხობ, —
თუ ბიჭი ხარ — შენ თქვი რამე:
მთვარის ტოტებს
თეთრი თხები
ნეტა როდის შეტკივრავენ!..

გადარჩენა... დროებით!..

უცებ დაუშვა, — ხვატის მერე...
ცოტა მოვცოცხლდი;
მზე გადაგვწვავდა —
წვიმას ცოტა რომ დაეცლია!..
შესამყუდრები არსად იყო, —

ისე მოვცოცხე —
ქარი მომდევდა ფეხდაფეხ და...
ვერ დამეწია!..
უცებ... ტყისპირი...
მეხთატეხა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიალით...
გრგვინვით, —
ცეცხლი ეკიდა ერთ
ერთ დიდ მუხას,
გამო მეხისა!..
გიზგიზებდა და გურგურებდა
ალმური ირგვლივ,
შევვარდი ცეცხლში
შევყვირე და... გამომეღვიძა!..

... კიდევ კარგი, რომ...
თავის დროზე გამომეღვიძა!..

ქალაქი მქონდა!..

ეუეა რაბიდან (უნგრეთი)

(სიზმარ-ცხადი)

ოდესღაც თეთრი, თეთრი, თეთრი ქალაქი მქონდა...
უეცრად ჩაქრა... უცებ გაქრა... აღარც კი მახსოვს —
როდის ან როგორ დამავიწყდა სახელი მისი...
არყოფნის ნისლში დანთქმულ ქალაქს
აღვიდგენ კვალად — ვიბრუნებ სიზმრით...

... სიზმრის ქალაქში — მთავარ ქუჩაზე —
ერთი მეფურნე ფუნთუშების არომატს ჰყიდის,
ხოლო ხანდახან (ათასში ერთხელ)
ფუნთუშეულის მოყვითალო სურნელის ნაცვლად —
ნამდვილ ფუნთუშებს არიგებს უხვად...

... მე ეკლესიის ბაღის ძელსკამზე
პეპელასავით დამსვამს ქარი წყნარ სილურჯეში,
სად მოწყენილი, ჟამით-ჟამზე, ვმჯდარვარ მარტოკა —
ძველ სიყვარულის მოახლების იმედით სავსე...

სიზმარში სიზმრად სიზმარს ვხედავ და, ჰოი ღმერთო! —
ზღვაში ლივლივებს, წყალს მინარავს თეთრი კარაპა —

მთვარეზე ბზინავს მარილწყალი, ვითარცა ვერცხლი...
მე ის კარაპა მიმაცურებს ლამაზ კუნძულზე, —
იქ მწვანეთმიან ფერიების ამო შრიალში
მკვდარ მეზღვაურებს ვეცეკვო უნდა...

... ცხადეულ ქალაქს სიზმარში ვხედავ...

... ო, ღმერთო ჩემო! ვეღარ ვიხსენებ,
ვეღარ ვიგონებ, ვერ მოვიმხარი —
ქვეყნიერების რომელ ნაწილში,
სად მდებარეობს ჩემი ქალაქი!..
ბილიკს კი, ბილიკს—მზის სხივივით დანთებულ ბილიკს,—
ვხედავ... ჭას ვხედავ... შვინდისა და ჭილის ბუჩქები
კვლავინდებურად, შეწევნითა ღვთისათა, ხარობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ბაზრის მოედანს ჩავუარე... ნაცნობ მათხოვარს
(ვითომ მარჩიელს) შევეფეთე... აღარ მომეშვა:
თევზის სამ ფარფლად მიწინსიტყვა ბედნიერება:
ცხრა ფარფლად: მართლის თქმა მიყვარსო, ვერ
დავმალავო, —

დადგება დრო და — აქაობა უნდა დათმოო!..
თუ მოისურვებ — დაუბრუნდე ისევ ამ ქალაქს, —
სიცოცხლის ფასად შეგეძლება დაბრუნებაო!..

... სიზმრის ქალაქში სიყვარული მეუფობს წმიდა:
ვერ ბღალავს შური, ვერცა ქიშპი და ვერცა ზიზღი...
აქ ეკლესიის ეზოსავით სუფთაა ქუჩა.
სასაფლაოზე იღიმვიან მიცვალებულნი...
სხედან და უხმოდ იხსენებენ ცოცხალთ სახეებს...
სხეულზე ნისლი სამოსივით აცვია ყველას,
ოღონდ ეგ არი: არ შრიალებს, არ იძვრის ნისლი, —
შემოტმასვნიათ უმოძრაოდ სამოსი ტანზე
და, სუნთქავენო, — ვერც იფიქრებს შორიდან კაცი!..

... სასაფლაოზე იღიმვიან მიცვალებულნი —
ერთი მათგანი ბეჯითად რწყავს საკუთარ საფლავს...

... დადგება დრო და... უკაცრიელ ერთერთ ბაქანზე,
შუაღამეში მარტოდმარტო მომიწევს ჩასვლა...
მე არც იმ ბაქნის სახელი ვიცი
და არც ის ვიცი, როდის შთანთქავს წყვდიადი ნათელს...
უთანამგზავროდ, მარტოსული გავყვები ბილიკს,
ხელისფათურით მივაგნებ ჩემს სახლს,
ჩემს უკარფანჯარო მარადსამყოფელს,
რომელსაც ქარი უფრიალებს ნისლისფერ ფარდებს...
შევალ იმ სახლში... წამოვწვები გულარხეინად
და საკუთარ თავს მოვუყვები ჩემი სიცოცხლის,
სიცოცხლეშივე მოუყოლელ ცხოვრების ზღაპარს...

* * *

დაგვმოძღვრეს, — გახსოვს? — არსება სხვისი —
გიყვარდეს ისე, ვით თავი შენი...
... კაცს არაფერი ისე არ შვენის,
როგორც თანდგომა ჭირშიც და ლხინშიც!..
... იყავი ვირი,
იყავი მგელი,
იყავი ტურა.
იყავი ჯორი!..
იყავი ეშმა,
იყავი გველი, —
არ უნდა იყო
ოღონდაც... ღორი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭვი...

... ვისი მაქვს სისხლი ღვთიური ძალით
(ვითა ყოველი —
ღვთით თუა ლექსიც...)
თუ მდაბიოსი —
ვაჰ, ჩემი ბრალი!
თუ გენიოსის —
მით უარესი!..

ძველი სურათი

გადაშუადღდა...
გაიხადა მზემ ღრუბლის კაბა, —
თავით
შავ ზღვაში
გადაეშვა

დედიშობილა...
... ზღვიდან ქალწული გამოცურდა
ნაპირზე ცქაფად —
ტანი მზისფერი —
ნებიერად შეიშრობილა!..

* * *

... არსებას ჩემსას მივაჩერდი —
ვითარცა სხვისას:
ჩემსავით წუხდა,
გვნეშდა,
ხვნეშდა,
გმინავდა ისიც!..

* * *

„მე“ — ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ჩემში...
საკუთარი არსების შეგრძნება ჯერ კიდევ ცინცხალია
და იმედიანი... მაგრამ დროის
მანძილი შემზარავია, —
დროის ის მანძილი, — რომლითაც იზომება ჩვენი
არსების ყოფნა მიწაზე — ცის ქვეშ!..
... 60 წელი ბევრი არაა მარადისობის თვალსაწიერზე,
60 წელი ბევრია კაცთა ამქვეყანაზე
გაძლების აღმნუსხველი ციფრისთვის! —
ბევრია, — ნახევარზე მეტია!.. მილიონის
ნახევარი კაი ზორბა ციფრია, ასი წლის
ნახევარი კი... სიზმარია, ციცქნა სიზმარი,
ისიც — დღისით, თვალღიად დასიზმრებული!..
ამ სიზმრის ბოლომდე მოყოლასაც კი ვერ
ასწრებს კაცი და... ძილი მოეკიდება, ჩასთვლემს
და სამუდამოდ ჩაეძინება!..

... ვნახულობთ იქ სიზმარს? თუ ვნახულობთ —
ვუყვებით ვინმეს!.. მარტო ვართ იქ?..
შენ სად იქნები 100 წლის მერე?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ტყვიებად სკდება წუთები და რამდენი
წუთიც გადის, იმდენი ჭრილობით იძენძება
გული ჩვენი!...
... არა!.. ტყუილია! — ადამიანი უკვდავი არ
არის!.. უკვდავების იმედით ქმედობა და
სიკვდილის მერე სიცოცხლეზე ფიქრია
უკვდავი! ადამიანი უკვდავი რომ იყოს,
მაშინ დრო არ იქნება დაყოფილი წარსულად,
აწმყოდ, მომავლად, — დრო იქნება
ერთი და დაუნაწევრებელი!.. დროს ანაწევრებს
ადამიანის დროებითობა, დროს
ანაწევრებს ადამიანი და თავისთვის იტოვებს
დროის უმცირეს ნაწილს, — წუთს!.. წამს!..

* * *

ჭკვიანი, გონიერი კაცი ხანდახან სისულელესაც ჩაიდენს ხოლმე... სულელი ვერასოდეს ვერ მოიქცევა, ერთხელაც კი ვერ მოიქცევა ჭკვიანურად, გონივრულად!..

... წინადადების „აწყობის" პრინციპი, დამწერის შინაგანი, სულიერი მოთხოვნილება ზემორე გამონათქვამში „სულელის" მაგივრად „სულელი კაცის" დაწერას გულისხმობდა, ვინაიდან უფრო ზევით სწერია „ჭკვიანი კაცი"; მაგრამ „სულელის" შემდეგ კალამი გამიჯიქდა და არაფრით არ დაწერა „კაცი".

ყოჩაღ, კალამო! — რა მიმხვედრი, რა გონიერი, რა ჭკვიანი რამა ხარ!.. ყოჩაღ!...

... მე, მაგალითად, ამას წინად სისულელე ჩავიდინე: ერთ ულირსს სუფრაზე, თუმცა უგულოდ, მაგრამ მაინც, ქების სიტყვა ვუთხარი. და... შენ რა გგონია, — უკმაყოფილო დარჩა, — მეტი მეკუთვნისო, — ურცხვად ამბობდა მისი ფიზიონომია!..

ერთი კია: იმდენი სულელი და უგნურია ირგვლივ, ყველას ის რომ უთხრა, რაც ეკუთვნის, ქვას ჩაგარტყამენ თავში, ან რაღაცას მოგიგონებენ (ახლა მოდაშია ეს!..) და გულზე გასკდები, უფრო სწორად გული გაგისკდება!..

„არა, არა, ეგრეთ წერას ვერ აიტანს კაცი!", — თქვა ილია ჭავჭავაძემ, — თითქოს დღევანდელობის გასაგონად! — მაგრამ... ერთი პოეტი წერს:

„— იჯდა ტოტზე ბელურა და
იძახოდა: „სკვინჩ", „სკვინჩ!.."
ეს იგივეა, რომ თქვა:
— დედლებმა მესამედ იყივლეს და გათენდა კიდეც!..

* * *

... თავს წავასწარი: ფართოდ დაძელო თვალები (ალბათ — უჩვეულოდ გაბრწყინვებული!), მკერდზე ხელები დამედო და ვსუნთქავდი ღრმად, ღრმად... ხმიერად, ძალუმად... აი, ექიმი რომ გეტყვის **გასინჯვისას** — ღრმად ისუნთქეო, ისე!..

ვისუნთქავდი: მთებს, ზღვებს, ხეობებს, მდინარეებს, მინდვრებს, — ყვავილოვან მინდვრებს... და, — მზეს, ვარსკვლავებს, მთვარეს, — ყველაფერს, ერთად... დღესა და ღამეს, არეულად, შერეულად, — გრილს, ნისლოვანს, [illegible] ჩაბნელულს ჩაბ ხჩახას... მცხუნვარეს, მხურვალეს!.. თვითმკურნალობა უკეთესი თქვით!.. იმ წუთში ვიყავი მრთელი, სავსე და ძლიერი... ძლიერი!..

თავს წავასწარი!.. ვფიცავ, თუკი რამე მყავს და მაქვს საფიცარი, ვფიცავ მაღალ ღმერთს!.. თავს წავასწარი!..

და ეს ყველაფერი მართლა იყო! და, რაც მთავარია, ბუნებრივი! და ნაღდი!.. წინასწარი სამზადისის, თამაშის გარეშე!..

ეს — იყო! ეს — ახლა არ შეიძლება იყოს! მონდომებაზე არაა! რადგან, ძმაო ჩემო, მონდომებაც ღვთისგანაა!..

* * *

„— ბავშვის გული აქვსო“, — კაცზე რომ იტყვიან, ამით მის (იმ კაცის) ღირსებას უსვამენ ხაზს... ეს გამოთქმა შეიძლება გენიოსსაც მივუსადაგოთ!.. მაგრამ აბა, თვით გენიოსზე „ბავშვის სული“ აქვსო! — თქვი!..

სული, — ბავშვისაც და დიდისაც — მასხრობა საქმე არაა, სული კაცისა — ჯერ კიდევ შესასწავლია, ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ გახლავთ!.. თუმცა, სხვა რა არის ნათელი ამ დალოცვილ ქვეყანაზე!.. გუშინ, ზუსტად გუშინ (მე გუშინ გავიგე ყოველ შემთხვევაში) ამერიკელებმა ციურ სხეულთა ახალი სისტემა აღმოაჩინეს (ჯერჯერობით — ყველაზე უშორესი), რომელიც ჩვენგან რამდენიმე მილიარდი სინათლის წელიწადით არის დაშორებული!..

სიტყვამ მოიტანა და... სული თუ ააღწევს ნეტავი იქამდე?!. კი თქვა რუსთაველმა „რომელმან შექმნა სამყარო“, მაგრამ... რუსთაველიც კი ამ ახალაღმოჩენილ სისტემას ვერ იგულისხმებდა!..

იყო რაღაც, — რაც არ იცოდა თვით რუსთაველმა!..

არის რაღაც, ბოდიშს ვიხდი მკრეხელობისათვის და, ის „რაღაც“ არც ჩვენ ვიცით დღეს!

ხვალ ყველაფერი ნათელი იქნება!..

ხვალის მერე?.. მაზეგ?.. და ათასი მაზეგ!..

დავამთავროთ ახლა, თვარა უკვე მახსენდება გამოთქმა: „ბავშვის ჭკუა“.

* * *

ხშირად: 1. თანამედროვეთათვის მავანი და მავანი ჩვეულებრივი კაცია, — მომავლისთვის — გენიოსი! 2. თანამედროვეთათვის მავანი და მავანი დაფასებულია, — მომავლისთვის — არაფერი! 3. თანამედროვეთათვის მავანი და მავანი არაფერია, — მომავლისთვის — კიფერი! 4. თანამედროვეთათვის მავანი და მავანი თუ მართლა ყველასთვის გენიოსია (და ეს იშვიათად ხდება!), — იგი ყოველ დროში ასეთად რჩება!..

ასე რომ: მთლად ბინდით მოცული და ბნელოვანი არაა ეს ცხოვრება, როგორც ზოგიერთებს ხანდახან ეჩვენებათ; ან ჩვენ მოგვაჩვენონ უნდათ როგორმე!.. ჩემთვის პირადად ბევრი რამე ახლავეა ცხადი... სიკვდილის მერე ცოტა ხანს რომ ვიცოცხლებ— ვიცი!..

... მე მგონია, ცხოვრებას კაკალი გავაგდებინე და... ესეც საქმეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— ვინ ვარ მე, იცი შენ?! შენ იცი, ვინ ვარ მე?!
მე ვინ ვარ, შენ იცი?!.. შენ მე იცი ვინ ვარ?!.. მე
შენ იცი ვინ ვარ?!.. შენ მე ვინ ვარ, იცი?!, —
გამუდმებით ჩამესმის ყურში ფეხისწვერებზე წამოწეული
მკერდგამოგდებული, ცალწარბაწეული, თვალებდაქაჩული,
გულზე საჩვენებელთითმიდებული, — ჩემი თუ, შენი თუ,
მისი თუ, მათი — ყველასი მჭახე, მედიდური (უმრავლეს
შემთხვევაში — ცრუმედიდური) ხმა — შეძახილი!..

ეჰ, ჩემო ძმაო! (ეხება ყველას!..) ვისაც შენ ედიდგულები, — იცი, რამხელა წარმოდგენა აქვს მას საკუთარ თავზე?!.. და ეს იწვევს ადამიანთა ურთიერთობაში დისჰარმონიას, კინკლაობას, უნდობლობას, ფარულ შურსა და ავფიქრობას!..

უნდა გვჯეროდეს, უნდა ირწმუნო, რომ შენს გარდა სხვაც არის ამქვეყნად!..
„ო, ღმერთო ერთო!..“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

მისხალ-მისხალ

ფოთოლი ვარ გალუმპული ცვარით,
ნაწამები დროითა და ქარით,
საიდუმლო სოფლის რომ ვერ ვცანი,
მიტომც ტირის ასე ჩემი ქნარი.

ნაფლეთი ვარ მე თიბათვის მთვარის
და ვკიდივარ შუკა-შუკა წნორებს,
ნაფოტი ვარ თელას მონათალი,
ცრემლი ჩემი მისხალ-მისხალ ვწონე.

მაინც ვცხოვრობ, მაინც ვიბრძვი, მიყვარს,
ასე მიველ ბედის ფინიშამდე,
ფილუკა ვარ და ზღვამ გამომრიყა,
დაძენძილა ჩემი ვერცხლის ბადე.

ფოთოლი ვარ გალუმპული ცვარით,
ნაწამები დროითა და ქარით,
საიდუმლო სოფლის რომ ვერ ვცანი,
მიტომც ტირის ასე ჩემი ქნარი.

მთვარის საგალობელი

ეს ჩემი ჩანგი ტირის თუ მღერის,
ეს მხოლოდ შენთვის,
ეს მხოლოდ შენთვის,
თუ ვინმეს შენგან განწირვა ელის,
მე ვარ ამ ცის ქვეშ ეს ერთადერთი.

და მთვარე, როგორც ოქროსწვივება
ქალწული, ცისფერს გაჰყვა დინებას,

ვინც სიყვარულით გაიწირება,
მას თვითმკვლელობაც ეპატიება.

ო, ღმერთმა ალბათ ასე ინება,
მე შემიყვარდა მთვარე — ასული
და მინდობილი მთვარის დინებას,
მთვარის მომელის მე აღსასრული.

სექტემბრის ოცი

ჩამოხსნილია სუყველა კარი,
ჭრილობებივით ჩანან სარკმლები,
ჩამოდის ცრემლი მოწყენილ ყვავილს
და ცხელი ბაგით ყვავილს ვაკვდები.

და დაღდასმული კვლავ ვეშურები
შენსკენ,
სექტემბრის რიცხვია ოცი,
შრიალებს შენი ლამაზი ფრთები
და ბაგეები მაცვდება კოცნით.

მაინც ვერა და ვერ ვიკლავ სურვილს,
თითქოსდა გული კოცონზე იწვის
და მესმის, როგორ ფართქალებს გული,
ისე მხურვალე, ვით შენი ფიცი.

ჩამოხსნილია სუყველა კარი,
ჭრილობებივით ჩანან სარკმლები,
ჩამოდის ცრემლი მოწყენილ ყვავილს
და ცხელი ბაგით ყვავილს ვაკვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამანთა შორის

მიზეზი ჩემი ამქვეყნად მოსვლის
მხოლოდ წასვლაა და სხვა არა-რა,
ეცემა ცრემლი ოცნებას მგოსნის,
ცრემლმა ოცნების ველი დანამა.

მესმის გალობა ზეციურ მგოსნის,
ნეტავ რას გალობს უცხო ფრინველი
უცხო რამ მოტივს მეორედ მოსვლის
ხმით საოცარით და საკვირველით?!.

ეს ვინ მოადგა უცხო კარიბჭეს,
ეს უცხო მგზავრი ნეტავ საიდან?!.
ღმერთი წყალობას ვის მიანიჭებს,
ხვალ ეკლის გვირგვინს კვლავ ვინ
დაიდგამს?!.

ვინც მე მიბოძა, მანვე წამართვა,
ღლეს მისთვის მოველ, ხვალ რომ წავიდე,
ყოფნის, არყოფნის შორის სამანთა
მხოლოდ სიზმართა ერთი წამი დევს.

მიზეზი ჩემი ამქვეყნად მოსვლის
მხოლოდ წასვლაა და სხვა არა-რა,
ეცემა ცრემლი ოცნებას მგოსნის,
ცრემლმა ოცნების ველი დანამა.

ნაღვლიანი მელოდია

ვდგავარ სარკმელთან, იქეთ კი ლანდი
ფარფატებს თეთრად, ვით ფრენა ფიფქთა
და შენ მოდიხარ — სიჩუმის დარდი,
რომ ამ სიჩუმით უთქმელი ითქვას.

და სარკმლის იქით
და სარკმლის იქით
ვხედავ ნაზსა და ვარდისფერ ხელებს,
ხელებს, რომლებიც ურითმო რითმით
თოვლის სამოსში ფრთხილად მახვევენ.

ფიქრი კი ცისკენ მიიწევს ფრენით
და დაბლა თოვლის ღია იარებს
ტოვებს და სივრცე მთლად თოვლისფერი,
ვით შეუცნობი ფრთები შრიალებს.

მე კი სარკმელთან ვდგავარ და მცივა
და მეძალება ფერი იანვრის
და სარკმლის მიღმა იღიმის ცირა
თოვლივით თეთრი და ნაღვლიანი.

თეთრი მდინარე

ვით ბრმა იმედის ვიწრო გასასვლელს,
ხელის ფათურით გეძებ და გეძებ,
ზედ მკერდზე ტანჯვის ჯვარი დამასვეს
და ყოფნა ჩემი ჰკიდია ბეწვზე.

გამოძერწილი შენ ხარ სინათლე
და ღლეთა ჩემთა გაბრწყინვალება,
მინდა დაგიპყრო, ფრთებს ძლივს
მივათრევ
და შენი ნათლის ვერთვი დინებას.

დიახ, შენა ხარ თეთრი მდინარე,
რა ვქნა, მივენდო ნეტავ შენს ტალღებს?!.
და ედინები ამ ჩემს იარებს
და ციხესავით მარღვევ და მარღვევ.

და უკვე ჩემგან დარჩა არა-რა,
სული წაიღე, განძარცვე ხორცი,
გულმაც ნაღველი ვეღარ დამალა
და მალე სისხლის წვიმებად მოწვიმს.

და მწამს, სიყვარულს ვერ გადვურჩები,
როდემდე უნდა ვიცხოვრო ასე?!.
და მესიზმრება შენი ტუჩები
ყაყაჩოების სურნელით სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მესიზმრება შენი სითეთრე
და თითქოს ჩრდილი შრიალებს ნუშის,
თითქოს მერცხალი ბუდეს იკეთებს
პოეტის ორად გახლეჩილ გულში.

და სიზმარეთის ირწევა ველი,
თითქოს ოცნების ლურჯაფრთებზე:
და ისე გელი
და ისე გელი,
ვითარც აღსასრულს და ბედისწერას,

დრო იყო მთვარის ამოსვლის

აგიგე ოქროს სასახლე,
შეგმოსე ძოწის სამოსით
და უხილავი განახე,
დრო იყო მთვარის ამოსვლის.

დრო იყო მთვარის ამოსვლის,
გაბზარულიყო ცა თოფით
და კოპიტს სასაფლაოსი
მხრებზე შეესვა მნათობი.

ვაი-მე, ბედის ვარსკვლავი
უკანასკნელად ბრწყინავდა,
იწვოდა ბედის სამკალი
და ცრემლი ჰგავდა მინანქარს.

და ცრემლი ჰგავდა მინანქარს,
ზედ ყელზე ჩამომდინარი,
ვიდექი ბედის ფინალთან,
ბრწყინავდა ბედის ფინალი.

დაიწვა ოქროს სასახლე
და გაცვდა ძოწის სამოსი,
ცეცხლი ეკიდა სანახებს,
დრო იყო მთვარის ამოსვლის.

მესმის, ზარები რეკავს

და ცრემლით ვავსებ სურას
და ცრემლით ვნამავ თაველს,
ვიცი, რომ ძლიერ გძულვარ
და მაინც მითვალთვალებ.

ჰყვავის ოცნების ველი,
ბრწყინავს ოქროსფრად მთვარე,
გელი, ამაოდ გელი,
ლოდინით დავიღალე.

„მოვა“, — ჩურჩულებს ქარი,
„როდის?!“ — მომიგებს: „ხვალე“,
მესმის ქვითინი მთვარის,
ვხედავ ცრემლიან თვალებს.

ვხედავ სიზმარში, ცხადში,
ქარი აწყდება კარებს,
ირემი ჰყვირის მთაში,
ბარში ჩამოდის მთვარე.

მესმის, ზარები რეკავს,
იწვის სარკმელი ღია,
სისხლად ჰყვავილობს დეკა,
ცრემლად იღვრება ია.

და ცრემლით ვავსებ სურას
და ცრემლით ვნამავ თაველს,
ვიცი, რომ ძლიერ გძულვარ,
მაშ, რატომ მითვალთვალებ.

კარიბჭე

და ისევ ნ. გ.-ს.

თითქოს ზრიალებს ოქროს კარიბჭე,
თითქოსდა ვიღაც კარიბჭეს აღებს,
მე უკვდავებას ვინ მომანიჭებს,
როცა სიცოცხლე მიბნელებს თაღებს?!.

მე უკვდავებას ვინ მომანიჭებს,
რას ფიქრობს ჩემი ბედის გამრიგე?!
ვიფენ ოცნების ჭრელ-ჭრელ ხალიჩებს
და, როგორც ვარდებს, ფიქრებს ვარიგებ.

ფიქრებს ვარიგებ,
ვოცნებობ შენზე
და ეს ოცნება მე დავინანე
და უკვდავების ნაკადულს ვეძებ,
სადღაც ოქროსფრად ჩამომდინარეს.

და ვკოცნი, ვკოცნი შენს ლამაზ თვალებს
და ცრემლი ნელა მისველებს ღაწვებს,
გაღიმებული შემოდის მთვარე
და ჩემს ოცნებას ჩვილივით ანანებს.

თითქოს ზრიალებს ოქროს კარიბჭე,
თითქოსდა ვიღაც კარიბჭეს აღებს,
მე უკვდავებას ვინ მომანიჭებს,
როცა სიცოცხლე მიბნელებს თვალებს?!.

მირაჟები ოქროვან დღეთა

არჩილ სულაკაურის ხსოვნას

ო, ისე, როგორც მუხლუხა მატლი,
სულში მოცოცავს ვიღაც ახვარი,
თუმც ჩავლილია დღეები ნატვრის,
მაინც ვერ მითქვამს, ძმაო, ნახვამდის.

და ჩემს სატირალს ვიღაცა ტირის,
ჩემი საგლოვიც სხვებმა იგლოვეს,
დაშლილი არის ის ოქროს ტივიც,
ვერ მოვიხილავთ უკვე იმ გორებს,

რომლებიც ასე გვწამდა, გვიყვარდა,
დანისლულია შენი თუშეთიც
და მწუხრისფერი შრიალებს ფარდა,
გახლეჩილ გულსაც ვერვინ უშველის.

და ოქტომბერის ოქროვან დღეთა,
მე მირაჟები ხელში შემადნა,
რუსთველს ვერასდროს ჩავივლით ერთად,
ვერ გავიხსენებთ იმ ჩვენს ელადას.

სხვები მღერიან სხვა გახელებით
და ცეცხლს მიბჟუტულს ურცხვად
მიქრობენ,
სხვები ტირიან ჩემი ცრემლებით,
სხვები ძარცვავენ ძვირფას სტრიქონებს.

შემომცვეთია სამოსი ბებერს
და უფსკრულში ვჭვრეტ სისხლის
ნოემბერს,
ცრემლი არა აქვთ, ვით იტირებენ,
გული არა აქვთ, ვით იგლოვებენ.

დამრეცს გრიალით დაჰყვა მეწყერი,
რა ლამაზ წელთა წავიდა წყება?!.
გაქცეულ დღეებს ვეღარ ვეწევი
და ჩემს საფლავშიც ვიღაც სხვა წვება.

და ისე, როგორც მუხლუხა მატლი,
სულში მოცოცავს ვიღაც ახვარი,
გაჭრილი არის სუყველა კარტი
და გაჩრილი მაქვს გულში ლახვარი.

არის თოვა

გულს სიმშვიდე შვენის განა?!.
კლდე-კლდე მივექანები,
მწვერვალები ჯიქად დგანან,
როგორც სვანის ქალები.

ხელს გავიწვდენ, მხრებში ვწვდები,
უბე თეთრად ქათქათებს,
ფეხის წვერზე გული დგება,
მკერდში ვიკრავ ქარაფებს.

მე სექტემბრის ფერი მიყვარს,
დახუნძლული ოქროთი,
თვალს ვარიდებ ყვავს და ჭილყვავს,
მესმის ქორის ქოთქოთი.

იშმუშნება შემოდგომა,
ჰა, ჭაღარამ იძალა,
თეთრ ღრუბელთა არის თოვა
და ვიგონებ ლიძავას.

და ვიგონებ ახალ ათონს,
ღამეს თეთრად ვათენებ,
თებერვალში ისევ დათოვს
ენძელების კალთებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის გადასახედზე

რუსუდან პირველს

მთებს ძოწისფერი ჰფენოდა,
შენისლულიყო მთები,
ღმერთი დამცქერდა ზემოდან
და მიფარავდა ფრთებით,

თავს მზის გვირგვინი დამედგა,
როგორც ალერსი დედის...
... ყოველ ნაბიჯზე მკლავენ და
ყოველ ნაბიჯზე ვდგები.

მე წავალ, წავალ...

ისევ იძალეს ძველმა ფიქრებმა,
შემოჯარულან ირგვლივ ლანდები,
ერთხელ იქნება,
ერთხელ იქნება,
მეც შენს თვალებში დავსამარდები.

საიდან მოდის, ო, ნეტავ ეს ხმა,
პირგაბასრული ისე, ვით ცელი?!.
დრო იყო, ოქროს მტევნები გესხა,
ახლა კი რა ხარ?! — დამშრალი ცრემლი.

ზეცა გადიკრავს რა ძოწს და რა ფერს,
რა არის შენი ბედი და წერა?!.
მოდგება ქარი და ველზე გაგფენს,
როგორც ჭაღარა ბაბუაწვერას.

განა განკურნავ შენს გულს რითიმე?!.
უკვე დარეკეს მწუხრის ზარებმა,
შენ წახვალ, წახვალ და მზე იტირებს
საბედისწერო შენს გამგზავრებას.

და მზე იტირებს და მზე იქნება
ძაძით მოსილი ჭირისუფალი...
ისევ იძალეს ძველმა ფიქრებმა,
ისევ გეძახის ცისკენ უფალი.

ჰა, წინაპართა აჩრდილნი მოდგნენ,
გზა ჰგავს შემთხვევით დაღვრილ საფერავს
და ცხადად ხედავ ცის კაბადონზე
შენი სხეულის ფერფლად გაფენას.

* * *

მე ოთხი ფრთა მაქვს, ორი კი არა
და არაფერი შემომრჩა მეტი,
ოთხივე ჩემი არის იარა,
ოთხივეს ჩემი მფარველობს ღმერთი.

და შეუმჩნევლად მიიწევს მაღლა
ჩემი ოცნების კარავი თეთრი,
ველარ დავუსხლტი შენი მზის წარღვნას
და შენი ზეცის სიმაღლეს ვერთვი.

და ცა მემსხვრევა მხრებზე განგებით,
თრთოლვით, ზმანებით და დაქუხებით,
გადაცვეთილი მეწვის ბაგენი,
გადაყვლეფილი მტკივა მუხლები.

და უცხო თესლის ჰყვავის იარა
იჭვით, ძაგებით, ჯიბრით, მტკიცებით
და შხამით სავსეს მე ვსვამ ფიალას,
მეც სასმისივით უხმოდ ვიცლები.

სევდით გავცქერი კარებს მოფელილს
და კვლავ ვიგონებ ძვირფას თარიღებს,
ჰა, სადაც არის, წუთისოფელი
ნიბლიასავით ცისკენ წამიღებს...

გულზე იარით

რაა ცხოვრება?!. — სულ მოკლე ფილმი,
ჩათავდება და ვერც კი გაიგებ,
ეს ჩემი ლექსიც ამაზე ტირის
და მკერდზე იწერს ძვირფას თარიღებს.

და მკერდზე იწერს ყველა ძვირფას დღეს,
ღიმილი შენი ქარში გამებნა,
ბოლო იმედიც გადამინასკვეს
და მაქილიკებს ქარი თავნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წასაღებიც უკვე წაიღეს,
ფრთები ოცნების უკვე შემომცვდა,
ჩუმად ვჩურჩულებ ჩავლილ თარიღებს,
როგორც მლოცველი მწუხრის
შელოცვას.

და მიდის ასე ცხოვრება ჩქარი,
დაცარიელდა სადგური ყველა
და ვარსკვლავების ჩამესმის ჩქამი
და კენტი ცრემლი ზედ ღაწვზე ელავს.

და სიმწრისაგან გულ-ღვიძლი მეწვის,
ვიცი, სულ მალე შევაღებ სხვა კარს
და შემოდგომის სევდით ნაძერწი
მთვარე ჩამძახის შენს სახელს, მაკა.

და ფეხაკრეფით თეთრ ღრუბლებს
ერთვის,
ვიცი, კუთვნილ გზას მთვარე გაიგნებს,
მე კი, ძვირფასო, ვარ ერთადერთი
მგზავრი და ნეტავ მივალ-სადა ?!.

და ისე, როგორც ძვირფასი ლექსი,
დაქანცულ გულზე ჰყვავის იარა,
თუკი რამ შევსვი, მე მწარე შევსვი,
კვლავ შხამით სავსე მელის ფიალა.

ცხოვრება მართლაც ყოფილა ფარსი,
ვარ გახიდული ჩრდილივით გზაზე,
ჰა, ბარემ ბოლო ფილაც მასვით
ჩემივ სისხლით და ცრემლებით სავსე.

და ვეშურები ამგვარად, ასე,
გულზე წყლულით და მკერდზე იარით,
თუ არა თასი ცრემლებით სავსე,
განა სხვაგვარი იცით ფინალი?!.

გამოთხოვება

არაფერია ქვეყნად მალული,
მხოლოდ ჭრილობა გულში,
ისე დამცქერის ცა უცნაური,
ვით გაპენტილი ნუში.

და ვარსკვლავებად იქცნენ აზრები,
ვარსკვლავები კი — მთებად,
და ზამბახები სხვა განაზებით
შენი სურნელით თვრება.

გაიშრიალა შამბნარში ქარმა,
ვით გასისხლულმა ფარჩამ,
არა და არა,
არა და არა,
გზა გადარჩენის არ ჩანს.

გწამდეს, ეს წამიც წამებით წავა,
განა ყოფილა სხვაფრივ?!.
და მივიწყებულ საფლავთან წყნარად
გირლიანდები დაფნის

ფერმკრთალდებიან და გვანან ლოდინს
და ცა ეშვება დაბლა,
ისე, ვით გლოვა, ის მაინც მოდის
და ცას ცრემლებით ლამბავს.

და მეც ჩამომდის სისხლი რტოებად
შუბლზე და ბაგე მეკვრის,
ბრწყინავს ლამაზი გამოთხოვება,
როგორც გვირგვინი ეკლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასტანგ ჭელიძე

ჩვენი საუკუნის პარადოქსები

მოგონებანი

ჩემი ხნისანი — ანუ იმ ასაკის ყმაწვილები, რომლებიც, ჩვეულებრივ, შვიდწლიან სკოლას ამთავრებენ — რამდენიმე თუ იქნებოდა ტექნიკუმში. დანარჩენები ულვაშდამშვენებული მოწიფული ვაჟკაცები იყვნენ. ზოგს გალიფე შარვალი და ზედ გადმოშვებული ბლუზა ეცვა, ფეხზედაც — მაღალყელიანი მესტები თუ უძიროები. თავი ყინჩად ეჭირათ, მოგონილი სილაღითა თუ დარდიმანდობით დადიოდნენ; ერთ ასეთ გალიფოსანს, მახსოვს, ტყავის წვრილი ქამარი ერტყა, ვერცხლის ბალთიანი ბოლო ქამრისა ლამის მუხლამდე სწვდებოდა. რაღაც უცნაური რწევით დადიოდა ეს კაცი, და სიარულის დროს — გაკვეთილზეც კი — თავის შესაქცევად, ჩამოკონწიალებულ ქამარს ათამაშებდა: ელვის სისწრაფით დაიხვევდა თითზე და ბზრიალით ჩამოუშვებდა, დაიხვევდა და ჩამოუშვებდა... დროს თავისებურად კლავდა.

ესეც ალბათ ერთგვარი „გაწვევა“ იყო; მაშინ ხომ ასეთი „გაწვევები“ უცხო არ ყოფილა. მთავრობა საგანგებოდ აცხადებდა, მაგალითად, „მუშათა გაწვევას“ მწერლობაში, რათა საბჭოეთისათვის მიულებელი „ბურჟუაზიული თუ ფეოდალური იდეოლოგიის მატარებელი მწერლები“, რომელთა „საბჭოთა პლატფორმაზე“ გადაყვანა ვერა და ვერ მოხერხდა, ახალი, „იდეურად ჯანსაღი“ სტიპენდია გვქონდა დანიშნული); ეს ძალებით შეეცვალათ. არ შემიძლია, აქვე არ გავიხსენო ერთი ასეთი ძალად „გაწვეული“ პროლეტმწერლის მოთხრობა, რომელიც მეშვიდე კლასში გვასწავლეს და დღემდე ვერ დამვიწყნია ერთი ფრაზა ამ ეგრეთ წოდებულ მოთხრობიდან, როცა კულაკის დივერსიით გაუბედურებული გლეხი მოთქვამს: „მშვიდობით, ცოლო, შვილო და სხ.“ ზუსტად ასე: „და სხ.“. ასეთივე გაწვევა ხდებოდა კულტურის სხვა დარგებშიაც. მახსოვს, იმავე ხანებში როგორ „გაიწვიეს“ ტრამვაის პარკში მომუშავე ერთი ახალგაზრდა, პატიოსანი მშრომელი კაცი, კონსერვატორიაში და აიძულეს აბესალომის პარტია ემღერა იმ დროს, როცა დიდებული ანდღულაძე და ქუმსიაშვილი თავიანთი შემოქმედების ზენიტში იყვნენ. ალბათ ტექნიკუმშიაც ასეთივე „გაწვევით“ მოხვდნენ ეს ულვაშა ვაჟკაცები, „იდეურად არასაიმედო“ ტექნიკური ინტელიგენციის შესაცვლელად; ოღონდ ეს იქნებოდა არა მუშათა, არაშედ პარტიული და კომკავშირული აქტივის „გაწვევა“, რადგან ეს გალიფოსნები პირველი დღეებიდანვე სწორედ პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ეცნენ ტექნიკუმში; ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები გახდნენ.

სხვათა შორის, ჩვენი სტიპენდიებიც მათ გამოჰქონდათ ბანკიდან (ტექნიკუმის ყოველ მოსწავლეს, უკლებლივ,

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 11-12, 1997 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან დამამახსოვრა, რომ ერთხელ ბანკიდან გამოტანილი სტიპენდია გზაში „დაეკარგათ“ — აღარ მახსოვს, „მოპარეს“ თუ „მოსტაცეს“. შეგვყარეს ყველანი დიდ დარბაზში, სადაც, ჩვეულებრივ, კრებებს ატარებდნენ ხოლმე, და დაგვადგენინეს, რომ რაკი ჩვენივე ამხანაგებს ასეთი უსიამოვნება შეემთხვათ — „მორალურადაც და მატერიალურადაც დაზარალდნენ“ — ჩვენ იმ თვის სტიპენდიაზე პრეტენზია არ გვექნებოდა... „დაკარგული“ თანხა ალბათ ცოტა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ტექნიკუმი უჩვეულოდ დიდი იყო — ახლაც მიკვირს, როგორ იტევდა ის შენობა იმდენ ხალხს.

ღიმილისმომგვრელი იყო კონტრასტი, როცა ულვაშგადაგრეხილ, გალიფოსან მამაკაცის გვერდით, მერხზე, მოკლეშარვლიან გაწლიკულ ბიჭს დაინახავდი... ერთი ასეთი გაწლიკული ბათუმელი ბიჭი, გვარად გოგუაძე, ერთ დღეს მოკლე შარვლით მოვიდა — ჯერ ისევ თბილისური შემოდგომის მზიანი დღეები იდგა. ეს ბიჭი გამაღიზიანებელი სითამამით გამოირჩეოდა. სასაცილოდ წრიპინა ხმა ჰქონდა, და სასაცილო სწორედ ის იყო, რომ თავის წრიპინა ხმით მუდამ დამრიგებლურ სენტენციებს წარმოთქვამდა. აშკარა იყო თავადვე მტკიცედ სჯეროდა საკუთარი დიდი ნიჭისა და ჭკუისა.

გივი გაბლიანმა რომ დაინახა სკოლაში მოსული მოკლეშარვლიანი ბიჭი, მახსოვს, გაიხარა: მე თვითონვე მინდოდა მოკლე შარვლის ჩაცმა, მაგრამ რაღაცნაირად მრცხვენოდა და მეუხერხულებოდაო, უთხრა. „რაც გსურს, ის უნდა გააკეთო; არასოდეს სხვის აზრს ყურადღება არ უნდა მიაქციოო“; მართლა გივის გასაგონად კი არ უთქვამს ეს, ყველას გაგვაგებინა, რა ჭკვიანი და დამოუკიდებელი აზროვნების კაცი იყო; და კიდევ უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო მისი შეგონება, დასძინა: „მე მუდამ ასე ვიქცევი“...

მეორე დღეს გივიც მოკლე შარვლით მოვიდა. და სანამ თბილი დღეები იდგა, ორივენი მოკლე შარვლებით დადიოდნენ.

გივი გაბლიანი პარალელურ ჯგუფში სწავლობდა. მაშინვე ღონიერი ბიჭი იყო, ძვალმსხვილი, ბოხუა, მაგრამ თუ ისეთი დევკაცი დადგებოდა, მაინც ვერ იფიქრებდი. ჩვენ მხოლოდ სალმით ვიცნობდით ერთმანეთს, მეგობრული ურთიერთობა არა გვქონია. დიდხანს მგონი ისიც აღარ დარჩენილა ტექნიკუმში, მალე მეც სხვა სკოლაში გადავედი. მერეც ხშირად ვხვდებოდი, როცა იგი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, და უკვე მართლაც დევკაცი გამხდარიყო. ის სასურველი სილაღე, რაც პირველი ნახვისას შევნიშნე, ბოლომდე შეინარჩუნა. მუდამ ხალისიანი ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახსაც დიდი ტრაგედია დაატყდა. მამა, როგორც მახსოვს, ადრევე დაუხვრიტეს, სანამ ოცდაჩვიდმეტი წელი დადგებოდა. მე მარგიანების ოჯახიდან ვიცოდი მათი ამბავი. აკაკი მარგიანი, რეზოს მამა, მუდამ პატივისცემით გაიხსენებდა ხოლმე ეგნატე გაბლიანს, როგორც კარგ მამულიშვილსა და მოღვაწეს. სვანეთში გზის გაყვანა, როგორც მახსოვს, სწორედ მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით მოხერხდა. წიგნებიც ჰქონდა სვანეთზე... ერთი სიტყვით მართლაც კარგი მამულიშვილი და აქტიური მოღვაწე იყო და, ბუნებრივია, ასეთ კაცს დიდხანს არ აბოგინებდნენ.,.

მამის დაღუპვის შემდეგ კიდევ ერთი უბედურება დაატყდა ოჯახს: ჯერ ისევ ბავშვობაშივე დაიღუპა გივის უმცროსი და ეთერი. სიცოცხლით სავსე გოგონა ქურციკივით დაბაკუნობდა ხოლმე რუსთაველის პროსპექტზე და გამვლელთა ყურადღებას თანდაყოლილი სილაღითა და სილამაზით იქცევდა. მაშინაც ბევრი ლამაზი გოგონა დადიოდა რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ ამ ბავშვს თვალშისაცემად თავისებური სილამაზე ჰქონდა, სხვებისაგან განსხვავებული და გამორჩეული. მაშინ მოდაში იყო ნაწნავების ტარება და ამ გოგონასაც გრძელი, წვრილად დაწნული კიკი-

ნები, სიარულის დროს,, სასაცილო სიანცით უთამაშებდა მხრებზე. მგონი მენინგიტით გარდაიცვალა. გავრცელებული იყო მაშინ ეს საშინელი, იმ დროისათვის უკურნებელი დაავადება.

დედა მასწავლებელი იყო— კარგი პედაგოგი და უაღრესად სათნო ადამიანი... მას შემდეგ, რაც გივი ფრონტზე ტყვედ ჩავარდა, ათასნაირი ჭორი ვრცელდებოდა, თუ როგორ გახდა იგი მაღალი ჩინის ოფიცერი გერმანიის არმიაში, გენერლობასაც კი მიაღწია და ლამის ჰიტლერის უერთგულესი და უახლოესი კაცი შეიქნა... ომთან დაკავშირებული ჭორები — ხშირად მეტისმეტად გაზვიადებული და დაუჯერებელი — სწრაფად ვრცელდებოდა, მთელ ქვეყანას მოედებოდა ხოლმე. გატანჯული ხალხი იმედს ეძებდა, იმედით სულდგმულობდა. და ხშირად აშკარად დაუჯერებელს იჯერებდა. ვრცელდებოდა, მაგალითად, მეტად უცნაური ჭორი — ჰიტლერის დედა (ზოგი ვერსიით, ცოლი) ქუთაისელი დათეშიძის ქალია, და გადაუწყვეტია საქართველო იხსნასო. გაგიკვირდებოდა, ისეთი სერიოზული და განათლებული ადამიანი, გეტყოდა ამას, როგორც სანდოსა და სარწმუნოს...

ერთი სიტყვით, ათასნაირი ჭორი ვრცელდებოდა ვივიზე. ეს ჭორები კიდევ უფრო გაზვიადებულად აღწევდა გაუბედურებულ დედამდე, რომელსაც შვილისგან ფრონტიდან დიდი ხანია არავითარი ცნობა არ მიეღო.

ადვილი წარმოსადგენია, რა გაურკვევლობაში იქნებოდა უბედური ქალი, რომელსაც არც ჭკუა აკლდა და არც ცხოვრებისეული სიბრძნე. შეუძლებელი იწრმუნა, მაგრამ დედის გულში გაუცნობიერებელი იმედი მაინც ბჟუტავდა; ხოლო როცა „სათანადო ორგანოებში“ მრავალგზის გამოიძახეს და ჯერ დაკითხვები დაუწყეს, მერე კი დაჟინებით „ურჩევდნენ“, საჯაროდ დაეგმო და გულიდან მოეწყვიტა მოღალატე შვილი, რომლის მეტი ქვეყნად აღარავინ დარჩენოდა, ის კი ირწმუნა, რომ ცოცხალი იყო, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დღეში ჩავარდებოდა უბედური დედა. სკოლიდან, როგორც მახსოვს არ დაუთხოვიათ, მაგრამ შეშაფუხებელი დაკითხვები და მკაცრი არაადამიანური „რჩევები“, ახლა კიდევ უფრო მეტი სიჯიუტითა და დაჟინებით, გრძელდებოდა. დროდადრო ქუჩაში დაინახავდი უდროოდ დაბერებულ, გაუბედურებულ ქალს; თავისთვის დაფარფატებდა და ველარავის ცნობდა, ანუ ერიდებოდა ადამიანს გამოლაპარაკებოდა და ამით მისთვის საშინელი უხერხულობა შეექმნა...

კიდევ ერთი ჩემი ხნის ყმაწვილი დათო ცაგარელი გახლდათ — ასაკისათვის შეუფერებლად სერიოზული და უსიტყვო, მაგრამ ძალიან საყვარელი ბავშვი. იგი მერხზე ჩემს გვერდით იჯდა, და ალბათ ჩვენი მეგობრობა განმტკიცდებოდა კიდეც, მალე რომ არ დავშორებოდით ერთმანეთს: იგი მგონი ჩემზე უფრო ადრე გადავიდა სხვა სასწავლებელში. იშვიათად ვხედავდი მერე. ხოლო როცა ომი დაიწყო, ჯარში გაიწვიეს და აღარც დაბრუნებულა.

როგორც უკვე ვთქვი, იმ დიდ ტექნიკუმში ჩემი ხნისანი ბევრნი არა ყოფილან და სხვები აღარც კი მახსოვს, გარდა ერთი ყმაწვილისა, რომელიც ერთმა თავისთავად უმნიშვნელო ამბავმა დამამახსოვრა. იგი ჩემგან ახლოს ცხოვრობდა, მაშინდელ მესანგრეთა ქუჩაზე, რომელსაც შემდეგ ძნელაძის სახელი უწოდეს; სოფლის სკოლა დაემთავრებინა, და ახლა ძმასთან ცხოვრ ბდა. როცა ერთხელ რომელიღაც სახელმძღვანელოსთვის მივედი, შინ მარტო დამხვდა. კეთილი, სასიამოვნო ყმაწვილი იყო, თვალები ერთთავად უცინოდა... ერთი სიტყვით, ეს ყმაწვილი, მისი სასიამოვნოდ მოცინარი სახეცა და ჩემი იმდღევანდელი სტუმრობაც ერთმა უმნიშვნელო ამბავმა დამამახსოვრა. წამოსვლის წინ მან რაღაც პატარა ბროშურა მისახსოვრა. აღარც კი მახსოვს, რა ბროშურა იყო. მაშინ ბევრი გამოდოდა ასეთი ბროშურები, სულ სხვადასხვა შინაარსის, უმთავრესად საგანმა-

ნათლებლო-სააგიტაციო ხასიათისა. და ბროშურაზე წააწერა: „ძვირფასო ვახტანგ! არ დაივიწყო ცხოვრების არენაზე იპ. ხუხუა“. იპოლიტე ერქვა. ის ბროშურა მალევე სადღაც დაიკარგა. სახელწოდებაც არ მახსოვს. სამახსოვრო წარწერა კი მას შემდეგ მეხსიერებიდან არ ამოშლილა, და ამ გრძელი „ცხოვრების არენაზე“ მუდამ თანა მდევს, ხშირად შემახსენებს ხოლმე თავს, და მაშინვე ცოცხლად წარმომიდგება კეთილად მოცინარი სახე ყმაწვილისა, რომელიც შემდეგ არასოდეს შემხვერდია, და მისი არაფერი ვიცი. ნეტა როგორი კაცი დადგა? ან ახლაც თუ ცოცხალია?

დიდი ტექნიკუმი იყოო, ზემოთ ვახსენე. ეს განსაზღვრება სრულ წარმოდგენას ვერ შეგიქმნის ამ სასწავლებელზე. ვფიქრობ, და ვერ მომიგონებია, რას შევადარო, რაც აქ ხდებოდა... სასწავლო დაწესებულებას არა ჰგავდა, რაღაც ქაოსი იყო, და ყველაზე ცოდვა ამ ქაოსში ის კეთილშობილი მასწავლებლები აღმოჩნდნენ, რომლებიც ჯერ ისევ შემორჩენოდნენ სკოლას, ჯერ ვერ მოესწროთ მათგან სასწავლებლის მთლიანად „გაწმენდა-გაჯანსაღება“.

პირველი სკოლის გრძელი, ვიწრო დერეფანი, რომელიც საკლასო ოთახებს შორის არის მოქცეული და ფანჯრები მხოლოდ თავსა და ბოლოში აქვს დატანებული, შესვენებებზე ერთბაშად გაიჭედებოდა გაკვეთილებიდან ჯგროდ გამოვარდნილი მოსწავლეებით, და ხელადვე პაპიროსის კვამლით გაიჟღინთებოდა. სუნთქვა ჭირდა. იდგა საშინელი ყაყანი და ღრიანცელი...

ამ წლებში „ექსპერიმენტის სახით“ შემოღებული იყო სწავლების ახალი მეთოდი — ეგრეთ წოდებული „ბრიგადული სწავლა“. ჯგუფები (კლასებს არ ეძახდნენ: ამითაც თავისებურად გმობდნენ წარსულს, რადგან წარსულში სწორედ კლასები ერქვა) დაყოფილი იყო ბრიგადებად, ყოველ ბრიგადას მოსწავლეებისავე არჩეული ხელმძღვანელი ჰყავდა. რაღა თქმა უნდა, ისიც მოსწავლე. მასწავლებელი განაკვეთს ეცემდა და ბრიგადები დამოუკიდებლად შეისწავლიდნენ თუ ამუშავებდნენ ამ განაკვეთს. ამიტომ საკლასო ოთახში განუწყვეტელი ზუზუნი იდგა. დროდადრო მასწავლებელი მოუწოდებდა, ნაკლები ეხმაურათ. იგი თავის მაგიდას უჯდა და, როგორც შორიდან დამკვირვებელი თუ მაყურებელი, თვალს ადევნებდა მოსწავლეთა საქმიანობას. რაკი ბრიგადები ცალკ-ცალკე უნდა მსხდარიყვნენ, მერხები ერთმანეთის პირისპირ იდგა; ანუ ნაწილი მერხებისა შებრუნებული იდგა, და ამრიგად მოსწავლეთა ნახევარს ზურგი მასწავლებლისკენ ჰქონდა შექცეული. ესეც ახალი ექსპერიმენტის თავისებურება იყო, თავისებური სიკეთე. გაკვეთილზე შემოსულ მასწავლებელს მოსწავლეები ფეხზე არ უნდა წამოდგომოდნენ. ახალი მეთოდით ეს მიუღებელი იყო. მოსწავლეებს ამით თავი დამცირებულად არ უნდა ეგრძნოთ! იგივე წესი ვრცელდებოდა სასწავლებლის დირექტორზე — არც მას უნდა წამოდგომოდნენ ფეხზე.

გაკვეთილს ბრიგადის ერთ-ერთი წევრი (ბრიგადირის შერჩევითა და ნებასურვილით) ჩააბარებდა მასწავლებელს, და რა ნიშანსაც ის მიიღებდა, ის ნიშანი დაეწერებოდა ბრიგადის ყველა წევრს. ნიშნების სისტემაც გაადვილებული იყო — „ცუდი“ და „დამაკმაყოფილებელი“; არავითარი სხვა გრადაცია. სემესტრის ბოლოსაც ასევე ხდებოდა: ერთი მოსწავლე ჩააბარებდა, და მისი ნიშანი ბრიგადის დანარჩენ წევრებსაც ეწერებოდა, უშრომელად და ოფლის დაუღვრელად. ეს სიკეთე ჰქონდა ამ ექსპერიმენტს. ყველა საგანზე არა ერცელდებოდა ეს, რაკი ექსპერიმენტი ერქვა, ზოგიერთ საგანში შემოიღეს. მადლობა ღმერთს, შედარებით მალე მიხვდნენ ამ ეგრეთ წოდებული ექსპერიმენტის სრულ უაზრობასა და სისულელეს. მეორე წელს, როცა სხვა სკოლაში გადავედი, უკვე მოშლილი იყო ეს აბსურდული წესი.

მასწავლებელთაგან ჩემთვის ყველაზე საყვარელი, რაღა თქმა უნდა, დავით დონდუა იყო. იგი ჩემი ასაკის ბავშვებისათვის უინტერესო საგანს — საბჭოთა კავშირის ეკონომიურ გეოგრაფიას გვასწავლიდა. დავით დონდუას მუდამ სიხარულით მოველოდით. ბედზე მისი საგანი გადაურჩა იმ ექსპერიმენტს, და გაკვეთილზე ჩვეულებრივად ვისხედით. უცნაური ჩვეულება ჰქონდა ამ ახალგაზრდა კაცს: დაირეკებოდა თუ არა ზარი, დაწყებულ აზრს შუაზე გაწყვეტდა და საკლასო ოთახიდან ელვის სისწრაფით გავარდებოდა. ზამბარასავით შემართული იყო. მომდევნო გაკვეთილს იმ გაწყვეტილი აზრით იწყებდა. იმგვარივე აჩქარებული ნაბიჯით შემოვარდებოდა, მაგიდასთან დადგებოდა, და არც საკლასო ჟურნალის ამოკითხვა, არც განვლილი მასალის გამეორება, არც რაიმე ხასიათის გასაუბრება, პირდაპირ წინა გაკვეთილზე შეწყვეტილ წინადადებას გააგრძელებდა. ყვებოდა ისე შთამბეჭდავად, რომ ზოგიერთი წინადადება იმგვარივე დალაგებით მახსოვს. ვთქვათ ასე: „...და, აი, მიჰქრის მატარებელი ტრამალებზე. თქვენ ვაგონის სარკმლიდან გაფაციცებით აღევნებთ თვალს ტრამალებზე მიმოფანტულ ქოხმახებს. უჩვეულოდ ერთფეროვანი პეიზაჟები, მოწყენასთან ერთად, უცნაურ სევდასა გგვრით“... და ა. შ. რამდენიმე ჯგუფს ასწავლიდა, მაგრამ რასოდეს დაავიწყდებოდა, რომელ ჯგუფში რა ადგილას შეჩერდა. სად გაწყვიტა აზრი

ვარდა იმ კარგი სახელმძღვანელოსი, ზემოთ რომ სიყვარულით გავიხსენე, დავით დონდუას მშვენიერი საბავშვო წიგნები ჰქონდა, ორიგინალურიცა და უცხოურიდან გადმოკეთებულ-გადმოქართულებულიც, ბავშვებისათვის სასურველი სისადავითა და ლაკონიურობით დაწერილი. დღემდე დამამახსოვრდა რამდენიმე სტრიქონი ერთი პატარა წიგნიდან, რომელსაც „კოკროჭინა“ ერქვა (ალბათ რუსული „კოლობოკიდან“ გადმოკეთებული): „ჰოპ, ჰოპ, ჰერი, ჰერი, კოკროჭინავ, ნუღარ მღერი, შევარდი და ვადასანსლე ბებერი და დედაბერი“. ეს სტროფი რეფრენად გასდევდა ზღაპარს და ბავშვი ერთი მოსმენისთანავე ... ... სოვრებდა. აგერ, აქამდე, ამ ხნის კაცს ზეპირად მახსოვს მაშინდელი წაკითხული.

სავსებით განსხვავებული იყო მათემატიკის მასწავლებელი ვასო აბდუშელიშვილი — ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საყვარელი პედაგოგი მაშინდელ თბილისში. ახოვანი კაცი იყო, მჭარბეჭგაშლილი, თავი სუფთად გადაპარსული ჰქონდა, მრგვალ სახეს მსხვილი ჭაღარა ულვაში უმშვენებდა, მუდამ გრძელი, შარვალზე გადმოშვებული ხალათი ეცვა. დავით დონდუასაგან განსხვავებით, იგი დინჯად შემოვიდოდა კლასში, მაგიდას მიუჯდებოდა, ქუდს დადებდა, სკამის ზურგს გადააწვებოდა, თვალს მერხებზე მოატარებდა, მერე ერთ-ერთ მოსწავლეს დაფასთან გამოიძახებდა, და გაკვეთილი დაიწყებოდა. კლასში მუდამ სამარისებური სიჩუმე იყო, ერთხელაც არ დასჭირვებია მოწოდება მოსწავლეთა დასაწყნარებლად. ბავშვებს უყვარდათ ეს კაცი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არც თუ სასიამოვნო ეპითეტებით შემკობა იცოდა: „უტვინო, ინდაურო, ბატო...“ და ამისთანები. მაგრამ ისე კეთილად უციმციმებდ ამ დროს ხარივით დიდრონი ჭროღა თვალები, თითქოს საალერსო სიტყვებს გეუბნებოდა. მოსწავლეები გრძნობდნენ, რომ ეს სიტყვები რისხვითა და ღვარძლით არ ყოფილა წარმოთქმული, რომ ეს მისი ახირებული ჩვეულება იყო, და არავის წყინდა: „დაწერე, დაწერე, ქალო, და ეს ერთი ქუდი მაქვს, იმასაც შენ გაჩუქებ“... ახალ მასალას დინჯად, წინასწარვე გამოზომილი ლაკონიურობით, ნათლად გამოკვეთილი ფრაზებით გვიხსნიდა, და ჩვენ რვეულებში ვაწერდით. რამდენიმე წლის წინანდელ ძოსწავლეების ჩანაწერებთან რომ შეგედარებინათ ეს კონსპექტები, ვერავითარ განსხვავებას ვერ აღმოაჩენდით. თბილისის სხვადასხვა სკოლებში ასწავლიდა და ამიტომ ყველგან იცნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენ. იმ თაობის ადამიანები დღესაც სიყვარულით იხსენებენ. უცოლშვილო კაცი იყო, მარტოხელა, ლარსის ქუჩაზე ცხოვრობდა, და როცა რამდენიმე წლის შემდეგ უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი, მათემატიკასა და ფიზიკაში ის მამეცადინებდა. შინ კიდევ უფრო ალერსიანი და საყვარელი იყო. მაგიდაზე თუთუნის კოლოფი ედო, პაპიროსის ჰილზებსა ტენიდა და ჩვეულებრივი სიდინჯით გვიხსნიდა გაკვეთილს. ჩემთან ერთად იურისტი ლადო ბარათაშვილი დადიოდა. ცნობილ პედაგოგ სიკო ვაჩნაძესთან მეგობრობდა. სიკოც დიდხანს მასავით მარტოხელა ყოფილა. გვიან მოჰკიდებია ოჯახს. ერთხელ ჩვენს იქ ყოფნაში ესტუმრა მეგობარი. სიკო შეწუხებული იყო: ჰატარა ბავშვი ავად გახდომოდა, და როგორც გვიან დაცოლშვილებულ მამაკაცებს მოსდით, ძალიან ანიცდიდა.

„ველარა გაგიგია კაცს, — ვასომ ფარ-ად გაშალა თავისი დიდრონი ხელები, — გყავს — უბედურებაა, არა გყავს — უბედურებაა! აღარ იცი, რა სჯობს...“

ვასო აბდუშელიშვილიც, ნიკო ჯაფარიძეცა და დავით დონდუაც მალე წაიდნენ სკოლიდან, სხვა სკოლებში გადავიდნენ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შეეგუენ ახალი გამგის მიერ დამყარებულ რეჟიმს. ახალმა გამგემ საბოლოოდ „გაწმინდა“ სკოლა კარგი პედაგოგებისაგან.

ძალიან ძნელი გამოდგა აქ სწავლებაცა და სწავლაც...

* * *

მაგრამ ის პირველი წელი სხვაგვარად გამოდგა ჩემთვის სასარგებლო და საინტერესო. იმ ერთ წელიწადში ბევრი წიგნი წავიკითხე; რაც სოფლის სკოლაში მაკლდა, ასე თუ ისე ახლა შევივსე. ბედზე ჩვენს მეზობლად — ერთი სართულით ზემოთ — ცხოვრობდა გამოჩენილი იუმორისტი შალვა შარაშიძე, „თაგუნას“ ფსევდონიმით ცნობილი. მისი დედ-მამა ხომ სოფელშიაც მეზობლები იყვნენ, და, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს ოჯახებს თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მუდამ მადლიერებით გავიხსენებ ხოლმე შალვას მეუღლესაც, შესანიშნავ პედაგოგს ანა ჩირგაძეს, რომლის მადლიანი ხელი სოფელშიაც გვწვდებოდა — სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სხვა საბავშვო წიგნებს მუდამ ის გვიგზავნიდა: საერთოდ, ქველი ოჯახი იყო, როგორიც მხოლოდ წიგნებში წაგვიკითხავს, და ცხოვრებაში კი იშვიათად გვხვდება.

ამ ადამიანების რჩევითა და რეკომენდაციით, თითქმის ჩამოსვლისთანავე ჩავეწერე საჯარო ბიბლიოთეკაში. დილით წავიდოდი და სწავლის დაწყებამდე (სწავლა ტექნიკუმში საღამოობით გვქონდა) ვრცელ სამკითხველო დარბაზში ვიყავი. იმდენი მკითხველი იყო, რომ ხშირად დაცდაც გვიხდებოდა: საბონენტო ოთახში, რომელიც სამკითხველო დარბაზს ეკვრის, რიგი დადგებოდა — ელოდნენ, როდის გათავისუფლდებოდა მაგიდა, და რიგრიგობით შეღიოდნენ. იმ წელიწადს წავიკითხე უცხო ენებიდან ქართულად თარგმნილი თითქმის ყველა წიგნი. წასაკითხ წიგნებს პირველ ხანებში ჩემი კეთილი მეზობლები მირჩევდნენ. მერე და მერე დამოუკიდებლად შევეჩვიე საბონენტო ყუთებში წიგნების მოძებნას.

საბონენტო ყუთებში რომ ვიქექებოდი, ერთ უცნაურ წიგნს წავაწყდი. „დიდი ევგენი დვალის ლექსები“ — ასეთი სახელწოდება ჰქონდა ამ მომცრო წიგნს. ალბათ იმანაც დამაინტერესა, რომ ამ სახელსა და გვარს ყოველდღე ვხედავდი, ქუჩაში თვალსაჩინო ადგილას კედელზე წარწერილს, ჩვენი სკოლის მახლობლად, იმ ეზოს შესასვლელში, სადაც ჟვანიას ფოტო-სახელოსნო იყო მოთავსებული. კედელზე, საკმაოდ მსხვილი ასოებით, გამვლელ-გამომვლელთა დასანახად, უცნაური აფორიზმი იყო დაწერილი: „პური კუჭის საზრდოა, წიგნი გონებისა, სარკე ცხოვრე-

ბისა“, და ქვეშ, კიდევ უფრო მსხვილი შრიფტით აფორიზმის ავტორის სახელი და გვარი ეწერა — „დიდი ევგენი დვალი“... ბიბლიოთეკაშიაც რომ წავაწყდი ამ ახირებული კაცის წიგნს, გამოვიწერე და გადავათვალიერე. წიგნს გარეკანსა და სატიტულო გვერდზე ხომ ეწერა „დიდი ევგენი დვალის ლექსები“, შიგნითაც, ყოველ ლექსს ასევე მიწერილი ჰქონდა, მონაცვლეობით, „დიდი ევგენი დვალი“ და „დიდებული ევგენი დვალი“. ერთი სტროფი ახლაც მახსოვს ერთ-ერთი ლექსიდან:

მარსზე არის ერთი ქალი,
სილამაზით ქვეყნის თვალი,
მას უნდა, რომ ქმარად ჰყავდეს
დიდებული ევგენ დვალი.

და ლექსსაც ქვემოთ, რაღა თქმა უნდა, მიწერილი ჰქონდა „დიდი ევგენი დვალი“.

საინტერესო ის არის, რომ ამ პატარა წიგნს დართული ჰქონდა წინასიტყვაობა, რომელშიაც თავგამოდებით უმტკიცებდნენ მკითხველს: ამას განდიდების სურვილით კი არ აკეთებს ავტორი, არამედ ღრმა ფილოსოფიური აზრი აქვსო. აღარ მახსოვს, როგორ იყო ახსნილი ეს ღრმა ფილოსოფიური აზრი...

ამ ფილოსოფიური აზრის შემცველ წიგნს ასეთ ხოტბას ასხამდნენ, და იმავე წლებში, იგივე კრიტიკოსები დაუნდობლად თავს ესხმოდნენ ჩვენს დიდ კლასიკოსებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს...

სწორედ იმ წლებში მწერალთა კავშირიდან გარიცხეს მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა გამოჩენილი მწერლები. გარიცხეს, სხვათა შორის, იუმორისტი შალვა შარაშიძეც...

საგულისხმოა, რომ მწერალთა კავშირიდან პავლე ინგოროყვას ვარიცხვის ერთი მთავარი მოტივი (გარდა იმისა, რომ რედაქტორობდა „კავკასიონს“ და ქართული ენის დაცვის მოწოდებით გამოდიოდა) ის იყო, რომ დააარსა და „ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მის ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს“.

სწორედ ასეა დაფიქსირებული იმ სხდომის ოქმში, რომელზედაც ეს მწერლები გარიცხეს. შალვა შარაშიძე გარიცხეს როგორც „მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღენთილი მწერალი. მენშევიზმის აზრების აგიტატორი, რომელიც თავის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში დასცინის მენშევიკური ხითხითითა და გესლით საბჭოთა ხელისუფლებას“.

გამომცემლობა „ქართული წიგნი“ ვახსენე. როგორც ითქვა, ეს გამომცემლობა პავლე ინგოროყვამ დააარსა. მანვე შეადგინა და გამოსცა ილია ჭავჭავაძის ათტომეული — ეს იყო პირველი სრული გამოცემა. უფრო მოგვიანებით, როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვა კვლავ მიუბრუნდა ილიას თხზულებებს, ახლად მოპოვებული მასალებით შეავსო და ხელახლა გამოსცა. ამჯერად უფრო დიდი მოცულობის წიგნები და პირველ ტომს დაურთო თავისივე ვრცელი გამოკვლევა მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს ნარკვევი ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც კი ილიაზე დაწერილა.

იმავე წლებში „ქართულმა წიგნმა“ გამოსცა თითქმის ყველა დიდი ქართველი კლასიკოსის თხზულებათა ტომეულები... აქვე გამოიცა შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები — ორ-ორი ტრაგედია ერთ წიგნად და პარალელურად თითოეული ცალ-ცალკე.

„ქართული წიგნის“ ყველა გამოცემა ჩემს ძმას უკვე შეეძინა და სახლში მქონდა. ქართველ მწერალთა გარდა, პირველად სწორედ ამ გამოცემებით გავეცანი შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებს.

სხვათა შორის, „მეფე ლირის“ სატიტულო გვერდს მოსდევდა მეტად სა-

ინტერესო, შეიძლება ითქვას, უნიკალური ავტოგრაფი — თვალსაჩინო სურათი იმისა, თუ როგორ მუშაობდნენ ამ ტრაგედიის თარგმანზე პეტერბურგში საბანკო საქმეებზე დროებით ჩასული ილია ჭავჭავაძე და ჯერ ისევ სტუდენტი, სრულიად ახალგაზრდა ივანე მაჩაბელი. ამ ერთ ფურცელზე მკითხველი ადვილად გაარჩევდა ორ განსხვავებულ ხელწერას, ქართველი ადამიანისთვის სანუკვარსა და საყვარელს. მონაცვლეობით, ერთი ან რამდენიმე სტრიქონი რომ ილიას ეკუთვნოდა, მომდევნო რამდენიმე სტრიქონი მაჩაბლისა იყო. ზოგ სტრიქონში ერთი ხელის მიერ დაწერილი სიტყვა, მეორე ხელს ჩაუსწორებია. დაჰყურებდი ამ ავტოგრაფს და თითქოს ცოცხლად წარმოიდგენდი, როგორ უჯდა მაგიდას ორი მწერალი, და აწ უკვე ჩვენთვის საყვარელი ხელით სტრიქონები გამოჰყავდა. ავტოგრაფი გიცოცხლებდა იმ განწყობილებასაც, რასაც მაშინ ეს ადამიანები მოეცვა: რვეულის არშიაზე რამდენჯერმეა განმეორებული ერთი სიტყვა — „იარალი“, „იარალი“, „იარალი“... ამ დროს ისინი ახლო წარსულს იხსენებდნენ, გრიგოლ ორბელიანს და მისი თაობის მოღვაწეებს, მათთან გამართულ პაექრობას, რასაც შემდეგ მამათა და შვილთა ბრძოლა უწოდეს...

დიდი ხნის შემდეგ, მაჩაბელზე წიგნს რომ ვწერდი, ეს ავტოგრაფი გამახსენდა. ბევრი ვეძებე, მაგრამ „მეფე ლირის“ ხელნაწერს ვერსად მივაგენი — ვერც სახელმწიფო მუზეუმში, ვერც ლიტერატურულ მუზეუმში, ვერც მაჩაბლის ქალის ოჯახში... ბოლოს პავლე ინგოროყვას მივმართე — ამ დროს უკვე მეგობრული ურთიერთობა მქონდა მასთან. ვერ გაიხსენა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ხელნაწერი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინათ მას ხელთა ჰქონდა. თვითონვე ძალიან დაინტერესდა, აღმითქვა — ყველგან მოვიძიებ, სადაც კი შესაძლებელია იყოს, და იმედი მაქვს, ვიპოვნითო. გავიდა ხანი, მაგრამ ვერაფერს [illegible] ხელნაწერი არსად არ აღმოჩნდა. [illegible] მითხრა, ეტყობა დაიკარგა, დასანანი კია ამისთანა ხელნაწერის დაკარგვაო. ასე გადაგვეწურა იმედი.

კარგა ხნის შემდეგ — ამ დროს უკვე წიგნს ვამთავრებდი — დილაადრიან ბატონი პავლე მომადგა შინ. ეს მისი პირველი სტუმრობა იყო ჩემთან. კარი გავაღე თუ არა, არც კი მომსალმებია, თვალებგაბრწყინებულმა, მომაძახა: „ვიპოვნეთ! ვიპოვნეთ“... და რამდენიმე რვეული გადმომცა.

„მეფე ლირის“ გარდა აქ იყო „ანტონიოს და კლეოპატრას“ ხელნაწერიც.

„ახლა შენს განკარგულებაშია ეს ხელნაწერი. რამდენი ხანიც დაგჭირდება, გქონდეს, მერე კი ჩავაბაროთ, სადაც ჯერ არს“.

რამდენ რამეს ახდის ხოლმე ფარდას ხელნაწერი. იოსებ გრიშაშვილი ერთ წერილში ვარაუდობს: მაჩაბელმა „რომეო და ჯულიეტა“ იმიტომ არ თარგმნა, რომ დიმიტრი ყიფიანს მოერიდა, რაკი იმასაც თარგმნილი ჰქონდა ეს პიესაო. „ანტონიოს და კლეოპატრას“ ხელნაწერზე ერთი საგულისხმო მინაწერია: „რ. და ჯ.-88“. მაჩაბელს გამოუთვლია, რამდენი გვერდი ეჭირა პიესას ორიგინალში. აშკარად ჩანს, ამ პიესის თარგმნასაც აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო. „ანტონიოს და კლეოპატრას“ თარგმნის შემდეგ მალევე დაიღუპა...

ისიც საინტერესოა, როგორ მიაგნო ხელნაწერს პავლე ინგოროყვამ: იმავე ხანებში გარდაიცვალა ალექსანდრე აბაშელი, რომელიც ერთ დროს, ინგოროყვასთან მუშაობდა გამომცემლობა „ქართულ წიგნში“. პოეტის შვილმა ქალბატონმა მედეა აბაშელმა მამის მეგობარს ბატონ პავლეს სთხოვა, გადაეთვალიერებინა გარდაცვლილი მამის არქივი. სწორედ აქ მიეგნო პავლე ინგოროყვას მაჩაბლის ხელნაწერებისათვის. როცა „ქართული წიგნიდან“ მწერლები გამოაძევეს, აბაშელს შინ წაუღია ხელნაწე-

რები და ამით განადგურებისაგან გადაურჩენია.

კიდევ კარგი, წაიღო! კაცმა არ იცის, იქ რა მოუვიდოდა. პავლე ინგოროყვასა და მისი მეგობარი მწერლების გამოძევების შემდეგ, „ქართულ წიგნს“ სახელი შეუცვალეს და „ფედერაცია“ დაარქვეს; დირექტორად სიმონ წვერავა დაუნიშნეს, როგორც პოლიტიკურად საიმედო კაცი, ერთ-ერთი „გაწვეულთაგანი“ მწერლობაში.

იმავე ხანებში „აღმოვაჩინე“ ჭოლა ლომთათიძე. მწერლის ორტომეული, სწორედ იმ წლებში გამოცემული, სეით დევდარიანის საინტერესო წინასიტყვაობით, სოფელშიაც გვქონდა, მაგრამ მაშინ „პირველი მაისის“ მეტი არაფერი წამიკითხავს; ახლა კი თავიდან ბოლომდე წავიკითხე ორივე ტომი, და ისე გამიტაცა, რომ ლამის ზეპირად ვიცოდი ყველა მოთხრობა. წიგნის მაღაზიაში ვიყიდე დიდი პორტრეტი ჭოლა ლომთათიძისა და სახლში კედელზე ჩამოვკიდე (მაშინ სისტემატურად იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა პორტრეტები და ყველგან ადვილად იშოვიდით). დიდხანს არ გამნელებია ეს გატაცება.

ასე ხდებოდა; მოდასავით ჩამოიკიდა ხოლმე რომელიმე მწერლით, ან ამა თუ იმ მწერლის რაიმე თხზულებით გატაცება. მახსოვს, იმავე წლებში დიდი გატაცებით კითხულობდნენ სტეფან ცვაიგს, ყველა მის წიგნებს ეძებდა, ცვაიგის წიგნები გადადიოდა ხელიდან ხელში. ზემოთაც შევნიშნე, წიგნის განათხოვრება მაშინ ისე არ ეძნელებოდათ, როგორც დღეს უჭირთ და ეძნელებათ. ახალგაზრდა, სენტიმენტალურად განწყობილი ქალები, ერთი პირობა, „უცნობი ქალის წერილებმა“ გაიტაცეს. (ოღონდ ქართულად არავინ ახსენებდა მოთხრობის სახელწოდებას — ალბათ იმიტომაც, რომ ეს მოთხრობა ქართულად გაცილებით უფრო გვიან ითარგმნა — ყველა რუსულად გეტყოდათ: „პისმა ნეზნაკომკი“ წავიკითხე. ან „პისმა ნეზნაკომკი“ მიშოვნე სადმე და ა შ.). ჩემმა მეზობელმა ახალგაზრდა ქალმა ფურცელ-ფურცელ დაშლილი და გაცრეცილი მოიტანა [illegible] მეგობარ გოგონებთან ერთად იმ დაშლილ ფურცლებს მონაცვლეობით კითხულობდნენ.

ჩამომრებივით არის ხოლმე ამა თუ იმ მწერლით გატაცება. ასე იყო და ასე გრძელდება. აგერ, ბოლო წლებშიაც ჯერ ჰემინგუეით გატაცებამ ჩამოიარ ეპიდემიასავით, მერე თომას მანი, უფრო მოგვიანებით მარკესი და ჰესე, მერე ფოლკნერი (თუ ფოლკნერი უფრო ადრე იყო, აღარ მახსოვს); ახალგაზრდობა — თინეიჯერებს რომ უწოდებენ — სელინჯერმა გაიტაცა, ეს გატაცება მთელ მსოფლიოს მოედო და კარგა ხანსაც გრძელდებოდა...

ეს კარგი და სასურველი ეპიდემიაა...

* * *

რაკი მწერლობით გატაცებაზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება არ გავიხსენო კიდევ ერთი გატაცება, იქნებ უფრო ძლიერიც, ვიდრე წიგნით გატაცება იყო.

მთელი ქალაქი, დიდი თუ პატარა, თეატრით იყო გატაცებული. თბილისი თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს იყო ქართული თეატრის აღორძინებისა და მანამდე არნახული აყვავების ხანა. ალბათ საერთოდ თეატრის ისტორიაში უჩვეულო რამ მოხდა: ერთბაშად იფეთქა ხალხის თეატრალურმა ნიჭმა, ქვეყანას ერთბაშად მოევლინა მთელი დიდი პლეადა ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მსახიობებისა.

თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობდაო, ითქვა, მაგრამ ეს კარგად არ გამოხატავს იმას, რაც მაშინ ხდებოდა. კი არ ცხოვრობდა — ფეთქავდა; მთელი ქალაქი თეატრით სულდგმულობდა. ყველგან თეატრზე ლაპარაკს გაიგონებდი — ქუჩაში, სკოლაში, დაწესებულებებში, ოჯახებში... თეატრი ღრმად შეიჭრა ადამიანის ცხოვრებაში, ოჯახებში შეიჭრა...

განხეთქილებასა და დაპირისპირებას ალბათ არსად, არავითარ საქმეში არასოდეს მოუტანია სასურველი შედეგი. აქ კი, თეატრალურ ცხოვრებაში, დიდი სიკეთე მოიტანა. ამას მე არ ვამბობ პირველად. ეს უკვე დაკანონებული აზრია — მე იმას ვიხსენებ, რაც ჩემი თვალით მინახავს და რისი მომსწრეც ვარ.

იშვა ორი განსხვავებული სტილის, მაგრამ მტკიცედ ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათისა და ტრადიციების თეატრი.

განხეთქილება ვახსენე. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნებოდი მოწმე და უშუალო მხილველი იმ განხეთქილებისა, რაც თეატრში მოხდა, მაგრამ იმის თვითმხილველი კი ნამდვილად ვარ, რაც ხალხში ხდებოდა. თბილისი ორ ბანაკად იყო გაყოფილი — ერთი მარჯანიშვილის თეატრს ქომაგობდა, მეორე — ახმეტელისას. დაპირისპირება დროდადრო უკიდურესად დაიძაბებოდა ხოლმე და იმის მოწმეც გავმხდარვარ, როგორ გააფთრებით ეკვეთებოდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეები... და არა მარტო სკოლებსა და დაწესებულებებში, ოჯახებშიაც კი...

ხშირად მომისმენია, როგორა კიცხავდნენ ჩემი ბიძაშვილები და მათი თანაკლასელები თავიანთივე მეგობრის ქმარს, ვიღაც დიდი პარტიული მოღვაწის შვილს, თავად კომკავშირული გაზეთის თანამშრომელს. ეს მამის ფუყე დიდებით გაყოყოჩებული ყმაწვილი დისპუტებზე (დროდადრო იმართებოდა ასეთი დისპუტები) დაუნდობლად „ამხილებდა“ ნაციონალისტსა და უცხო იდეოლოგიის მატარებელ ახმეტელს...

კარგა დიდი ხნის შემდეგ ამ ვაჟბატონსაც შევხვედრივარ, უკვე შეფერთხილ-შებერებულს. სმენადახშულს, როცა მისი დიდი თანამდებობის მამაც და სანდრო ახმეტელიც საშინელი რეპრესიების მსხვერპლნი შეიქმნენ. ეს კაცი ახლაც იმ კომკავშირულ გაზეთში მუშაობდა—ოღონდ, ამჯერად, როგორც რეპრესირებული მამის შვილი, სტილისტად ჩამოექვეითებინათ — დარღვეული ხმის ტემბრით მეტყველებდა, როგორც სმენადახშულებს მოსდით ხოლმე, და, წარმოიდგინეთ, დისპუტებზე იმდროინდელ თავის გამოსვლებს ახლაც სიამაყით იხსენებდა: „ხომ ვუტირე დედაო“, ჩამქრალი რიხით იტყოდა და ჩაღამებულ თვალებში ნაცარწაყრილი ნაკვერჩხლის ჩანავლებული შუქი უსიამოდ გაუკრთებოდა...

მე ჩემებურად ჩავები თეატრალურ ცხოვრებაში — არა როგორც ერთ-ერთი ბანაკის მონაწილე, არამედ როგორც გატაცებული მაყურებელი. როგორც კი ფულს ხელთ მოვიგდებდი, დავდიოდი ერთ თეატრშიაც და მეორეშიაც. იმ ერთ წელიწადში ყველა სპექტაკლი ვნახე, რაც ამ თეატრებში გადიოდა, ზოგი სპექტაკლი ორ-ორჯერ და უფრო მეტადაც... და თუმცა არც ერთ ბანაკს არ ვეკუთვნოდი, უნდა ვაღიარო, მარჯანიშვილის თეატრი უფრო მიზიდავდა. აქ მეტ სითბოსა ვგრძნობდი. იქნებ იმიტომაც, რომ აქ უფრო დიდი თაიგული იყო ღვთიური მადლით ცხებული მსახიობებისა.

რუსთაველის თეატრში რამდენჯერმე მოვასწარი „ლამარას“ ნახვა, და ერთბაშად აკრძალეს. ხმა გამოდიოდა, ისევ უნდა აღადგინონო. დაბეჯითებით იმეორებდნენ ამას. რამდენჯერმე აფიშებიც გამოაკრეს — სპექტაკლის დღე დანიშნული იყო, და მგონი ბილეთებიც გაყიდეს... მაგრამ მოაღწევდა აფიშებში გამოცხადებული დღე, და თეატრის დიდრონ, მასიურ კარებზე წარწერა გაჩნდებოდა — ადრე გამოცხადებული სპექტაკლის ნაცვლად, რაღაც სხვა სპექტაკლი გადისო... ხალხი ბორგავდა, სპექტაკლის მიმართ ინტერესი, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ათწილად გაიზარდა. ახმეტელის მოძულე კრიტიკოსები, მათ შორის ის მამის ნებიერი, კომკავშირული გაზეთის მუშაკიც, ზეიმობდნენ.

საბოლოოდ, ახმეტელმა ვერ გაიტანა თავისი — ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი მოხსნეს და თითქოს

დავიწყების ჭაობში მოისროლეს; მაგრამ ხალხის მეხსიერებაში დიდხანს პირველი სიხასხასით დარჩა, მეტ რომანტიკულ საბურველშიაც გაეხვია; კერძო საუბრებში — უფროსები უფრო ფრთხილად, ახალგაზრდები კი აშკარად და ხმის მთელი სიძლიერით — მონატრებული სინანულით იხსენებდნენ ცალკეულ დიალოგებს სპექტაკლიდან, მიზანსცენებს; ქუჩაშიაც გაიგონებდით ცალკეულ ფრაზებს, ისეთივე სტილიზებული მოქცევით, როგორც სპექტაკლიდან ახსოვდათ: „ლამარაი ისევ ლამაზია?“ ან: „სისხლი მწყურია, იჩო, სისხლი მაღრჩობს...“

ასე რომ, სინამდვილეში, ამკრძალავი უფრო დამარცხებული გამოდგა...

ახმეტელი ხშირად მინახავს: ვინმე სტუმართან ერთად თვალს ადევნებდა სპექტაკლის მიმდინარეობას. სახეზე ვერაფერს შენიშნავდით, ვერავითარ ემოციას — არც თავისივე ნაღვაწით მოგვრილ სიამოვნებას, არც რომელიმე მსახიობის იმდღევანდელი თამაშით კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას. თითქოს გაქვავებული სახე ჰქონდა, სტუმრის ემოციებს მხარს არ უბამდა. მაგრამ ერთ საღამოს, „ნაბიჭვარში“, როცა აკაკი ვასაძე ველოსიპედით შემოგრიალდა სცენაზე, სტუმრის აღფრთოვანებულ ხარხარს აჰყვა და კმაყოფილებით გაიცინა. აშკარად შეატყობდი: თავად ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცს, როგორ მზრუნველი მამის სიყვარულით უყვარდა მასზე არც თუ ძალიან ახალგაზრდა მსახიობები... მე ლოჟის მოპირდაპირე ქანდარაზე ვიჯექი, სოფლიდან ახალჩამოსული ბავშვის ცნობისმოყვარეობით, ხშირ-ხშირად გავაპარებდი თვალს უკვე ლეგენდად ქცეული კაცისაკენ, რომელსაც თურმე დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა...

იმდენად ძლიერი იყო თეატრით გატაცება, რომ ხალხს ყველაფერი აინტერესებდა თეატრთან დაკავშირებული; ისეთი დეტალებიც კი, რაც სპექტაკლის მომზადების დროს კულისებში ხდებოდა. შალვა შარაშიძეს ტყუპი ქალიშვილი ჰყავდა, ისინი ჩემს ბიძაშვილებთან ეგობრობდნენ, ხშირად ჩამოდიოდნენ მათთან, და მე ვისმენდი ცოცხალ ამბებს, რაც ამ გოგონებსა და მათ სხვა მეგობრებს სადღაც მოეპოვებინათ. და ახლა, პირველი მოყოლის უფლებით თვალებგაბრწყინებულები, გატაცებით ყვებოდნენ ყურმოკრულ ამბებს — მართალსა თუ მართალთან მიმსგავსებულს. ასე იყო მთელ ქალაქში.

პრემიერამდე დიდი ხნით ადრე ვიცოდით, მაგალითად, რომ „თეთნულდის“ გამო დიდი დავა ჰქონდათ: ბევრს არა საბჭოთა იდეოლოგიის მატარებლად მიაჩნდა პიესაში ასახული კონფლიქტი...

ვაიკრიტიკოსები მარტო მწერლობას არა სწოვდნენ სისხლს წურბელასავით, თეატრსაც ბევრი ასეთი პარაზიტი გასჩენოდა (ზოგი ყოჩაღი და დაფაცურებული კრიტიკოსი ახერხებდა, მწერლობისთვისაც გამოეწოვა სისხლი და თეატრისთვისაც; ერთ ასეთ დაქიჩმაჩებულ დემაგოგს ახმეტელმა თეატრში შესვლა აუკრძალა — ადმინისტრატორი ჰყავდა გაფრთხილებული: კარებში არ შემოუშვათ. ქეჩოში ჩაავლეთ ხელი და გააგდეთო)...

ისიც ვიცოდით, რომ „თეთნულდის“ დეკორაციად ორ ვეება, ცაში აზიდულ კოშკს ამზადებდნენ, და ამ კოშკებს უნდა ემოძრავათ — ხან მიახლოვებოდნენ ერთმანეთს, ხან დაშორებოდნენ... დადგმის ასეთი გადაწყვეტაც თურმე დავას იწვევდა... მერე როგორც იქნა დაიდგა „თეთნულდი“; რა კომპრომისზე წავიდა თეატრი, ანუ რა დაათმობინა ოფიციალურმა კრიტიკამ, ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთი წარმატება არა ხვდა სპექტაკლს, რასაც თეატრის მესვეურები და მაყურებელი მოელოდა.

როცა ორი წლის შემდეგ ახმეტელმა შილერის „ყაჩაღების“ დადგმა გადაწყვიტა და სპექტაკლზე მუშაობა გაჭიანურდა, კულისებიდან გამოჟონილმა ჭორმა თუ სინამდვილემ ზღაპრულად იმატა... ისეთი ზედმიწევნითი სიზუსტით ვიცოდით სცენოგრაფიული გადა-

ნყვეტის ყველა დეტალი, თითქოს საკუთარი თვალით გვეხილოს... ვიცოდით, რომ გრძელ კიბეს, რომელიც ღრმა სარდაფიდან ზემოთ მიემართებოდა, მხოლოდ ათლეტური აღნაგობის აკაკი ხორავა თუ აირბენდა, სხვა ამას ვერავინ მოახერხებდა; ვიცოდით, რამდენ ხანს გრძელდებოდა ვეებერთელა მუხის ხის დამზადება, რომელიც სცენაზე უნდა დაედგათ; ხოლო როცა, ბოლოს და ბოლოს, პრემიერის დღე მოახლოვდა, ერთერთ რეპეტიციაზე როგორ ჩამოვარდა ამ ხიდან მსახიობი (აბაშიძე თუ ლაღიძე — ეს დიდხანს გაურკვეველი იყო), და ამის გამო, როგორ დაყოვნდა პრემიერა. დავა გამოიწვია იმან, რომ ახმეტელმა პიესისათვის სახელწოდების შეცვლა გადაწყვიტა და „ინ ტირანოსი" დაარქვა. ზოგი როგორ ხსნიდა ამას და ზოგი როგორ. ის „ახალგაზრდ კომუნისტელი" ყვინჩილა კრიტიკოსი მკაცრად იმუქრებოდა, ამას არასდიდებით არ დავანებებო. რით ასაბუთებდა თავის პროტესტს, გამოვტყდები, არც მაშინ ვიცოდი. როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, მაინც „დართო ნება". ნეტა იმას ვინ რას კითხავდა! ახმეტელი, როგორც ითქვა, უფრო სახელოვან დემაგოგებს არ ეპუებოდა.

ასეთი თეატრალური აჟიოტაჟი უბრალო მოდური გატაცება კი არ ყოფილა, ჩვენი ხალხის თანდაყოლილი თეატრალობით, თეატრის ტრადიციული სიყვარულით უნდა აიხსნას, რაც იმდროინდელმა დიდმა თეატრალურმა მოღვაწეებმა გააძლიერეს. თავად თეატრზე ფანატიკურად შეყვარებულებმა ეს სიყვარულის ცეცხლი ხალხის გულებშიაც გააღვივეს.

ახმეტელს შედარებით ხშირად ვხედავდი თეატრშიაც და თეატრის წინ ქუჩაშიაც, ხოლო მარჯანიშვილისათვის, რომლის თეატრი უფრო მიყვარდა, ჯერ თვალიც არ მომეკრა. ეს იქნებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლოჟები მარჯანიშვილის თეატრში, საიდანაც რეჟისორი ალბათ თვალს ადევნებდა სპექტაკლებს, ქანდარის მაყურებლისთვის უფრო მოფარებულია, მე კი ჩემი მწირი სტიპენდიის გამო [illegible] ქანდარის მაყურებელი გახდით. [illegible] ბოლოს, მაინც ვნახე მარჯანიშვილი, და ძალი ორი საათის განმავლობაში ვუცქერდი — უსაზღვროდ ბედნიერსა და კეთილად გაღიმებულს. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ზემოთ ვთქვი, ამ თეატრში უფრო მეტი იყო ღვთიური მადლით ცხებული მსახიობები-მეთქი. აქ აღარ ჩამოვთვლი მათ. ეს ისედაც ყველასთვის ნათელია...

იმ დროს უკვე ლეგენდად იყო ქცეული უშანგი ჩხეიძის სახელი. ხალხმა ზოგჯერ გაზვიადება იცის, მაგრამ უშანგი ჩხეიძის სიყვარული ნამდვილად წრფელი იყო.

სამწუხაროდ, მე ვერ მოვესწარი მისი შემოქმედების ყველაზე გამორჩეულ წლებს. ვერ მოვესწარი, მაგალითად, მის ურიელს. ამ სპექტაკლში, გადმოცემით, ყველაზე კარგად გამოვლინდა მისი ნიჭის ელვარება. თუმცა ერთი მოქმედება მაინც ვნახე ამ სპექტაკლისა უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით. ეს მოხდა განსაკუთრებულ ვითარებაში, და დღემდე გაუხუნარი სიცხადით მახსოვს.

მე იმ დროიდან მახსოვს ეს მსახიობი, როცა თავადაც ვერ გარკვეულიყო, შესძლებდა სცენაზე გამოსვლას თუ ნერვები უმტყუნებდა და მისი სენი გაიმარჯვებდა. ყოყმანში იყო, სულიერად იტანჯებოდა. არ ეშვებოდნენ, სთხოვდნენ ურიელიც ეთამაშა, რადგან მას, ეტყობა, სწორედ ურიელისა ეშინოდა: სხვა სპექტაკლებში ჯერ ისევ გამოდიოდა, თუმცაღა იშვიათად. ძალას ატანდნენ, ეგონათ ასეთი ძალდატანებით დააძლევინებდნენ საშინელ შიშს.

იქნებ ჯობდა, არ დაეძალებინათ! ვინ იცის.

რამდენჯერმე გავრცელდა ხმა, უშანგი კვლავ გამოდის „ურიელ აკოსტაშიო", მაგრამ როცა დანიშნული დღე მოახლოვდებოდა, უხილავი ძალა სნეულებისა გაიმარჯვებდა—მსახიობი კვლავ უარს ამბობდა. ერთ დღეს აფიშაც გამოაკრეს: გამოცხადებული იყო, რომ ამა

და ამ დღეს „ურიელ აკოსტაში“ უშანგი ჩხეიძე გამოვიდოდა. მთელ ქალაქს მოედო ეს ხმა. დაიწყო ბილეთების გაყიდვა. მაშინვე გავვარდი და ბილეთი შევიძინე. ბილეთის შოვნა, ასეთ განსაკუთრებულ სპექტაკლზეც კი, ისე არ ჭირდა, როგორც უფრო მოგვიანებით, როცა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სპექტაკლის ან კონცერტის ბილეთებს ცეკა ანაწილებდა. თბილისი მაშინ უფრო პატარა ქალაქი იყო, ასე ხელოვნურად გაზრდილი და გაბერილი არ ყოფილა. იმოდენა იყო, რამხელაც ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ქვეყნის დედაქალაქობას შეეფერის.

დადგა ის ნანატრი საღამოც, თეატრი ხალხით გადაიჭედა. აიხადა ფარდა და სცენაზე მისი შემცვლელი, ავრეთვე შესანიშნავი მსახიობი და მოქალაქე პიერ კობახიძე გამოვიდა...

ხალხი ხშირად უსამართლოა: მსახიობს არ აპატიეს ის, რომ მან რისკის ფასად მეორე მსახიობი შესცვალა...

ამის შემდეგ აღარ გამოუცხადებიათ „ურიელ აკოსტაში“ უშანგი ჩხეიძის გამოსვლა. სპექტაკლი კი კვლავ გადიოდა პიერ კობახიძის მონაწილეობით და დღესაც ბევრს ახსოვს, რა კარგად ასრულებდა ამ როლს ეს ნიჭიერი მსახიობი.

სხვა სპექტაკლებში ჯერ ისევ გამოდიოდა უშანგი ჩხეიძე. ბედნიერება მხვდა მეხილა იგი „ოტელოში“ (იაგოს როლს ასრულებდა), „როგორში“, „კაკალ გულში“, „ყვარყვარე თუთაბერში“... არ ვიცი, იმ საღამოს „ყვარყვარე თუთაბერში“ პირველად გამოვიდა თუ როგორ მოხდა — სპექტაკლის ბოლოს სცენაზე სანდრო ჟორჟოლიანი გამოვიდა და უშანგის გადაეხვია, მიულოცა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, უშანგი ჩხეიძე მაინც ვნახე „ურიელ აკოსტას“ მეორე მოქმედებაში. ეს მოხდა მარჯანიშვილის საიუბილეო საღამოზე, როცა რეჟისორს 60 წელი შეუსრულდა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, და გულისფანცქალით მოელოდნენ, გამოვიდოდა თუ არა უშანგი სცენაზე. უშანგისთან ერთად, როლებს ასრულებდნენ, რაღა თქმა უნდა, ვერიკო ანჯაფარიძე, ღამბაშიძე და [illegible] მოქმედებაში ურიელს დიდი სათამაშო არა აქვს — ალბათ იმიტომაც შეარჩიეს ეს მოქმედება — მაგრამ დიდ მსახიობს ერთი გავლით, ერთი ფრაზის წარმოთქმითაც შეეტყობა ნიჭის ბრწყინვალება. იმ ადგილას, როცა ურიელს დედის საშო დაუწყევლეს, მან თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა „ო, დედაჩემო!“, ხალხისკენ შემობრუნდა... არასოდეს დამავიწყდება ეს საოცრად მეტყველი თვალები, რომლის ელვარება შეკავებულ რისხვას აფრქვევდა...

მარჯანიშვილის საიუბილეო საღამოზე შეასრულეს ერთი სცენაც „ცხვრის წყაროდან“. სწორედ ის სცენა, როდესაც დამსჯელი რაზმი შემოდის და განრისხებულ ხალხს მიმართავს: „ვინ მოკლა კომანდორი?“ პიესაში მთელი სოფელი დაიბრალებს ამას... საიუბილეო საღამოზე ზემოთ მოყვანილი ფრაზის ნაცვლად, მაყურებლისთვის სავსებით მოულოდნელად, არა რისხვით, არამედ თითქოს ალერსითა და სიყვარულით იკითხა:

„ვინ დააარსა ქართული თეატრი?“

„კოტე მარჯანიშვილმა!“ მქუხარედ დააგუგუნეს სცენაზე მყოფმა მსახიობებმა, მაყურებელთა ტაშის გრიალში.

მეორე განყოფილებაში მარჯანიშვილი თავის საყვარელი მსახიობებით გარშემორტყმული იჯდა. ყველაზე ახლოს მასთან ვერიკო და უშანგი იყვნენ. დაიწყო გაუთავებელი, მოსაწყენი მილოცვები, როგორც ჩვენში იციან ხოლმე. გამომსვლელთაგან, გამოვტყდები. არავინ მახსოვს. მხოლოდ ერთი ორიგინალური მილოცვა დამამახსოვრდა. პარტერიდან დაიძრა მეცხვარის ტყაპუჭში ჩაცმული ახოვანი კაცი, თავზეც მეცხვარის დიდი ფაფახი ეხურა, მხარზე კი ვეება ხურჯინი გადაეკიდა; იგი მილოცვის სიტყვებით ავიდა სცენაზე და იუბილარს გადაეხვია. ხურჯინის ცალი თვალიდან ბატკანი ამოაძვრინა, მეორიდან—ტიკით ღვინო და კახური გრძელი

შოთები. ეს კაცი მომღერალი ლადო კავსაძე იყო...

ბევრი კარგი სპექტაკლი ჰქონდა ერთ თეატრსაც და მეორესაც. მაგრამ სუსტი, ეგრეთ წოდებული „იდეური“ სპექტაკლებიც იყო, პარტიისა და ხელისუფლებისადმი ვალის მოსახდელად.

ერთი ასეთი სპექტაკლი, განსაკუთრებული შემთხვევის გამო, კარგად დამახსოვრდა. ეს იყო კარლო კალაძის „სახლი მტკვრის პირას“ და დადგა იგი, თუ არ ვცდები, სწორედ მარჯანიშვილმა. ფაქტიურად, ეს ღვარძლიანი პასკვილი იყო, და დასცინოდა ინტელიგენციის იმ თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომელთაც გაძნელებოდათ „საბჭოთა პლატფორმაზე“ გადასვლა. გარეგნული მიმსგავსებითაც და მოღვაწეობის ხასიათითაც, მაყურებელი ადვილად იცნობდა ყოველ მათგანს. ისინი გაშარჟებულები და დამცირებულები იყვნენ.

სპექტაკლის პერსონაჟთა შორის გამოყვანილი იყო „თაგუნაც“ — შალვა შარაშიძე. რამდენადაც ვიცი, შალვას ეს პიესა თავად არ ენახა, უამბეს მხოლოდ. ძალიან ეტკინა გული; ალბათ იმიტომაც, რომ სპექტაკლი სწორედ მარჯანიშვილის დადგმული იყო, და მასში მწერლის საყვარელი და მეგობარი მსახიობები მონაწილეობდნენ. ეს გულისტკივილი თუ წყენა მან ჩვეული იუმორით გამოხატა: ლექსი დაწერა და მე გამატანა თეატრში.

ეტყობა, ჩვეულებად ჰქონდა ლექსად წერილის მიწერა. ამას წინათ წავიკითხე ვლადიმერ ჯაფარიძის მოგონება: 30-იანი წლების საშინელი გაჭირვების დროს დაწესებულებებში არიგებდნენ პროდუქტებს (როგორც ეს მუდამ ხდებოდა ჩვენს ბედკრულ ცხოვრებაში). „სახელგამში“, რომელიც იმხანად ოპერის მოპირდაპირე მდებარე შენობაში იყო, პაპიროსები მოჰქონდათ და, ლიმიტით, თანამშრომლებს ურიგებდნენ. იქვე, პაპიროსის მისაღებად, მიმაგრებული იყვნენ მწერლებიც. ვლადიმერ ჯაფარიძე იგონებს, მაგალითად, როგორ მიდიოდა ყოველდღე გრიგოლ რობაქიძე თავისი წილი პაპიროსის მისაღებად. ერთხელ რობაქიძე კოჯორში წასულიყო, იქიდან მოუწერია წერილი, ჩემი წილი პაპიროსები შემინახე და გამომიგზავნეო. აქვე ყოფილა მიმაგრებული შალვა შარაშიძეც, და ვლ. ჯაფარიძეს მოაქვს ლექსად დაწერილი მისი ბარათი. შალვას იმ დროს ფეხი სტკიოდა და ვერ ადიოდა. მე ესეც კარგად მახსოვს.

„ძმაო პავლე, ან საშა, ან ლადო (პავლე საყვარელიძე, საშა აბაშელი და ლადო ჯაფარიძე, რომლებიც იმ დროს „სახელგამში“ მუშაობდნენ).

გეეედრებით. გაიკითხოთ დავრდომილი,
სნეული,
პაპიროსი მიწყალობეთ ათეული
რვეული.
ვწუხვარ, ვკვნესი. არავინ მყავს
მწყალობელი, მომვლელი,
ფეხი მტკივა, პაპიროსებს
წამალივით მოველი.

თქვენი შ. შ ა რ ა შ ი ძ ე.

აბა თქვენ იცით, თუ მიშოვით რამდენიმე პაპიროსს“.

და, აი, ახლაც ლექსად მისწერა თეატრს. მთელი ლექსი არ მაგონდება. მახსოვს, წყენით მიმართავდა, მე ამ დაცინვით რა დამაკლდება, მაგრამ „თეატრისთვის მრცხვენია, გეფიცებით თეატრს“. ეს ერთი სტრიქონი დამამახსოვრდა იმ ლექსიდან, და ბოლო სტროფი, რადგან ამ სტრიქონებს მერე ხშირად ვიმეორებდით და ვიცინოდით:

მაგრამ ყურს არ ვათხოვებ
თქვენს დაცინვას იაფსა:
ლეკვმა ჩაიცუნცულა
და ჩემს კარებს მიაფსა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისი

ულისე

მე-13 ეპიზოდი ნავზიკაე

თარგმანი და კომენტარი
ნიკო ყიასაშვილისა

ზაფხულის საღამომ სამყაროს ნელ-ნელა თავისი იდუმალებით აღსავსე მკლავები შემოახვია. შორს დასავლეთით მზე ჩადიოდა და მალიად მილეული დღის უკანასკნელი ნათელი გამოთხოვებისას ფეხს ითრევდა ზღვაზე და სანაპიროზე, ძველი ჰოუთის ამაყ კონცხზე, მარადჟამს რომ დარაჯობს ყურის წყლებს, ხავსმოკიდებულ ლოდებზე სენდიმაუნტის სანაპიროს გასწვრივ, დაბოლოს, რაც მთავარია, განმარტოებულ საყდარზე, რომლიდანაც სიმყუდროვეში ხანგამოკლებით გამოისმოდა ლოცვა მისადმი, რომლის უმანკო გამოსხივება მანათობელი შუქურაა ადამიანის მარადქარიშხლიანი გულისთვის, მარიამისადმი ზღვათა ვარსკვლავისადმი.

სამი დაქალი იჯდა ლოდებზე და ტკბებოდა საღამოს ხედითა და ზღვით მონაბერი სიოთი, რომელიც გრილი იყო, მაგრამ არა უსიამო. ბევრჯერ, ხშირად, ძალიან ხშირად[1] მოდიოდნენ აქ, ამ საყვარელ კუნჭულში, მოლივლივე ტალღებთან, რათა გულითადად ემასლაათათ და ქალური ამბები გაერჩიათ—სისი, კეფრი და ედი ბორდმანი პაწიათი საბავშვო ეტლში, და ტომი და ჯეკი კეფრი, მეზღვაურის კოსტუმში გამოწყობილი ორი თმახუჭუჭა ბიჭუნა კოსტუმის შესაფერისი ორი, ერთნაირი წარწერიანი, კეპით — მ.უ.გ. Belleisle[2]. რამეთუ ტომი და ჯეკი კეფრი ტყუპები იყვნენ, სულ რაღაც ოთხ-ოთხი წლისანი, ზოგჯერ საკმაოდ ხმაურიანი და ცელქი, მაგრამ მუდამ ცოცხალი, ნათელსახიანი, საყვარელი, მიმზიდველი ბიჭუნები. ჩიჩქნიდნენ სილას თავისი ნიჩბებით და სათლებით, აგებდნენ ციხე-კოშკებს, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ, ან დიდი ფერადი ბურთით თამაშობდნენ და ცხოვრობდნენ თავისთვის არხეინად[3] ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა. ამდროს ედი ბორდმანი საბავშვო ეტლში არწევდა პუტკუნა ბიჭს და ყმაწვილი ჯენტლმენი სიხარულისგან ლამის ჩაბჟირდა. მხოლოდ თერთმეტი თვისა და ცხრა დღის იყო და, თუმცა კი ჯერ ახლად ჰქონდა ადგმული ფეხი, უკვე ბალღურ ტიტინს იწყებდა. სისი კეფრი წაიხარა და პუტკუნა ლოყებზე და ნიკაპის გემრიელ ღრმულზე შეუღიტინა.

— აბა, პატარავ, თქვა სისი კეფრიმ. ხმამაღლა, ხმამაღლა თქვი: წყალი მწყურია.

და ბავშვმა ლუღლუღით გაიმეორა:

— წალი წულია.

სისი კეფრიმ ჩაიხუტა პაწია, რადგან გაგიჟებით უყვარდა ბავშვები, დიდი მო-

თმინებით ექცეოდა პატარა ავადმყოფებს და ტომი კეფრის ვერაფერი აიძულებდა დაელია აბუსალათინის ზეთი სანამ მაინც და მაინც სისი კეფრი არ მოუჭერდა ცხვირზე და არ ღაპირდებოდა რუხი პურის ოქროსფერ სიროფწასმულ ყუას. დარწმუნების რა ძალა გააჩნდა ამ გოგოს! მაგრამ, რა თქმა უნდა, ბავშვიც ოქრო იყო, შესანიშნავი, მოქარგულ გულსაფრიანი პაწია. ფლორა მაკფლიმზისნაირი[4] ზოგ-ზოგი განებივრებული ლამაზმანი არ გეგონოთ სისი კეფრი. უიშვიათესი გულმართალი გოგო იყო, ბოშაქალის თვალები მუდამჟამს რომ უცინოდა და გიჟმაჟი სიტყვა უთამაშებდა მოწეული ალუბლის წითელ ტუჩებზე. მიმზიდველი, საყვარელი არსება გახლდათ. და ედი ბორდმანიც გულიანად იცინოდა პატარა ძამიკოს ტიტინზე.

და სწორედ ამ დროს წაკინკლავდნენ ყმაწვილი ტომი და ყმაწვილი ჯეკი. ბიჭები მაინც ბიჭებია და ჩვენი ტყუპებიც გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ ამ საერთო წესიდან. განხეთქილების ვაშლი გახლდათ სილის ციხე-კოშკი რომელიც ყმაწვილმა ჯეკიმ ააგო ხოლო ყმაწვილ ტომს კი ეწადა არქიტექტურულად დაეხვეწა და მიეშენებინა ჭიშკარი, ისეთი, მარტელოს კოშკს რომ ჰქონდა. მაგრამ თუ ყმაწვილი ტომი ჯიუტი იყო, ყმაწვილი ჯეკიც კაი კერპი გახლდათ და იმ პრინციპის ურყევი რწმენით, რომ ყოველი პატარა ირლანდიელის სახლი მისი ციხე-სიმაგრეა, ისეთი გზნებითა და იმ განზრახვით ეკვეთა მის საძულველ რაყიფს, რომ თავის მტერსაც და (ვაი რომ ამასთან ერთად!) თვით სანუკვარ კოშკსაც შავი დღე აყარა. თქმა არ უნდა, რომ იმედგაცრუებული ყრმა ტომის შეძახილებმა დაქალების ყურადღება მიიპყრო.

— აქ მოდი, ტომი, ბრძანების კილოთი დაუძახა დამ. ახლავე! შენც, ჯეკი, ერცხვენოდეს, რომ საწყალი ტომი ჭუჭყიან სილაში ამოგანგლე. მოიცა ერთი, დაგიჭირო.

დაუღვრელი ცრემლით დაბინდული თვალებით ყრმა ტომი მივიდა ძახილზე, რადგან უფროსი დის სიტყვა ტყუპებისთვის კანონი იყო. და მართლაც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა თავისი მარცხის გამო. მეზღვაურის სიმოსი და მთელი სარცხვინისები სილით ჰქონდა გამოტენილი, მაგრამ სისი პატარ-პატარა ცხოვრებისეული იარების გამოცდილი მომშუშებელი იყო და სულ მალე ნამცეცი სილაც აღარ ჩანდა ბიჭუნას კოპწია კოსტუმზე. ჯერ კიდევ მაინც ცრემლი უბრწყინავდა ცისფერ თვალებში და შეიძლება ცხარე ნიაღვრადაც დაღვრილიყო. ამიტომ ამოუკოცნა დარდი და თითი დაუქნია დამნაშავე ჯეკის და უთხრა ახლოს რომ ვიყო მე შენ გიჩვენებდიო, თან თვალები გამაფრთხილებლად უთამაშებდა.

— საძაგელო, უტიფარო ჯეკი! დაუყვირა მან.

ხელი შემოხვია პაწია მეზღვაურს და გამამხნევებლად დაუყვავა:

— რა გქვია? ტკბილი ბამბის ქულა?

— აბა ერთი გვითხარი ვინ გიყვარს ყველაზე მეტად? დაელაპარაკა ედი ბორდმანი. სისი გიყვარს ყველაზე მეტად?

— ნტ, თქვა ცრემლმორეულმა ტომიმ.

— მაშ ედი ბორდმანი გიყვარს ყველაზე მეტად? შეეკითხა სისი.

— ნტ, თქვა ტომიმ.

— მე ვიცი, არც თუ მაინც და მაინც ალერსიანად თქვა ედი ბორდმანმა და ეშმაკურად გამოხედა ახლომხედველი თვალებით. მე ვიცი ვინ უყვარს ტომის ყველაზე მეტად. გერტი უყვარს.

— ნტ, თქვა ტომიმ და ლამის ატირდა.

სისი მკვირცხლი დედობრივი ალღოთი მიხვდა რა უჭირდა ბიჭს და ედი ბორდმანს წასჩურჩულა საბავშვო ეტლის უკან გაეყვანა, სადაც ჯენტლმენები ვერ დაინახავდნენ და თან თვალი მიედევნა რომ ახალი ყვითელი ფეხსაცმელი არ დაესველებინა.

კი მაგრამ ვინ იყო გერტი?

გერტი მაკდაუელი, რომელიც ამხანაგებისგან შორიახლოს იჯდა, ფიქრებში იყო წასული და შორეთს გასცქეროდა, ირლანდიური ქალწულებრივი კდემამოსილების ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტად მშვენიერი წარმომადგენელთაგანი იყო, რომლის ხილვა ყველა მამაკაცის ოცნე-

ბაა. მის სილამაზეს აღიარებდა ყველა ვინც იცნობდა, თუმცა კი, როგორც ხშირად ხალხს უთქვამს, უმალ გილტრაპეზისა მოსდგამდა, ვიდრე მაკდაუელებისა. ტანკენარი იყო და გრაციოზული, თითქოს ანემიურიც კი, მაგრამ რკინის ჟელე-აბებმა, რომლებსაც უკანასკნელ ხანს იღებდა, ძალიან უშველა, გაცილებით მეტად ვიდრე **ქვრივი უელჩის აბებმა ქალებისათვის** და ახლა ისე აღარ აწუხებდა სისხლის დენა და გადაღლილობის შეგრძნება. მისი სახის სპილოსძვლისფერი სიწმინდით აღბეჭდილი ცვლილებები სითეთრე, თითქოს სულიერი იყო, თუმცა ვარდის კოკრებივით ტუჩები კუპიდონის მშვილდისარს მიუგავდა. ჭეშმარიტად ბერძნული სრულყოფილება. მისი გრძელთითებიანი ხელები ნატიფძარღვიანი მარმარილოსგან იყო გამოთლილი და ლიმონის წვენისა და **ბითამს ლაროლას ნელსაცხებელთა დედოფლისგან** გათეთრებული, თუმცა არ იყო მართალი თითქოს ლაიკის ხელთათმანებში იძინებდა ანდა ფეხის რძის აბაზანებს იღებდა. ეს ერთხელ ბერთა საპლმა უთხრა ედი ბორდმანს (შეგნებული ტყუილი), როცა ის ერთხანს უმძრახად იყო გერტისთან (დაქალებსაც, რა თქმა უნდა, თავიანთი მცირე უთანხმოებანი უჩნდებათ ხოლმე დროდადრო, სხვა მოკვდავთ მსგავსად) და მან უთხრა, რაც არ უნდა მომხდარიყო, არ გაეთქვა რომ მისგან გაიგო თორემ ხმას აღარასოდეს გასცემდა. არა, პირი პირია ქვაბის ძირი ხომ არ არის. რაღაც თანდაყოლილი დახვეწილობა, მიბნედილი მეფური ქედმაღლობა ახლდა გერტის, რასაც უტყუარად ადასტურებდა მისი ნატიფი ხელები და ტერფის მაღალი ზურგი. ბედი რომ ჰქონოდა და მაღალი წრის დიდგვაროვან მანდილოსნად რომ დაბადებულიყო და საშუალება რომ ჰქონოდა კარგი განათლება მიეღო, გერტი მაკდაუელი არც ერთ ლედის ტოლს არ დაუდებდა თავის ქვეყანაში, თვალ-მარგალიტით იქნებოდა დამშვენებული და იქნებ მის ფეხთით გართხმული არისტოკრატი ხელისმთხოვნელები ერთმანეთს ექიშპებოდნენ თავისი ერთგულების დასამტკიცებლად. ვინ იცის იქნებ სწორედ პოტენციური სიყვარული იყო ის, რაც მის რბილნაკვთებიან სახეს ზოგჯერ დათრგუნული აზრის მქონე გამომეტყველებას სძენდა, რის გამოც მისი ლამაზი თვალები უცნაურ წუხილს, სევდას გამოხატავდნენ და ამ ხიბლს კაცი ვერ უძლებდა. რატომ აქვთ ქალებს ასეთი გრძნეული თვალები? გერტის ბრწყინვალე წამწამებსა და მუქ მეტყველ წარბებში უცისფერესი ირლანდიური თვალები ჰქონდა ჩასმული. დრო იყო როცა ამ ბზინავ წარბებს ასეთი მაცდური ძალა არ გააჩნდათ. მადამ ვერა ვერიტი იყო, **ქალი ლამაზის** განყოფილების მიმომხილველი ჟურნალ **პრინცესას ნოველებში,** პირველად რომ ურჩია ქუთუთოების შეღებვა, რამაც ასეთი მიმზიდველი იერი შესძინა თვალებს, მოდის კანონმდებელთ რომ შვენით, და მას არასოდეს უნანია. ამას გარდა, ჟურნალს დართული ჰქონდა მეცნიერული საშუალება სახის ალეწვის წინააღმდეგ, როგორ უნდა მიაღწიო იმას, რომ მაღალი ჩანდე და ლამაზი სახე გაქვს, მაგრამ შენი ცხვირი? ეს ქ-ნ დიგნამს მოუხდებოდა, რადგან პაჭუა ცხვირი ჰქონდა. მაგრამ გერტის ჭეშმარიტი სიამაყე მისი შესანიშნავი თმა იყო, მუქი წაბლისფერი და ბუნებრივად ოდნავ ხვეული. სწორედ იმ დილას გაეკრიჭა ახალ მთვარესთან დაკავშირებით და მის მოხდენილ თავს კეკლუცი კულულები ამშვენებდა. ფრჩხილებიც დაეჭრა. ხუთშაბათი ბარაქის დღეა[5]. და ახლა, როცა ედის სიტყვებზე ვარდის ფურცლებივით ნაზი, ნატიფი ალმური მოეკიდა ღაწვებზე, ისე შვენოდა, რომ მის ქალწულებრივ სიმორცხვეს ღვთისგან კურთხეულ ირლანდიის მშვენიერ მიწაზე მართლაც და ბადალი არ მოეძებნებოდა.

დადუმებული იჯდა, სევდიანი, თვალები დაეხარა. ერთი კი დააპირა გამოლაპარაკება, მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა. გული კარნახობდა ეთქვა სათქმელი, მაგრამ ღირსების გრძნობა ეუბნებოდა გაჩუმებულიყო. კოხტა ტუჩები ერთხანს დაებერა, მაგრამ შემდეგ აიხედა და ადრეული მაისის სიხასხასით მხიარულად ჩაიცინა. შესანიშნავად იცოდა, მასზე

კარგად ეს ვის უნდა ცოდნოდა, რომ ჭუტი ედი იძულებული იყო ეს ეთქვა ვაჟის გულგრილობის გამო, რაც მიჯნურთა უბრალო წაკინკლავების შედეგი იყო. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ცხვირი აიბზუა ბიჭზე, რომელიც მის ფანჯარას წინ და უკან ჩაუქროლებდა ხოლმე ველოსიპედით. მაგრამ ახლა მამამისი აიძულებდა საღამოობით გვარიანად ემეცადინა გამოცდებზე რომ გაემარჯვა და სკოლის დამთავრების შემდეგ ტრინიტი კოლეჯში შესულიყო საექიმოზე თავისი ძმის უ.ე. უილისავით, რომელიც ტრინიტი კოლეჯის ველოსრბოლაში იღებდა მონაწილეობას. ალბათ არ ადარდებდა თუ რას გრძნობდა გოგო, რა მწვავე ტკივილი უკორტნიდა ზოგჯერ გულს. მაგრამ ყმაწვილი იყო და შესაძლოა ჯერ კიდევ ისწავლიდა გამიჯნურებას. მთელი ოჯახი პროტესტანტები იყვნენ და, რა თქმა უნდა, გერტიმ იცოდა თუ **ვინ** იყო პირველი და რომ **მას** მოსდევს ქალწული მარიამი და შემდეგ წმინდა იოსები. მაგრამ ვაჟი უდავოდ ლამაზი იყო, ჰქონდა საოცრად მოხდენილი ცხვირი და იყო კიდეც ის, რადაც მოჰქონდა თავი — თავით ფეხთამდე ჯენტლმენი, მაშინვე ცნობდა მისი კეფის მოყვანილობას როცა უქუდოდ იყო, რადგან ყველასაგან გამოირჩეოდა. და როგორ მარჯვედ მოუხვევდა ხოლმე ველოსიპედით ქუჩის ფარანთან, ისე რომ საჭეს ხელებს შეუშვებდა და მისი ძვირფასი სიგარეტის სასიამოვნო სურნელი და, ამას გარდა, ერთი სიმაღლისანი იყვნენ და ედი ბორდმანს თავი ისე გასაგიჟებლად ჭკვიანი სწორედ იმიტომ ეგონა, რომ ვაჟი მის უბადრუკ ბაღს არ აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე.

გერტის სადად ეცვა, მაგრამ მოდური დამის მიმდევრის ინსტინქტური გემოვნებით, რადგან ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ მასთან შეხვედრა ეწერა. საკუთარი ხელით შეღებილი კოპწია მკვეთრი ლურჯი ფერის ბლუზი (რადგან ქალების დასურათებული ჟურნალი სწორედ ასეთ ლურჯს ურჩევდა თავის მკითხველებს მომავალი სეზონისთვის), უბემდე მოხდენილად ჩახსნილი და პატარა ჯიბით (რომელშიც მუდამ მისი საყვარელი სუნამოთი დანამული ბამბის ნაგრეხი ედო, რადგან ცხვირსახოცი [illegible] სტილს არღვევდა) და მუქი ლურჯი სამი-მეოთხედი სიგრძის ქვედატანი სრულყოფილად აჩენდა მის ტანკენარ სხეულს. პატარა, ყაითანით გაწყობილი, ფარფლებიანი თალხი ჩალის ქუდი ეხურა და გვერდზე იმავე ტონის პეპელა-ბაფთა ეკეთა. სამშაბათს ნაშუადღევს სწორედ ამ ყაითანის შესაფერის ბაფთაზე ნადირობდა და ბოლოს კლერის საზაფხულო ბაზრობაზე იპოვა ის რაც უნდოდა, დახლზე დებისაგან ოდნავ დალაქავებული, თუმცა ვერც შეატყობდით, არშინი — ორი შილინგი და ერთი პენი. ყველაფერი თვითონ გააკეთა და რა სიხარული განიცადა, როცა თავზე მოირგო და მოხდენილ ანარეკლს გაუღიმა სარკეში! და როცა ქუდის ფორმის შესანარჩუნებლად წყლის ქოთანს ჩამოაცვა, იცოდა, რომ ზოგ-ზოგ ნაცნობს თვალს მოჭრიდა. უახლესი მოდის ფეხსაცმელი ეცვა (ედი ბორდმანს ეამაყებოდა ასეთი petite[6] ფეხი რომ ჰქონდა, მაგრამ გერტი მაკდაუელისავით ხუთი ნომერი ფეხი მაინც ვერასოდეს ვერ ექნება) ბუნებრივი ტყავის წვერიანი და მოხდენილი შესაკრავით ტერფის მაღალ ზურგზე. ქვედატანის ბოლოდან ლამაზად მოჩანდა ჩამოსხმული წვივი, იმდენად რამდენსაც წესიერება მოითხოვდა, და ქალის ნატიფ ფეხებს თხელი წინდები ამშვენებდა. რაც შეეხება საცვლებს, მათზე გერტი მუდამ საგანგებოდ ზრუნავდა და მან ვისთვისაც ცნობილია ჩვიდმეტი წლის გოგონას ცვალებადი იმედები და შიშები (თუმცა გერტის რახანია უკან მორჩა ჩვიდმეტი) შეიძლება კი გულში გაიცხოს იგი? ოთხი კოხტა გარნიტური ჰქონდა გასაგიჟებლად დაგვირისტებული, სამი კორსეტი და კიდევ ღამის პერანგები, და ყოველი გარნიტური სხვადასხვა ფერის ბაფთით გაწყობილი, ვარდისფერით, ღია ცისფერით, სოსანითა და ღია მწვანით და თვითონ ფენდა და ალილავებდა და, როცა სამრეცხაოდან უბრუნებდნენ, აუთოვებდა, აგურიც ჰქონდა უთოს დასადგმელად, რადგან არ ენდობოდა იმ მრეცხავ ქალ-

ებს გასაუთოვებლები რომ ეწვევოდათ ხოლმე. ცისფერს ბედობისთვის იცვამდა, უიმედობის დასაძლევად, მისი საყვარელი და ამავე დროს იღბლიანი ფერი პატარძლისთვის რომელსაც რამე მაინც უნდა ეცვას ცისფერი რადგან გასულ კვირას მწვანე რომ ჩაიცვა აკი მწუხარებაც მოუტანა რადგან ვაჟის მამამ შვილი გამოცდებისათვის საზუთხავად წაიყვანა და რადგან იფიქრა შესაძლოა მაინც შევხვდეო. იმის გამო რომ იმ დილას ჩაცმისას კინაღამ ძველი წყვილი უკუღმა ჩაიცვა და ყისმათისა და პაემანის ნიშანია როცა საცვლებს უკუღმა იცვამ მხოლოდ პარასკევი არ უნდა იყოს.

და მაინც, და მაინც! მისი ნატანჯი სახე! მუდმივი მღრღნელი წუხილი. მთელი მისი სული თვალებში გამოსჭვივის და რას არ მისცემდა ოღონდ მარტო დარჩენილიყო მის საკუთარ შეჩვეულ ოთახში სადაც ცრემლად დაიღვრებოდა და გულში ჩახვეული გრძნობებისგან გატანჯული შვებას იგრძნობდა. თუმცა არც თუ მეტისმეტად რადგან იცოდა როგორ ეტირა მოხდენილად სარკის წინ. ლამაზი ხარ, გერტი, ეუბნებოდა სარკე. მწუხრის გაცრეცილი სინათლე ეცემა უსაზღვროდ სევდიან და დამწუხრებულ სახეს. გერტი მაკდაუელი ამაოდ იტანჯება. დიახ, მან იმთავითვე იცოდა რომ მთელ მის ქორწინების ზმანებას და ქ-ნ რეგი უაილისათვის დ.ს.კ.[7] საქორწინო ზარების რეკვას (რადგან ვინც უფროს ძმას გაყვებოდა ის იქნებოდა ქ-ნი უაილი) და საგაზეთო ქრონიკას იმის თაობაზე რომ ქ-ნი უაილის ცისფერი ყარსაღით გაწყობილი ბრწყინვალე ნაცრისფერი კაბა ეცვაო აცხადება არ ეწერა. ვაჟი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო ეს რომ გაეგო. მას სიყვარულის არ სწამდა, არ სწამდა იმისი, რისი უფლებაც ქალს დაბადებიდან აქვს მინიჭებული. დიდი ხნის წინათ სტოერებთან წვეულებაზე (ბიჭი ჯერ კიდევ მოკლე შარვლით დადიოდა) მარტო რომ დარჩნენ და მან შეპარვით მოხვია ხელი წელზე, გოგო საშინლად გაფითრდა. ჩემო პატარავ, უჩვეულო ხრინწიანი ხმით უთხრა მან და გაუბედავად აკოცა (გერტის პირველი კოცნა!) მაგრამ მხოლოდ ცხვირის წვერზე და შემცბარი ბიჭი ოთახიდან გავარდა. თან რაღაც წაიბურტყუნა საუზმის შესახებ. იმპულსური ჭაბუკი! ხასიათის სიმტკიცეს რეგი უაილი ვერასოდეს დაიკვეხნიდა და ის კი ვინც გერტი მაკდაუელის გულის მონადირებას მოიწადინებდა მამრთა შორის მამრი უნდა ყოფილიყო[8]. მაგრამ ლოდინი, გულისგამაწვრილებელი ლოდინი ვინმე შემეხვეწებაო და თანაც ნაკიანი წელიწადი იყო[9] და საცაა მიიწურებოდა კიდეც. მისი იდეალი ზღაპრული უფლისწული არ ყოფილა, რომელიც არნახულ საოცნებო სიყვარულს დაუგებდა ფეხქვეშ, არამედ დინჯი ძლიერი ნებისყოფის მქონე მამაკაცი, რომელსაც საკუთარი იდეალი ვერ მოეძებნა, თუნდაც თმა ოდნავ შეევრცხლილი ჰქონოდა, და რომელიც გაუგებდა, მზრუნველ მკლავებში შეიფარებდა, მკერდზე მიიხუტებდა მთელი თავისი უძირო ვნებიანი არსებით და ხანგრძლივი ხანგრძლივი კოცნით დააყუჩებდა. ეს ნამდვილი სამოთხე იქნებოდა. ასეთ მამაკაცზე ოცნებობს გერტი ზაფხულის ამ ნეტარ საღამოს. გულითა და სულით სწადია გახდეს მისი მეუღლე სიმდიდრესა და სიღატაკეში, ავად და კარგად ყოფნაში, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს ერთმანეთს, უკუნისი უკუნისამდე.

და სანამ ედი ბორდმანი პატარა ტომთან ერთად საბავშვო ეტლს იყო მოფარებული, გერტი იმაზე ფიქრობდა გაუთენდებოდა თუ არა ოდესმე დღე როცა თავის თავს იმ საოცნებო მამაკაცის საყვარელ პაწია საცოლედ იგულვებდა. მაშინ ბერთა საპლსაც და ედისაც, რომელიც იმიტომაა გაკაპასებული რომ ნოემბერში ოცდაორის სრულდება, იქამდე შეეძლოთ ელაპარაკათ მასზე სანამ არ დაოსდებოდნენ. გერტი დიდ ადამიანურ სითბოს და ყურადღებას გამოიჩენდა მისადმი. რადგან ქალური სიბრძნე კარნახობდა რომ მამაკაცს ჩვეულებრივი ოჯახური სიმყუდროვე ხიბლავს. გერტის ოქროსფრად შებრაწული კვერი და დედოფალ ენის უგემრიელესი პუდინგი სტუმრების აღტაცებას იწვევდა, ოქროს ხელი ჰქონდა, ცეცხლსაც ზომიერად მი-

სცემდა ფქვილსაც ზომიერად მოაყრიდა საფუარს და ყოველთვის ერთი და იმავე მიმართულებით ურევდა, მერე ნაღებს მოხდიდა რძეს შაქარს და ცილას საგულდაგულოდ ათქვეფავდა თუმცა ჭამა კი არ უყვარდა რადგან ხალხის ერიდებოდა და ხშირად საკუთარ თავს ეკითხებოდა რატომ არ შეიძლებოდა რამე პოეტურის ჭამა თუნდაც იებისა და ვარდების. და მათ კოხტად მოწყობილი, სურათებითა და გრავიურებით მორთული სასტუმრო ოთახი ექნებოდათ რომელშიც ბაბუა გილდრაპის საყვარელი ძაღლის გეროუენის ფოტო ეკიდებოდა, გეროუენისა რომელიც ისეთი ადამიანური იყო ლამის ლაპარაკობდა, და სავარძლებზე მოხატული ჩითის გადასაფარებლები და ბუხართან ნაფიცხარას ვერცხლის სადგარი კლერის საზაფხულო ბაზრობაზე რომ იყიდება და მდიდრულ სახლებში რომ აქვთ ხოლმე. მაღალი და მხარბეჭიანი იქნებოდა (მუდამ ახოვან ქმარზე ოცნებობდა) კოპწიად შეკრეჭილ დიდ ულვაშებს ქვემოდან ქათქათა კბილებში ექნებოდა და თაფლობის თვის გასატარებლად კონტინენტს გაემგზავრებოდნენ (სამი საოცნებო კვირა!) და მერე, როცა პატარა მყუდრო სახლში დაბინავდებოდნენ, ყოველ დილას საგანგებოდ მათთვის მომზადებულ, უბრალო მაგრამ მშვენივრად გაწყობილ, საუზმეს მიუსხდებოდნენ და სანამ სამუშაოდ წავიდოდა თავის ძვირფას პაწია სულიკოს ერთი კარგად გულიანად ჩაიხუტებდა და წამით უძირო თვალებში ჩახედავდა გერტის.

ედი ბორდმანმა ჰკითხა ტომი კეფრის მორჩი თუ არაო და მან უპასუხა კიო, ისე რომ მოკლე შარვალი შეუკრა და უთხრა გაიქეცი და ჯეკის ეთამაშე და ჭკუით იყავით აღარ იჩხუბოთო. მაგრამ ტომიმ თქვა ბურთი მინდაო და ედიმ უთხრა არა ბავშვი თამაშობს, თუ აიღებ წაკინკლავდებითო მაგრამ ტომიმ თქვა ჩემი ბურთია და მინდაო და ფეხიც დაბაკუნა. ერთი მაგას უყურეთ! რა ხასიათის პატრონია! უკვე კაცი იყო ტომი კეფრი, სახვევებიდან ახლად გამომძვრალი. ედიმ უთხრა არა, გეყო მორჩიო და სისი კეფრის კი უთხრა არ დაუთმოო.

— შენ ჩემი და არა ხარ, თქვა ოხვარმა ტომიმ. ეს ჩემი ბურთია.

მაგრამ სისი კეფრიმ უთხრა პაწია ბორდმანს მისი აწეული თითისთვის შეეხედა, თან ხელი სტაცა ბურთს და ქვიშაზე გააგორა. გამარჯვებული ტომი თავქუდმოგლეჯილი გამოედევნა ბურთს.

— რას არ გააკეთებ ადამიანი ოღონდ მშვიდობა იყოს, გაიცინა სისიმ.

და მან დასამშვიდებლად ხელი მოუთათუნა პუტკუნა ლოყებს და გაეთამაშა— ეს ლორდ მერია, ეს მისი ორი მოხატული ეტლი, ეს ჭიშკარია შიგ რომ შებრძანდება, ეს კი ღიტი, ღიტი, ღიტი. მაგრამ ედი გაცხარდა ბიჭს თავისი გააქვს რადგან ყველა ეფერებაო.

— ერთი მაგრა წამოვარტყავდი, თქვა მან. არ კი ვიტყვი სად.

— ტაკუნებზე, გაიცინა სისიმ.

გერტი მაკდაუელმა თავი დახარა და წამოწითლდა, რადგან ქალისთვის ისეთი შეუფერებელი რამ წამოსცდა სისის, თანაც ასე ხმამაღლა, რაც თვითონ თავის დღეში არ ამოუვიდოდა პირიდან. სახე აელეწა. და ედი ბორდმანმა თქვა რომ დარწმუნებული იყო ახლოს მდგარმა ჯენტლმენმა ყველაფერი გაიგონა. მაგრამ სისის ეს სულაც არ ადარდებდა.

— გაიგონოს! თქვა მან, თან თავი უტიფრად გააქნია და პიკანტურად მოიჭმუჭნა ცხვირი. არც მაგას მოვერიდები, მაგასაც მოხვდება იმავე ადგილას.

ზანგი თოჯინას კულულებიანი ანცი სისი. ზოგჯერ სიცილით მოგკლავს. მაგალითად, როცა იკითხა კიდევ ხომ არ მიირთმევთ ჩინურ ჩაის მოლოს ჟურაბით და როცა ფრჩხილებზე კათხა და კაცის სახე დაიხატა წითელი მელნით ანდა ერთ ადგილას რომ მოუნდა გასვლა და თქვა მინდა გავიქცე და მისს ფისი მოვინახულოო. აი ასეთია ჩვენი სისიკუნა. და განა დავიწყება შეიძლება იმ საღამოს მამამისის კოსტუმში და ქუდში რომ გამოეწყო, შეტრუსული საცობით ულვაშები დაიხატა და სიგარეტის წევით ტრაიტონის ქუჩაზე ჩაიარა? ტოლს ვერავინ დაუდებდა ოხუნჯობა-მასხრობაში. მაგრამ ამასთან ის თავად გულწრფელობა

იყო, ერთ-ერთი უგულადესი და უერთგულესი გულთაგანი რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ზეცას. არ გავდა იმ თქვენს ორპირა ზოგზოგებს, რომლებიც ისე არიან დაშაქრულნი რომ კაცი ვერ ენდობა.

ამის შემდეგ ჰაერში გალობისა და ორგანის ძალუმი ჰიმნის ხმა გაისმა. ეს იყო არამსმელთა წირვა, წირავდა ღირსი ჯონ ჰიუზი, იეზუიტთა საზ-ბა, ყოველად წმინდა სავარდისა, გალობა ღვთისმშობლისა მიმართ. თავშეყრილნი იყვნენ ყოველგვარი სოციალურ-კლასობრივი განსხვავებისდა მიუხედავად (რაც დიდად ყურადსაღები სანახაობა გახლდათ) იმ მოკრძალებულ ტაძარში, ტალღების მახლობლად, გატანჯული სამყაროს ბობოქარი ქარიშხლების მიერ გამორიყულნი, იჩოქებდნენ მარადის ქალწულის ფეხთით, ძველი ნაცნობი სიტყვები მარიამ ქალწულო, უმანკოდ შთასახებულო, გვიმეორე ჩვენ ცოდვილთა, შენდამი შემოხიზნულთა. რა მწარედ ჩაესმოდა ეს ყველაფერი საბრალო გერტის! მამამისი რომ დასხლეტოდა ლოთობის დემონის კლანჭებს, ან აღთქმა ღაედო, ანდა ის ფხვნილები მიეღო **პირსონზ უიკლში** რომ წერდნენ სმას გადაგაჩვევსო, ახლა გერტი საკუთარ ეტლში იგრიალებდა და ტოლს არავის დაუდებდა. ხშირად უმეორებდა ამას საკუთარ თავს მიმქრალ ბუხართან მიმჯდარი გაუხარელ მოჟამულობაში რომელშიც ნათურა არ ენთო რადგან ორ სინათლეს ვერ იტანდა ანდა როცა საათობით ოცნებებში წასული ფანჯრიდან ჟანგიან კასრზე დაცემულ წვიმის წვეთებს მიშტერებოდა. მაგრამ იმ წყეულმა ბანგმა ამდენი კერა და ოჯახი რომ დაანგრია, ჩრდილი მოჰფინა მის ბავშვობას. ოჯახურ წრეში იმ უხეში ძალადობის მოწმეც გამხდარა ლოთობას რომ მოჰყოლია და მამამისის სიმთვრალის ისეთ საშინელ შეტევასაც შესწრებია როცა მთლად აერია ტვინი და თუ გერტის რაიმე გაეგებოდა ამ ქვეყნად ის იყო რომ კაცი ქალზე ხელს თუ აღმართავდა სხვაგვარად თუ არა ნაზი ალერსისთვის, ღირსი იყო სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ როგორც მდაბალთა შორის უმდაბლესი არამზადა.

და კვლავ ისმოდა მარადის ძლიერი და მოწყალე ქალწულისადმი ლოცვად აღვლენილი გალობის ხმა. და ფიქრებში გართულ გერტის თითქოს არ ესმოდა რას ამბობდნენ და ვერ ხედავდა რას აკეთებდნენ მისი დაქალები ან ბიჭურ ცელქობაში გართული ტყუპები ანდა ჯენტლმენი სენდიმაუნტ გრინის მხრიდან რომ სეირნობით გამოვიდა და რომელზეც სისი კეფრი ამბობდა ძალიან გავს მამასო. მართალია მას ვერასოდეს იხილავდით გამომთვრალს მაგრამ მიუხედავად ამისა გერტის ის მაინც არ მოსწონდა როგორც მამა რადგან ძალიან ბებერი იყო ან მისი სახის გამო (ეს აშკარად დოქტორ ფელის[10] ცნობილი შემთხვევა იყო) ანდა ფერისმჭამელებით სავსე დამუწუკებული ცხვირისა და მის ქვემოთ ოდნავ შეჭაღარავებული ჟღალი ულვაშების გამო. საბრალო მამა! მთელ მის ნაკლოვანებათა მიუხედავად მაინც მოსწონდა როგორ მღეროდა **მითხარი, მერი, როგორ მოგხიბლო, ვით გადაგიხსნა გული ალალი**[11] **და ტრფიალი ჩემი და კოტეჯი როშელის მახლობლად**[12] და როცა ვახშმისათვის მოშუშულ მოლუსკებსა და სალათის ფურცლებს ლეიზენბის მაიონეზით კაზმავდნენ და ის კი ღიღინებდა **მთვარემ აღმართა ფარანი ზევით, შენსკენ მოვილტვი მის შუქზე გზნებით**[13] დიგნამთან ერთად, სისხლის ჩაქცევისგან რომ გარდაიცვალა, ღმერთო შეიწყალე სული მისი, უეცრად და დღეს დაკრძალეს. დედამისის დაბადების დღე იყო და ჩარლი არდადაგებზე იყო ჩამოსული და ტომი და ბ-ნი დიგნამი და ბ-ნი და ქ-ნი პეტსები და ფრედი დიგნამი და მათ ყველას ჯგუფური სურათიც უნდა გადაეღოთ. ვინ იფიქრებდა რომ ბოლო ასე ახლოს იყო. ახლა ის განისვენებდა. და დედამ უთხრა დაე ეს შენთვის გაფრთხილება იყოს შენი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდეო და გასვენებაზეც კი ვერ წავიდა ნიკრისის გამო და დედა იძულებული შეიქნა ქალაქს წასულიყო და კონტორიდან მისთვის წერილები და კეიტსბის ლინოლიუმის ნიმუშები მოეტანა, გამძლე, ლამაზად მოხატული, სასახლეს რომ დაამშვენებდა, მეტად ნათელი და ხალისიანი.

სანიმუშო შვილი იყო გერტი, ოჯახის მეორე დედა, ნამდვილი ნეტარ ანგელოზთა დასის თვალი[14], თუმც კი პაწია მაგრამ თავის წონა ბაჯაღლო ოქროს გულის პატრონი და როცა დედამისს ის აუტანელი თავისტკივილი აწუხებდა, სწორედ გერტი უზილავდა საფეთქლებს მენთოლის სანთლით თუმცა კი არ მოსწონდა დედა ბურნუთს რომ ეწეოდა და ეს იყო ერთადერთი რამ რაზეც წაილაპარაკებდნენ ხოლმე, ბურნუთის წევა. ყველა მის ქებაში იყო ასეთი სათნო ქცევის გამო. სწორედ გერტი აქრობდა ხოლმე ყოველღამ გაზს და სწორედ გერტი აკრავდა კედელზე იქ სადაც ორ კვირაში ერთხელ ქლორის დასხმა არ ავიწყდებოდა, ბ-ნ ტანის დუქნიდან მოტანილ საშობაო კალენდარს გარდასულ მშვიდ დღეთა ამსახველი სურათით რომელზეც გამოსახული იყო იმდროინდელ კოსტუმში გამოწყობილი ყმაწვილი ჯენტლმენი სამაუთხა ქუდით, თავის გულისვარდს გისოსიან სარკმელში ძველებური რაინდული თავაზით ყვავილების თაიგულს რომ აწვდიდა. აქ აშკარად რაღაც ნამდვილი ამბავი იყო ასახული. მეტად საამო ფერებით შესრულებული. მოხდენილ პოზაში მდგარ ქალს რბილი შემოტმასნილი თეთრი კაბა ეცვა ჯენტლმენი კი შოკოლადის ფერებში იყო გადაწყვეტილი და ჭეშმარიტი არისტოკრატის იერი ჰქონდა. ოცნებებში წასული გერტი ხშირად შეჰყურებდა მათ როცა გარკვეული მიზეზით შედიოდა ხოლმე იქ და სახელოაწეული ისინჯავდა იმ ქალის მკლავებივით ქათქათა და ფაფუკ მკლავებს და იმ დროებაზე ფიქრობდა რადგან ბაბუა გილტრაპის ნაქონ უოკერის წარმოთქმით ლექსიკონში ამოიკითხა თუ რას ნიშნავდა იდილიური.

ტყუპები ახლა ნამდვილად სანიმუშო ძმებივით თამაშობდნენ სანამ ყმაწვილმა ჯეკიმ, რომელსაც რაღა დასამალია და უტიფრობა არ აკლდა, განზრახ არ დაარტყა ბურთს რაც ძალი და ღონე ჰქონდა ზღვის წყალმცენარეებით დაფარული ლოდებისკენ. თქმა არ უნდა საბრალო ტომიმ არ დააყოვნა ხმამაღლა გამოეხატა თავისი უკმაყოფილება, ბედზე იქვე მჯდარმა შავებში ჩაცმულმა ჯენტლმენმა გალანტურად გაიღო დასმარების ხელი და ბურთი გააჩერა. ჩვენი ჩემპიონები კვლავ აკივლდნენ ჩემი სათამაშო მინდაო და სისი კეფრიმ უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით სთხოვა ჯენტლმენს მისთვის გადაეგდო ბურთი, გეთაყვაო. ჯენტლმენმა რამდენჯერმე დაუმიზნა და სისი კეფრისკენ სტყორცნა მაგრამ ბურთი ზემოდან დაგორდა და პირდაპირ გერტის ქვედატანის ქვეშ, ლოდის გვერდით დაგუბებულ წყალთან შეჩერდა. ტყუპებმა კვლავ ხმამაღალი შეძახილით მოითხოვეს ბურთი და სისიმ უთხრა გერტის იქით გადააგდე თვითონ გაიყონო და გერტიმაც უკან გასწია ფეხი, სულაც არ უნდოდა მათი სულელური ბურთი მასთან რომ მიგორებულიყო, დაარტყა მაგრამ ფეხი ააცდინა და ედის და სისის გაეცინათ.

— ცდა ბედის მონახევრეა. მიდი, სცადე, თქვა ედი ბორდმანმა.

გერტიმ თანხმობის ნიშნად გაიღიმა და ტუჩი მოიკვნიტა. ოდნავ შეეფაკლა ლამაზი ღაწვები მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეჩვენებინა მათთვის ამიტომ ქვედატანი ზომიერად აიწია, კარგად დაუმიზნა და გემრიელად დაარტყა ფეხი ბურთს და საკმაო მანძილზე გადააგდო და ტყუპებიც რიყისკენ გაედევნენ მას. რა თქმა უნდა ეს უცნობი ჯენტლმენის ყურადღების მიპყრობის სურვილით გამოწვეული წმინდა წყლის ეჭვიანობა იყო. თბილი ალმური შეიგრძნო, რაც გერტი მაკდაუელისთვის მუდამ საშიში ნიშანი იყო, ღაწვებს რომ მოედო და გაღვივდა. აქამდე მხოლოდ ზოგჯერ შემთხვევით შეხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს მაგრამ თავისი ახალი ქუდის ფარფლებს ქვემოდან აშკარად შებედა შეხედვა და სახე, რომელსაც ქალის მზერა დაეცა, ფერმიხდილი და საოცრად სევდიანი ეჩვენა ბინდში.

ეკლესიის ღია სარკმლიდან საკმეველის სურნელებამ მოჰბერა და მასთან ერთად მისი სახელების სურნელებამ ვინაც უმანკოდ იქნა ჩასახული, ყოვლად სპეტაკო მტრედო ქალწულო, წალკოტო დახშულო და სამოთხევ სიხარულისა,

შროშანო ველისა, აღმოცენებულო ეკალთა შორის, წმინდათა უწმინდესო ოქროისა სასაკმელო, მეოხ მეყავნ ჩვენ, წმინდაო ღვთისმშობელო. და იყვნენ იქ ქანცგაწყვეტილი გულები და მშოვნელნი პურთა მათთა არსობისა და ბევრნი რომელთა შესცოდეს და დაძრწოდნენ, თვალნი მათნი გულწრფელი სინანულით დანამულნი მაგრამ ამავ დროს იმედით გაბრწყინებულნი რადგან ღირსმა მამა ჰიუზმა უთხრა მათ თუ რა თქვა დიდმა წმინდანმა ბერნარდმა თავის ცნობილ ლოცვაში ყოვლად წმინდა ქალწული მარიამის შესახებ, რომ არროდეს არ აღნიშნულა შემთხვევა როცა მისი მძლე მფარველობის მთხოვნელი გაჭირვებაში მიეტოვებინოს.

ტყუპები კვლავ მხიარულად თამაშობდნენ რადგან ბალღური წუხილი ზაფხულის შხაპუნა წვიმასავით ხანმოკლეა. სისი კეფრი ეთამაშებოდა პაწია ბორდმანს სანამ მან პაწია ხელებით ტაში არ შემოჰკრა ჰაერში და მხიარულად არ წაიტიტინა. ჭიტა დაიძახა საბავშვო ეტლის ჩარდახს მოფარებულმა სისიმ, ხოლო ედმ იკითხა ნეტა სისი რა იქნაო და მერე სისიმ გამოიჭყიტა და დაიძახა აუ! და სულ ნუ წამიწყდება, დიდად გაიხარა პაწია ბიჭუნამ. და მერე სისიმ უთხრა აბა ერთი თქვი მამიო.

— თქვი მამა, პაწიავ. თქვი მა მა მა მა მა მა.

და პაწიამაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა რადგან როგორც ყველა აღნიშნავდა თერთმეტი თვის კვალობაზე ძალიან გონიერი იყო და დიდიც, თანაც თვით ჯანმრთელობის განსახიერება, სიყვარულის პაწია თაიგული, დიდი ვინმე უნდა გამოვიდესო.

— ბაბა ბა ბა ბაბა.

სისიმ პატარა დადორბლილი პირი გულსაფრით მოუწმინდა და ის-ის იყო დაეპირა წესიერად დავსვამ და ვათქმევინებ მა მა მასო, მაგრამ საბეჭური რომ შეუხსნა წამოიყვირა, ღმერთო დიდებულო, მთლად გალუპულიაო და საფენი ორმაგად შეუკეცა უფრო მშრალი მხრით. მისი ბალღური უდიდებულესობა რა თქმა უნდა ძლიერ აღაშფოთა ასეთმა სატუალეტო პროცედურამ და აკი ყველას ამცნო კიდეც ამ შესახებ.

— ბაბაა ბააბააა

და ორი დიდრონი ლამაზი ცრემლი მოგორავდა მის ღაწვებზე. არავითარი აზრი არ ჰქონდა დამშვიდებას არა, ნუ ნუ, ჩუ-ჩუთი, მაგრამ მუდამ საზრიანმა სისიმ საწოვარი ბოთლი ჩასჩარა პირში და ჭაბუკი წარმართი მყისვე ჩაცხრა.

ერთი სული ჰქონდა შინ წაეყვანათ ჭირვეული ბავშვი გერტის რომ ნერვები აღარ აშლოდა, თანაც პატარასთვის უკვე გვიანია, ბარემ ეს უაზრო ტყუპებიც. შორეულ ზღვას გასცქეროდა. ეს აგონებდა იმ ნახატებს ქუჩაში კაცი რომ ხატავდა ქვაფენილზე ფერადი ცარცებით და რა დასანანია ხოლმე მათი წასაშლელად გამეტება, ღრუბლიან საღამოს და ბეილის შუქურას ჰოუთზე, ეკლესიიდან კი ასეთი გალობა მოისმის და ნიავს საკმეველის სურნელი მოაქვს. და მის გულს ამასობაში ბაგა-ბუგი გაუდიოდა. დიახ, კაცი მას უყურებდა და გარკვეული აზრიც ჩანდა მის გამოხედვაში. მწველი თვალები თითქოს მის არსებას სჭვალავდნენ, მისი სულის ამოკითხვას ლამობდნენ. გასაოცარი თვალები ჰქონდა, უზომოდ გამომხატველნი, მაგრამ ენდობოდა კი ადამიანი? ხალხი ზოგჯერ ისეთი უცნაურია. გერტი მაშინვე მიხვდა მისი შავი თვალებისა და ფერმკრთალი ინტელექტუალური სახის მიხედვით, რომ უცხოელი იყო, აი ისეთი როგორიც მარტინ ჰარვი[15], სცენის კერპი გერტის ფოტოსურათზე, მხოლოდ ულვაშიანი ერჩივნა რადგან უინი რიპინგამივით ატაცებული თეატრალი არ იყო, რომელსაც უნდოდა ორივეს მაინც და მაინც ერთნაირად სცმოდათ როგორც იმ პიესაში დებს[16], მაგრამ ამ მანძილზე ვერ ხედავდა მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა თუ ოდნავ retrousse[17]. მგლოვიარე იყო, ხედავდა შავები ეცვა და სახეზე მოუშორებელი დარდი ეწერა. არაფერს დაიშურებდა ოღონდ მიზეზი შეეტყო. ისე დაჟინებით უყურებდა, მიშტერებით, და დაინახა როგორ წაჰკრა გერტიმ ბურთს ფეხი და იქნებ მისი ფეხსაცმლის კრიალა ფოლადის აბზინდებისთვისაც მოეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თვალი ჩაფიქრებულს ასე რომ აექ-
ნია და დაექნია დახრილი ფეხისწვერე-
ბით. უხაროდა რომ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲛᲐ ძალამ
უკარნახა გამჭვირვალე ᲯᲝᲠᲐᲑᲔᲑᲘ ჩაეცვა,
იფიქრა იქნებ რეგი უილი შემხვდესო,
მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უკვე
წარსულში იყო. აი ასეთ კაცზე კი ხშირად
უოცნებია. ეს ის იყო რომელსაც
ნამდვილად ჰქონდა მნიშვნელობა და გე-
რტის სახეზე სიხარული ეხატა რადგან
მასთან სურდა ყოფნა, რადგან ინს-
ტინქტურად გრძნობდა არავინ იყო მისი
დარი. გოგონა-ქალის გული დაუოკებ-
ლად მიილტვოდა მისკენ, საოცნებო მე-
ულლისკენ, რადგან მაშინვე მიხვდა რომ
ეს ის იყო. თუ კაცი იტანჯებოდა, იმდენი
შეცოდება არა ჰქონია, რაც შეუცო-
დავთ სხვებს მის მიმართ[18], ან
თუნდაც, თუნდაც თავად ᲔᲒ იყ-
ოს მცოდველი, უკეთური ვინმე.
მისთვის სულერთი იყო, თუნდაც
პროტესტანტი ან მეთოდისტი ყოფილი-
ყო ადვილად მოაქცევდა თუ კაცს ნამდ-
ვილად ეყვარებოდა. არსებობს ჭრილო-
ბები რომელთაც გულის ბალზამით ესა-
ჭიროებათ მკურნალობა. გერტი ქალუ-
რი ქალი იყო, არ გავდა იმ ᲮᲣᲨᲢᲣᲠᲘ-
ან გოგოებს ქალურობა რომ აკლიათ, ვე-
ლოსიპედზე გადალაჯულ გოგოებს, იმ-
ას რომ აჩენენ რაც არ გააჩნიათ, და და-
უცხრომელი წადილი ჰქონდა ყველაფე-
რი სცოდნოდა მის შესახებ, მიეტევები-
ნა ყველაფერი თუკი შესძლებდა თავი
შეეყვარებინა მისთვის, დაევიწყებინა
ხსოვნა წარსულისა. მაშინ იქნებ ნაზად
მოხვეოდა, როგორც ნამდვილი მამაკაცი,
მაგრად მიეხუტებინა მისი მოქნილი სხე-
ული, და ყვარებოდა მხოლოდ ის, მისი
ერთადერთი ცუგრუმელა გოგო.

თავშესაფარი ცოდვილთაო, ნუგეშის
მცემელო შეჭირვებულთაო. Ora pro
nobis[19]. კარგად იყო თქმული რომ ვინც
კი რწმენით და მარად ილოცებს მისთ-
ვის, არასოდეს გაიწირება: და ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘ-
ტად არის იგი ზეციური თავშესაფარი
ცოდვილთა შვიდ სალმობათა გამო, რო-
მელთა განგმირეს თვით გული მისი. გე-
რტის შეეძლო ცოცხლად წარმოედგინა
მთელი სურათი ეკლესიაში, განათებული
ფერადი ვიტრაჟები, სანთლები, ყვავი-
ლები და კურთხეული ᲭᲐᲚᲬᲣᲚᲘᲡ ერ-
თობის ცისფერი ბაირაღები და საკუ-
რთხეველთან მამა კონროი კანონიკ ო'
ᲰᲔᲜᲚᲝᲜᲡ ეხმარება, შემოაქვს და გააქვს
რაღაცეები, თვალებდახრილს. ᲚᲐᲛᲘᲡᲐ-
რია წმინდანს ᲰᲒᲐᲕᲓᲐ და მისი აღსარე-
ბის ᲯᲘᲮᲣᲠᲘ ისეთი მყუდრო და სუფთ
და ბნელი იყო და ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲪ პირდაპირ
თეთრი ცვილივით ჰქონდა და თუ გერ-
ტი ოდესმე დომინიკანელი მონაზონი გა-
ხდებოდა და მათ თეთრ სამოსელს ჩაი-
ცვამდა იქნებ ისიც მოვიდოდა დედათ
მონასტერში წმინდა დომინიკის ნოვენა-
ზე. მამა კონროიმ უთხრა გერტის, რო-
ცა აღსარებაზე გერტიმ უთხრა მამა კო-
ნროის ისა მაქვსო და თან თმის ძირამ-
დე გაწითლდა ᲮᲝᲛ არ შემომხედავსო,
რომ არ უნდა ედარდა ამის გამო რადგან
ეს ბუნების ᲫᲐᲮᲘᲚᲘᲐ და ჩვენ ყველანი
ბუნების კანონებს ᲕᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲗᲝ და
რომ ეს შეცოდება არ იყო რადგან ღმრთ-
ის მიერ დაწესებული ქალის ბუნებიდან
მომდინარეობდა და რომ თვით ღვთის-
ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲛᲐ უთხრა მთავარანგელოზ გაბ-
რიელს მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა.
მამა კონროი ისეთი სათნო და კეთილი
იყო რომ გერტის ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ძალიან ᲮᲨᲘ-
რად უფიქრია ყვავილებით ᲮᲝᲛ არ მო-
ᲔᲥᲐᲠᲒᲐ მისთვის ჩაიდნის ფუშფუშა გა-
დასაფარებელი ანდა საჩუქრად ᲮᲝᲛ არ
მიერთმია საათი მაგრამ დაინახა თეთ-
რი, ოქროთი მოვარაყებული საათი რომ
ედგათ ᲑᲣᲮᲠᲘᲡ თავზე პატარა სახლიდან
იადონი რომ გამოდიოდა ᲮᲝᲚᲛᲔ დროის
შესატყობინებლად იმ დღეს ორმოცსაა-
თიანი თაყვანისცემისთვის[20] საჭირო
ყვავილების გამო რომ მივიდა რადგან
ძნელი გადასაწყვეტი იყო რანაირი სა-
ᲩᲣᲥᲐᲠᲘ მიეტანა ან იქნებ დუბლინის ან-
და რომელიმე სხვა ადგილის ფერადი
ᲮᲔᲓᲔᲑᲘᲡ ალბომი.

აუტანელი პაწია ტყუპი ბიჭუნები
კვლავ წაიკიდნენ და ᲯᲔᲙᲘᲛ ბურთი ზღვი-
სკენ გადააგდო და ორივენი გამოედევ-
ნენ. პატარა მაიმუნები გუბისწყალივით
მომაბეზრებელი. ერთი კარგად უნდა მი-

ებერტყა ვინმეს და თავ-თავის ადგილას დაესვა, ორთავე. და სისი და ედი უყვიროდნენ უკან მობრუნდითო რადგან ეშინოდათ მოქცევა არ მიწვდენოდა და არ დაეხრჩო.

ჯეკი! ტომი!

შენ არ მომიკვდე! არაფრის გაგონება არ სურდათ! ჰოდა სისიმ თქვა მართლაც ამ უკანასკნელად გამომყავს სასეირნოდო. წამოხტა, დაუძახა, დამრეც ნაპირზე დაქანდა, ჩაუარა კაცს, თან თმა უკან გადაიყარა არაუშავს ფერის ჰქონდა ცოტა უფრო ხშირიც რომ ყოფილიყო კაცმა არ იცის შიგ რას არ იზელდა მაგრამ ვერაფრით დაიგრძელა რადგან ეს იყო რაც იყო და როგორმე სხვა რამით უნდა ამოექაჩა ეს ნაკლი. გრძელი წეროსებრი ნაბიჯებით გარბოდა და საოცარი იყო შემოტკეცილი ქვედატანი რომ არ შემოეხია რადგან სისი კეფის ბევრი რამ ჰქონდა ქალაბიჭასი, მოურიდებელიც ხდებოდა როცა მიაჩნდა რომ კარგი შესაძლებლობა ჰქონდა თავის გამოსაჩენად და რაკი საერთოდ კარგად დარბოდა ისე გაიქცა რომ ჯენტლმენს მისი პერანგის ზომაზე მაღლა მოფრიალე ბოლოებისთვის და კანჭა ფეხებისთვის შეევლო თვალი. ახი იქნებოდა შემთხვევით ფეხი წამოედო რამისათვის ასეთ მაღალ მოკაკვულ ფრანგულ ქუსლებზე რომ იყო შემდგარი მაღალი გამოვჩნდეო და ერთი გემრიელად აყირავებულიყო. რა სანახავი იქნებოდა! Tableau![21] შესანიშნავი სურათის მოწმე გახდებოდა ჯენტლმენი.

ყოვლად სახიერო დედუფალო ანგელოზთაო, დედუფალო პატრიარქთაო, დედუფალო წინასწარმეტყველთაო, ყოვლად წმინდანთაო, ყოვლად წმინდა სავარდასაო, ლოცულობდნენ ისინი. და შემდეგ მამა კონროიმ საცეცხლური გადასცა კანონიკ ო' ჰენლონს და მან შიგ საკმეველი მოაყარა და წმინდა ზიარებას აკმია და სისი კეფრიმ დაიჭირა ტყუპები და ერთი სული ჰქონდა გვარიანად აეწია მათთვის ყურები მაგრამ არ ქნა რადგან გაიფიქრა ის მიყურებსო თუმცა ასეთი შეცდომა თავის დღეში არ მოსვლია რადგან გერტი მშვენივრად ხედავდა ისე რომ იქით არც კი იყურებოდა რომ კაცს მისთვის თვალი არ მოუცილებია და შემდეგ კანონიკმა ო' ჰენლონმა [illegible] [illegible] [illegible]

ედი ბორდმანიც ატყობდა ამას რადგან ცალი თვალი გერტისკენ ეჭირა, ცალყბით იღიმებოდა, სათვალიანი, შინაბერასავით, თან ვითომ ბავშვს არწევდა. მაბეზარი პაწაწკინტელა მუმლი იყო და ასეთად დარჩებოდა მუდამ და ამიტომაც ვერავინ პოულობდა მასთან საერთო ენას, ყველგან ცხვირს რომ ყოფდა სადაც არ ეკითხებოდა. და მან უთხრა გერტის:

— ნეტა ვიცოდე რას ფიქრობ ახლა.

— რაო? ქათქათა კბილებით გაცისკროვნებული ღიმილით უპასუხა გერტიმ. უბრალოდ მაინტერესებდა გვიანი ხომ არ არის მეთქი.

რადგან რაღა დასამალია და უნდოდა ცინგლიანი ტყუპები და ბალღი შინ წაეყვანათ სანამ რაიმე უბედურებას გადაეყრებოდნენ და ამიტომაც ასე ფრთხილად მიანიშნა გვარიანი დროაო. და როცა სისი მიუახლოვდა ედიმ ჰკითხა დრო და მისს სისიმ კისკისით უთხრა კოცნა-პროშტაობის დროაო. არა და ედის უნდოდა დრო გაეგო რადგან უთხრეს ხუ დაიგვიანებო.

— მოიცა, თქვა სისიმ, გავიქცევი და ჩემს ბიძია პიტერს ვკითხავ რა დროა მის ჯიბის მაღვიძარაზე.

თქვა და გაემართა და როცა კაცმა დაინახა მოდისო, ედიმ შენიშნა როგორ ამოიღო ხელი ჯიბიდან, განერვიულდა და საათის ძეწკვი აათამაშა, თან ეკლესიას გაჰყურებდა. აშკარად ვნებიანი ბუნებისა იყო, მაგრამ გერტიმ შეამჩნია რომ ამავ დროს თავშეკავების უზარმაზარი უნარი გააჩნდა. თუ ერთი წუთის უკან აღტაცებული თვალს ვერ აშორებდა მისი მშვენებით მოჯადოვებული, მეორე წუთში უცებ მშვიდ მოღუშულ ჯენტლმენად გადაიქცა და მისი გამორჩეული ფიგურის ყოველი ნაკვთი თავდაჭერილობაზე მეტყველებდა.

სისიმ უთხრა მომიტევეთ ხომ არ მეტყვით ზუსტად რა დროა ახლაო და გერტიმ დაინახა როგორ ამოიღო საათი, ყური მიუგდო და ახედა, ჩაახველა და თქვა რომ დიდად წუხდა მისი საათი გაჩერებულიყო, მაგრამ ფიქრობდა რვას გადაცილებული უნდა ყოფილიყო რადგან მზე ის-ის იყო ჩავიდა. მისი ხმა კულტურული ინტონაციით გამოირჩეოდა, მახვილებს გამოზომილად სვამდა თუმცა მის რბილ ტონებში მაინც თრთოლვა გამოკრთოდა. სისიმ თქვა გმადლობთ, გამობრუნდა, ენა გამოყო და თქვა ბიძია ამბობს წყალსადენი მომეშალაო.

შემდეგ მათ იგალობეს Tantum ergo-ს მეორე ნაწილი და კანონიკი ო' ჰენლონი კვლავ წამოდგა და წმინდა ნაწილები აკმია და დაიჩოქა და უთხრა მამა კონროის ერთ-ერთი სანთლისაგან საცაა ცეცხლი წაეკიდება ყვავილებსო და მამა კონროი წამოდგა და გაასწორა და გერტი ხედავდა როგორ ქოქავდა ჯენტლმენი თავის საათს და ყურთან მიჰქონდა და ფეხს უფრო მეტად ხრიდა და შლიდა რიტმულად. ბინდდებოდა მაგრამ კაცს თვალი უჭრიდა და დაჟინებით უყურებდა მთელი იმ ხნის მანძილზე რაც საათს ქოქავდა თუ რასაც უშვრებოდა და მერე უკანვე შეინახა და ხელები კვლავ ჯიბეებში ჩაიწყო. გერტიმ იგრძნო როგორ დაუარა რაღაც ჟრჟოლამ მთელ ტანში და იცოდა რადგან თავზე კანში ჩხვლეტები იგრძნო და კორსეტის პლანშეტებმა შეაწუხა, რომ უნდა წამოსვლოდა, ადრეც იგივე იგრძნო. აი მაშინ ახალ ძთვარესთან დაკავშირებით თმა რომ შეიკრიჭა. კაცის დაბინდული თვალები კვლავ ხარბად დაეწაფნენ ყოველ მის ნაკვთს და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მორჩილად სცემდნენ თაყვანს მშვენიერების ამ სავანეს. თუკი ოდესმე რომელიმე მამაკაცის ვნებიან გამოხედვაში დაუფარავი თაყვანისცემა აღბეჭდილა სწორედ ეს ჩანდა ამ კაცის სახეზე. ეს შენთვისაა, გერტრუდ მაკდაუელ, და შენ ეს იცი.

ედიმ წასასვლელად დაიწყო მომზადება და დროც იყო და გერტიმ შეამჩნია რომ მისმა პატარა მინიშნებამ სასურველი შედეგი გამოიღო რადგან სანაპიროზე კარგა დიღი მანძილი იყო გასავლელი სანამ იმ ადგილამდე მივიდოდნენ საიდანაც საბავშვო ეტლის აგორება მოხერხდებოდა და სისიმ ქუდები მოხადა ტყუპებს და თმა გაუსწორა რა თქმა უნდა ისე რომ გამოჩენილიყო მიმზიდველი და კანონიკი ო' ჰენლონი წამოდგა ყე-

ლამდე შეკრული შესამოსელით და მამა კონროიმ ბარათი გაუწოდა წასაკითხად და მანაც წაიკითხა Panem de coelo proestitisti eis[23] და ედი და სისი სულ იმაზე ლაპარაკობდნენ რა დროაო და გერტის ეკითხებოდნენ მაგრამ გერტი მათივე იარაღით უსწორდებოდა და უბრალოდ გამანადგურებელი თავაზიანობით პასუხობდა როცა ედი ეკითხებოდა გულმოკლული თუ ხარო შენმა ოქრო ბიჭმა რომ მიგატოვაო. გერტი მთლად მოიბუზა. უეცარმა ცივმა ნაპერწკალმა გაიელვა მის თვალებში განუზომელ ზიზღს რომ გამოხატავდა. გულსატკენი იყო. დიახაც, გული ატკინა რადგან ედის ისეთი რამეების თქმა ეხერხებოდა წყნარი ტონით, კატასავით შემპარავად, რაც იცოდა რომ ტკივილს მიაყენებდა. გერტის ტუჩები უცებ გაიხსნენ შესაფერი სიტყვის მოსაძებნად მაგრამ დაიოკა ქვითინი, რომელიც მოებჯინა მის ლამაზად ჩამოსხმულ ყელს, რომლის უზადო მოხდენილობა ნებისმიერ ხელოვანს აღაფრთოვანებდა. გერტის თავისი ბიჭი უფრო მეტად უყვარდა ვიდრე მან იცოდა უდარდელი მატყუარა და მერყევი როგორც მისი სქესის ყველა წარმომადგენელი, ვერც ვერასდროს გაიგებდა თუ რას ნიშნავდა ის გერტისათვის, რომლის ცისფერ თვალებში წამით გაიელვა ცრემლის ნესტარმა. ისინი დაუნდობლად ჭამდნენ მას გამომცდელი თვალებით, მაგრამ ძალი მოიცა და მათ დასანახად თანაგრძნობით გაბრწყინებული მზერა სტყორცნა თავისი ახალი გამარჯვების ობიექტს.

— ოო, უპასუხა გერტიმ, ელვასავით მკვირცხლმა, კისკისით, ამაყად ყელმოღერებულმა. თვითონ ავირჩევ ვისაც მინდა რადგან ნაკიანი წელია.

მისი სიტყვები ბროლივით წკრიალებდნენ, გვრიტის ღულუნზე უფრო მელოდიურად, მაგრამ ამავ დროს გამყინავი სიცივით აპობდნენ სიჩუმეს. მის ახალგაზრდულ ხმაში ისმოდა რაღაც ისეთი, რაც ყველას ამცნობდა რომ ადვილად არავის აგდებინებდა თავს. რაც შეეხება ბ-ნ რეგის თავისი ყოყლოჩინობითა და რაღაც გროშებით, შეეძლო ჭუჭყივით მოეცილებინა და ერთხელაც არ გაეფიქრა მასზე და ნაკუწ-ნაკუწ დაეფლითა მისი სულელური საფოსტო ბარათი. და თუ ოდესმე გაუბედავდა რასმე ერთს ისეთს გახედავდა, ადგილზე გააქავებდა. ძისს დალეულ პაწია ედის ერთი ბეწოდაც არ შეცვლია ნირი და გერტი ხედავდა იმის მიხედვით თუ რა პირგამეხებული იყო, რომ უბრალოდ ბოლმა აღრჩობდა თუმცა კი მალავდა, პაწია კინატი, რადგან ისარი შიგ კაკალგულში მოხვდა მისი წვრილმანი ეჭვიანობისთვის და ორივემ ძალიან კარგად იცოდა რომ ის უფრო სხვა მაღალ სფეროს განეკუთვნებოდა, რომ ზოგ-ზოგებივით არ იყო და არც არასოდეს იქნებოდა და რომ იყო კიდევ ვიღაც სხვაც რომელმაც აგრეთვე იცოდა ეს და ხედავდა ამას, ისე რომ როგორმე უნდა მოენელებინათ ეს ამბავი.

ედიმ პაწაწინა ბორდმანი წასაყვანად გაამზადა და სისიმ შეაგროვა ბურთი და ნიჩბები და სათლები და დროც იყო რადგან ძილის ანგელოზი უკვე მასტერ ბორდმან უმცროსს ეპარებოდა. და სისიმ ისიც უთხრა ბილი-ძილი მოდისო და ბავშვს კი უნდა ნანი ნანაო და გვრიტივით პაწია ქვემოდან შემოსიციცინებდა და სისი ეთამაშებოდა და მსუქან მუცელზე უტყაპუნებდა, ის კი, ნურას უკაცრავად და, ქათინაურებს უგზავნიდა ყველას და ყველაფერს ახალთ-ახალ ქათქათა წინსაფარზე გადმოდენილი დორბლით.

— აჰ, ღმერთო! წამოიძახა სისიმ. წინსაფარი გაათახსირა.

ამ მცირედმა contretemps[24] წამით დაიპყრო მისი ყურადღება მაგრამ მაშინვე ყველაფერი ადვილად მოაგვარა.

გერტიმ ყელზე მომდგარი წამოყვირება გადაყლაპა და ნერვიულად ჩაახველა და ედიმ იკითხა რა მოგვიდაო და მას უნდოდა ეთქვა რამ დაგაყრუაო მაგრამ გასაოცარი ქალური ტაქტით უთხრა კურთხევაა რადგან სწორედ იმ დროს მყუდრო ნაპირიდან სამრეკლოს ზარის ხმა მოისმა რამეთუ კანონიკი ო' ჰენლონი საკურთხეველზე იდგა, მხრებზე მამა კონროის მიერ საბურველმოხვეული და წმინდა ნაწილებს აკურთხებდა.

რა გულისამაჩუყებელი იყო ეს სურათი ჩამოწოლილ ბინდში, ერინის უკანა-

სკნელი გამოკრთობა, იმ მწუხრის ზარების ტკბილი ხმოვანება და ამ დროს სუროთი დაფარული სამრეკლოდან ღამურა გამოფრინდა, სიბნელეში, აქეთ, იქით, სუსტი დაბნეული წრიპინით. და გერტი ხედავდა შორს შუქურების შუქს ისეთ ფერადოვანს რომ ინატრა ფერადი საღებავებით დამახატვინაო რადგან ეს უფრო ადვილი იყო ვიდრე კაცის დახატვა და მალე მეფარნე ჩამოივლიდა, პრესბიტარიანელთა ეკლესიას ჩაუვლიდა და ჩრდილოვან ტროტონვილის ავენიუს გაუყვებოდა სადაც წყვილები დასვირნობდნენ და აანთებდა ფანარს მის ფანჯარასთან სადაც რეგი უილი თავისი მოდური ველოსიპედით გაუხვევდა ხოლმე სწორედ ისე როგორც **მეიბელ ვოონის** და სხვა მოთხრობების ავტორის მისს კამინზის წიგნში **მეფარნეში** წაუკითხავს. იმიტომ რომ გერტის თავისი ოცნებანი გააჩნია რომელთა შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მას ლექსების კითხვა უყვარდა და როცა ბერთა საპლმა წარმტაცად მოჩუქურთმებული მარჯნისფერყდიანი ალბომი უსახსოვრა მის იდუმალ ფიქრთა ჩასაწერად, მან იგი ტუალეტის მაგიდის უჯრაში შეინახა, რომელიც მართალია ფუფუნებით არ ცოდავდა, მაგრამ საგულდაგულოდ კოპწია და სუფთა იყო. იქ ინახავდა თავის ყმაწვილქალობის საგანძურს, კუს ბაკნისაგან გაკეთებულ სავარცხლებს, მარიამის ასულთა მედალიონს, თეთრი ვარდის სუნამოს, წარბების დასახატს, ალაბასტერის ყუთს სუნამოსთვის და გამოსაცვლელ ბაფთებს როცა მისი საცვლები მოჰქონდათ სამრეცხაოდან და რამდენიმე ლამაზი აზრი იყო ჩაწერილი იისფერი მელნით რომელიც ჰილის მაღაზიაში იყიდა დეიმ სტრიტზე რადგან გრძნობდა რომ მასაც შეეძლო ლექსების წერა თუკი მოახერხებდა ისე გამოეხატა თავისი გრძნობები როგორც ეს იმ ლექსში იყო რომელმაც ისეთნაირად მოხიბლა რომ ბოსტნეულის შესახვევი გაზეთიდან გადმოიწერა. **ოცნებავ ჩემო, ნუთუ მართლა სადმე არსებობს?** ერქვა ლუის ჯ. უოლშის ამ ლექსს და ამას მოსდევდა **თუკი ბინდის ჟამს შენ ოდესმე** და ხშირად სიტურფეს ლექსისას, ასეთს სევდიანს თავის წარმავალ სიმშვენიერეზე დუნსლია მისი თვალები უჩუმარ [illegible] რადგან გრძნობდა დღენი მისნი მისცურავდნენ ულმობელ დენით, ერთმანეთზე მიყოლებით, და ის ერთადერთი ზადი რომ არა, მოცილე საერთოდ არ ეყოლებოდა და ეს დოლკის გორაკიდან ჩასვლისას შეემთხვა და ყოველთვის ცდილობდა დაეფარა. მაგრამ გრძნობდა რომ ყველაფერი ეს უნდა დამთავრებულიყო. კაცის თვალებში მაგიური ძახილი რომ ეგრძნო, აღარაფერი დააკავებდა. სიყვარულს კარს ვერ მიუხურავ. ყველაფერს შესწირავდი. ყველაფერს იღონებდა რათა მისი საფიქრალი გაეზიარებინა. მისთვის მთელ ქვეყანაზე უძვირფასესი იქნებოდა და ბედნიერებით აღავსებდა მთელ ცხოვრებას. ერთი რამის ცოდნა იყო მთავარი, კვდებოდა ისე უნდოდა სცოდნოდა ცოლიანი იყო თუ ქვრივი რომელსაც ცოლი დაეღუპა ანდა რაიმე ტრაგედია როგორც იმ უცხო ტომის დიდგვაროვანმა სიმღერის ქვეყნიდან საგიჟეთში რომ მოათავსა იგი, თუ სასტიკია, ეს სიკეთის ნაყოფი არის. და თუნდაც — მერე რა? განა დიდი განსხვავება იქნებოდა? ყოველ შემთხვევაში ყველაფრიდან ჩანდა რომ გერტის ნატიფი ბუნება ვერ ეგუებოდა უხეშობას. მას ეზიზღებოდა დაცემული ქალები კახპების ქუჩაზე დოდერის მახლობლად ჯარისკაცებს და ხეპრე მამაკაცებს რომ აეკიდებიან ხოლმე, რომელთაც ქალის ღირსებისადმი არავითარი პატივისცემა არ გააჩნიათ, თავის სქესს რომ არცხვენენ და პოლიციაში ამოჰყოფენ ხოლმე თავს. არა, არა: ეს არა. ისინი უბრალოდ კარგი მეგობრები იქნებიან როგორც დიდი ძმა და დაიკო ყველაფერი იმ დანარჩენის გარეშე თუნდაც ეს მიღებული იყოს მაღალ საზოგადოებაში. იქნებ შავებში ჩაცმული კაცი გარდასულ დღეთა ვნებათაღელვას გლოვობდა. გერტი ფიქრობდა რომ გაუგებდა, შეეცდებოდა გაეგო მისი რადგან კაცები ასე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ძველი სიყვარული ელოდა, ელოდა პატარა თეთრხელებგაწვდილი, ცისფერთვალებმომუდარე. გუ-

ლო ჩემო! ის თავის სიყვარულის ოცნებას, თავის გულის კარნახს გაჰყვებოდა, რომელიც ეუბნებოდა რომ კაცი საბოლოოდ მისი იქნებოდა, ერთადერთი მამაკაცი მთელს ქვეყანაზე რადგან სიყვარული იყო მთავარი და სხვას არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა. მოხდენილიყო მოსახდენი, ის გახელებული იქნებოდა, მკლავებგაშლილი, თავისუფალი.

კანონიკმა ო' ჰენლონმა წმინდა ნაწილები კვლავ სანაწილეში მოათავსა და გუნდმა იგალობა Laudate Dominum omnes gentes[25] და მერე მან დაკეტა სამლოცველოს კარი რადგან კურთხევა დასრულდა და მამა კონროიმ ქუდი მიაწოდა და კუდიანმა ედიმ ჰკითხა არ მოდიხარო მაგრამ ჯეკი კეფრიმ დაიძახა:

— აჰ, შეხედე, სისი!

და ყველამ გაიხედა გაელვება თუ იყო მაგრამ ტომიმაც დაინახა ხეების კენწეროების ზემოთ ეკლესიასთან, ლურჯი და მერე მწვანე და მეწამული.

— ეს ფოიერვერკია, თქვა სისი კეფრიმ.

და ყველანი სანაპიროსკენ გაიქცნენ სახლებისა და ეკლესიის თავზე რომ დაენახათ, აქა-იქ, ედი საბავშვო ეტლით შიგ პაწია ბორდმანიანად და სისის კი ხელი ჩაეკიდა ტომისა და ჯეკისთვის სირბილში რომ არ წაქცეულიყვნენ.

— მოდი, მოდი, გერტი, დაუძახა სისიმ. ბაზრობის ფოიერვერკია.

მაგრამ გერტი კაჟივით ურყევი იყო. არავითარი სურვილი არ ჰქონდა მათ ჭკუაზე ევლო. უსაქციელო ქალებივით თუ შეეძლოთ სირბილი მას შეეძლო მჯდარიყო ასე თქვა თვითონ და სადაც იყო იქიდან ეცქირა. კაცის დაჟინებული ცზერა მაჯისცემას უჩქარებდა. წამით შეხედა, თვალი თვალში გაუყარა, და რაღაც ნათელი ჩაუდგა შიგნით. შმაგი ვნება ეხატა სახეზე, საფლავივით იდუმალი, და ამან დაუმონა ქალი კაცს. როგორც იქნა მარტონი დარჩნენ ველარავინ უთვალთვალებდათ და ვერაფერს წაიჭორავებდნენ მათ შესახებ და გერტიმ იცოდა რომ შეეძლო სიკვდილამდე მინდობოდა მედგარ, უზადო კაცს, თავით ფეხთამდე შეულახავი ღირსების პატრონს, მისი ხელები და სახე მოძრაობდნენ და გერტის ჟრუანტელმა დაუარა. მორს, გადაიხარა უკან მაშხალები რომ დაენახა და ხელები შემოიხვია მუხლზე უკან რომ არ გადავარდნილიყო და არავინ იყო რომ დაენახა მათ ორის გარდა თუ როგორ გამოაჩინა გერტიმ მოხდენილი ფეხები, მოქნილი, ფაფუკი, ნატიფად მომრგვალებული, და მას თითქოს ესმოდა კაცის გულის გამალებული ძგერა, მისი მძიმე სუნთქვა, რადგან მან იცოდა ასეთი მამაკაცების ვნების, მათი სისხლის დუღილის შესახებ, რადგან ბერთა საპლმა გაანდო ერთხელ როგორც დიდი საიდუმლო რამ და დააფიცა არასოდეს მდგმურზე მათთან რომ იყო გაჩერებული ჭარბად დასახლებული რაიონების სამმართველოდან კალთაწამოხდილი და ფეხებაპლაკული მოცეკვავე გოგოების სურათები რომ ჰქონდა ამოჭრილი გაზეთებიდან და ბერთა ამბობდა არც თუ წესიერ რამეს აკეთებდა ხოლმე რასაც ზოგჯერ ლოგინში წარმოიდგენ. მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული რამ იყო რადგან გერტიმ თითქმის მისი სახის მიკარება და მისი ლამაზი ტუჩების პირველი უეცარი მხურვალე შეხება იგრძნო. ამას გარდა მიუტევებელი ცოდვა არ იყო თუკი ის სხვა რაღაც ქორწინებამდე არ ჩაგიდენია და მოძღვარი ქალები უნდა არსებობდნენ რომელნიც უთქმელადაც გაგიგებდნენ და სისი კეფრისაც ზოგჯერ ასეთი მიბნედილი მეოცნებე თვალები ჰქონდა ისე რომ ისიც, გენაცვალე, და უინი რიპინგამიც მსახიობების სურათებზე რომ გიყდებოდა და აგრეთვე იმის გამო რომ ის სხვა რაღაც ულმობლად მოიწევდა.

და ჯეკი კეფრიმ დაიყვირა უყურეთო, მერე კიდევ გაუშვეს და გერტი გადაიხარა და ცისფერი ლეკვერთხები გამჭვირვალე წინდებს ეხამებოდა და ყველამ დაინახა და ყველამ წამოიძახა უყურეთ-უყურეთო და გერტი კიდევ უფრო მეტად გადაიხარა მაშხალები რომ დაენახა და რაღაც უცნაური დაცურდა ჰაერში, რაღაც ფაფუკი, აქეთ-იქით, მუქი. და მან დაინახა გრძელი ცილინდრული მაშხალა ხეებს ზემოთ რომ ადიოდა, ზევით, ზე-

ვით, და, დაძაბულ დუმილში, ყველანი აღტაცებისგან სულგანაბულნი შესცქეროდნენ როგორ ადიოდა სულ მაღლა და მაღლა და გერტის უფრო მეტად უხდებოდა გადახრა თვალი რომ გაეყოლებინა, მაღლა, მაღლა, თითქოს თვალს მოეფარა კიდეც, და სახეზე ღვთაებრივმა, დაუოკებელი გრძნობის გამომხატველმა სიწითლემ გადაჰკრა იმის გამო რომ უკან იყო გადახრილი და კაცს შეეძლო მისი სხვა რამეებიც დაენახა, ბამბის თხელი საცვალი, კანს რომ ეალერსება, ყველა სხვა საფირმო საქონელზე უკეთესი, მწვანე, ოთხი შილინგი და თერთმეტ პენი, იმის გამო რომ თეთრი იყო და აყურებინებდა და ხედავდა რომ ის ხედავდა და ისე მაღლა ავიდა რომ წამით თვალს მოეფარა და გერტის ყოველი ნაკეთი უთრთოდა ასე რომ იყო გადაწეული და ის რომ კარგად ხედავდა მუხლებს ზემოთ მაღლა როგორც არავის არასოდეს თვით საქანელაზე ან ფონზე გადასვლის დროს და გერტის არ სცხვენოდა და არც იმას ასე ურცხვად რომ უყურებდა რადგან არ შეეძლო არ შეეხედა ასეთი გასაოცარი სიშიშვლისთვის ნახევრად რომ იყო შემოთავაზებული როგორც კალთაახდილი მოცეკვავე გოგოები იქცეოდნენ ურცხვად მოშტერებული ჯენტლმენების წინაშე და ის კვლავ უყურებდა, უყურებდა. გერტი მზად იყო სუნთქვაშეკრულს დაეძახა მისთვის, გაეწოდა თოვლივით ქათქათა მოხდენილი ხელები მოდი ჩემთანო, მისი ტუჩების შეხება რომ ეგრძნო თეორ შუბლზე, ყმაწვილქალის სიყვარულის ძახილი, პაწია ჩახშული ძახილი, მისი არსებიდან ამოხეთქილი, ძახილი საუკუნიდან საუკუნემდე რომ გაისმოდა. და შემდეგ მაშხალა ავარდა და გასკდა და დამაბრმავებლად გაიშალა და აჰ!

შემდეგ წაგრძელებული ცილინდრული მაშხალაც გასკდა და ეს გასკდომა ჰგავდა აჰ!-ს და ყველამ შეჰყვირა აჰ! აჰ! ექსტაზში და მისგან გადმოიფრქვა ოქროს წვიმა თმის ძაფები და ისინიც დაიღვარა და აჰ! მომწვანო ცვარნამიანი ოქროს ვარსკვლავების ცვენა, აჰ რა მშვენიერია! აჰ! რა ლბილი, ტკბილი, ლბილი!

შემდეგ ყველაფერი ცვარნამად გადაქცეულ გაცრეცილ ჰაერში: დუმილი ჩამოვარდა. აჰ! გერტი სწრაფად გადმოიხარა წინ და თან შეხედა მას, უსუსური პროტესტის, მორცხვი საყვედურის წამიერი შეხედვა რამაც კაცი ქალიშვილივით გააწითლა. კლდეზე ზურგით იყო მიყრდნობილი. ლეოპოლდ ბლუმი (დიახ სწორედ ის გახლდათ) დგას მდუმარე, ახალგაზრდა მიამიტი მზერის წინაშე თავდახრილი. მაინც რა მხეცობა ჩაიდინა! აღარ ეშვები შენსას? მომხიბლავი შეურყვნელი სული ეძახდა და ამ ბილწმა რითი უპასუხა? ნამდვილი პირუტყვივით მოიქცა! მერედა ვინ? ის! მაგრამ იმ თვალებში მიტევების უძირო ჭა ჩანდა, მისთვისაც, თუმცა კი შეეშალა და შესცოდა და გზა აებნა. ვითომ იტყვის გოგო? არა, ათასჯერ არა. ეს მათი საიდუმლო იყო, მხოლოდ მათი, მარტონი რომ იყვნენ ბინდბუნდში მიმალულები და არავის შეეძლო სცოდნოდა ან ეთქვა გარდა პაწია ღამურისა უხმოდ რომ დაფრინავდა საღამოს ბინდში და პაწია ღამურებმა კი საიდუმლოს შენახვა იციან.

სისი კეფრიმ დაუსტვინა, ფეხბურთის მოთამაშე ბიჭებს გააჯავრა რათა ეჩვენებინა თუ რა დიდი ვინმე იყო, და მერე დაიძახა:

— გერტი! გერტი! მივდივართ. წამო. იქიდანაც დავინახავთ.

გერტის აზრი დაებადა, სიყვარულის ერთი პატარა ხრიკებთაგანი. ჯიბეში ხელი ჩააცურა და ბამბის პატარა საფენი ამოიღო და დაიქნია, თითქოს პასუხად, ისე რომ მას არ და უკანვე ჩაიცურა. ნეტა იმდენად შორს თუა რომ ვერ. ადგა. ეს გამომშვიდობება იყო? არა. უნდა წასულიყო მაგრამ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, იქვე, და იქამდე იოცნებებს, ხვალ, თავის წუხანდელ ოცნებაზე. გერტი ადგა და წელში გაიმართა. მათი სულები ერთმანეთს შეხვდნენ უკანასკნელ სევდიან გამოხედვაში და თვალები რომელთაც გერტის გულს ჩააღწიეს, უცნაური ნათელით გაბრწყინებულნი, აღტაცებით მიშტერებოდნენ გერტის

ყვავილივით გაფურჩქნილ ტურფა სახეს. გერტიმ ოდნავ გაუღიმა, მომხიბლავი მიმტევებელი ღიმილით, ღიმილი რომელიც ტირილს ემიჯნებოდა, და მერე გაეცალნენ ერთმანეთს.

ნელა, ისე უკან რომ არ მოუხედავს, გერტი დაუყვა ოღროჩოღრო სანაპიროს სისისკენ, ედისკენ, ჯეკისკენ და ტომი კეფრისკენ, პაწია ბორდმანისკენ. უკვე შებინდდა და სანაპირო ქვებით და ხის ნაფოტებით და ზღვის სიპი ბალახით იყო სავსე. მიდიოდა მისთვის დამახასიათებელი საკუთარი ღირსების ერთგვარი მშვიდი შეგრძნებით მაგრამ ფრთხილად და ძალიან ნელა რადგან, რადგან გერტი მაკდაუელი იყო...

ფეხსაცმელი უჭერს? არა, კოჭლია! აჰ!

ბ-ნი ბლუმი უყურებდა როგორ მიდიოდა კოჭლობით. საბრალო გოგო! აი რატომ დატოვეს კლდის თხემთან და სხვები კი გაიქცნენ. კი გაიფიქრა გარეგნობის მიხედვით უცნაური რაღაც უნდა სჭირდესო. მიტოვებული ტურფა. ფიზიკური ნაკლი ათასჯერ უარესია ქალისთვის. თუმცა უფრო თავაზიანები ხდებიან. კიდევ კარგი არ ვიცოდი როცა ვუყურებდი. მაინც კაი ვნებიანი ვინმეა. უარს არ ვიტყოდი. რაღაც პიკანტურია როგორც მონაზონი ან ზანგი ქალი ან სათვალიანი გოგო. ეს ჭვრიტა კი ნატიფია. ალბათ თვიურის მოლოდინშია, უფრო მგრძნობიარენი ხდებიან. დღეს ისე საშინლად მტკივა თავი. წერილი სად ჩავიდე? ჰო, აქ არის. ყოველნაირი გიჟური სურვილები. სპილენძის მონეტებს ლოკავენ. გოგოს ტრანკვილას მონასტერში იმ მონაზონმა მითხრა ნავთის დაყნოსვა უყვარდა. ქალწულები ბოლოს მგონი სულაც გიჟდებიან. დას რა ერქვა? რამდენ ქალს აქვს დღეს დუბლინში? მართას, ნამდვილად. ჰაერშია ხოლმე რაღაც. მთვარის ბრალია. მაგრამ მაშინ ყველა ქალს ერთდროულად რატომ არ მოსდის თვიური, ერთი და იგივე მთვარის დროს მეთქი უნდა მეთქვა? ალბათ იმაზეა დამოკიდებული თუ რა დროს დაიბადნენ. ანდა თავიდან ყველას ერთდროულად და მერე რიტმიდან ამოვარდნენ. ზოგჯერ მოლის და მილის ერთდროულად. მე ყოველ-ძემხვევაში არაფერი წამიგია. კიდევ კარგი ამ დილას აბაზანაში არ გავაკეთე მის სულელურ მე თქვენ დაგსჯით წერილზე. იმ ვატმანის ამბავი გააწონასწორა ამ დილას. ის ცრუპენტელა მაკკოიმ რომ გამაჩერა და არაფერი კი არ მითხრა. და მისი ცოლის ტურნე პროვინციაში ჩემოდნით, ხმა ქლიბს მიუგავს. დიდად მადლიერი მცირედისთვისაც. იაფიც. შენივე ბრალია. რადგან მათ თვითონ უნდათ. მათი ბუნებრივი მოთხოვნილება. გუნდ-გუნდად გამოიფინებიან ხოლმე ყოველ სალამოს კანტორებიდან. უმჯობესია დაიბევო. თუ არ მიაქციე ყურადღება აქეთ დაგეკიდებიან. დაიჭი ცოცხალი, ოჰ. დასანანია რომ საკუთარ თავს ვერ ხედავენ. წყალსავსე ჭავლის ოცნება. ეს სად იყო? აჰ, მახსოვს. მოძრავი სურათები კეიპელ სტრიტზე: მხოლოდ მამაკაცებისთვის. ჭუჭრუტანიდან მოთვალთვალე ცნობისმოყვარე. უილის ქუდი და რა უქნეს მას გოგოებმა. მართლა უღებენ სურათს იმ გოგოებს თუ ყველაფერი ეს ნაყალბევია? ქალის საცვლებია რომ მოქმედებს. მის სხეულს ეფერებოდა ნეგლიჟეს ქვეშ. იმისაგანაც აღიგზნებიან როცა მათ. მე ისეთი სუფთა ვარ მოდი დამსვარე. და მათ უყვართ სამსხვერპლოდ ერთმანეთის ჩაცმა. მილის უხაროდა მოლის ახალი ბლუზა. პირველად. ეს ყველაფერი ჩაიცვი რომ მერე ეს ყველაფერი გაიხადო. მოლი. რატომ ვუყიდე იისფერი ლეკვერთხები. ჩვენც ეგრე ვართ: როგორი ჰალსტუხი ეკეთა, რა ლამაზი წინდები და ყოშებიანი შარვალი. გეტრები ეცვა პირველად რომ შევხვდით იმ სალამოს. ლამაზი პერანგი უბრწყინავდა რის ქვეშ? პიჯაკის. ვგონებ ქალი ეშხს კარგავს ყოველ ამოძრობილ ქინძისთავთან ერთად. ქინძისთავით დაბმული. მარიამ იცის ნიფხვის ტოტების დაბმის წესი. ვიღაცისთვის გამოპრანჭული. მოდა მათი ეშხის ნაწილია. სწორედ მაშინ იცვლება როცა საიდუმლოს კვალს მიაგნებ. გარდა აღმოსავლეთისა: მარიამი, მართა: ახლა როგორც მაშინ, არავითარ გონივრულ შემოთავაზებაზე უარი არ ითქმება,

ისიც არ ჩქარობდა. პაემანი კი არასოდეს ავიწყდებათ. ალბათ რაღაც მოგების მოლოდინში. სწამთ შანსის რადგან მოსწონთ საკუთარი თავი. და მავანნი კი მწარედ გესლავენ. სკოლის და-ქალები მკლავებგადახვეულნი ანდა ათივე თითით ერთმანეთთან ჩაჭიდებულნი, კოცნაობდნენ და ვითომ საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ მონასტრის ბაღში. გაცრეცილსახიანი მონაზვნები, გრილი თავსაბურავები და მათი კრიალოსნები, ხელში რომ ათამაშებდნენ, იმაზე შურის საძიებლად რასაც ვერ მისწვდებოდნენ. ეკლიანი მავთული. აიღე და მომწერე ახლა. და მეც მოგწერ. რა, არ მომწერ? მოლი და ჯოზი პაუელი. სანამ ბ-ნი რაიტი გამოივლის და შეხვდებიან ათასში ერთხელ. Tablau! ოჰ, ერთი შეხედე ვინ მოდის! როგორა ხარ, რასა იქ? კოცნა და როგორ მიხარია შენი, კოცნა, ნახვა. ერთმანეთის გარეგნობაში ზადს ეძებენ. შესანიშნავად გამოიყურება. და-სულები ერთმანეთს კბილებს უჩვენებენ. რამდენი დაგრჩა? ერთი ბეწო მარილსაც არ ასესხებენ ერთმანეთს.

აჰ!

ალქაჯები ხდებიან როცა უნდა მოუვიდეთ. ბნელ ალქაჯებს ემსგავსებიან. მოლის ხშირად უთქვამს ჩემთვის ისეთი გრძნობა მაქვს თითქოს ყოველი საგანი ერთ ტონას იწონისო. ფეხის გული მომიფხანე. ჰო ასე! ოჰ, რა კარგია! თვითონაც ვგრძნობ. ერთის მხრივ კარგია შესვენება. საინტერესოა ცუდი თუა მათთან მისვლა ამ დროს. ერთის მხრივ უხიფათოა. რძეს ჭრის, ვიოლინოს სიმებს წყვიტავს. რაღაც იმის შესახებ მცენარეები ხმებაო წამიკითხავს ბაღში. ამას გარდა ამბობენ მკერდზე მიბნეული ყვავილი თუ დაუჭკნა ფლირტის მოყვარულიაო. ყველა ეგეთია. ვფიქრობ იგრძნო რომ მე. როცა ასეთი გრძნობა გაქვს ხშირად იმას წააწყდები რასაც გრძნობ. მოვეწონე თუ რა იყო? ჩაცმას უყურებენ. მოარშიყე ყმაწვილს კოჭებში ეტყობა: საყელოები და მანჟეტები. რა გინდა, მამლები და ლომებიც იგივეს არ აკეთებენ, ირმებიც. ამ დროს შეიძლება მოდღლეზილი ყელსაბამი ან რაღაც ამდაგვარი ერჩივნოთ. შარვალი? მე ხომ არ როცა? არა. ფრთხილად. ეუბნა. ეუვართ უხეშობა და ბლეფრეში. ავიტე სიბნელეში და ნურაფერს იტყვი. რაღაც ნახა ჩემში. ნეტა რა. რაცა ვარ ასეთი ურჩევნია ყავდეს ვიდრე რომელიმე გიჟპოეტა დათვის ქონით თმაგადაგლესილი, გადატკლეცილი თმის კულული თვალმარჯვნივ. ეხმარება მავან ჯენტლმენს ლიტერატურულ. ყურადღება უნდა მივაქციო ჩემს გარეგნობას, ჩემს ასაკს. პროფილში არ დავენახვე. თუმცა კაცმა არ იცის. ლამაზი გოგოები და მახინჯი კაცებიც ქორწინდებიან. მზეთუნახავი და ურჩხული. ამას გარდა ასე ვერ ვიქნებოდი მოლი რომ. ქუდი მოიხადა თმა რომ დაენახვებინა. ფართო ფარფლები სახის დასაფარად ნაყიდი, ვინმე ისეთს რომ შეეჩეხოს ვინც იცნობს, თავს დახრის ანდა ყვავილების კონას დაიჭერს ხელში ვითომ ყნოსავსო. თმას მძაფრი სუნი ასდის დაგრილების პერიოდში. ათი შილინგი მომცეს მოლის ჩამოვარცხნილ თმაში ჰოლზ სტრიტზე რომ ვცხოვრობდით ჯიბეგაფხეკილები. რატომაც არა? ფულს თუ აძლევს? ყველაფერი ეს ცრურწმენაა. ათი, თხუთმეტი, მეტი გირვანქა ღირს. ჰა? მე მგონი. ეს ყველაფერი უფასოდ. თავხედური ხელწერა: ქ-ნი მერიონ. მისამართის დაწერა ხომ არ დამავიწყდა იმ წერილზე როგორც ფლინთან გაგზავნილ ბარათზე. და დრიმისას რომ მივედი ერთ დღეს უჰალსტუხოდ. მოლის რომ ვეჩხუბე იმან ამირია ტვინი. არა. რიჩი გულდინგი მახსოვს: სულ სხვაა. ყველაფერს წონის თავში. სასაცილოა რომ ჩემი საათი ხუთის ნახევარზე გაჩერებულა. მტვერი. ზვიგენის ღვიძლის ქონს ხმარობენ გასაწმენდად. თვითონ შევძლებდი. არც დამეხარჯება. სწორედ მაშინ ხომ არა როცა იმან, ამან?

ოო, იმან გაათავა. შიგ. ამანაც. მორჩა.

აჰ!

ბ-მა ბლუმმა ხელის ფრთხილი მოძრაობით დასველებული პერანგი გაისწორა. ოჰ ღმერთო, ეს პატარა კოჭლი ეშმაკი. უკვე შემცივნების და სინესტის შე-

გრძნება. იმის შემდეგ უსიამოვნოა. მაინც როგორლაც უნდა მოიშორო. მათთვის სულერთია. ალბათ სიამოვნებთ. მიდიან შინ თავის ვემრიელ პურთან და რძესთან და ძილის წინ ბალღებთან ერთად ლოცულობენ. განა არა? დაინახე ისეთი როგორც არის ყველაფერი გააფუჭე. თეატრალური გაფორმება ესაჭიროება, გრიმი, კოსტუმი, მიზანსცენა, მუსიკა. სახელიც, მსახიობი ქალების სასიყვარულო ინტრიგები. ნელ გვინი, ქ-ნი ბრეისგირდელი, მოდ ბრენსკომბი. ფარდა აიხადა. მთვარის ვერცხლისფერი გასხივოსნება. ჩნდება ქალიშვილი სევდიანი მკერდით. პაწია სულიკო მოდი მაკოცე. მაინც ვგრძნობ. რა ძალას ანიჭებს კაცს! ეს არის ამის საიდუმლო. კაი საქმე მოვიშორე რომ გაუშვი იქ კედლის უკან დიგნამის დასაფლავებიდან რომ გამოვბრუნდი. სიდრი იყო უთუოდ. არა და არ გამოვიდოდა. მერე სიმღერას მოგანდომებს. Lacaus esant taratara.[26] რომ დავლაპარაკებოდი? რაზე? უხეირო განზრახვაა თუ არ იცი როგორ დაამთავრო საუბარი. ერთი კითხვა დაუსვი მეორეს შემოგიბრუნებენ. კაი აზრია თუ გაიჭედე. რა თქმა უნდა კარგი იქნება თუ იტყვი: საღამო მშვიდობისა, და ხედავ რომ ისიც ამ გუნებაზეა: საღამო მშვიდობისა. ოო, ბნელი საღამო ეპიანის ქუჩაზე კინაღამ ქ-ნ კლინჩს რომ გამოველაპარაკე ოო რომ მეგონა რომ ის. ეჰა! გოგო მითის ქუჩაზე იმ საღამოს. ცუდ-ცუდი სიტყვები რომ ვათქმევინე. რა თქმა უნდა არა სწორად. ჩემი ტაკიო ამბობდა. ძნელია ისეთი იპოვო რომელიც. ეჰე! მათთვის ალბათ აუტანელია გამოწვევაზე თუ არ უპასუხე მერე კი ეჩვევიან. ხელზე მაკოცა ზედმეტი ორა შილინგი რომ მივეცი. თუთიყუშები. ღილაკს დააჭირე და ფრინველიც დაილაპარაკებს. მერჩივნა სერობით არ მოემართა. ოო, მისი პირი სიბნელეში! და შენ კი ცოლიანი კაცი მარტოხელა გოგოსთან! ეს სიამოვნებთ. სხვა ქალს რომ წაართვან კაცი. ან თუნდაც ასეთ რამეს ყური მოჰკრან. ჩემს შემთხვევაში სხვა მდგომარეობაა. სხვა ყრმის ცოლისაგან თავის დაღწევა მიხარია. მისი ნარჩენის ჭამა. ის ბიჭი დღეს ბარტონთან კევივით დაღეჭილ ხრტილს რომ [illegible] ფურთხებდა. განდონი ეხლაც ჯიბეში [illegible] ტესი პრობლემების გამომწვევი. შეიძლება ოდესმე მოხდეს, არა მგონი. შემოდი, ყველაფერი მზადაა. მესიზმრა. რაო? უარესია დაწყება. როგორ შეცვლიან ხოლმე ლაპარაკის თემას როცა არ მოსწონთ. გეკითხება სოკო თუ გიყვარსო რადგან ერთ დროს იცნობდა ჯენტლმენს რომელსაც. ანდა გეკითხება რისი თქმა სურდა მავანს როცა გადაიფიქრა და გაჩუმდა. და მაინც თუ ბოლომდე მივიყვანე საქმე, ვთქვათ: მე მინდა რომ, რაღაც ამის მაგვარი. რადგან გამიკეთებია. იმასაც. შეურაცხყოფა მიაყენე. მერე შეურიგდი. მოიგონე ვითომ გაგიჟებით გინდა რაღაც, მერე უარი თქვი მისი გულისთვის. ეამებათ. ის სულ ალბათ სხვა ვინმეზე ფიქრობდა. მერე და რა? მას შემდეგ რაც გონი ჩაუდგა, კაცი, კაცი და კაცი. პირველი კოცნაა რომ უხიმანდრებს. შესაფერისი მომენტი. რაღაც გაიჩხიკინებს მათში. სენტიმენტალური, თვალებში ეტყობათ, მალულად. პირველი ფიქრებია საუკეთესო. სიკვდილის დღემდე ამახსოვრდებათ. თუნდაც მოლის, ლეიტენანტ მალვიმ რომ აკოცა მავრიტანული კედლის ძირას, ბალთან. თხუთმეტისო მითხრა. მკერდი კი განვითარებული ჰქონდა. მერე დაეძინა. გლენკრის სადილის შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდი ბუმბულების მთაზე. კბილებს აკრაჭუნებდა ძილში. ლორდ-მერმაც დაადგა თვალი. ველ დილონი. პარალიტიკი.

აგერ იქ არის იმათთან ერთად ფოიერვერკის სანახავად. ჩემი ფოიერვერკი. ზევით რაკეტასავით, ქვევით ჯოხივით. და ბავშვები, ტყუპები უნდა იყვნენ, ელიან რაღაც მოხდებაო. უნდათ დიდები იყვნენ. დედის ტანისამოსში გამოეწყობიან. საკმარისი დროა ქვეყნის ავანჩავანის გასაგებად. და ის შავგვრემანი გაჩეჩილთავიანი და ზანგისტუჩა. ვიცოდი რომ სტვენა შეეძლო. შესაფერი პირის მოყვანილობა. მოლისავით. ის მა-

ღალი კლასის კახპა ჯემეტისას რიდეს მხოლოდ ცხვირამდე რატომ ატარებდა. თუ არ შეწუხდებით, გეთაყვა, მითხარით რა დროა ახლა? ბნელ მოსახვევში გეტყვი რა დროცაა. ორმოცჯერ თქვი პრიმა და პრიზმა ყოველ დილას, მსუქანი ტუჩების წამალი. პატარა ბიჭსაც ეფერება. გარედან უკეთ ჩანს. რა თქმა უნდა მას ესმით ჩიტების, ცხოველების, ბავშვების. თავისებურად.

უკან არ მოუხედავს სანაპიროს რომ ჩაუყვა. ასეთი მოწყალება აღარ გაიღო. ო, გოგოები, გოგოები, ზღვისპირელი გოგოები. ლამაზი თვალები ჰქონდა, ნათელი. თვალის თეთრი გარსია ამას რომ გამოასხივებს არა იმდენად ჩინი. იცოდა რომ მე? აბა რა. როგორც კატა ძაღლის ნახტომის მიღმა. ქალები იშვიათად თუ შეხვდებიან საშუალო სკოლის დირექტორის უილკინზის მსგავსს, მთელი თავისი ავლადიდება გამოფენილი რომ ხატავდა ვენერას სურათს. ამას უბიწობას უწოდებთ? საბრალო იდიოტი! მისმა ცოლმა თავისთვის შესაფერისი საქმე გაიჩინა. ვერასოდეს ნახავ მათ დამსხდართ სკამზე წარწერით **ფრთხილად, შეღებილია.** მუდამ ასი თვალი ასი ყური. საწოლის ქვეშ ეძებენ რაც იქ არ არის. ერთი სული აქვთ თავისი ცხოვრების საფრთხობელა იშოვონ. ნემსებივით მახვილნი არიან. როცა მოლის ვუთხარი კაფის ქუჩის კუთხეში რომ კაცი დგას კარგი შესახედია-მეთქი, ვიფიქრე მოეწონებოდა, უცებ შენიშნა ხელის პროტეზი აქვსო. მართლაც ჰქონდა. საიდან აქვთ ეს? მბეჭდავი გოგო როჯერ გრინის კიბეებზე ორ-ორ საფეხურს ადიოდა კანჭები რომ გამოეჩინა. მამიდან, დედიდან მეთქი უნდა მეთქვა, ქალიშვილს გადაეცემა. ძვლებშია გამჯდარი. მილი მაგალითად ცხვირსახოცს სარკეზე აშრობდა დაუთოვება რომ აეცდინა. საუკეთესო საშუალებაა რეკლამისთვის სარკე ქალის ყურადღება რომ მიიპყროს. და როცა მილი პრესკოტთან გავაგზავნე მოლის შოტლანდიური შალისთვის, ჰო ის რეკლამა არ დამავიწყდეს, ხურდა წინდაში გამოკრული მომიტანა! ჭკვიანი პატარა მელაკუდა. არასოდეს მითქვამს მისთვის ფულიანაც მოხდენილად ატარებს. [illegible] ასეთი წვრილმანები. გაწითლებულ ხელს ზემოთ სწევდა, დაიქნევდა, მოწოლილი სისხლი რომ მოეშორებინა. ვისგან ისწავლე? არავისგან. ძიძამ მასწავლა. ოო, ვითომ არ იციან! სამი წლის იყო მოლის ტუალეტის მაგიდასთან რომ იდგა, აი მაშინ ლომბარდ სტრიტიდან რომ გადავედით. მალაზი სახე მაქ. მალინგანი. ვინ იცის? გზანი ქვეყნისანი. ჭაბუკი სტუდენტი. მოწესრიგებული იყო მეორისგან განსხვავებით. მაინც მაგარი ვინმე იყო. ღმერთო, სველი ვარ. ნამდვილი ალქაჯი. მისი პუტკუნა ნაკუთალი. გამჭვირვალე წინდები, ლამის გარღვევამდე დაჭიმული. დღევანდელი აჯაჯლულ-დაჯაჯული ქალივით კი არა. ა. ე.-სთან რომ იყო ჩაჩაჩული წინდებიანი. ანდა გრაფტონ სტრიტზე რომ იყო. თეთრებში. ოჰოჰო! დაგვანჯულფეხებიანი მსუქანი.

ფოიერვერკის სალაღობო მაშხალა გასკდა, ჭახანით დაიშალა. ჭახ და ჭუხ, ჭახ, ჭუხ. და სისი და ტომი და ჯეკი ვაიქცნენ შესახედად და ედი საბავშვო ეტლით დაედევნა და შემდეგ გერტი ლოდების იქიდან. რას იზამს? უყურე! უყურე! დაინახე! მოიხედა. თითქოს ნივრის სუნი იყნოსა. ძვირფასო, დავინახე, შენი. ყველაფერი დავინახე.

ღმერთო!

მაინც კარგი საქმე გამიკეთა. ავადმყოფურად გამოვიყურებოდი კირნანის, დიგნამის შემდეგ. დიდად გმადლობთ, რომ შემომეშველეთ დანიშნულ დროზე. ეს **ჰამლეტშია.** ღმერთო! ყველაფერი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. აღელვება. რომ გადაიხარა ენის ძირი მეტკინა. თავი გიბრუის მოგონებისგან. მართალია. კაცმა რომ თქვას უარესად შეიძლება გამესულელებინა თავი. იმის მაგივრად რომ არაფერზე მელაპარაკა. მაშ ყველაფერს გეტყვით. მაინც რაღაც საუბრის მაგვარი იყო ჩვენს შორის. რა, შეუძლებელია? არა, გერტი დაუძახეს. თუმცა შეიძლება ნამდვილი სახელი არ

არის ჩემი მოგონილი სახელისა და მისამართისა არ იყოს, დოლფინზე.

ქალიშვილობაში იყო ჯემაიმა ბრაუნი დედასთან ერთად სახლი მისი იყო აირიშტაუნი.

ადგილმა თუ მომაგონა. ყველა ერთი ფუნჯით არიან მოთხუპნული. კალმის წვერს თავის წინდებზე იხოცავენ. ბურთი როგორ ჩამოუგორდა თითქოს ესმოდა. რასაც მოხვდება ზუსტად ისარი ნამდვილი მიზანიც სწორედ ის არი. მე კი ვერასოდეს ვტყორცნიდი სკოლაში. ჯიხვის რქასავით მოხრილად. სამწუხაროა მხოლოდ რამდენიმე წელს გრძელდება სანამ ჯამ-ჭურჭლის რეცხვას მოჰყვებიან და მალე მამიკოს შარვალი შვილიკოს მოერგება და სარეცხი ფხვნილი როცა ბალღს აა-ს გასაკეთებლად გადააყენებენ. იოლი გარჯა არ არი. ინახავს მათ. უსიამოვნებებს აცილებს. ბუნება. ბავშვის გაბანება, მიცვალებულის გაბანება. დიგნამი. ბავშვების ხელები მუდამ მათ კისრებზე შემოჭდობილი. ქოქოსის კაკლის თავისქალები, ჯერ კიდევ ღია ყიფლიბანდიანი მაიმუნები, აჭრილი რძე და დამჟავებული ხაჭო მათ სახვევებში. არ უნდა მიეცათ იმ ბავშვისთვის ცარიელი საწუწნავი. გაზებით გაბერავს. ქ-ნი ბოფუა, პიურფუა. საავადმყოფოში უნდა შევიარო. ნეტა ძიძა კელანი ისევ თუ მუშაობს. მიხედავდა ხოლმე ზოგჯერ ბავშვს საღამოობით როცა მოლი ყავის სასახლეში იყო. ის ახალგაზრდა ექიმი ო' ჰეარი, დავინახე პალტოს როგორ უწმენდდა ძიძა. ქ-ნი ბრინიც და ქ-ნი დიგმანიც ერთ დროს ასეთები იყვნენ, გასათხოვრები. ყველაზე ცუდი გვიან საღამოს ხდებოდა, ქ-ნი დიგნამი მომიყვა სიტი არმზში. ქმარი გალეშილი გორაობდა, კახპასავით სამიკიტნოს სუნით ყარდა. ცხვირში გეცემა სიბნელეში, აშმორებული სასმელის მონაბერი. დილას კი იკითხავს: წუხელ დავთვერი? ვერაფერი საქმე კია ყველაფერი ქმარს გადააბრალო. წიწილები დასაბუდებლად შინ ბრუნდებიან. ერთმანეთს ეკვრიან. იქნებ ქალების ბრალიც იყოს. ამაში მოლი ყველასგან განსხვავდებ[illegible] სანერვეთის სისხლია. მავრიტანელ[illegible] ტანზეც. მისი ხელები ხორცსავსე სხეულს ეფერებოდნენ. თუნდაც სხვებს შეადარე. ცოლი შინ გამოკეტილი, ჩონჩხი კარადაში. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი. და ამაყად წარმოგიდგენენ შეუხედავ რაღაცას, არ იცი რა დაარქვა. მუდამ ჩანს ყმაწვილის სისუსტე მისი ცოლის მიხედვით. და მაინც ბედისწერაა შეყვარება. თავისი საიდუმლოებანი აქვთ ერთმანეთში. ზოგი ყმაწვილი დაიღუპებოდა ქალს რომ არ აეყვანა ხელში. მერე პატარა გოგოები, დალეულები, პაწაწინა ქმარუკუნებით. ღმერთმა რომ შექმნა ბარემ ერთმანეთის შესაფერისიც გახადა. მათ ბავშვებს კი არაუშავთ. ორჯერ ნოლი ერთია. ანდა სამოცდაათი წლის მდიდარი ბებრუხანა და სახეალეწილი პატარძალი. მაისში შეირთე და დეკემბერში თითზე იკბინე. ეს სისველე ძალიან უსიამოვნოა. მეკრობა. ჩუჩა გადმოწეული არ არი. ჯობია მოვიცილო.

ოო!

მეორე მხრივ აყლაყუდა პაწია ცოლიკოთი მის საათის ჯიბეს რომ ძლივს წვდება. გრძელი სიტყვა მოკლედ. კაცი გრძელი და ქალი მოკლე. უცნაურობა დაემართა ჩემს საათს. მაჯის საათს. მაჯის საათები მუდამ ტყუიან. ნეტა რაიმე მაგნიტური გავლენა თუა პიროვნებასა და რადგან დაახლოვებით იმ დროს გაჩერდა როცა ის. კი, ალბათ, მაშინვე. უკატო სახლში თაგვის ფარფაში. მახსოვს პილის ქუჩაზე შევხედე. ესეც ალბათ მაგნეტიზმია. ყველაფერი მაგნეტიზმი. მაგალითად დედამიწა მიიზიდავს და თავადაც მიიზიდება. ესაა რომ მოძრაობას ქმნის. და დრო? დრო კი ეს ის დროა რაც ამ მოძრაობას ჭირდება. ერთი რამეც რომ გაჩერდეს მთელი ეს თამაში გაჩერდება თანდათან. რადგან ყველაფერი აწყობილია. მაგნიტური ნემსი გეუბნება თუ რა ხდება მზეზე, ვარსკვლავებზე. ფოლადის პაწაწინა ნაჭერი. ჩანგალს რომ მიუშვერ. მოდი. მოდი. ჰოპლა. ქალი და კაციც

ასეა. ჩანგალი და ფოლადი. მოლი, ის. ჩაიცვამს და შემოგხედავს და გაგრძნობინებს და დაგანახვებს და დაგანახვებს მეტსაც და გამოგიწვევს თუ ხარ კაცი რომ შეამჩნიო, ცემინებასავით რომ მოგადგება, ფეხები, შეხედე, შეხედე და თუ ჯიგარი გაქვს. ჰოპ.

ნეტა როგორ არი იმ ადგილებში. სირცხვილის გრძნობა სხვების თანდასწრებით. უფრო გახეული წინდა აწუხებს. მოლი, თავი უკან გადაუგდია, ყბა გამოუწევია, იმ ფერმერის გამო დეზებიან ჩექმებში ცხენების გამოფენაზე. და როცა მხატვრები იყვნენ ლომბარდ სტრიტზე. კარგი ხმა ჰქონდა იმ ყმაწვილს. ჯულიინიც ასე იწყებდა. უყნოსე რა გამომივიდა, როგორც ყვავილები. ასე იყო. იები. საღებავში სკიპიდარი რომაა ალბათ იმიტომ. ყველაფერს თავისი გამოყენება აქვს. იმისი არ იყოს, ფლოსტებს რომ აცურებდა იატაკზე სხვებს რომ არ გაეგონათ. ქალების უმეტესობა ვერც კი ათავებს, რამდენადაც ვიცი. საათობით არიან ასე. მთლიანად ყველგან და უკან წელამდე, რაღაც ამის მსგავსი.

მოიცა. ჰმ. ჰმ. ხო. ეს მისი სუნამოა. ხელი რატომ გაიქნია. ამას გიტოვებ ჩემზე რომ იფიქრო როცა შორს ბალიშზე მედება თავი. ეს რა არი? ჰელიოტროპი? არა, სუმბული? ჰმ. მგონი, ვარდები. ასეთი სუნამო ეყვარება. სასიამოვნო და იაფი: მალე გაფუჭდება. მოლის კი ოპონანქსი მოსწონს. უხდება, ოდნავ ჟასმინგარეული. მისი მაღალი და დაბალი ნოტები. ცეკვის საღამოზე შეხვდა, საათების ცეკვა. სიცხემ გამოიტანა. შავი კაბა ეცვა ზედ შერჩენილი ადრინდელი სუნამოთი. კარგი გამტარია, არა? თუ ცუდი? სინათლისაც. ალბათ რაღაც კავშირია. მაგალითად ბნელ სარდაფში თუ შედიხარ. საოცარი კია. რატომ ვიგრძენი სუნი მხოლოდ ახლა? გერტიკით არ ჩქარობდა, ნელა მაგრამ თავდაჯერებულად. ალბათ მრავალი მილიონი პაწაწინა ნამცეცია მიმობნეული ჰაერში. რა თქმა უნდა. იმ სუნელ-სანელებლებიანი კუნძულების გამო, ცეილონელები ამ დილით, დიდი მანძილიდან შეიგრძნობ სუნით. გეტყვით რას ნიშნავს. ეს არის ოხელზე უთხელესი პირბადისა თუ აბლაბუდის მაგვარი რაღაც მთელ კანზე აქვთ გადაკრული, თხელი გამჭვირვალე, და ისინიც გამუდმებით ნართივით გამოწელავენ თავისი სხეულიდან, თხელზე უთხელესს, ცისარტყელის ფერების მაგვარს, ისე რომ თვითონაც არ იციან. რასაც გაიხდის ყველაფერს ეკრობა. წინდების ქუსლებს. თბილ ფეხსაცმელს. რჩება. ნიფხავი: ფეხის ერთი გაქნევა და გახდილია. კარგა მენახე. კატასაც უყვარს მისი გახდილი ტანსაცმლის დაყნოსვა საწოლზე. მისი სუნი ათასში გამოირჩევა. აბაზანის წყალიც. მარწყვსა და ნაღებს მაგონებს. საინტერესოა მაინც რა ადგილას არის. იქ თუ იღლიებში თუ ყელზე. რადგან ყველა ნახვრეტიდან და ნაოჭიდან მოგდის. სუმბულის სუნამო ეთერის ზეთზე თუ რაღაცაზე დამზადებული. ონდატრა. კუდის უკან რომ აქვს პარკუჭი, ერთი პაწაწინა ნაწილაკი წლობით გამოჰყოფს სუნს. ძაღლები ერთმანეთს უკანიდან სუნავენ. საღამო მშვიდობისა. გაუმარჯოს. როგორ იყნოსები? ჰმ. ჰმ. ძალიან კარგად, გმადლობთ. ასეა ცხოველებში. ხო, ასე თუ შეხედე. ჩვენც ასე არა ვართ? ზოგი ქალი, მაგალითად, გაფრთხილებს არ მომეკაროო, როცა თვიური აქვს. მომიახლოვდი, სიმყრალე თავში აგივარდება. რას გავს? აყროლებული ქაშაყის კონსერვს ან. ფუ! გეთაყვა, გაზონებს მოერიდეთ.

იქნებ ისინი ჩვენგან გრძნობენ კაცის სუნს. მაინც რას? სიგარიანი ხელთათმანები, ვისკი მაგიდაზე იმ დღეს. სუნთქვა? იმის ბრალია რასაც ჭამ და სვამ. არა. საკუთრივ კაცის სუნს ვგულისხმობ. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან მღვდლები რომლებიც ვითომ უნდა იყვნენ, სინამდვილეში სხვანაირები არიან. ქალები დაზუზუნებენ მის გარშემო როგორც ბუზები ბადაგის გარშემო. შემოღობილ საკურთხეველს არ დაგიდევთ მაინც მიიწევენ რადაც არ უნდა დაუჯდეთ. აკრძალული

პასტორის ხე. ოო, მამაო, თუ შეიძლება? ჯერ მე. მთელ სხეულში გაჟონავს, გამოდის, სიცოცხლის წყარო და მეტად თავისებური სუნიცაა. ნიახურის ნაყენი. ჯერ მე.

ბ-მა ბლუმმა ცხვირი შეიყო. ჰმ. თავის. ჰმ. პიჯაკის გახსნილ კალთაში. ნუშის თუ. არა. ლიმონისაა. აჰ, არა, საპონია.

ჰო სხვათა შორის ის ლოსიონი. ვიცოდი რაღაც მქონდა გასაკეთებელი. არ მივბრუნებულვარ და საპნისაც გადასახდელია. არ მიყვარს ბოთლების ტარება დილანდელი ბებრუხანასავით. ჰაინზს შეეძლო გადაეხადა ჩემთვის ის სამი შილინგი. შემეძლო მეხსენებინა მიგერის ლუდხანა რომ გახსენებოდა. ისევ იმ განცხადებაზე თუ მუშაობს. ორი და ცხრა. ცუდი აზრი შეექმნება ჩემზე. ხვალ მივაკითხავ. რამდენი მმართებს თქვენი? სამი და ცხრა? ორი და ცხრა, სერ. აჰ, ასე შეიძლება აღარც ვასესხო სხვა დროს. ასე კლიენტურასაც დაკარგავ, ლუდხანებში ასე ხდება. მავანნი ნისიის ლიმიტს ამოწურავენ და უჩუმრად უკანა ქუჩით სადმე სხვაგან გაიპარება.

აგერ ის ჯენტლმენი წელან რომ ჩაიარა. ზღვის ყურიდან მობერილი. სწორედ იმდენი გაიარა უკან, რომ დროზე მობრუნებულიყო. მუდამ შინ არი სადილობის დროს. გაფუფუნებული გამოიყურება: კარგა გამომძღარა. ახლა ბუნებით ტკბება. ილოცე ჭამის შემდეგ. ვახშმის მერე ისეირნე. ცხადია ბანკში პატარა ანგარიში ექნება გახსნილი სადმე, მთავრობის კმაყოფაზე. ახლა უკან რომ გავყვე ისეთივე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება როგორც დღეს იმ გაზეთის დამტარებელმა ბიჭებმა მე. მაინც რაღაცას სწავლობ. ვხედავთ ჩვენს თავს როგორც სხვები გვხედავენ. მთავარია ქალებმა არ დაგვცინონ, ისე რა მნიშვნელობა აქვს? ასე თუ გაიგებ. შენს თავს შეეკითხე აბა ის კაცი ვინ არის ახლა. **მისტიკური კაცი სანაპიროზე,** ცნობის ფურცლის საკონკურსო მოთხრობა ბ-ნ ლეოპოლდ ბლუმისა. ჰონორარი ერთი გინეა სვეტში. და დღეს ის ყავისფერ მაკინტოშიანი ყმაწვილი სასაფლაოზე. ყისმათი აქვს დაკარგული. ალბათ ჯანმრთელობა ხოლმე. ლოკომოტივის საყვირია წვიმა იცისო ამბობენ. სადმე ალბათ წვიმს. მარილი ორმონდის ჭაობში. სხეული გრძნობს ატმოსფეროს. ბებერ ბეტის სახსრები ტანჯავს. დედა შიფტონის წინასწარმეტყველება, გემები მსოფლიოს გარშემო თვალის დახამხამებაშიო. არა. ეს წვიმის ნიშანია. მეფეთა წინასწარმეტყველი. და მოგვეახლნენ შორეულნი გორაკნი თითქოს.

ჰაუთი. შექურა სინათლე. ორი, ოთხი, ექვსი, რვა, ცხრა. ხედავ. უნდა შეიცვალოს თორემ სახლი ეგონებათ. ხმელეთის მეკობრეები კურსისამცდენელ სინათლეებს რომ აჩვენებენ. გრეის ძვირფასო. ხალხს სიბნელის ეშინია. ციცინათელებიც, ველოსიპედისტებიც: აციმციმების დრო. ძვირფასი ქვები, ალმასები უკეთ ბრწყინავენ. სინათლე თავისებური ნუგეშია. არას გავნებს. ახლა რა თქმა უნდა უკეთესი მდგომარეობაა ვიდრე უწინ. სოფლის გზები. წვრილ ნაწლავებს გადმოგაყრევინებდნენ ვითომც არაფერი. მაინც ორ რამეს გადაეყრები. წარბის შეკვრას და ღიმილს. ბოდიში! არაუშავს. ნათესების სარწყავადაც საუკეთესო დროა მზის ჩასვლის შემდეგ ჩრდილში. ჯერ სინათლეა. წითელი სხივები ყველაზე გრძელია. როიგბივ ვენსი გვასწავლიდა: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მუქი ლურჯი, იისფერი. ვარსკვლავს რომ ვხედავ. ვენერა? ჯერ ვერ გეტყვით. ორი, სამი უკვე ღამეა. ეს ღამის ღრუბლები სულ მანდ იყო? ფანტომურ ხომალდს წაგავს. არა. მოიცა. ხეებია? ოპტიკური ცდომილება. მირაჟი. ჩამავალი მზის ქვეყანა. ჰოუმრულის მზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამავალი. ჩემო მშობლიურო ქვეყანავ, ღამენებისა.

ნამი ეცემა. ცუდია შენთვის, ძვირფასო, მაგ ქვაზე ჯდომა. გამონადენი იცის. მაშინ ვეღარ ეღირსები თოთო ბავშვს დიდი ღონიერი ბრძოლა თუ არ გადაიტანა გზის გამოსაკვლევად. მე კი შე-

იძლება ბუასილი გამიჩნდეს. ზაფხულის სურდოსავით აგეკიდება, ტუჩის წყლულივით. ბალახით ან ქაღალდით გაჭრა უარესია. ერთი და იგივე ადგილის გაღიზიანება. ნეტა ის ლოდი ვიყო ზედ რომ იჯდა. ოო სულზე უტკბესო, არც კი იცი როგორი კოხტა იყავი. ახლა ისინი მაგ ასაკში მომწონს. უნდილი ვაშლები. დაავლე ხელი რასაც გთავაზობენ. წარმოიდგინე რომ ერთადერთი შემთხვევაა მჯდომარენი ფეხებს რომ ჩავაწნავთ ერთმანეთს. ბიბლიოთეკაში დღეს: ის კურსდამთავრებული გოგოები. ბედნიერი სკამები ზედ რომ სხედან. თუმცა ეს საღამოს გავლენაა. ამას ყველაფერს გრძნობენ. ყვავილებივით იშლებიან, იციან თავისი საათები, მზესუმზირები, იერუსალიმური არტიშოკები, სამეჯლისო დარბაზებში, შანდლები, გაჩირაღდნებული ავენიუები. ღამის ყვავილები მეტ დილონის ბაღში მხარზე რომ ვაკოცე. ნეტა მაშინ მქონოდა მისი ზეთში შესრულებული სრული პორტრეტი. ვნისი იყო როცა ვეარშიყებოდი. წელი ბრუნდება. ისტორია თავის თავს იმეორებს. კვლავ შენთან ვარ. ცხოვრება, სიყვარული, შენს საკუთარ პაწია სამყაროში მოგზაურობა. და ახლა? ვწუხვარ რა თქმა უნდა კოჭლი რომაა, მაგრამ ფრთხილად უნდა იყო ზედმეტი შეცოდება რომ არ გამოიჩინო. მაშინვე უპირატესობას გრძნობენ.

ჰაურთზე ახლა სრული სიწყნარეა. შორეული გორაკნი თითქოს. სადაც ჩვენ. დეკა. იქნებ სულელი ვარ. იმას ქლიავი და მე კი ქლიავის კურკები. რაც მერგება. ყველაფერი რაც იმ ბებერ გორაკს უნახავს. სახელები იცვლება: ეს არის და ეს. მიჯნურები: მტლაშ-მტლუშ.

ახლა დაღლილობას ვგრძნობ. ავდგები? მოიცა. მთელი კაცობა გამომქაჩა, საძაგელი გოგო. იმან მაკოცა. ჩემი ჭაბუკობა. აღარასოდეს. მხოლოდ ერთხელ მოდის. იმისიც. წადი იქ მატარებლით ხვალ. არა. დაბრუნება ის აღარ არის. როგორც ბავშვები მეორედ რომ ბრუნდებიან შინ. ახალი რამ მინდა. არაფერია მზის ქვეშ ახალი. მოთხოვნამდე, დოლფინზ ბარნის საფოსტო განყოფილება. ოჯახში ბედნიერი არა ხარ? საყვარელი ... ...

სინათლე თუ ხმაური? აჯობებს ჩუმად ვიჯდე. ცარიელი ინსტინქტია როგორც ფრინველი გვალვაში წყალს რომ მისწვდა დოქის ყელში იმით რომ შიგ კენჭებს ყრიდა. პატარა წამოსასხამიანი კაცუნასავითაა პაწაწინა ხელებით. პაწაწკინტელა ძვლები. თითქოს ციმციმებენ, რაღაც მოლურჯო-მოთეთროები. ფერები დამოკიდებულია სინათლეზე, რომელსაც ხედავ. მაგალითად არწივივით მიაშტერდი მზეს მერე შეხედე ფეხსაცმელს მოყვითალო ლაქას დაინახავ. ყველაფერს თავისი საფირმო ნიშანი უნდა დაამჩნიოს. თუნდაც ის კატა დილით კიბეზე. მუქი ტორფის ფერი. ნათქვამია სამფერას ვერასოდეს ნახავთ. ტყუილია. ის თეთრზოლიანი ჭრელი კატა სიტი არმზში ასო ონით შუბლზე. სხეული ორმოცდათი სხვადასხვა ფერისა. ჰაუთი ცოტა ხნის წინ ამეთვისტოსფერი. მინის ელვარება. ასე იყო იმ ბრძენმა კაცმა რა ერქვა გამადიდებელი შუშით. და მანანას ველსაც ცეცხლი ეკითხა. ეს ტურისტების ასანთი არ შეიძლება იყოს. შესაძლოა ხმელი ტოტები ერთმანეთს ეხახუნება ქარში და აინთება ხოლმე. ანდა გატეხილ ბოთლები გამადიდებელი შუშის მაგივრობას წევენ მზეში. არქიმედე. ის არის! არც ისე ცუდი მეხსიერება მქონია.

აჰა. ვინ იცის რისთვის დაფრინავენ მუდამ. მწერები? ის ფუტკარი გასულ კვირას ოთახში მოხვდა და საკუთარ ჩრდილს ეთამაშებოდა ჭერზე. შეიძლება სწორედ იმან მიკბინა, უკან მობრუნდა სანახავად. ჩიტებიც. ვერ ... ოდეს გაიგებ რას ამბობენ. ჩვენი მასლაათივით იმას უთქვამს და ამას უთქვამს. რა გამბედაობა აქვთ ოკეანეს რომ გადაიფრენენ და უკან ბრუნდებიან. ბევრი ალბათ ქარიშხალში იღუპება. ტელეგრაფის მავთულხლართებში. მეზღვაურებსაც საშინელი ცხოვრება აქვთ. საოკეანო ხომალდების უზარმაზარი ცხოველები ძლივს მიიკვლევენ გზას სიბნელეში, თან ზღვის ძროხებივით ამოიბღავლებენ, ხოლმე. Faugh a ballagh! გაეთრიეთ აქედან, ეშმაკის კერძებო! დანარჩენები ნავებში, ხელსახოცისხელა აფრა, დაფართხალებენ როგორც ხელიდან ხელში გადაწოდებული ბურნუფი მიცვალებულის ცხედართან ლაქისევისას როცა ავი ქარი ამოვარდება. ცოლიანებიც არიან. ზოგჯერ წლობით მოშორებულნი სადღაც დედამიწის ბოლოში. ბოლო კი სინამდვილეში არც არის რადგან მრგვალია. ცოლი ყოველ ნავსადგურშიო ამბობენ. ქალს კარგი ჯაფა ადგება თუ ეჭვიანობს სანამ ჯონი შინისკენ გამოსწევს. თუკი საერთოდ ოდესმე დაბრუნდა. ნავსადგურების მივარდნილი კუნჭულების სუნი უდით. ასე როგორ უყვარდებათ ზღვა? და მაინც ასე ხდება. ღუზები აწეულია. მისცურავს მფარველი წმინდანის სიმბოლოთი დამშვენებული. მაშ. და საღმრთო წიგნების შემცვლელი თილისმა, არა, რას ეძახიან აი საწყალ მამაჩემის მამას კარზე რომ ჰქონდა მიკრული ხელით რომ უნდა შეხებოდა. რომლის წყალობით გამოვედით ქვეყნით ეგვიპტით, სახლსა შინა სირთებისა. რაღაცაა ყველა იმ ცრურწმენაში რადგან შინიდან რომ გადიხარ არ იცი რა ხიფათს. ორივე ხელით ქანჩახს ჩაბღაუჭებული ანდა მორზე გადალაჯებული, საშველი ქამრით გარშემორტყმული, მლაშე წყალს ყლაპავს და ეს მისი უკანასკნელი ყლუპია ვიდრე ზვიგენები პირს სტაცებენ. თევზებს ზღვის ავადმყოფობა თუ ემართებათ ოდესმე?

და მერე ნეტარი უღრუბლო სიწყნარე დაგიდგებათ, ლივლივა ზღვა, უშფოთველი, ეკიპაჟი და ტვირთი ნაფოტებად, ოკეანე მეზღვაურთა სამარე, მთვარე კი მშვიდად დაჰყურებს. ჩემი ბრალი არაა, თავდაჯერებულო ძამიკო.

გზააბნეული ეული მაჩხალა გაეშურა ცისკენ საქველმოქმედო ბაზრობიდან მერსერის საავადმყოფოსთვის თანხის შესაგროვებლად და გასკდა, დაეშვა, იისფერ და მხოლოდ ერთ თეთრვარსკვლავგამორეულ მტევნად დაიშალა. ლივლივებდნენ, ცვიოდნენ: ქრებოდნენ. მწყემსის ჟამი: ჟამი ჩახუტებისა: ჟამი პაემანისა. სახლიდან სახლამდე, თავისი მუდამსასურველი ორჯერ დაკაკუნებით, ჩამოიკლიდა ცხრა საათის ფოსტალიო-

ნი, ციცინათელას ნათურა მის ქამარზე აქა-იქ ანათებდა დაფნის ღობეში. და ხუთი ნორჩი ხის შორის აღმართულმა ასანთებმა ბაზმამ ლიჰის ტერასზე ფარანი აანთო. განათებული ფანჯრების, ჩამწკრივებული ბაღების გასწვრივ გამკივანი ხმა გაისმოდა: **ივნინგ ტელეგრაფი, სპეციალური გამოშვება! ოქროს თასის მარულის შედეგები!** და დიგნამის სახლის კარიდან ბიჭი გამოვარდა და დაიძახა. მოწრიპინე ღამურა ხან აქეთ ეცა ხან იქით. შორით ქვიშნარზე მოახლოვებული მოქცევა მოიპარებოდა, ნაცრისფრად. ჰაუთი ძილისთვის ემზადებოდა გრძელი დღეებით, ტლაშ-ტლუშ დეკათი დაქანცული (ბებერი იყო) და სიხარულით შეიგრძნობდა როგორ უწეწდა გვიმრის თმას საღამური ნიავი. წითელთვალდაჭყეტილი იწვა, არ ეძინა, ღრმად და ნელა სუნთქავდა, ძილმორეული თუმც კი ფხიზელი. და შორს კიშის სანაპიროზე ტივტივა შუქურა ციმციმებდა, თვალს უპაჭუნებდა ბ-ნ ბლუმს.

კაი ცხოვრება ექნებათ იმ ყმაწვილებს იქ, ერთ ადგილას მიჯაჭვულებს. ირლანდიური შუქურების სამმართველო. საკუთარი ცოდვების მონანიება. სანაპირო ყარაულიც. რაკეტა და საშველი რგოლი კომბინიზონით და მაშველი ნავი. ის დღე **ერინის მეფეზე** რომ გავისეირნეთ და ძველი გაზეთების მთელი შეკვრა რომ გადავუგდეთ. დათვები ზოოპარკში. ბინძური კრუიზი. გალეშილები გარეთ გამოდიან ღვიძლების გამოსაბერტყად. ᲡᲐᲠᲬᲧᲔᲕᲔᲚ ბორტიდან ქაშაყების დასაპურებლად. გულის ზიდვა. და ქალები, ღვთის ძრწოლა მათ სახეებში. მილი, შეკრთომის არავითარი ნიშანი. თავისუფლად მოგდებული ცისფერი ყელსაბამი, იცინის. ამ ასაკში არ იციან რა არის სიკვდილი. კუჭები აქვთ სუფთა. დაკარგვის კი ეშინიათ. ხის უკან რომ დავემალეთ კრამლინში. არ მინდოდა. დედა! დედა! ბავშვები ტყეში. ნიღბებითაც რომ აშინებენ ხოლმე. ჰაერში რომ აისვრიან და იჭერენ. მოგკლავ. ეს ვითომ გართობაა? ან ბავშვები რომ ომობანას თამაშობენ. სრული სერიოზულობით. როგორ შეიძლება ადამიანები თოფს უმიზნებდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ გავარდება ნიღმე. საბრალო ბალღები. გულისხეთქების მეტი არაფერია. წითელი ქარი და ჭინჭრის ციება. კოლომელის ლოსიონი რომ ვუშოვე. უკეთ რომ გახდა მოლისთან ეძინა. ზუსტად ერთნაირი კბილები აქვთ. რა უყვართ მათში? საკუთარი თავის ორეული? მაგრამ ერთ დილას ქოლგით რომ დასდევდა. ალბათ ისე რომ არაფერი ეტკენინებინა. მის მაჯისცემას ვგრძნობდი. წიკწიკი. პაწია ხელი ჰქონდა: ახლა დიდი. საყვარელი მამიკო. ხელი გეუბნება ყველაფერს როცა ეხები. ჩემი ჟილეტის ღილების დათვლა უყვარდა. მახსოვს მისი პირველი კორსეტები. მეცინებოდა. პატარა ძუძუკუნები. მგონი მარცხენა უფრო მგრძნობიარეა. ჩემიც. გულთან უფრო ახლოსაა. ვატინს იტენიან სიმსუქნე თუა მოდაში. თანდათან მომატებული ტკივილები ღამღამობით, მეძახდა, მაღვიძებდა. შეეშინდა ქალობის ბუნებრივი პირველი ნიშანი რომ მოუვიდა. საბრალო ბავშვი! დედისთვისაც უცნაური განცდა. საკუთარ ბავშვობას აგონებს. გიბრალტარი. ბუენა ვისტადან რომ იხედება. ო' ჰარას კოშკი. ზღვის ფრინველების ჭყივილი. ერთმა ბებერმა მაიმუნმა მთელი თავისი ოჯახი შესანსლა. დაისი, ზარბაზნის ბათქი იმის ნიშნად რომ სასაზღვრო ზონაში ჭიშკარი იკეტებოდა. მიამბობდა როგორ გადაჭყურებდა ზღვას. ასეთივე საღამო, მხოლოდ უღრუბლო. მუდამ ვფიქრობდი ცოლად გავყვებოდი ლორდს და მდიდარ იახტიან ჯენტლმენს. Buenas noches, senorita. El hombre ama la muchacha hermosa[27]. რატომ მე? ამიტომ რომ სხვებისაგან გამორჩეულად უცხოელი იყავი.

არ ღირს მთელი ღამე აქ ვიყო დარჭობილი. ასეთი ამინდი გათაყვანებს. ცხრა ხდება სინათლის მიხედვით. შინ წავიდე. უკვე გვიანია **ლი ან კილარნის შოროშანზე** წასასვლელად. არა. შეიძლება არ ეძინოს. შევივლი მოვინახულებ საავადმყოფოში. იმედია უკვე გააჩინა. გრძელი დღე იქონდა. მართა, აბანო,

დასაფლავება, კლიტის პალატა, მუზეუმი იმ ქალღმერთებით, დედალოსის სიმღერა. მერე ის ღრიალა კაცი ბარნი კირნანისას. კარგა მოვიგერიე. გალეშილი ენატარტალები. რომ ვუთხარი მისი ღმერთის შესახებ, სახე მოეღრიცა. შეცდომაა დარტყმას დარტყმით უპასუხო. თუ? არა. შინ უნდა წასულიყვნენ და იქ ეცინათ საკუთარ თავზე. მუდამ უნდათ რომ კომპანიაში გამოთვრნენ. ორი წლის ბავშვივით მარტოობის ეშინიათ. დავუშვათ მოეხვედრა ჩემთვის. შეხედე ამას მეორე მხრიდან. დიდი არაფერი. იქნებ არც აპირებდა დავეშავებინე. გაუმარჯოს იზრაელს. გაუმარჯოს მის მიერ გათათხულ ღოჯებიან რძალს. იმავე რიგის სილამაზე. განსაკუთრებით სასიამოვნო ძველებურ წვეულებაზე ჭიქა ჩაით. ბორნეოდან ველური კაცის ცოლის და ეს-ესაა ქალაქს ეწვია. წარმოიდგინე ეგეთი სისხამ დილას სულ ახლოს. ვის ვინ მოწონს როგორც თქვა მორისმა როცა ძროხას აკოცა. მაგრამ დიგნამმა ყველაფერი საშინლად დააბოლოვა. გლოვის სახლები ასეთი სევდის მომგვრელია რადგან კაცმა არ იცის. ასეა თუ ისე ქვრივს ფული ჭირდება. როგორც დავპირდი შოტლანდიელ ქვრივთა ფონდი უნდა მოვინახულო. უცნაური სახელწოდება. თავისთავად იგულისხმება პირველად ჩვენ უნდა გავფშიკოთ ფეხები. ის ქვრივი ორშაბათს კრეიმერის ხე-ტყის კომპანიის წინ არ იყო რომ მიყურებდა. საწყალი ქმარი დაემარხა მაგრამ საქვრივოს ხარჯზე მშვენივრად განაგრძობდა ცხოვრებას. ქვრივის წილი. აბა რა უნდა ქნას უბედურმა? უნდა იარსებოს როგორმე. ქვრივი კაცის დანახვა არ მიყვარს. ისე საცოდავად გამოიყურება მარტოდ-მარტო დარჩენილი. საწყალი ო' კონორი, ცოლი და ხუთი ბავშვი ზღვის ლოკოკინებით მოიწამლნენ. დაბინძურებული წყალი. იმედგაწყვეტილი. მრგვალქუდიანი კეთილი დარბაისელი დედაკაცი სჭირდება დედობრივი მზრუნველობა რომ გაუწიოს. ბუქსირზე აიყვანოს, ლანგარივით სახე და უზარმაზარი წინსაფარი. ქალის ნაცრისფერი ფლანელის ფართო საცვალი, სამი შილინგი, გასაოცრად სარფიანი ნაჭერი. შეუხედავის სიყვარული სამარეამდე სიყვარულიაო ამბობენ. გონჯი: არა ქალი არ ფიქრობს ვარო. გიყვარდეს, იცრუე და იყავ ლამაზი რამეთუ ხვალ აღარ ვიქნებით. ზოგჯერ ვხედავ როგორ დადის აქეთ-იქით თავს იტეხს ნეტა ვინ გამიკეთა ოინიო. ჭ.ჭ.: ჭოჭი. ბედი თუ არა მაშ რა არი. მას და არა მე. რომელიმე მაღაზიაც ხშირად რომ გეჩხირება თვალში. წყეველასავით აგედევნება. წუხელ იყო რომ დამესიზმრა? მოიცა. რაღაც მერევა. მოლის წითელი ფოსტლები ეცვა. თურქული, შარვალში იყო. ვითომ? პიჟამოში მომეწონებოდა? ძნელი სათქმელია. ნანეტი წავიდა. საფოსტო ხომალდი. ახლა ჰოლიჰედს იქნება მიახლოებული. კლიტის რეკლამა უნდა ჩავჭედო. ჰაინსი და კროუფორდი დავამუშავო. ქვედატანი მოლისათვის. რაღაცაა აქვს შიგ მოსათავსებელი. მაინც რა? ალბათ ფული.

ბ-ნი ბლუმი დაიხარა და ქაღალდის ნაჭერი გადააბრუნა ქვაფენილზე. თვალებთან მიიტანა და ჩააცქერდა. წერილი? არა. ვერ ვკითხულობ. ჯობია წავიდე. ჯობია. ისე დავიღალე ფეხი ვერ გადამიდგავს. ძველი რვეულის ფურცელი. ორმოები და კენჭები. ვინ დასთვალოს ზღვაში სილა? კაცმა არ იცი რა შეიძლება იპოვო. ჩასაძირად განწირული გემიდან გადაგდებული ბოთლი, რომელშიც განძის ისტორიაა. საფოსტო ბანდეროლი. ბავშვებს ყოველთვის რაიმეს გადაგდება უნდათ ზღვაში. ნდობა? პური შენი წყალს გაატანე. ეს რაღაა? ჯოხი.

ოო! სიქა გამაცილა იმ ქალმა. ისეთი ახალგაზრდა აღარ ვარ. ხვალ თუ მოვა? ელოდე სადმე მუდამ. უნდა დაბრუნდეს. მკვლელები დაბრუნდებიან. მე?

ბ-ნი ბლუმი თავისი ჯოხით ფაქიზად შეეხო სქელ სილას ფეხთან. დაუწერე რამე, იქნებ არ წაიშალოს. რა?

მე.

ვიღაცის ბრტყელი ტერფი დააბიჯებს დილას. აზრი არა აქვს. წყალი გადარეცხავს ჩოქცევა აქამდე აღწევს, გუ-

ბე მის ფეხთან. დავიხარო, დავინახო შიგ ჩემი სახე. ბნელი სარკე, დააორთ-ქლე, ირევა. მთელი ეს ლოდები ხაზებით და ნაჭდევებით და წარწერებით. ოო, მისი გამჭვირვალე! თანაც არ იციან. რა მნიშვნელობა აქვს იმ მეორე ქვეყანას. ცუდი ბიჭი გიწოდე იმიტომ რომ არ მომწონს.

ᲕᲐᲠ. Ა.

ადგილი არ არი. თავი დაანებე.

ბ-ნმა ბლუმმა წაშალა ასოები ფეხის ნელი მოძრაობით. უიმედო რამაა სილა. არაფერი ხარობს. ყველაფერი ხმება. არავითარი საფრთხე რომ აქამდე დიდი ხომალდები მოაღწევენ. გარდა გინესის ბარჟებისა. ოთხმოცი დღე კიშის გარშემო. თითქოს საგანგებოდ დაგეგმესო.

ხის კალამი გადააგდო. ჯობი ლამიან ქვიშაზე დავარდა, ჩაერჭო. კვირა რომ ეცადო ამას ვერ შეძლებ. შემთხვევაა. აღარასოდეს შეეხვდებით ერთმანეთს. კარგი კი იყო. მშვიდობით, ძვირფასო. მადლობთ. ასე ჯეილად მაგრძნობინე თავი.

ცოტა რომ ჩამეთვლიმა. ალბათ ცხრა ხდება. ლივერპულისკენ გემი კარგა ხნის წასულია. კვამლიც კი აღარ ჩანს. მოლის შეუძლია სხვაც მოამზადოს. აკი მზად აქვს კიდეც. ბელფასტი. არ წავალ. მიეხეთქე იქ, მოეხეთქე ენისში. დაე იმან. თვალი მოვატყუო. არ კი დამეძინება. ძილღვიძილი. მაინც ვერ შეცვლის. ისევ ღამურა. არ მერჩის. სულ ცოტა ხნით.

ოო სულიკო მთელი შენი ქალწულებრივი სითეთრე დავინახე ზემოთ ჭუჭყიანი სარტყელი მიყვარდი წებოვანი ჩვენ ორნი ცუდი ძვირფასი გრეის ის მას ნახევარზე საწოლში ნეტა ვინ კოცნის სამშვენისები რაულისთვის სუნამოს თქვენი ცოლი შავი თმა ჩაპუტკუნებულ senorita-ს ქვეშ ჭაბუკი [illegible] ბაზე ძუძუებს ბრედვან უინკლი წითელი ფოსტლები მოლი ჟანგიანი ძილი სიზმრების ბოდვიანი წლები გაისად დაბრუნდა დასასრული აგუდათ გულწასული სულიკო დამანახა თავისი გაისად ნიფხავი დაბრუნება მასში დაბრუნება მისი გაისად.

ღამურამ გაიფრინა. აქ. აქ. აქ. შორს ბინდში ზარმა ჩამორეკა. ბ-ნი ბლუმი პირდაღებული, მისი მარცხენა ფეხსაცმელი გვერდულად ჩაფლული სილაში. დაიხარა, ამოისუნთქა. სულ ცოტა ხნით რომ

ყიყლიყო
ყიყლიყო
ყიყლიყო.

პასტორის სახლში საათმა ბუხრის თავზე დაიღუღუნა სადაც კანონიკი ო' ჰენლონი და მამა კონროი და ღირსი ჯონ ჰიუზი მიირთმევდნენ ჩაის და ნამცხვარს და კარაქს და შემწვარი ბატკნის ხორცს ტომატის საწებლით და მუსაიფობდნენ

ყიყლიყოზე
ყიყლიყოზე
ყიყლიყოზე.

რადგან პაწია იადონი ჩიტი გამოვიდა თავისი პაწია სახლიდან რათა ეუწყებინა დრო რომ გერტი მაკდაუელს შეემჩნია იქ ყოფნის დრო რადგან ამისთანა რამეს უმალ ამჩნევდა, ასეთი იყო გერტი მაკდაუელი, და მაშინვე შეამჩნია რომ ის უცხოელი ჯენტლმენი რომელიც ლოდებზე მჯდარი უყურებდა იყო

ყიყლიყო
ყიყლიყო
ყიყლიყო.

ეროვნული

კომენტარი

ჰომეროსის „ოდისეას“ მეექვსე თავის ნავზიკაეს ჯოისისეული პაროდიაა „ულისეს“ პერსონაჟი გერტი მაკდოუელი, რომელიც, ამავე დროს, თავსებურად პროეცირებულია ბიბლიური მარიამის ხატთან — „ზღვის ვარსვლავთან“ (სტელა მარის).

მთელი ეპიზოდის მოქმედება (თუკი ჯოისის სტილის მიმართ შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა მოქმედება) მიმდინარეობს შორიახლოს მდგარი ეკლესიიდან გამოსული გალობის, ლოცვის ფონზე, რაც წმინდად ჯოისურ კონტრასტს ქმნის: ერთის მხრივ სიქალწულის საწყისის, სქესის გაღვიძების სიმბოლიკა და მეორეს მხრივ უნაყოფობა, სქესის დათრგუნვა მისი, ასე ვთქვათ, ბლუმისეული ვარიანტი, რაც საბოლოოდ სექსის სუროგატის, მასტურბაციის სახით ვლინდება. და ყველაფერი ეს თავისებური მეორე პლანისა თუ ფონის სახით სადღაც ახლოს ბაზრობაზე წამდაუწუმ ჰაერში გამოჩენილ მაშხალების მეტად ნატიფი სიმბოლიკით კვლავ ნავზიკაეს გრძნობადემოციურ, ლამის სქესობრივ ექსტაზამდე ასულ და შემდეგ ფოიერვერკის ნაპერწკლებად ჩამოღვრილ ნეტარების ეფექტს ქმნის.

რა თქმა უნდა, ყველა მკითხველი ვერ ახერხებდა და დღესაც ვერ ახერხებს მხატვრულ ქსოვილში პიკანტური აქცენტები არ წამოწიოს წინა პლანზე და ამით, კაცმა რომ თქვას, ამ ეპიზოდის მნიშვნელობა არ დააკნინოს, იმის ნაცვლად, რომ თვით ჯოისისეული მეოცე საუკუნის ბლუმიზმის ტრაგი-კომიკური პარაბოლა დაინახოს.

1. **ბევრჯერ, ხშირად, ძალიან ხშირად** — დედანში ნახმარი შექსპირისეული გამოთქმა Many time and oft „ვენეციელი ვაჭრის“ აშკარა ალუზიაა: „ჩემო ბატონო, ბევრჯერ, ხშირად, ძალიან ხშირად გაგილანძღივართ რიალტოზე, ვახშს რად იღებო“ (მოქ. 1, სურ. 3, თარგ. ვ. ჭელიძის).

2. მ(ისი) უ(დიდებულესობის) გ(ემი) ლამაზი კუნძული.

3. **... და ცხოვრობდნენ თავისთვის არხეინად— თავისებური** ორმაგი ალუზია: შექსპირის კომედიაში „აურზაური არაფრის გამო“ ლეონატოს კითხვაზე — „მაშ ჯოჯოხეთშიც კი მიდიხარ?“ ბეატრიჩე პასუხობს: „არა, მხოლოდ ალაყაფის კარამდე: იქ დამხვდება ძველი რქოსანი ეშმაკი და მეტყვის: „წადი ზეცაში. აქ თქვენთვის, ქალწულებისთვის, ადგილი არ არის!“ მაშინ ჩავბარებ **მას** მაიმუნებს და წმინდა პეტრესთან გავსწევ ზეცაში. ის მაჩვენებს, სადა სხედან უქმრონი და უცოლონი და იქ ვიცხოვრებთ ჩვენთვის არხეინად“ (მოქ. 2, სურ. 1, თარგ. გ. გაჩეჩილაძის). ეს შექსპირისეული ფრაზა, თავის მხრივ სახარების ალუზიას შეიცავს: „რამეთუ რაჟამს მკუდრეთით აღდგნენ, არცა იქორწინებოდიან, არცა გაჰქორწინებდნენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა...“ (მარკოზი, 112:5).

4. **ფლორა მაკფლიმზი** — ამერიკელი იურისტისა და პოეტის უილიამ ელან ბატლერის (1825-1902) თავის დროს ამერიკასა და ინგლისში პოპულარული ლექსის „ჩასაცმელი არ გააჩნია“ პერსონაჟი, რომელიც მოდით უზომო გატაცებამ საბოლოოდ უსახსრებოდ დატოვა.

5. **ფრჩხილებიც დაეკრა** — გავრცელებული ცრურწმენა, რომელიც აღწერილი აქვს ოსკარ უაილდის დედას, ლედი უაილდს (პოეტი სპერანზა) თავის წიგნში „მკურნალობა, შელოცვები და ადათები ძველ ირლანდიაში“ (1890). ასევე, ხუთშაბათი, ანუ იუპიტერის დღე გაბედული ქმედებების დღედ იყო მიჩნეული.

6. (ფრ.) პატარა

7. დუბლინის სამების კოლეჯი

8. **მამრთა შორის მამრი...** — სემუელ ველენტაინ კოულის (1851-1925) სენტიმენტალური ლექსის „ლინკოლნი“ რემინისცენცია.

9. **ნაკიანი წელიწადი** — ტრადიციულად ნაკიან წელიწადს ქალს უფლება ჰქონდა თავად შეეთავაზებინე ქორწინება.

10. **დოქტორ ფელის ცნობილი შემთხვევა იყო** — იგულისხმება ის შემთხვევა, როცა სატირიკოს ტომას ბრაუნს (1663-1704) ოქსფორდის ქრისტეს ტაძრის კოლეჯიდან გაძევებით დაემუქრა ტაძრის მოძღვარი, შემდგომში ოქსფორდის უნივერსიტეტის ეპისკოპოსი, ლიბეალურ მოაზროვნეთა მდევარი ჯონ ფელი (1625-1686), თუ ბრაუნი ექსპრომტად არ შეთხზავდა მარციალის 1.32 ეპიგრამის ახალ ვარიანტს, რაზეც ბრაუნმა უპასუხა:

> მე არ მიყვარხარ დოქტორო ფელ,
> არ ვიცი რატომ ან რისთვის გკბენ,
> მხოლოდ ნამდვილად ვიცი, რომ შენ
> მე არ მიყვარხარ დოქტორო ფელ,

11. **მითხარი, მერი...** — ჯ. ა. ჰოდსონის სენტიმენტალური სიმღერის სიტყვები.

12. მიშელის არიის რეფრენი ირლანდიელი კომპოზიტორის მაიკლ უილიამ ბელფის ოპერიდან „როშელის ალყა“.

13. ირლანდიური მელოდრამატული ოპერეტის „კილარნის შროშანი“ დუეტის სიტყვები.

14. **ნეტარ ანგელოზთა დასის თვალი** — „ჰამლეტის“ მე-5 მოქ. პირველ სურათში ლაერტი მიმართავს პასტორს, რომელიც უარს ამბობს თავისმკვლელ ოფელიას სრული წესი აუგოს:

„შენ კი, მამაო ულმობელო, მე ამას გეტყვი: ჩემი ნეტარი და ანგელოზთა დასში იქნება, შენი ხვედრი კი ჯოჯოხეთში კბილთა ღრჭენაა“.

15. **მარტინ ჰარვი** — სერ ჯონ მარტინ ჰარვი (1863-1944), მსახიობი და თეატრალური პროდიუსერი, რომლის გასტროლები ირლანდიაში საუკუნის დასაწყისში წარმატებით ტარდებოდა, მაგრამ 1910 წ. წარმოდგენილი შექსპირის „რიჩარდ მესამეს“ ირლანდიელმა ნაციონალისტებმა უსტვინეს, რადგან დუბლინში მხოლოდ ეროვნული პიესების დადგმას მოითხოვდნენ.

16. **... ერთნაირად სცმოდათ როგორც იმ პიესაში დებს** — იგულისხმება ჯეიმზ ელბერის (1838-99) სენტიმენტალური კომედია „ორი ვარდი“, რომელშიც დები ერთნაირად იცვამენ.

17. (ფრ.) ნოღა, აპრეხილი ცხვირი

18. **... რაც შეუცოდავთ სხვებს მის მიმართ** — შექსპირული ალუზია: „მე კი იმდენი შეცოდება არა მქონია, რაც შეუცოდავთ სხვებს ჩემს მიმართ“ („მეფე ლირი“, მოქ. 3, სურ. 2, თარგ. ვ. ჭელიძის).

19. (ლათ.) ილოცე ჩვენთვის

20. **ორმოცსაათიანი თაყვანისცემა** — ანუ „ლოცვა თაყვანისცემისას“, რომელიც გრძელდება ორმოცი საათის განმავლობაში (ქრისტეს საფლავში წოლის დრო მის აღდგომამდე). ეს ლოცვის რიგი არ არის აუცილებლად აღდგომის დღეს შესასრულებელი. იყო ასეთი ცდაც, რომ ორმოცსაათიანი ლოცვა აღევლინათ რამდენიმე ეკლესიაში, როგორც ერთმანეთის გაგრძელება.

21. (ფრ.) „სურათი, ხედი“. ამავე დროს, სალონური თამაში, რომლის დროსაც ერთნი გამოცანის სახით გარკვეულ პოზებს იკავებენ, ხოლო მეორენი მის გამოცნობას ცდილობენ.

22. იგულისხმება თომა აქვინელის საგალობელი Tantum ergo sacramentum (ლათ. ესე არს დიადი იდუმალება), რომელსაც გერტი იქვე არასწორად მარცვლავს, როდესაც საგალობლის ტაქტს ფეხს ააყოლებს.

23. (ლათ.) მიეც მათ ზეციური პური.

24. (ფრ.) გაუთვალისწინებელი დაბრკოლება.

25. (ლათ.) „აქეთ უფალი, ხალხნო ყოველნო“. (ფსალმუნი 116).

26. გერმანელი კომპოზიტორის ჯაკომო მეიერბეერის (1791-1864) ოპერა „ჰუგენოტების“ რემინისცენცია.

27. (ესპ.) „საღამო მშვიდობისა, სენიორიტა. კაცს უყვარს ლამაზი ახალგაზრდა ქალი“.

□ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილის წინანდელი საფლავი მიტოვებულია. ძალიანადაც რომ ეძიოთ, თურმე ვეღარ იპოვით მას. მისი ეხლანდელი სამარე კი არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი სამარისაგან...

ბარათაშვილმა როგორც ბუნებით დაბადებულ მგოსნებმა, იმთავითვე დაიმონა ფორმის სიძნელე და გახდა ბატონი თავისი სტილისა, რომელსაც შემდეგ დროთსვლასთან ერთად ასწორებდა და აშალაშინებდა.

ლიტერატურაც ისეა, როგორც დღის მოძრაობა. მას აქვს თავისი განთიადი, თავისი შუადღე, თავისი საღამო, და ღამე. ყოველ მომენტს ესაჭიროება თავისი პალიტრა: განა შუაღამეს არა აქვს თავისი განსაკუთრებული სილამაზე, როგორც მაგალითად მზის ამოსვლას? განა სისხლის ფრად წითელი მზის ჩასვლისას არ გხიბლავთ იმგვარივე იდუმალი ფერები, როგორც მზის ამოსვლის დროს? ყველა ეს ფერები, რომლებიც ენთებიან და იღვრებიან დიდი დღის ალმურში, ეს სხივებით გაკვეთილი ფანტასტიური ღრუბლები, ჰაეროვან ბაბილონის ნანგრევებათ რომ გვეჩვენებიან, განა იმათში ნაკლები პოეზიაა? განა შეიძლება ვინმემ უარყოს ბარათაშვილის „შემოღამება“ ისე, როგორც „მერანი“ მზით დამწვარ ცხელ უდაბნოში? ეს დრო ჩვენს ლიტერატურაში არ დადგება;

ბევრი მგოსანთაგანი, რომელიც კი არის ღირსი ამ საღვთო სახელის ტარებისა, სამწუხაროდ, ჩვეულებრივათ იმით კმაყოფილდება, რომ შეაქვთ ლექსებში სინათლე, ფერები და მუსიკა, მაგრამ ძალიან ძვირად ღვრიან მასში იმ საიდუმლოების წვეთებს, რომელიც ასე უხვადაა დაფრქვეული ბარათაშვილის ლექსებში. უფრო ბევრი დიდის სიამოვნებით იკალათებს მეფისტოფელის კოჭლ ფეხებთან, მაგრამ თვით მათში კი არ სუფევს ბოროტი სული, წინამძღვრად მოხმობილი, მოიგონეთ სამაგიეროთ ის ბოროტი სული, რომელიც შეჭრილია ბარათაშვილის არსებაში... ეს ისეთი ლექსია, რომ თვით ფაუსტი თავის საკანში ძველებურ წიგნებითა და ალქიმიკურ იარაღებით მუდამ შეიყვარებს ბარათაშვილს, როგორც თავის სიყმაწვილის მეგობარს.

---

* გ. ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები“, თხზ., XII ტ. 1975 წ.

წაიკითხეთ ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პროუმტკიცობას“, რომელშიდაც ბარათაშვილის სული ოცნებობს ქალის მშვენიერ სულზე... ქალის მშვენიერი სული ელანდება ბარათაშვილს მეორე ლექსშიაც „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო შავთვალებიანო“. ამ ლექსებში, ამ შავ ლაბირინტში, შორს დაუსრულებელ სილაჟვარდეში მოსჩანს სათაყვანებელი ლანდი ბეატრიჩესი, მუდმივად სასურველი და მუდამ მიუღწეველი იდეალი, ციური, ღვთაებრივი სილამაზე, ჰაეროვანი, უსხეულო ლანდი შორეულ ქალს, შექმნილი სინათლისა, ალის და სურნელებისაგან, ღრუბელი, ოცნება, ანგელოსთა ქვეყნის ანარეკლი. ამ ქალს ბარათაშვილის ლექსში არა აქვს სახელი, მაგრამ შეიძლება განა ამ ბეატრიჩეში, ამ ლაურაში დავინახოთ რომელიმე ქალწული, ან ახალგაზრდა ქალი, რომელიც მხურვალე გრძნობით უყვარდა მგოსანს სინამდვილეში? ბარათაშვილის ბიოგრაფები ამის შესახებ არაფერს არ გვეუბნებიან, მაგრამ ამ აზრის დადებითად მიღება ძალიან რომანტიული იქნებოდა...

როდესაც იგი მთაწმინდაზე ადიოდა, მისი სული ჰგავდა მთვარეს, რომელიც თანდათან ფითრდებოდა, იმან გაიარა თავისი მარტოობის გზა, გაიარა მოწყენილს შეღამებულს დროს, როდესაც ბედნიერებას სძინავდა და სცხოვრობდნენ მხოლოდ აჩრდილები, ჭოტები და ცოდვები.

რაც შეეხება მის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ შეხედულებებს, მას ძლიერ ბევრი საერთო ჰქონდა ედგარ პოსთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

საით მიდის ქართველი ერი?

გურამ ფანჯიკიძის თაოსნობით სამჯერ ჩატარდა შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი. სექტემბერში აპირებდა ჩაეტარებინა მეოთხე პლენუმი, სადაც უნდა წაეკითხა ეს მოხსენება. მოხსენება იბეჭდება უცვლელად.

●

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს მეოთხედ შეიკრიბა შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი, რომელსაც შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლების გარდა ესწრებიან კულტურის სამინისტროს, ტელევიზიისა და რადიოს, ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და სხვა კულტურული ორგანიზაციების წევრები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ წინა სამმა გაერთიანებულმა პლენუმმა საკმაოდ კარგი შედეგები მოგვცა. ისინი თქვენთვის ცნობილია და აქ მათი შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. უნდა ვთქვა ოღონდ, რომ დადგა დრო გაერთიანებულმა პლენუმმა უფრო ფართოდ და მასშტაბურად იმოქმედოს, უფრო გაბედულად წარმოსახოს ის გზები და საშუალებანი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული სასიცოცხლო პრობლემები.

იქნებ დღესვე დავსვათ საკითხი და არამარტო დავსვათ, პრაქტიკულადაც გადავწყვიტოთ, გამოვცეთ ერთიანი გაზეთი, სადაც არა მხოლოდ ტრიბუნიდან ლაპარაკისა და მსჯელობის დონეზე, არამედ ოფიციალურად ვიმსჯელებთ მრავალ სასიცოცხლო პრობლემაზე, რომელთა გადაუწყვეტელობა სრულ განადგურებამდე მიიყვანს ქართველ მწერლებს, ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ესე იგი, განადგურებამდე მიიყვანს ქართველ ერს.

ჩემი აზრით, გაზეთი უნდა გამოვიდეს კვირაში ერთხელ, ხოლო მის სარედაქციო კოლეგიაში უნდა შევიდეს ყოველი შემოქმედებითი კავშირის ორი წარმომადგენელი.

ამ ტიპის გაზეთი საშუალებას მოგვცემს ცალ-ცალკე და ერთმანეთისგან იზოლირებულად კი არ ვიმსჯელოთ იმ გასაჭირზე, რაც თავს დაგვატყდა ყველა შემოქმედებით კავშირს, არამედ ერთიანად, მასშტაბურად, ურთიერთკავშირში განვიხილოთ ყველა საერთო პრობლემა და ყველა საერთო უბედურება. ყოველ ცალკეულ დარგს, ბუნებრივია, თავისი მკვეთრად გამოხატული

თავისებურებანი აქვს, მაგრამ ჩვენი გასაჭირის ამოსავალი წერტილი, მისი გამომწვევი მიზეზები საერთოა, საკითხი ჯერ სწორედ პრინციპულად უნდა გადაწყდეს. ცალკეულ ნიუანსებზე შემდეგ უნდა იყოს მსჯელობა.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრის თემა, ვფიქრობ, ძალზე შთამბეჭდავია და დამაფიქრებელი.

„საით მიდის ქართველი ერი?" — აი, რაზე გვექნება დღეს ჩვენ მსჯელობა.

მართლაც და საით მიდის ქართველი ერი?

ამ ათიოდე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ საქართველოს დამოუკიდებლობას მოიპოვებდა.

და აი, ბოლოს და ბოლოს ახდა ქართველი კაცის ოცნება, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

არ დამავიწყდება მაშინდელი საყოველთაო აღმაფრენა, ადამიანების სიხარულით გაბრწყინებული სახეები, იმედით და რწმენით ავსებული თვალები.

გულწრფელად მეგონა, ახლა კი ეშველა ქართველ მწერლებს, ქართულ კულტურას, რომელმაც თავი დაიხსნა კომუნისტური იდეოლოგიისაგან, კომუნისტური ცენზურისაგან. ახლა კი დადგა დრო, როცა მსოფლიოს წინაშე წარვსდგებით არა როგორც საბჭოთა მწერლობისა და საბჭოთა კულტურის (ანუ რუსული მწერლობისა და რუსული კულტურის) წარმომადგენლები, არამედ, როგორც საქართველოს მწერლობისა და ხელოვნების წარმომჩენნი, საკუთარი ერის შვილები, დადგა დრო, როცა ქვეყანა გაიგებს, რომ არსებობს საქართველო, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიისა და კულტურის პატრონი ერი, რომელმაც შექმნა იმ დონის კულტურული ღირებულებანი, გვერდით რომ დაუდგება მსოფლიოს უდიდეს კულტურულ მონაპოვრებს.

მოვიპოვეთ თავისუფლება და ყველაფერი ერთმანეთში აირია, უმალვე დაიკარგა ეროვნული, კულტურული და ზნეობრივი ორიენტირები. მისი ადგილი ნტკიცედ დაიმკვიდრა ბაზარმა, დოლარმა, ნებისმიერი გზით გამდიდრებისაკენ საოცარმა სწრაფვამ.

ერთმანეთში აირია გაუმაძღრობა, უნამუსობა, სულსწრაფობა, სიხარბე.

ბუნებრივია, როცა ერთი წყობა დაინგრევა და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფო შენდება, გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას, ქვეყანაში მეფობს უწესრიგობა და განუკითხაობა. დიდი გასავალი მიეცა ავტომატს, ძარცვა-გლეჯას, მკვლელობებს, შანტაჟს, დაშინებას, დღისითმზისით ყაჩაღობას. ეს მარტო საქართველოში არ მომხდარა. მსგავსი მოვლენები ყველა სახელმწიფომ განიცადა, საღაც კი ამდაგვარი სიტუაციები შეიქმნა.

კერძოდ, რა იყო ეს ქარბორბალა, ასეთი სიმძაფრით რომ დაატყდა თავს ქვეყანას?

პირველი: საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან თავის დახსნა და დამოუკიდებლობის მოპოვება თავისთავად იყო დიდი შოკი, რომელიც მთლიანად ჯერ არც კი აღგვიქვამს.

მეორე: მოვიპოვეთ არამარტო დამოუკიდებლობა, არამედ რამდენიმე დღეში გავაცამტვერეთ სახელმწიფოს სოციალისტური წყობა და კარი ფართოდ გაეუხსენით კაპიტალიზმს. ეს არანაკლებ დიდი შოკი იყო.

მესამე: საბჭოთა დოქტრინის, კომუნისტური დოგმებისა და ულმობელი ცენზურის შემდეგ ხალხმა მოიპოვა სიტყვის თავისუფლება, ესეც არანაკლები შოკი იყო, რაც ასე მშვენივრად გამოჩნდა ჩვენს წითელ, ყვითელ თუ მწვანე პრესაში.

მეოთხე: თუ უწინ საზღვარგარეთ გამგზავრება ბევრისთვის ძნელად ხელმისაწვდომი, ხოლო უმრავლესობისათვის საერთოდ აუხდენელი ოცნება იყო (გავიხსენოთ სათანადო ორგანიზაციების რეკომენდაციები, პროტექცია, ქრთამი, გამგზავრების მსურველი პიროვნების ყოველგვარი შემოწმება უშიშროების ორგანოებში), უცებ გაიხსნა ქვეყნის

ყველა კარი. მარტო ნახევარ მილიონამდე ქართველმა მიაშურა სხვადასხვა ქვეყანას, სამუშაოდ, სასწავლებლად, მუდმივ საცხოვრებლად.

მეხუთე: დაკანონდა, ანუ კანონიერ ფულად იქცა გუშინ უკანონობით, ხალხის ღლეტვით, სახელმწიფოს ძარცვით მოპოვებული ფული. ცნება საქმოსანი — საქმიანმა კაცმა შეცვალა, სპეკულანტი — ბიზნესმენმა და ა. შ. გუშინდელი ქურდი და ფალსიფიკატორი დღეს საპატიო ბიზნესმენად იქცა. მათ ხელშია დღეს ეკონომიკის სადავეები, ბიზნესი, პრივატიზებული ობიექტები.

დიდი პატრიოტული მოწოდებებით და საშვილიშვილო იდეებით მთავრობაში თუ პარლამენტში მოხვედრილი ხალხი ათასგვარი გაუმართლებელი კრედიტებითა და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციებით თვითონ იქცნენ ჯერ კიდევ ფეხზე ვერწარმომდგარი სახელმწიფოს დამანგრევლებად, უკეთეს შემთხვევაში წინსვლის მძლავრ მუხრუჭებად.

საბჭოთა კავშირის შემდეგ ჯერ საბჭოთა ბანკებმა და შემნახველმა სალაროებმა ჩასცა ლახვარი მოსახლეობას. მათ სოკოებივით მომრავლებული ქართული ბანკებიც არ ჩამორჩნენ. უკანასკნელ კაპიკამდე გაატყავეს და გაყვლიფეს ისედაც სიღატაკისათვის განწირული ხალხი. როცა ტელევიზიასა და პრესაში ამ ბანკების რეკლამებსა და დაპირებებს ბოლო არ უჩანდა, სახელმწიფოს მესვეურთაგან არავის მოსვლია აზრად ხალხი გაეფრთხილებინა, აფერისტების ანკესზე არ წამოეგოთო.

ხალხს გული გაუტყდა, რწმენა დაკარგა, რომ ქვეყნად არსებობენ თითოოროლა, მაგრამ მაინც არსებობენ პატიოსანი, ერისა და ქვეყნის ბედზე დაფიქრებული ადამიანები. საქართველო იქცა უზარმაზარ ბაზრად, სადაც იყიდება ყველაფერი — კაცობის, სინდისისა და ნამუსის ჩათვლით.

რასაკვირველია, არ არის ეს მარტო ქართული მოვლენა, რასაკვირველია, შეგვიძლია მოვიშველიოთ აკადემიკოს გენადი ოსიპოვის აზრი, რომ „რუსეთის მთავრობას აქვს ერთადერთი იდეა — ბაზარი", მაგრამ ეს ბაზარი არ შეცვლის.

მაინც რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში? ძალიანაც რომ გინდოდეს, ანალიზს ვერ გააკეთებ. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მიუწვდომელია ის მონაცემები, ქვეყნის დღევანდელ სურათს ზუსტად რომ დახატავდა და სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას მოგვცემდა. ისღა დამრჩენია, სხვა რომელიმე ქვეყნის, თუნდაც რუსეთის დღევანდელი დღის სურათი მაინც დაგიხატოთ, რომ მოვლენების მსგავსებიდან გამომდინარე, უბრალო ანალიზი მაინც გავაკეთოთ, რა ხდება დღეს საქართველოში.

აი, ზოგიერთი მონაცემიც: რუსეთის მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს სიღატაკის ზღვარზე. ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში იკლებს ნახევარი მილიონით. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 75-წლიდან ბოლო ხუთ წელიწადში ჩამოვიდა 65 წლამდე. ყოველ წელს ხდება 45 ათასი კრიმინალური მკვლელობა და 65 ათასი თვითმკვლელობა. თვითმკვლელთა 30 პროცენტს პენსიონერები შეადგენენ. დაღუპულთა შორის არ ითვლებიან ისინი, ვინც ეგრეთწოდებულ „ცხელ წერტილებში" იხოცებიან.

არანაკლებ საინტერესოა სხვა ფაქტებიც: მთელი რუსეთის კაპიტალის 70-80 პროცენტი თავმოყრილია მოსკოვში. მოსკოვის 10 უმსხვილესი ბანკი აკონტროლებს ქვეყნის მთლიანი წარმოების 75 პროცენტს. ახლა კი, ძვირფასო მეგობრებო, ძალიან გთხოვთ, გაანალიზოთ ერთი ფაქტიც: რუსეთის 200—300 ოჯახის ხელშია გრანდიოზული რუსეთის ეროვნული საკუთრების 60 პროცენტი. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური ძალაუფლება ხელთ უპყრია, აკადემიკოს გ. ოსიპოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არა ზედა ფენის ათი ათას კაცს, არამედ ათასს". („ლ. გ." № 29, 16. VII, 97).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? ვითომ უკეთ გვაქვს საქმე? იქნებ ვინმე ან რომელიმე ორგანიზაცია, თუნდაც პარტია არის დაინტერესებული, შეისწავლოს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა?

დიახ, ჩვენი პლენუმის თემაა „საით მიდის ქართველი ერი“?

სხვათა შორის, ამ რამდენიმე ხნის წინ რუსეთშიც ჩატარდა მწერალ ვლადიმერ მაქსიმოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღეები. ამ დღეების მთავარი თემა იყო „რუსეთი დღეს, სად მივდივართ და რა გველოდება?“

როცა დიდი რუსეთია შეშფოთებული თავისი ხვალინდელი დღით, მით უმეტეს ჩვენ გვმართებს ხელი გამოვიღოთ, სიტუაცია ყოველმხრივ შევისწავლოთ, ყველაფერი ავწონ-დავწონოთ.

დღეს საქართველოში სტაბილური მდგომარეობაა — გაიგონებთ ყველგან. მართლაც გვაქვს საამაყო. ქართველი ხალხი ძალიან მალე მოეგო გონს, ძალიან სწრაფად გამოვიდა ეიფორიიდან, გააკეთა სწორი არჩევანი. თავშიც ვთქვი და კვლავაც ვიმეორებ, რომ გარდამავალი პერიოდი ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორეში გადასასვლელად, ძველის ნანგრევებზე ახლის ასაშენებლად სირთულეების გარეშე არ ჩაივლის. მთავარია, დროზე დაასრულო ეს პერიოდი, მთავარია დროზე დავიჭიროთ და მოვზიდოთ ყველა აღვირი, რათა ქვეყანამ შესძლოს წელში გასწორება, მომავალი გზის უშეცდომოდ განსაზღვრა და სწრაფი წინსვლა.

დიახ, ჩვენში სწრაფად და მტკიცედ იქნა მიღწეული სტაბილიზაცია.

უპირველეს ყოვლისა ქვეყნის პრეზიდენტის, მისი გამჭრიახობის, ფანტასტიური ენერგიის, უზარმაზარი გამოცდილების, შორსმჭვრეტელობისა და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოში სტაბილიზაციაა, რომ დღეს არამარტო მოგებულია საინფორმაციო ომი, არამედ საქართველოსა და მის სახელმწიფოებრიობაზე ნათელი წარმოდგენა აქვთ და მის მიმართ სრულიად გარკვეული პოზიცია უკავიათ „აქეთის“ და „ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა ამერიკა, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, ირანი, თურქეთი და მრავალი სხვა. პრეზიდენტის დამსახურებაა, რომ ღღეს ასე თუ ისე, სულს ითქვამს ჩვენი მწერლობა და ხელოვნება.

მაგრამ სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ეს ესაა ფეხის ადგმას აპირებს, ბრავალი ისეთი პრობლემა ჩნდება, რომელსაც ვერც პრეზიდენტი, ვერც პარლამენტი და მთავრობა ვერ გადაჭრის, თუ მოახლოებული საფრთხე მთელმა ხალხმა, ყოველ შემთხვევაში ერის მაქსიმალურმა უმრავლესობამ მაინც არ შეიგრძნო, დიახ, დღეს სტაბილურობაა ჩვენს ირგვლივ, მაგრამ ხშირად ზოგიერთ სფეროში ეს სტაბილურობა ძალზე საშიშ სახეს იღებს. სტაბილურად ყალიბდება, ფართოვდება და ძლიერდება მაფიოზური კლანები, სტაბილურად იზრდება კორუფცია. ვერავითარი თანამდებობიდან გადაყენება ან თუნდაც დაპატიმრება ვერ შველის საქმეს. ვინაიდან აპატიმრებენ წვრილფეხებს და ვერაფერს აკლებენ მთავარ წამგლეჯებს. სტაბილურად, დაუფარავად და უსინდისოდ იყვლიფებიან ადამიანები, ისინი ეწირებიან მაფიოზთა ურთიერთბრძოლას, შემოტანილ პროდუქტზე ფასებით მანიპულირებას, ფალსიფიცირებულ პროდუქტებს, ხელოვნურად გამოწვეულ კრიზისებს.

ზემოთ მე რუსეთის მაგალითები მოვიყვანე. ჩვენში კი იანგარიშა ვინმემ, რამდენმა პენსიონერმა მოიკლა თავი ან რამდენს შიმშილით ამოხდა სული? იანგარიშა ვინმემ, რამდენმა უმუშევარმა და სასოწარკვეთილმა ახალგაზრდამ მოისწრაფა სიცოცხლე? იანგარიშა ვინმემ, რამდენი მოსარჩენი ავადმყოფი დაიღუპა იმის გამო, რომ წამლის საყიდელი და ექიმის გამოსაძახებელი ფული არ ჰქონდა?

რომელიმე ორგანიზაცია ან სოციოლოგიური ჯგუფი გაგვაცნობს აზრს, კონკრეტულად ვინ არიან ის პიროვნე-

ბანი, რომელთა ხელში თავს იყრის მთელი ქართული ეროვნული სიმდიდრე? იქნებ დაგვისახელონ ის პიროვნებანი, რომლებიც გარკვეულ დარგებში ებრძვიან მონოპოლიისათვის? ვის ეკუთვნის ის სასახლეები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თბილისსა და თბილისის გარეუბნებში რომ შენდება აშკარად, მოურიდებლად და უტიფრად? ვინ არიან ის ადამიანები, ვინც არად აგდებენ ხალხის საყოველთაო გაჭირვებას, 12—14 წლის ქალიშვილების მეძავთა ჯგუფებში ჩართვას, ბიჭუნების გამათხოვრებას, რომლებიც ვიღაცის ხელმძღვანელობით მტკიცე გრაფიკით ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა ცნობილი რესტორნის წინ. რა უნდა გაიზარდოს მათგან? ქვეყანას ეზრდება უთავმოყვარეო, გამათხოვრებული, ზნედაცემული თაობა, რომლის ყოველი წარმომადგენელი შეიძლება სისხლის სამართლის დამნაშავედ იქცეს, რა გველის მაშინ, როცა დაუდგებათ ისეთი ასაკი, მამებისაგან რომ უნდა გადაიბარონ სამშობლოს მოვლა-პატრონობის საქმე?

კაპიტალიზმი მკაცრი, დაუნდობელი წყობაა. ბევრ სიკეთესთან ერთად მას ბევრი უარყოფითი თვისება ახასიათებს. იგი ხელს უწყობს პროგრესს, წარმოების აყვავებას, დოვლათის დაგროვებას, მაგრამ თვით უმდიდრესი ადამიანიც კი განიცდის დაძაბულობას, რადგან არ შეიძლება ყურადღება ერთი წამით მოადუნოს, არ შეიძლება ყოველდღიურად არ ებრძოდეს კონკურენციას. ეს ბრძოლა კი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში პატიოსნებაზე და კანონებზეა დამოკიდებული, ჩვენში კი კაპიტალიზმის დამკვიდრება ხდება მოტყუებით, ქურდობით, მკვლელობით, დატაცებით, პარტნიორის გაწირვით, „გადაგდებას“ რომ ეძახიან. გავლენის სფეროს ნებისმიერი ხერხით მოპოვებით, კორუფციით, შანტაჟით.

ერთი სიტყვით, საქართველოში (ალბათ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირშიც) მკვიდრდება კაპიტალიზმის უმახინჯესი ფორმა, რომელსაც შეიძლება დაერქვას სოციალისტური კაპიტალიზმი.

დიახ, სოციალისტური კაპიტალიზმი! ვერა და ვერ შევეშვით ამ სოციალისტურს, უწინ გვქონდა სოციალისტური რეალიზმი, ახლა გვაქვს სოციალისტური კაპიტალიზმი.

ეს ერთი მხარეა ჩვენი ცხოვრებისა. ეკონომიკას ადრე თუ გვიან ეშველება, ენერგეტიკასაც ეშველება, სოფლის მეურნეობაც ფეხზე დადგება, სოციალისტური კაპიტალიზმიც ნელ-ნელა, ალბათ ნამდვილ კაპიტალიზმში გადაიზრდება, მაგრამ არის დარგები, არის სფეროები, რომელთა შეცვლა უკვე თითქმის დაგვიანებულია და თუ დღეიდან მაინც არ დავიწყეთ მათი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, თუ დღესვე არ გავითვალისწინეთ ერის არსებობისათვის რა შედეგები მოჰყვება ამ მიმართულებით სახელმწიფოს უყურადღებობას, ამას მთელი სიღრმით მაშინ შევიგრძნობთ, როცა აღარაფრის შველა აღარ შეგვეძლება.

მე მხოლოდ ოთხ უმნიშვნელოვანეს სფეროს გამოვყოფ, ესაა ქართული ენა, დემოგრაფია, განათლება და კულტურა.

მართალია, პრეზიდენტის ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული ენის პალატა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ქართული ენის ნორმების დადგენას და მხოლოდ სწორი ქართულით ლაპარაკს არ ვგულისხმობ. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, საქართველომ უპირველესად ის რაიონები დაკარგა, სადაც ქართულმა ენამ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, სადაც ქართულმა ენამ დათმო პოზიცია. ახლა ისიც გავიხსენოთ, საქართველოში რამდენი რაიონია ისეთი, სადაც აქაიქ. კანჩიკუნჩად თუ გაიგონებ ქართულ ენას. არის ერთი სომეხი პოეტი ფელიქს ბალჩინიანი, რომელმაც საქართველოს სადღეგრძელოს შესმის დროს განაცხადა: საქართველო ეს მხოლოდ თბილისი და ქუთაისიაო. რაზომ? — ვკითხე მე, იმიტომ, გურამჯან, რომ აფხაზეთი წავიდა, ოსეთი წავიდა, აჭარა

ძიდის, მეგრელები ხომ ქართველები არ არიან, სამცხე-ჯავახეთი ხომ სასოძხეთია, გარდაბანი, მარნეული და ბოლნისი აზერბაიჯანიო... კიდევ უფრო უარესს ამბობს რუსი ხალხის „დიდი ბელადი“ ჟირინოვსკი, საქართველო სულ მალე აღარ იქნება, მის ტერიტორიას სომხები და აზერბაიჯანელები გადაინაწილებენო. რაოდენ სამწუხაროა და თვალში საცემი, რომ ჟირინოვსკის აფხაზ, სომეხ და სხვა ჯურის სეპარატისტებთან ერთად, ქართველებიც აფინანსებენ.

არ ცხრებიან სომეხი სეპარატისტები და მათი ჯგუფი, რომელიც მოსკოვშია თავმოყრილი. ისინი რუსეთის პრესის ფურცლებზე ხალხს ნელ-ნელა აგუებენ აზრს, რომ საქართველო იშლება, რომ საქართველოს უკვე გამოეყვნენ აფხაზები, ოსები, მეგრელები, აჭარლები, რომ სულ მალე იგივე ამბავი მოხდება სამცხე-ჯავახეთშიც, დიახ, სამცხე-ჯავახეთს სულ ბოლოში, მოკრძალებით მოიხსენიებენ ხოლმე. ამოცანა ნათელია: პოლიტიკური წრეებისა თუ საზოგადოების ყურს ნელ-ნელა უნდა შეაჩვიონ სამცხე-ჯავახეთი და თუ ოდესმე რამე მოხდა, საზოგადოებისათვის უცხო და მოულოდნელი აღარ უნდა იყოს სამცხე-ჯავახეთის პრობლემა. რას ვაკეთებთ ამ დროს ჩვენ? როგორ ვებრძვით დეზინფორმაციას?

ჩვენ თითქოს უპასუხოდ არ ვტოვებთ არაფერს, მაგრამ ჩვენს პასუხებს სამტრედიის იქით აღარ კითხულობენ. ჩვენს მიერ პიროვნულად გაგზავნილ წერილებს არც კითხულობენ, თორემ ლაბეჭდვაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

მინდა ვიკითხო, განა მთავრობა არ არის ვალდებული ჰქონდეს რაიმე იდეოლოგიური განყოფილება ან სექტორი, რომელიც სახელმწიფოებრივ დონეზე შეისწავლის ქართველ ერსა და საქართველოზე გამოქვეყნებულ პასკვილებს და ორგანიზაციას გაუკეთებს როგორც კვალიფიციური პასუხების დაწერას, ასევე მათ გამოქვეყნებას შესაბამის ფედერალურ თუ უცხოურ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში?

სამწუხაროდ, ჩვენ პირთა ვიბრძვით ამ ბინძურ შემოტევათა წინააღმდეგ, პირიქით, ხშირად ხელს ვუწყობთ ამ მოსაზრებათა დამკვიდრებას. მაგალითები თავზესაყრელადაა, მაგრამ ყოველი მათგანი თქვენც შესანიშნავად იცით და მათი მოსმენით დროს აღარ წაგართმევთ.

არ შეიძლება ადამიანს სამშობლოს ბედი გაღელვებდეს და ბოღმისაგან გული არ გაგისივდეს, დღევანდელი ქართველების უდარდელობას რომ ვუყურებ.

იქნებ ვცდები და ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდე, ასე მგონია, ქართველების 95 პროცენტს სულაც არ აღელვებს აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვა. ეს ომის დროსაც თვალნათლივ გამოჩნდა. აქეთ რომ ომში ბიჭები მიდიოდნენ სასიკვდილოდ, იქით დუბაიში და ფრანკფურტში მიმავალ ახალგაზრდებს სუფრები პირდაპირ მანქანის კაპოტებზე გაეშალათ და იყო შამპანურის ბათქაბუთქი.

ეს ამბავი ძალზე კარგად გამოიყენა არძინბამ და მისმა ხროვამ. ქართველებს არავითარი სურვილი არა აქვთ აფხაზეთთან ომისო, აცხადებდნენ ისინი ინტერვიუებსა თუ გამოსვლებში. ჩვენ მხოლოდ ქართველი სისხლის სამართლის დამნაშავეები და ნარკომანები გვებრძვიანო.

როგორ გგონიათ, დღეს მაინც აღელვებს ვინმეს ჩვენი სამარცხვინო მარცხი? არ მეგონა გული თუ არ გამისკდებოდა, აფხაზეთიდან ჩამოყვანილი მეომრების დასაფლავებაზე ნათესავების მეტი რომ არავინ მოვიდა.

სამწუხაროდ, შეურაცხყოფილნი აქაიქ თუ არიან ჩვენს საზოგადოებაში. ამიტომაც ვთქვი ბევრჯერ და ახლაც ვიმეორებ, ქართველმა ხალხმა დაკარგა ეროვნული თავმოყვარეობა. ახლა რომ ომი დაიწყოს, დარწმუნებული ვარ 95 პროცენტი მამაკაცებისა თვითონაც დაიმალებიან და შვილებსაც დამალავენ.

დღეს აღარავინ ფიქრობს მსხვერპლი გაიღოს სამშობლოსათვის. დღეს მხო-

ლოდ იმაზე ფიქრობენ, სასახლეები და აგარაკები როგორ აიშენონ, უძვირფასესი მანქანები როგორ შეიძინონ, ცოლშვილი ფლორიდაში როგორ დაასვენონ.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ, თუ პატიოსანი გზით ნაშოვნი ფულით ცხოვრობენ, მაგრამ როცა ისინი სამშობლოს ყიდიან იმისათვის, რომ უკანასკნელი მარკის მერსედესი იყიდონ, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ეროვნული იდეალები კი არა, ელემენტარული თვითშეგნების უნარიც აღარ გაგვაჩნია.

მეორე დიდი პრობლემაა დემოგრაფია.

რად გვინდა სამშობლო, თუნდაც აყვავებული და აღორძინებული, სადაც ქართველები აღარ იქნებიან. ალბათ ყველამ ვიცით, რომ მთლიანად საქართველოში შობადობა ორნახევარჯერ შემცირდა, თბილისში კი ოთხჯერ. ამას დაუმატეთ ნახევარ მილიონამდე ქართველი, რომელმაც სამშობლო მიატოვა. დაბრუნდებიან ისინი უკან? ეჭვი მეპარება, რომ ნახევარი მაინც დაგვიბრუნდება.

ყველა პირობაა დღეს საქართველოში იმისათვის, რომ შობადობა კვლავ შემცირდეს. ესაა ნარკომანია, დაუძლურებული ახალგაზრდობა, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელი თაობა, ყოველივე ამ საშინელებას ემატება გაჭირვება, უსუკმაპურობა, ლტოლვილობა, უბინაობა, გაჭირვებულები კი არა, ისინიც აღარ აჩენენ შვილებს, ქონება რომ თავზე გადასდით.

აქ მინდა გავიხსენო მექსიკელთა ეროვნული იდეა, დიახ, ეროვნული იდეა, რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებ. მექსიკელებმა მიზნად დაისახეს საუკუნის დასასრულისათვის 100 მილიონი გამხდარიყვნენ. მაშინ ისინი 60 მილიონი იყვნენ და შეიძლება ითქვას, რომ მექსიკელებმა წარმატებით გადაჭრის დასახული ამოცანა.

ჯერ კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინ დავწერე წერილი ქართველი ერის დემოგრაფიულ პრობლემებზე. დავხატე ძალზე სავალალო სურათი და ქართველებს მოვუწოდე 21-ე საუკუნეს, ძვეხვედროდით 4 მილიონი ქართველი. მაშინ ჩვენი რაოდენობა 3 მილიონ 350 ათასს აღწევდა. ის მოვლენებიც კარგად დავხატე, რა ელოდა ქართველ ერს, თუ გამრავლებისადმი კვლავ გულგრილი დავრჩებოდით.

როგორ გვონიათ, ჰქონდა რაიმე გამოხმაურება ამ მოწოდებას? მჯერა, რომ იყვნენ ცალკეული ადამიანები, ვინც გულთან მიიტანა ერის გამრავლების პრობლემა, მაგრამ ასეთ პრობლემას ვერ გადაჭრის ცალკეულ ადამიანთა, თუნდაც მეტისმეტი მონდომება და პატრიოტიზმი.

დღეს კი სიტუაცია მართლაც კატასტროფულია, არავითარი ან მხოლოდ სიმბოლური დახმარება მრავალშვილიან დედებს. იქამდეც დავედით, რომ სამშვილიანი დედა უკვე გმირ დედად ითვლება, მაგრამ სად არიან თუნდაც სამშვილიანი დედები?

მე დღეს მოხსენებით ისეთი აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ, რომ ზედმეტად მიმაჩნია მაგალითებით გავამძაფრო ჩემი სათქმელი. ყოველმა თქვენთაგანმა შესანიშნავად იცის, რა დღეშია ქართველი ერი.

იმ მრავალ უბედურებათა შორის, რომელიც საქართველოს სჭირს, კიდევ ერთი უბედურება მინდა გამოვყო. ესაა ქართველი ერის განათლების პრობლემა. მართლაც რომ უნიკალური ერი ვართ ქართველები. მსოფლიოში არ არსებობს ყოველ 1000 სულ მოსახლეზე იმდენი უმაღლესდამთავრებული, რამდენიც საქართველოში. მსოფლიოში არ არსებობს იმდენი უმაღლესი სასწავლებელი (ბუნებრივია მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად), რამდენიც საქართველოში და აი, კიდევ ერთი ახალი უბედურება — მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს იმდენი აკადემია და იმდენი აკადემიკოსი, რამდენიც საქართველოში. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ამ აკადემიკოსებმა იციან თუ არა წერა-კითხვა.

ნუთუ ჩვენი ქვეყანა, ქართველი ერი ვერ მომწიფდა იმისათვის, რომ ამ საშინელ პროვინციალიზმს ბოლო მოუღოს? მე უფლება მაქვს ჩემი მოსაზრება თამამად გამოვთქვა, ვინაიდან სამი აკადემიის აკადემიკოსი გახლავართ და ვერავინ დამწამებს, შური გალაპარაკებსო. იმასაც გეტყვით, ასე საჯაროდ პირველად გავამხილე ჩემი სამგზის აკადემიკოსობის ამბავი.

ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ დაფასდეს არა რეგალია, არა წოდება, არამედ საქმე, რომელსაც ადამიანი აკეთებს?!

უფროსი თაობა რაც არის, ეგ არის, აწი მას ბევრი აღარაფერი ეშველება, მაგრამ როგორ ვზრდით ახალგაზრდებს, როგორ ვზრდით და ვასწავლით მომავალ საქართველოს?

ამ სფეროშიც უნიკალური ხალხი ვართ ქართველები. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მშობლები ფულს იმიტომ იხდიან, რომ შვილებს ასწავლონ. საქართველოში კი ფულს იმიტომ იხდიან, რომ შვილებმა არ ისწავლონ!

არავინ იფიქროს მე სწავლის მეთოდებზე და განათლების სისტემის ორგანიზაციაზე მსურდეს საუბარი. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენთაგანი შეშფოთებულია ჩვენი ახალგაზრდობის განათლების დონით, ცალკეულ ახალგაზრდებზე არ ვლაპარაკობ, რომლებიც თვითონ იბრძვიან განათლების მისაღებად და საამაყო შედეგებსაც აღწევენ. აქ ლაპარაკია, როგორ შევდივართ ოცდამეერთე საუკუნეში, როგორი იქნება ჩვენი მომავალი თაობის განათლების დონე ამ ინტელექტუალურ საუკუნეში?

არის მეორე საშიშროებაც, ამასწინათ ერთი ჩვენი მინისტრი გამოვიდა ტელევიზიით და ბრძანა, ბოლოს და ბოლოს, რას ვითხოვთ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლისაგან? — ასწავლონ ბავშვებს ერთი უცხო ენა და კომპიუტერიო.

ხედავთ, მეგობრებო, თურმე უკვე ისტორიის კუთვნილებაა ჰარმონიულად განვითარებული, ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანი. ახლა გვჭირდება „ჰომო ფაბერი", ადამიანი მწარმოებელი! მაშ რალად ვკითხავ ასამშობლო, ან მშობლიური ენა, ან ჰიმნი და დროშა, თუ ადამიანი მხოლოდ რაღაც დიდ მექანიზმის ერთ უმცირეს დეტალად გვჭირდება, ხომ არ მივედით ისევ კომუნისტურ „ვინტიკთან"?!

აი, საიდან დაიდო სათავე მშობლიური მწერლობისა და ხელოვნების უგულვებელყოფამ, ნებისმიერი ერის და მითუმეტეს მცირერიცხოვანი ქართველი ერის ცხოვრებაში, შეინარჩუნო, იზრუნო და გადაარჩინო მწერლობა და ხელოვნება, ესაა ერთი უპირველესი პრობლემა, რომელიც სახელმწიფომ უნდა გადაჭრას, თუ უნდა, რომ გადაარჩინოს ერის სული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს მე აქ ისეთი აუდიტორიის წინაშე გამოვდივარ, რომ ზედმეტად მიმაჩნია ერის ცხოვრებაში მწერლობისა და ხელოვნების მნიშვნელობაზე ვილაპარაკო, მაგრამ ყოველივე ამას თქვენს განსაგონად კი არა, იმ ადამიანების გასაგონად ვლაპარაკობ, ვის ხელშიცაა ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვა.

რასაკვირველია, პირდაპირ არავინ უტევს ქართულ მწერლობასა და ხელოვნებას. მაგრამ როცა ისინი იშველიებენ საბაზრო ეკონომიკას და მოგვიწოდებენ, თქვენ თავს თქვენ თვითონვე მიხედეთო, სწორედ ეს პოზიციაა ქართული მწერლობისა და ხელოვნების მიმართ ბრძოლის გამოცხადება. არცერთ ქვეყანაში მწერლობასა და ხელოვნებას სახელმწიფო ბიუჯეტი არ ინახავსო, გაიძახიან ისე, თითქოს უცხოეთის სახელმწიფოების ფინანსური სტრუქტურის უწვრილმანესი ნიუანსები იცოდნენ.

ეროსასი სიმფონიური ორკესტრია აშერიკის შეერთებულ შტატებში, როგორ გგონიათ, ეს ორკესტრები თავისი შიმოსავლით ირჩენენ თავს?!

არცერთ მათგანს ბიუჯეტი არ ინახავსო! — ალბათ, უმალვე გვეტყვიან პასუხს.

მინდა განვაცხადო, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ბიუჯეტი ინა-

ხავს მათ, მუნიციპალიტეტი, თუ რომელიმე სახელგანთქმული ფირმა.

დიახ, მთავარი ის კი არ არის, კონკრეტულად ვინ ინახავს ან ვინ შეფობს ხელოვნების ამა თუ იმ დარგს, მთავარი ისაა, რომ სახელმწიფომ შექმნა მოქნილი საგადასახადო სისტემა, რომელიც კი არ აზარალებს, სტიმულს აძლევს ფირმებს თუ კომპანიებს, უზარმაზარი თანხები გაიღონ სამწერლო, მუსიკალური, თეატრალური თუ სხვა შემოქმედებითი კოლექტივებისა თუ ორგანიზაციების შესანახად.

რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ გულზე ხელდაკრეფილნი ვისხდეთ და მხოლოდ მთავრობას შევჩერებოდეთ. რასაკვირველია, ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სახელმწიფოს რაც შეიძლება მეტი შეღავათი მივცეთ, მაგრამ არის ისეთი დარგები, ისეთი ცალკეული კოლექტივები თუ ცალკეული წარმომადგენლები მწერლობისა და ხელოვნების ზოგიერთი დარგისა, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე მათი შემოქმედება თავიდანვე დასაღუპადაა განწირული.

მე აქ აღარ გავიხსენებ მაგალითებს, სადაც თვალნათლივ დავინახავთ, როგორ ზრუნავს ვთქვათ გერმანია გერმანელი მწერლებისათვის. გავიხსენებ მხოლოდ იმ კონცერტს პარიზში, რომელსაც დირიჟორობდა ჩვენი ჯანსუღ კახიძე. ღია ცის ქვეშ „გრანდ არკაში“ გაკეთებულ სცენაზე იდგა ათასი მუსიკოსი, ათასი მომღერალი, ხოლო დაახლოებით ათასმა კაცმა მოამზადა უზარმაზარი აუდიო სისტემა, რომ კონცერტი ერთდროულად მოესმინა 40 ათას კაცს. შეასრულეს ვერდის „რეკვიემი“, შეახსენეს ახალგაზრდებს, რომ დღევანდელი მოდური მუსიკის გარდა არსებობს დიდი კლასიკა და ეს უფასო კონცერტი პარიზის მუნიციპალიტეტს 6 მილიონი დოლარი დაუჯდა. მაგალითების მოყვანა ყველა ჩვენთაგანს შეუძლია და თავს აღარ შეგაწყენთ.

ეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც შესანიშნავად იციან, მაგრამ საკუთარ მწერლობაზა და ხელოვნებას ჭუჩაბზუებულნი უყურებენ, სრულიადაც არ აღელვებთ, რა მოჰყვება მათ გულცივობას.

რასაკვირველია, ქვეყანას ძალიან უჭირს. ალბათ, იმაზეც მადლობა უნდა ვთქვათ, რასაც ამ გაჭირვების ჟამს გვეხმარებიან, მაგრამ მთავარი ეს არაა. დიახ, გვესმის, რომ ქვეყანას უჭირს, მაგრამ უმთავრესი მაინც ხელისუფლების პოზიციაა. ისინი იმას კი არ ამბობენ, რა ვქნათ, რით დაგეხმაროთ, ხომ ხედავთ, ქვეყანა გასაჭირშია, იქნებ ამჯერად ამით გახვიდეთ იოლად, იქნებ მალე მრეწველობა ამუშავდეს და სახელმწიფო ფეხზე დადგეს, მერე ჩვენი სახელმწიფოებრივი მიდგომა მწერლობისა და ხელოვნების გადასარჩენად გაცილებით მასშტაბური იქნებაო. ასე რომ იყოს, კიდევ რა გვიშავდა, მაგრამ სწორედ პოზიცია რომ არის ჩვენს მიმართ მტრული, უტიფრად რომ გვეუბნებიან, სახელმწიფოს კისერზე აზიხართ და ხვალ თუ ზეგ საერთოდ ვეღარ მიიღებთ ვერცერთ კაპიკსო, ესაა უბედურება! უბედურებაა, რომ მათ არ იციან, ან არაფრად ენაღვლებათ, რა მოჰყვება საკუთარი კულტურის უგულვებელყოფას.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, საქართველოს პრეზიდენტი რომ არა, ისინი დიდი ხნის წინ, ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაწყისშივე შეასრულებდნენ თავიანთ განზრახვას.

არა და, ვინ გიცნობს, ვის დაკარგვიხარ, ვის რა წარმოდგენა აქვს ჩვენზე. საქართველო რა, მსოფლიოს თავისი პროდუქციით გააკვირვებს? რით შეუძლია მას წარდგეს პლანეტის ქვეყნების წინაშე? რით შეუძლია მან დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოს ინტელექტუალურ-კულტურულ რუკაზე?

ერთადერთი რამ. რითაც ჩვენ მსოფლიო შეგვიძლია ვაკვაოცოთ, ესაა უძველესი თუ დღევანდელი ქართული კულტურა, მწერლობა, ხელოვნება. ჩვენ კი

არა, გერმანია რომ გერმანიაა, იგი ჩვენთვის „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡᲐ“ და „ᲞᲝᲠᲨᲔ“ გაᲪᲝᲫᲕᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲡᲐ კი არაა, გოეთესა და ᲑᲔᲗᲰᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ. ჩვენც არც „მერსედესი“ გვაქვს, არც „პორშე“. ამას წინათ დემირელი რომ ჩამობრძანდა საქართველოში, იგი არ გაუკვირვებია ქართულ სამრეწველო ნაწარმს. იმ ერთმა კონცერტმა კი, მის საპატივცემლოდ რომ გაიმართა ოპერაში, დემირელი დაარწმუნა, რომ საქართველო მხოლოდ მესამე სამყაროს წარმომადგენელი ქვეყანა როდია, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალკულტურული ქვეყანაა, რომელთანაც სულ სხვა დონის პოლიტიკური და მეზობლური ურთიერთობაა საჭირო.

ბატონი ელდარ შენგელაია ესწრებოდა ქართველ ხელოვანთა კონცერტს გერმანიაში და მას შეუძლია დამიმოწმოს, რა რეზონანსი ჰქონდა ამ კონცერტს გერმანიაში, გენშერმა, რომელსაც სადღაც მიეჩქარებოდა, იკითხა, რამდენ ხანს გაგრძელდება კონცერტიო. იგი თითქოს კარგად იცნობდა საქართველოს, მაგრამ მსგავს ტრიუმფს ნამდვილად არ მოელოდა. კონცერტის შემდეგ მან, როგორც საქართველო-გერმანიის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა, ოთხი ინტერვიუ მისცა პრესისა და ტელევიზიის მუშაკებს, სადაც თავისი დიდი აღფრთოვანება გამოხატა.

რასაც ახლა თქვენ ისმენთ ძვირფასო მეგობრებო, ყველა თქვენთაგანმა კარგად იცის, ნათქვამია, მულო შენ გეუბნებიან და რძალო შენ გაიგონეო. მეც სწორედ იმათ გასაგონად ვლაპარაკობ, ვისაც ხელთ უპყრია ქვეყნის ფინანსური სადავეები.

ბოლოს და ბოლოს, რას ვითხოვთ? ნუთუ არ შეიძლება ქვეყნის ბიუჯეტში მწერლობას და ხელოვნებას გამოეყოს სამი პროცენტი?

როცა უგულვებელვყოფთ საკუთარ კულტურას, მის ადგილს უმალვე უცხო კულტურა დაიჭერს. იჭერს კიდეც, თანაც უცხოეთიდან იმ დიდი კულტურის ზეგავლენას მაინც განვიცდიდეთ, რაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს [illegible] ათ. საქართველოში [illegible] საქართველოში პირველ რიგში შემოიჭრა მასობრივი კულტურა, რომლის მაგალითად დღეს მსოფლიოში ამერიკა ითვლება. შემოიჭრა თავისი სისხლიანი ფილმებით, სადისტური, პორნოგრაფიული თემებით, სისასტიკით, უგემოვნო მუსიკით. მასობრივმა კულტურამ წალეკა ყველა და ყველაფერი. სადაც კი მუშაობს საკაბელო ტელევიზია, ან „აიეტი“ თუ ინდივიდუალური ანტენები, საერთოდ აღარ იჭერენ საქართველოს ტელევიზიას.

თუ რაოდენ დიდია ბავშვებზე და ახალგაზრდებზე ტელევიზიის ზეგავლენა, ნათლად მოწმობს თვით ამერიკელების გამოკვლევები. ამერიკელმა მეცნიერმა ფრედერიკ უერტჰემმა კლინიკურად შეისწავლა 200 ბავშვი და დაასკვნა, რომ დაუნდობლობისა და სადიზმის ჩვენება დამღუპველ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე.

ამერიკელი მეცნიერი თ. ჰეიბნერი 1990 წელს გამოცემულ წიგნში წერს, რომ ამერიკელი ბავშვი წელიწადში საშუალოდ ტელევიზორთან ატარებს 15 ათას საათს, როცა გაკვეთილებზე დასწრების მაქსიმალური დრო 11 ათასი საათია. თანაც, ჩემის მხრივ დავძენ, რომ ამ 15 ათას საათს ბავშვი ტელევიზორთან დიდი სიამოვნებით ატარებს, როცა სკოლაში იგი გაცილებით უხალისოდ და უყურადღებოდ ესწრება გაკვეთილებს.

„ტელევიზორი მას სკოლის, მშობლებისა და ეკლესიის მაგივრობას უწევდა“, — ამბობდა 15 წლის მკვლელის რონალდ ზამორეს ადვოკატი, ხოლო ფსიქიატრების დასკვნა ასეთი იყო: „მოზარდი უკვე შეურაცხადია, იგი ცხოვრობს „სატელევიზიო ფანტაზიების სამყაროში“ და კარგა ხანია, რაც დაკარგა ბოროტებისა და სიკეთის გარჩევის უნარი... მან დანაშაული ჩაიდინა „ხანგრძლივი მოქმედების ძლიერი კონცენტრი-

ებული ეოყამვლის — —სატელევიზიო ინტოქსიკაციის გავლენის ქვეშ".

საბუნებოროდ, სატელევიზიო ინტოქსიკაციის გავლენის ქვეშ მარტო ახალგაზრდეები ოდი ექცევიან. ისეთი ბეჭდავი და ისეთი მაღალი კულტურის ძეოხე სახელმწიფოები, როგორებიც არიან საფრანგეთი და გერმანია, ნელ-ნელა და საფუძვლიანად ექცევიან ამერიკული მასობრივი კულტურის გავლენის სფეროში.

გავიხსენოთ, ამასწინათ რომის პაპმა როგორ მიმართა პოლონელებს, ეხსნათ ქვეყანა და მისი მორალი ამერიკული ეასობრივი კულტურის გამხრწნელი ზეგოქმედებისაგან. ხოლო აი რას ამბობს ამერიკელი მეცნიერი ვალერი ნოლანი: „ვშიშობ, რომ რუსეთი წავა ამერიკის გზით. იმიტომ, რომ დასავლეთიდან რუსეთს კარგთან ერთად მიაქვს ცუდიც. სახელდობრ — მორალური და ზნეობრივი ბაზის უქონლობა. ამერიკაში ხომ დიდი ხანია არსებობს ანტიინტელექტუალური ტენდენცია. ამერიკული კულტურა ინგრევა, ვფიქრობ, ივივე ელის რუსეთსაც".

საინტერესოა, რას ფიქრობენ თვითონ რუსეთში. გრიგორი ჰომერანცი „ლიტერატურნაია გაზეტაში" წერს: „რუსეთის წინაშე ყოველთვის იდგა და დგას საკითხი: მივეკედლოთ რომელიმე კულტურულ კოალიციას, თუ შევეცადოთ დამოუკიდებლად ავაშენოთ მესამე რომი. და თუ ვინმეს უნდა შევეკედლოთ, ვის უნდა შევეკედლოთ? შეკედლებით კი უნდა შევეკედლოთ, ვინაიდან არ შეიძლება რუსეთი ამოვაგდოთ აულტურული სამყაროების გზაჯვარედინიდან, ისევე, როგორც არ შეიძლება გზაჯვარედინზე შევქმნათ ხანგრძლივი და დამოუკიდებელი ცივილიზაცია".

როცა დიდი რუსული კულტურა ასეა შეშფოთებული, რა ორიენტირი შეარჩიონ და როგორ იზრუნონ კულტურულ ევოლუციაზე, მით უფრო ჩვენ, ქართველებს გვმართებს ფიქრი და განსჯა, ღღეს, როცა ოთხივ კუთხით გაიხსნა კარები და საშუალება გაჩნდა შემოიჭრას უცხოური მასობრივი კულტურის ნიმუშები, რით დავიცვათ თავი ამ ნიაღვრისაგან, რა ორიენტირი უნდა ვიპოვოთ ქართული ლიტერატურისა და კულტურის ასაღორძინებლად, რომელ კულტურულ კოალიციაზე დაყრდნობით, გნებავთ, მიკედლებით, როგორც რუსეთში ამბობენ, უნდა შევძლოთ ამ მორევში საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნება, განვითარება და ახალ სიმაღლეზე აყვანა?

ჯერჯერობით კი, სანამ რაიმე ორიენტირი გვიპოვნია, პოვნას ვინ დაეძებს, გადაგვიდგამს კი თუნდაც ერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით? საქართველო უკვე აღმოჩნდა მასობრივი კულტურის და უნიჭობის მორევში, აღარავის აინტერესებს ნამდვილი ლიტერატურა. წიგნის მაღაზიები წალეკა დეტექტივმა და პორნოგრაფიამ. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ხდება ესტრადაზე. რა მუსიკით საზრდოობს ჩვენი ახალგაზრდობა. ხალხის ცნობიერებას მხოლოდ ჭორი, ცილისწამება, ლანძღვა-გინება სწყურია, უხვად რომ აწვდიან ასევე უხვად გამომავალი გაზეთები.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა მწერალთა კავშირში, ასევე ბევრ საჭირბოროტო საკითხზე იყო მსჯელობა სხვა შემოქმედებით კავშირებში თუ კულტურის სამინისტროში. მოსულა რომელიმე გაზეთიდან კორესპონდენტი, დაინტერესებულა და გაუშუქებია გაზეთში რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ, რატომ ვერ ვაკეთებთ, რით ვცხოვრობთ, რა გვაწუხებს და რა გვაღელვებს?!

არა, მათ ეს არ აინტერესებთ, ეტყობა, უკვე ორიენტაციადაკარგულ მკითხველსაც აღარ აინტერესებს, რა პრობლემების წინაშე დგას ქართული მწერლობა და ხელოვნება.

სამაგიეროდ, გაზეთები სავსეა, რა უთხრა შალვა რჩეულიშვილმა ქართლოს ღარიბაშვილს, რა უპასუხა ღარიბაშვილმა რჩეულიშვილს და ა. შ. და ა. შ. საქართველოში არსებული რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეკომპანია მაყურებლის მისაზიდად იმასაც აღარ დაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევთ, რომ პორნოგრაფიული ფილმები საღამოს 8 საათიდან არ უნდა ახვიოს. პოესად და ტელევიზიამ უკვე დაიწყო ახალგაზრდობა, რომ ოჯახის დანგრევა, ოოსკიაობა და გაუკულძართებული სქესობრივი ცხოვრება ნორმაა უცხოეთის ქვეყნებისათვის.

არასდროს არ მომისმენია გადაცემა, რომ, ვთქვათ, იგივე ამერიკაში, როგორი კულტია ოჯახისა. გავიხსენოთ, რატომ მოხსნეს ჯონ შალიკაშვილის ადგილზე დასანიშნი გენერლის კანდიდატურა — გამოუჩნრიკეს, რომ მას 13 წლის წინ გაუხეია საყვარელი და შეულახავს ოჯახის ღირსება.

გაიგონ თბილისის ქუჩები რეკლამით „ჩასწვდით ამერიკის სულს, იგემეთ „ლმ"-ი. ამ დროს არავის ეუბნება ახალგაზრდებს, რომ ამერიკაში სიგარეტის მოწევა უკვე პროვინციალიზმად ითვლება. თითქმის მთელმა სახელმწიფომ დაანება წევას თავი. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივ ადგილებში ვერავინ გაბედავს სიგარეტის ამოღებას. გეკითხებით, მაშ როგორღა უნდა ჩასწვდნენ ისინი ამერიკის სულს?! ყველა კარგად ხედავს, ჩვენი ახალგაზრდები ამერიკული იაფფასიანი ფილმების გმირებივით როგორ დააჯირითებენ მანქანებს ქუჩებში. მათ სერიოზულად სჯერათ, რომ ამერიკაში მანქანები მართლა ასე გიჟებივით დაჰქრიან და დღისით, მზისით, მართლა ასეთი ხოცვა-ჟლეტაა გაჩაღებული. მათ არავინ ეუბნება, რომ დედიშენის შვილი ხარ და დაარღვიე ქუჩაში მოძრაობის წესი. ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ ქალიშვილთან გამოლაპარაკება, თუ მას არ სურს უცნობთან საუბარი, ამერიკაში სასტიკად ისჯება, ძალადობის მუხლით.

და რომ, ამერიკაში არის კანონის უზენაესობა.

და რომ, ამერიკაში მარტო ასეთ ფილმებს როდი იღებენ.

ყველაფერ ამას მოწესრიგება და ერთ კალაპოტში მოქცევა სჭირდება, მომავალ თაობაზე ზრუნვა სჭირდება, საქართველოს ხვალინდელი დღისათვის გეგმაზომიერი და გააზრებული ბრძოლა სჭირდება!

ამისათვის კი საჭიროა ერს ჰქონდეს იდეოლოგია. თუ სიტყვა იდეოლოგია მაინცდამაინც კომუნისტურ გადმონაშთად მიგვაჩნია, ვიხმაროთ ეროვნული ორიენტირი, ან როგორც ევროპაში და რუსეთში უწოდებენ — „იდეა".

ამის თაობაზე ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ. ვკმაყოფილდებით მხოლოდ შეძახილებით, როგორ შეიძლება ვიცხოვროთ ეროვნული იდეოლოგიის გარეშეო. მთავრობის დონეზეც მოეწყო ერთი შეხვედრა, იქაც გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა ეროვნული იდეოლოგია და ჯერჯერობით ამით დამთავრდა ყველაფერი.

ამასობაში გამოჩნდნენ სახელის მაძიებელი „მოღვაწეები" და უკვე დაიწყეს ბეჭდვა წერილებისა, რომ საჭიროა ეროვნული იდეოლოგია. ამ წერილთა ავტორები, გარდა იმისა, რომ ძალზე დაბალი დონისანი არიან, ქრისტეფორ კოლუმბობას იჩემებენ. მათი წერილები ნიმუშია პროვინციულ-მეშჩანური აზროვნებისა. პროვინციულ და ურაპატრიოტულ დონეზე მსჯელობა კი თემას ცვითავს. შემდეგში კი ერის ბედზე პასუხისმგებელი ხალხი უკვე თაკილობს, რუსული სიტყვა რომ ვიხმაროთ, „გაპოშლიაკებულ" კამათში ჩაბმას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, უნიჭოები მაშინ გამოყოფენ ხოლმე თავს, როცა ნიჭიერნი სდუმან. უპატრონო ეკლესიას რომ ეშმაკები შეესევიან, ახალი ამბავი როდია.

არადა, ეს საქმე გადადებას აღარ ითმენს. საჭიროა დროული და გამიზნული მოქმედება. იქნებ დღევანდელი ჩვენი პლენუმი გახდეს ეროვნული ორიენტირის, გნებავთ, ეროვნული იდეის ჩამოყალიბების დასაწყისი.

ეროვნული იდეის ჩამოყალიბება კი ურთულესი საკითხი გახლავთ. მას ვერც მარტო მწერლები და ხელოვნების წარმომადგენლები გადაწყვეტენ, ვერც მეცნიერები და პოლიტიკოსები. ვფიქრობ, საჭიროა რაღაც ერთიანი კომისია თუ

კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს გარკვეულ მოსაზრებებს და შემდგომ სამსჯელოდ გამოიტანს მას.

„როცა ვლაპარაკობთ ეროვნულ იდეაზე, — ამბობს იგორ ვინოგრადოვი, — ერთბაშად ვეხვევით გაუგებრობის ქსელში. პირველ რიგში გასარკვევია, რომელ ერზე ვლაპარაკობთ? თუ ეთნოსზეა ლაპარაკი, რუსეთში იგი მრავლადაა. თუ ვლაპარაკობთ ერზე, როგორც მოქალაქეთა საზოგადოებაზე, ისე როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში იგულისმება, მაშინ საქმე სულ სხვანაირად წარმოჩინდება. ერის გაგება, როგორც ერთიანი სულიერი ცენტრის მქონე კრებითი პიროვნებისა, დიდი ხანია მოძველდა. სეკულარიზაციის დაწყებისთანავე, დემოკრატიის დაწყებისთანავე ყოველგვარი მცდელობა ერის კაერთიანებისა ერთიანი მსოფლმხედველობის დახმარებით ტოტალიტარიზმია. დღეს ერთადერთი შესაძლებელი იდეა სამოქალაქო საზოგადოების, ანუ საკუთარი სახლის მოწყობაა. იდეის ხელოვნურად შექმნა მორჩილი ინტელიგენციის ძალებით დანაშაულია, იგი საზოგადოების რღვევას გამოიწვევს“.

ვფიქრობ, საინტერესო მოსაზრებაა და იგი გამოხატავს ჩვენი რესპუბლიკის საერთო სურათსაც. ამ პატარა ციტატაში იმდენი ურთულესი პრობლემაა წარმოჩენილი, რომ ეროვნული იდეის ჩამოყალიბება მართლაც ურთულეს და ძალზე სათუთად გადასაჭრელ პრობლემად წარმოგვიდგება.

თითქმის იგივეს ამბობს, ოღონდ უფრო მარტივად და კატეგორიულად, რუსი ღვთისმსახური გიორგი კოჩეტოვი: „ჩვენ (ე. ი. რუსეთს) გვჭირდება ორი იდეა, ერთი რუსი ხალხისათვის — რუსული იდეა, მეორე რუსეთისათვის — რუსეთის იდეა. მეორე იდეა კი თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ რუსეთში შეიძლება შეიქმნას ასზე მეტი იდეა“.

რუს მოღვაწეთა თუ ღვთისმსახურთა ამდენი ციტატა იმიტომ მოვიყვანე, რომ რუსეთი თავისი ეთნოსური სტრუქტურით ძალზე ჰგავს საქართველოს ეთნოსურ სტრუქტურას. რასაკვირველია, მასშტაბები ძალზე განსხვავებულია, მაგრამ პრინციპი ერთია. ამიტომ ეროვნული იდეის შემუშავებისას ჩვენ ღრმად უნდა გავეცნოთ სხვათა გამოცდილებას, მით უმეტეს იმ ქვეყნებისას, ეთნოსური სტრუქტურით და ამ სტრუქტურაში არსებული იდეებით ჩვენთან ახლოს რომ დგანან.

მინდა ერთი ამერიკელი მეცნიერის მოსაზრებაც გაგიზიაროთ, რომელიც ჩვენთვის შეიძლება გამოსადეგი არ იყოს, მაგრამ როცა საქმეს ვიწყებთ, უნდა შევისწავლოთ ყველაფერი, რაც გამოგვადგება და რაც არ გამოგვადგება, ან ნაწილობრივ მაინც გამოგვადგება.

აი, რას წერს ყოფილი რუსი ამერიკელი ოლეგ ხრენკოვი: „ნებისმიერ ერს, რომელსაც არ უნდა სხვა ერებში გაითქვიფოს, უნდა ჰქონდეს თავისი იდეა, რომელშიც თავმოყრილი იქნება მისი აბსოლუტური ფასეულობანი. ამერიკისთვის ასეთი ფასეულობაა ღმერთი, დემოკრატია, კერძო საკუთრება. არსებობს ევროპული იდეაც. რადგან იდეა არის კომპასი, რუსული იდეა ეროვნულობაზე ორიენტირებულ ინტელიგენციას სჭირდება და იგი ინტელიგენციამ უნდა შეიმუშაოს“.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიშვნენ საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, სერიოზულად არიან დაფიქრებულნი, იპოვონ ეროვნული ორიენტირები, იპოვონ ეროვნული იდეა.

თუ რუსეთს და სხვა მის მსგავს დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ ამ საკითხის გადასაწყვეტად დინჯად იმუშაონ, ქართველი ერისათვის ეროვნულ იდეაზე მსჯელობა უკვე დაგვიანებულიც კია.

ალბათ, რუსეთის მსგავსად, უნდა შემუშავდეს ქართული იდეა და საქართველოს იდეა. ეს მეორე იდეა არ არის დღევანდელი ჩვენი პლენუმის გადასაწყვეტი თუნდაც იმიტომ, რომ მას მარტო ჩვენ ვერ გადავწყვეტთ.

ძირითადად მაინც რა უნდა აისახოს ქართულ იდეაში? პირველ რიგში, რასაკვირველია, საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება და ამ მთლიანობის რეალური გზების დასახვა, იდეაში უნდა აისახოს ქართული ენის არა ნომინალური, არამედ ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ეს იდეა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ერის შობადობის ზრდასთან და ქართველი ხალხის დასახლებასთან განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც არ არის ქართული მოსახლეობა, თორემ ენის სახელმწიფოებრიობა ვერ იარსებებს მხოლოდ კონსტიტუციითა და სხვადასხვა დადგენილებებით. უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული ზრუნვა მწერლობისათვის, ხელოვნებისათვის, ფოლკლორისათვის, ხუროთმოძღვრებისათვის, ყველაფრისათვის, რაც გამოხატავს ქართველი ერის სულსა და გონებას, ინტელექტუალურ სიმაღლეს, ხასიათსა და თვითმყოფადობას. ურთიერთობა სხვა ერის წარმომადგენლებთან, რომლებიც აქვე, საქართველოში ცხოვრობენ, ურთიერთობები ჩვენს ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებთან, სწორი ორიენტირები დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში. უნდა განისაზღვროს და ჩამოყალიბდეს ჩვენი ურთიერთობის ფორმები თურქეთში თუ სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთან. კარგად უნდა შევიგნოთ, უფლება არა გვაქვს არ გავუფრთხილდეთ და ერთ სულიერ ორგანიზმად არ ვაქციოთ ყველა ქართველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და რა რელიგიისაც არ უნდა იყოს იგი. ისტორიამ უკვე დაგვარწმუნა, რომ დროდადრო ისეთი მოულოდნელი მასშტაბური მოვლენები ხდება, როგორიც საბჭოთა კავშირის დაშლა იყო. განა ამას ვინმე წარმოიდგენდა დაშლამდე თუნდაც სამი წლით ადრე? ყველაფერია მოსალოდნელი ამ ქვეყანაზე და ყოველგვარ მოსალოდნელ მოვლენას ქართველი ხალხი მომზადებული უნდა შეხვდეს.

დიდ ისტორიულ მოვლენასთან ერთად, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჰქვია, ახალ გაგებულებაში უნდა მოექცეს ქართველი კაცის ხასიათი. ბეტისმეტად არ უნდა გაევროპულ-გაამერიკელდეს, თავის ბუნებას არ უნდა უღალატოს, ძირითადი ბაზისი მაინც ეროვნული ხასიათი უნდა იყოს. რასაკვირველია, უფრო მეტი ინტელიგენტობა გვმართებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო მეტი პატრიოტიზმიც, ოღონდ მოკლებული ყოველგვარ ამბიციურობას, ყოყოჩობას, პროვინციალიზმს, სხვათა უპატივცემლობას, ჯერ ჩვენ თვითონ უნდა დავიჯეროთ, რომ თავისუფალი ქვეყანა ვართ. აქედან გამომდინარე, გონებაში მტკიცედ ჩავიბეჭდოთ, როგორი უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ პატარა, ათასგვარი პრობლემის წინაშე მდგარი სახელმწიფოს მოქალაქე, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა, დემოკრატია და რაც მთავარია, ეროვნული თვითმყოფადობა. კარგად უნდა გვახსოვდეს, ჩვენ არავისზე უკეთესები არა ვართ, მაგრამ არც არავისზე ნაკლები გახლავართ!

როგორ მოვაქცევთ ყოველივე ამას ერთ ფორმულაში, რომელსაც ეროვნულ იდეას დავარქმევთ? როგორ დავიყვანთ მას ყოველი ქართველის დონეზე?

„ღმერთი, დემოკრატია, კერძო საკუთრება", — სამ სიტყვაში, სამ ცნებაში ჩატიეს ამერიკელებმა თავისი ფორმულა. არ ვიცი, რამდენად შეგვძლებთ ჩვენ ასე ლაკონიური იყოს ქართველი ერის იდეა. თანაც შინაარსობრივად ხომ ბალზე განსხვავებული იქნება ჩვენი იდეა. ამ განსხვავებას ჩვენს შორის არსებული განსხვავება განაპირობებს. სხვის იდეებს ბრმად ვერ გადმოვიღებთ, თუმცა საერთო ალბათ ბევრი რამ გვექნება. ჩვენ არ გამოგვადგება სომხების იდეა, მათ სახელმწიფოში ხომ სომხები 98 პროცენტს შეადგენენ, არც მათი მძლავრი და ექვსმილიონიანი დიასპორა უნდა დავივიწყოთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არც აზერბაიჯანელების იდეა გამოგვადგება. მათ უკვე

ალადგინეს სტალინის ნებით გაწყვეტილი ნათესაობა თურქ ხალხთან. თან აზერბაიჯანში მცხოვრები 9 მილიონი აზერბაიჯანელიც გავიხსენოთ.

ჩვენ, პირიქით, დიდი ანგარიშით, იქით უნდა მივეხმაროთ აფხაზებს თუ ოსებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს. ეს რომ შევძლოთ, ჯერ საკუთარი თავი უნდა გადავირჩინოთ.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართველი კაცი იქცეს თავისი ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქედ?

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა იქცეს ქართველი კაცის წმიდათაწმიდა სიმბოლოებად და სიამაყის საგნად?

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართველ კაცს საქმიანობაში ჰქონდეს ერთი ამოსავალი წერტილი — რა სჭირდება დღეს ქვეყანას?!

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ქართველმა კაცმა თავი გასწიროს სამშობლოსათვის. ენისათვის, შთამომავლობისათვის?!

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეროვნული იდეა, რომელსაც ჩვენ შევიმუშავებთ, მტკიცედ გაჯდეს ქართველი კაცის ტვინის ყოველ უჯრედში, სისხლსა და ხორცში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი ბავშვები, ახალგაზრდობა ვიხსნათ იმ მავნე ზეგავლენისაგან, რასაც დღეს აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში?

ძალადობისა და სექსის აღვირახსნილი პროპაგანდა, ირგვლივ გამეფებული კორუფცია, უსამართლობა, უდისციპლინობა, უსაქმურობა, ნებისმიერი გზებით გამდიდრებისაკენ ლტოლვა, ადამიანის სიცოცხლის დევალვაცია, სადისტური მკვლელობები, ნარკომანია, განუკითხაობა, უკანონობის დამკვიდრება, საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა, მაფიოზური კლანების სრულიად აშკარა მოქმედება, მდიდარ დამნაშავეთა დაუსჯელობა, უქონელთა გაქელვა და აბუჩად აგდება, — აი, რამდენი რამისგან უნდა ვიხსნათ ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდების სული და გონება!

მაგრამ როგორ, რა გზებით, რა საშუალებებით, რა მანქანებით — აი, რაზე გვმართებს მსჯელობა დღეს!

და ბოლოს, სრულიად მარტივი დასკვნა: თუ გამოსავალს ვერ ვიპოვით, დალუპვა გარდაუვალია!

დაწერილია გარდაცვალებამდე 10 დღით ადრე, 1997 წლის აგვისტოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა აბზიანიძე

ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული პორტრეტი

1922 წელს, შვიდი წლის შემდეგ ვაჟას გარდაცვალებიდან, პაოლო იაშვილი წერდა:

„... გულშემზარავი იყო ბედი ვაჟა-ფშაველასი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა, როგორც „ჩხიკვი ზაქარა“, თვალმოხეული, ყველის სუნით ჟაჟღენთილი, დაკონკილ ჩოხით, ფრჩხილებში მიწა გამოგლესილი, ნარმის საცვლებში, დასული სოფლის მეწვრილმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგვირგვინო. ის ჭლექით დააკვდა საავადმყოფოს ლოგინს, ისე ვით უბინაო და ქუჩის მათხოვარი“.

ჩვენ იშვიათად ვიხსენებთ ამ სიტყვებს — იმიტომაც, რომ მათში მწარე საყვედური ჟღერს, იმიტომაც, რომ სიმართლის მოსმენა არ გვიყვარს და კიდევ იმიტომაც, რომ საკუთარი პრობლემებით დაღლილნი, ვცდილობთ არ ვიფიქროთ სხვის ტკივილსა და გაჭირვებაზე — არც ამდღევანდელ და არც ასი წლის წინანდელზე...

და მაინც, ვაჟა შეგვახსენებს ხოლმე თავს, შეგვახსენებს, როდესაც გადაჩეხილ, მაგრამ შერჩენილი მწვანე ტოტით სიცოცხლეს ჩაჭიდებულ ხეს ან ქუჩაში მოძუგძუგე სამფეხა ძაღლს ერთი წამით მისი თვალით შევხედავთ და გაგვახსენდება მისგანვე შთანერგილი აზრი, რომ ჩვენგან დასახიჩრებული ბუნება იმ სულიერი სიმახინჯისა და იმ დაუნდობლობის ანარეკლია, რომელიც, თუ მიუშვით, გაუსაძლისს გახდის ცხოვრებას ამ ქვეყანაზე.

ბუნების პირისპირ ამპარტავნად მდგარ ადამიანს ვაჟამ მუხლი მოადრეკინა ამ მარადიული სასწაულის წინაშე და პირიქით, ცხოვრებისაგან თუ ხელისუფალთაგან დაჯაბნილსა და დაჩოქილ თვისტომს ხელი შეაშველა, ფეხზე წამოაყენა, ღირსების გრძნობა და მომავლის რწმენა შთაუნერგა.

იგი თვითონ იყო ამ ბუნების ღვიძლი შვილი, მის კალთაში გაზრდილი და მის რძესთან ერთად თავისუფლების გემოს ნაჩვევი...

ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც შემდგომში ვაჟა-ფშაველას სახელით გახდება ცნობილი, 1861 წლის 14 ივლისს დაიბადა სოფელ ჩარგალში, ფშავში პავლე და გულქან რაზიკაშვილების ოჯახში. „დედა ჩემი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვანიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლობენ დღესაც მისი ნათესავნი, — წერს ვაჟა თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი წუთისოფელი“ და განაგრძობს, — სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდაუ-

რი. ღვიძლი ბიძა დედაჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს"; საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია... წერა-კითხვა არც დედა-ჩემმა იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედა-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს იმას გაეჯავრებინოს..."

ახლა ვაჟასავე თვალით დანახული პორტრეტი მამამისისა, პავლე რაზიკაშვილის: „მე როცა მამა-ჩემი ვიცანი მამად, მაშინ იგი მთავარ დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში, ს. ჩარგალზე რვა ვერსზე დაშორებით. როცა კი შინ იმყოფებოდა, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი საღმრთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისთვის საკეპლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი ყურს იმის ტკბილს საუბარს"...

პავლე და გულქან რაზიკაშვილები 1890 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალნენ. წესის ასაგებად შეკრებილმა შვილებმა გადაწყვიტეს, რომ უფროსი ძმა — გიორგი თიანეთში დაბრუნდებოდა, სადაც იგი ვექილობდა, მომდევნო — ვაჟა ჩარგალში რჩებოდა, ნიკო, შემდგომში ბაჩანას სახელით ცნობილი, ფშავიდან გაცლას ამჯობინებდა, რადგან თავისი წაწალი ჰყავდა ცოლად შერთული და თემის ადათის დამრღვევად ითვლებოდა, ამიტომაც იმხანად ბარისახოში მასწავლებლობდა; მასწავლებლობდა აგრეთვე თედოც — ხელთუბანში, გორის მახლობლად. ამათი უმცროსი ძმა — სანდრო, ჯერ კიდევ სწავლობდა და უფროსი ძმები ინაწილებდნენ სწავლის ხარჯებს. რაზიკაშვილებს ჰყავდათ უფროსი დაც — მართა, ყვარელში გათხოვილი.

ნიკო და თედო რაზიკაშვილებმა, როგორც მოგეხსენებათ, მწერლობას მიჰყვეს ხელი და თავდაპირველად ვაჟას მეტოქეობას არ [illegible] ნიშანში სროლაში [illegible] ვდნენ. თვრამეტი წლის ბაჩანამ ვაჟაზე ადრე გაითქვა სახელი მშვენიერი ლექსით — „მუხას", მაგრამ ამ ნაადრევმა პოპულარობამ მას დათვური სამსახური გაუწია — ბოლომდე ვერ იგუა უფროსი ძმის უპირატესობა.

ბაჩანა, რაზიკაშვილთა ახლო მეგობრის, ივანე ბუქურაულის თქმით, ღვარძლიანი და დამცინავი იყო, ამასთანავე ფხუკიანიც, ხუმრობას ვერ იტანდაო. ძმები ხშირად კამათობდნენ ლიტერატურის გარშემო. ეს არცაა გასაკვირი. გასაკვირი უფრო ისაა, მით უმეტეს ქართული ტრადიციის გათვალისწინებით, რომ ლიტერატურულმა პაექრობამ ვაჟასა და ბაჩანას შორის პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა.

რაზიკაშვილთა ოჯახის უმცროსი თაობის ურთიერთობებს, როგორც ეტყობა, მაინც უფრო ვაჟა წარმართავდა. ვაჟას დისშვილი, მიხა რაზიკაშვილი იგონებდა, რომ როდესაც ბიძამისს „საზოგადოებაში ლექსის თქმას სთხოვდნენ, ჯერ ბაჩანას „მუხას" იტყოდა და შემდეგ თავის „არწივოსო".

მოდით, ერთი წამით თხრობა შევწყვიტოთ და ჩვენც გავიხსენოთ „არწივი" — ჩვენი სიყმაწვილის უცილობელი თანამგზავრი. ასზე მეტი წელი გავიდა ამ ლექსის დაწერიდან: როდესაც მას სკოლაში ვსწავლობდით და ვიზეპირებდით, უკვე დრო-ჟამით დანისლული და ისტორიის საკუთრებად ქცეული ქვეყნის სიმბოლოდ აღვიქვამდით ვაჟას არწივს და მხოლოდ დღეს, მართლაც „ფრთამოტეხილი და გულისპირს სისხლმოცხებული" ქვეყანა რომ შეგვრჩა, თვალი აგვეხილა, — თურმე როგორ ჰგავს ერთმანეთს ჩვენი და ვაჟას გულისწადილი:

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა.
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,

გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ჯნახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

რაც უნდა მიმტკიცონ, ამ „ყვავ-ყორნების ველად გაფანტული ბუმბულის“ ნახვის იმედი კაცს თუ არა აქვს, მის ქართველობას ის ერთი ფერმენტი აკლია, საუკუნეობით რომ განასხვავებდა ქართულ ეროვნულ ხასიათს.

„არწივი“ 1887 წლითაა დათარიღებული. 26 წლის ვაჟა იმ დროს სოფელ დიდ თონეთში მასწავლებლობდა, მანგლისის მახლობლად და ეს წარუმატებელი მასწავლებლობა მისი პირველი და უკანასკნელი სამსახური იყო. მთელი დანარჩენი ცხოვრება მან უბრალო ფშაველი გლეხკაცის ცხოვრებით იცხოვრა.

მასწავლებლობის უფლებას ვაჟას აძლევდა გორის საოსტატო სემინარიის დიპლომი. აქვე უნდა ითქვას, რომ გასხვავებით თელავის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის ორკლასიანი სამოქალაქო სასწავლებლისაგან, სადაც მანამდე მოუწია სწავლამ, გორის საოსტატო სემინარიას ვაჟა განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა. სწორედ გორში სწავლისას (ეს 1879—1882 წლებია) გამოიკვეთა მისი პიროვნული იერიცა და მისი ლიტერატურული ინტერესებიც: აქ დაუმეგობრდა იგი შიო მღვიმელს, ნიკო ლეონიძეს (მამას გიორგი ლეონიძისა), ლადო აღნიაშვილს. გორში იმხანად ხალხოსნური წრე ყალიბდებოდა — სოფრომ მგალობლიშვილი, მიშო ყიფიანი — მფარველი და საყვარელი მასწავლებელი ვაჟასი.

ვაჟას განსაკუთრებით მფარველობდა აგრეთვე სემინარიის დირექტორი დიმიტრი სემიონოვი. სწორედ მან უთხრა ალექსანდრე ხახანაშვილს, შემდგომში ცნობილ ლიტერატორს, ჯერ კიდევ ყმაწვილი ვაჟას წარდგენისას: «Запомните! Это высшая поэтическая натура!» სემიონოვისსავე ხელშეწყობით გამოდიოდა სემინარიაში ხელნაწერი ჟურნალი — „რიჟრაჟი“. ბაჩანამ, რომელიც ამავე სემინარიაში სწავლობდა, საგულდაგულოდ გადაწერა „რიჟრაჟის“ ათი ეგზემპლარი. ერთი ეგზემპლარი აქედან მოწაფეებმა ილიას გაუგზავნეს, ერთი კიდევ — სერგი მესხს გაზეთ „დროებაში“.

ვაჟას ყმაწვილური დებიუტი „რიჟრაში“ — ჯერ კიდევ გაუბედავი კალმით ნაწერი ლექსი „ყარსის ბრძოლა“, მაინც არ დარჩენილა ყურადღების გარეშე — ჟურნალმა „იმედმა“ გამოაქვეყნა 1881 წელს. ამ დროისათვის ვაჟას ამავე ჟურნალში კიდევ ორიოდე ლექსი აქვს გამოქვეყნებული, ხოლო გაზეთ „დროებაში“ — რამდენიმე კორესპონდენცია ფშავ-ხევსურეთიდან.

ვაჟასთან გორში დამეგობრებულ ალექსანდრე გარსევანიშვილს ასე დამახსოვრებია თავისი ფშაველი ამხანაგი: „რამდენადაც მე შევამჩნიე, ლუკა რაზიკაშვილი მეტად მგრძნობიარე პიროვნება იყო. სულიერი განცდა ხშირად ეცვლებოდა. ხან იყო მეტად მხიარული და საუბრის მოყვარე, ხან სულ ოცნებობდა და ასეთ დროს ლაპარაკიც ერიდებოდა, ხან ბრძოლას ნატრულობდა და ყველიერში კრივშიც მონაწილეობას იღებდა. ამხანაგებს ხან ლმობიერად ექცეოდა, ხან დაცინვაც იცოდა“.

ლუკა რაზიკაშვილის სიყმაწვილისდროინდელი ლექსები იმჟამინდელი ქართული პოეზიის ჩვეულ კალაპოტს მიჰყვებიან:

როდის იქნება, შევიკრიბოთ, ძმანო
ერთადა
და დავიყვიროთ კიდით-კიდეს მკვნესი
ნაღარა,
მის ტკბილსა ხმაზედ მხიარულად,
გიჟმაჟურადა,
თავისუფლადა ვთამაშობდეთ
აღმარ-დაღმარა?!

ეს პირველი სტროფია ჟურნალ „იმედში“ 1882 წელს გამოქვეყნებული ვაჟას ლექსისა — „როდის იქნება“.

გადის რამდენიმე წელი და რაღაც ნათელხილვის წამს ვაჟა მიხვდება: ის,

რისი თქმაც მას უნდა, ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული ლექსების ენით არ ითქმის, სხვაგვარად უნდა ითქვას, აკვანში რომ ჩაესმოდა ფანდურზე ნამღერი ლექსები, სწორედ იმ ენით, იმ ინტონაციით, იმ ხმოვანებით უნდა ამეტყველდეს... მაშინ მისი „ცვალებადი ხასიათიც“ უკეთ გამჟღავნდება და მისი ჩაგუბებული განცდებიც უფრო იოლად გამოითქმის:

თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ,
ქალავ, თავდახრით მცინარო,
დღეს ჩემის პირის მკოცნელო,
ხვალ სხვისთვის ძუძუს მჩინარო.
წყეული იყოს ღვთისაგან
ის დღე, როდესაც ვნახეო
შენი ფოფინა თვალები
და მოელვარე სახეო!..

„ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, — წერდა ვაჟა თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ ნარკვევში, — მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად, გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ ვინც მიყვარდა იმანაც არ იცოდა; მე კი თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავი იქ, საცა ჩემი „სატრფო“ მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დავმტკბარიყავი მისი ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი ჩემს სატრფოს!... ვიდრე არ დავვაჟკაცდი და იმისა, ვინც მიყვარდა, ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე...“

ის, ვისი ცოლად შერთვაც განიზრახა და სიყვარული გამოუცხადა 25 წლის ვაჟამ, ეკატერინე ნებიერიძე გახლდათ — უკანონო შვილი თავად ოთარ ამილახვარისა, ადრე გათხოვილი და ადრევე დაქვრივებული. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლიათ კეკესათვის, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, ბავშვივით ხალისიანი და გულღია დარჩენილიყო. ტანადაც პატარა ყოფილა და ვაჟას ძმები, რომლებსაც [illegible] ძალზედ უყვარდათ, თოჯინასავით [illegible] თურმე ხელში.

კეკე ვაჟამ ამილახვრების ოჯახში გაიცნო, ოთარაშენში, გორის მახლობლად. დაქვრივებული კეკე აქ მიბრუნდა, რადგან სხვა პატრონი არ ჰყავდა. კაცმა რომ თქვას, ვაჟაც უსახსრობამ მიიყვანა ამილახვრების ოჯახში შინამასწავლებლად. ახლადდაბრუნებული იყო პეტერბურგიდან, სადაც უნივერსიტეტში სწავლის ხარჯებს ვერ გასწვდა და ეტყობა, სწორედ ამილახვრებთან ერთგვარი შესვენების დროს აპირებდა სამომავლო გზის არჩევას.

განგების ნებით, ერთი მთავარი არჩევანი მას სწორედ ამ ოჯახში ელოდა. მთელი შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში კეკეს ხალისი და სითბო შეჰქონდა ჩარგალში გამომწყვდეული „რაზიკაანთ დევის“ არცთუ იოლ ცხოვრებაში.

ვაჟა არ მიეკუთვნებოდა მამაკაცის იმ ტიპს, რომელსაც გული არ შეეკუმშება ლამაზი ქალის დანახვაზე. პირიქით, ადვილად აალებადი და ეტყობა, ზოგჯერ ძნელი მოსათოკიც ყოფილა. ისე რომ, კეკეს უთუოდ გაუქრებოდა ხოლმე მისთვის ჩვეული მხიარული გამომეტყველება, როდესაც ხატობაზე ან დღეობაში (წირვა-ლოცვაზე ვაჟა არ დადიოდა) ქმრის მრავლისმეტყველ მზერას გააყოლებდა თვალს, ანდა შუბლშეჭმუხვნილი კითხულობდა მის გრძნობამოძალებულ სტრიქონებს და ვერ დაედგინა, მისდამი იყო მიძღვნილი ეს ლექსი, თუ ფარული მოქიშპე ჰყავდა და ფხიზლად უნდა ყოფილიყო:

შენზე სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამა,
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამა;
მაოცებს შენი გამზდელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამა...
კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
ვინ მიზამს შენოდნობასა?
ვინა სთქვა: „ტრფობა ბერდება

და სატრფიალო საგანი,
ყინულის ეკალს დაისხამს
წამწმები ცრემლით ნაბანი,
ცრემლითა ნასურვილივით,
დრო რა გაივლის და ხანი?!"
ცოცხალი პირქვე დამმარხეთ,
დამხურეთ მიწის საბანი,
თუ ჩემს შენდამო სიყვარულს
დაეკლოს ერთი ცვარია,
თუმცა რაც პირველად გნახე,
მას შემდეგ კარგა ხანია,
ცოცხალს შენა მფენ გულზე ვარდს,
თუ ავდარი, თუ დარია,
საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!

ეს ლექსი, „სიყვარული", 1891 წელსაა დაწერილი. ვაჟა ამ დროს ოცდაათი წლისაა: სისხამ დილით, მხარზე ცელგადებული მიდის იგი კურდღელაანთ-სულის გორაზე — სათიბავად, ხოლო ღამ-ღამობით, ჭრაქის შუქზე პატარა საწერ მაგიდას უბრუნდება, სადაც განგების მადლიანი ხელი ატარებს მის კალამს.

სწორედ ამ კალმით გაკვალულ გზას მივადევნოთ თვალი.

როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ქვეყანაში, რომელიც სიყალბეზე და ძალმომრეობაზეა აგებული; როგორ უნდა იცხოვროს, რომ სულში სიკეთისა და თანაგრძნობის ნაპერწკალი შეინარჩუნოს; როგორ უნდა იცხოვროს, რომ წაქცეულის მიშველებისას თვითონაც არ წაიქცეს; რომ სისუსტის წამს ძლიერთა ბანაკს არ მიეკედლოს — მათ მიტაცებულ ნადავლს დახარბებული; როგორ უნდა იცხოვროს, რომ შთამომავალთ არ რცხვენოდეთ მისი სახელის და შორიდან არ უვლიდნენ მის საფლავს?! — ამ კითხვებითაა დასერილი ვაჟას „ჩემი ვედრება":

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა:
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.

. . . . . .

— აი, ერთი იმ ლექსთაგანი, ჭრაქის შუქზე რომ იწერებოდა ფშაური ღამის სიჩუმეში, რომელშიც მხოლოდ ვაჟას მძინარე ცოლ-შვილის მშვიდი სუნთქვა მოისმოდა და დროდადრო, შორიდან — ტოტია-მგლის გაბმული ყმუილი...

ეს ყმუილი თუ დაუფრთხობდა ძილს რომელიმე ბავშვთაგანს, გასუსული რომ იწვა და ჭრელი საბნის ქვეშიდან ცნობისმოყვარე თვალს არ აცილებდა პოეტს მამას.

ვაჟას უფროსი ქალიშვილი, თამარი იგონებდა: „ერთ ღამეს გვიანობამდე არ დამეძინა. ჩუმად ვადევნებდი თვალყურს მამაჩემის წერას. ვხედავდი: ადგებოდა, ხან ერთ კედელს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. მიმოდიოდა ოთახში: მივიდოდა, დასწერდა, კვლავ გაივლ-გამოივლიდა. ხან ფანდურს ჩამოიღებდა კედლიდან, დაუკრავდა და დაამღერებდა:

თავის პატრონი ენაცვლოს,
თავის თვალყვითელ ციცასა...

გვიან ღამით, როდესაც უკვე ცნობისმოყვარე თამარიც კარგა ხნის ჩაძინებული იყო, ხოლო თვალყვითელა ციცაკატა ჩოჩხონია დამბალი ხაჭოთი გამასპინძლებული, ვაჟა საწოლს მიაშურებდა.

„მამას საწოლზე დათვის ტყავი იყო გადაფარებული, — იგონებდა თამარი, — დათვის ტყავზე ნაბადის ქეჩა ეფინა. ქეჩაზე ვეფხვის ტყავი ეხატა. საწო-

ლის თავთან კედელზე მიკრული იყო ირმის და ჯიხვის რქები. აგრეთვე არწივის მხრები, ბრჭყალები ეკიდა. იქვე, კედელზე ჩამოკიდებული იყო ფარხმალი, ორი თოფი: ერთი ბერდანკა და ერთიც აინალი. კედელზე ეკიდა დიდი ფანდური".

კეკეს, ვაჟას ცოლს პატარა ტახტი ფშაური ადათის მიხედვით ცალკე უნდა მდგარიყო — მოპირდაპირე კედელთან იყო მიდგმული.

დილით, როცა მზის პირველი სხივი დაეცემოდა ივლიანთ გორას, ვაჟა პირზე წყალს შეისხამდა, თაფლისფერ წვერზე გადაისვამდა ხელს და გადახედავდა ჩარგლულას ხეობას, სამების მთას და სარაყდრის გორს — რამდენჯერ ჩასძინებია მის კალთაზე ხევსურეთიდან მობრუნებულს... მერე, ჩაფიქრებული, თავისთვის ჩაიდუდუნებდა:

მთას ვუცქერ ყელ-მოღერებულს,
მთელის ხმელეთის მფლობელსა,
თვის დღეში ცრემლ-დარდ უნახველს,
არვისთვის არრის მთხოვნელსა, —
ერთს ბედნიერად გაჩენილს,
გაჩენით ბედის მპოვნელსა,
რაც უნდა, რაც ენატრება,
ყველას უჯაფოდ მშოვნელსა.
ვუცქერ ხევს მოქუხარესა, —
ლაღსა და ლაღად მდინარსა, —
ქვეყანას, ტურფად მოკაზმულს,
და ჩვილს ყრმას, აკვანს მწოლარეს,
ტკბილ ოცნებაში მძინარსა;
განათლებისა ნაყოფსა,
უფლის ტახტამდე მყივანსა.

. . . . . .

იმეორებს ვაჟა ამ ლექსს და „ამკამინდელი ხედვის სიამე" მომავალზე ფიქრით ეწამლება — „რით დასრულდება სიტურფე სიცოცხლის, მთისა, ბარისა?!" — მერე, თითქოს გაურბის ამ კითხვას, თავისსავე თავს უბრუნდება, თავის მრწამსსა და მიზანს:

... ოღონდ მე ჩემი წადილი
და მღელვარება გულისა
ვასრულო, აზრს ვემსახურო,
ერთგული ვიყო რჯულისა!
ვაკეთო, რაცა მწადრაზ,
რაც მიყვარს, რაცა მწყურისა!

ეს ლექსი — „მთას ვუცქერ ყელმოღერებულს" გასული საუკუნის მიწურულსაა დაწერილი — 1899 წელს. ვაჟა უკვე აღიარებული პოეტია და ამ აღიარებაში დიდი წვლილია ილიასი.

თანამედროვეთა მოგონებით, ილია იტყოდა ხოლმე — „რაც ვაჟა გამოჩნდა პოეზიაში, ახლა ყველამ განზე უნდა გადავდოთ კალამიო". არტურ ლაისტიც იგივეს წერდა თავის „საქართველოს გულში": „... ილიას ჩემთვის უთქვამს, რომ ვაჟა ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით განირჩევა თანამედროვე პოეტებისაგანო".

ამ დროისათვის ვაჟას უკვე დაწერილი აქვს „გოგოთურ და აფშინა", „ალუდა ქეთელაური", „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი"...

„შვლის ნუკრის ნაამბობის" და „ქუჩის" გამოქვეყნებისთანავე თავისი ერთგული მკითხველი გაუჩნდა ვაჟას მოთხრობებსაც, იმ მოთხრობებს, ლექსებთან და პოემებთან ერთად ხურჯინით რომ ჩამოჰქონდა ჩარგლიდან თბილისში. აქ ან პირდაპირ „ივერიის" რედაქციას მიადგებოდა, ან იოსებ იმედაშვილს ააკითხავდა მთაწმინდაზე; საღამოს კი მლეთის ქუჩისკენ გასწევდა, სადაც ჩვეულებრივ ჩერდებოდა ხოლმე თავის უმცროს ძმასთან — სანდროსთან.

იოსებ იმედაშვილი ასე აღწერდა ვაჟას იერს: „შუა ტანისაზე უფრო მაღალი, წელში აშოლტილი, სახე გამხდარი, უფრო ხმელი, ბოლო ხანებში ციმბირის წყლულით ცალთვალატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი. ხანდახან იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ სულის სიმშვიდეს მუდამ ინარჩუნებდა, არ ვიცი რათა, მაგრამ ვაჟას მიხრა-მოხრასა და ლაპარაკს რომ ვუკვირდებოდი, უნებლიეთ ზეზვა, ლუხუმი და სხვა მსგავსნი გმირნი წარმომიდგებოდნენ ხოლმე.

მეტად სადად იცვამდა, უბრალო, სოფლელი ფშაველი გლეხისაგან ვერ გაარჩევდით. მუქი ფერის მოშავო ან მოყავისფრო ჩოხა, შალის საკანჭეები, ჯყელო ჩუსტები, ტყავის ქამარი, გალიბანდის ქუდი, მოყვითალო ყაბალახი, — აი, მისი მორთულობა, განუშორებელი ნაბდითა და ხანჯლით.

თბილისში ჩამოსვლისას ყელზე მოგდებულ მაუდის ყაბალახში განუშორებლად ელაგა ღორის ლურთი, ხმიადის ღორის ქონიანი ნატეხი, სარედაქციოდ დაწერილი ლექსები, პოემები, წერილები და ლესინგის „ლაოკოონი“...“

თბილისში ვაჟა მეტწილად შობა-ახალწლებზე და სააღდგომოდ ჩამოდიოდა. ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამა თუ იმ მწერლის, მსახიობის იუბილეზე ან დაკრძალვაზე. დედაქალაქში მას თავისი წრე ჰყავდა მეგობარ-ამხანაგებისა — ივანე ბუქურული, ნიკო კურდღელაშვილი, შიო მღვიმელი, იროდიონ ევდოშვილი... თავშეყრა ისეთ სარდაფში უყვარდათ, რომელსაც უფრო უბრალო ხალხი ეტანებოდა — მირიანაშვილისა მაგალითად, ან „ქოსებთან“. აქ, კახური ღვინით შემთბარნი, ხან ქალაქის ამბებს უყვებოდნენ ვაჟას, ხან კი, თუ ძალიან ჩააჯინდებოდნენ, თავის რომელსამე ახალ ლექსსაც წააკითხებდნენ:

სიტყვა გადავაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? — ეული,
ტანჯული გულის ნაცრემლი,
ვარშით ნაკვები, სნეული,
გულ-გაგმირული, ბეჩავი,
თავს მანდილ-ჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა;

. . . . . .

ვაჟა ლექსის კითხვას რომ ჩაამთავრებდა და პირველი აღტაცება ჩაცხრებოდა, ერთ-ერთი მის მეგობართაგან უთუოდ კითხავდა ეშმაკური ღიმილით: „კაცო, შენ ის ვაჟა-ფშაველა არა ხარ, ამ ორი წლის წინ „ივერიის“ რედაქციას რომ მისწერეს — [illegible] ქმე თქვენი ვაჟა-ფშაველათი, არ აჯობებს არტემ ახნაზაროვის ლექსები ბეჭდოთო?!“

ახლა თვითონ ვაჟასაც ეღიმებოდა ამ ანონიმურ წერილზე, მაგრამ უკანასკნელ ხანს „ივერიის“ თანამშრომლებს რაღაც გულგაციებას აშკარად ატყობდა: რამდენიმე შეთავაზებული ნაწარმოები არ გამოუქვეყნეს, გამოქვეყნებულში — ფული არ მისცეს... და, ამასთან ერთად, კიდევ საჯაროდ ჭკუას ასწავლიდნენ — პეტერბურგში სტუდენტური სალაროს ვალი რომ გადევს, რატომ არ უბრუნებო?!

იცოდნენ კი, რომ რედაქციებიდან აღებული ათი თუ თხუთმეტი მანეთი ნავთსა და მარილზე ძლივს ყოფნიდა, ცოლ-შვილი ჩაუცმელ-დაუხურავი დაუდიოდა, თვითონ, რაც ეს წყეული ციმბირის წყლული შეეყარა — ჩამოხმა, გვერდს იტკიებდა და ძველებური ჯანი აღარ მოსდგამდა...

არაა გასაკვირი, რომ ასეთ გუნებაგანწყობაზე დაწერილი ლექსი — „ნუგეში მგოსნისა“ ვაჟას „ივერიის“ რედაქციაში აღარ მიუტანია, ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა:

ვნუგეშობ სწორედ სანუგეშოცა:
გულზე მედება ცეცხლის გენია,
ქვეყნის სარგოდა ფიქრით
გამსჭვალულს
ავი მე არა ჩამიდენია;
ვინ რას გაიგებს, ან ვინ რა იცის,
რამდენჯერ ცხარე ცრემლი მდენია?!

. . . . . .

წყენა და გულისტკივილი აწერინებდა ვაჟას ამ სტრიქონებს. რამდენიმე კაცს ამაგს როგორ დაუვიწყებდა — ილიას, იოსებ იმედაშვილს, მარიამ დემურიას... მაგრამ სხვანი... იმ ცალი, საღი თვალით შეუნიშნავს: — როგორ აწრიალდებოდნენ ხოლმე მასთან შეხვედრისას, როგორ ცდილობდნენ ჩქარა გა-

სცლოდნენ — ეშინოდათ მათთვის გული არ დაემძიმებინა.

ისევ მეგობარ მწერალს თუ შესჩივლებს: „ქართული ლიტერატურა აბა როგორ უნდა განვითარდეს, როცა მწერლებს ლუკმა-პურის ძებნაში სული ამოსდით! ჩემი დღენია ვწერ და რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები, მაგრამ რა გამოვიდა, სული კბილით მიჭირავს. ჩემს ნივთიერ გაჭირვებას და შევიწროებას ბოლო არ უჩანს, ნავთი და მარილი რაა, ოჯახში თავისუფლად და გაბედვით ვერ შემომიტანია. მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვხუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ. ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც ეეძნელებოდეს! ასეთ პირობებში ვის სცალია ლიტერატურის განვითარებაზედ იფიქროს. ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომეპოვება, მაგრამ განა შემიძლია გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერი უმწეო მდგომარეობა, ჩემი ცოლ-შვილის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ყოველდღიურად ტანჯვა და ვაება. განა ვაჟა ასეთ რამეებზე უნდა ფიქრობდეს, ასეთ წვრილმან საქმეებში უნდა აბანდებდეს თავის თავისუფალ დროსა და მოცალეობას!“ (ალექსანდრე მიქაბერიძის მოგონებიდან).

საკუთარი სულმოკლეობისა შეგრცხვება კაცს, ვაჟას ამ სიტყვებს რომ უსმენ. ამასთანავე როცა იცი, როგორ ახერხებს „რაზიკაანთ დევი“ მაინც ჩაიმუხლოს ლექსის საწერად, სძლიოს დაღლას, შიმშილს, სიცივეს, სიბნელეს და კვარი აანთოს, რათა ზეშთაგონებით სულეთიდან გამოხმობილმა გმირებმა ადვილად მიაგნონ მის განათებულ სარკმელს...

ხანდახან, ძალზედ იმედგადაწურული რომ უყურებდა თავის თანამედროვეთ, ვაჟა იმასაც ფიქრობდა, ვერც ვერანაირი სასწაული, ვერც მითოლოგიური წარსულიდან გამოხმობილი რაინდები, „პიროფლიანები“, როგორც მათ ფშავში უწოდებდნენ, ვერც საკუთრივ მისი ჭირთათმენის მაგალითი ვერ უშველიდა თავთავიანთ ნიშნებში ჩამალულ ამ პატარა ადამიანებს, ვერ გააერთიანებდა, ვერც კაცური და ვერც ეროვნული ღირსების გრძნობას ვერ შთაუნერგავდა.

აკი წამოიწყებს კიდეც თავის სიმღერა — მოთქმას:

ბედის მომლოდნე უბედო დავრჩი,
გამწარდა ჩემი სიცოცხლე-ყოფა...

და უნუგეშოდ ასკვნის:

რა მივუტანო ამბავი გმირთა?
რით ვანუგეშო სამშობლოს მცველნი?
ნუთუ ის ვუთხრა: ძლეულ ვიქმენით,
საქართველოზე ხარობენ მტერნი?!
ვაი, რა ცუდ დროს ჯანღი დაგვეცა,
ვაი, რა ცუდ დროს გაგვიტყდა გემი;
ვაი, რა ფუჭად გული ვაძგერე,
უკვალოდ რჩება ნავალი ჩემი!

ამ, ბოლო სიტყვების, მე მგონი, თვითონ ვაჟასაც არ სჯეროდა: შეიძლება იმიტომაც არ შეიტანა ეს ლექსი — „ბედის მომლოდნე უბედო დავრჩი“ თავის თხზულებათა პირველ კრებულში, რომელიც ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1899 წლის დეკემბერში გამოსცა.

კარს იყო მომდგარი ახალი, მეოცე საუკუნე, ახალი, მომავლის იმედით თვალანთებული თაობა მოდიოდა და ვაჟა, რაღა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ სწორედ ამ თაობას სჭირდებოდა ახლა სხვაზე მეტად მისი შავქარქაშიანი ხანჯლით გამოთლილი სიტყვაც და მისი ქედმოუხრელი ცხოვრების მაგალითიც.

ახალ, 1900 წელს და ახალ, მეოცე საუკუნეს თბილისი საზეიმო პარაკლისითა და მთავარმმართებლის სასახლეში გამართული მეჯლისით შეეგება. ჩარგალში ახალი წელი, ცხადია, გაცილებით უფრო მოკრძალებით აღინიშნებოდა: პატარა ტაბლაზე ეწყო ხინკალი, ფრინველი, თევზი, ქადა, თხილი, პა-

ნტა, თედოს გამოგზავნილი თაფლი, დამბალი ხაჭო და ხავიწი — ვაჟას საყვარელი კერძები, ვაჟასსავე გამოხდილი პანტის არაყი...

ტაბლას ოთხნი უსხდნენ — ვაჟა, კეკე და მათი უფროსი ქალ-ვაჟი — თამარი და ლევანი; უმცროსს — მარიამს უკვე ეძინა, ლევანს და თამარს ეამაყებოდათ, რომ საახალწლო სუფრასთან დასვეს და ცდილობდნენ არ ჩაეთვლიმათ. კეკეს ლამაზ სახეს დაღლილობა ემჩნეოდა — მთელი დღის ნაჯაფი იყო და ამასთანავე მეოთხე ბავშვზე ორსული.

ადათის გათვალისწინებით რამდენიმე სადღეგრძელო შეისვა. კეკეს და ბავშვებს ქუთუთოები დაუძძიმდათ, სტუმარი მეზობელთაგან ჯერ არ ჩანდა. და ვაჟა თავის საფიქრალს მიეცა: „ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალა-უნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახლის ძალით, მხნეობით, გულ-წრფელად და ჩავიჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომლის ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც — კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს...“

ეს ნაწყვეტი თავისი საახალწლო წერილიდან ვაჟას ზეპირად ახსოვდა და ფიქრობდა, რომ მომავალში ლევანს აუცილებლად წააკითხებდა ამ წერილს...

კიდევ კარგი, ვაჟა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ მოსწრებია მისი ვაჟიშვილის დახვრეტას 1924 წელს, აჯანყებულთა ხელშეწყობის ბრალდებით და ორჯონიკიძის სანქციით. იმ სერგო ორჯონიკიძისა, შეწყალების სათხოვნელად მისულთ რომ უპასუხა: „თვითონ ვაჟა-ფშაველა რომ ყოფილიყო, იმასაც დავხვრიტავდიო!“

ვაჟას უმცროსი ქალიშვილი გულქანი, სწორედ იმ 1900 წელს დაბადებული, შემდგომში, უკვე ხანდაზმულობისას, მოთქმით ყვებოდა: „არც ერთ ქვეყანას არა ჰყავსო, იცოან, ეგეთი ბუნების მგოსანიო. ჰოდ, ერთი ვაჟიშვილი ჰგვანდა და ისიც თავის ქვეყანამ მოუკლა ვაჟასა, ისიც ქართველებმა...“ (ეთერ თათარაიძის ჩანაწერი).

კეკე გულქანის შემდგომ ფეხმძიმობას გადაჰყვა — 1901 წლის მიწურულს. თივის ძნა მოუკიდებია ზურგზე და მუცელი მოშლია...

ვაჟა ამ დროს ყვარელში იყო დასთან და სიძესთან: იმედი ჰქონდა, რომ სანოვაგესა და ღვინოს წამოიღებდა საშობაოდ და ნათლობისათვის, თან მოინადირებდა რასმე... სწორედ ნადირობის დროს შეატყობინეს კეკეს ამბავი.

დასაფლავებას ვაჟამ ვერ მოუსწრო და ეს დანაშაულის გრძნობაც ზედ ერთვოდა მის ელდას და ტკივილს, რამდენიმე ხნის შემდეგ ცრემლნარევ სტრიქონებად გამოთქმულს:

იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო.

იდგა თავჩაქინდრული ვაჟა კეკეს ობოლ საფლავთან და ათასი რამე აგონდებოდა: როგორ გაბმით კიოდა კეკე, ოთარაშენიდან ჩარგალში რომ მოჰყავდა მაყრიონს და გზად ვაჟას ჩხუბი რომ შეემთხვა (მაშინ იყო, ვიღაცამ უწმაწურად წამოიწყო — „უჩიტელს მოჰყავს ქალიო...“); ახსენდებოდა მისი ხალისიანი სიცილი და მრავლისმეტყველი ამოხედვა... რაღაც, ძალზედ სუფთა და კარგი, ძალზედ სათუთი სამუდამოდ წავიდა მისი ცხოვრებიდან. ორმოცდაორი

წლისა არც იყო და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ცხოვრება დამთავრდა და ეს ოთახი, საცოდავი ბავშვი რომ არა, ამ პატარა ბორცვთან თვითონაც სამუდამოდ მიიძინებდა...

ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა — სულ უფრო და უფრო ჭირდა უდიასახლისო ოჯახის გაძღოლა. დროდადრო მაღაროსკარიდან ბაჩანა ამოაკითხავდა — აი, მაშინ გენახათ ბავშვების სიხარული — ანებივრებდა ობლებს; ხან რომელიმე მეზობელი დატრიალდებოდა სახლში; მაგრამ ერთხელ, კეკეს გარდაცვალებიდან ორი წელი რომ იყო გასული, ვაჟა, თითქოს იმ ქვეყნიდან უჩინარი დასტური მიეღო, სასაფლაოდან რაღაც განსხვავებული ნაბიჯით მობრუნდა და თავისი ცხენის — ნიკორის შეკაზმვას შეუდგა.

გეზი გუდამაყრისაკენ ეჭირა, სოფელ ხორხისაკენ. სწორედ აქ მოუვიდა თვალში ერთი ახალგაზრდა ქალი — თამარ დიდებაშვილი და ახლა უნდოდა მამამისს მოლაპარაკებოდა. მართალია, ქალი უკვე გათხოვილი იყო სხვაზე, მაგრამ ვაჟას იმედი ჰქონდა, რომ ქმარს გამოსტაცებდა თავის რჩეულს. ასეც მოხდა.

ისე რომ, ჩარგალელ ჭორიკანებს სალაპარაკო მიეცათ: „ლუკამ მეორედაც ბედგამონაცვალი მოიყვანა და თან ჯვარდაუწერლადო". ვაჟა ამ მითქმა-მოთქმას აინუნშიც არ აგდებდა, თავისი საქმეებით იყო გართული, თამარი კი მართლაც კარგი მეოჯახე გამოდგა. ოღონდ, კეკესაგან განსხვავებით, უტეხი ხასიათისა იყო, ვერავინ დაჯაბნიდა და დროდადრო ვაჟას ისეთივე საყვედურების მოსმენა უწევდა, როგორც მისი პოემის — „გველის-მჭამელის" გმირს — მინდიას, თავისი ცოლისაგან.

ახლა, ალბათ მართლაც დროა გავიხსენოთ ეს პოემა — „ვაჟა ფშაველას ქმნილებათაგან ყველაზე მეტად ღრმა და მშვენიერი", როგორც გრიგოლ რობაქიძე წერდა, გავიხსენოთ, რა გვითხრა ისეთი ამ „განმჭვრეტმა მწყემსმა" და „მკვდრეთით აღმდგარმა ძემ მითოლოგიური წარსულისა", საუკუნის ზღურბლზე მდგარმა, მაინცდამაინც 1901 წელს, რომ მთელი საუკუნის ... ნაბულნი ჩავცქერით ... ბოლომდე ვერ ამოგვიხსნია მის ფსკერზე გამოსახული იდუმალი ქარაგმა...

დღეს, როდესაც ადამიანმა გარშემო მიმოიხედა, უეცრად აღმოაჩინა, რა უქნა გარე სამყაროს: როგორ გაჩეხა და ამობუგა ტყეები, დაღარა და დასერა მთის კალთები; სიცოცხლე ჩაკლა იმ ტბებში და მდინარეებში, რომელთა დაშრობაც ვერ მოასწრო; გამოფიტა და მოწამლა ის მიწა, რომლის მადლითაც აქამდე არსებობდა; და ბოლოს — გაწყვეტის პირამდე მიიყვანა ყოველივე სულიერი, რაც კი დარბოდა, ცურავდა თუ დაფრინავდა ამ მიწაზე, ამ წყალსა და ჰაერში.

კაცობრიობის დიდ მასწავლებელთაგან მხოლოდ რამდენიმემ იწინასწარმეტყველა, რომ ბუნება როდესმე სამაგიეროს გადაუხდის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტავნებულ ადამიანს და მარტოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე...

ქართველი კაცისათვის ასეთი მასწავლებელი ვაჟა-ფშაველა იყო.

ვაჟამ „გველის-მჭამელში" იქადაგა, რომ ბუნება — ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი — ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორიც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ იწამებს და მის ტკივილს არ თანაუგრძნობს.

ვაჟა არ მოითხოვდა მინდიასთან აბსოლუტურ მსგავსებას. სხვა რომ არაფერი იყოს, თვითონ უბადლო მსროლელი და მონადირე იყო. მინდია, ეს სახე-იდეა, ვაჟასათვის მიუღწეველი ზნეობრივი აბსოლუტია, რომლის წარმოსახულ არსებობასაც გარკვეული, ეთიკური განზომილება შემოაქვს გარემოსადმი ჩვენს მიმართებაში.

ასევე აღიქმება მთელი წყება ვაჟას ისტორიული და მითოლოგიური გმირებისა — იმედი საზიკაული, გიგი, ხუზა-

ურ გოგოლაური, ხირჩლა ბაბურაული, ხიმიკაური, ღაჭაური, ხუმელჯი წოწ-კოლაური, იანვარ ელისაბრიძე... — „კაი ყმის“ სახელით გაერთიანებული ძველი ყაიდის რაინდები, ხატობაში „საკარგყმო“ ლუდს პირველებს რომ მიართმევენ და ვაჟასათვის მთელი მისი ცხოვრების განუშორებელ იდეალს რომ წარმოადგენენ:

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი შვენოდეს?
. . . . . .

ვაჟამ „კაი ყმაში“ დასმულ ამ კითხვაზე მთელი თავისი ცხოვრებით გასცა პასუხი: ადვილია სამართლიანობაზე აბსტრაქტულად წერა, მაგრამ ვინ გაბედავდა, ვაჟას მეტი, სასამართლო დარბაზში მსაჯულის მიკერძოებით აღშფოთებულს, მისთვის სკამი გაექანებინა, ბოქაულისათვის სილა გაეწნა, გზირნაცვალ-მამასახლისისათვის მედლები აეყარა, მაზრის უფროსს არ შეპუებოდა... მაშინდელი უფროსები ეგენი იყვნენ და იქით ეშინოდათ, რამით არ გაენაწყენებინათ ვაჟა. მათაც გაუგებს კაცი — აბა მიდით და გაანაწყენეთ ასეთი დევგმირი: „ცხენზე ძჯდა წყლისფერ ჩოხაში გამოწყობილი მხარბეჭიანი ვაჟკაცი, თოფით და ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული. მკერდზე უბის მასრები ეკეთა და თავზე მაღალი ფაფახი ეხურა“.

ახლა ხასიათს თუ იკითხავთ: „სოფელს მისი შიშით ვერავინ დაჩაგრავდა, მით უმეტეს ჩვენ, ახლო მეზობლებს, — იგონებდა ერთი მისი მეზობელთაგანი, — კატო ცქიფაშვილი, — ჩვენს ახლოს, ლუკას შიშით, ვერც ტყისმცველი გაივლიდა. ლუკა მთელი სოფლის იმედი იყო. ლუკას ხათრით ვერც მომიჯნავე სოფლები გვედავებოდნენ სათიბ-სახნავებს. სამართლიანი იყო და უსამართლობას [illegible] ეუთმენდა, დაჩაგვრას [illegible]“.

ამ პორტრეტს რამდენიმე დეტალს უმატებს ვაჟას უმცროსი შვილი, ვახტანგი, უკვე მეორე ცოლისაგან, თამარისაგან რომ შეეძინა: „მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თუ გული რამეზე მოუვიდოდა, იყო მძვინვარე, როგორც ვეფხვი, ახლოს ვერ გაეკარებოდი, იყო სრულიად უშიშარი და უკან დაუხეველი თვით სიკვდილის წინაშეც კი. ჩვეულებრივ კი მამა იყო მეტწილად მშვიდი, წყნარი, დარბაისელი, გულალალი, ბავშვივით მიამიტი, უეშმაკო და მეტისმეტად მგრძნობიარე. მაშინვე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალზე, თუ ისეთ რამე ამბავს ეტყოდა ვინმე“.

ვაჟას ჯერ თვითონ რა ჰქონდა, მაგრამ თხოვნაზე უარის თქმა არ იცოდა და მომხდარა რომ გარდაცვლილი მეზობლის ქვრივისათვის თავისი ერთადერთი გამოსასვლელი ტალავერი — ჩოხა-ახალუხი მიუცია, ზედ პური, ფული, სასუდრო დაუმატებია და ისე გაუსტუმრებია — „აჰა, წაიღე, შე ბეჩავო. იმ კაცს ტიტველს ნუ დამარხავთო!“

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორ დალოცავდა ვაჟას ის მეზობლის ქვრივი, წარმოვიდგინოთ ვაჟასსავე ეთნოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით: „შენამც შეგეწევა მამის სალოცავი, შენამც გიშველის ღმერთი. აგებ ღმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილი. ისრე გიცოცხლოს, როგორც შენს გულს უნდოდეს. საცა გაიარო, ყველგან გამარჯვება მოგცეს. შენი ამჯობინოს შენის მტრისასა, ნურავისი თვალი და გული მოგერიოს. ჩვენის შველისადა ღმერთმა გიშველოს, ხელ-მხარი მშვიდობაში მოგახმაროს. ჩვენის დახედვისადა, მოხედვისადა, ღმერთმა კეთილადა გნახოს, შენი პატივისცემა მეც კეთილად გადამახდეინოს. ღმერთიმც შაეწევა შენს ჯანსა. ღმერთიმც გიშველის — „აიქამც გაგემარჯვება, საცა ხმალნ იქმენ გელვასა, მოციქულობენ ისარნი, შუბნი იქნევდენ ენასა...“

მაგრამ ვაჟას მისამართით სხვა სიტყვებიც გაისმოდა: ასე მაგალითად, 1907 წელს ვინმე კაპიტანი სამონოვი, ფშავ-ხევსურეთში პოლიტიკური სიტუაციის დასაზვერად მეფისნაცვლის კანცელარიიდან წარგზავნილი, წერდა, რომ „ვაჟა-ფშაველა, როგორც ჭკვიანი და მოქმედი კაცი, რომელიც განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობს მაღაროსკარელთა შორის, რევოლუციური სიტუაციის შექმნას უწყობს ხელს და როგორმე უნდა უვნებელყოთო“.

თუ კარგად დავუფიქრდებით, რას ნიშნავს ეს „უვნებელყოფა“, როდესაც ხელისუფლებას ვინმე ძვალივით ყავს ყელში გაჩხერილი, მაგრამ დაჭერაც არ უნდა, ხმაური რომ არ ატყდეს, — 1907 წელს ვაჟა „შემთხვევით“ ტყვიას ან სხვა რამ ფათერაკს გადარჩენილად შეიძლება ჩავთვალოთ...

1905-07 წლები — ის დრო, როდესაც ვაჟა, რომელიც არც მაინცდამაინც მალემრწმენია და არც რაიმე პოლიტიკური აქტივობა დამჩნევია ოდესმე, მომავალი გამარჯვების იმედით განიმსჭვალა და ბრძოლასმოწყურებული ინტონაციით კითხულობს ლექსს, რომელსაც „მხედართა ძველი სიმღერა“ ცენზურის თვალისასახევად ქვია:

მიტომ გაგვზარდა დედამ,
მისთვის გვეტყოდა ნანასა —
ტანზე აბჯარი ავისსათ,
მუდამ ვლესავდეთ დანასა,
რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა.
არ ვაქელინოთ სამშობლო
მეტოქეს ათას-გვარასა.

. . . . . .

სულ ორი წელი დასჭირდა ვაჟასა და მისებრი რომანტიკოსების ილუზიების გაფანტვას: ცხოვრება თავის კალაპოტს დაუბრუნდა — ნასაკირალიდან მაღაროსკარამდე.

დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ ნირს ვაჟაც — ოღონდ ახლა ცოტა მეტს მიმოდიოდა — ლიტერატურულ საღამოებზე — ფოთში, გორში, ჭიათურაში, ქუთაისში; ილიას, აკაკის, დედო ლექსი-მესხიშვილის იუბილეებზე, ილიას დაკრძალვაზე საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში და იშვიათი ტკივილითა და მღელვარებით გამსჭვალული სიტყვით დაემშვიდობა საქართველოს სულიერ მამას, თავის უფროს მეგობარსა და მფარველს.

თვითონ ვაჟასაც გადაუხადეს იუბილე სახაზინო, დღევანდელ ოპერის თეატრში, 1915 წლის 23 მაისს, მაგრამ, ისედაც ფერდატკიებული, სწორედ იმღამინდელ ვახშამზე გაცივდა და მას შემდეგ მხოლოდ ორი თვე იცოცხლა.

იწვა ვაჟა წმინდა ნინოს ლაზარეთში (იქ, სადაც ახლა თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსია), მარტოდმარტო დარჩენილი თავის მწარე საფიქრალთან... თავისუფლებისმამკვიდრებელი ილუზიები ხომ დაემსხვრა, თითქოს რაღაც მუხტი გამოეცალა მის ბოლოდროინდელ ნაწერებსაც და ამას თვითონაც გრძნობდა: „ალუდა ქეთელაური“ ოცდაექვსი წლისამ დაწერა, „გველის-მჭამელი“ — ორმოცისამ, მაგრამ ეს პოემა მისი უკანასკნელი ეპიური შედევრი იყო. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დაწერილმა ლექსებმა კი გერონტი ქიქოძეს ათქმევინეს: „ნელნელა კომპოზიციის და რითმის გრძნობა დაჰკარგა. ლექსის ვირტუოზი არასოდეს არ ყოფილა: შალაშინი ყოველთვის აკლდა. არასოდეს არ ჰგვანებია ზოგიერთ თანამედროვე მგოსანს, პირწმინდათ გაპარსულს, თმადახუჭუჭებულს, პარფიუმერიით გამსჭვალულს, მაგრამ უკანასკნელ დროს უკიდურესობამდე მიიყვანა ტეხნიკური ხალვათობა“.

1915 წელს დაწერილ ამ წერილში კიდევ უფრო მწარე სიტყვებია ნათქვამი, მაგრამ აქ ციტირებას შევწყვეტ — როგორღაც ყურს გჭრით. და იმიტომ კი არა, რომ უსამართლოა — განვლილმა საუკუნემ განსაკუთრებულ კვარცხლბეკზე აიყვანა ვაჟა და დღეს ჩვენ თითქმის ვეღარც ვამჩნევთ მისი ლექსების დიდი ნაწილის პოეტიკურ ხალ-

ვათობასა თუ გაუმართაობას. ის, რაც დარჩა ვაჟასი, იმდენად გვხიბლავს და გვაღელვებს, რომ სწორედ ამ მწვერვალებს შევყურებთ და არა მათ ძირში განფენილ ბორცვებს.

ჩაკვირვებით ვუცქერით ჩვენ ვაჟას შინაგანად გაუბზარავი ცხოვრების იშვიათ მაგალითს, ჩავცქერით იმ ფოტოებს, რომლებმაც ახოვანი, იარაღასხმული „რაზიკაანთ დევი“ აღბეჭდეს. მაგრამ არის ერთი ფოტო, ყველაზე სულისშემძვრელი: ესაა სურათი სიცხით გათანგული, ფილტვებშეშუპებული ვაჟასი, წმინდა ნინოს ლაზარეთში გადაღებული 1915 წლის ივლისში: ფოტოკამერის ულმობელმა თვალმა ყველაფერი აღნუსხა — სასოწარკვეთაც, გადარჩენის იმედიც, მიუსაფრობაც. საბედისწერო ჟამს ცოლ-შვილს მოცილებული ადამიანისა, მეტწილად მოწყალების დის ხელს რომაა ჩაჭიდებული და სწორედ ამით უთქმელად ითხოვს შველასაც და თანალმობასაც...

ვაჟას სურვილი იყო ჩარგალში დაემარხათ, მაგრამ იგი ჯერ დიდუბეში დაკრძალეს, ხოლო ოცი წლის შემდეგ — მთაწმინდაზე. ჩარგალში მისი დაობლებული სახლი დარჩა. სადღაც იქვე უთუოდ ტრიალებს მისი სულიც, როგორც მფარველი და დარაჯი უკეთესი მომავლისა მოლოდინით დაღლილი მისი ქვეყნისა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან არაბული

ხმით ნატირლების კაი ყმა

„ყველას გვეწვევა სიკვდილი,
გვმართებს დავუხვდეთ მზათაო“.
დ. გურამიშვილი

მშობელი ქვეყნის (ვიწრო მასშტაბით — კუთხის, თემის, ხეობის, სოფლის) ღირსეული შვილების ლექსად დატირებას ძველი, ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცაღა შესაბამისი ზეპირსიტყვიერი ტექსტების სიმცირე, უარეს შემთხვევაში, უქონლობა, უფრო ზუსტად, ჩვენამდე მოულწევლობა, ერთობ აძნელებს ამ ისტორიაზე რამდენადმე მკაფიო და სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას.

პირველი წერილობითი ცნობა სამშობლოს ინტერესების სასიკეთოდ ნაღვაწი საჩინო პიროვნების სახალხო გლოვის შესახებ შემოუნახავს XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს. მისი სიტყვით, ვერაგულად მოკლულ ქართლის მეფე, ფარსმან ქველს მთელი საქართველო, „წარჩინებულთაგან ვიდრე გლახამდე“, ტყებითა და ტირილით მიაცილებდა საუკუნო სასუფეველში. დაბები და ქალაქები საყოველთაო გლოვას მოეცვა. სახელოვანი გვირგვინოსნის „სიმხნითა და სიქუელით“, „სიმშუენიერითა“ და „სახიერებით“ მოხიბლული მგოსანნი გლოვისანი ესრეთ იტყოდიან: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგვიძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ხსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუევნად ნათესავთა უცხოთა“ (2,53).

უეჭველია, ციტირებული დატირების მსგავსი ნიმუშები საქართველოს სხვა, ფარსმან ქველზე არანაკლებ ცნობილი და სახელმოხვეჭილი მეფეების გარდაცვალების გამოც იქნებოდა შექმნილი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჟამთა სიავის მიზეზით მათ დღემდე არ მოულწევიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნებოდა შედარებით სრული და სახიერი სურათი წარჩინებულთა სახალხო გლოვის ძველქართული ჩვეულების შესახებ. რომ მოგვეპოვებოდეს ქიზიყელი გლეხის ქალის „შესაბამითა სიტყვებითა ტირილის“ პოეტური ტექსტი, მიძღვნილი ერეკლე მეორისადმი, მაშინ, რასაკვირველია, მეტი საფუძვლიანობით შევძლებდით საუბარს საქართველოს სამეფო კარზე გამართული სამგლოვიარო ხალხური წეს-რიგის გარშემო.

ერეკლე მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სოლომონ ლიონიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, ქართული

სახოტბო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ძეგლი, მართალია, გლოვის რიტუალის სიტყვიერი გამოხატულების უბადლო ნიმუშია, მაგრამ რამდენადაც იგი მწიგნობრული ტრადიციის წიაღში იღებს სათავეს და თავისი სტრუქტურით, რიტმით და შინაგანი წყობით პროზაულია, ხმით ნატირლად ვერ ჩაითვლება და ამჯერად უადგილო და მიზანშეუწონელი იქნებოდა მისი განხილვა.

პლატონ იოსელიანის ცნობით, გიორგი მეცამეტის გარდაცვალებაზე „... ეკლესია გალობდა პანაშვიდსა საგალობელთა. სასახლისა კარისკაცნი იგლოვდნენ მეფესა, დედოფალი მარიამ და შვილნი სტიროდენ ობლობისა მწუხარებასა“ (1,212). სამწუხაროდ, არც პატარა კახის ღირსეული მემკვიდრის, საქართველოს სამეფო სკიპტრის უკანასკნელი მპყრობელის ხმამაღალი დატირების ტექსტია ჩვენთვის ცნობილი.

* * *

მთიელ ტომთა ეთნოგრაფიული ყოფის ნირმა და ყაიდამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა საგმირო პოეზიის ჩასახვას, გაჩენასა და განვითარებას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ განსხვავება და ტრადიციის უთანაბრობა თვით მეზობელ კუთხეებს შორისაც აშკარად შეიმჩნევა. თუ, ვთქვათ, ფშაურ ხალხურ პოეზიაში სატრფიალო ლირიკა დომინირებს, თუშურსა და ხევსურულში თვალსაჩინოა საგმირო მოტივების სიჭარბე. ამისდა კვალად, საგრძნობი სხვაობა შეინიშნება ამ კუთხეთა ხმით ნატირლების თემატიკაში, შინაარსსა და სულისკვეთებაშიც. კილოკავურ ფორმებში გამოვლენილ ლექსიკასთან ერთად სწორედ ხსენებული ნიშნის მიხედვით არის შესაძლებელი წარმომავლობის თვალსაზრისით ხმით ნატირლის ამა თუ იმ ნიმუშის რომელიმე კუთხისთვის მიკუთვნება, თუკი, რა თქმა უნდა, საამისო საჭიროებისა თუ აუცილებლობის წინაშე დავდგებით.

დაკვირვება ნათელყოფს, რომ თუშურ და ხევსურულ [illegible] ლექს-სიმღერებში, [illegible] ნატირლებში, მტრის ხელით მოკლულთა ხსენება გაცილებით ხშირია, ვიდრე ფშაურში. თუში და ხევსური ქალები, მეტწილად, მიწის შავ ლოგინს სიჭაბუკის ასაკში მისაბარებელ ვაჟკაცს დასტირიან ხოლმე, ხოლო ენამზეობით განთქმული ფშაველი მოტირლები „თავისი დღით“, ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებულ ადამიანს გლოვობენ. საუბარია საფერ მტერთან ბრძოლაში დაცემულთა ქების ამსახველი ხმით ნატირლების რაოდენობრივ უთანაბრობაზე, თორემ არც მაღალმხატვრული ფშაური პოეზიისათვის გახლავთ უცხო და უცნობი ჰეროიკული თემები და მოტივები...

ბუნებრივია, რომ სიკვდილის ფაქტი ერთი-ორად ამძაფრებს, აღრმავებს და აცხოველებს ხალხის მწუხარებას და ამასთან, სიყვარულსა და პატივისცემას თემ-სოფლის ერთგული და საიმედო ვაჟკაცისადმი, მეტადრე მაშინ, როცა ეს უკანასკნელი პირად ზრახვებზე მაღლა მშობელი კუთხის სასიცოცხლო ინტერესებს აყენებს. ასეთი ვაჟკაცის სიკვდილი საერთო უბედურებად, საერთო დანაკლისად აღიქმება: „დედაშენს რა აქვ სატირალი, სატირალი აქვ თემ-სოფელსა“.

თავისი ჯამის „ჩამაცქერალ“ სადიაცეთაგან კაი ყმა ბევრი რამით გამოირჩევა. მისთვის ადამიანური ღირსების განმსაზღვრელი უმთავრესი პირობაა სახელ-სირცხვილისა და სინდის-ნამუსის შეუბღალავად დაცვა და შენარჩუნება. იგი თვისტომთა ზნეობრივი სიმთელის, თანამემამულეთა მორალური სიწმინდის სარანგად დგას და თავდაუზოგავად იბრძვის ადათობრივი ნორმების შემლახველთა, მამა-პაპათა სახელის შემგინებელთა, გვარის „მომყივნეთა“ წინააღმდეგ.

კაი ყმის ნათქვამს და ნამოქმედარს მისაბაძი, წარუვალი ღირებულების შემცველი ზნეობრივი მაგალითის ძალა

აქვს. მისი წყალობით სწავლობს უწვერული ყმა უფროს-უმცროსობის დაუწერელ წესს, ავ-კარგის გარჩევას, მოყვრის პატივისცემას და მტრის მტრულად დახვედრას, სამშობლოს სიყვარულს... ამიტომაც ხმით ნატირლებს, რომლებშიაც კარგი, ქვეყნისთვის გამოსადეგი ვაჟკაცია შექებული, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. არ იყო შემთხვევითი, რომ „ზარის“ დანიშნულებაში ალ. ყაზბეგი დიდაქტიკის ძველთაძველ ტრადიციას ხედავდა და ამ ტრადიციის შენახვა-შენარჩუნებას აუცილებლობად თვლიდა. მწერლის სიტყვით, „ზარის“ თქმის „სარგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ მომთქმელს ლექსით სიტყვა უჭერია გარდაცვალებულის წარსულ ცხოვრებაზე და საქვეყნოდ იგონებს მის ავ-კარგიანობას. ხალხს იქამდის ეშინია ამ დროისა, რომ მთელს თავის სიცოცხლეს ცდილობენ გარდაცვალების შემდეგ ცუდად არ მოიხსენიონ და იმის წარსული ცხოვრება საკიცხავად არ გახადონ“.

საყოველათოდ ცნობილია, რა შინაარსს დებდა კაი ყმის ცნებაში ვაჟა-ფშაველა, როგორ წარმოედგინა სხვისთვის გარჯილი, ნაჯაფი და ომში დახარჯული იდეალური გმირის ზოგადი სახე...

ხმით ნატირლების ერთი ნაწილი ნათლად წარმოაჩენს კაი ყმის როგორც ფიზიკურ ხატს, ისე მის სულიერ სახეს.. უნდა ითქვას ისიც, რომ გამომდინარე ხალხური პოეზიის სპეციფიკური თავისებურებებიდან, იმპროვიზაციის ანონიმური თუ ცნობილი ავტორი დიდად არ ცდილობს ხოტბის ობიექტის შინა ბუნებაში ჩაღრმავებას, მისი ყველა დადებითი ადამიანური თვისების უკლებლივ „აღნუსხვას“, გარდაცვლილი პიროვნების უნაკლო, სრულქმნილი პორტრეტის დახატვას. იგი თავის „გულხრულ“ მოთქმაში მარჯვედ იყენებს სტერეოტიპულ გამოთქმებსა და ტრადიციულ მხატვრულ სახეებს, ოღონდ ისე, რომ სათქმელს არ უგანოს, არ გადაუხვიოს. ბოლომდე პირმართალი იყოს მკვდართან თუ მსმენელთან.

კაი ყმის ზოგადი ტიპის გასაცნობად, ვფიქრობთ, ყველაზე მეტ და მკაფიოდ მეტყველ მხატვრულ-სახეობრივ არსენალს მკვდრის რიგზე დოღის წინ შესასრულებელი სამგლოვიარო გუნდური ჰიმნი „დალაი“ შეიცავს. მრავალ ვარიანტად გავრცელებული ამ ფოლკლორული ტექსტის ძირითადი ნაწილი თითქმის უცვლელია. მისი ყოველი ახალი შესრულებისას იცვლება მხოლოდ მიცვალებულის სახელი. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ლექსი „ერეკლე მეორის დატირებას უნდა წარმოადგენდეს“ (3, 338), ვინაიდან მასში არის ამგვარი მიმართვები: „ჭკვიანო, საქციელიანო, გამჭრელო მოსამართლეო“. „იმედო თავის ქვეყნისა, გამრიგევ თუშეთისაო“, ხოლო ერთ-ერთი ვარიანტის დასაწყისში დასახელებულია მეფე, ვისაც გლოვობენ: „ჩვენ ნუვის შევატყობინებთ ლომის ერეკლეს სიკვდილსა“.

„დალაის“ მიხედვით, ბრალია ვაჟკაცი, რომელიც ულაშქროდ კვდება. „მტერთან ხმალამოღებულს“ და სწორში თავგამოდებულს“ ლაშქრად მყოფი სწორები საკლისობენ. ასეთი ყმა მტრის რისხვა და მშობელი ქვეყნის იმედია, რომელსაც, გარდაცვალების შემდგომაც კი, კარზე სტუმრები უდგანან, მასპინძლის შინ შეძღოლას და კარგ დახვედრას ელიან. სტუმრებისათვის „მზიანი დღე“ და თუშეთის „პურ-წყალი“, უწინარესად, თავისიანთა — სანთლებურ დნობადი დედის, სუროსავით მოქანავე ცოლის და შავით შემოსილი გვარის ქალ-ზალის — ალალ ცრემლსა და გლოვას იმსახურებს. საწყენია , რომ მისი საცმელი სამოსი ამიერიდან დარბაზს აღარ გაიცვითება, ცხენ-აბჯარი უდროოდ დაიხარჯება, ლოგინი ია-ვარდივით დაჭკნება, ხოლო წვერ-ულვაში მწვანილად ამოვა... მაგრამ გმირის ფიზიკური არსებობის მოსპობით როდი თავდება ყოველივე. მოდალავენი გარდაცვლილს „აიმედებენ“, რომ „მტრედის ფერად“ შევა სულეთში, სადაც სა-

სმელით სავსე კოდები, გარიგებული სუფრა და მეღვინეები (ხუცისა და დიაკვნების თანხლებით) დახვდებიან და ეს უკანასკნელნი ვერცხლის ვაშრაპებით შენდობას ეტყვიან...

ასეთია სამშობლოსათვის სანატრელი, ვარგისი და გამოსადეგი ვაჟკაცი, მისი ბედი და გზა-კვალი „ზარის“ ერთ-ერთი საინტერესო სახეობის „დალაის“ სიტყვებით.

მაგრამ „დალაი“, როგორც ერთგვარად სტაბილური ვრცელი პოეტური ფორმულა და, ასე ვთქვათ, მზამზარეული სქემა, სადაც უმტკივნეულოდ „ჯდება“ ნებისმიერი მიცვალებული მამაკაცის სახელი, ძალზე მკრთალსა და ზედაპირულ წარმოდგენას გვაძლევს ხმით ნატირალთა ჭეშმარიტად კაი ყმის სახე-ხასიათზე. გაცილებით მრავლისმეტყველია ისეთი ნიმუშები, რომელთა სათქმელსა და მხატვრულ სტრუქტურას გარდაცვლილის ადამიანური ღვაწლისა და ღირსების მოტირალისეული შეფასება განსაზღვრავს.

აღსანიშნავია, რომ თუშურ სამგლოვიარო პოეზიაში „დალაი“ სისრულის თვალსაზრისით თავისებურ გამონაკლისს წარმოადგენს, რაც შეპირობებულია მისი მრავალგზისი გამეორებით შესაბამისი რიტუალის დროს. საერთოდ, თუშური ნატირლები ფრაგმენტულია, ნაკლულოვანია, რასაც თავისი ახსნა აქვს: ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურეთში კარგი ვაჟკაცის საქებსა თუ სხვა ხასიათის ხმით ტირილის ნიმუშებს სათიბში „გვრინავდნენ“, „ცელის ტარზე“ მღეროდნენ, რაც ხელს უწყობდა მათ სიცოცხლისუნარიანობას და მომავალი თაობებისათვის შედარებით სრულად, დახვეწილი სახით, უდანაკარგოდ გადაცემას. თუშეთში მსგავს მოვლენას ადგილი არ ჰქონია, იქ ნატირლის საჯაროდ გამეორება არ ხდებოდა, რადგანაც ასეთი რამ, ხალხის აზრით, ცუდის მომასწავებელი იყო, „არ ხამდა“. თუშ მთქმელთა მეხსიერებაში ნატირლის მხოლოდ ფრაგმენტები რჩებოდა. ცოცხალ გარემოში, შრომის პროცესში შეუსრულებლობის გამო ეს ფრაგმენტებიც თანდათან იცვლებოდა, მკრთალდებოდა და, „ბარე“ მემხვევაში, სრულიად იკარგებოდა. მიუხედავად ამ ვითარებისა, თუშური ხმით ნატირლები, თავიანთი არასრული სახითაც, ქართული სამგლოვიარო ლექსიმღერების ძალზე საინტერესო შენაკადია არა მარტო თემატიკის, მელოდიისა და მხატვრული სტრუქტურის, არამედ მკვეთრად გამოვლენილი ვერსიფიკაციული თავისებურებების მხრივაც. ასე, მაგალითად, თუ ფშავ-ხევსურული ხმით ნატირლების აბსოლუტური უმრავლესობა ცხრამარცვლიან საზომზეა გაწყობილი, თუშურ ნატირლებში თორმეტმარცვლიანობა დომინირებს, რაც მეცნიერული დაკვირვების, შედარებითი შესწავლისა და სათანადო კვალიფიკაციის ფართო პერსპექტივას სახავს ჩვენს წინაშე.

დავუბრუნდეთ კვლავ ძირითად საკითხს.

რჩეული პიროვნება, ვინც თავისი ქმედითი, აზრიანი და მიზანსწრაფული ცხოვრებით ღრმა, წარუშლელი კვალი დატოვა ამქვეყნად, ღირსია ცის მნათობებთან გატოლებისა. დღიურ წვრილმანსა და ვიწრო კაცებრივ ვნებებზე ამაღლებული ადამიანი, მითუფრო მაშინ, თუკი იგი შემოქმედია, მზისა და მთვარის ბადალია. მისი „ცად შახდენის“ სურვილით მოცული მოტირალი ორიგინალური მხატვრული შედარების მოხმობით ცდილობს გულისნადების გამხელას. სხვას ვის, თუ არა ვაჟა-ფშაველას, შეიძლება მიმართონ ასე: „შენ იყავ ქვეყნის თანასწორი, მზე-მთვარეთავით მაზდიოდი...“

გარდაცვლილ კაი ყმას, მთიელთა პოეტური თვალსაზრისით, ხალხთან ერთად გულით გლოვობს უტყვი, უენო ბუნება. გლოვობენ მთები და მდინარეები, ღამე და „გათენება“. „...გათენებაო, შენც გენაცვალე, ჩემ დარდი შენაც გაგიგავის, მთის ლამაზ-ლამაზ ყოილებზე ცვარნამის ცრემლი დაგიღვრა-

ვის.“ ვაჟკაცის სიკვდილზე ისინი მგლოვიარე ქალების დარად ღვრიან ცრემლს. მაგალითისათვის ხალხური ხოგაის მინდისა და ვაჟას „თხისტყავიანი“ გიგლიას სიკვდილის გამო დამწუხრებული ცა-ხმელის გრანდიოზული სურათის გახსენებაც იკმარებს.

მითოსური ლოგიკით, რჩეულთა საქაო არსებობა და ბედ-იღბალი პირდაპირ კავშირშია ციურ სამყაროსთან, ვიწრო, შეზღუდული მნიშვნელობით — დღის მნათობთან. ისევე, როგორც ბედის ვარსკვლავი, საზოგადოების ყველა წევრს თავისი წილი მზე აქვს დაბედებული ცაზე. და როცა ადამიანი კვდება, მისი წილი მზეც ბინდში იძირება, ქრება და იჩრდილება. ამგვარი რწმენის ანარეკლს (შესაძლოა მოტირლისგან გაუცნობიერებელს) ვხედავთ ძმაზე დამწუხრებული დის ნატირალში: „...ძმობამ, ვერ გავსძლებ უშენოდაო, შენ ვერ გიგონებ სამარესაო, მზეს ვერ შავხენებ უშენოდაო, მზეს უშენობით დაჩდილულსაო.“ მოვიგონოთ ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის წერილობითი მიმართვა ტარიელისადმი: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ილიას სიტყვები, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების გამო რომ დაიწერა: „როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქოს ჩემი და თქვენი წილხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვს...“

ფშაველი მამაკაცი დასტირის ძმას: „მამიკვდი, განა, ძმავ ივანე, მამტეხე, განა, მარჯვენაი?! ცაზე დაობლდნენ მზე-მთვარენი, დედამიწაზე დაშრა წყალი.“ ხოლო სხვა ნატირალში ვკითხულობთ: „ჩემ მტერსა, მათურელებო, მე რო კი ვნახე სიზმარი, ჩემ წილ მზე-მთვარე დაბრძანდეს, უკუღმ ამოხდეს ცისკარი.“

ძალმოსილ მზესთან მოკვდავი არსების იდუმალი კავშირის მითოსური მოდელი სპონტანურად მეღავნდება ხალხურ პოეზიაში, კერძოდ, ხმით ნატირლებში, რასაც თვალნათლივ მოწმობს ზემორე მოტანილი საილუსტრაციო მასალა. ვფიქრობთ, ფაქტობრივ-ანალიზებზე ძალდატანების ყოველგვარი-ცდის აბსოლუტურად გამორიცხვის შემთხვევაშიც კი რჩება შესაძლებლობა მითოსურ ცნობიერებასა და ზეპირპოეტურ შემოქმედებას შორის ამგვარი ანალოგიებისა და უთუო ფესვეული სიახლოვის ძებნა-ძიებისა.

მსგავსი წყობის, აღნაგობისა და ელერადობის ფოლკლორულ ნიმუშებშია საგულვებელი მხატვრული აზროვნების საწყისი ეტაპი, ცნობიერების ევოლუციის ის საფეხური, როცა პოეტური ხატი მჭიდროდ იყო გადანასკვული არქაულ მითოლოგიურ წარმოდგენებთან.

ერთი მწკრივი ტროპული სახეებისა, რომელთაც მოტირალი გარდაცვლილის უებრო ვაჟკაცობისა და ფიზიკური ძლიერების წარმოსაჩენად იშველიებს, თავისი არსით რეალურ „ბაზისზეა“ დაფუძნებული, მხედველობით აღსაქმელი საგნობრივი სინამდვილიდანაა აღებული. როგორც თავ-ბოლო გამაგრებული ციხე-სიმაგრეა სასო და ნუგეში მომხვდურის გარემოცვაში მყოფთათვის, ისე კაი ყმა, ჩაუქი ვაჟკაცი, ვინც, საგმირო ლექსის ენით რომ ვთქვათ, „მთელის თემობის კარია.“ სოფლის საიმედო მოყმის სიკვდილი გასაჭირის ჟამს თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობის დაქცევას უდრის. სიმაგრის ჩამოშლა კი ავი მომავლის, მტრისგან ძლევის მაუწყებელია. ამიტომაც ხვდება ესოდენ მძაფრად მსმენელის ყურს მოტირლის მოთქმა: „ციხე დაგვექცა, ქალო და ზალოო, ჩაწვა როსტომი მიწაშიაო.“ ანდა: „შენ ჩემს ვერ გასტეხ ბეწიკასაო, ჭალას ქვითკირად ნაყუდებსაო.“ „რახელ ვიქჩერა სატირლადაო ეგ ცისკარაულთ ფალავანიო, ციხეი ახიელელთაიო, ციხე უდროოდ ჩამოშლილიო.“ „გუშინ გავიგი ხევსურეთაო, ციხე ახიელ დაიშალაო, ციხეი ჯურჯიაულთაიო.“ „ციხეო, წიქციავ, მაღალა ციხეო“.

„ციხის დაქცევას“ ზოგ ნატირალში „ჩარდახთა ჩამოყრა“ ცვლის: „ტანიეს ამბავ გავიგონეო, ციხემა ჩარდახნ ჩამოყარნაო.“ ზოგან კიდევ — რკინის კარის შეხსნა: „ვინ ჩადგა, ვინა, ცოდვაშია?! ციხეს შაგვიხსნა რკინის კარი!“

რკინა და მისგან ნაჭედი საომარი იარაღი, როგორც სიმტკიცისა და მტრისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალების თავისებური სიმბოლოები, არაიშვიათად ფიგურირებენ კარგი ვაჟკაცის ეპითეტად ხმით ნატირლებში. გარდა იმისა, რომ რკინის „კვერივით“ მაგარი და გაუტეხელია ნამდვილი მოყმე, ის, ამავე დროს, „ქალ-ზლის იმედი და პირისწყალია.“ მისი სიკვდილი თემ-სოფლისთვის „ხმლის შახსნას“ და გოზაჩამოყრილ მშვილდს ნიშნავს. ვინმე ნათელისძე ხმელას (კაცის სახელები — ა. ა.) დასტირის, თანაც მის ცოლეურებს ახასიათებს: „... ჩემის ხმელაის ცოლეულნო, თქვენ ფასნო სინა—რკინისანო, გაუტეხელნო ბასრის ხმალნო, არხოტ ნაბამნო რკინის კარნო.“

მარტივი, მაგრამ ტევადი, მოხდენილი და მრავლისმთქმელი შედარება გაიელვებს ბეწინტურ კოწიწაშვილზე დედის ნატირალში: „ხმალო, ვადაში გადამტყდარო, დედის იმედო, საფიცარო.“

როცა მომთქმელს სურს, გარდაცვლილის მოდგმაზე, გვარიშვილობაზე, „კაი ჩამომავლობაზე“ და „ჯიშ-ჯილაგიანობაზე“ გაამახვილოს მსმენლის გულისყური, პრივილეგირებული სოციალური ფენის წარმომადგენლებად იხსენიებს მის დედულ-მამულს: „გიტირებ, ნათელისძის მზემაო, ვაჟკაცო ბალიაურთაო, დისწულო ერისთვიანთაო, შენ მაურავის ქალის შვილო.“ ბოლოს კი, ბარუქას (სასაფლაო არხოტში — ა.ა.) მომავალ ბინადარს, ყმაწვილკაცს, ასე მიმართავს: „ნაზარდო სააზნაურდაო, ნაწოლო ბამბის ლოგინზედაო.“ გლოვის მგოსნის მსგავსი სურვილი უდევს საფუძვლად ორტაეპიან თუშურ ნატირალს: „რა კა ხარ კათაივ, ბატონიანთაივ, სიძე ხარ კათაივ, როსტომიანთაივ.“ ანდა ასეთი: „დედა ენაცვლოს გიორგისაო, ლიქოკ ლიქოკელი ერისთავსაო.“

საგმირო და სამგლოვიარო ჟანრის ხალხურ პოეზიაში ჭარბად მოიპოვება ნიმუშები, სადაც გულადი, მხნე და მარჯვე ვაჟკაცი განსაკუთრებული ნიშან-თვისებების მატარებელ რომელიმე გარეულ ცხოველად ანდა ფრინველადაა სახელდებული, ისე, რომ ხშირად მტერთან ჭიდილში ნასახელარი თუ უთანასწორო ბრძოლაში ნამუსიანად დაცემული გმირის ნამდვილი ვინაობა არცკი ვიცით.

კაი ყმა, მგელი და არწივი, თუმცა სხვადასხვაობს მათი ჩვევა, ზნე და ხასიათი, ერთი რამით მაინც არიან მსგავსნი: სამივე უწურთნია, „არცერთ არ გაიწურთნება!“ სწორედ ამ ნიშნით აჯგუფებს და აერთიანებს ხალხური ხედვა მუდამ სადავლოდ და თავის საცდელად მზადმყოფ სამეულს. არწივისა და მისი შესაშური თვისებებით მოხიბლული მონადირის მეგობრობა ხომ საინშნო ზნეობრივ მაგალითად არის დასახული ხალხურ პოეზიაში!

ხმით ნატირლებში ლოგიკურად გრძელდება და ვითარდება პოეტური ფოლკლორის ხატოვანი მეტყველების აღნიშნული ტრადიცია. მეტიც: ზოგიერთი ნატირალი თითქმის მთლიანად მიჯრით მიწყობილი ეპითეტების გამოყენების პრინციპზეა აგებული. ერთა ნიმუში: შატილიონი მზია დასტირის თაველექათ გიორგის: „ვეფხვო, დახყარე იარაღიო, არწივმა დაიჭუჭკენ მხარნიო, ჯიხვო, საწოლთით გადმაღვარდიო,ირემო, დაინაყენ რქანიო.“ ამ ნატირალს ქს. სიხარულიძე საგმირო მოთქმის ტიპიურ ნიმუშად თვლიდა.

უდრეკი ვაჟკაცის ხოტბისას მოტირალი მხოლოდ ერთ ეპითეტს რიდი სჯერდება: „აბეჩავ ჭოლიკაურთ ვეფხოვო, მორიალესა ღვანდი მგელსაო.“ მოხეური ნატირალი, ჩაწერილი ირაკლი ჩქარეულის მიერ სოფელ ხურთისში 1948 წელს, ასე ახასიათებს მიცვა-

ლებულს: „...თეთრისა ქორისა ნაშობიო, შავარდენისაგა ნაქნაროო;“ „თეთრ ქორში“ გარდაცვლილი ვაჟკაცის დედაა ნაგულისხმევი, „შავარდენში“ — მამა. ცხადია, ასეთი აღმატებული ეპითეტებით შემკული მშობლების ნაშიერი ღირსი იქნებოდა „წვიმათოდენი“ ცრემლისა და გამეტებული ქებისა. „ქორო, ქარაფთით გამახფრინდიო, ირემო, დაიჯეხენ რქანიო“, — მიმართავს მოტირალი ჩვენთვის უცნობ ადრესატს. „შენ ჩამომხდარხარივ, ქორო, ქანდარითივ“,“, — ამბობს თუშური ნატირლის ავტორი. „შარმანაულო შავარდენიო“,— ალიტერირებული ტაეპით იწყებს ქებული გუდამაყრელი მთიბლის, მონადირის, ფრანგულის მარჯვედ მხმარებლის, მოყვრისთვის კარლია მასპინძლისა და მტრებს შორის ბჭე-შუამავლის ქებას მისივე ასული.

არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვიერი ფორმულა, აღებული რამდენიმე პოეტური ტექსტის საწყის სტრიქონად, წინდაწინ გვამზადებს საიმისოდ, რომ დამოუკიდებელ ნატირლებში დაახლოებით ერთნაირი განწყობილება, აზრი და სათქმელი ამოვიკითხოთ. მაგალითისათვის ვნახოთ ორი ნიმუში: „ღმერთმა ნუ თქვას, რო აგრ ქნილიყვაო, ხოლიგათ აბა მთელ ქნილიყვაო: — გუროს ერთკი მხარ იქნებოდაო, ბატონობას რას მაითხოვდაო.“ „ღმერთსამც ნუ ეთქვა — გაზრდილიყვაო ბაჭუათ ახალაის შვილიო, სწორთ მეტობას რას დაიწყებდაო, სწორებს რას დააჩალაებდაო“. ამათგან პირველი ნატირალი სოფელ გიორგიწმინდაშია ფიქსირებული, მეორე — უკანხადუში. მიუხედავად ჩაწერის ადგილის სხვადასხვაობისა, აშკარაა მათი შინაარსობრივი და რიტმულ-ინტონაციური მსგავსება. რაკი სიკვდილს „არა ეზმის“, „გლოვის მგოსანნი „იძულებულნი“ არიან, სათქმელის მიმართულება შეცვალონ და მოჩვენებითად საპირისპირო აზრი ჩადონ ნატირალში.

ნატირლებში და, ზოგადად, ხალხურ პოეზიაში, ხშირია ლექსიკური თანხვედრის შემთხვევები არა მარტო სტერეოტიპული მხატვრული სახის, არამედ შინაარსობრივ დონეზეც. ანალოგიური სიტუაციების გადმოცემისას ხმით მოტირლები თავს არ არიდებენ წინამორბედთა ზეპირშემოქმედებითი გამოცდილების გაზიარებას და მეხსიერებას შემორჩენილი პოეტური ნაწარმოების სათანადო მონაკვეთის თავისებურ პერიფრაზირება-გარდათქმას ახდენენ.

ქისტებთან ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი, სულამომდინარი ბადურიკათ საყურა განთქმულ მოტირალს — ჩუათ თამარს სთხოვს: ვიდრე მოვკვდები, მიტირე, მინდა, ცოცხალმა გავიგონო შენი ტირილი, მკვდარი ხომ ვერაფერს გავიგებო... თამარს უარი ვერ უთქვამს, წესი გაუტეხია და ცოცხლად დაუტირებია სწორფერი: „...მდევართ წინ რად მიღმეტდებოდიო? „დედისერთა ვარ“ — რად არ სთქვიდიო? მეშველაობით ვინ იძახდაო? ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო“. ცოლისდა ტირის ხიძეს, რომელიც დაახლოებით ასეთსავე შემთხვევას უმსხვერპლია: „...ლაშქართმეტობა რად გინდოდაო, განა შენ ქალ-ზალ მადიოდაო, მიშველე, იმას ვინ გეძახდაო!“

„მდევართმეტობა“ და „ლაშქართმეტობა“ ნატირალთა ადრესატების განმადიდებელი სახოტბო სიტყვებია. ყმა, რომელიც ლაშქრის რიგითი წევრია, მაგრამ ბრძოლაში სხვებს „აჭარბებს“, სხვებზე მეტია, საყოველთაო კრძალვასა და დაფასებას იმსახურებს თვისტომთა შორის.

გარდაცვლილის ქების „რეგისტრი“ ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, სად და რა ვითარებაში აღესრულებოდა იგი. ჭერქვეშ, დედის ან ცოლის ხელით გაშლილ ლოგინზე სიკვდილი ვაჟკაცის ღირსებას არას მატებდა, „სახლში დალევა სულისა წესი არ არის გმირისა“. მაგრამ თუკი ოჯახურ გარემოცვაში გარდაცვლილი კაცი თავის დროზე სიქველით და საგმირო საქმეებში აქტიუ-

რი მონაწილეობით გამოირჩეოდა, ასეთ შემთხვევაში მოტირალი უსათუოდ გაიხსენებდა მის სახელოვან წარსულს, უტრირებულად აღადგენდა განსვენებულის საბრძოლო ბიოგრაფიის ყველაზე მკვეთრსა და ღირსსახსოვარ შტრიხებს.

მტერზე მორიგი თარეშიდან გამარჯვებით უკან შემოქცეული ვაჟკაცისადმი, რომლის უდროო სიკვდილმა კიდევ უფრო ცხადად შეაგრძნობინა თავისიანებს მისი ფასი, დაუფარავ სიმპათიას ავლენს მგოსანი გლოვისა: „ადე, შე თათართ ჯავახაო, მე შენი უფრო მამდის გულსაო. ხმა რო გაგიტყდა ხარათესაო. ზულაის წვერი გადიარეო, გადაიზინკლე ღუბისთავაო, ნასახელარი ამალბრუნდიო. ვენაცვალე შენთა სათაგვეთაო, ზედა ნაკრავთა სამკლავეთაო, გამარიკაის ამკაფავთაო“.

ღირსეული ყმის უცაბედი გარდაცვალება ალაღებს არა მარტო მის მტერსა და მოშურნეს, ვისაც თავისი სიმამაცით შიშის ზარს სცემდა და ნების ძილს არ აძინებდა („შენ სიკვდილ ქისტებს გაუხარდაო, იყავ მითხოელთ ნიავ-ღვარიო“), არამედ „მაღლის ჭიუხის“ ნადირსაც. მუხლადი მონადირის სიკვდილის შემდეგ ჯიხვი სათოფე მანძილზე დაუახლოვდება სოფელს, რაკი აღარაფრის ეშინია და შეუძლია „ხამ“ საძოვარზე მშვიდად გასვლა. რაჭულ ზრუნში ნათქვამია: „კარგსა მონადირესაო თუ დაუთოვა მთანიო. კირტიშოს ჯიხვი კვინტრიშობსო: — მომკვდარაო ჩვენი მომკლავიო.“

მიუვალ კლდე-ქარაფებში ჯიხვზე ნადირობა, როგორც ვაჟკაცის სულიერი და ფიზიკური წრთობის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სახეობა თუ საშუალება, მთიელთა ყოველდღიური ყოფის მოუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა და თოვლიან მთებში დაღუპული მონადირეც კაი ყმობის შარავანდედით იმოსებოდა. საერთოდ, ტრიალი ცის ქვეშ ღამის თევა და სიმაღლეებში სიარული ვაჟკაცობის ნიშნად, გნებავთ, გამოცდად ითვლებოდა ოდითგან. ველზე ღამეთა მთევარი და „ზეა-ლუმადეთა მლახავი“ კი მუდამ მუხლადი მონადირე ანდა უშიშარი მებრძოლი იყო...

„ომით მაშვრალი, სისხლით მთვრალი“ კაი ყმა ყოველთვის სავაჟკაცო საქმეზე ფიქრობს, მზად არის, პირველი შეეგებოს შიშველ ხმალსა და ცხელ ტყვიას, საორბედო ბრძოლაში გაცინებული პირით შევიდეს, ვერაგი მტერი იოლად მოიგერიოს, დაჯაბნოს და საკუთარი სისხლის ფასად იხსნას მოძმე და მოყვასი განსაცდელიდან....

ზოგ ნატირალში, გლოვის უშუალო მიზეზთან ერთად, იხსენიებიან ხოლმე სხვა მიცვალებულებიც, რომელნიც რამენაირ კავშირში (მეგობრული, ნათესაური) არიან დატირების ობიექტთან. ასეთი ტექსტების უმეტესობა ვრცელი და სიუჟეტურად დატეხილ-დანაწევრებულია. ზასზე, ვისაც დასტირიან, ხშირად გაცილებით ნაკლებია ნათქვამი, ვიდრე უწინ გარდაცვლილებზე. ნიმუშად შეიძლება გავიხსენოთ ბუბიკა ლიქოკელის ნატირალი ბათირაზე, სადაც ამ უკანასკნელთან ერთად მომთქმელი ჩამოთვლის „ბჭე-ხევისბერჩი მაარულ ხუნჩალაურს, „ომში კივილით დამავალ“ ადადას, „თავისი სოფლის ამრევ“ მაღალთ ბუჯიას, „ლაშმრუდ ბურციკაისშვილს“, კვირიკას — „ქალ-ზლის გემოს და პირისწყალს.“ რამდენიმე მიცვალებულის ხსენებით მოტირალი კაი ყმისა და ქვეყნისთვის ურგები შვილის თავისებურ კონტრასტს ქმნის. თუ სოფლისთვის ცუდის მქნელ ადამიანს ქალ-ზლის ცრემლი აკლია და ენატრება, კაი ყმა პირიქით — მგლოვიარე მახლობელთა წმინდა ცრემლით ინათებს სულეთის გზას.

ჭირისუფალთა ღრმა მწუხარებისა და უსასოო სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად, უფრო კი მაშინ, როცა სოფელში ერთდროულად ასვენია ორი მიცვალებული, ხმით მოტირალი გარე სამყაროს მეტაფორულ გააზრებას ახ-

დენს და მოკლე, მაგრამ მეტყველი სიტყვით ძალუმად განაცდევინებს მსმენელს დამზაფრველ ადამიანურ ტრაგედიას: „...ცა-დახურვილნ ორთ, საკვირველნიო.“ ანდა: „...ბერდიშვილთ დაეხურა ბორტვიო“. ნატირლები, საიდანაც ეს სტრიქონებია მოხმობილი, მართლაც ორ-ორი მიცვალებულისადმია მიძღვნილი. პირველი ეხება მამაშვილს, გვარად ქალუნდაურებს, ხოლო მეორეში სანაქებო არხვატელი ვაჟკაცების — დაბალ ბეწინასა და ბაბუტთ ბეწინას ერთდროულ სიკვდილზეა საუბარი.

ნატირალთა მიხედვით, კაი ყმას „ქარივით მიაქვს მხარ-ბეჭი“. სხვაგან: „დგავის ქარსა“. იგი ჯარის სამკაულია, მოწინააღმდეგისათვის „ნიავ-ღვარია“, ბრძოლაში „ალაღებულსა ჰგავის წყალსა.“ გულმაგარი მოყმე ზვავს „ხელდიხელ“ ეომება. მშვიდობიანობის ჟამს სტუმართ წინ სადგმელი „ყანწი და ხელადა“ ანდა „ვერცხლის ვაშრაპაა.“ ყველგან და ყოველთვის „უმამოთ მამა“ და უმმოთ ძმაა (გავიხსენოთ ვაჟას დაახლოებით ასეთივე სახელწოდების მოთხრობა).

მცირე გამონაკლისების გარდა, ხმით ნატირლები საზოგადოების ისეთი წევრების გარდაცვალების გამო არის შექმნილი, რომელთაც თავიანთი გრძელი თუ ხანმოკლე სიცოცხლით წარუშლელი კვალი დატოვეს თანამედროვეთა ხსოვნაში, მიწყივ სახსენებელ სახელებად აღიბეჭდნენ შთამომავლობის შეგნებაში. ხმით ტირილი, როგორც ზეპირპოეტური შემოქმედების უაღრესად საგულისხმო, შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვლენა, არაა სტიქიური, განურჩეველი პროცესი. მოტირალთა შთაგონების სათავე და ლექსად მოთქმის მიზეზი სრულღირსებიანი პიროვნების სიკვდილია; დაკარგვა ისეთი პიროვნებისა, მუნჯსაც რომ ენას ამოადგმევინებს და ალაპარაკებს („ჰო, კარგ რო არი, იმით ვტირი, ცუდას ვინ ვალაპახსენებს“). გლოვის „ბოსნებს“ ყველა გარდაცვლილი როდი მიაჩნიათ დატირების ღირსად. მათი აზრით: „უსახელოსა ჭაბუკსა არა სტირიან ქალები.“ იმპროვიზატორი თავს მოვალედ თვლის, თქვას მხოლოდ სიმართლე და ყველას საამქვეყნო დამსახურებისდა მიხედვით მიაგოს კუთვნილი პატივი. პოეტური გაზვიადების მიუხედავად, რაც მხატვრული ხერხების ინტენსიური გამოყენებით მიიღწევა, მოტირალი მიცვალებულის ავ-კარგის ობიექტური მსჯავრმდები და შემფასებელია. როცა „ნარჩევ“ ვაჟკაცს დასტირის, მისი სიტყვა ლაღი, თამამი და დაჯერებულია: „გიტირებ, აგრემც გენაცვალებიო, ღირხარ ვაჟკაცი სატირლადაო...“ ლექსის ექსპოზიციაში ის თითქოს საკუთარი მოქმედების სისწორეს ამოწმებს, შემდეგ კი მოთვლის გარდაცვლილის სამამაცო საქმეთა შესახებ. გვაცნობს მხედარდაკარგული ცხენისა და ახალშერთული, აწ ცალადდარჩენილი ცოლის განცდებს...

„კარგ მაინც არა ჰყოფილიყავ, არ გიტირებდი, დედილამა“, — მიმართავს დედა „ტკბილად მძინარ“ შვილს, რომელიც ამიერიდან ველარ გაიღვიძებს, თანაც ასე „ანუგეშებს“: „შვილო, გულს ნურას შამაიყრი, მკვდარი სჯობიხარ ცოცხალს ბევრსა...“ ანალოგიური აზრი მსჭვალავს ფშაველი ნანდაურის ნატირალს: „სახელი გრჩება ისეთაი, სჯობავის ბევრის სიცოცხლესა.“

დავაკვირდეთ, როგორაა ხორცშესხმული იგივე სათქმელი ქართულ კლასიკურ პოეზიაში: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ (შოთა რუსთაველი). „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვის ქვეყნად სახელი არ დარჩენია“ (ილია

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჭავჭავაძე)... ზიარი ცხოვრებისეული განცდის, სიბრძნისა და გამოცდილების ნიადაგზეა აღმოცენებული, ერთი მხრივ, ხალხური: „კარგ იყავ, მტერი იმით გყვანდა, რა მტერი უნდა ბეჩავასა“, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჟა-ფშაველას გენიალური სტრიქონები: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრობანი.“

როგორც ვხედავთ, ადამიანის დანიშნულების უმნიშვნელოვანეს საკითხზე თითქმის იდენტურია თვალთახედვა და შეხედულება უსახელო გლოვის მგოსნებისა და ჩვენი დიდი პოეტებისა.

ლიტერატურა:

1 პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი შეცამეტის, თბ., 1978.

2 ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955.

3 ქართული ხალხური პოეზია, V, თბ., 1976.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე რევიშვილი

მიუსაფარი სულის ისტორია

ბასილ მელიქიშვილის მოთხრობა „თურმანი“

ბასილ მელიქიშვილის ბელეტრისტიკის, როგორც მხატვრული ფენომენის გააზრებისათვის უაღრესად საინტერესოა მისი ლირიკულ-ფილოსოფიური მოთხრობა „თურმანი“ (პირველი თავი დაიბეჭდა 1928 წელს, 1968 წელს კი სრული სახით).

ბასილ მელიქიშვილის ირაციონალური მსოფლაღქმა და დახვეწილი მეტაფორული აზროვნება — თავისებური სტილური ფორმით გამოკვეთილი, ამ მოთხრობაში განსაკუთრებით ღრმა და დასრულებულია.

„თურმანი“ ორიგინალურად გაიაზრებს ცოდვისა და გამოსყიდვის მარადიულ დილემას, ადამიანის სულიერ ჭიდილს ამაღლებულ მისწრაფებასა და ყოფით რეალობას შორის, რომელიც ზნესრულ და ჭეშმარიტების მაძიებელ ადამიანს ტრაგიკულ პიროვნებად აქცევს.

„თურმანი“ კომპოზიციურად რთული და ფართოპლანიანი ნაწარმოებია: მრავალრიცხოვანი პერსონაჟები, სიუჟეტური განშტოებანი და შენაკადები, ლირიული გადახვევები, სიურრეალისტური სცენები მთავარი გმირის — თურმანის გარშემო მთლიანდება.

თურმანი რომანტიკული გმირია — მარტოსული, სამსხვერპლოდ გამზადებული, ტანჯული ადამიანი. იგი თითქოს ბრმად მიუყვება ბედისწერით დასაზღვრულ ბილიკს — წარმართულ მრწამსზე ამაღლებული ორი რელიგიის გზასაყარზე მდგომი. თურმანის სულში დატრიალებული ქარიშხალი, მისი შინაგანი გაორება, სულიერი კვეთება, სწრაფვა სინათლისაკენ დაგვანახებს, თუ რაოდენ მძიმეა, ეკლიანია გზა, რომელზედაც ღმერთისგან რჩეულ ადამიანს უხდება სიარული.

მოთხრობაში აღწერილი ამბავი ანტიკურ ხანას ასახავს, პერსონაჟებიც წარმართი ქართველები არიან. ბასილ მელიქიშვილის მითურ-პოეტური მანერის, სტილური გამოსახვის თავისებურება ის არის, რომ რეალური და მისტიკური აღქმის ორი საპირისპირო განზომილება შეუმჩნევლად გადადის, ავსებს და ამკვეთრებს ერთმანეთს და საოცარ მხატვრულ მთლიანობას, პოეტურ რეალობას ქმნის.

რეალისტურად დანახული გმირთა სახეები და სიუჟეტის დინამიკა „თურმანში“ არანაკლებ შთამბეჭდავია, ვიდრე მოთხრობის მისტიურ-სიმბოლური პლასტი, თუმცა პოეტურ და ფილოსოფიურ გააზრებას სწორედ ეს სიღრმისეული შრე ანიჭებს ნაწარმოებს.

მოთხრობის რეალისტური ხაზის მიხედვით თურმანი არის საქვეყნო საქმისთვის თავდადებული გმირი, რომელსაც თავს უდვია მისია თვისტომთა გადარჩენისა. ეს ხაზი შემდეგნაირად ვითარდება: მძიმე ფიქრებს შეუპყრია მაღალი კლდეებისაკენ მიმავალი კაცი. უცნობი ტოვებს თავის მშობლიურ სოფელს, შუქართს, რომელიც მტკვრის ნაპირას, ქართლში მდებარეობს და რომელსაც დიდი უბედურება დასტყდომია

თავს — ხორბალს ღვარძლი მორევია, თესლი გადაგვარებულა და მოსავალი აღარ მოდის. ხალხი დასნეულებულა, ფიზიკურად დაძაბუნებულა. თურმანი მთის სოფლისკენ — ქსილისისკენ მიემართება, სადაც „დაწმენდილი თესლის“ შოვნის იმედი აქვს. მას მართლაც აძლევენ თესლს ქსილისელები, მაგრამ თურმანი მათგან იმასაც შეიტყობს, რომ თესლი უცოდველმა ბავშვმა უნდა დათესოს და ზვარაკად შეეწიროს თესვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსავალი არ დაიწმინდება ღვარძლისგან. თურმანი წამოიღებს ქსილისიდან წმინდა თესლს, მაგრამ ზვარაკის აუცილებლობას დაუმალავს სოფელს. მისი რწმენით, ბალღის გაწირვა „ცოდოს მოიყოლებს“ და ბოროტებას გაუმრავლებს ისედაც გაუბედურებულ ადამიანებს.

მწერალი განსაკუთრებული პათოსით ხატავს სოფლის ჟამიანობის ფანტასმაგორიულ სურათებს: „შუქართს გამოლაგებულიყო ხალხი — დაღვარძლილი, ნადალიჯარი და მთვრალი. შუქართს ეხილა თავბრუ და თვალის ორომტრიალი. სოფელმა იგემა კუნთის გრეხა და ჩქარი წვა...

ღვარძლმა თავისი გაიტანა. დალიჯა გაჯდა ძვალსა და რბილში, ღვარძლმა ბუდე შუქართს დაიდო და სოფელი დაიმონა.

ახალგაზრდა ქალმა ჯოჯოხეთური ბალღი შვა.

გადაგდებულ ჩვილს აფთარი მოაწოვებს ძუძუს და გადაარჩენს.

დედის გული გამწარდა და გაქვავდა. შეშლილი დედა ღრმა ხევებს გამოედევნა და ყოველ ღამით დედის ძახილი ზარის რეკვასავით ჩაივლიდა ხოლმე ხეობაში“.

აქვე გონსგადამცდარი მამა ხანჯლით განგმირავს ქალიშვილს, რათა არ ნახოს მისი მშვენიერი სახე დალიჯისაგან დამახინჯებული. „მაშინ ძრწოდა შუქართი, ზანზარებდა გადგმული დარბაზი და ალვის ხეები იზნიქებოდნენ. ხალხს აღარა ესმოდა რა“. ხალხს სასო წართმევია, „მორიელივით თათებგამდგარი შიმშილის“ [illegible] „...სოფელს შუაღამე [illegible] მტკვარი შეჰღმუის და კლდისძირას ჯათი ბღავის და მიწასა ფხოჭნის“. ბუნებაც თითქოს თანაზიარია ადამიანების უბედურებისა: „მთვარეს სისხლი სდის და დაბნელებულა“.

სოფელი შეიტყობს თურმანის საიდუმლოს. იმას, რომ მიწა ღვთიურ მსხვერპლს ითხოვს. უფლისციხეს აგუგუნებული ცეცხლი მთესვარის სახელსაც ამოისვრის: მსხვერპლად ლომისფაფრიანი თანდილა უნდა გაეწირა.

თურმანს ძველებურად სჯერა, რომ ბავშვის დალუპვა ქვეყნად რისხვას დაატრიალებს. იგი მოუწოდებს თანასოფლელებს: „ხალხნო, თქვენს წინ ვიწრო გზა არის, გზა გადასაჩეხი და სახიფათო... მოსძებნეთ მიჯნა და შესდექით. ბალღი უკვდავია და ხელუხლებელი“...

ხალხი კი ორჭოფობდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: ხალხი „ქანაობდა კლდის პირას გადაწოლილი ხესავითა, ქანაობდა და ბეწვს ეკიდა. ხალხმა შეტოპა ვიწრო გზაში და მიჯნაც გადალახა. აქანავებული ხე თითქოს უფსკრულისკენ დაექანა“.

თურმანი ტყეში გახიზნავს ბავშვს, სასოფლო ბეღელს ცეცხლს წაუკიდებს: „ხორბალი ბოლად გაიძაბა ცაში, ხალხი კი ღმუოდა და ერთმანეთს არ ზოგავდა“.

ხალხმა გადათელა ერთმანეთი და ბავშვიც ნაკუწებად აქცია. თურმანი სასოწარკვეთილია, მან ვერ შეასრულა ფიცი, ვერ დაიცვა ლომისფაფრიანი ბალღი, ვერ ააცილა სტიქიასავით წამოსული ბრბოდქცეული ხალხის სისასტიკე, ხალხისა, რომელიც უმწყემსოდ დარჩენილ ფარას დამსგავსებოდა, უგონოდ რომ გარბის და გზად ჩლიქებით ყოველივეს თელავს (ეს მეტაფორა მოგვიანებით ჩნდება ნაწარმოებში). „და ხალხმა აწამა ბალღი და დადგა რყევაჲ ნიადაგისაჲ და რყევამან მიწისაგან ქართლი მოიცვა“.

მიწა ზანზარებდა, ქართლი ნაპრალებად იქცა, „მთვარე შეიმურა და აკნავ-

ლდა“, „შუა გაიპო უფლისციხეც“, „საღმრთო ცეცხლი ქვესკნელს ჩაიძირა“, „მტკვარი შეტრიალდა და აღელდა“, „ღრუბლებს სისხლის წვიმა სდიოდა“, „ელვამ სისხლი დაღვარა და ხალხმა იგემა ცის წყევლა“.

სისხლში განბანილი თურმანი გარბის, გაურბის ხალხს, ისევ ქსილისისაკენ, მთისკენ მიემართება, სადაც სატრფოს წმინდა საფლავი უხმობს, სადაც ყვითელყვავილიანი ასკილი ეგულება — მეზისის სული.

თურმანი ფიზიკურად გაეცლება სოფელს, მაგრამ მის სულზე, გახსნილ ჭრილობასავით, აღბეჭდილა ხალხის უბედურება, მის არსებაში თავს იყრის მთელი სიმძიმე შუქართის ტრაგედიისა: „მან შეიერთა ლომისფაფრიანი ბალღი, სალთუჯის ასცამეტი წელიწადი და ცეცხლი, რომელშიც ნინია ჩაიბუგა“.

თურმანიც თითქოს ბალღთან ერთად დაანაკუწა ხალხმა. იგი ცოცხლობს მის სულში და, იმავე დროს, მახინჯი ჯათის სატანური ხარხარიც ესმის: მარტოსულ თურმანს ხილვებში ელანდება წამებული ბავშვი, თითქოს მასთან ერთად იძირება გესლის ტბაში, თითქოს თვითონაც ერთხელ უკვე აღესრულა.

თურმანი მიუსაფარ მეუდაბნოედ იქცა: „და დიდგორიდან ადამიანი ჩამოვიდა. ტანს ნადირის ტყავი ემოსა, ხოლო ხმალი ხარის თავრიელისა ჰქონდა. ქალამანი ხმელი და კოპიტი. ხელთ ლომისთავიანი კვერთხი ეპყრა და თმადახვეული ცახვის რტო. სახელი ადამიანის: თურმან.

და ადამიანი იგი ამა ქვეყნად ორგზის მოსულივით იცქირებოდა და იმის მკერდს თითქოს საუკუნე გადაეთვალა და ადამიანი იგი დაეყუდებოდა მცხეთას და არმაზს“.

თურმანი თავის ფიზიკურ არსებობას „დახსნილ, მოშთობილ კერპთან“ ამთავრებს: „დიახ, თურმანი შთაინთქა და სივრცეში გაილია, თურმანი სალთუჯისფერი და ბალღი, ცამ თუ ჩაძირა?!“

რეალური გმირი თანდათან იმოსება მისტიური საბურველის იდუმალებით და მისი სახის ამგვარ მხატვრულ გარდაქმნას მძაფრი სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაწარმოებში.

შინაარსობრივი მრავალწერტილებითა და სიმბოლური მინიშნებებით აღსავსე ნაწარმოები მრავალ კითხვას ბადებს და უმნიშვნელოვანესი მათგან ეს კითხვაა: მაინც ვინ არის თურმანი?

ამ ურთულესი გმირის ჭეშმარიტ სახეს წარმოაჩენს მისი მისტიური ჰიპოსტასი, მისი სულიერი ევოლუციის მანიშნებელი, უცნაური, ირეალური ხატებანი, ის საკრალური გზა, რომლის ნიშანსვეტები მოთხრობის ორივე განზომილებაში — როგორც ზედაპირულ, ასევე სიღრმისეულში მოჩანს. თურმანი — მიუსაფარი და მაძიებელი სულის სიმბოლოა.

ანტიკური დრამის გმირივით შემოდის სცენაზე თურმანი. იდუმალებითაა სავსე მისი სახე — დაჩალულ და ლელიან ტბაში აბეჭდილი. მის სმენას უცნაური ხმები სწვდება, ხოლო თვითმკვლელ დედაბრის დაღარულ სახეზე თავის ბედისწერას ამოიკითხავს. უცნობ გზაზე მიმავალმა უკვე იცის, რომ განწირულია. „რაღაც უსახელო და იდუმალი“ ეუფლება მის არსებას.

ეს „უსახელო და იდუმალი“ არის არსებობის ეგზისტენციალური შიში, რაც ესოდენ დამახასიათებელია ადამიანთა იმ ტიპისათვის, ბუნდოვნად რომ გრძნობს თვისტომთა გადარჩენის თავის ღვთიურ მისიას და იმავდროულად უხილავი კედელი აცალკევებს ამ თვისტომთაგან. ეს ტრაგიკული კოლიზია ისევე ამჩნევია თურმანის სულიერ პორტრეტს, როგორც ნაიარევი მის სახეს.

თურმანის თვითშემეცნებისა და სულიერი სრულყოფის გზა ამ შიშის გაცნობიერებისა და დაძლევის გზაა (ნაჭრილობევის გაქრობა მისი სახიდან ხომ ამის მანიშნებელია).

რეალური სინამდვილე და ამაღლებული იდეალისკენ სწრაფვა ქმნის იმ დახშულ წრეს, რომლის გარღვევას ცდილობს მოთხრობის გმირი. ეს შინაგანი გაორება, სულიერი ჭიდილი თურმანისა აბორგებული ქვეყნის, ხალხის

სულში აისარკება. ქვეყანაც გაორებულია, ხალხი ბრბოდ იქცა, სწორედ იმიტომ, რომ თურმანის გზას ზურგს აქცევს და ზნეობრივი არჩევანის დროს სისხლისა და სისასტიკისაკენ იხრება. იდეალური საწყისი, სიკეთე „ბალღის“ მეტაფორულ სახეში სიმბოლიზირებული — განწირული და გათელილია.

ფიზიკურად ნადგურდება ბალღი, სულიერად ეცემა ხალხი და ჩიხში ექცევა. ერთადერთი თურმანიღა რჩება შველისა და გადარჩენის სიმბოლოდ. თურმანი — ანუ სინანულის, რწმენისა და სულიერი გამთლიანების გზა. თურმანი მარცხდება, მაგრამ მის სულში დავანებული სინათლე, რწმენა მოგვიანებით ხალხის სულსაც ააღორძინებს.

თურმანის განუწყვეტელი ზესვლა, ლტოლვა სიმაღლისაკენ, მშვენიერებისაკენ სიყვარულის გრძნობითაა გაცისკროვნებული და ამიტომაც თურმანის სატრფოს — მეზისის საფლავზე ამოსული ასკილის ყვითელი ყვავილი სიყვარულსა და მშვენიერებასთან თანაზიარობის სიმბოლოდ აღიქმება.

ბასილ მელიქიშვილიც სიყვარულს, მშვენიერებასა და სიკეთეს ღვთიური, ზეგარდმო ძალის სამ განსახოვნებად აღიქვამს.

თურმანმა ტანჯვის გრძელი აღმართი აიარა, განვლო სულიერი მარტოობის უდაბნო, მაცხოვრის მსგავსად იტვირთა უგუნურთა ცოდვები და სიყვარულითა და მისტიური ხილვებით განსპეტაკებული შეერთო უსასრულობას.

ასეთია „მიუსაფარი სულის“ ისტორია.

ბასილ მელიქიშვილის უჩვეულო გმირს თავისი პროტოტიპი ჰყავდა:

ერეკლე ტატიშვილის გავლენით ეზიარა ბასილ მელიქიშვილი უძველესი ეპოქების მისტერიულ სიბრძნეს და თანამედროვეობის ფილოსოფიურ მონაპოვრებს. მის თხზულებებში ყოველივე ეს სიღრმისეულ ფენებშია განფენილი და, მკვლევარ რ. ჩხეიძის აზრით, „გარკვეულ ელფერს ანიჭებს მის სტილურ ძიებებს, რაც ორიგინალური ექსპრესიულ-პოეტური მანერის შექმნით დაგვირგვინდა“.

ერეკლე ტატიშვილი ერთ-ერთ ბარათში წერს: „ჩვენი თავი ჩვენ ვხიდოთ, დაგვხრუკოს მზემ, დაგვხამოს ყინვამ, გაუყვეთ ჩვენი კითერონის ნაპირებს ჩვენი საითისაკენ და თუ გზად ათასი მოჩვენება შეგვეყაროს, ფეხით ხეტიალს ჩვეულთ რაშები შემოგვთავაზონ ჭეშმარიტებისაკენ, დაგვეღრიჯონ, დაგვეპრანჭონ, გაგვაწბილონ — ნუ შევჩერდებით, ფეხს ნუ აურევთ — ვიხარებდეთ, ვბუტბუტებდეთ, ვსტიროდეთ, რომ ჩვენ უდაბნოში ბედმა ამგვარი სანახაობა გვიწყალობა. ვეძიებდეთ... ნაცნობ, საყვარელ კონტურებს. ვლაღობდეთ, ვსევდიანობდეთ, თავს ვივიწყებდეთ და მუდამ ფეხით — ჩვენი კოლონისაკენ, ჩვენი ჩრდილიანი ჭალებისაკენ“.

ეს ნაწყვეტი ერეკლე ტატიშვილის ბარათიდან თავისი განწყობით ეხმიანება „თურმანის“ იდეურ მრწამსს.

ბასილ მელიქიშვილის მოთხრობაში არის ერთი მეტაფორა, რომელიც ტყეში დატრიალებული ტრაგედიასთანაა დაკავშირებული: „ქვეყანა დაცარიელებული იყო. თურმე დიდი ზღვა მზემ ამოაშრო და ამოწურა, მაგრამ იცი, მეგობარო, ნაზღვაურს უდაბნო დარჩა, ხოლო უდაბნოდ ქარიშხალი და მხურვალებაი?“.

„ნაზღვაური უდაბნო“ — სულიერად დაშრეტილი სივრცეა, უდაბნოა, მაგრამ ასეთ სივრცეშიც გრძელდება სიცოცხლე. „ქარიშხალი და მხურვალება“ — სულიერების მნიშვნელობით დატვირთული მხატვრული სახეა და სიმბოლურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტკივილი, ტანჯვა, განლევა არ ტოვებს სიცარიელეს, ის სულიერ სუბსტანციად, რწმენად იქცევა — უხილავ, მაგრამ ამაღლებულ და ნათელ საწყისად.

ბასილ მელიქიშვილმა შეძლო, ეს რწმენა მხატვრული დამაჯერებლობითა და ექსპრესიით წარმოესახა მოთხრობაში, რომელსაც „თურმანი“ დაარქვა და რომელიც 20-იანი წლების ქართული მოდერნისტული პროზის ერთ-ერთ ჩინებულ ნიმუშად წარმოგვიდგება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ კვერენჩხილაძე

საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997

50-იანი წლები

50-იან წლებში მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: 1953 წელს გარდაიცვალა ი. სტალინი, მოიცილეს ბერია. ამას მოყვა რეპრესიული რეჟიმის შერბილება, ამ ათწლეულის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ ამინდში ე.წ. დათბობა და 60-იანი წლების შემზადება.

მაგრამ ათწლეული ჩვეულებრივი შემოქმედებითი-ორგანიზაციული ღონისძიებებით დაიწყო:

— 1950 წლის 4 აპრილს ოპერის თეატრში აღინიშნა გ. ლეონიძის დაბადების 50-ე წლისთავი.

— პრეზიდიუმზე მწერლობის მომავალი თაობის შესახებ მსჯელობას (14. III) მოჰყვა ახალგაზრდა მწერალთა კონფერენციის ჩატარება (29. V-I.VI). დამწყებ პროზაიკოსთა შემოქმედება გააანალიზა თავად ახალგაზრდა, იმედის მომცემმა ბელეტრისტმა, ოთარ ჩხეიძემ, პოეტებისა — ასევე ახალგაზრდა კრიტიკოსმა ზურაბ ჭუმბურიძემ. ამ კონფერენციამ თავი მოუყარა და გამოაჩინა ქართული მწერლობის კიდევ ერთი ახალი თაობა: თენგიზ ბუაჩიძე, თენგიზ გოგოლაძე, ნოდარ გურეშიძე, ნოდარ დუმბაძე, მაგალი თოდუა, ნანა კანდელაკი, მედეა კახიძე, სამუელ მოძღვრიშვილი, ლადო მრელაშვილი, ზურაბ ნაყოფია, შოთა ნიშნიანიძე, ედიშერ ყიფიანი, სიმონ შამფრიანი, თამაზ ჩხენკელი, გიორგი ხუხაშვილი; აქ მიეცა პირველი შეფასება რევაზ ინანიშვილს, მუხრან მაჭავარიანს, რევაზ ჯაფარიძეს.

— პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია პროზის დარგში მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება და სწორედ ამ მიზნით 7 ივნისის სხდომაზე გადაწყდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში, სადაც ორივე პოეტი იყო, ერთი პროზაიკოსის შეყვანა — პოეტ ა. გომიაშვილის ნაცვლად პ/მგ მდივნად დაამტკიცეს (1950-51) ბელეტრისტი ოთარ ჩხეიძე.

— ყურადღება გამახვილდა ქართული მწერლობის რუსულ ენაზე თარგმნის საკითხზე. მთარგმნელმა ნატო ჩხეიძემ დაგმო („ლხ", №21) მთარგმნელთა შეწყვილებული მუშაობის პრაქტიკა, როცა ქართული და რუსული ენის მცოდნე ქმნის პწკარედულ თარგმანს, რაც წესრიგში მოჰყავს რუს მწერალს.

რა თქმა უნდა, თუ საქმეს ხელს ჰკიდებდა ქართული მწერლობის ჭეშმარიტი მოყვარული დიდი მწერალი, ის პწკარედითაც ახერხებდა წარმატების მიღწევას.

ცხადია, 50-იანი წლების დასაწყისს არც ძველი ჩვეული სიმკაცრეები აკლდა. აი, ამის ორიოდე მაგალითი:

„კომუნისტის" სარედაქციო წერილს: „ქართული სალიტერატურო ენის დაბახინჯების წინააღმდეგ" (28.V) სწორ შენიშვნებთან ერთად გადაჭარბებაც არ აკლდა. კერძოდ, იგი ასე მთავრდებოდა: „საკვირველია, რომ ჩვენი ჟურ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 11—12. 1997 წ.

ნალ-გაზეთები შესაძლებლობას აძლევენ კ. გამსახურდიას თავისი ახირებული ენით იჯირითოს მათს ფურცლებზე, ხოლო გამომცემლობანი სქელ-სქელ ტომებად ბეჭდავენ მის მოთხრობებსა და რომანებს, რომლებიც არსებითად მიმართულია ქართული სალიტერატურო ენის წინააღმდეგ.

გამსახურდია უთუოდ ნიჭიერი მწერალია. მაგრამ ის თავის ნიჭსა და შრომის უნარს ფორმალისტურ და ავადმყოფურ ორიგინალობაში კლავს.

დროა საზღვარი დაედოს კონსტანტინე გამსახურდიას ყოვლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქართული სალიტერატურო ენისადმი".

ეს პროკურორის მოთხოვნას ჰგავს. 30-იან წლებში ასეთ ბრალდებებს შეიძლებოდა შერისხვაზე მეტიც მოჰყოლოდა. 1951 წელსაც მთლად უსაფრთხო არ იყო კრიტიკოსის ასეთი განაჩენი, მით უმეტეს რომ მალე დაიწყო ე. წ. „მეგრელების საქმე".

— 1951 წლის 10 იანვარს პარტიის თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენციაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კანდიდ ჩარკვიანმა მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო ქართულ სალიტერატურო ენას და, როგორც ამბობენ, სტალინის მითითებით გააკრიტიკა ვაჟა-ფშაველა:

„ვაჟა-ფშაველა ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მის მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური სიუჟეტით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელთა გვაროვნული წყობის ნაშთებს. არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთოეროვნული ამოცანებიც მას თავისი ლიტერატურული შემოქმედების საგნად არ გაუხდია".

კ. ჩარკვიანმა ცისფერყანწელებიც გალანძღა („დამპალი დასავლეთ-ევროპული ბურჟუაზიული კულტურის ამ აგენტებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქართულ პოეზიას და ენას"), აგრეთვე გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის პოეტური ენა და ვაჟაზე დაწერილი შრომების ავტორებიც (შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ალ. ჭეიშვილი) არ დაივიწყა — ვაჟას ენას უკრიტიკოდ იღებენო („კომუნისტი", 1951. №12, 14,15; „ლხ", №2).

ენობრივი განკერძოებულება ვაჟას შ. ძიძიგურმა და ს. ჭილაიამაც უსაყვედურეს. პოეტი რამდენადმე დაიცვა განათლების მინისტრმა ვ. კუპრაძემ, გ. ლეონიძე და ი. ნონეშვილი კი შეეცადნენ ვაჟა არ ეხსენებინათ, ისე ელაპარაკათ სალიტერატურო ენაზე.

შემდეგ (22-23.II) მწერალთა კავშირის პლენუმზეც გაგრძელდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გადაფასება. კერძოდ, მომხსენებელმა ს. ჩიქოვანმა აღნიშნა (ადგილები მომაქვს მხოლოდ სტენოგრამებიდან, ვინაიდან უნდა დავეთანხმოთ ჯანსუღ ღვინჯილიას შეგონებას: ნუ ენდობით XX საუკუნის ჩვენს პრესას! თუმცა სტენოგრამების ჩასწორებათა მოწმეც ვყოფილვარ. მეორე მხრივ, სანამ სტენოგრამამდე მივიდოდა საქმე, „მწერალთა ყრილობაზე გამომსვლელთა სიასაც და ტექსტსაც ითხოვდა ცკ" — ე. კვიტაიშვილი, „განთიადი" 1992, №1-4, გვ, 327. ცხადია, ამის მომლოდინე გამომსვლელი დიდ გასაქანს ვერ მისცემდა სიმართლის თქმას. და მაინც დავუბრუნდეთ სტენოგრამას):

ვაჟას „კუთხურობა, იდეური პარტიკულარიზმი საფუძველია მისი სალიტერატურო ენისა". ვაჟას საზრუნავი იყო თემის „გაკეთილშობილება და მისი გადარჩენა. თემის დაცვა და მისი დამოკიდებულება მთისადმი გამომდინარეობს იმ მცდარი შეხედულებისგან (რომელიც მან გამოთქვა), რომ თითქოს ნამდვილი საქართველოს პირველი სახე მხოლოდ მთამ შემოინახა. ის ამტკიცებდა, რომ ბარის საქართველოში უფრო მეტია უცხოური ზეგავლენა, ვიდრე მთაში. ამიტომ აგვიწერს ის გვა-

როვნულ ნაშთებს სიყვარულით და მაშინდელი საერთო ეროვნული ამოცანები მას არ აქვს ჯეროვნად გამოსახული თავის პოეზიაში, ხოლო სოციალური ბრძოლები სრულიად უგულვებელყოფილია“.

სიტყვებით გამოსულნი გრძნობდნენ რომ ვაჟა დიდი პოეტი იყო და ზოგი მორიდებით შეეხო მას. ზოგმა შეძლო, სულაც არ ეხსენებინა იგი (ბ. ჟღენტი კ. გამსახურდია, დ. შენგელაია).

ამ პლენუმზე ენის საკითხში ს. ჩიქოვანმა გააკრიტიკა გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია და გ. ლეონიძე; ა. გაწერელიამ, მართალია, ვაჟა დაინდო, მაგრამ ცისფერყანწელები მიწასთან გაასწორა, მეტად კრიტიკული იყო თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის გ. ჯიბლაძის გამოსვლაც, როგორც მის თანამდებობას შეეფერებოდა.

ს. ჩიქოვანს წინა წლებშიც აკრიტიკებდნენ პოეტური ენის სფეროში. 1951 წლის იანვრის პლენუმზე მასზე განსაკუთრებული იერიში მიიტანა გ. ჯიბლაძემ ენობრივი ჩავარდნების, სიტყვების უმართებულოდ გამოყენების, გაუგებარი და სუმბურული გამოთქმების გამო, უსაყვედურა პარტიის თბილისის ორგანიზაციის XX კონფერენციასა და მწერალთა პლენუმზე გამოსვლების არათვითკრიტიკულობა: ერთ ლექსში შეცდომის გაპარვაზე კი არ იყო საუბარი კ. ჩარკვიანის მოხსენებაში, არამედ საერთოდ მთელ შემოქმედებაზეო. თვითკრიტიკულად გამოსვლის ნაცვლად ს. ჩიქოვანის „მოხსენება უმთავრესად იყო თეორიული კამათი ძველ მწერლებთან, რომლებიც გარდაცვლილები არიან, თავის თავს ვერ დაიცავენ და კამათსაც ვერ გაუმართავენ, ზოგადი შენიშვნები გამსახურდიას, ლეონიძის, გრიშაშვილის, კალაძის, შანშიაშვილის შემოქმედებაზე. მეტი არაფერი. სუსტი იყო კრიტიკა, სულ არაფერი თქმულა ამოცანებისა და ღონისძიებათა შესახებ“.

გამოდის რომ ს. ჩიქოვანი არა იმდენად ვაჟას დაცვისათვის მოიშორეს (ა. სულაკაური: „დიდად არ დაუცავს ვაჟა, მაგრამ ეს კი ჰქონდა ნათქვამი: ვაჟას წერილების დაპროზის ენა წმენდა ლიტერატურულია, ხოლო პოეზიისა — ეს მისი სტილიაო“). ის უფრო პირადი ანგარიშსწორებით გასწირეს. გავიხსენოთ 1946 წლის ყრილობა, როცა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ს. ჩიქოვანი, პ/მგ მდივანი გ. ჯიბლაძე და ბ. ჟღენტი ახლად არჩეულ გამგეობაში ვერ მოხვდნენ. მაშინ გამგეობის შემადგენლობის გაზრდით მასში შეიყვანეს ს. ჩიქოვანი და ბ. ჟღენტი, გ. ჯიბლაძე კი პ. შარიამ ცკ-ის განკარგულებაში წაიყვანა.

გ. ჯიბლაძე მაშინ, ეტყობა, განსაკუთრებით ს. ჩიქოვანის უკმაყოფილო დარჩა — ჩემს შესანარჩუნებლად რატომ არ იბრძოლაო. მაგრამ ს. ჩიქოვანს ხომ თავი ჰქონდა საპატრონო.

მხატვრული ენის გამო გ. ლეონიძესაც გვარიანად მისდგნენ, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის, როსტომ შადურის პირით პარტიის ხელმძღვანელობამ მწერალთა კავშირის გამგეობას ურჩია ს. ჩიქოვანის განთავისუფლება და თავმჯდომარედ გ. ლეონიძის არჩევა. ეს უკანასკნელი კარგად დაახასიათეს გ. აბაშიძემ, ლევან ასათიანმა და შ. რადიანმა.

ს. ჩიქოვანის განთავისუფლების მიზეზს ზოგი იმაშიც ხედავდა, მას საკმაო ოპოზიცია ჰყავდა ცისფერყანწელებსა და პროლეტმწერლებს შორის, რომელთაც საკმაოდ მწარედ აკრიტიკებდა ადრეც და შემდეგაც.

ს. ჩიქოვანთან ერთად შეცვალეს ო. ჩხეიძეც. მასზე თქვეს: „თავისი გამოუცდელობით დიდ დახმარებას ვერ გაუწევს გიორგი ლეონიძეს, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, რომ ამხ. ო. ჩხეიძე განთავისუფლდეს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისაგან“.

ამბობდნენ —როგორც მდივანმა მწერლებისადმი (აღარაფერს ვამბობთ თანამშრომლებზეო) მკაცრი მომთხოვ-

ნელობითაც გააღიზიანა ზოგიერთი ცნობილი მწერალიო.

განთავისუფლებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ცდილან ო. ჩხეიძისათვის თავი მოექონათ. დაიბარეს და უთხრეს: პროზა ჩამორჩენილია და კარგი რომანი უნდა დაგვიწერო, მივლინებას გაძლევთო.

ხელისუფლების მოსაწონის ნაცვლად ბელეტრისტმა დაწერა რომანი სოციალიზმით მოტანილი ეროვნული გადაგვარების დასაწყისზე, სოფლის დაცარიელებასა და მიწის მიტოვებაზე და რადგან ამ ნაწარმოების — „ჯებირის“ გამოქვეყნება დაემთხვა გარდამავალ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის მოხსნასა და ახლად დანიშნულის საქმეებში გარკვევის პერიოდს, რომანი შედარებით უმტკივნეულოდ დაიბეჭდა კრებულში „პროზა — 1953“ (ო. ჩხეიძე, „ლს“. 1995. № 1).

1954 წელს გამგეობის პლენუმზე („ლს“, № 15, 16) ს. ჭილაიამ ეს რომანი დადებითადაც შეაფასა — გაბედულია, მხატვრული ღირსებებით გვხიბლავს. მართალია, აქვს ცალკეული ნაკლი, მაგრამ აუხსნელია — ჩვენი კრიტიკა ერთგვარი დუმილით გვერდს რატომ უვლისო.

მეორე რომანმა, ქართული კულტურის ჭეშმარიტი გზით განვითარების მოწინააღმდეგეებთან მებრძოლმა „ბურუსმაც“ („მნათობი“, 1955) გამოიწვია შეშფოთება და იგი მწვავედ გააკრიტიკეს ჯერ „კომუნისტმა“ (1955.15. XII), შემდეგ კი ცკ-ის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ („კომუნისტი“. 1956. 20.I) და მისი წიგნად გამოცემა მხოლოდ 1965 წელს მოხერხდა.

მსგავსი ბედი ეწია ო. ჩხეიძის შემდეგ რომანს — „მეჩეჩს“. მაგრამ ამის თაობაზე ოდნავ მოგვიანებით ვიტყვი, ახლა კი დავუბრუნდეთ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის შეცვლას.

პ/მგ მდივნის თანამდებობაზე რ. შადურმა წამოაყენა სერგი ჭილაია: იგი კრიტიკოსია, ცნობილია მოუკერძოებლობით. ცკ-ის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა [illegible] მეცნიერებათა განყოფილების მეცნიერ მდივნად და აკადემიის პარტორგანიზაციის მდივნად. ამრიგად აქვს კარგი პარტიული მუშაკის გამოცდილება და ეს მწერალთა კავშირში საჭიროაო — „ვინაიდან პარტია გამომხატავია ყველაზე უფრო მეტად ხალხის ინტერესების“.

არ შეიძლება არ გაგვეღიმოს კომუნისტების ამ დემაგოგიურ ქადილზე. ს. ჭილაიას მდივნობა კი 22 წელიწადს გაგრძელდა.

მწერალთა სასახლის სხდომათა (ყოფილი დავით სარაჯიშვილის სამეჯლისო) დარბაზიდან გამოტანილი ვაჟა-ფშაველას სურათი მალე უკან დააბრუნეს — პოეტის აჩრდილის შეწუხებამ, მადლობა ღმერთს, დიდხანს არ გასტანა თუ არ ჩავთვლით ახლად არჩეული მდივნის ს. ჭილაიას გამოსვლას 1951 წლის 6-9 ივლისს გამართულ მწერალთა საერთო კრებაზე, რომელმაც განიხილა „ახალი ქართული ენის ზოგიერთი საკითხები ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით“. მხედველობაში ჰქონდა რა „ბახტრიონი“, ს. ჭილაიამ განაცხადა: „პოემის კონცეფცია მეტად განსაზღვრულია, პოეტი ჩაკეტილია ფშავის ვიწრო ხეობაში, იგი ვერ ადის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმაღლეზე. ყოველივე ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო იდეური თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან შედარებით“.

პროფესორმა შ. რადიანმა კი 1951 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემულ ვაჟა-ფშაველას პოემების ნ. ზაბოლოცკის თარგმანების წინასიტყვაობაში და (უფრო უარესი) 1952 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ა. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბ. ჟღენტის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ (გვ. 183-184) მკითხველს არასწორად წარუდგინა დიდი ქართ-

ველი პოეტის ენა და მსოფლმხედველობა.

— გრძელდებდა იმპერიულ ბრძანებათა გაცემა ცენტრიდან: მწერალთა კავშირის — 1952 წლის 14 ივნისის პლენუმზე საკავშირო მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსეი სურკოვის თქმული ვრცელი სიტყვიდან: ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში რამდენადმე დამკვიდრებულია ისტორიული წარსულით მოხიბლულობა. ეს ჩანს, კერძოდ, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში", შეცდომა იყო დიდი ხნის წინ დაწერილი შ. დადიანის „იური ბოგოლუბსკის" რუსულ ენაზე თარგმნა, ეს რომანი პრესაში სამართლიანად გააკრიტიკესო.

შ. დადიანის ამ რომანის პირვანდელი სახელია „უბედური რუსი". „სტამბის საღებავი შემშრალი არ იყო წიგნზე, გაგიჟდნენ კომუნისტი ქართველები, პირდაპირ ვენები გადაიჭრეს— რა სათაურია ესო!" (ტ. ჭანტურია, დინოზავრიდან დიზაინამდე „ლს", 1996 №24). ამის გამო იქცა „გიორგი რუსად", რუსულად კი მონათლეს „იური ბოგოლუბსკად".

— დიქტატორის მოცილების შემდეგ გახშირდა გამოთქმა „კოლექტიური ხელმძღვანელობა". და, აი, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე (1953.22.VII), კოლექტიური ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, გააუქმეს თავმჯდომარის თანამდებობა და შექმნეს სამდივნო: ი. აბაშიძე (პირველი მდივანი), გ. ლეონიძე (ყოფილი თავმჯდომარე, ახლა მდივნად დატოვებული 1957 წლამდე, როდესაც ის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს) და ხელახლა არჩეული ს. ჭილაია — მდივანი.

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს, ი. მირცხულავას შესაძლო თავმჯდომარეებად მის მოსაცდელში დაძახებულ ი. აბაშიძესა, ი. მოსაშვილსა და კ. ლორთქიფანიძეს შორის, მრჩველთა აზრის გათვალისწინებით, უპირატესობა პირველისათვის მიუნიჭებია. აქედან დაწყებული ი. აბაშიძე 1967 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებით ორგანიზაციას როგორც მისი პირველი მდივანი, შემდეგში კი — თავმჯდომარე.

— 1954 წლის ლიტერატურული ცხოვრების მთავარი მოვლენა იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების მეოთხე ყრილობა (30. VI-3.VII), რომელზეც გამოცხადდა, რომ რეაბილიტირებულნი არიან 1937 წლის მსხვერპლი მწერლები — მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი. მათი გამართლების მოგვარება საქართველოს კპ ცკ-ის ახალ პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს თხოვა მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ი. აბაშიძემ. ამის შესაბამისად რესპუბლიკის ხელმძღვანელის მიერ სსრკ გენერალურ პროკურორ რედენკოსთან აღძრული შუამდგომლობის შედეგად ხელმოწერილი, საბჭოთა კავშირში ერთერთი პირველი სარეაბილიტაციო დადგენილება თითქმის ყრილობის დაწყების წინა დღეს მიიღეს.

ქართული მწერლობის უღმერთოდ დაღუპული სამი პირველხარისხოვანი წარმომადგენლის რეაბილიტაციამ ზოგიერთი ააფორიაქა, შეაშფოთა დაღუპულთა წინააღმდეგ ჩადენილი საქმეებისა და თქმულ-დაბეჭდილი მწარე სიტყვების გამო („თქვენ წრიალებთ — ფეხი გიდგათ ღალატში" — მ. ლებანიძე). ცოტა ხნის შემდეგ იუბილეებზე გამოსვლას რომ მოინდომებენ, რეპრესირებულთა ახლობლები უარს ეტყვიან.

მომდევნო 1955 წელს ცისფერყანწელთა მეგობარმა შალვა დემეტრაძემ პირველად შეკრიბა და გამოსცა პ. იაშვილის თხზულებები. მალე გამოვიდა მ. ჯავახიშვილისა და ტ. ტაბიძის წიგნებიც. 1957 წელს პ. იაშვილის ნეშტი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

— 1954 წელსვე, 15-26 დეკემბერს, ოცი წლის შუალედის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მწერლები შეიკრიბნენ თავიანთ მეორე ყრილობაზე. ჩვენებმა

საჭიროდ მიიჩნიეს საკავშირო ფორუმის ყურადღება მიექციათ ეროვნული ლიტერატურისათვის.

ი. აბაშიძე — „ჩვენმა ყრილობამ, წარმოადგენს რა საბჭოთა ლიტერატურის საყოველთაო-სახალხო დათვალიერებას, უნდა გვიჩვენოს, რა განძი შეაქვს ყოველ ცალკე სოციალისტურ ერს სულიერ ღირებულებათა ჩვენს საერთო, საუნჯეში.

სამწუხაროდ, საბჭოთა ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ მეტად სუსტად არის დამუშავებული სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაციონალური ფორმის პრობლემა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები ამ სფეროში ჯერ კიდევ კმაყოფილდებიან მხოლოდ მეტად ზოგადი ცნებებით“.

გ. ლეონიძემაც უსაყვედურა მომხსენებელს: „სამწუხაროდ, მ. შოლოხოვმა არაფერი თქვა ნაციონალურ ლიტერატურათა შესახებ“.

— ახალგაზრდა კრიტიკოსებმა ჩვენში სცადეს ზოგიერთ ყალბ ლიტერატურულ ღირებულებათა გადაფასების დაწყება. მწერალთა კავშირმა, ისე რომ მოსკოვის ნიშანი არ დასჭირვებია, მტკივნეულად მიიღო ეს წამოწყება. 1955 წლის 25-26 იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მიერ დაწყებული დისკუსია („რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა“) არადამაკმაყოფილებლად მიმდინარობს, ზოგი მონაწილე ამა თუ იმ ავტორს დაუსაბუთებლად ქირდავსო („ლს“, 1955. №15).

შეიძლება ახკომელებმა ზოგი რამ ვერ მოზომეს, მაგრამ მათი თაოსნობა იმ დროს დაწყებული გადაფასების გამოხატულება იყო. რაღაც-რაღაცა კი გადაფასებას მოითხოვდა და კიდეც გადაფასდა, მოსწონდა თუ არა ეს მავანსა და მავანს..

— უთუოდ ახალი ნიავის დაბერვამ აფიქრებინა ჩვენს პრეზიდიუმს, დაედგინა (1955.23.III) და 25 მაისს თბილისში, ოპერის თეატრში მოეწყო ჩრდილოეთ კავკასიელი და ქართველი ხალხების მწერალთა დიდი ლიტერატურული საღამო. ი.აბაშიძის მოგონებიდან: „საჭიროებამ [illegible] საერთო მოხსენება და ეს აუცილებლობა სწორედ ლიტერატურული საღამოს დასაწყისში ვიგრძენით. ბესარიონ ჟღენტმა მთხოვა საღამოს მონაწილე სტუმართა გვარები, მეც ჩამოვუთვალე და მომხსენებელი ავიდა ტრიბუნაზე. მისი მოხსენებით დიდი კმაყოფილი დარჩნენ სტუმრები. ყოველი მათგანის შემოქმედებაზე გამოთქვა მომხსენებელმა თავისი აზრი, ყველა მათგანი დააფასა და შეაქო. გაკვირვებული შესცქეროდნენ ისინი მომხსენებელს და მთელი გულისყურით უსმენდნენ მათთვის მეტად საამო სიტყვებს“ („ბესო ჟღენტი თანამედროვეთა მოგონებებში“, 1984. გვ. 17-18).

სტუმრებს ლაკურ, ოსურ, ჩერქეზულ, ხუნძურ, დარგუულ ენებზე მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები გიორგი ახვლედიანი და ვარლამ თოფურია, პროფ. გიორგი როგავა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები, შოთა გაფრინდაშვილი და ტოგო გუდავა.

საღამოში მონაწილეობდნენ: დაღესტნიდან — სახალხო პოეტი, ლაკი აბუტალიბ გაფუროვი, ავარელი — რასულ გამზათოვი და ყუმიყები ატკაი აჯამატოვი, შახემირ მურადოვი; ჩრდ. ოსეთიდან — გიორგი კაიტუკოვი, ხარიტონ ფლიევი და მაქსიმ ცაგარაევი; ყაბარდოელი ალიმ ქეშოკოვი; ჩერქეზი ალიმირზა ჯიბუტანოვი; ადიღელი ყირიმიზე ჟანე; ქართველები: საქართველოს სახალხო პოეტი გ. ტაბიძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, რ. მარგიანი და ი. ნონეშვილი.

სტუმრების ლექსების თარგმანები წაიკითხეს ნ. კილასონიამ, მარიჯანმა, მაყვ. მრევლიშვილმა, ო. ჭელიძემ; დაღესტნის ხალხური პოეზიის თარგმანები — თ. ჯანგულაშვილმა.

მცირერიცხოვანი ხალხების პოეტები ძალზე კმაყოფილი დარჩნენ მათი ლიტერატურებისადმი გამოჩენილი ყუ-

რადღებით. ათიოდე წლის შემდეგ იყო ცდა ასეთი საღამოს განმეორებისა (თ. ჯანგულაშვილი საგანგებოდ მიავლინეს, მასალები შეაგროვა, თარგმნა), მაგრამ საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურებს და სსრკ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს ეს ღონისძიება ჩრდ. კავკასიელების ეროვნული გრძნობების არასასურველ დემონსტრირებად, მოსკოვისათვის ხელმძღვანელობის პრეროგატივის წართმევის ცდად მოეჩვენათ.

— „კოლექტიურმა ხელმძღვანელობამ“ 1956 წლის თებერვალში კომპარტიის XX ყრილობაზე წარმოაჩინა და დაგმო პიროვნების კულტის მიერ მოტანილი უბედურებანი. ამას მოჰყვა თბილისში, 1956 წლის მარტის მღელვარება, რაც გამოიწვია საბჭოეთის ყველა უბედურებათა ქართველი ეროვნების მოღვაწეთათვის, უფრო მეტიც, ქართველი ხალხისათვის დაბრალებამ. 9 მარტის მომიტინგეთა დახვრეტის მეორე დღეს მწერალთა კრებაზე შუა დარბაზიდან საშინლად აღელვებულმა გ. ქიქოძემ ათი შეკითხვით მიმართა სხდომის პრეზიდიუმს.

XX ყრილობისადმი მიძღვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე (2956. 29-30. IX) ნათქვამიდან:

საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი დ. მჭედლიშვილი — „ოცდაათიან წლებში სასტიკად გაუსწორდნენ მ. ჯავახიშვილს, ტ. ტაბიძეს, პ. იაშვილს, პ. სამსონიძეს, ს. ახმეტელს, ე. მიქელაძეს, მ. ტოროშელიძეს, ა. თათარიშვილს, პ. საყვარელიძეს, ვ. კოტეტიშვილს, ნ. მიწიშვილს, ვ. ლუარსამიძეს, გ. ბაზოვს, დ. დემეტრაძეს, ბ. ბუაჩიძეს, დ. ჩიანელს და 'სხვებს“.

ამას უნდა დაემატოს: მემედ აბაშიძე, სერგო ამაღლობელი, ბარონ (ბართლომე) ბიბინეიშვილი, ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე), მოსე გვასალია, ალექსანდრე დუდუჩავა, სევასტი თალაკვაძე, რაჟდენ კალაძე, ვარლამ შალაქიაშვილი (ხუროძე), პავლე ნოხაძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ვასო ტუქსიშვილი (ჩოხელაშვილი), ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი.

ბ. ჟღენტი — „მწერლებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ პარტიისა და ხელისუფლების მაშინდელ ხელმძღვანელებთან — მ. ორახელაშვილთან, ფ. მახარაძესთან, მ. კახიანთან, ლ. ღოღობერიძესთან, ს. მამულიასთან, მაგრამ მოვიდა თუ არა ახალი ხელმძღვანელი, შიში გაამეფა, მწერლებს თავისი აზრის გამოთქმის უფლება მოუსპო, ჩვენი აზროვნება და შემოქმედება შეხუთა“.

ერთი სიტყვით, „პოეზიას შიში დამართეს“ (მ. ლებანიძე).

კ. გამსახურდია — „ხელოვნების უდიდესი თემაა არა შეუმცდარი, „იდეალური“, არამედ შეცდომებიდან უკეთესობისაკენ მიმავალი ადამიანი. ამ ჭეშმარიტების უგულვებელყოფის შედეგია, რომ აგრე გაიკსო საწყობები და მაღაზიები მთქნარების მომგვრელი რომანებით, რომლებიც შეკოწიწებულია დოგმატური სქემებით“ („ლგ“. 1956. №40, 43).

ცოტა ხანში კ. გამსახურდია იმასაც იტყვის, როგორ აიძულებდნენ მწერლებს ასეთი სქემებით ეწერათ. ამ ნათქვამში ის გაღიზიანებაც ჩანს, რასაც იწვევდა მწერალთა კავშირის, მისი სექციების, ბეჭდვითი ორგანოების მიერ ისეთი ზრუნვა მწერლებზე, რაც ჭკუის სწავლებას, ბრძანებასაც კი ჰგავდა:

კ. გამსახურდია: „ოც წელზე მეტია, რაც ვმუშაობ „დავით აღმაშენებელზე“... რამდენიმე წლის წინ ზოგიერთი კრიტიკოსი მისაყვედურებდა, თითქოს მე სამუდამოდ გადავიხვეწე XI-XII საუკუნეებში, ამ ადამიანებს ავიწყდებოდათ, რომ მე თანამედროვეობის დიდ

პრობლემებს ვუძღვენი ტრილოგია „მთვარის მოტაცება“, რომელშიც ასახულია პირველი პერიოდი კოლექტივიზაციისა.

მე განზრახ შევაჩერე გამოქვეყნება ჩემი ტეტრალოგიისა, რათა ბოლო მოღებოდა ამ საყვედურებს და რამდენიმე წელი ვმუშაობდი ჩემს უკანასკნელ რომანზე „ვაზის ყვავილობა“ („ლგ“. 1958. № 11).

— კიდევ ერთი მაგალითი, თუ ზოგიერთი კრიტიკოსი რა ფხიზლად იდგა კომუნისტური იდეოლოგიის სწორად გატარების სადარაჯოზე: „მე კარგად მახსოვს ერთი ლიტერატურული საღამო მწერალთა კავშირის დარბაზში, როცა გრიგოლ აბაშიძეს საჯაროდ გამოუტანეს მის მიერ ჩადენილი „დანაშაული“. აი, ის სტროფიც: როცა სამშობლო გვქონდა სვიანი, როცა სამშობლო გვქონდა მთლიანი , ჩვენს დროშას ერქვა დავითიანი“. ახლა არა ვართ სვიანიო? ახლა არა ვართ მთლიანიო? — ნიშნის მოგებით ჰკითხეს მას“ (ტ. ჭანტურია, გრ. აბაშიძის გაკვეთილი, „ლს“. 1994.29. VII)

განვმარტავ: სტროფი (რამდენადმე შეცვლილი) მოტანილია 1943/4 წელს დაწერილი ლექსიდან „დროშები“, რომელიც შევიდა 1945 წელს გამოსულ ამავე სახელწოდების წიგნში.

— მაგრამ პიროვნების კულტის დაგმობა და ერთგვარი დემოკრატიზაცია არ ნიშნავდა ეროვნებათა წახალისებას. პირიქით, პარტია, ხელისუფლება და მათი თანამოაზრენი ერთიან რუსულ სახელმწიფოზე ოცნებობდნენ. ერთმა ასეთმა დამქაშმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პ. ს. ტროფიმოვმა ქართველ პოეტებს შაირით წერა ნაციონალისტობად ჩაუთვალა. მაშინ მას საკადრისი პასუხი გასცა ახალგაზრდა კრიტიკოსმა, გიორგი მარგველაშვილმა („მნათობი“, 1956, № 11) მაგრამ, როგორც ხედავთ, პასუხი ქართულ ჟურნალშია. სამწუხაროდ, შემდეგშიც უმთავრესად ასე ხდებოდა— რუსულ პრესაში მეტისმეტად ძნელად იძლეოდნენ ეროვნული მეობის დაცვის საშუალებას.

ამ რიგისავე იყო ფელეტონი „ოგონიოკში“, რომელშიც ვიღაც ვ. სანინმა „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“ „ბოსლიტიზდატის“ „უკანონო ნაშიერი“ უწოდა — საწყობში გაუსაღებლად ალაგიაო. ამ გამოხდომასაც გ. მარგველაშვილი შეეკამათა („მნათობი“, 1959. №7).

რუსეთში ჩვენი ეროვნული თვითმყობადობის დამფასებლებიც იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, აი, რა თქვეს მოსკოვში 1958 წლის მარტში გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დროს:

პ. ანტოკოლსკი — „ქართული პოეზია — ეს არის ყველაზე პლასტიკური, ფერწერული, ყველაზე ხორციელი პოეზია ჩვენს ეროვნულ პოეზიებს შორის“.

ვ. ორლოვი — „უკანასკნელ დროს გვიხდება მოვისმინოთ თავისებური გაფრთხილება, რომ თითქოს ქართულ პოეზიაში ძლიერ დიდი ადგილი უჭირავს პეიზაჟურ ლირიკას, ბუნების ლირიკას.

მე მგონია, არასწორი და დასანანი იქნებოდა, თუ ახალგაზრდა პოეტები ყურს მიაპყრობენ ასეთ გაფრთხილებას და ამის შედეგად თავს შეიკავებენ „პეიზაჟური ლირიკისაგან“. ეს იქნებოდა სრულიად ხელოვნური და არასაჭირო თვითშეზღუდვა, ვინაიდან ქართული პოეზიისაგან პეიზაჟის მოცილება მისთვის სულის ამოცლას ნიშნავს“.

— სამართლიანი და სხვათა ეროვნული მეობის პატივისმცემელნი კომუნისტურ იმპერიულ ხელისუფლებას არ უყვარდა, საქართველოში კი ისინი სითბოსა და სიყვარულს, შთაგონებასა და მხარდაჭერას პოულობდნენ — პოლიტიკურ კლიმატში დამდგარმა დათბობამ გ. მარგველაშვილს საშუალება მი-

სცა (თუმცა ამას ჯერ კიდევ გაბედვა ესაჭიროებოდა) „მნათობში“ პირველად გამოექვეყნებინა (1956. №11, 12) მის მიერ თარგმნილი ბ. პასტერნაკის მემუარული ნარკვევი „ადამიანები და გარემოებანი“. რომელიც რუსულად გაცილებით გვიან დაიბეჭდა.

ამ მხრივ 1957 წელს დაარსებულმა „ლიტერატურნაია გრუზიამაც“ გამოიჩინა თავი. აი, ორი მოწმობა ამის თაობაზე:

პიროვნების კულტის დაგმობის შედეგად პოლიტიკურ ამინდში ერთგვარი დათბობით მოტანილმა სიტყვისა და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების ნიშნებმა შეაშინა მმართველი პარტია და ისევ დაიწყო შეზღუდვები.

1958. 1-2. X — პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მოეწყო დისკუსია ო. ჩხეიძის რომანის „მეჩეჩის“ ირგვლივ. გამოსვლებიდან: („ლგ“, 1958. №48):

ს. ჩიქოვანი — „ამ ნაწარმოების ორგვარი წაკითხვა არის — პირველი, ნაწარმოებში წინააღმდეგობებს ქმნის იმაზე ჭოჭმანი, მეჭურჭლეთა არტელში შესვლა დაუკარგავს თუ არა კარგ ხელოსანს, მეთუნე გიგოს თავის ხელოსნურ ინდივიდუალობას. მეორე — „ის მოსაზრება, თითქოს ამ ნაწარმოებში სხვა თემები და პრობლემები იყო დასმული, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. რომანი სრულიადაც არ ისახავს მიზნად საკოლმეურნეო მშენებლობის ან უშუალოდ კოლმეურნეთა შრომითი ცხოვრების ჩვენებას... ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ძლიერად და ხორცშესხმულად არის რომანში გადმოცემული“.

გ. მარგველაშვილი — „მეჩეჩი“ თვით გიგოს ფსიქოლოგიაშია... გიგოს ვერ გაუგია, რომ მის ხელოვნებას, მის შრომას ფინაგენტი კი არ აბრკოლებს, არამედ თვით მისი, გიგოს საზოგადოებრივი პოზიცია, მისი მოწყვეტილობა კოლექტივისაგან, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმისაგან... ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამბავი რომანში შეიძლება უფრო კარგად გაშლილ იყო, ეს იდეურ აქცენტებს გააძლიერებდა, მაგრამ „მეჩეჩი“ წმინდა ეპიკური ნაწარმოები არ არის. ეს ნაწარმოები სუბიექტური, ლირიკული პოემის ნიშნებით ხასიათდება. ამ ჟანრის ძიებაში ავტორმა ყველგან და ყველაფერში ვერ გაიმარჯვა, ბევრგან ულალატა მას ზომიერების გრძნობამაც“.

რომანის იდეურ მხარეს რამდენადმე ა. ბელიაშვილი და რ. ჯაფარიძეც იცავდნენ.

ბ. ჟღენტი — „ეს არ არის მართალი სურათი ჩვენი სინამდვილისა, არ ითვალისწინებს მის პერსპექტივას, მისი იდეური კონცეფცია არ არის სწორი. თუმცა მისი ავტორი ო. ჩხეიძე ნიჭიერი მწერალია და ამ წიგნშიაც მოიძებნება ცალკეული კარგად დაწერილი პასაჟები“.

დ. შენგელაია — „ეს ნაწარმოები ავტორს აშკარად სუსტი გამოუვიდა“.:

მეორე ნაკლი, რაც ბ. ჟღენტმა და გ. მარგველაშვილმაც აღნიშნეს და რაც ენის სფერს შეეხება, მაშინაც და შემდეგაც აწუხებდათ ო. ჩხეიძის კრიტიკოსებს თუ მკითხველებს. ზოგმა ამის შესახებ პირდაპირ თქვა, სხვამ მორიდებულად, ვიღაცეებმა ვერც უთხრეს ავტორს. ავტორი კი ბოლომდე პრინციპული დარჩა ამ საკითხში და მკითხველთა და კრიტიკოსთა თვალში ზოგო რამ დაკარგა:

გ. მარგველაშვილი — ო. ჩხეიძემ, „მშვენიერი ლექსიკის მფლობელმა ვერ მონახა ზომა სინტაქსისა და მორფოლოგიის სფეროში რომანის სტილიზაციის დროს. ეს აძნელებს რომანის ნათელ და სწორ აღქმასაც“.

დ. შენგელაია — „ეს ნაწარმოები ძლიერ ძნელი წასაკითხავია. ავტორი მიმართავს თვითმიზნურ ექსპერიმენტებს აწვალებს ენას და სიტყვათა კორიანტელში, რომელსაც იგი აყენებს, არ ჩანს გმირთა მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათები“.

ასევე დაიწუნეს ენა ა. ბელიაშვილმა, შ. ძიძიგურმა, რ. ჯაფარიძემ.

„მეჩეჩის“ იდეურ-მხატვრული კონცეფცია არ გაიზიარეს, აგრეთვე, გ. აბაშიძემ, შ. აფხაიძემ, ლ. კალანდაძემ, კ. კალაძემ, ს. ჭილაიამ.

თვით ავტორს უთქვამს: „ჩანს, რომ მე რაღაც შეცდომა მომივიდა“.

ო. ჩხეიძის კიდევ ერთ რომანს, 1924 წლის ტრაგედიის სიმართლით ამსახველ „ბორიაყს“ დაბეჭდვა მხოლოდ გვიან (1974) ერგო.

სხვათა შორის, ასევე გვიან ეღირსა გამოქვეყნება სტალინის სიცოცხლეში მის „სახელოვან“ მოღვაწეობაზე დაწერილ გაბრიელ ჯაბუშანურის ლირიკულ პოემას „ინვექტივა-მონუმენტი“. „ბალადა ქვაკაცზე“ და „ორი ძაღლის“ შემქნელ პოეტს კარგა ხანს მოუწია ცხოვრება საბჭოეთის ბელადის მიერ სამშობლოდან აყრილი ინგუშების სოფელში. იგი სულით ხორცამდე შეძრა მწარე ხვედრმა ჩეჩენ-ინგუშთა, ამ „მთიელთა ამაყი თემის“ და სხვა ხალხებისა, მათ შორის მისი მშობელი ხალხისა, რომელსაც ათასი უბედურების შემდეგ სულ ადვილად შეიძლებოდა სამშობლოდან გადასახლების ბედიც რგებოდა — ჩვენ ხომ ვიცით, წითელი იმპერიის ერთ-ერთ მმართველს ჰქონდა ასეთი განზრახვა.

ვიქტორ გაბესკირიამაც დაუჯერა პოლიტიკურ დათბობაზე, ცენზურის შერბილებაზე ლაპარაკს და დრამაში „გურიის მთები დაუთოვია“ შეეხო აკრძალულ თემას (დედასა და მშობელ მიწა-წყალს მონატრებული ქართველი ემიგრანტი სამშობლოში შემოიპარა. დედამ შვილი დამალა...). მაგრამ ნურას უკაცრავად, პიესა პრემიერის მეორე დღესვე მოხსნეს.

მსგავსი აკრძალვები სამწერლო გზაზე ახალგაზრდა პოეტ გ. შატბერაშვილსაც გადაეღობა (და გვარიანი მუჯლუგუნებიც უთავაზა). პოლიტიკურ ამინდში ერთგვარი დათბობის წლებში ეს აკრძალვები შესუსტდა. ამას ისიც ადასტურებს, რომ პოეტმა 1960 წელს „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“ ამაზე საჯაროდ თქვა: „ტაბუ დაადეს სიკვდილის თემას, სიძულვილს, მტრობას, მეგობრის ღალატს, ძლიერ სიყვარულს, ტვინის ანთებას და სხვა ათასგვარ დავიდარაბას, რაც შეიძლება ჩვენს დროშიც მოხდეს.

— ნაყოფი გამოიღო 40-იანი წლების ბოლოს პოეზიასთან შედარებით პროზის ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად დაწყებულმა ზრუნვამ. ამასვე შეუწყო ხელი პროზაში პოეტების გადასვლის დაწყებამ — გ. აბაშიძემ შექმნა თავისი პირველი ისტორიული რომანი „ლაშარელა“ (რომელშიც ტრილოგიის მომდევნო წიგნებთან „დიდ ღამესა“ და „ცოტნესთან“ ერთად ჩვენი ისტორიის დაცემა-აღორძინების დიდი მონაკვეთი გააცოცხლა), ა. სულაკაური კი წარმოგვიდგა მოთხრობით ომის თემაზე — „ტალღები ნაპირისკენ ისწრაფვიან“.

ამ წლებში გასრულდა ლ. გოთუას ბევრწილად გადასახლებაში მალულად ნაწერი „გმირთა ვარამი“, ა. ქუთათელის „პირისპირ“, „ბათა ქექიას“ ავტორის დ. შენგელაიას „განძი“, ახალგაზრდა პროზაიკოსის ნ. დუმბაძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რომელსაც მოგვიანებით საკავშირო კომკავშირის პრემია მიენიჭა). გამოქვეყნდა მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, ე. ახვლედიანის მინიატურების ციკლი „ვანო და ნიკო“, თ. ნატროშვილის „ხვალ დღე იქნება ხეობაში“.

პოეზიაში აღსანიშნავია გ. აბაშიძის პოემები „გიორგი VI“ და „ზარზმის ზმანება“, ო. ჭელიძის „ორი მარაბდელი“ (მისი ბალადებიდან კი — „თამარ მეფის საფლავი“)...

ლექსებიდან — დიდოსტატ გალაკტიონის „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“,

ახალგაზრდა იმედის მომცემი პოეტის მ. მაჭავარიანის „საბა“...

დრამატურგიიდან ამ წლებში სცენა დაიპყრეს მ. ბარათაშვილის „მარინემ“ („ჭრიჭინა“), კ. ბუაჩიძის კომედიამ „ეზოში ავი ძაღლია“ და ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელმა“. იდგმებოდა ვ. გაბესკირიას „უფსკრულთან“, დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“, ლ. გოთუას გადასახლებიდან კულტურის სამინისტროში გადასარჩენად უსახელოდ გამოგზავნილი „სამსახეობა რაინდისა“, რ. თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“, მიხ. მრევლიშვილის „ზვავი“, გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“.

1959 წელს მწერალთა ყრილობაზე მწერლობის ახალგაზრდა ცვლაში დაასახელეს შოთა აკობია, ხუტა გაგუა, გივი გეგეჭკორი, ოთარ კუპრავა, ზურაბ კუხიანიძე, მირიან მირნელი, გურამ რჩეულიშვილი, მორის ფოცხიშვილი, ოთარ შალამბერიძე, გივი ძნელაძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ვახტანგ ჯავახაძე.

იწყებოდა სასიკეთო ძვრები მწერლობაში: პოეტთა კრებაზე 1958 წლის 27 დეკემბერს ლ. სულაბერიძემ აღნიშნა: „ქართული ლექსი თანდათან თავისუფლდება რიტორიკისაგან, განყენებული მსჯელობისაგან“.

საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობაზე კი (1959. 19-20.I) ი. აბაშიძე საინტერესო მოხსენებაში იტყვის: „ქართული მხატვრული პროზის დღევანდელი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისიც არის, რომ იგი თანდათან სძლევს პუბლიცისტურ დეკლარატიულობას და ყურადღების ცენტრში აყენებს ადამიანს, მისი ინტელექტის და ემოციების მდიდარ სამყაროს. თანამედროვე პროზა მეტ ადგილს უთმობს არა მოვლენათა ემპირიულ აღწერას, არამედ ადამიანის სულიერი სამყაროს გახსნას, მის ქცევათა ფსიქოლოგიურ დასაბუთებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავა ხანი და 60-იანი წლების ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ხელშესახებად გამოჩნდება ამ ცვლილებათა კეთილი ნაყოფი. „ასეთი შემობრუნების პირველი სიმპტომები ქართულ პროზაში ჯერ კიდევ 50-იანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა. შემთხვევითი არ არის, რომ კრიტიკამ დასაწყისში იჭვის თვალით შეხედა მათ. მხედველობაში მაქვს, კერძოდ, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“ და რევაზ ჯაფარიძის „ხმა იდუმალი“. ეს დაეჭვება მათი შინაარსის უჩვეულობითაც იყო გამოწვეული“ (გ. ასათიანი, დიდი მოლოდინი).

ბოლოს რამდენიმე ფაქტი 50-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრებიდან:

— 1950 წლის სტალინური პრემია მიენიჭა გ. აბაშიძეს ლექსთა ციკლებისათვის „ლენინი სამგორში“, „სამხრეთ საზღვარზე“ (სოციალისტური რეალიზმი გაიძულებდა ისეთი ოინი მოგეგონა, ლენინი სამგორში ჩამოგეყვანა, თუმცა საქართველოში ფეხი არ დაედგა, სტალინი, პარტია და მისთანანი ლექსებისათვის წინ ორთქმავალივით ჩაგება, თუ გინდოდა ის დაგებეჭდა, რაც გულით გწადდა, მითუმეტეს, პრემია მიგელო), ეს პრემია ი. მოსაშვილსაც ერგო პიესისათვის „ჩაძირული ქვები“.

— ასეთივე პრემია 1951 წლისა მიაკუთვნეს გ. ლეონიძეს პოემებისათვის „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“.

— 1952 წელი აღინიშნა სასეირო შემთხვევით — მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გ. ლეონიძის მოწადინებით პრეზიდიუმში შეიყვანეს ახალგაზრდა მწერალი ვანო ურჯუმელაშვილი, რომელიც ჯერ მწერალთა კავშირის წევრიც კი არ იყო.

— 1953 წლის 12 დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის სამ-

წერლო მოღვაწეობის 45-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. მხატვარმა მ. ვადბოლსკიმ (და არა რომელიმე მწერალმა) წამოაყენა წინადადება პოეტის მუზეუმის დაარსების აუცილებლობის თაობაზე.

— 1955 წლის იანვარში გ. ტაბიძე აირჩიეს პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარედ (1955-56). მან სული ჩააქსოვა ამ თანამდებობაზე მოღვაწეობას.

„სამსახურში წესრიგი, დისციპლინა უყვარდა და თვითონ იძლეოდა ამის მაგალითს. ერთ დროს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციას განაგებდა, ყოველთვის სისტემატურად დადიოდა, დღის ორ საათზე სამუშაოდ ცხადდებოდა და საღამომდის მაგიდას უჯდა. ესაუბრებოდა ახლაგაზრდა მწერლებს, სასარგებლო შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებებს აძლევდა მათ და ხელმძღვანელობდა საჯარო კრებებს. ცნობილია მის მიერ ჩატარებული ერთი ლექსისა და ხალხური ბალადის საღამოები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნასვამი არავის უნახავს“ (ნ. აგიაშვილი, „ჩუმად, წარსულო, ჩუმად“, „ლს“, 1981 №2,3).

მაგრამ ამ საღამოებამდე იყო აკაკის გარდაცვალების 40 წლისთავის აღნიშვნა (8. II), ბალადის საღამოს გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში კარგად ჩანს გალაკტიონი რა გააზრებულად გეგმავდა ამ საღამოებს: „პირველი საღამო, მიძღვნილ აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი, გულისხმობდა უკვდავი შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას მიერ გაკაფულ გზას. ეს იყო კლასიკოსებისადმი მიძღვნილი საღამო.

მეორე საღამო „ერთი ლექსის“ საღამოს სახელწოდებით ჩვენ ჩავატარეთ თანამედროვე ქართული პოეზიის ნიმუშების მონაცემებით. ხოლო მესამე, ე.ი. დღევანდელი საღამოს მიზანია დაწყებული იქნეს გაშუქება ჩვენი ხელოვნების სრულიად [illegible] ორი მხარისა — შემოქმედებითის და ტექნიკურის“ („ლს“, 1973. №39; ტ. 12).

თითო დაუბეჭდავი ლექსის საღამოზე (I.III) გალაკტიონმაც წაიკითხა „ერთი ლექსი“, მესამე საღამოზე კი შალვა ამისულაშვილთან, არჩილ გურჯიძესთან, ნოდარ შამანაძესთან და ოთარ ჭელიძესთან ერთად თვითონაც გამოვიდა ბალადის კითხვით.

— საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ (რომელიც 1936 წლიდან იყო მემკვიდრე „ზაკგიზისა“ და უფრო ადრინდელი „ზაკკნიგასი“) გამოეყო წიგნის საგამომცემლო ნაწილი და იმავე სახელწოდებით შეიქმნა თარგმნილი ლიტერატურის გამომცემლობა, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (№238. 1956. 17.V) მიეკუთვნა საქართველოს მწერალთა კავშირს.

—სულ მეტი და მეტი ჩნდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მსურველი. ბუნებრივია, ითხოვდნენ პწკარედს. გამოირკვა, რომ რუსულ ენაზე ერთადერთი პწკარედი ჰქონდა ლიტერატურის ინსტიტუტს. ამ პწკარედის გამრავლება საბეჭდ მანქანაზე იმდენივე ჯდებოდა, რამდენიც სტამბური წესით 500 ცალის დაბეჭდვა.

ეს საკითხი მწერალთა გაზეთში დააყენა (1956. №48) ი. ქავჟარაძემ, მწერალმა და მწერალთა კავშირის თანამშრომელმა. ამის შედეგად წიგნად გამოიცა პწკარედი, რომელიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთარგმნელთათვის გადაგვიცია თუ გაგვიგზავნია და მწერალთა ბიბლიოთეკას ერთი ცალი დღემდე შემორჩა სასაჩუქრო ფონდში.

— 1956 წელს საქლიტფონდის სახსრებით ი. გოგებაშვილის ქუჩაზე, №43, აშენდა მწერალთა პირველი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც შესახლდნენ: შ. ამისულაშვილი, შ. აფხა-

იძე, პ. ბახტურიძე, რ. ბეჟანიშვილი, ვ. გაბესკირია, ვ. გვეტაძე, ა. გომიაშვილი, ნ. დოლიძე, პ. ინგოროყვა, პ. კაკაბაძე, ლ. კალანდაძე, მ. ლებანიძე, კ. ლორთქიფანიძე, მ. მაჭავარიანი, ლ. მრევლიშვილი, ი. ნონეშვილი, ლ. სულაბერიძე, ვ. ურჯუმელაშვილი, ა. ქუთათელი, ა. შენგელია.

— 1957 წლის ივნისიდან გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ცისკარი" (მთავარი რედაქტორები: 1957-62 — ვ. ჭელიძე, 1962-65 — კ. ლორთქიფანიძე, 1965-67 — ხ. ბურულავა, 1967-78 — ჯ. ჩარკვიანი, 1978-79 — გ. ფანჯიკიძე, 1979-82 — მ. ფოცხიშვილი, 1982-89— ჯ. ღვინჯილია, 1990-91 — ი. ქემერტელიძე, 1992 — დ. მაღრაძე, 1992-ღან — ზ. კალანდია.

ამ გამოცემით მეტი ასპარეზი მიეცა ქართულ, განსაკუთრებით ახალგაზრდულ მწერლობას. „ცისკარს" თანამედროვე მწერლობის წინაშე გოგოლის „შინელის" დამსახურება აქვს" (ზ. კალანდია). პირველივე ნომერი ამ ჟურნალისა, რომელიც ომამდელი „ჩვენი თაობის" ალდგენად იყო ჩაფიქრებული („ერთხანს ფიქრობდნენ სახელიც ძველი დაერქმიათ), აიკრძალა და მის ნაცვლად სხვა გამოვიდა (დაწვრილებით იხ. რ. თვარაძე. „ცისკრის" პირველი დღეები „ცისკარი" 1997. № 9).

— 1957 წლის ივლისიდან გამოდის „ლიტერატურნაია გრუზია", რომლის საშუალებითაც ქართულ მწერლობას სისტემატურად ეცნობოდა რუსი მკითხველი და ევროპელი სპეციალისტები. ჟურნალის მთავარი რედაქტორები: 1957-62 — კ. ლორთქიფანიძე, 1962-68 — მ. მრევლიშვილი, 1969-77 — გ. ციციშვილი, 1977-82 — ვ. ასათიანი, 1982-86 — თ. ბუაჩიძე, 1986-96 — რ. მიმინოშვილი, 1996-დან — ზ. აბზიანიძე.

— მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წინ 1957 წელს თბილისში მოეწყო მწერალთა კავშირის განყოფილებათა (აჭარის — 12-19.I, ე.წ. სამხრეთ ოსეთის — 19-24. X) და [illegible] — 16-22. I) ლიტერატურული დღეები.

იყო ასეთი სწრაფვა, რაც განსაკუთრებით აჭარის დეკადის დღეებში გამომჟღავნდა, — რაკი სსრკ-ში ყველა ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება აქვს ჰქონდეს მწერალთა კავშირი და ამით პრივილეგიებს იღებენ სსრკ-ის მასშტაბით, ჩვენც შევქმნათ მწერალთა კავშირი და თუ გაუქმდება აჭარის ავტონომია, მისი მწერალთა კავშირიც გაუქმდებაო.

დიახ, იყო ასეთი აზრი, მაგრამ თბილისში, აჭარის დღეებში ჩატარებულ განყოფილების გამგეობის სხდომაზე უმეტესობამ (მ. ვარშანიძე, ნ. მალაზონია, კ. რუსიძე, გ. სალუქვაძე, ა. შერვაშიძე) მხარი არ დაუჭირა პრივილეგიების მოპოვების ამ გზას. შეიძლება ვინმემ თქვას მოგონილიაო, მაგრამ ამჟამად არ მინდა იმათი გვარები გავამხილო, ვინც ამ ამბების შუაგულში ტრიალებდა და მე დაწვრილებით მიამბეს. ვიმედოვნებ, ისინი ჩანაწერებისა თუ მოგონებათა სახით შემოგვინახავდნენ ამას, ვინაიდან ვალდებული იყვნენ შთამომავლობის წინაშე. ზოგიერთი მაშინდელი ბათუმელი ხელმძღვანელის მხარდაჭერილი ამ სწრაფვის ამსახველი ოქმიც უნდა იყოს სადღაც (თუ არ გააქრეს), თუმცა საქართველოს ხელმძღვანელობაში სულ სხვანაირი ოქმი წარადგინეს.

ამ ამბის წინ კი აფხაზეთში აფსუა მწერლებმა იმარჯვეს და აფხაზეთის მწერალთა კავშირი შექმნეს. ამის ფონზე აჭარის კვირეულის დღეებში თბილისში გამორჩეული ყურადღებით მიიღეს ბათუმელი მწერლები, განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა პოეტის ფ. ხალვაშის ლექსს „მე არ ვიქნები შენი სტუმარი"

— 1958 წლის 27 იანვარს მწერალთა სასახლეში განლაგებული №14 ამბულატორიის მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა: „საქლიტფონდის მიერ გა-

ხსნილ პოლიკლინიკას ეწოდოს „საქ-ლიტფონდის მწერალთა პოლიკლინიკა“.

— ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო 1954 წლის ყრილობაზე ქართველ მწერალთა რეაბილიტაციის გამოცხადება, მოჰყვა შესწორებათა შეტანა ს. ჭილაიას წიგნის „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“ პირველ გამოცემასა (1953) და მთელ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

— 1958 წლიდან ბათუმში გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირისა და მისი აჭარის განყოფილების ჟურნალი „ჭოროხი“ (1958-69 წლებში „ლიტერატურული აჭარა“). მთ. რედაქტორები: 1958-67 — შოთა ქურიძე, 1967-68 — ნანა გვარიშვილი, 1969-79 — აკაკი შონია, 1980-91— ალექსანდრე სამსონია, 1992-დან — ცოტა ხნით, სოსო აბაშიძე, შემდეგ — სანდრო ბერიძე.

— 1958 წლის 29 დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართა გ. ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, 1959 წლის 17 მარტს კი სახალხო პოეტმა თავი მოიკლა.

„ჭირს თანამედროვეთა აშკარა და დიდი უპირატესობის აღიარება ... ჭანონი ხელოვანთა შორის უფრო მკაცრად მოქმედებს, ერთი თაობის ხელოვანთა შორის კი — უმკაცრესად“ (ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი გალაკტიონი, „განთიადი“, 1987. №3). გალაკტიონს ხელს უშლიდნენ ლიტერატურული საღამოების გამართვაში, არადა მისი ყველა საღამო განა ისეთ დიდ დარბაზებში იმართებოდა, როგორიც ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზია და რომელიც 70-იან წლებში ზოგიერთ არცთუ ისე ცნობილ პოეტებს ეთმობოდა. ასეთ დამოკიდებულებას რომ ხედავდნენ, ფულსა და მუცელს გადაყოლილნიც აგდებულად ეპყრობოდნენ — რომელიმე მაღაზიის დირექტორს სამკურნალო კომბინატის ლუქსში ათავსებდნენ, გალაკტიონს კი ორ-სამკაციან პალატაში დასაწოლადაც ცდა უწევდა...

— 1959 წელს იოსებ გრიშაშვილსა და გიორგი ლეონიძეს მიენიჭათ საქართველოს სახალხო პოეტის წოდება.

შემდგომისათვის ეს წოდება გააუქმეს იმის არცთუ უსაფუძვლო შიშით, რომ ვერ მოიგერიებდნენ ხალხის რჩეული პოეტის სახელის მოპოვების მსურველებს.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გია ბულაძე

მონოლოგი დიალოგიდან

ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს მივმართეთ შეკითხვებით, ვთხოვეთ ესაუბრათ თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის აქტუალურ პრობლემებსა და ტენდენციებზე.

რამდენადაც ჩვენი შეკითხვები თვით პასუხებიდანვე ჩანს, გადავწყვიტეთ, მათი გაერთიანება და ცალკეული მონოლოგების ფორმით წარმოდგენა.

ამჯერად გთავაზობთ მხატვარ გია ბულაძის „მონოლოგს“.

დასავლეთის ხელოვნებაში გამოიკვეთა ე. წ. „დასასრულის ხელოვნების“ საკმაოდ მძლავრი, მაგრამ ძირითადად მაინც თეორიული ტენდენცია, რომელსაც „ენდ არტის“ („END ART“) მოძრაობა შეიძლება ეწოდოს.

ამ ტენდენციას წინ უძღვის ძალზე საინტერესო და დამაფიქრებელი კონცეპტუალური მოსაზრებები, რომლებიც ესქატოლოგიური დროის ძალზე მნიშვნელოვან ორიენტაციას გულისხმობს, სადაც, საერთოდ, უარყოფილია გამოსახვის ტრადიციული საშუალებები, უარყოფილია გამოსახვა პირობით სასურათე სივრცეში და ყოველივე დაყვანილია კატეგორიულ მოთხოვნამდე (ფორმულა: „ფერწერის დასასრული“).

„ფერწერის დასასრულის“ აპოკალიფსური და მითოლოგიურ-კონცეპტუალური, მანიფესტური ხასიათი, ცალკე მსჯელობასა და ანალიზს მოითხოვს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ „ფერწერის დასასრულის“, როგორც ფერწერის მეთოდის, ტრადიციული მეთოდისა და ხერხის დასრულების კონცეფცია წარმატებით ჩაინაცვლებს მეორე, არანაკლებ აქტუალურ პრინციპსაც, რომელსაც მე „დასასრულის ფერწერას“ ვუწოდებდი (ე. ი. არა „ფერწერის დასასრული“, ფერწერის, როგორც მეთოდის, კრიზისი და ნგრევა, არამედ „დასასრულის ფერწერა“, ფერწერა, რომელიც გამოსახავს და გამოავლენს ხელოვნებაში დასასრულის ინტენციას, დასასრულის ასახვას ფერწერით).

ეს არის ფერწერა, რომელიც თავისი მეთოდოლოგიური, ტექნიკური და სტილური დასასრულის მაჩვენებელი. არ არის, არამედ პირიქით, ფერწერის იმავე ხერხებით სწორედ დასასრულის მაჩვენებელია.

შესწევს კი ხელოვნებას აპოკალიფსური, ფინალური აკორდების აჟღერება საერთო საკაცობრიო და კოსმიურ მასშტაბებში?

მგონია, რომ „ფერწერის დასასრული“ და, საერთოდ, „ენდ არტი“ აპოკალიფსურ დასასრულს კი არ მიუთითებს, არამედ სვამს უკანასკნელ, მარადიულ და აბსოლუტურ შეკითხვებს ადამიანისა და კაცობრიობის წინაშე.

ეს ხელოვნება თითოეული ადამიანის ეგზისტენციაში შემოჭრილი მარადიული პრობლემის შესახებ შეკითხვის დასმაა და არა სამყაროს დასასრულის ჩვენება თუ აპოკალიფსური კოლიზია.

დასასრულის ხელოვნება, ადამიანის, ხელოვანის წინაშე აყენებს უკიდურეს პრობლემებს, უკიდურეს საკითხებს.

უკიდურესი დასასრულის შეკითხვა ადამიანთა სრული ერთიანობის განცდას იწვევს, რადგან ყოველი ჩვენთაგანისათვის ამ შეკითხვებზე მნიშვნელოვანი პრობლემა არ არსებობს.

ამავე დროს, დასმულის პრობლემა შეკითხვაშივე ჰპოვებს თავის ასახვას და განმარტებას, რაც „ფილოსოფიური რწმენის“ არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს ჩვენი, მართლაცდა, ცნობიერი გადარჩენისათვის.

არსებობენ მარადიული, წარუვალი შეკითხვები, შეკითხვები, რომელთა, პასუხები თვითონ მათშივეა მოცემული და შეფასების კრიტერიუმადაც ამ შეკითხვათა სიმძაფრე გვევლინება მოცემულ, სახელოვნებო, გრძნობად სახეში. თვით გრძნობად სახესა და ფორმაში გაცხადებული შეკითხვა ხელოვნების ნაწარმოებს წარმოადგენს „უკანასკნელი შეკითხვის“ დიაპაზონის სიმძლავრე, განსაზღვრავს კონკრეტული ქმნილების ემოციური და ინტელექტუალური ტევადობის მასშტაბსაც, აქედან კი — ნაწარმოების დონესა და ხარისხს.

კრიტერიუმი — შეკითხვის სიმძაფრეა ნაწარმოებში, ჭეშმარიტი ხელოვნება მარადიული შეკითხვის ხელოვნებაა!

შეკითხვა შეიძლება იყოს შეფარული ან გახსნილი, მაგრამ იგი ყოველთვის უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია ასეთი ნაწარმოების დანიშნულება თავად ხელოვნებისათვის. იგი მაშინ მხოლოდ სამკაულის, მოსართავის ან ერთგვარი დიზაინური ატრიბუტის ფუნქციებს იტვირთავს.

ამიტომ ძირითადი სახელოვნებო კრიტერიუმის დადგენა, ალბათ, შაინც ამოუცნობი და თითქმის სრულად ამოუხსნელი, ენიგმური, „საბოლოო“ შეკითხვის ინტუიციური წვდომისას შეიძლება.

ყოველი თემა, — მე ვიტყოდი, მარადიული თემა, შეიცავს შეკითხვას, როგორც ფორმულას.

განა ფორმულა არ არის ბერძნული სკულპტურა? პირადად ჩემთვის, უძვირფასესი — „დელფოსელი მეეტლის“ ამოუცნობი წონასწორობა და სიცოცხლე, მიქელანჯელოს, ლეონარდოს თუ ვან გოგის „მემაღაროე“, რომელიც, ავტორისავე აღიარებით, მაცხოვარს გამოხატავს ზეთისხილის მთაზე, ყველაზე მძიმე ლოცვისა და განმარტოების ჟამს. განა ფორმულა არ არის ალზელმ კიფერის „გადამწვარი მიწები“, გერჰარდ რიპტერის მასშტაბური ხილვანი და ა. შ.

თვით მარადიული თემები — მარადიული შეკითხვებია, რომელთა ამოწურვა, მხატვრულ-ფორმალური პლურალიზმის შემთხვევაშიც და მომავალშიც სრულიად წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

იცვლებიან სახეები და ფორმები. შინაარსები და შეკითხვები კი რჩებიან.

ყოველივე ამის შემდეგ დასკვნა შეიძლება ასეთი იყოს:

საყოველთაო კრიტერიუმი მარადიული შეკითხვის ენერგეტიკაა.

ძველ ხელოვნებაში ფაქტიურად არ არსებობდა შეკითხვა, რომელსაც პასუხი არ მოეძებნებოდა, ე. ი. არ იყო უპასუხო შეკითხვები. მოგვარებული გახლდათ თითქმის ყველა შინაგანი დაპირისპირებულობის პრობლემა. მახინჯის, ბოროტის ჩვენების, გამოსახვის აუცილებლობა არც კი არსებობდა, რადგანაც ის თავისი არსით არასუბსტანციური იყო, ეს აზრი მშვენივრად აქვს გამოთქმული დიდებულ დიონისე არეოპაგელს: „ბოროტება სიკეთის დაკლებაა მხოლოდ“, ე. ი. სიბნელეც სინათლის ნაკლებობა იყო, აქედან გამომდინარე იდეალი სინათლეში, სიკეთეში იყო საძიებელი და მის არსზე, მის მარადიულ არსზე ფიქსირდებოდა იგი, წარმართავდა და

სრულად განმსჭვალავდა შემოქმედებითი მსახურების, ინდივიდუალური მსხვერპლგაღლებისა და არა თვითგამოხატვის პროცესს.

და აი, იმ ნეტარმა, ძველი ნათელიო და ჰარმონიით აღვსილმა პერიოდმა განვლო და მოვიდა ეპოქა „ღმერთების დაცემის“ — თვითკვლევის, თვითძიებისა, და რაც მთავარია, თვითგამოხატვის. რეალურ ძალად გადაიქცა პროტესტის სურვილი. პროტესტი ყოველივე იმის მიმართ, რაც უსამართლოდ და მიუღებლად გვეჩვენება. პროტესტი კი რეალურ მოწინააღმდეგეს გულისხმობს და არა მოჩვენებით, ეფემერულ ბოროტებას, როგორც ადრე მიაჩნდათ. მოვიდა ეპოქა, ხელის ცეცებით ჭეშმარიტების ძიებისა, მოვიდა ხელოვნება პიროვნების, ქაოსში მოხვედრილი ინდივიდუალობისა.

სწორედ ამ ახალი ეპოქის დასაწყისში გამოიკვეთა ორი ძირითადი ნაკადი: ერთი, რომელიც თითქოსდა ატავისტურად ატარებს თავის თავში იმ ძველი ჰარმონიისა და ნათელის განცდას და მეორე, რომელიც შუაზე გახლეჩილი ამ ახალი ეპოქის შვილია.

ამ უკანასკნელს მხოლოდ მისი სჯერა, რასაც ხედავს, რასაც ხელი მოეკიდება და მისი, რასაც სამოქმედო გარემოსა და მასალის სტრუქტურულ-სპეციფიკური თვისებები კარნახობს.

ამ ორივე ნაკადის სამოქმედო არეა ისევ და ისევ გაორებული პიროვნება, უფრო სწორად, პიროვნების გაორებული აზროვნება.

ევროპულ ხელოვნებაში, იმ დროს, როდესაც რელიგიური ხელოვნების იდეალური ჰარმონია ღვთაებრივის სამსახურში ნელ-ნელა საუკუნეებისა და წარსულის სიღრმეში მიიმალა, გამოიკვეთა ორი მიმართულება. ერთ-ერთი სწორედ აზრის აუცილებელი შემეცნების პოზიციაზე იდგა, ხოლო მეორე მასალის, მოცემული ფაქტის სუბსტანციიდან მიღებულ შემოქმედებით იმპულსებზე აგებდა თავისი ხელოვნების ძირითად ხატოვანებას.

თავისთავად, შემოქმედება განხორციელებას გულისხმობს; ამავე დროს, არ არსებობს შემოქმედება სრულიად სამოქმედო იდეიდან ინსპირირების გარეშე; მასზე დაყრდნობით კი მოდის მხატვრული დამაჯერებლობაც. ამ პოლარულ ნაკადებში ყოველთვის იყო და ახლაც, დღევანდელ შემოქმედებით პროცესშიც არის სურვილი ურთიერთშენივთებისა, მაგრამ ის გამამთლიანებელი ძალა, რომელიც ადრე მოქმედებდა, როგორც რელიგიური ერთობის განცდა, დაიკარგა. დღევანდელი ხელოვნების რელიგიად თვით ხელოვნება იქცა, ხოლო მას ემსახურება პიროვნული განცდები, გრძნობები. კარგია თუ ცუდია ეს ყოველივე — ცალკე განხილვის საგანი გახლავთ.

ლეონარდო და ვინჩის მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი შემეცნება — სიყვარული იყო, მაგრამ ძალზე დაგვშორდა ის ნეტარი შემეცნების განცდა. ამიტომაც რთულია დღევანდელი ადამიანის შემოქმედება, სადაც ბოროტება, როგორც ასეთი, რეალურად შეიქმნა და პროტესტის საგნად იქცა. მხოლოდ წარსულის ნორმებითა და კანონებით რომ მივუდგეთ ამ საკითხს, არ შეიძლება. რთულია ადამიანს წავუკითხოთ მორალი, მოვითხოვოთ, შეასრულოს გარკვეული წესები და რიტუალები, თუ მის არსში თავად არ გაერკვა, რადგანაც ამ საყოველთაო მთლიანობის პერიოდი ადამიანის გულში კარგა ხანია დასრულდა და აზროვნების გაჩეხვამ იჩინა თავი. არსებული ფაქტებით, მასალით, შეგრძნებებით, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, მაგიურ-ინტუიტური ხატებით აზროვნებამ, მხატვარი არჩევანის წინაშე დააყენა. ადამიანი გამოსავალს რეალურ დასაბუთებაში, რეალურ მონაპოვარში ეძებს, რომელსაც ტრადიციაც ზურგს უმაგრებს და მომავალიც ამ ტრადიციის პრიზმიდან მოჩანს, რადგანაც არ არსებობს ფაქტი, რომელსაც საფუძველი და საწყისი არ მოეძებნებოდეს წარსულში.

ხელოვანი და არა მარტო ხელოვანი, საერთოდ, დღევანდელი ადამიანი, ზღა-

პრული გზის გასაყარზე დგას, სადაც ქვის ფილაზე უძველესი ასო-ნიშნებით წარწერაა შემორჩენილი, თუმცა კი მას კითხვა დაავიწყდა და ისეთი შეგრძნებაცაა, რომ გზას მხოლოდ ხელისცეცებით თუ გაიგნებს. ამიტომ გამოსავალს სწორედ წარსულის გამოცდილებასთან ზიარებაში, მის თანამედროვე სააზროვნო ფორმებით შეცნობასა და შემდგომ ინტერპრეტაციაში ვხედავ და ვერაფრით ვერ აღვიქვამ ხელოვანს მოწყვეტით იმ რეალური გარემოდან, სადაც ის დაიბადა და რა სულიერი ტრადიციებითაც ჩამოყალიბდა მისი ინდივიდუალობა.

* * *

რიჰარდ ვაგნერი ამბობდა: „ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ცხოვრება". ესაა პოზიცია ჭეშმარიტი რომანტიკოსისა, რომელიც ცდილობს ამაღლებული და შინაარსობრივად განსაკუთრებული თვისებებით აღსავსე რეალობა შექმნას. თუმცა კი ამ პოზიციამ თავისი არაპირდაპირი გამოხატულება ჰპოვა ულტრათანამედროვე ხელოვნების წიაღში, ოღონდ სრულიად არარომანტიული და არაამაღლებული სახრთ, მოკლე და ლაკონური ფორმულა მოგვცა კოშუტმა, დიდმა ამერიკელმა კონცეპტუალისტმა, 60-70-იანი წლების კონცეპტუალიზმის მამამ: „ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ფუნქცია". მე ვფიქრობ, კოშუტმა მოძებნა ერთგვარი გამოსავალი ხელოვნების დაკარგული კრიტერიუმის მოსაპოვებლად. მაგრამ ეს კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, არც ისე მყარი და მდგრადი აღმოჩნდა, თუმცა კი ჩვენი წარმოდგენა ხელოვნების სფეროს ფარგლების შესახებ, საგრძნობლად გაფართოვა. უტილიტარულ-ჰედონისტური ფუნქციის გარეშე დარჩენილი, ან ამ შინაარსისაგან გაცლილი ნივთი თუ მოვლენა ხელოვნებას კონცეპტუალური არსის გამომხატველად მოგვევლინა მხატვრული ფორმის საკითხში. კრიტერიუმის უქონლობა, აბსოლუტური პლურალიზმი პროფანულ ყოფას გაესთეტურება — გავალორიზებისა ერთგვარ საშუალებად იქცა. ამ მხრივ, ძალზედ საინტერესოა გერმანელი სკულპტორ-ინსტალატორის, იოზეფ ბოისის მოღვაწეობა; მისთვის „ყოველი ადამიანი ხელოვანია" და ორგანულადაა ჩართული იგი საყოველთაო ვალორიზების პროცესში. რამდენადაც ხელოვნება ასე მჭიდროდ დაუკავშირდა პროფანულ ყოფას, ამის კვალობაზე ხელოვნების წიაღიდან თანდათანობით გავიდა, გაუჩინარდა, მიიჩქმალა იდეალი, საბოლოო ტელეოლოგიური მიზანი, რაც ავრერიგად განმსჭვალავდა და ახასიათებდა შუასაუკუნეებისა და თუნდაც გასული საუკუნის ხელოვნებას. ხელოვნებამ ხელშესახებად უგულებელყო ესქატოლოგიურ-რელიგიური მისწრაფებები. თუმცა კი ირიბად, არაპირდაპირ დღესაც აირეკლავს ესქატოლოგიური დროის ნიშნებს, რაც საყოველთაო კრიზისის სახით ვლინდება. შევნიშნავ, რომ ჩვენ კრიზისი კი არ უნდა დავძლიოთ, კი არ უნდა მოვსპოთ იგი, არამედ განსაკუთრებით უნდა გავაღრმავოთ (თვით სიტყვა „კრიზისი", მოგეხსენებათ, ნიშნავს განაჩენს, გადამწყვეტი ხასიათის ცვლილებას). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საყოველთაო გადაფასების, საყოველთაო შეჯამებისა და პასუხისმგებლობის პერიოდში შევდივართ. ხელოვნების და ცხოვრების ურთიერთობის წიაღში აღმოცენებული კრიზისი, ბოისმა საოცარი მახვილგონიერებით შეანივთა ერთ სახელოვნებო პრობლემაში, რაც მან ამგვარად გამოთქვა: „პოლიტიკა — ესაა სოციალური სკულპტურა". ეს სიტუაცია კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხელოვანი, ჯონ კეიჯის ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, ცდილობს იმუშაოს „ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის არსებულ უხილავ მიჯნაზე", რომლის არსებობაც, უნდა ვაღიარო, პირადად მე

არცთუ იშვიათად და, ამასთან, საკმაოდ მძაფრადაც განმიცდია.

კრიზისის ნიშნები საქართველოშიც აშკარაა. უბრალოდ თვით ფაქტის ფიქსაცია ჩვენთან რამდენადმე შენელებული ტემპით მიმდინარეობს. თუმცა დასავლურ შაბლონზე გამოჭრილი ინტეგრაციის პროცესი ისევ და ისევ დასავლური ხელოვნებისკენ მიბრუნებით გამოირჩევა, ის, რომ ხელოვნებიდან ასე თვალსაჩინოდ განიდევნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური მისწრაფებები, სულიერი იდეალი, ხელოვნება თითქოს დატოვა ხსნის, გადარჩენის იდეოლოგიამ. ამიტომ იგი თავის არსით გახდა მხოლოდ და მხოლოდ თვითგამომხატველი, ვოლუნტარიზებული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყოველივე ამან თვალშისაცემად დაგვაშორა ეროვნულ სახვითობასაც. ცხადია, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ხელოვნების ნაციონალურ საზღვრებში კარჩაკეტილობა ვიქადაგო, პირიქით. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა პირადად ჩემთვის, ჯერ კიდევ რამდენადმე იმედისმომცემი გახლდათ ეროვნული იდეალები ხელოვნების სფეროში და მისი პერსპექტივა მსოფლიო კულტურის არეალში, ქართული მხატვრობის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის დამკვიდრებაზე ვოცნებობდი, ვოცნებობდი, არა უბრალოდ ქართული გვარების მატარებელი მხატვრები გვყოლოდა, არამედ გვქონოდა ზოგადად ქართული ორიენტაციის მხატვრობა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებითა და თვისებებით; მაშინ შევიმუშავე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გზით მსოფლიო ხელოვნების არეალში ქართული მხატვრობის თავისუფალი ინტეგრირების, ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ტრანსნაციონალური" ორიენტაციის პოზიცია.

ახლა ამის შესახებ საუბარი ძალზედ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ ზოგადი და, ამავე დროს, ძალზედ კონკრეტული სულიერი თუ სოციალ-ეკონომიური პრობლემები ჩვენსავე შემოქმედებით თვითრეალიზება — თვითგამოხატვის უნარსა და შესაძლებლობებს ძალზედ აკნინებს. ეროვნულ სპობს განსაკუთრებულად ჩამოყალიბებული, თვითმყოფადი ეროვნული ნიშნით აღბეჭდილ თავისუფალ და ინდივიდუალურ ხელოვნებას. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს მძაფრად და ზედმიწევნით ზუსტად მოქმედებს, ერთის მხრივ, ე. წ. ავანგარდისტული დოგმატიზმის კლიშეები, და მეორეს მხრივ, ასევე თავსმოხვეული ნეოპრიმიტივისტული ეთნოგრაფიული იმიტაციების ელემენტები. ყოველივე ამას კი ეროვნული პროფესიული კულტურა ერთ უმარტივეს მნიშვნელობამდე (ნიშნულამდე) დაჰყავს. ამიტომ რეალურად ვდგავართ განსაკუთრებული ალტერნატივის წინაშე: ან მივიღოთ ილუზორული შემოქმედებითი თავისუფლების სტანდარტი, რაც ინტელექტუალური კონსტრუქციების თამაშის ფორმით ვლინდება და უხვად იკვებება მოჩვენებითი სტილურ-ფორმალური თავისუფლების იდეიდან (აქ შემოქმედის ინტელექტი თვითრეალიზებისას აბსოლუტურად შეუზღუდავია, მაგრამ მასში არ ჩანს ადამიანი, ეს გახლავთ მხოლოდ კონსტრუირება და დეკონსტრუირება), ან კიდევ სტანდარტებითა და მახვილგონიერი კლიშეებით თამაშის ამ ცივ პრინციპს დავუპირისპიროთ ერთგვარი სანტიმენტალური, ბანალური ნაივი. ჩემი აზრით, ამ ორი გზიდან ჭეშმარიტი თავისუფლებისა და შემოქმედებითი ცნობიერების გაფართოების შესაძლებლობას არც ერთი არ გვაძლევს. პირველი მათგანი სამყაროს უაღრესად მკაცრ, ცივ, უადამიანო მოდელს გვთავაზობს, მეორე კი სანტიმენტალურ-ნაივური კულტურის რელიქტს. ვფიქრობ, თანამედროვე ხელოვნების ორიენტირს განსაკუთრებული ბალანსის მოძიებაში უნდა ვხედავდეთ. ეს გახლავთ თავისუფალი შემოქმედებითი აქტივობისა და სოციალურად ორიენტირებული სახელოვნებო იმპულსებით ზემოქმედების მეთოდი თუ პრინციპი...

* * *

შემოქმედებითი აქტივობის მიზანი ერთსა და იმავე დროს, ალბათ, თვითდამკვიდრებაცაა, თვითრეალიზებაც და თვითშემეცნებაც. ხელოვნების სოციოლოგიის პრობლემებს რამდენიმე წელია რაც შეძლებისდაგვარად ვსწავლობ და ვცდილობ, განვსაზღვრო ხელოვნების საზოგადოებრივი დანიშნულების პარამეტრები, მისი სოციალური ორიენტაცია. ამასთან, ვცდილობ ეს საკითხი პროფესიულ დონეზე შევისწავლო. მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებ ხელოვნების სოციუმში სიგნალირების განსაკუთრებული მეთოდის არსებობას, მაინც მიმაჩნია, რომ თანამედროვე ეტაპზე ჭეშმარიტი ხელოვნება ალტრუისტული და აბსოლუტურად თავისუფალი შემოქმედებითი ემანაცია-გაცხადების შედეგი უნდა იყოს. 60-იანი წლებიდან მოკიდებული რობერტ სმიტრონის მსგავსად არაერთი მხატვარი თვლის, რომ ხელოვნების ქმნილების, ნაწარმოების შექმნის ყველაზე სერიოზული ეტაპი მისი გასაღება და დაბინავებაა, მე კი ვფიქრობ, რომ ასეთი ხელოვნება ძირითადად სოციალურად აქტუალური, თანადროული და პრობლემატური საკითხების წამოწევაზეა ორიენტირებული...

თანამედროვე ხელოვნებაში არ არსებობს არაუტილიტარულ ქმედებაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა. ძალზედ ამაღელვა იმ ფაქტმა, როდესაც მსგავსი თვალსაზრისი, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უაღრესად მისაღები, ამერიკელი სოციოლოგის, პიტირიმ სოროკინის სოციალურ-ფილოსოფიურ მოსაზრებებში ამოვიკითხე. იგი საუბრობს ხელოვნებაში სოციალურად ორიენტირებულ ალტრუისტულ სიყვარულზე, ე. ი. ისეთ სიყვარულსა და მოქმედებათა ისეთ რიგზე, რომელთა საფუძველსაც სრული უანგარობა და ალტრუიზმი წარმოადგენს.

სოციალურად აქტუალური ხელოვნება მხოლოდ დროითი მოვლენა არ უნდა იყოს. ამიტომ სიყვარულით, სრული ალტრუისტული სულისკვეთებით აღვსილი სახელოვნებო ქმედება, ხელოვნების სოციალური ზემოქმედების შესაძლებლობებს საგრძნობლად აფართოებს.

მოგეხსენებათ, თანამედროვე ხელოვნება ცდილობს თავისი სრული თვითრეალიზება დროის კონკრეტულ მომენტთან სრულ შესაბამისობაში მოახდინოს, აქედან გამომდინარე, იგი აშკარად ავლენს ტენდენციას, აქციის ანუ იგივე პერფორმანსის ხელოვნებად იქცეს. დროის საკითხი, დროში გამჟღავნებული სახელოვნებო ქმედების საკითხი თანამედროვე სახვითი ხელოვნების ძალზედ მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ეს ცალკე, საგანგებო მსჯელობის თემაა და ამიტომ მის შესახებ აქ აღარ გავაგრძელებ საუბარს...

არსებობს ორი ტიპის მხატვარი (საერთოდ, ხელოვანი). ერთს შემკვეთი „გარედან" ჰყავს, მეორეს — „შიგნიდან". ისევე როგორც არსებობს „შინაგანი" და „გარეგანი" ცენზორის ფენომენი.

სოციალურად ორიენტირებული მხატვრობა ცდილობს მხარი აუბას კონკრეტულ დროსა და გარემოში არსებულ რეალობას, ცდილობს კონცეპტუალურად შეეპასუხოს კონკრეტულად არსებულ პრობლემებს, სახავს ძირითად ორიენტირებს, რომელთა საწყისს სულიერი თუ სოციალური უკმარისობის იდეა წარმოადგენს.

ავანგარდზე ორიენტირებული ხელოვნება, თავისი არსით მესიანისტურ-უტოპიურია, და ჩვენს სინამდვილეში პროლეტარული რადიკალობით ვლინდება. ამიტომ ავანგარდი იმ პროფილით, რომელსაც ჩვენში (და არა მარტო ჩვენში) ვხვდებით, თავისი სოციალური სამართლიანობის უტოპიზმით პროლეტარული მოძრაობის ანალოგია, მე ვიტყოდი, სრულიად პროლეტარულია და ამ კუთხით სოციალური რადიკალობით ხასიათდება. მაშასადამე, ავანგარდის სოციალურად ორიენტირებული ფრთა უპირატესად პროლეტარულია. პროლეტარულია არა კლასობრივი ნიშნის მიჩედვით, არამედ სოციალური

უტოპიზმის დამკვიდრების თვალსაზრისით.

არსებობს აგრეთვე ერთგვარი ნეოკონსერვატორული ფრაზაც, რომლის უმთავრესი დანიშნულებაა არსებული ფორმების, სახეებისა და უკვე ჩამოყალიბებული სოციალური სუბორდინაციის შენარჩუნება. იგი ცდილობს ტრადიციულ ფასეულობათა გადარჩენას და შეძლებისდაგვარად თანამედროვე ფორმალურ-გამომსახველობით სისტემასთან აკუმულირება — ტრანსფორმირებას.

თანამედროვე მხატვრობაში გამოიყოფა კიდევ მესამე ფრთა, რომელსაც ასევე პირობითად შეიძლება სალონური ფრთა ვუწოდოთ. იგი ობივატელის გემოვნებაზე მუშაობს. იგი ესადაგება გემოვნების დადგენილ კლიშეებს.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ მხატვრობაში გვაქვს სამი ძირითადი ფრთა: ე. წ. პროლეტარული ავანგარდი, ნეოსალონური, ნეოკონსერვატორული. სწორედ ნეოკონსერვატორული ფრთის წარმომადგენლები (ჩვენი ჩათვლით) ცდილობენ მრავალი სხვადასხვა პროცესისა და ტენდენციის შეთვისებაშეთანხმებას ერთი კონცეპტულური პრინციპის მიხედვით.

ჩვენი თაობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ახალი იდეურ-ფორმალურ პრინციპთა დამკვიდრება გახლავთ. ქართულ სახვით ხელოვნებაში ჩვენმა თაობამ თავის დროზე მოიტანა ნეორომანტიული და ნეოექსპრესიონისტული პრინციპები, ფართოდ გაუღო კარი ფორმალური პლურალიზმის პრინციპს, დაამკვიდრა კონცეპტუალურად გათვლილი პოლისტილისტიკა, გადალახა იზოლაციის ბარიერი, შეეცადა დაემტკიცებინა საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული მხატვრობის ფენომენის არსებობა; რამდენად შეძლო, ეს სხვა საკითხია...

* * *

დღევანდელ ეტაპზე თანდათანობით ყალიბდება ცალკეულ გალერეებთან, კერძო-თავისუფალ გალერეებთან მხატვართა დაჯგუფებები, თუმცა ეს პროცესი ჩვენთან საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს. როგორც ყველგან, ჩვენთანაც მართვადი სისტემიდან, ცენტრალიზებული სისტემიდან თვითმართვად — თავისუფალი არტ-ბიზნესისა და არტ-პროცესების სისტემაზე გადავდივართ. ჩანასახის მდგომარეობაშია არტ-კრიტიკა, ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები ძირითადად ხელოვნების ისტორიკოსები არიან და ამდენად უნარი არ შესწევთ წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი პროცესები და ტენდენციები, მეტიც, თუნდაც მიმდინარე პროცესების გაანალიზება მოახდინონ. ალბათ, ყოველივე ამას ისიც უშლის ხელს, რომ დღევანდელ საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობს ის ფენა, რომელსაც სოციალური სტრატიფიკაციის სფეროში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია, — აღარ არსებობს საშუალო ფენა. სწორედ ის ფენა, რომელიც იყო და რჩება ხელოვნების ქმნილების უმთავრეს შემფასებლად, „მომხმარებლად" და შემსყიდველად. ჩვენი საზოგადოების ეკონომიურად და სოციალურად მძაფრი პოლარიზაციის შედეგად, უმრავლესობა გაღარიბდა და გაღატაკდა, მხოლოდ უმცირესი ნაწილი გამდიდრდა. მაგრამ ეს ისეთი თემაა, რომლის შესახებაც საუბარი დაუსრულებლად შეიძლება...

პირადად ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე მხატვრობის შესახებ გამოკვლევებისა და ესეისტიკის კითხვა-დამუშავება. ამ მხრივ ჩვენში გამოქვეყნებულ გამოკვლევათა შორის უაღრესად მნიშვნელოვნად მიმაჩნია თეორიის სფეროში ის სამუშაო, რასაც დიმიტრი თუმანიშვილი ეწევა (მეტად მახვილგონივრული და ჩემთვის მისაღები კრიტიკით); ასევე დიდ ინტერესს იწვევს ამ მხრივ ახალგაზრდა პოეტისა და ესთეტიკოსის, დათო ბარბაქაძის მოღვაწეობა; შესანიშნავი ქართველი მწერლის, მაკა ჯოხაძის განსაკუთრებული სიღრმით აღბეჭდილი თეორიული ნააზრევი; ფილოსოფოს ბადრი

შარვაძის ორიგინალური და კეთილსინდისიერებით შესრულებული ნაშრომები... თუ კვლავ დავუბრუნდებით ხელოვნების დანიშნულების პრობლემას და მარტივ ევდემონიზმს გავემიჯნებით, მაშინ უნდა ითქვას, რომ ხელოვნების უმთავრესი დანიშნულება ჭეშმარიტების გრძნობადი შემეცნება და უმაღლესი ცნობიერებისათვის, ახალი ყოფიერებისათვის ჩვენი მომზადებაა. ყოველივე ამას დავუმატებდი ფრიდრიჰ შილერის შესანიშნავ განსაზღვრებას: „ხელოვნება ვარჯიშია თავისუფლებაში". უკეთესად თქმა, ალბათ, შეუძლებელია, თუმცა იმასაც დავსძენ, რომ თავისუფლებაში, ცხადია, აღვირახსნილობას არ ვგულისხმობ.

* * *

როდესაც ვუფიქრდები იმ პრობლემას, რომელიც ხელოვნების ქმნილების, ნაწარმოების შენარჩუნებისა და მისი ფიზიკური გადარჩენის, მე ვიტყოდი, საუკუნო, სამარადჟამო პრობლემას ეხება, მეუფლება წარმოუდგენელი, ენით უთქმელი ნაღველი და უცნაური დარდი იმის გამო, რომ ყოველივე საბოლოო ჯამში, რაც უნდა მკვიდრად ნაგები ან ქმნილი იყოს, მაინც დაემორჩილება მისი ფიზიკური ნგრევის, დაშლისა და შემდგომ, ალბათ, მახსოვრობიდან ამოშლისა და მივიწყების პროცესებს; ყოველივე ის, რაც ადამიანის ხელით იქმნება და ხორციელდება ფიზიკურ მატერიაში, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, ის გარდუვალობით დაემორჩილება ძალასა და ნგრევას, ისევე როგორც თვით მისი შემქმნელის, მხატვრის ფიზიკური სხეული.

ამ საკითხზე რთული პრობლემა ალბათ არც კი შეიძლება, რომ არსებობდეს, რადგანაც მარადიულისა და წარმავლის, საერთოდ დაბადების, შესაქმისა და ასევე არარსებობაში გარდასახვისა თუ გაქრობის საკითხი ყველაზე მწვავე და მტკივნეული პრობლემაა.

რას წარმოადგენს თვით მხატვრისათვის, შემოქმედისათვის ერთ-ერთ ქმნილება და ნამუშევარი?

ბიბლიოთეკა

რამდენადაც მახსოვს, ვან გოგი თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში თეოს მიმართ, საუბრობს იმ მხატვრებზე, რომელნიც გარდაიცვალნენ. მისი აზრით, „ავტორგარდაცვლილი" ნამუშევრების მდგომარეობა და სახეობრიობა განსაკუთრებულ თვისებებს იძენს. არსებითად იცვლება ნაწარმოების სახე და ზემოქმედების ძალა და მარტო იმიტომ კი არა, რომ მაყურებელი განსხვავებულად განიცდის ნაწარმოებს, თავისი პირადი განწყობის გამო აწ გარდაცვლილი ავტორის მიმართ, განსაკუთრებულად ეკიდება გარდაცვლილი ავტორის ქმნილებას. მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ თვისებრივად თვით ნაწარმოები იცვლის სახეს, შეიძლება ითქვას, იცვლის ერთგვარი ჯადოსნობითაც, მისტიურობითაც კი. და რაც, ვფიქრობ, სწორედაც რომ ნაგულისხმები უნდა ჰქონდეს ვანგოგს. გარდაცვლილი მხატვრები გარკვეულად ზემოქმედებენ თავიანთ ნაწარმოებებზე და ზემოქმედებენ შიგნიდან, სიღრმიდან, განცდიდან და არა ფორმალურად, ტექნიკისტურად, როგორც ეს მათ სიცოცხლეში ხდება, როდესაც ფიზიკურ სამყაროში იქმნება ხელოვნების ნაწარმოები მატერიალური სუბსტანციების გამოყენებით, თუმცა კი ამ მატერიალურ სიბრტყეზეც, როდესაც ნაწარმოები იქმნება, თუკი იგი ნამდვილ ხელოვნებას განეკუთვნება, არსებითი და ძირითადი მაინც შინაგანი სტიმულები და იმპულსებია. ასე რომ ნაწარმოები ხელოვანის მიერ ხელოვნებით განსულიერებულ მატერიაში, მისი, მხატვრის სიცოცხლის განსაკუთრებული გაგრძელება და განსახიერება-განხორციელება ხდება, ამიტომ მართებულად ჟღერს ასეთი ფრაზა: „ხელოვნების ნაწარმოები მხატვრის მეორე სხეულია".

ისეთი განცდაა, თითქოს ნაწარმოების ფორმალურ სხეულში, თავისი მეორე, ალბათ, ზემატერიალური სხეული შეიძინა გარდაცვლილმა მხატვარმა, ისეთი გრძნობაა, რომ იგი, საერთოდ, თა-

ვის ქმნილებად „გარდაიცვალა“. გარდაცვლილი მხატვარი მეტაფიზიკური, ტრანსცენდენტური სამყაროდან ზემოქმედებს და ახალი სულიერებით მსჭვალავს თავის ქმნილებებს. ეს უკანასკნელნი ისეთ მნიშვნელობას იძენენ და ისეთ ეღერადობა-თვისებებს ავტორის გარდაცვალების შემდეგ, რაც მის სიცოცხლეში სრულიად წარმოუდგენელი და არარეალური ჩანდა...

მაღალი იმპულსებით შექმნილი ნაწარმოები, რომელშიც ერთდროულად არის გაცხადებული, როგორც კონკრეტული მხატვრის პირადი განცდები, ასევე საერთო-საკაცობრიო იდეალები, თავისი უღრმესი არსით რამდენიმე ძირითად თვისებას შეიცავს, რომელიც შემდგომ ამ ნაწარმოების სულიერ, კოსმოსურ ლანდშაფტად ქცევას უწყობს ხელს

მარადიული ქმნილება სიყვარულსა და გაოცებას ასხივებს ისევე როგორც ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიარსებებთ და რომელიც, ჩემის ღრმა რწმენით, წარსულის სამყაროთა შემოქმედების, გასაოცარი შემოქმედების შედეგიცაა.

შემოქმედება — ეს უმძაფრესი ინტენციაა თანამედროვე ადამიანისა, რომელსაც სურს, რომ გადარჩეს, როგორც ფიზიკურად, სოციალურად, ისევე სულიერად, პიროვნულად და ნაციონალურად.

საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტიულობისა და პროდიცირების გარეშე საბოლოოდ ვიქცევით რომელიმე წარმოებით — ინდუსტრიული მონსტრსახელმწიფოს პროვინციად და გასაღების უღარიბეს ბაზრად. და მაშინ კი, ალბათ, კულტურასა და მის გადარჩენაზე საუბარი, ფაქტობრივად, აღარც კი იქნება შესაძლებელი, მეტიც, მაშინ არა მარტო კულტურულ, არამედ ნაციონალურ გადარჩენაზეც კი შეიძლება გაგვიჭირდეს ფიქრი. ამიტომ საჭირო და სასურველია მიზანმიმართული მოქმედება და შემოქმედებითი საქმიანობა; მოქმედება საკუთარი რეალობის, როგორც სახელოვნებო რეალობის, ასევე ყოფითი რეალობის განვითარებისა და გარდაქმნა-გარდასახვისათვის.

და აქ, ჩემი აზრით, არსებობს ერთადერთი გზა — შემოქმედება მომავლისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურამ ბენაშვილი

ქართული სიმბოლისტური პროზის შესახებ

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საერთოდ, საუკუნეთა მიჯნები პოლიტიკური კატაკლიზმებითა თუ მნიშვნელოვანი კულტურული ძიებებით ხასიათდება, საქართველოს უახლესი ხანის ისტორიის მაგალითითაც დასტურდება. მე-20 ს-ის დასაწყისი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში უაღრესად დიდი ინტერესის საგნად რჩება. ალბათ იმიტომაც, რომ ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ ნაკლებადაა იგი შესწავლილი. ამ ნაკლის შევსების მნიშვნელოვან ცდად გვესახება ამირან გომართელის მონოგრაფია — „ქართული სიმბოლისტური პროზა" თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბ., 1997 წ.).

შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიმბოლისტური პროზა არსებითად შეუსწავლელი იყო. რასაკვირველია, ლიტმცოდნეთ ყურადღებიდან არ გამორჩენიათ ვასილ ბარნოვის, დემნა შენგელაიას და, ბოლო ხანს, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება, მაგრამ სიმბოლისტური პროზა, როგორც აზროვნების სიმბოლისტური წესი და მსოფლშეგრძნება დღემდე არ გაანალიზებულა. არადა, მართლაც, წარმოუდგენელია XX ს-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის გააზრება და სრულყოფილი სურათის წარმოდგენა სიმბოლიზმის გარეშე. იქნებ პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მომეტებულ ინტერესს საუკუნის დასაწყისის ქართული მოდერნისტული ლიტერატურის მიმართ სწორედ ევროპელები იჩენენ, რაც დასტურია იმისა, რომ ქართული ლიტერატურა ევროპული კულტურის სივრცეში აღიქმება.

საუკუნის დასაწყისში ქართველმა ახალგაზრდებმა ევროპას მიაშურეს. მათ აშკარად იგრძნეს როგორც ქართული ყოფის, ისე ცნობიერების ჩამორჩენა. თანადროული ევროპის კულტურული მოვლენები, არავითარ გამოხმაურებას არ იწვევდა პოლიტიკური კატაკლიზმებით შემკრთალ საქართველოში. ამიტომ შეიქმნა საჭირო ნაციონალური ჰერმეტიზმის გარღვევა. ახალთაობის წინაშეც სწორედ ეს ამოცანა დაისახა. ქართულ სინამდვილეში თანამედროვე კულტურას პროპაგანდისტად გრიგოლ რობაქიძე მოევლინა, რომელიც ლექციებისა და ესსეების მეშვეობით აცნობდა საზოგადოებას თანამედროვე ევროპელსა თუ რუს ავტორებს. გრიგოლ რობაქიძე იმავე თვალთახედვით აშუქებდა ქართულ მწერლობასაც. ამ პროცესს იმ ახალგაზრდებმაც აუბეს მხარი, რომელთაც, როგორც ამირან გომართელი წერს, „არც რეინის და არც სენის წყალი არ დაელიათ, ოდენ თერგი გადაელახათ ილიასა და აკაკის დარად, მაგრამ მათი მზერაც ევროპულ კულტურაზე იყო მიმართული". „ჩვენი ფიქრი ყოველთვის მი-

მართული იყო პოეზიის მსოფლიოს არ-ესაკენ"-ო, წერდა პაოლო იაშვილი.

ამირან გომართელის ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ეპოქის ლიტერატურულ პროფილს, განცალკევებით კი არ წარმოგვიდგენს, არამედ მას სოციალურ-პოლიტიკური ვითარების კვალობაზე ათვალსაჩინოებს. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ხელოვანი ვერასდროს ვერ აძლევდა თავს უფლებას მხოლოდ „წმინდა ხელოვნებისათვის" ეღვაწა.

მაგრამ ერთი რამ კი დაბეჯითებით სწამდა და სჯეროდა ახალ თაობას — XX ს-ის დასაწყისის ლიტერატურული ატმოსფერო განახლებას ითხოვდა. როგორც მკვლევარი წერს „მოგვიანებით ცისფერყანწელები" საყვედურობდნენ XIX ს-ის ქართველ პოეტებს, რომ მათი ლექსი მიაგავდა „ჭურში ჩამჯდარი კაცის სიმღერას". პაოლო იაშვილის სიტყვით, „ვერავინ შეება ქართული სიტყვის უღელს ისე, რომ გადაეცილებინა სამშობლოს საზღვრებს და მიეთრია იგი ევროპულ რომელიმე ქალაქის მოედნამდე"-ო. სწორედ ამის თაობაზე წერს ამირან გომართელი, რომ „ყოველი ნიჭიერი და მედგარი თაობა შემოქმედებით გზას კერპების მსხვრევით, ავტორიტეტების დამხობით იწყებს. ეს „მამათა" და „შვილთა" მარადიული ბრძოლაა, სწორედ, განახლების ზამბარა. ტრადიციის საუკეთესო გამაგრძელებელი მისი პრაქტიკული უარმყოფელიცაა. ახალ ხელოვნებას, აყალიბებს მეამბოხე შვილი... მორჩილი მიმდევარი ვერ შექმნის ახალს". მსჯელობა აქ ასეც შეიძლება გაგვეგრძელებინა, რომ ნამდვილი მიმდევარნი სწორედ რომ მეამბოხე „უმადური" და უარმყოფელია. ამიტომაა პარადოქსული მოძღვრისა და შეგირდის ურთიერთობა. მორჩილი და ერთგული მიმდევარი დამანგრეველი ფიგურაა და როგორც ჟან ბოდრიარი იტყვის, „არის რაღაც დამღუპველი მისთვის, ვისაც მისდევენ. ეს დამღუპველი ისაა, რომ მდევნელი შლის ნაკვალევს"; იგი მიმ-ღევრის ნაღვაწს აუფასურებს, ვინაიდან დოგმად აქცევს მას; მაგრამ ყოველი მწერალი ფასდება არა „ბარტლ იმით, თუ რას უარყოფს, ან რას ამკვიდრებს ახალს, არამედ იმითაც, თუ რას აგრძელებს. როდესაც უარყოფაზე ვლაპარაკობთ, აქ იგულისხმება არა გაამაყებული, გნებავთ „უმადური" შვილის მიერ წარსულის ფამილარული უკუგდება, არამედ ერთგვარი ძლევა, გადალახვა მანამდე არსებულისა. გადალახვა კი შეიძლება იმისა, რასაც შეხედავ დისტანციიდან, რაიც თავის მხრივ განსჯისა და რაციონალურის პრიმატს გულისხმობს.

„ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური ფიგურა არ ახსოვს საქართველოსო", — წერს პაოლო იაშვილი. „ვაჟამ პირველმ. მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება". მეტი აღტაცება რაღა იქნება წინაპრით, მაგრამ გულნატკენი პოეტი დასძენდა, რომ ვაჟა, „არწივად წოდებული, ! საქართველოში დადიოდა როგორც „ჩხიკვი ზაქარა" თვალმოხეული..." იქნებ ქართველი შემოქმედის ბედზე ამ ნაღველნარევმა დაფიქრებამ შვა ის ერთგვარი ახირებულობა თუ, გნებავთ, ეპატაჟი, ქართველ სიმბოლისტებს რომ ახასიათებდათ; მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რომ ეს იყო არა ჭაბუკური გრძნობამოჭარბებული თვითდამკვიდრება, არამედ თეორიულად საკმაოდ შემზადებული ანალიტიკური გონების მქონე ახალი თაობის შემოქმედებითი თვითგამოხატვის ცდა.

ნაშრომის პირველ თავში „მოდერნიზმის აუცილებლობა და ეროვნული საწყისები" საუბარია სიმბოლიზმის წარმოშობის წინაპირობებზე, XX ს-ის დასაწყისის ლიტერატურულ ატმოსფეროზე, იმ თეორიულ წანამძღვრებსა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ ძიებებზე, რამაც შეამზადა ნიადაგი სიმბოლისტური მიმდინარეობის დამკვიდრებისათვის ქართულ ლიტერატურაში.

ქართული სიმბოლიზმის წარმოშობას XX ს-ის 20-იან წლებში ლიტერატურულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული ფაქტორების

ერთობლიობა განაპირობებდა. ყველა გრძნობდა ახალი სიოს ქროლვას და „ახალ მდინარებას თითქოს ფარვატერის წინასწარ მომზადება ესაჭიროებოდა“ (ამირან გომართელი). ეს ნიადაგიც მზადდებოდა. გზამკვლევნიც იყვნენ, და გეზის მიმცემნიც. მხედველობაში გვაქვს კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე და გრიგოლ რობაქიძე.

კარი ეხსნებოდა უცხოურსა და რუსულ კულტურას — და მისი გაზიარება, მიღება-მიუღებლობა უთუოდ სწორი და ჯანსაღი პოზიციის გამომუშავებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული კულტურის აღმავლობასა და შინაგან მთლიანობაზე ფუჭი იქნებოდა საუბარი. ამის უპირველეს პირობად ქართველ მოღვაწეებს ეროვნული ხასიათის, არსის, საკუთარი შინაგანი სამყაროს წვდომა მიაჩნდათ, სიმბოლიზმი კი პოეზიას ეროვნულობისა და მოქალაქეობრიობის გრძნობებისაგან თავისუფლად იაზრებდა. აი, ასეთ ვითარებაში იწერება ტიციან ტაბიძის სიტყვები: „ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა მთავარი იდეები“. „ცისფერყანწელები“ ქართული მოდერნიზმის ეროვნულ საწყისად მიიჩნევდნენ რუსთაველის, ბესიკის, დავით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. მაგრამ რა ვითარება იყო სიმბოლისტურ პროზაში რომელსაც წინამორბედნი არ ეძებნება? და აქ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ერთი მიგნება ამირან გომართელისა, რომელიც წერს, რომ „პროზის მოდერნიზება ძირითადად უნდა მომხდარიყო პოეზიის ხარჯზე, პოეტური მგრძნობელობის გააქტივებით, ძველი ქართული პროზის პოეტურობისა და თანამედროვე სალექსო რეფორმის გათვალისწინებით, უცხოური გამოცდილების ათვისებით“. ასე დაიწერა, ვასილ ბარნოვის, დემნა შენგელაიას და გრიგოლ რობაქიძის რომანები.

ამდენად, ქართულ სიმბოლისტურ პროზას საფუძველი ეძებნება ბაზოგადოდ ქართული კულტურის წიაღში. ქართველმა მწერლებმა ყური მიაპყრეს ერის კულტურულ მეხსიერებას, მის შორეულ წარსულს, მითოსურ ძირებს. „სად არის ჩვენი საშო. ჩვენი პირველი დამტკიცებაა, რომ ჩვენ ვართ უძველესი ღმერთზე, რომ საშოც არ გვახსოვს?“ ამაყად აცხადებდა გიორგი ლეონიძე და ეს სიძველე — მშვენიერის, იდუმალის მიმნიშნებელია მისთვის. რაც ძველია მოვლენა თუ საგანი, მით ფასეულია იგი. ხანდაზმულობა უნიკალურობის ელფერითაა მოსილი და უძველესი ისტორიის გამოგააშყებულია ქართველი შემოქმედი. ეს ღაძველების ტენდენცია, ქართული „ძირების ჩხრეკა“ განსაკუთრებული სიმძაფრით საუკუნის დასაწყისში გამოვლინდა. „უკან ბუნებისაკენ, ბუნებრივისაკენ“ — ერთგვარ დევიზად იქცა არა მხოლოდ საქართველოში. ეპოქის კანონზომიერება იყო ისიც, რომ ამ დროს შეიქმნა ოსვალდ შპენგლერის თეორია, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება კულტურა და ცივილიზაცია. კულტურის საფეხური სულის შესაძლებლობათა გამოვლენაა, ხოლო ცივილიზაცია სულის შესახებ ძალთა ამოწურვით იწყება. ეს სიკვდილის ეტაპია. კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია — ინტელექტისა.

წარსულის კულტურულ ფასეულობათა მიმართ განსაკუთრებულმა ყურადღებამ და ცივილიზაციისადმი, ურბანიზისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ 20-იანი წლების ქართულ მწერლობაშიც გაამჟღავნა თავი...

ამ საუკუნის გარიჟრაჟზე სერიოზული ხელოვნების ერთ-ერთი პირველი გამონათება სიმბოლიზმი იყო. შემთხვევით არ დაუტოვებია მას ესოდენ შთამბეჭდავი კვალი ლიტერატურის ისტორიაში. სიმბოლისტები სრული სერიოზულობით მოეკიდნენ ხელოვნებას, ანუ ტექსტის, როგორც ცხოვრებისეული აქტისა და იარაღის შექმნას. ძალზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სიტყვას, ვი-

თარცა საშუალებას და, იმავდროულად და მეტწილად, — მიზანს.

როგორც ა. გომართელი წერს, „სიმბოლისტებს თითქოს თან დაჰყვათ სამყაროს დისჰარმონიულობის, საბედისწერო მოუწესრიგებლობის შეგრძნება. ამგვარმა განცდამ წარმოშვა დეკადანსი“. სიმბოლისტებს, გარკვეული აზრით, დეკადანტებსაც უწოდებდნენ. „ამგვარ ბრალდებაში იგულისხმება არა მხატვრული დონის დაქვეითება, არამედ მსოფლმხედველობრივი ნიჰილიზმი“. ავტორი აქვე მსჯელობს რომანტიზმისა და სიმბოლიზმის საერთო მსოფლმხედველობრივ საფუძვლებზე. „განსხვავება რომანტიზმსა და სიმბოლიზმს შორის, ძირითადად, გამოხატვის ფორმაშია და არა მსოფლმხედველობრივ საფუძველში. რომანტიზმში, სიმბოლიზმისაგან განსხვავებით, სახეობრივი აზროვნება უფრო რეალისტური და, ამდენად, შედარებით ადვილად ამოსაცნობია. სიმბოლისტური აზროვნება კი უფრო თავისუფალი და ასოციაციურია. სიმბოლოს მრავალგვარი ახსნა, ნაირგვარი გააზრება აქვს — იგი პოლივალენტურია“. ამას მოსდევს მსჯელობა სიმბოლიზმის დეფინიციის, სირთულეზე, რომ „არ არსებობს ამ ლიტერატურული მიმდინარეობის საყოველთაოდ მიღებული ან გააზრებული განსაზღვრება“.

რასაკვირველია, ლიტერატურათმცოდნეობა ზუსტი მეცნიერება არ გახლავთ და, მართლაც, რთულია ფორმულირება ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა, მაგრამ ვფიქრობთ, საქმე შედარებით უფრო გაიოლდებოდა, თუ მონოგრაფიის ავტორი ერთმანეთისაგან გამიჯნავდა სიმბოლოს (ვინაიდან „ნებისმიერი რამ ამქვეყანაზე არის სიმბოლო“) და სიმბოლიზმს, როგორც სახელოვნებო მოვლენას. ეს ორი რამ ერთმანეთს მაინც არ უდრის და, ვფიქრობთ, მათი გამიჯვნა, მეტი რომ არა ვთქვათ, სასურველი იყო.

ავტორს ფრჩხილებში აქვს გამოტანილი „სიმბოლიზმის დეფინიციისათვის“, — ეს დეფინიცია კი ხელოვნების სხვა დარგებში აღმოჩენილი თუ აღმოსაჩენი პარადიგმების გათვალისწინების გარეშე ვერ მოხდება. სიმბოლიზმი ტოტალური მოვლენა იყო და პარალელები სასურველი და პროდუქტიული იქნებოდა.

წიგნის მესამე თავში — „მცირე ფორმაში მოქცეული იდეა“ — მკვლევარი თვალს გაადევნებს სიმბოლისტური პროზის მხატვრულ აღმავლობას მცირე ფორმის პროზაული თხზულებებიდან, ძირითადად მინიატურიდან, ეპიკურ ჟანრამდე. ათიან წლებში ჩვენი მწერლობის ერთი ძირითადი ტენდენცია პროზის პოეზიასთან დაახლოება იყო. პოეტური მინიატურა ერთგვარ ლიტერატურულ მოდად იქცა და მას თვით ისეთმა მწერალმაც კი მიმართა, როგორიც შალვა დადიანი იყო. ნაშრომში საგანგებოდაა განხილული „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლის პროზაიკოსების — სანდრო ცირეკიძისა და სერგო კლდიაშვილის მინიატურები.

საგულისხმოა, რომ სანდრო ცირეკიძე ცდილობდა დაესაბუთებინა მინიატურის პრიორიტეტი პროზის ეპიკურ ჟანრებთან შედარებით და, როგორც ა. გომართელი წერს, „მწერლის ამგვარმა თეორიულმა თვალსაზრისმა დააზარალა მისი შემოქმედება, იგი ვერ გასცდა მინიატურას“.

სანდრო ცირეკიძისათვის, როგორც სიმბოლისტური მსოფლმხედველობის შემოქმედისათვის, ამქვეყნიური სინამდვილე მხოლოდ მკრთალი აჩრდილი იყო ზესთასოფლიური სინამდვილისა. პოეზიის საგანი მისთვის მშვენიერებაა და ჭეშმარიტად მშვენიერი „გაცრეცილი ცის“ მიღმა არსებობს. პოეზიის მიზანი ამ მშვენიერების წარმოჩენაა, ამიტომაც ხელოვანის მისიაა ახადოს ქვეყანას მახინჯი საფარველი, რათა მის მიღმა ვაიგონოს „მარადიულის შრიალი“.

სერგო კლდიაშვილის მინიატურებზე მსჯელობისას მკვლევარი იშველიებს ტიციან ტაბიძის თვალსაზრისს, რომ „საქართველოში“ „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ჰქონდა. ქართველებისა-

თვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს გაყრილან. ჩვენ სული უსხეულოდ ვერ წარმოგვედგინა და სხეული უსულოდ".

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, სიმბოლიზმის უმთავრეს მსოფლმხედველობრივ პრობლემებს გამუდმებით უტრიალებდა ლეო ქიაჩელიც. მისი სიტყვებია: „რა არის ჩვენი სინამდვილე, მოჩვენებითი თუ ნამდვილი? შეუძლია თუ არა ადამიანს გალაკტიონისა არ იყოს, მისწვდეს „მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?..."

ნაშრომში საგანგებოდაა განხილული ლეო ქიაჩელის „ესკალადე", სადაც დასმულია პრობლემა ადამიანის ცნობიერების უმწეობის თაობაზე, რომლისთვისაც წარმოსახული მიიჩნევა რეალობად.

ნაშრომის ერთი თავი ეძღვნება ვასილ ბარნოვს. ვასილ ბარნოვი, როგორც „თანამედროვე ზრახვებით სავსე პიროვნება" (ს. ჩიქოვანი), ჭაბუკური მგზნებარებით ყოფილა გატაცებული მოდერნიზმით. ბარნოვის მოდერნისტობაზე საუბარი, ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურად ჩანს, თუნდაც იმ სტერეოტიპის გამო, რომლის მიხედვითაც მწერალი ბიბლიური გარეგნობიდან დაწყებული, მთელი თავისი შემოქმედებით ყოველთვის არქაიკოსად წარმოიდგინებოდა.

ამირან გომართელი შენიშნავს, რომ „ტკბილი დუდუკის" ავტორის სიმბოლიზმზე სიტყვა არავის დაუძრავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1911 წელს გიორგი ჭუმბურიძის მიერ გაანალიზებულ „ტკბილ დუდუკს", როგორც სიმბოლისტურ ნაწარმოებს და 1961 წელს ცნობილი ენათმეცნიერის, ივანე გიგინეიშვილის გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ ბარნოვის „სტილზე ერთგვარი გავლენა იქონია ეპოქის მოდერნისტულმა ლიტერატურულმა მიმდინარეობებმა".

ეს არის და ეს, სხვაგან თითქმის ყველგან და ყველა გამოკვლევაში ვასილ ბარნოვი ჩანს, ვითარცა მწიგნობრული ეერის პოეტური მეტყველების მქონე ისტორიული ხასიათის რომანების ავტორი. შეიძლება ბევრი რამ სადაო იყოს, მაგრამ მკვლევარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმად ჩაუხედავს მწერლის შემოქმედებას და ბევრი რამ ახლებურად აქვს ვააზრებული.

აქვე რამდენიმე შენიშვნაც გვინდა გამოვთქვათ: 1) წიგნის 103-ე გვერდზე მკვლევარი წერს, რომ „ვასილ ბარნოვთან ტიპიური პროვიდენციული გაგებაა ისტორიისა. ისტორია მოიაზრება, როგორც ნათელისა და ბნელის, კეთილისა და ბოროტის მარადიული ბრძოლის არენა თუ ასპარეზი, რომლის ტელეოლოგიურ მიზანს ნათლის (კეთილის) საბოლოო გამარჯვება წარმოადგენს".

შეიძლება მკითხველს შეექმნას ილუზია, რომ პროვიდენციალიზმი და ტელეოლოგიზმი ერთსა და იმავეს ნიშნავს. არადა, ერთი მეორეს მაინც არ უდრის.

2) ნაშრომის 87-ე გვერდზე ა. გომართელი წერს: „ვასილ ბარნოვის ეთიკური და ესთეტიკური მრწამსი, გარკვეულწილად, მითოსური ონტოლოგიიდან გამომდინარეობს". საინტერესოა, როგორ ესმის მას ცნება „მითოსური ონტოლოგია"?!

3) ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი „ნეოქრისტიანული და რენესანსური იდეალები". რატომ „რენესანსული" და არა „ნეორენესანსული"? იქნებ აქ სწორედ ნეორენესანსულ იდეალთან გვაქვს საქმე?

რენესანსული იდეალის დისკრეტული (წყვეტილი) გადმოტანა მე-20 საუკუნეში, მეტი რომ არა ვთქვათ, გაუგებარია.

4) წიგნის 63-ე გვერდზე ავტორი წერს: „ტრფობა წამებულის" ავტორი ყოველგვარი დოგმატურობისა და კანონიკურობის აშკარა წინააღმდეგია. მისი მსოფლმხედველობა ქართული აზროვნების მაგისტრალურ გზას მოჰყვება, რომლის უმთავრეს თვისებად ვასილ ბარნოვის „სოფლისა და ზესთასოფლის გამთიშავი უფსკრულის ამოვსება" (რევაზ თვარაძის გამოთქმა) მიაჩნია და ამ გზაზე ნიშანსვეტად „ვეფხისტყაოსანი" ესახება.

ვფიქრობთ, საკმაოდ აპრიორული დებულებაა. რასაც რევაზ თვარაძე გული-

სხმობს, მისი — „ქართული აზროვნების მაგისტრალურ გზად“ დასახვა, მთლად უეჭველი არ უნდა იყოს. სხვა რომელი ეროვნული კულტურის მსოფლმხედველობის თვისება არ არის „უფსკრულის ამოვსების“ ცდა?

სხვა თვალსაზრისის მიხედვით ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელოვნებას ევალება არა ამ უფსკრულის ამოვსება, არამედ, პირიქით, ამ უფსკრულის გაღრმავება და ხელოვნების ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ამ გაღრმავებაში აღმოაჩინოს თავისი საგანი.

როცა ვამბობთ, რომ მოდერნიზმი მსოფლმხედველობრივი კრიზისის გამოვლენაა, როგორღა გამოდის მაშინ ვასილ ბარნოვი სიმბოლისტური პროზის ტიპიურ წარმომადგენლად?!

5) ასევე სასურველი იქნებოდა ვასილ ბარნოვისეული ისტორიის საზრისის გაგება წარმოჩენილიყო, მით უფრო, რომ საკითხი მკვლევარს ქვეთავში („მითი და ისტორიის საზრისი“) აქვს გამოტანილი.

საერთოდ კი მონოგრაფიაში ისტორიული რომანის სპეციფიკა არ არის კოორდინირებული სიმბოლისტური პროზის მოდერნისტულ სტრატეგიასთან. ეს მთლიანად ეტყობა წიგნს. აღმოჩნდება, რომ ვასილ ბარნოვთან სხვა პრობლემებია დასმული — ტიპიურად არასიმბოლისტური და გრიგოლ რობაქიძესა და დემნა შენგელაიასთან — სხვა.

როცა ისტორიის საზრისზეა ლაპარაკი, სასურველი იქნებოდა გამიჯნულიყო, რომელ საზრისზეა ლაპარაკი და რომელი საზრისისაკენ იხრება ბარნოვი: ისტორიის იმანენტური თუ ტრანსცენდენტური საზრისისაკენ. ისტორიის ფილოსოფიაში საზრისის ეს ორი ტიპი მკვეთრადაა გამიჯნული.

6) ვასილ ბარნოვის შემოქმედების ანალიზისას ავტორი მსჯელობს ისტორიის ესთეტიზაციაზე. მკვლევარს რომ უფრო მეტად გაეთვალისწინებინა XIX-XX საუკუნეების რუსულ ისტორიის ფილოსოფიაში გამოკვეთილი კონცეფციები, მაშინ უფრო გაუადვილდებოდა ამ პრობლემის გაშუქება. ბოლოს და ბოლოს, ტერმინი „ისტორიის ესთეტიკა“ გერცენს ეკუთვნის.

სიმბოლიზმის ერთ-ერთი [illegible] სტრატეგია ხომ სწორედ ისტორიის ესთეტიზაციაა.

ნაშრომის ერთი თავი ეძღვნება დემნა შენგელაიას შემოქმედებას. მისი „სანავარდო“ „ლირიკოსის ტემპერამენტის გადატანას წარმოადგენდა პროზაშიო“, წერს ნაშრომის ავტორი.

საგულისხმოა, რომ დემნა შენგელაიასათვის დამახასიათებელი ეგზალტირებული, ენერგიული და რომანტიკული სტილი მის ადრეულ თხზულებებშივე ჩამოყალიბდა. მწერალმა „ადრევე მიაგნო პრობლემატიკას — „სიკვდილ სიცოცხლის კონფლიქტის გაშლას კონკრეტულ ადამიანურ გრძნობებში. მას სჭირდება მოდელის სიუჟეტური შევსება, ისტორიზირებული გარემოს შექმნა, რათა ამბავს მისცემოდა ლეგენდის სურნელება“.

რომანი „სანავარდო“ 1924 წელს დაიბეჭდა „მნათობში“. როგორ ა. გომართელი წერს „სანავარდო“ მკაფიოდ გამოკვეთილი მოდერნისტული რომანია, რომელშიც დასმულია „დაღლილი სისხლის“ პრობლემა. ნაწარმოები კოშმარულ სურათებშია გახვეული. მიწა დაბერწებულია. ხალხი უზნეო და მომავალდაკარგული, უაზრო დროსტარებას გადაყოლილი. გარემო და ადამიანთა სულები სიკვდილის მუდმივი განცდითაა გაჯერებული და ავტორიც მწუხარე გარემოზე ესტეტიზირებული, მელანქოლიური სტილით წერს. ამიტომ ტრაგედია მშვენიერებად იქცევა, სიმახინჯე — სილამაზედ. დეკადენტური ხელოვნება სიკვდილს ასხამდა ხოტბას. სიმბოლიზმმა ამ ფაქტს აზრობრივი საწყისი მოუძებნა და საამისოდ დაეყრდნო მისტიკაში გაზავებულ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ მოძღვრებებს, მითოლოგიასა და ფოლკლორს.

სიმბოლისტურ რომანს წარმოადგენს დემნა შენგელაიას „ტფილისიც“, რომელიც „სანავარდოს“ გამოქვეყნების შემდეგ დაიწერა. ეს თხზულებაც „სანა-

ვარდოს“ მსგავსი სტილითა და მსოფლგანცდითაა შექმნილი. აქაც დიდი ადგილი ეთმობა ლიტერატურულ და ფოლკლორულ რემინისცენციებს, თუმც მთავარი თემა რომანისა მაინც ქალაქია, „ქალაქი“, როგორც სამყაროს ნაწილი, სადაც გამქრალია სულიერება; სადაც სულიერი ქაოსი, ცხოვრების ქაოსს ერწყმის. ეს თემა აისახა ქართულ სიმბოლისტურ პოეზიაშიც, იქნება იგი კოლაუ ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“ თუ პაოლო იაშვილის „ფარშევანგები ქალაქში“.

ამირან გომართელის ეს წიგნი იმ დროს დაიწერა, როდესაც უარყოფილია სოციალისტური დოქტრინა. მაგრამ ავტორი მაინც ვერ აცდა სოცრეალიზმის პუბლიცისტურ უარყოფას. „ეპოქა მწერლისგან მოითხოვდა სიყალბესო“, წერს დისერტანტი. რასაკვირველია, ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტზე იმიტომ გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ვთქვათ: საერთოდ, უკვე დადგა დრო, რომ გადაისინჯოს სოცრეალიზმის პრიმიტიული გაგება. გასარკვეია, ეს სიყალბე იყო თუ გარკვეული ფსევდოკლასიცისტური ესთეტიკური იდეალი, ვინაიდან, ფაქტიურად სოციალიზმი იყო ფსევდოკლასიციზმი. თუ ასეა, უნდა განიმარტოს ეს „სიყალბე“ ცნებაა თუ, უბრალოდ, თავისუფალი პუბლიცისტური სიტყვა.

კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური ხასიათის შენიშვნა. 143-ე გვერდზე მკვლევარი წერს, რომ ბონდო ჭილაძე ვერ ამყარებდა კავშირს რეალობასთან, ყოველდღიურ მიწიერ, ადამიანურ ცხოვრებასთან. განწყობილების გამოსავლინებლად დემნა შენგელაია თავის გმირს კანტის „წმინდა გონების კრიტიკას“ აკითხებსო.

ჯერ ერთი, „წმინდა გონების კრიტიკა“ მისტიური ლტოლვის პანაცეად არ შეიძლება იქნეს აღქმული, მეორეც ის, რომ, როგორც ა. გომართელი წერს, „ამ წიგნში ჩამოაყალიბა გერმანელმა ფილოსოფოსმა მოძღვრება, რომ არსი (ნოუმენი) მიუღწევადია გონებისათვის“. ჩვენს ავტორს, ალბათ, მოეხსენება, მაგრამ, ეტყობა, სათანადო ყურადღება არ მიაპყრო, რომ „ნოუმენი“ არის წმინდა საგანი თავისთავად და არა არსი. არსი არის ესენცია, რომელსაც, ამ შემთხვევაში, არანაირი კავშირი არა აქვს ნოუმენთან. ეს, ალბათ, მაინც არაარსებითი შენიშვნაა და თუ მაინც აღვნიშნეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლევარი პარალელს ავლებს ანდრეი ბელის „პეტერბურგთან“. იქაცო, — წერს ავტორი, — ნიკალაი აბლეუხოვი „წმინდა გონების კრიტიკას კითხულობსო“. ჩნდება სურვილი იმისა, ეს პარალელი ზედაპირული აღწერის დონეზე არ დარჩენილიყო და კარგი იქნებოდა ამ ორი ფაქტის შინაგანი საფუძვლების დაძებნა...

XX საუკუნის მიწურულს ხელახლა მოგვეცა საშუალება, გავიაზროთ საუკუნის დასაწყისში არსებული რეალობანი. საუკუნე მთავრდება და ამ საუკუნის ქართული კულტურის მიღწევათა გათავისების გარეშე გაგვიჭირდება საკაცობრიო საზროვნო პროცესებში ჩართვა.

ამირან გომართელის ნაშრომი მე-20 საუკუნის ოციან წლებში გაწყვეტილი ლიტერატურული პროცესის აღდგენის ცდაა. ამ ეპოქის გააზრება კი წარმოუდგენელია გრიგოლ რობაქიძის გარეშე. 1916 წელს ციტიან ტაბიძე წერდა: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ... პირველი მოციქული სიმბოლიზმისა სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებასო“.

გრიგოლ რობაქიძის სახელი იმთავითვე ლეგენდის ხიბლით შეიმოსა საქართველოში, ემიგრაციის პერიოდში კი მისმა ცხოვრებამ ლამის მითიური ერი შეიძინა.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია ნიცშეს მოძღვრებამ. ა. გომართელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მწერლისათვის „ფატალური აღმოჩნდა ფრიდრიხ ნიცშეს ზრატუსტრას ზეკაცის გავლენა. გრიგოლ რობაქიძე ზეკაცური ბუნების განხორციელებას ხედავდა ამ ისტორიულ პირ-

ოვნებებში, რომელთაც ისტორიის ბორბლის ამოძრავება ხვდათ წილად. ამიტომ წერდა ჟორდანიასა და ლენინზე, სტალინსა თუ მუსოლინიზე. ამ შემთხვევაში მწერლისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა მათ თვალსაზრისს, იდეურ ან ნაციონალურ პოზიციას. მწერალს ხიბლავდა პიროვნებაში ამეტყველებული დემონი, დაუმორჩილებელი ცეცხლის სტიქიონი. ეს კი პოლიტიკურ უპრინციპობად ზოგჯერ ანტიპატრიოტულ ნაბიჯადაც აღიქმებოდა"...

„გველის პერანგი" სიმბოლური პასუხიაო მწერლის თანადროულობის უმწვავეს საკითხებზე, — წერს მკვლევარი. სისხლიანმა ოციანმა წლებმა, ქართველთა გონიერი ნაწილის განწირულმა სულისკვეთებამ გამოძახილი ჰპოვა ქართულ მწერლობაში. ამ პერიოდში შეიქმნა „სანავარდო" და „ჯაყოს ხიზნები", „არმაზის მსხვრევა" და „დიონისოს ღიმილი", რესულად მოდიფიცირებული სოციალიზმის ველურმა ექსპანსიამ მძიმე კვალი დააჩნია და ნაციონალური პესიმიზმით აღავსო ამ ეპოქის მწერალთა შემოქმედება. ა. გომართელის თქმით, „გველის პერანგი" თითქოს პასუხია ზემოთ ჩამოთვლილი, სადღეისოდ ლიტერატურულ კლასიკად ქცეული რომანების პესიმიზმზე. გრიგოლ რობაქიძემ წინ წამოსწია რასის პრობლემა — საღი და ძლიერი სული, ისტორიის უწყვეტობის განცდა, ეროვნული ფესვების ძიებისა და განახლების წადილი, ვინაიდან მწერალს სწამდა, რომ მხოლოდ ეროვნული ძალით გაჟღენთილ, ჯანმაგარ თაობას შეეძლო აეტანა „წითელი განსაცდელი". მწერალი ხატავს პერსონაჟს (ქართველს), რომელშიც მჟღავნდება „თაურმოვლენა", „შინა სახე", ქართველობის არსი. მწერალს არჩიბალდისა და ვამეხის მეგობრობის მოდელი „ვეფხისტყაოსნიდანა" აქვს აღებული, ვინაიდან ავთანდილი ტრადიციული ქართული ხასიათის არქეტიპულ გამოხატულებად ესახება. ფრიად საინტერესოა, გრიგოლ რობაქიძე რუსთაველის პოემაშიც დიონისურ და აპოლონურ სტიქიას ჭვრეტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით რომანის სათაურებშიც კონკრეტული შინაარსია ნაგულისხმევი. „ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერის საკუთარ პერანგს: გახდილსა და გადაგდებულს"-ო, — ეუბნება ტაბა ტაბაძ არჩიბალდს. გველის კანის გამოცვლა პიროვნების ფერისცვალებასაც უკავშირდება, უკავშირდება პიროვნების ზეაღსვლას. მეორედ დაბადებას „გონის მხრით".

არჩიბალდ მეკეში (არჩილ მაყაშვილი) მესოპოტამიის უდაბნოდან იწყებს სვლას სამშობლოსაკენ. უდაბნოს გავლა, პიროვნების სულიერ გამოცდას ნიშნავს. არჩიბალდის დაბრუნება არა მარტო მშობლიური წიაღის, არამედ სამყაროული მთლიანობის შეცნობის საწინდარია და ღვთაებრივ პირველსაწყისთან ზიარებაა. თურმე გრძნობად სამყაროში შესაძლებელია მიღმური სამყაროს იდუმალებათა გაგება. ეს სჯერა და სწამს გრიგოლ რობაქიძეს, რომლის მსოფლაღქმა, როგორც ა. გომართელი წერს, „სრულ თანხმიერებაშია აზროვნების სიმბოლისტურ წესთან".

ვფიქრობთ, არ იქნებოდა ზედმეტი თუ ყურადღება მიექცეოდა ერთ გარემოებასაც. რომელ სიმბოლისტებს ეკუთვნის გრიგოლ რობაქიძე, რეალისტ სიმბოლისტებს თუ იდეალისტ სიმბოლისტებს (კლასიფიკაცია ეკუთვნის ვიაჩესლავ ივანოვს)? ამგვარი სიღრმისეული ანალიზი უფრო მეტად მოჰფენდა ნათელს მწერლის შემოქმედებას.

ასევე მიგვაჩნია, რომ საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტების გადმოცემა წიგნში არ იყო სასურველი, თუნდაც მაგალითად, სოფოკლეს ოიდიპოსის შინაარსისა. გვაქვს პრინციპული ხასიათის რამდენიმე შენიშვნაც.

1. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიას, მაინც იგრძნობა ერთგვარი ფრაგმენტულობა. პირველ სამ თავში არის ცდა განხილული იქნეს სიმბოლიზმის წინაპირობები, მაგრამ ეს იმედი შემდეგ მხოლოდ ნაწი-

ლობრივ მართლდება. შემდეგი სამი თავი „ვასილ ბარნოვი“, „დემნა შენგელაია“ და „გრიგოლ რობაქიძე“ ფაქტობრივად სამი მიკროწიგნია, რომლებიც „ჩადგმულია“ მთლიან გამოკვლევაში და ამით, ვფიქრობ, ირღვევა არქიტექტონიკული მთლიანობა. ამ განცდას აძლიერებს ისიც, რომ წიგნს არა აქვს დასკვნა (გასაგებია, რომ დასკვნის გაკეთება რთული იქნებოდა, ვინაიდან ამდენი მასალის გამთლიანება მოითხოვს განსაკუთრებულ თეორიულ ძალისხმევასაც.

არ არის ცდა დაიძებნოს ამ სამი მწერლის ქმნილებათა გამჭოლი იდეა (პარადიგმა), ის, რაც შექმნიდა უფრო მეტად სრულყოფილი მონოგრაფიული ნაშრომის შთაბეჭდილებას.

2) წიგნს ჰქვია „ქართული სიმბოლისტური პროზა“. მაგრამ თითქოს ავტორის პოზიცია არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული, — სიმბოლიზმი დამოუკიდებელი ლიტერატურული მიმართულება იყო თუ ნაწილი მოდერნიზმისა. თუ მოდერნიზმის ნაწილი იყო, რა მიმართება ჰქონდა მას მთლიანად მოდერნიზმის მსოფლმხედველობასთან.

3) როცა ნაშრომის მთლიან არქიტექტონიკაზე ვსაუბრობთ, აქვე უნდა ითქვას, რომ არ ხერხდება სინთეზი, ერთის მხრივ, ცნებით ანალიტიკური დისკურსიული აზროვნებისა და, მეორეს მხრივ, ესეისტურისა. ესეისტურობა ცუდი არ არის, პირიქით, ლიტმცოდნეობა ვერ აცდება ამას, რადგან იგი [illegible] ერებას არ წარმოადგენ[illegible]

4) ავტორი საერთოდ თავს არიდებს სიმბოლისტური პროზის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების ძიებას. რაც წიგნის ერთ-ერთი შედარებით ყველაზე არსებითი ლაფსუსია. ამისთვის ყურადღების მიქცევა აუცილებელია, მით უფრო, რომ ავტორი ლაპარაკობს სიმბოლისტურ ესთეტიკაზე, ეთიკურ კონცეფციაზე და ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, ემყარება მსოფლმხედველობრივ, გნოსეოლოგიურ საფუძვლებს.

ავტორი, მხოლოდ და მხოლოდ, წიგნის ბოლოში, რობაქიძეზე საუბრისას ახსენებს ნიცშეს „ტრაგედიის დაბადებას მუსიკის სულიდან“, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტულად გაიელვებს და სიღრმისეული კვლევის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

საერთოდ, არ არის ნახსენები წიგნში შოპენჰაუერი, იმ დროს, როდესაც სიმბოლიზმის ერთ-ერთი მსოფლმხედველობრივი სარჩული სწორედ შოპენჰაუერის ნების მეტაფიზიკა და სამყაროს წარმოდგენადობა იყო.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, რომელთაც, შესაძლოა, სურვილის ხასიათიც ჰქონდეთ, ნაშრომი უდაოდ წარმოადგენს საყურადღებო მონოგრაფიას ქართული ლიტმცოდნეობისათვის სრულიად შეუსწავლელ, უაღრესად მნიშვნელოვან და პრობლემატიკურ საკითხზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

ფაქიზად დაწერილი პირქუში რომანი

მთელს ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა ძვრებმა და მოვლენებმა მრავალი პროცესის დაჩქარება გამოიწვია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი და მძლავრი მომენტი იყო წლობით დალუქული საიდუმლო არქივებისათვის თავის ახდა, მრავალი შემზარავი ფაქტისა და დოკუმენტის გამომზეურება. დიდი სამუშაო გაუჩნდათ ისტორიკოსებს, უამრავი თემა და მასალა — შემოქმედ ადამიანებს.

ხელოვან ხალხს, კერძოდ კი მწერლებს, საშუალება მიეცათ, მრავალ ტაბუდადებულ თემას მიბრუნებოდნენ, გაეაზრებინათ, გადაეხარშათ და ჩვენი უახლესი ისტორიის არა მხოლოდ ფრაგმენტული, არამედ ღრმა მხატვრული ანალიზი მოეცათ...

თუმცა დიდი ანგარიშით, ჭეშმარიტი მწერლები არ ელოდებიან ხოლმე ეპოქალურ ძვრებსა და „პოლიტიკურ მომენტებს", რომ შემოქმედებითად განხორციელდნენ. როგორც ორუელი იტყოდა, „თუ მწერალი არ გრძნობს სიმარილეს იმისას, რასაც წერს, მაშინ კვდება შემოქმედებითი მუხტი... შემოქმედება გრძნობაა და არ შეიძლება ეს გრძნობა კონტროლს დაუქვემდებარო"...

უცნაურია, ეს სიტყვები თითქოს სოსო პაიჭაძისათვის, უფრო ზუსტად, სოსო პაიჭაძის მისამართით იყო ნათქვამი. ლიტერატურაში ფეხის შემოდგმისთანავე იგი ამ სიმართლეს ემსახურებოდა. იგი ისეთი სტილისტიკითა და წარმოსახვებით წერდა, რომ საბჭოურ სივრცეშიც კი ცენზურა ვერ იჭერდა მის მგრძნობელობას, უფრო ზუსტად, ვერ კითხულობდა, ვერ იგებდა. მისი რაფინირებული, ესთეტური ხელწერა გარდა სიფხიზლისა, რაღაც სხვას ითხოვდა მისაღებად და აღსაქმელად...

ხშირად შემოქმედებაში ან შემოქმედებიდან მოდიან ან ცხოვრებიდან. სოსო პაიჭაძის პირველივე მოთხრობებში გამოჩნდა, რომ მწერლობას შეემატა ღრმა ინტელექტუალური და ცხოვრებისეული გამოცდილების შემოქმედი.

როგორც ადამიანი, როგორც მეგობარი, როგორც მეუღლე და მამა, როგორც პიროვნება იგი ყოველწამიერად, უშურველად იხარჯებოდა და მით უფრო განსაცვიფრებელია, რომ ასეთი მწერალი იყო. ან იქნებ სწორედ ამიტომაც იყო ასეთი საინტერესო მწერალი. უბრალოდ ხანდახან გავიფიქრებ ხოლმე, იქნებ ცოტათი მაინც რომ ყოფილიყო ეგოისტი, ცოტათი 'ნაკლებ რომ დახარჯულიყო სხვებისათვის... და ჩემივე ფიქრის შემრცხვება... როგორ შეიძლებოდა სოსო სხვანაირი ყოფილიყო, მაშინ ხომ არც მისი მწერლობა იქნებოდა ასეთი მგრძნობიარე, ფაქიზი,

რაღაცნაირი, თუ შეიძლება ითქვას, მშვიდი ნერვოზით დაწერილი...

და მე ვხედავდი ბოლო პერიოდში, როგორ ჩქარობდა... ეს აჩქარება იმ პოლიტიკურად საბედისწერო ცვლილებებსა და პროცესებს არ მოუხვევია მისთვის თავზე. უბრალოდ იგი ავად იყო და იცოდა, რომ უნდა მოესწრო... იგი ისეთი მძიმე სენით იყო ავად, რომ ამ აქტით (კალამს ხელი რომ არ გაუშვა) თავის სიცოცხლეში პირველად გვაგრძნობინა ჩვენ და ვინ იცის, იქნებ თავის თავსაც, რომ იცოდა საკუთარი სიტყვის ძალაც და ფასიც. ამიტომაც უნდა მოესწრო... მოასწრო კიდეც...

იმ ზათქსა და ციებ-ცხელებაში, ქვემეხების გუგუნსა და პანიკაში დაიწერა მისი ბრწყინვალე რომანი „სადაით დაეცი". მაშინ წასაკითხად ვის ეცალა. ახლახან ეს წიგნიც დასტამბა გამომცემლობა „მერანმა". ახლა, მგონი, ცოტათი მეტად შეიძლება ნამდვილი ლიტერატურის წასაკითხად მოიცალო...

სოსო პაიჭაძის რომანის ეპოქალური არეალი მოიცავს პერიოდს ოციანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე.

მიუხედავად იმისა, რომ „სადაით დაეცი" ჟანრობრივად არ წარმოადგენს დოკუმენტური პროზის ნიმუშს, ამ მიკრორომანში ეპოქის სულისკვეთება, საერთო განწყობა, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, ეთიკურ-ზნეობრივი პროცესები და მოვლენები იმ სიმართლით, იმ უტყუარობითაა წარმოჩენილი, რომელსაც სწორედ ზემოთხსენებულ არქივებში წლობით დამალული დოკუმენტები ატარებენ.

ეს არ არის კლასიკური მანერით შესრულებული თანამედროვე ისტორიული რომანი, რომელიც რომელიმე ერთ გარკვეულ დროშია დაწერილი. ამ რომანში, ისევე როგორც სოსო პაიჭაძის დანარჩენ ვრცელ მოთხრობებში, დროის დინება „ცნობიერების ნაკადითაა" წარმოჩენილი.

ფოლკნერთან, ჯოისთან, განსაკუთრებით კი პრუსტთან, წარსული არსებობს არა როგორც დასრულებული ფაქტი (ისტორია), არა როგორც, ვთქვათ, „სუნამოს დაცლილი ბოთლი", არამედ როგორც მარადიული აწმყო, გემო, რომელსაც დავიწყება-აღ-უფრთა, უფრო მეტიც — რომელიც მთელ წარსულ სამყაროს აცოცხლებს და ამოძრავებს. მისგან დაძრული ნაკადები განუწყვეტლივ იჭრება, შემოდის აწმყოში, როგორც შემოპარული ბინდის ნაკადი, დღეს ღამედ რომ აქცევს და დღევანდელს გუშინდლად. წარსული იჭრება ყველაფერში, — ცხოვრებისეულ ტემპში, ფსიქიკაში, მოქმედებაში, საქციელში, ხასიათში... ერთი სიტყვით, სოსო პაიჭაძის რომანშიც წარსული ჩამოგდებული სურათივით კი არ გაჩრილა ჰორიზონტის დაქანებულ კედელზე, არამედ მწუხარე ხატივით ჰკიდია და განუწყვეტლივ ადებს თავის ფერსა და სუნთქვას დღევანდელ სამყაროს. ამდენად არ არსებობს მკვეთრი მიჯნა დროთა შორის.

მართალია, სხეულით ვერა, მაგრამ ცნობიერებით ადამიანი ატარებს ამ მთლიანობას, ამ მარადიულ ტრიპტიხს — წარსული-აწმყო-მომავალი... ხსოვნის, ე. ი. **წარსულის** და წარმოსახვის, ე. ი. **მომავლის** უნარი მას ეძლევა, როგორც დიდი ჯილდო და დიდი სასჯელი ერთდროულად. აი, ამ მტკივნეული, რთული პროცესის დაფიქსირება სოსო პაიჭაძის რომანში „სადაით დაეცი" სტილისტურად უზადოდაა განხორციელებული.

რომანში არსებული მთელი აწმყო წარსულითაა დასჯილი. უფრო ზუსტად, — წარსულში ჩადენილი ცოდვებითაა დამძიმებული და განპირობებული.

ტიპიური ქართული ოჯახის მაგალითზე მოცემულია ის ჯოჯოხეთური, სამოცდაათწლიანი ისტორია, რომელმაც საუკეთესო ადამიანური შესაძლებლობების სრული პარალიზება და გადაგვარება მოახდინა მთელს ქვეყანაში. რომანში სამი თაობის ადამიანთა ცხოვრებაა ნაჩვენები. „ცნობიერების ნაკადით" გაცხადებული დროის ნაკადების მონაცვლეობა ინტონაციურადაც უაღრესად საინტერესოდაა შესრულებული. უფროსი თაობის წარმომადგენლის

თხრობა, რომელმაც ყველაზე მეტი გადაიტანა და ყველაზე უფრო მეტად დაისაჯა, მისი თხრობის ინტონაცია სევდიანი ტრაგიზმითაა გაჟღენთილი, მაგრამ არამც და არამც გაბოროტებითა და სკეფსისით, მაშინ როცა მომდევნო თაობათა დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც ირგვლივ ხდება, ცინიკური, სარკასტული ინტონაციითა გაჟღენთილი.

ამ ნაწარმოების სიუჟეტური ხერხემალიც კი თავისთავად უკვე მხატვრული აღმოჩენაა: სამოცდაათწლიანი ეპოქა იმდენად შემზარავი და ულმობელი აღმოჩნდა, რომ ფაქტიურად ღვთის წყალობადაა მიჩნეული, როცა მთავარი მოქმედი გმირი მთელი რომანის მანძილზე თანდათანობით მუნჯდება — ბრმავდება და ყრუვდება. ამ თანდათანობითი დაზოგვით განგება თითქოს ეხმარება ქალს, რომ ყველაზე უსასტიკეს და ულმობელ მონაკვეთებს ცხოვრებისას სწორედ ასე, სწორედ ამით — მეტყველების უნარის, ენის, ჩვენისა და სმენის დაკარგვით შეეგებოს...

ერთადერთი ნათელი სხივი მაინც კიაფობს ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ თითქმის გადაგვარებულ ქვეყანაში. ესაა ეროვნული მოძრაობას მოყოლილი, დემონსტრაციებისა და გამოსვლების ორომტრიალში სხვებთან ერთად გარეთ გამოსული მშვენიერი ნინო, უკვე სმენადახშობილი ბებიის უსაყვარლესი შვილიშვილი, მისი მოუშორებელი დარდი, რომელიც, ვინ იცის, გაყინული და მუცელგაბერილი, სადაა ახლა, როგორ დაეხეტება გათოშილი თბილისის შეშლილ ქუჩებში. ნინო როგორც სიწმინდისა და მომავლის იმედი, ისე მოიაზრება ამ უაღრესად ფაქიზად დაწერილ პირქუშ რომანში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია პაჭკორია

მწერლის არქივიდან

* * *

აქვს არჩილ სულაკაურს ერთი თვისება. იგი ყოველთვისა და ყოველ სიტუაციაში მწერლური პრინციპებით ცხოვრობს. იქნება ეს სუფრა, სხდომა, მეგობრებთან ურთიერთობა თუ მარტოდ ყოფნა. და ეს რწმენა თუ ცხოვრების სტილი მოდის მშვიდი რწმენისაგან, რომ მართლა მწერალია და სხვა არავითარი საქმე ამქვეყნად არა აქვს. იგი უფრთხილდება თავის თავსა და თავის სახელს, უფრთხილდება რაღაცნაირი შინაგანი სიამაყის შეგნებით და არავის არ აწუხებს. არ ძალადობს, მხოლოდ პატივისცემას მოითხოვს და ჩემი აზრით, იმსახურებს კიდეც ამ პატივს.

მე მომწონს არჩილის შინაგანი სიამაყე და ზომიერების გრძნობა. მომწონს ისიც, რომ თუ უყვარს ვინმე, უყვარს ჭეშმარიტად, მშვიდად, ერთგულად.

* * *

რატომ უნდათ ადამიანებს თავიანთი მორალური კრედო, მაინცდამაინც თავს მოგახვიონ და შეეცადონ ამ გზით დაგიმონონ, ხოლო თუ კი წინააღმდეგობა გაუწიე, იმ წუთშივე ეჭვი შეიტანონ თვით შენს პიროვნულ თვისებებში.

ნუთუ ის ფაქტი, რომ მე იგი მიყვარს და პატივს ვცემ, მორჩილებით უნდა დადასტურდეს.

* * *

მე არ მესმის, რატომ არ უნდა გრძნობდეს ლიტერატურათმცოდნე ან კრიტიკოსი „შემეცნების პოეზიას", აზრის დაბადების პოეტურ თვისებას, მის შემოქმედებით იმპულსს.

დიდი მეცნიერები ყოველთვის მძაფრად განიცდიან სწორედ ამ შ ე ც ნ ო ბ ი ს პ ო ე ზ ი ა ს.

* * *

ეტყობა სიკეთის საზღაური იქ არასოდეს არ უნდა ეძებო, სადაც მოიმოქმედე. სიკეთე სადღაც სხვაგან უნდა დაგხვდეს, თუკი საერთოდ დაგხვდება სადმე...

* * *

თაობა, ალბათ, თავის ძალას დანაკლისით ამოწმებს... თუ თაობას შეუძლია დარტყმებს გაუძლოს, იგი ძლიერია...

საფლავები მხოლოდ მეხსიერებაში, უფრო სწორად, ჩვენს ხსოვნაში არსებობენ.

* * *

მე სხვაგვარად ვფიქრობ — ჩვენი არსებობიდან კონკრეტულ კულტურულ მემკვიდრეობაზე უფრო ს უ ლ ი ე რ ი ე ტ ა პ ი დარჩება. ქვეცნობიერი, კულტურული და სულიერი გამოცდილება...

* * *

თუ მე ავირჩიე „თემატური“ პიროვნული რკალი, მინდა თვით ავტორთა შერჩევის პრინციპშიც ჩანდეს წიგნის სუბლოგიკურ სფეროში ჩადებული აზრიც, პირადი სიმპატიაცა და დაინტერესების რკალიც. ამ შემთხვევაში მე თავს ნებას ვაძლევ, ვიყო ტენდენციური და ვიღაცის მომხრე.

* * *

შენ გავხარ იმ წარმართს, ყოველ აისზე რომ მიდის ბომონთან, ოღონდ უკვე ეჭვი ეპარება თავისი კერპის ყოვლისშემძლეობაში. შესაძლოა პოეზიის „ცოდნა“ სწორედ ამგვარი ეჭვით იწყებოდეს.

* * *

ბ. ეიხენბაუმი წერს — როცა პოეტების (თუნდაც პროზაიკოსების) თაობა თავისივე წიაღში წარმოშობს თეორეტიკოსს, ეს უკვე კრიზისის მომასწავებელია.

პოეტების თაობა, რომელთაც „ციკლელებსაც“ უწოდებდნენ და „სამოციანელებსაც“, მოვიდა თეორიებისა და თეორეტიკოსების გარეშე.

პოეზიის „გაგება“, ალბათ უკიდურესად სუბიექტური ცნებაა და მკითხველის პირად პოეტურ თვისებაზე, ინტუიციაზეა დამყარებული.

ბოლოსდაბოლოს, ესაა ემოციური ტყვეობის განცდა, რასაც მკითხველი თავისით მიელტვის.

თაობას ნაღდად აკლდა გულწრფელი სიტყვის მოსმენა, მას თითქოს ემოციათა ფლობის, მკითხველზე ბატონობის ძალაც აკლდა.

თაობას ჭირდებოდა პატივისცემაცა და უარყოფაც, აღიარებაცა და ეჭვიც... მათი პოეტური არსებობა ხშირად ეფემერული წარმატების ნიშნით მიედინებოდა: იქნებ ჩვეულებრივი პროტექციონიზმით აღბეჭდილ „პოეტურ“ კორპორაციად გარდაქმნის ხიფათიც კი ემუქრებოდა.

„საკრალური“ ათი წელი გამოხდა. თაობას თაობათა მონაცვლეობა ქმნის.

* * *

ჯერ არავის უთქვამს თაობისათვის — ჩვენ წარმოგვშვა თქვენი სიტყვის სტიქიამ, ჩვენ მოვედით, რათა გაღიაროთ და უარგყოთ თქვენ. ეს უარყოფა თქვენი მონობიდან თავის დაღწევაა, ჩვენი პოეტური არსებობის უპირველესი პირობაა (თქვენთვის გალაკტიონის უარყოფა). აქ იწყება ზრუნვა და ფიქრი პოეტური დამოუკიდებლობის პრობლემაზე.

* * *

მას მოერღვა სიტყვის ჯებირი და გადაიქცა ქადაგად, მხოლოდ იმის გამო, რომ ყოველი თავისი ნააზრევის ხელშეუხები ჭეშმარიტება სჯერა...

* * *

ჭაბუა ამირეჯიბში რაღაცნაირი პირველქმნილი უცოდველობა ცოცხლობს... თუმცა მე ვიცი, ამ თავადს შეუძლია ისე განრისხდეს, რომ ყველაფერი დალეწოს თავის ირგვლივ.

* * *

საოცარი სულიერი ენერგია უნდა გქონდეს, რომ შეინარჩუნო სიკეთე და კაცთმოყვარეობა, სიკეთის სუბსტანციურობის განუხრელი რწმენა.

* * *

რაც უფრო სარწმუნოა და ზუსტი ცნობა, მით უფრო ნაკლებ ინფორმაციას მოიცავს იგი.

* * *

მწერალი რამდენადმე გულისხმობს თავხედს, წრეგადასულ სითამამეს, გულახდილობას —დიდი გულახდილობა დიდი რისკი და დიდი უსირცხვილობაცაა,

* * *

თომას მანი — ევროპული კულტურის ჰარმონიული გვირგვინია აღბეჭდილი უზენაესი ნიჭით.

კაფკა — აფეთქებაა, აგრეთვე აღბეჭდილი უზენაესი ნიჭით.

მე მანის მშვიდი სიდიადე უფრო მიზიდავს, ვიდრე კაფკა, რომელიც ჩემს ნერვებს არღვევს, აღიზიანებს, როგორც ნარკოტიკი.

კაფკა — ჩანაწერი სანჩო პანსაზე — — რა არის ეს, ხელოვნური სურვილი ორიგინალობისა, თუ კაფკას მართლა სჯერა სანჩოს ინტელექტუალური პირველადობა და დონ კიხოტის მეორადობა, სანჩოს ფანტაზიის ნაყოფობა. სანჩოს დაავადებული ფსიქიკა წარმოშობს დონ კიხოტს და დაყვება სანჩო თავისი ფანტაზიის და წარმოსახვის ნაყოფს, ვით ერთგული საჭურველთმტვირთველი.

* * *

რა თქმა უნდა, ჩემი ათეიზმი მშვიდია და უწყინარი. რელიგია ჩემთვის კულტურული აქტია და სხვა არაფერი.

ყველაზე ცუდი კაცი, ტაძარში შესული ურწმუნო კაცია.

* * *

მაკიაველმა არაფერი იცის ისტორიული ფაქტების შესახებ, მაგრამ მან იცის რაღაც განუზომლად უფრო მეტი და მნიშვნელოვანი. მან იცის, რას წარმოადგენს თვით ისტორია.

* * *

ძველი რომაელები სიკვდილის წინ, როგორც წესი, წარმოთქვამდნენ ლამაზ ფრაზას.

ცეზარი, ოქტავიანე, ანტონიუსი, პომპეუსი, ნერონი, ტიბერიუსი, კალიგულა...

საიდან იღებდა სათავეს ეს მოულოდნელი არტისტიზმი... შესაძლოა მომდინარეობდეს მაღალი რიტორიზმის სკოლიდან. ყოველ შემთხვევაში აქ არსად ჩანს რელიგიური მომენტი.

ყოველ მათგანში ცოცხლობდა რწმენა, რომ უკანასკნელი ფრაზა ისტორიას დარჩება და კიდევ ერთი ტრაგიკი აქნება მათი პიროვნების დასახასიათებლად.

ისინი ბოლომდე იბრძოდნენ, ხოლო როცა დარწმუნდნენ, რომ წააგეს, საოცარი სიმშვიდით ეგებებოდნენ სიკვდილს.

ისინი მამაკაცები იყვნენ და საოცარი სიმძაფრით იყო გამოკვეთილი მათ ხასიათში ყოველგვარი მამაკაცური ნაკლი... (რენანი აღმერთებს მათ, თუმცა რენანი, მიუხედავად თავისი ჭკუისა, ცოტა არ იყოს გულუბრყვილოცაა.)

* * *

„ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი
ხელყოფისაკენ წააქეზებს ზოგიერთ გვამებს...
ამიტომ მე მათ მოვიხილავ მთვარიან ღამით,
რომ მათის ბრწყინვით დავიამო გულისტკივილი.“

ანა

აქ არის მთელი ანა, საოცარი წუხილი, სურვილი საკუთარი სამყაროს, საკუთარი ქვეყნის ხელყოფისგან გადარჩენისა. იგი აქ იკეტება. სრულ იზოლაციას აღწევს...

* * *

მეგობრები, მეგობრები... იქნებ ზოგჯერ როლანდის ბუკი უნდა გეპყრას ხელით რომ ოლივიეს ხმა მიაწვდინო.

* * *

ჰიუგოს დასაფლავების წინა ღამეს პარიზი მიეცა ორგიასტულ ლხენას. პარიზი ასაფლავებდა ღვთაებას და აცილებდა ისე, ვით დიონისეს...

.....

მე მახსოვს გალაკტიონის დასაფლავებაზე, გამოსვენებისას კრილოვის ქუჩის კუთხეში ვიდექი. ვიღაც ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ვგონებ რუსი) ცდილობდა ხალხის გარღვევას და ზევით, სოლოლაკისკენ ასვლას, რაც თითქმის შეუძლებელი იყო.

მაშინ ქალი რატომღაც გაბოროტდა და იყვირა — მოცლილი ბრბო!

მე ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე „ბრბოს“ სწორი, თითქმის არისტოკრატიული რეაქცია ამგვარ გამოხდომაზე. ხალხმა გაიცინა, გაიცინა მოწყალედ, ირონიით... იქნებ იმის გამო, რომ სახალხო გლოვის დღე იყო და იგი თავის უდიდეს პოეტს ასაფლავებდა... იქნებ იმის გამო, რომ ამგვარი ტკივილი თვით ბრბოშიც კი მაღალ სულს აღვიძებს და ეროვნულ თვისებას — ამჟამად ამაყი ირონია და არისტოკრატიული უშფოთველობა წარმოშვა და მე ვიცი, იმ დღეს, გალაკტიონის დასაფლავების დღეს ჩემი ხალხი სწორედ ასეთი იყო — მგლოვიარე, ამაყი, მომთმენი და არისტოკრატი...

მე თვალი გავადევნე სირაქლემას ფრთებით მორთულ მწვანე „შლაპას“, რომელიც მძიმედ მიიწევდა ზევით, ჯაფარიძის ქუჩისაკენ... ქალი იდევნებოდა ხალხიდან, როგორც შეუთავსებელი, უცხო საგანი.

გალაკტიონის ცხედართან მანქანაზე იდგა ნოდარ ჩხეიძე. ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვმეგობრობდით — მაგრამ მე მახსოვს მისი სილუეტი, მკვეთრი, მწუხარე, სერიოზული...

და მახსოვს ზეიმის განცდა, უნებლიე საზეიმო განწყობილება, ზარების დარისხების შინაგანი შეგრძნება... თითქოს მართლაც და წარმართი ღვთაების გარდასახვის დღე იყო მაშინ.

.....

ჩემთვის წარმოუდგენელია მოსმენა მათი პათეტიური სიტყვებისა, ვინც თავისი თანაგრძნობა და ცრემლი მხოლოდ მიცვალებულისთვის გაიმეტა.

გალაკტიონის უბედურება ის კი არ იყო, რომ ვერ იპოვა ქვეყანა, სადაც არ იარსებებდა „შიში“ — უბედურებაა ისიც, რომ ცხოვრობდა ადამიანთა შორის, რომელთა უმეტესობასაც დახშული ჰქონდა სმენა და ფავლილ ... ბების თვალი.

* * *

სოლჟინიცინი ჩემთვის იქ თავდება, სადაც წვრილმან სინამდვილეს ემონება. იგი არ არის დიდი მწერალი და არც შეიძლება იყოს, რადგან სული და ვნებები არა აქვს დიდი მწერლისა. ყოველგვარ კონიუქტურას აქვს თავისი ფორმა. სოლჟინიცინი პოლიტიკური ავანტიურისტია და ლიტერატურას მხოლოდ შურისგების ფუნქცია შეუნარჩუნა. იგი თითქოს აცლის მწერლობას მთავარს და ეს მთავარი მისთვის მიუწვდომი როდია, რადგან მართლაც ნიჭიერი კაცია, მისი ზნეობაა რატომღაც სახეშეცვლილი, ნეგაციისკენ მიმართული და სწორედ აქ ეკარგება მთავარი. მე საერთოდ ვერ ვეგუები რენეგატებს. რატომღაც მგონია, სოლჟინიცინის იდეალი მომავლის კატეგორია არ არის, იგი სადღაც, თითქმის ფეოდალურ წარსულისკენ იყურება და ეს უცნაურია.

* * *

ლეონოვიჩი იყო ჩემთან, ლაპარაკობდა ვაკუუმზე, რომლის ამოვსება საჭიროა — ერთი სიტყვით რუსეთი ელის მესიას; და როცა მესია არ მოდის, მაშინ ყაბულს არის მიიღოს პოლიტიკური ავანტიურიზმიც.

ლეონოვიჩს ესმის, რომ ეროვნული თითქმის ყოველთვის ტრაგიკულს უახლოვდება... ეს უნდა ახსოვდეს ყველას, — ქადაგებს იგი.

* * *

ავანტურისტული დრო — ეს იცის მარკესმაც,... და იცის ჰელიოდორემ, აი სივრცე, რომელსაც მოიცავს ავანტურისტული დრო...

* * *

მე ძალიან მიყვარს არჩილი ემოციური, მაგრამ უფრო დიდ პატივს ვცემ არჩილს — ლოგიკურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბატიაშვილი

გახსენება

ხუთ იანვარს ოტია პაჭკორიას სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა.

ჩვენ სიცოცხლის სამოცდაათი წელი გვეცოტავება, მან კი სამოციც ვერ შეისრულა. ადამიანად ყოფნისთვის ორმოცდათექვსმეტი წელი გამოუყო განგებამ. მაგრამ სად თქმულა, წლებით განსაზღვრულიყოს კაცის ცხოვრება.

მას არასოდეს უძებნია იოლი გზები, არამედ იტვირთა კაცთა წინაშე პასუხისმგებლობის უმძიმესი ტვირთი და ისეთი შთაგონებით, უანგაროდ და უშურველად გასცა თავისი ორმოცდათექვსმეტი წელი, რატომ ერთს კი არა, რამდენიმე ცხოვრებას არ აქცევდა მიბაძვის ღირსად.

დღეს, როცა ლამის ყველამ, ვისაც თუნდაც ერთი ღამე გაუთენებია, ვთქვათ, გამოსაფხიზლებელში, სამშობლოსათვის წამებულის სახელი მიისაკუთრა და დაფასება თუ თაყვანისცემა მოითხოვა. ოტია პაჭკორიას, ათწლიანგადასახლებაგამოვლილს, ფიქრადაც არ გაუვლია აზრი საკუთარი მეტობისა, უაღრესობისა. არც შემდეგ განკერძოებულა, როცა საქვეყნოდ იელვა მისმა განათლებამ და სიბრძნემ, მისმა ღვთითმომადლებულმა ლიტერატურულმა მაღალნიჭიერებამ.

ის თავისი ხალხის სისხლი სისხლთაგანი იყო და ხორცი ხორცთაგანი. თავისას ნაკლებად იტყოდა, მოკრძალებული, თავშეკავებული, ნიადაგ სხვის ნიჭიერებას შეჰხაროდა. უფრთხილდებოდა. ეს ნიჭი ხომ მისი სათაყვანებელი ერის წიაღიდან მოდიოდა, მისი ხალხის საერთო ფესვი კვებავდა, ყლორტად ამოჰქონდა მზის სინათლეზე და მისივე სულიერ აღმასვლას უნდა დასდებოდა მტლად.

„და მაინც ყოველთვის ველოდები ახალს, მოქმედს ამაღლებულს... ესაა შენი რწმენა, მოლოდინი და მორჩილება... და ეს თუ ამართლებს, მთელი შენი ცხოვრება სხვაგან, სხვის შემოქმედებაში რომ უნდა ეძიო შენი არსებობის მორალური საყრდენი, სულიერი და ინტელექტუალური წონასწორობა“ – წერდა.

ორგანული ერთობა აზრისა და მოქმედებისა, – აი, რა ახასიათებს მის მსოფლმხედველობას. აქცენტი არასოდეს გადაუტანია განყენებულ, მეტაფიზიკურ მოვლენებზე. მოსალოდნელი კი იყო. იგი ხომ ერთხელ აზრისა და მოქმედების ერთობისათვის მკაცრად დაისაჯა ათწლიანი გადასახლებით. მაგრამ, არა, შეუძლებელი აღმოჩნდა მისი სულიერების დარღვევა, გაცამტვერება. ზრუნვის საგნად თანამედროვე ლიტერატურული პროცესი ექცა. ლიტერატურისაკენ მიაქანებდა სულისკვეთება, პოეტური თუ არტისტული ტემპერამენტი.

იგი არ ქცეულა ამ პროცესის მეთვალყურედ, თუ გნებავთ, მხოლოდ მოწმედ, მემატიანედ, რაც, თავისთავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშური საქმეა და გამორჩეულადაცაა დასაფასებელი. ამ პროცესს ბედისწერასავით განიცდიდა, ამიტომ თავად იქცა მისი მონაწილე, გზის გამკაფავი და ამავე დროს, შემფასებელიც.

სამაგალითო იყო საკუთარი შემოქმედებისადმი მისი უაღრესად პასუხისმგებლური, განსაკუთრებული სიმკაცრით აღბეჭდილი დამოკიდებულება. ყოველი სიტყვა ტანჯვითა და ტკივილით ჰქონდა გამომწვარი საკუთარსავე სულის ცეცხლში, ცოდვის ტოლფასად თვლიდა აზრს, თუნდაც უმნიშვნელოს, თუკი მას შურისგების უღირსი სუნი დაჰკრავდა.

მიღწეულით ძნელად კმაყოფილდებოდა. მისი ყოველი თავისუფალი წეთი წიგნს ეკუთვნოდა. განსაცვიფრებელი იყო ის უაღრესი თავაზიანობა რომელსაც წიგნთან ურთიერთობაში ამჟღავნებდა. ისეთი მოკრძალებით ექცეოდა, თითქოს მისი შემქნელის სულს ეხებოდა. აქ კიდევ ერთხელ მჟღავნდებოდა თაყვანისცემა გარდასულთა „თავზარდამცემი სიდიადის“ მიმართ. მათი ქვეყანა იყო ოტია პაჭკორიას შინაგანი სამყარო და ეს სამყარო გადმოიღვარა კიდეც „ღიმილის უკვდავებაში“.

ეთაყვანებოდა ქართულ კულტურას გულწრფელად უყვარდა ყველა, ვინც მას ემსახურებოდა და რა გასაკვირია, განსაკუთრებული, გამძაფრებული გრძნობა რომ გააჩნდა ქართველი მწერლის მიმართ, საერთოდ.

ამიტომაცაა, დღეს უკვე კლასიკურ ნიმუშად ქცეული მისი კრიტიკული წერილები გამოირჩევა არა მარტო შესაშური ერუდიციით, მაღალი გემოვნებით, ნაწარმოების სიღრმისეული წვდომითა და სიმართლით, მისი სიმართლის გზიდან გადაყენება შეუძლებელი იყო, არამედ უაღრესად დელიკატური, ინტელიგენტური სტილითაც, გულიდან წამოსული კეთილმოსურნეობით. ისინი მომავალშიც არა ერთხელ გაუწევს ფასდაუდებელ სამსახურს მწერალს პროფესიულ დაოსტატებაში, მათი ავტორი კი ბევრისათვის გარდაისახება ზნეობრივ ორიენტირად თუ საყრდენად.

მის კრიტიკას სიყვარული კვებავდა. სიყვარული იყო მისი არსებობის ფესვი.

სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენიმე მოთხრობა დაწერა. ამ მოთხრობებს შესანიშნავად იცნობს საზოგადოება. მათ კიდევ ერთხელ განუმტკიცეს შემოქმედის სახელი და აღიარება. მათ კიდევ ერთხელ ცხადყვეს ოტია პაჭკორიას სიფრთხილისა და პასუხისმგებლობის განცდა სიტყვის მიმართ:

„სიყვარულით დაწყება იოლია, საქმე ისაა, სიყვარულით დაამთავრო“, — წერს ის ერთ თავის მოთხრობაში.

„სიყვარულით დამთავრება“ — ეს სულმოკლეობაზე, სილაჩრეზე, სიხარბესა და ამპარტავნებაზე, პატივმოყვარეობასა და შეუწყნარებლობაზე, ყველაფერ ხორციელზე ამაღლებას ნიშნავს. „სიყვარულით დამთავრება“ წმინდა წყლის სულიერებაა და სიკვდილზე გამარჯვება გახლავთ.

გამარჯვებული წავიდა ოტია პაჭკორია ჩვენგან, გამარჯვებული შევიდა იქ, „სადაც განსაცვიფრებელი დუმილია და ნათელი წყვდიადი“.

და ძაინც დღეს ასე ვფიქრობ, ოტია პაჭკორიას სულიერება მთელი სისავსით სწორედ ახალგაზრდებთან ურთიერთობაში გამომჟღავნდა.

სწორედ ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში გამომჟღავნდა ის იმედი, იმედი კი არა, იმედს ეჭვიც გაჰკრავს რაღაცნაირად, რწმენა მომავლისა და ადამიანის შესაძლებლობების, გნებავთ, ადამიანის მაღალი დანიშნულების მიმართ.

ახლგაზრდობას მოაქვს ენერგიისა და სიმამაცის ჯერ დაუხარჯავი მარაგი, მაგრამ რამდენჯერ მომხდარა, უგზოუკვლოდ, ჰაი-ჰარად გაფანტულა იგი, შეცვლილა მერყეობით, სიმხდალით, უძლურებით, ჩამხრჩვალა ხორციელ სიამოვნებათა მორევში.

სწორედ გზის დასაწყისში უნდა მდგარიყო იგი, ჭეშმარიტი მამულიშვი-

ლი, ცხოვრების უმძიმეს პირობებში გამამხნევებელი, გეზის მიმცემი, გზის გამკაფავი.

„ახალ სახელს სეისმური სიმძაფრით განიცდის, აფასებს, ეძებს გამოსავალს უნიჭოთათვის და ხსნას ნიჭიერთათვის... იგი არ უფრთხოდა კონტაქტებს, რადგან მრავალი მიმართულებით ჰქონდა გაწვდილი ცნობიერების საცეცები და წვალობდა, როცა ახალი ურთიერთობები დაუგვიანდებოდა ...არასოდეს გაწირავდა იმას, რაც ბოლომდე არ ემეტებოდა, არასოდეს შეითვისებდა, იმას, რისი შეთვისებაც ბოლომდე არ შეეძლო...“ — ასე წერდა ოტია პაჭკორია ნოდარ ჩხეიძეზე.

იშვიათი სიზუსტით ეხმიანება ეს სიტყვები თვით ავტორს.

ბუნებით ესთეტმა, მშვენიერების თაყვანისცემელმა, უცნაური, ყოვლისმომცველი გატაცება იცოდა ადამიანითა თუ იდეით და როცა მასზე ალაპარაკდებოდა, თითქოს თანხმობას ეძებდა თვალებით, უელავდა, უკაშკაშებდა ერთი სურვილით სავსეს, როგორმე აეხსნა სხვათათვის მისი გატაცების სიღრმე და აუცილებლობა. აი, მაშინ ჩანდა, თუ ჩანდა ამ პიროვნების ელვარება, ტალანტი, არტისტულობა, პოეტური ტემპერამენტი. მას ენთუზიაზმი კვებავდა. ხშირად დაუცველს, ადვილად ეტკინებოდა ხოლმე გული. არ იცოდა პასუხის გაცემა. ჩაიქნევდა ხელს, გაგცილდებოდა. უაზრობად თვლიდა იმის ახსნას, რაც ისედაც უნდა გცოდნოდა.

დამწყებ მწერალს შეუმჩნევლად გაიშინაურებდა, გაათავისუფლებდა თავისი დიდი ავტორიტეტის სიმძიმისაგან, გაუბედაობის, სიმორცხვისა თუ სიფრთხილისაგან. საგანგებოდ ალბათ არც ცდილობდა ამას. ახალგაზრდან მისი გულწრფელობისა და გულახდილობის, კეთილმოსურნეობისა სჯეროდა.

პირადად მე, ბოლოს ნამდვილად გავთავხედდი. ისეთი სისწრაფით მივუსევდი ხოლმე შეკითხვათა ლეგიონებს, ამოსუნთქვის საშუალებასაც არ ვიტოვებდი. გაიცინებდა თავისი ღრმა, მსუყე ხმით, გადამდები ენერგიით, პასუხს დამიგვიანებდა.

ხედავდა, ყოველდღიურს არაფერს ვაქცევდი ყურადღებას, ჩემი ნედლი სული რეალურს მხოლოდ ამქვეყნიურის მიღმა ეძებდა, დასაყრდენი იქ ეგულებოდა.

თურმე კაცის მიწიერი ცხოვრება აყალიბებდა იმ სამყაროს, საითკენაც თავგამეტებით მივისწრაფოდი, თავისა შფოთვითა და ბორგვით, თავისი არსებობის არამყარობით, იმ ყოველდღიურობით, ზვიადად რომ დავცქეროდი ზევიდან, არაფრად ვაგდებდი, აყალიბებდა თავისი შეუჩერებელი ცვალებადობით, იმ წინააღმდეგობათა ერთმანეთისაგან ლტოლვით, მერე ერთმანეთშივე რომ იღვრებოდნენ და თუმცა ერთმანეთს განადგურებას უქადდნენ, მაინც აპირობებდნენ, ჰქმნიდნენ ერთმანეთს. რეალური კი ცხოვრების ამ ურთულეს შკალაზე მოძრაობდა და ყოველთვის ახლიდან მისაგნები იყო.

ვერაფერს ამას ვერ მეტყოდა მასწავლებელი, ამის სწავლება შეუძლებელი იყო, ეს ყოველდღიურობას უნდა ეშვა, თუ, რა თქმა უნდა, რამედ ღირდა ჩემი ლიტერატურით გატაცება.

ის კი, სრულყოფილი და ბუნებრივი, სიგარეტს ჩაფრენილი, სერიოზული და მომღიმარი, მპასუხობდა.

— ჯერ უნდა იცხოვრო.

— მითხარ რატომ მოხდა ასე, — არ ვჩერდებოდი. — როცა „შუადღე“ წავიკითხე, ისე ავღელდი, მახსოვს, წვიმდა, იმ წვიმაში გავვარდი გასაგრილებლად. ეს დიდი ხნის წინ მოხდა. მაშინ არ ვფიქრობდი ლიტერატურაზე. იქნებ სწორედ „შუადღის“ ბრალია ჩემი ლიტერატურით გატაცება? ასე იყო. არ ვიტყუები. მერე შენს „ილუზიებს“ წავაწყდი. მაშინაც ივივე განვიცადე, წყურვილი... რატომ მოხდა ასე?

— ბლოკი შევიცან ორი ადამიანის მეშვეობით, — მითხრა წყნარად, — ერთი ზამთრის სასახლეს იცავდა, მეორე იღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

სიცოცხლის ჟინით სავსე, სიმხნევისა და შთაგონების განსახიერება იყო, მაგრამ ისეთი დღეებიც ჰქონია, სევდა რომ შემოაწვებოდა, მოგონებები თუ წამოეშლებოდა, წარსულში დარჩენილ მეგობართა სახეები თუ დაუდგებოდა თვალწინ, რომელთა შესახებ მოგვიანებით დაწერა კიდეც და შეგვძრა იმ სიღრმისეული სევდითა და მონატრებით, რომელსაც, ალბათ, ყოველთვის განიცდიდა.

სევდიან წუთებში იცოდა თქმა:

— ჟორეს რადა ხარ მოწყენილი...

წყნარი შრიალით მოსწყვეტდა ბაგეთ ამ სიტყვებს და საკუთარ სევდას, რაღაცნაირად, ხელშესახებს ხდიდა. ერთ-ხანს ჰაერში ჩამოწვებოდა ამ მოწყენილი სიტყვების განწყობილება.

არასოდეს მიკითხავს, რას ნიშნავდა იგი, საიდან მოდიოდა, სად ედო სათავე.. არ მიზიდავდა ამის გაგება. მშვენიერი იყო ის იდუმალება, რომლითაც შეიმოსებოდა ხოლმე. მარადიულის სურნელი ასდიოდა იმ წუთს.

მახსოვს, როგორ მითხრა.

—მე მზად ვარ.

ეს მოხდა მაშინ, როცა საავადმყოფოშა მეორედ მოხვედრილი, გაუნძრევლად იწვა სარეცელზე.

წყნარი ღიმილი ნათელივით ედგა სახეზე.

მაშინ უკვე იმდენი ვიცოდი, ამ სიტყვებში დამენახა მისი უმაგალითო ხორციელი სიმამაცეცა და სულიერების მწვერვალიც.

ახლა, როდესაც ვიხსენებ მას, მეჩვენება, შორეული თუ მუდამ ხელიდან დასხლეტილი ჭეშმარიტება ყოველთვის იყო მასთან, მის გვერდით, მის ყოველდღიურ საქმიანობაში. მეჩვენება, თუ ჩავუღრმავდები ოტიაზე ფიქრს, მოულოდნელად იქნებ წავაწყდე კიდეც მას, თუ, რაღა თქმა უნდა, მეყოფა ნიჭი და გამძლეობა.

იგი კი, რუბიკონს გასული, იქნებ გადმოგვცქერის კიდეც ზეციური სიმაღლიდან. ვაი, რომ ვერაფრით ვაწონებ თავს და სევდით ვივსები. ისევ ოტიას სიტყვები მახსენდება და იმ სიტყვებით ვეხმიანები მის ხსოვნას.

— ჟორეს, რადა ხარ მოწყენილი...

●

თბილისი რუსთაველის ქ. № 28

●

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00.

გადაეცა ასაწყობად 13. 02. 98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 02. 98 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.2. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 13.8. ტირაჟი 500. შეკვეთა 159. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. კოსტავას ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინდექსი

ფასი ორი ლარი